

თბილისი „მერანი“ 1990

86. 3
ს. 543

გამოიცა შიომღვიმის მონასტრის ლოცვა-კურთხევით

შემდგენლები: გელა არაშვილი
ზურაბ არაშვილი
გიორგი გაგაშვილი

რედაქტორი ვახტანგ ხარჩილავა

წიგნი გამოიცა შემდგენელთა ხარჯით
შემოსავლის ნაწილი მოხმარდება შიომღვიმის მონასტერს

ک 4702017200 — / მ 604(08) — 90 გრძ. — 90.
© გამომცემლობა „მერანი“.

წინასიტყვაობა

სადიდებლად უფლისა ღვთისა და მაცხოვრისა ჩვენისა იესო ქრისტესი გამოიცა ეს წიგნი და მზადდება მისი მომდევნო წიგნები. პირველად, ვმადლობ ღმერთს ესოდენ დიდი წყალობისათვის. თითქმის ერთი საუკუნეა, რაც ქართულ ენაზე სასულიერო წიგნები არ გამოქვეყნებულა, თუ არ ჩავთვლით ბოლო 12 წლის მანძილზე მცირე ტირაჟით გამოცემულ საეკლესიო კალენდარს და საღვთისმეტყველო კრებულს, უფრო შეზღუდული უფლებებით რომ იბეჭდებოდა. ათეიზმის 65-წლიანმა სასტიკმა მძვინვარებამ განელება დაიწყო. რამდენი ხნით ან საიდან და რა საშუალებით დაიწყებს მორიგ შეტევას, არ ვიცით. მაგრამ ის კი ვიცით, რომ ბოლო ჟამს „დრო შემცირდება". ამიტომ მადლობა ღმერთს, რომ მოგვცა ძალა დღევანდელი პირობების შესაბამისი საშუალებების გამოყენებისა ერის სულიერი განათლებისათვის.

1988—89წ. საქართველოს საპატრიარქოს დაუბრუნდა 150 ტაძარი და ხუთიოდე მონასტერი, მაგრამ იმისათვის, რომ ყველა მათგანი მოქმედი გახდეს, ჯერ კიდევ ბევრი რამ არის საჭირო და უპირველეს ყოვლისა, რამოდენიმე მშვიდობიანი წელი თავისუფლად ღვთის სიტყვის ქადაგებისა.

XX საუკუნის დასაწყისში საქართველოში 2000-მდე მოქმედი ტაძარი იყო, რწმენა კი მცირდებოდა ერში. ამის შესახებ გაბრიელ ეპისკოპოსი წერდა: „ერთი ფრიად სამწუხარო ყოველთა ქრისტეს მოსავთათვის გარემოება გამოჩნდა და ძლიერდება ყოველთა ქვეყანათა შინა... განმრავლდნენ კაცნი წინააღმდეგნი საღმრთოისა სჯულისანი... პირველი და უმთავრესი ჰაზრი, ანუ საბუთი ყოვლისა ურწმუნოისა და განდრეკილისა კაცისა არის ესრეთი: ოღონდ მე კი კარგი, პატიოსანი და მართალი კაცი ვიყოო სქმით და ყოფაქცევით, თორემ რაც გინდა ძწამდეს, ეს სულ ერთი არისო" (ქადაგებანი იმერეთის ეპისკოპოსის გაბრიელისა, ტ. I, „მოძღვრება მართლ-მადიდებლობის კვირიაკესა").

დღეს ასეთი აზრი, შეიძლება ითქვას, მთელ მსოფლიოშია გაბატონებული. აშკარა ათეიზმთან ერთად, გრძელდება კაცობრიობის სარწმუნოებრივი დაქუცმაცება ათასგვარ სექტებად. მაგრამ სამწუხაროდ საპირისპირო, გამაერთიანებელი მოძრაობაც — ეკუმენიზმი, ამავე ნიშნით მიმდინარეობს. ეკუმენიზმი გვთავაზობს სარწმუნოებრივი განსხვავებები მეორეხარისხოვნად ჩავთვალოთ და უგულებელვყოთ, და სოციალურ-კულტურულ-ეკონომიკური პრობლემების გარშემო გავერთიანდეთ. ეს ჰუმანიზმის სახით შენიღბული ურწმუნოებაა, რომლისაგან XIX ს. აფრთხილებდა გაბრიელ ეპისკოპოსი და ეკლესიის სხვა მამები. დღეს გაცილებით უფრო მძიმე მდგომარეობაა. ამაო სოფელი ცდილობს დაარღვიოს მართლმადიდებელი ეკლესიის ერთობა, დააუძლუროს იგი. უფალი წმიდა წერილის სიტყვით გვაუწყებს და გვასწავლის, რომ „ძალა ღვთისა უძლურებაში ვლინდება".

გვწამს, რომ არ გამოილევა ქვეყანაზე ჭეშმარიტების მაძიებელი და ჭეშმარიტებისათვის თავდადებული ადამიანი. უფალი ბოლო ჟამის შესახებ ამბობს: „ვითარცა — იგი დღეთა მათ ნოესთა... ჭამდეს და სუმიდეს, იქორწინებდეს და განქორწინებდეს მუნ დღემდე, ვიდრემდე შევიდა ნოე კიდობნად და ვერ ცნეს, ვიდრემდე მოიწია წყლით რღუნაჲ იგი და წარიღო ყოველი; ესრეთ იყოს მოსვლაჲცა ძისა კაცისაჲ" (მთ. XXIV, 37—39). მართალ ადამიანს ასეთ დროს ყველაზე მეტად სულიერი საზრდოს მოპოვება და სიმართლის შენარჩუნება უჭირს. ვინც კეთილად იღვაწებს, ღმერთი მას ნოესავით არ დაივიწყებს. ეს მოღვაწეობა სიყვარულით ცხოვრებაში მდგომარეობს, ღვთისა და მოყვასისადმი სიყვარულში. თვითოეულ ადამიანის მიერ ამ ზოგადი მცნებების განხორციელება ეკლესიურ ცხოვრებას წარმოადგენს. ეკლესიური ცხოვრების გამოცდილება დაუნჯებულია წმიდა მამების სიტყვებით: მარხვასა და ლოცვის, სინანულისა და საკუთარ ვნებებთან ბრძოლის, ზნეობრივსა და სარწმუნოებრივი ცხოვრების, ჭეშმარიტი რწმენისა და მწვალებლური სწავლებებისაგან დახსნის და მომავალი ცხოვრების შესახებ. ყველა მართლმადიდებელი ქრისტიანისათვის სარწმუნოა სახელები: იუსტინე ფილოსოფოსისა, ეგნატე ღმერთშემოსილისა, ირინეოს ლიონელისა, ათა-

ნასე დიდისა, ბასილი დიდისა, გრიგოლ ნოსელისა, გრიგოლ ღვთისმეტყველისა, იოანე ოქროპირისა, მაქსიმე აღმსარებელისა, იოანე დამასკელისა, სვიმეონ ახალი ღვთისმეტყველისა, გრიგოლი პალამასი და მრავალ სხვათა სახელები, რომელნი გაბრწყინდნენ II საუკუნიდან XX-მდე. სასიხარულოა, რომ დღეს სულიერი გაჭირვების ჟამს, ქართულ საზოგადოებას ქრისტეს ეკლესიის მამების სასულიერო მემკვიდრეობის თანამედროვე ქართულ ენაზე გაცნობის საშუალება ეძლევა. მხოლოდ ღვთის სიტყვა, სწორად გაგებული და განხორციელებული, გადაარჩენს ადამიანს, ერს, კაცობრიობას.

სასულიერო აკადემიისა და სემინარიის რექტორი

პროტოპრესვიტერი ბიორგი.

„რომელსა უნდეს ცხოვრებად, პირველ ყოვლისა თანა არს მას პყრობად კათოლიკისა* სარწმუნოებისა, რომელი უკეთუმცა ვინმე არა დაიმარხოს სრულად და უბიწოდ, თვინიერ ყოვლისავე რაისამე მიზეზისა, საუკუნოდ წარწყმდების იგი". — ბრძანებს წმიდა მღვდელმთავარი ათანასე ალექსანდრიელი. სწორედ ამ სარწმუნოების მკითხველისათვის გაცნობას ისახავს მიზნად წინამდებარე წიგნი, რადგან „ჭეშმარიტების არმცოდნეს არც ჭეშმარიტი სარწმუნოების პყრობა ძალუძს, რამეთუ ცოდნა არის დასაბამი რწმენისა". (წმ. ისიხი პრესვიტერი იერუსალიმისა). დღეს, როდესაც ნაკლებად გაისმის სიტყვა მართლისა სარწმუნოებისა, „რამეთუ შოაკლდა წმიდაჲ, რამეთუ შემცირდეს ჭეშმარიტებანი ძეთა კაცთაგან" (ფს. 11, 1), განსაკუთრებით მნიშვნელოვანია მართლმადიდებელი სარწმუნოების საფუძვლიანი ცოდნა. ამ წიგნში ჩვენ შევეცადეთ შეგვეტანა წმიდა მამათა და მასწავლებელთა ის თხზულებანი, რომლებშიც სწორედ სარწმუნოების საკითხია გაშუქებული. „დასაბამი ყოვლისა სათნოებისა არს შიში ღმრთისაჲ, და არს იგი ნაშობი სარწმუნოებისა". (წმ. ისააკ ასური), აგრეთვე „რომელსა არა აქვნ სარწმუნოება მართალი, და იქმნ მოღვაწებასა, მსგავს არს კაცსა რომელი აღმოასხამნ წყალსა, და შთაასხამნ ჭურსა განხურეტილსა" (წმ. იოანე კიბისაღმწერელი). ასეთ უდიდეს მნიშვნელობას ანიჭებდნენ მამები მართალ სარწმუნოებას.

გარდა ამისა, წიგნში შესულია სწავლებანი სარწმუნოების საქმეებზე: ლოცვის, სინანულის, მარხვის, მოწყალების და სხვა სათნოებათა შესახებ, რამეთუ „ვითარცა ხორცნი თვინიერ სულისა მკუდარ-არიან, ეგრეთვე სარწმუნოება თვინიერ საქმეთასა მკუდარ-არს" (იაკობ, 2, 26).

შემდგენლები

---

* კათოლიკე — ბერძნული სიტყვაა ნიშნავს „საყოველთაოს" ამ სიტყვით აღინიშნება ჭეშმარიტი სარწმუნოება. არ უნდა აგვერიოს „კათოლიკურ" აღმსარებლობაში.

უცნობი ავტორი

ეპისტოლე დიოგნეტესადმი

წინათქმა

თხზულება, რომლის თარგმანსაც ქვემოთ ვაქვეყნებთ, ქრისტიანული ლიტერატურის ერთერთი უადრესი ძეგლია. იგი მიმართულია ვინმე დიოგნეტესადმი, რომელსაც სურს ჭეშმარიტება გაიგოს ქრისტიანული სარწმუნოების შესახებ. ავტორი „ეპისტოლისა“ უცნობია, თუმცა თვით ძეგლიდან ცხადი ხდება, რომ საქმე გვაქვს მოციქულთა უშუალო მოწაფის შრომასთან. თხზულების ბოლო ნაწილში ავტორი ასე მიმართავს დიოგნეტეს: „არა ვქადაგებ რაიმე უცხოს, არც უგუნურად ვეძიებ რასმე, არამედ რადგანაც მოწაფე ვიქმენ მოციქულთა, ვარ მოძღვარი ხალხთა. რაც გადმომეცა, გადავცემ იმათ, რომლებიც ღირსეულად დაემოწაფნენ ჭეშმარიტებას“ (ბერძნული ტექსტი იხ. პგ. 2, გვ. 1181 ა). მკვლევარები ნ. ბონვეჩი და რ. კონოლი მიიჩნევდნენ, რომ ეპისტოლის ავტორი არის ძველ ქართულ მწერლობაში კარგად ცნობილი წმ. იპოლიტე რომაელი, რაც თხზულებას III ს-ში შექმნილ ძეგლად წარმოაჩენს. პ. ანდრისენის აზრით, ავტორი უნდა იყოს ქრისტიანული აპოლოგეტიკის პირველი წარმომადგენელი კოდრატე (II ს-ის I ნახევარი), რომლის შესახებ ცნობებს გვაწვდის IV ს-ის ცნობილი საეკლესიო ისტორიკოსი ევსები კესარიელი (იხ. მისი „საეკლესიო ისტორია“, 4, 3, 1—2). პ. ანდრისენი ფიქრობს, რომ ხსენებული ეპისტოლე გულისხმობს სწორედ კოდრატეს მიერ დაწერილ „აპოლოგიას“, რომელიც დაკარგულად ითვლება. ყურადღებას იქცევს ის, რომ კოდრატე ტრადიციულად მოციქულთა მოწაფედ არის მიჩნეული. მოგვაქვს ევსების სიტყვები: „[ტრაიანეს შემდეგ] აილიოს ჰადრიანემ მიიღო ხელისუფლება. სწორედ მისდამი წარმოთქვა სიტყვა კოდრატემ (ბერძნ. „კოდრატოს“; ლათ. „კვადრატუს“), რომელმაც შეთხზა აპოლოგია ჩვენეული ღვთისმსახურებისა („აპოლოგიან სჳნტაქსას ჰიუპერ ტეს კათ'ჰემას თეოსებეიას“), რადგანაც ზოგმა უკეთურმა ადამიანმა ქრისტიანთა (სიტყვ. „ჩვენიანების“) ვნება განიზრახა.

ეს შრომა დღესაც გავრცელებულია მრავალ ძმათა შორის და ჩვენთანაც. შრომაში განიჭვრიტება ამ კაცის (ე. ი. ავტორის, ე. ჭ.) გონებისა და მოციქულებრივი მართლმკვეთელობის („ორთოტომია") აშკარა ნიშნები. თვითვე ასაჩინოებს თავის სიძველეს („არხაიოტეს"), როდესაც ამგვარი სიტყვებით გვაუწყებს იგი: „ჩვენი მაცხოვრის საქმენი ყოველთვის იყო, რადგანაც ჭეშმარიტი იყო. ისინი, რომლებიც განკურნა მან და რომლებიც აღადგინა მკვდრეთით, არა მხოლოდ მაშინ გამოჩნდნენ, როდესაც განიკურნენ და აღდგნენ, არამედ მარადის თანამყოფნი არიან, და არა მხოლოდ მაცხოვრის ამქვეყნიური ცხოვრების ჟამს, არამედ მისი გარდაცვალების შემდეგაც დიდხანს იყვნენ ისინი, ისე რომ თვით ჩვენს დრომდეც მოაღწია ზოგმა მათგანმა" (ევსები კესარიელი, საეკლესიო ისტორია, IV, III, 1—2). მართალია ევსების მიერ ციტირებული სიტყვები კოდრატეს „აპოლოგიიდან" ზემოხსენებული ეპისტოლის ტექსტში არ გვხვდება, მაგრამ რადგანაც ის ერთადერთი ხელნაწერი, რომელმაც „ეპისტოლე დიოგნეტესადმი" შემოგვინახა, შუა ნაწილში ნაკლულია, შესაძლოა, ზემოციტირებული სიტყვები სწორედ ამ ნაწილში ყოფილიყო (იხ. ი. კვასტენი, მიახლება ეკლესიის მამებთან, ტ. I, პარიზი 1955, გვ. 282). ძეგლის ატრიბუციის თაობაზე არის სხვა მოსაზრებანიც: ჰ. ი. მარუს მტკიცებით, ავტორი კლიმენტი ალექსანდრიელია (II—III სს.); ძველად, ბარატერიუსი ეპისტოლის ავტორად კლიმენტი რომაელს (I—II სს.) მიიჩნევდა (იხ. პგ. 11, სვ. 1165). საგულისხმოა გალანდის მოსაზრება იმის თაობაზე, რომ შესაძლოა ავტორი იყოს მოციქულთა მოწაფე აპოლონი, რომლის შესახებ ცნობებს გვაწვდის „საქმე მოციქულთა" (XVIII, 24—28): „ჰურიაჲ ვინმე, აპოლოჲ (ძველი რედაქციით „აპელჲ") სახელით, ალექსანდრიელი ნათესავით, კაცი სიტყუა-მეცნიერი, მოვიდა ეფესოდ, ძლიერ იყო წიგნთაგან. ესე იყო სწავლულ გზათა უფლისათა და მდუღარე სულითა, ეტყოდა და ასწავებდა ჭეშმარიტად იესუჲსთჳს და იცოდა ნათლისცემაჲ ხოლო იოვანესი. ამან იწყო განცხადებად შესაკრებელსა შორის; ესმა მისი აკჳლას და პრისკილას და მოიყვანეს იგი და უჭეშმარიტესადრე უთხრეს მას გზაჲ უფლისაჲ; და ვითარ-იგი ეგულებოდა მას აქაჲად წიაღ-სლვად, უბრძანეს ძმათა და მიუწერეს მოწა-

ფეთა მათ შეწყნარებაჲ მისი, რომელი მივიდა და შეეწეოდა მორწმუნეთა მათ ფრიად მადლისა მის მიერ“ (ბგ. 11, სვ. 1165). ჰ. ლიცმანის აზრით, დიოგნეტე, რომლისადმიც მიმართულია ეპისტოლე, შესაძლებელია ყოფილიყო მარკუს ავრელიუსის მასწავლებელი (ი. კვასტენი, დასახ. შრომა).

თხზულება, როგორც აღვნიშნეთ, წარმოდგენილია ერთადერთ ხელნაწერში, XIII—XIV ს-ისა, რომელიც რამდენჯერმე გამოიცა. სამწუხაროდ, თვით ხელნაწერი დღეისათვის უკვე მიუწვდომელია, რადგანაც იგი 1870 წ.-ს დაიწვა ბიბლიოთეკასთან ერთად. საყურადღებოა, რომ ამ ხელნაწერში „ეპისტოლე დიოგნეტესადმი“ შეტანილი იყო წმ. იუსტინე მარტვილის (II ს.) შრომათა შორის.

რამდენადაც ხსენებული ეპისტოლე ერთერთი უმნიშვნელოვანესი ძეგლია აპოსტოლურ-აპოლოგეტური პერიოდის ქრისტიანული მწერლობისა, იგი, ვფიქრობთ, ქართველი მკითხველის ჯეროვან ყურადღებასაც მიიქცევს, რაც თავისთავად იქნება გამართლება ამ ძეგლის ახალ ქართულად თარგმნისა. თარგმანი შესრულებულია ჟ. მინის გამოცემის მიხედვით (იხ. პატროლოგია გრეკა-პგ, გამოსცა ჟ. მინმა, ტ. 2, სვ. 1168—1185).

ედიშერ ჭელიძე

ვხედავ, რომ მეტად მოსურნე ხარ, რჩეულო დიოგნეტე, შეისწავლო ქრისტიანთა ღვთისმსახურება. გულმოდგინედ ეძიებ, რომ მთელი სისრულით გაიგო მათ შესახებ ყოველივე, თუ რომელ ღმერთს ერწმუნენ ისინი, ანდა როგორ მსახურებენ მას, რამეთუ ქრისტიანები ამ სამყაროს განეკრძალვიან, ხოლო სიკვდილს არარად რაცხენ. არც ელინთა ცრუ ღმერთებს თვლიან ისინი ღმერთებად, არც იუდეველთა ღვთისმოშიშებას[1] იწყნარებენ. გინდა გაიგო იმ წრფელი სიყვარულის[2] შესახებ, მათ შორის რომ სუფევს. იმასაც ეძიებ, თუ რა არის ეს ახალი ტომი ანდა ახალი წესი ცხოვრებისა, რომელიც ადრე არ იყო და ამჟამად გაჩნდა.

ვიწყნარებ შენს ამ სურვილს და ვითხოვ ღვთისაგან, რომელიც გვანიჭებს ყველას მეტყველებისა და სმენის უნარს, მოგვმადლოს ორივეს, — მე ნიჭი იმგვარად თქმისა, რომ უმეტესად გარგოს ჩემს მსმენელს, ხოლო შენ იმგვარი გულისყური, რომ ცუდად არ დაშვრეს ჩემი ენა.

დროა, განიწმიდო თავი ყველა იმ აზრისაგან, წინდაწინ რომ დაუპყრია შენი გონება; უკუაგდე მცდარი ჩვეულება და იქმენ ახალი კაცი, როგორც ეს იყო დასაბამიდან, რომ ამ გზით გახდე (როგორც თვითვე აღიარებ) მსმენელი ახალი სიტყვისა, ჯერ კი იხილე (არა მხოლოდ თვალით, არამედ გონებითაც), თუ რა არის არსება და გვარი მათი, რომლებსაც თქვენ ღმერთებად თვლით და სახელდებთ ასე. განა ქვა არ არის ზოგი მათგანი, მსგავსი იმ ქვისა, ფეხს რომ ვაბიჯებთ, სხვა კი განა სპილენძი არ არის, არაფრით უმჯობესი იმ სპილენძისა, რისგანაც ჩვენთვის გამოსადეგ ჭურჭლებს ვამზადებთ? ასევე, ზოგი მათგანი ხეა, თანაც უკვე დამპალი, ზოგი ვერცხლია, რასაც სჭირდება ვინმე მცველი, რომ არავინ მოიპაროს. ზოგი რკინაა, ჟანგისაგან შეჭმული, ზოგიც თიხაა, არაფრით უკეთესი იმ თიხისა, რისგანაც უმეტესად შეურაცხი საჭიროების ჭურჭელს ამზადებენ.

ნუთუ ყოველივე ეს ხრწნადი ნივთისაგან არ არის ქმნილი? ნუთუ რკინისა და ცეცხლისაგან არ გამოჭედეს ისინი? ნუთუ ქვისმთლელმა არ გამოაქანდაკა ერთი მათგანი, მეორე კი — სპილენძის ოსტატმა, მესამე — ვერცხლისმჭედელმა, ხოლო მე-

ოთხე — მექოთნემ? ნუთუ ყოველი ნივთი, რომელიც ხელოსანმა ამგვარად გამოკვეთა, სხვა სახით არ იყო შექმნილი? ნუთუ იმავე ნივთისაგან დამზადებულ ჭურჭლებს ხსენებული ხელოსნები ღმერთთა მსგავსად ვერ გარდაქმნიან? ნუთუ არ ძალუძს ადამიანის ხელს, კვლავ ჭურჭლად აქციოს თქვენი სათაყვანო კერპი? განა არ არიან ისინი ყრუ, ბრმა, უსულო ან უგრძნობელი, უძრავი თუ ყოვლითურთ ლპობადი და ხრწნადი? მათ თქვენ ღმერთებად უხმობთ, მათვე ემონებით და ეთაყვანებით, ემსგავსებით კიდეც სავსებით. ქრისტიანებიც იმიტომ გძაგთ, რომ ღმერთებად არ რაცხენ მათ, თუმცა თავად თქვენ, რომლებიც ამგვარ კერპებს ღმერთებს უწოდებთ, ქრისტიანებზე მეტად შეურაცხყოფთ მათ, მეტად დასცინით და აბუჩად იგდებთ, რადგანაც ქვისა და თიხის კერპი დაუცველად გაქვთ და ისე სცემთ თაყვანს, ხოლო ვერცხლისას და ოქროსას ღამით ჩაკეტავთ, დღისით კი მცველებს დაუსვამთ წინ, რომ არავინ მოიპაროს. თუ ეს კერპები რაიმეს გრძნობენ, თქვენეული მსხვერპლშეწირვა სატანჯველია მათთვის, ხოლო თუ უგრძნობელნი არიან ისინი, მაშინ მართლაც რომ შეურაცხყოფთ მათ, როდესაც სისხლითა და ცმელით აღასრულებთ თქვენს მსახურებას. განა ვინმე თქვენგანი გაუძლებს ამას, განა აიტანს ვინმე ამგვარ მოპყრობას? ადამიანთაგან არავინ იქნება, ნებით რომ იტვირთოს მსგავსი სასჯელი, რადგანაც გრძნობა აქვს მას და გონება, ხოლო ქვა იტვირთებს, რდგანაც ვერაფერს გრძნობს იგი.

ამგვარად, თქვენვე ამხილებთ, რომ უგრძნობელნი არიან თქვენი კერპები, ქრისტიანები კი ამგვარ ღმერთებს არა ჰმონებენ; ამის შესახებ კვლავაც შემეძლო ბევრი მეთქვა, მაგრამ მათთვის, რომლებიც ზემოთქმულს არ იკმარებენ, კიდევ მეტის თქმა ფუჭი იქნება.

ვფიქრობ, უფრო მეტად ის გსურს გაიგო, რატომ არ არის ქრისტიანული ღვთისმსახურება ისეთივე, როგორიც იუდაური: თუმცა იუდეველნი ზემოთქმულ მეკერპეობას უარყოფენ, თუმცა ერთ ღმერთსა სცემენ თაყვანს და თვლიან, რომ ყოველთა უფალს გულისხმაყოფენ, მაინც ისინიც მეკერპეთა მსგავსად აღასრულებენ ღვთისადმი მსახურებას და ცთომილებაში ვარდებიან. თუკი უგრძნობელთა და ყრუთა მიმართ ელინური მსხვერპლშეწირვა უგუნურების მაგალითია, იუდეველთა თაყ-

ვანება სისულელე უფროა, ვიდრე ღვთისმსახურება, რადგანაც იმგვარად მიაქვთ შესაწირავი, თითქოს ღმერთს რამე ეჭირვებოდეს. ვინც შექმნა ცა და მიწა და ყოველივე მათ შორის, ვინც ჩვენ გვანიჭებს ყოველივეს, რასაც ვითხოვთ, ცხადია, მას არაფერი ეჭირვება იმდაგვარი, რასაც თავად უბოძებს მათვე, რომლებიც თვლიან, რომ თვით უძღვნიან!

იუდეველნი ფიქრობენ, რომ სისხლით, ცმელით და ყოვლადდასაწველთა მიერ აღსრულდება მსხვერპლშეწირვა და რომ ამგვარი ძღვენი თაყვანისცემაა უფლისა; ამიტომაც, ვგონებ, არაფრით განირჩევიან მათგან, რომლებიც ყრუ კერპთა მიმართ ავლენენ მსგავს პატივდებას; თუკი, ერთი მხრივ, კერპებს სწირავენ, რომლებსაც არ ძალუძთ ამგვარ პატივთან ზიარება, მეორე მხრივ, მას უძღვნიან, ვისაც არაფერი არ ეჭირვება.

იუდეველთა სიფრთხილე საჭმელთა გამო, აგრეთვე შაბათისადმი მათი რწმენა, წინადაცვეთის ნიშნით ქადილი, მარხვისა და ახალმთვარის შესახებ მათეული წარმოსახვანი საჯაილოა მხოლოდ და სათქმელად არ ღირს. როგორ არ არის ურჯულოება, ქმნილებათა შორის, რაც კი ადამიანებს შეუქმნა ღმერთმა, რომ ერგო მათგან, ერთნი მიიღო, ვითარცა კეთილად ქმნილნი, სხვა კი უარყო, როგორც ზედმეტი და უსარგებლო? როგორ არ არის უღვთოება ფიქრი იმისა, რომ კრძალავს ღმერთი კეთილის ქმნას შაბათისათვის? როგორ არ არის დაცინვის ღირსი, ვინც სხეულის დაკლებულ ნაწილს რჩეულობის ნიშნად მიიჩნევს[4], ისე თითქოს ამგვარნი პირნი გამორჩევით უყვარდეს უფალს? ნუთუ ვინმე ღვთისმსახურებად ჩათვლის (თუ არა უმალ უგუნურების სახედ) მათ მცდელობას, რომ ვარსკვლავებსა და მთვარეზე თვალის დევნებით თვეთა და დღეთა შესახებ დაკვირვებანი აწარმოონ, შემდეგ კი ღვთის განგებანი და ჟამთა ცვლანი სურვილისამებრ განაწესონ დღესასწაულებად და გლოვის დღეებად.

ვფიქრობ, საკმაოდ გაუწყე იმის შესახებ, რომ მართებულად უარყოფენ ქრისტიანები როგორც საერთოდ ყოველგვარ ფუჭ საქმესა და ცთომილებას, ასევე იუდეველთა ცნობისმოყვარეობასა და ამპარტავნებას. თვით ქრისტიანთა ღვთისმსახურების საიდუმლო კი კაცთაგან არ ისწავლება; ნურც შენ მოელი.

ქრისტიანები არც საცხოვრებელი ადგილით, არც მეტყველებით, არც ჩვეულებებით არ განირჩევიან სხვათაგან. ისინი არც სადმე კერძო ქალაქებში სახლობენ, არც სხვა ენაზე მეტყველებენ, არც რაღაც უჩვეულო ცხოვრების წესს მისდევენ, თუმცა მათი მოძღვრება ცნობისმოყვარე კაცთა გონებისა და გულმოდგინების ნაყოფი როდია! არცთუ ადამიანურ სწავლებებს იმარხავენ ისინი ზოგთა მსგავსად.

ქრისტიანები ელინთა ქალაქებშიც მკვიდრობენ და ბარბაროსთა შორისაც, შესაბამისად თითოეულის წილხვედრისა. ადგილობრივ ჩვეულებებსაც იცავენ ისინი ტანსაცმლით, ყოფით, მთელი დანარჩენი ცხოვრებით, თუმცა, ამასთან ერთად, მოქალაქეობის საკვირველ და ჭეშმარიტად უჩვეულო წესსაც აცხადებენ: თითქოს საკუთარ მამულებში მკვიდრობენ, მაგრამ მკვიდრობენ, როგორც უცხონი. მოქალაქეთა მსგავსად ერთვებიან ყოველ საქმეში, მაგრამ დაითმენენ ყოველივეს, როგორც სტუმარნი. ყოველგვარი უდაბურება მამულია მათი და ყოველი მამული — უდაბურება. იქორწინებენ, როგორც სხვები, შვილებსაც შობენ, თუმცა შობილთ უპატრონოდ როდი ტოვებენ. ტრაპეზს ზიარად დააგებენ, მაგრამ არათუ-სარეცელსაც. ხორციელნი არიან, თუმცა ხორცის მიხედვით არ ცხოვრობენ. მიწაზე მკვიდრობენ, მაგრამ ცასა შინა მოქალაქეობენ. არ ეურჩებიან დადგენილ კანონებს, მაგრამ მათივე ცხოვრების წესით იმარჯვებენ კანონებზე. უყვართ ყველანი და ყველასაგან იდევნებიან; შეურაცხყოფენ მათ, სჯიან და კლავენ, ისინი კი ცხოველდებიან; გლახაკნი არიან და მრავალს განამდიდრებენ. ყველაფერი აკლიათ და უხვად აქვთ ყოველივე; უპატიო-ყოფენ მათ და უპატიობათა წიაღ იდიდებიენ; ბრალს დებენ მათ და ისინი მართლდებიან; აძაგებენ, ისინი კი აკურთხებენ; შეურაცხყოფენ, ისინი კი პატივს მიაგებენ; კეთილს იქმან და ისჯებიან, როგორც ბოროტნი, დასჯილნი კი იხარებენ, ვით ცხოველქმნილნი. უცხოტომელთა მსგავსად ებრძვიან მათ იუდეველნი, ელინები კი დევნიან, თუმცა მიზეზად მტრობისა მოძულენი ვერას ამბობენ.

მარტივად რომ ვთქვათ, რაც არის სული სხეულში, ქრისტიანებიც იგივე არიან ამ სამყაროში და როგორც სული განეფინება სხეულის-ნაწილთა შორის, ასევე ქრისტიანებიც — ქვეყნიერების ქალაქებში. სული თუმცა ხორცში მკვიდრობს,

არ არის ხორცისაგან, ქრისტიანებიც თუმცა ამქვეყნად სახლობენ, ამქვეყნისანი არ არიან. უხილავია სული, ხილულ სხეულში შეკრძალული; ქრისტიანებიც თუმცა ამქვეყნად იმყოფებიან, უხილავად ჰგიეს მათმიერი ღვთისმსახურება, სძაგს სული ხორცს და ებრძვის მას, თუმცა ვერაფერს აკლებს, რადგანაც სული სიამეთაგან განაკრძალებს თავს. ქრისტიანებიც სძაგს ქვეყნიერებას, მაგრამ ვნებას ვერ მოაწევს მათზე, რადგანაც ისინიც განუდგებიან სიამეებს. უყვარს სულს მისი მოძულე სხეული და სხეულის ნაწილები. ქრისტიანებსაც უყვართ მათი მოძულეები; დახშულია სული სხეულში, მაგრამ სწორედ სული შეამტკიცებს იმავე სხეულს; ქრისტიანებიც პყრობილნი არიან ამ სამყაროში, როგორც ციხეში, მაგრამ სწორედ მათ უპყრიათ ეს სამყარო. უკვდავი სული მოკვდავ კარავში მკვიდრობს; ქრისტიანებიც მოკვდავთა შორის სახლობენ, მაგრამ ცათა შინა უკვდავებას მოელიან. საჭმელ-სასმელს მოკლებული სული აღორძინდება, ქრისტიანებიც, რომლებიც დღემუდამ იგვემებიან, მეტად და მეტად მრავლდებიან. ასეთი ხვედრი განაწესა მათთვის უფალმა, რისგან განდგომაც არ ეგების.

როგორც უკვე ვთქვი, არათუ ამქვეყნიური რამ მოძღვრება გადაეცათ მათ, არათუ იმას იღვწიან ისინი, რომ კვდომადი აზრები დაიმარხონ, არათუ კაცობრივ საიდუმლოთა განგებულებას ერწმუნებიან; თავად ყოვლისმპყრობელმა, ყოვლის შემოქმედმა და უხილავმა ღმერთმა, თავად მან, ცათაგან დააფუძნა კაცთა შორის ჭეშმარიტება — წმიდა და გონებით აღუქმელი სიტყვა; მათ გულებში დაამტკიცა მან იგი. არა ისე, როგორც შეიძლება იფიქროს ზოგმა, თითქოს კაცთათვის მოავლინა მან ვინმე მსახური, ან ანგელოზი ან არქონტი ანთუ ერთერთი გამგებელი ქვეყნიერებისა ანდა თუნდაც ვინმე ისეთი, ვისაც ერწმუნა ცათა შინა განმგებლობა, არამედ ის მოავლინა, ვინც თავად არის ყოველივეს შემოქმედი და დამბადებელი, რომლის მიერაც ცანი შექმნა მან, რომლის მიერაც ზღვა მოქცია თავის საზღვრებში; ის მოავლინა, ვისი საიდუმლონიც საიმედოდ დამარხულია ყველა სტიქიონში, ვისი ძალითაც იცავს მზე საზომს დღეთა სანგრძლივობისა, ვინც უბრძანა მთვარეს ღამით ამოსვლა, ვისაც ჰმორჩილებენ ვარსკვლავნი, მთვარის სრბოლას მიდევნებულნი, ვინც განაწესებს, განსაზღვრავს და განაგებს ყოველივეს: ცას და ცის წიაღს, მიწას და იმას, რაც მიწაშია,

ზღვას და ზღვის სიღრმეს, ცეცხლს, ჰაერს, უფსკრულს, — ყოველივეს მაღალთა შინა, სიღრმეებში და მათ შორისაც.

ეს მოავლინა მან კაცთა შორის, თუმცა არა იმიტომ (შეიძლება ასეც იფიქრონ) თითქოს მძლავრებას ანდა ვინმესათვის შიშისა თუ ძრწოლის მოგვრას განიზრახავდა, არამედ — მხოლოდ მოწყალებისა და სიმდაბლის გამო. მან, თვით მეუფემ, მოავლინა ძე თავისი, როგორც მეუფე; მოავლინა, როგორც ღმერთი, როგორც კაცი კაცთა შორის; მოავლინა როგორც მხსნელი; გვარწმუნებს მისგან მოვლენილი, არათუ გვმძლავრობს, რადგანაც მძლავრება უცხოა ღვთისათვის; მოგვივლინა თავისი ძე, რომ გვიწოდოს მან, არათუ გვდევნოს; მოგვივლინა, რომ გვიყვაროს, არათუ გვსაჯოს; ხოლო მოავლენს მას მსაჯულადაც და ვინ იქნება, რომ იტვირთოს მისი ამგვარი მოვლინება[5]?..

მსეცებს მიუგდეს ისინი, რომ უარეყოთ უფალი, მაგრამ ვერ სძლიეს. ნუთუ ვერ ამჩნევ, რაც უფრო მეტად ტანჯავენ მათ, უფრო და უფრო მრავლდებიან? ამგვარი საქმენი კაცთაგან როდი ხდება. ღვთის ძლიერებაა ყოველივე ეს და ნიშნებია მისი მოვლინებისა.

განა საერთოდ იცოდა ვინმემ, რა არის ღმერთი, ვიდრე მის მოსვლამდე? ან იქნებ ღირსადსარწმუნო ფილოსოფოსთა ცარიელი და ფუჭი სიტყვები გესათნოება, რომელთაგან ზოგი ცეცხლს ამბობს ღმერთად (სწორედ იმას უწოდებენ ღმერთს, რაშიც მოელით მათ შესვლა), ზოგი წყალს, სხვა კიდევ სხვა სტიქიონს, თუმცა ესენი თავად არიან ღვთისაგან ქმნილნი. თუ სარწმუნოა რომელიმე ამ სიტყვათაგან, შეიძლებოდა მსგავსადვე ღმერთად დაგვესახა ყველა ქმნილება. მაგრამ ეს ყოველივე ზმანებაა და ცთომილება მსახვრალთა. კაცთაგან არავის უხილავს ღმერთი, არცთუ შეუცვნია იგი. თვით გააცხადა თავისი თავი დაგააცხადა სარწმუნოების წიაღ, რადგანაც მხოლოდ ამ გზით შეიძლება მისი ხილვა[6]. უფალი ღმერთი, შემოქმედი ყოველთა, რომელმაც შექმნა ყოველივე და მწყობრად შეაწყო, არა მარტოდენ კაცთმოყვარე გვექმნა ჩვენ, არამედ სულგრძელიც. ამგვარი იყო იგი მარადჟამს; არის და იქნება კიდეც ყოველთვის კეთილი და ქველი, ურისხველი და ჭეშმარიტი. მხოლოდ იგია ჭეშმარიტად სახიერი; ამიტომაც განიზ-

რახა მან ზრახვა დიადი, ენით უთქმელი, რაც მარტოოდენ ძეს გაანდო. და ვიდრე იგი საიდუმლოდ იცავდა და იმარხავდა თავის ბრძნულ ზრახვას, ისე ჩანდა, თითქოს არად მივაჩნდით, თითქოს არას ზრუნავდა ჩვენთვის, მაგრამ როდესაც საყვარელი ძის მიერ გაგვიცხადა და საჩინო-გვიყო დასაბამიდან განზრახული, ერთობლივად მოგვმადლა ყოველივე: ვეზიარეთ მის ქველ საქმეებს, ვიხილეთ კიდეც და შევიმეცნეთ. ვინ ელოდა ამას ჩვენგანი? მან კი უწყოდა განგებულად ყოველივე მის ძესთან ერთად.

ბოლო ჟამამდე გვადროვა ღმერთმა, რომ ნებისამებრ მივყოლოდით უწესო ვნებებს, გულისთქმასა და სიტკბოებას მივცემოდით, თუმცა არათუ იხარებდა ჩვენი ცოდვებით, არამედ დაითმენდა, არათუ სათნო-უჩნდა ჩვენეული უსამართლობა, არამედ ჰბადებდა სიმართლის გონებას, რომ იმჟამინდელ საქმეთა გამო მხილებულნი და არაღირსნი ცხოვრებისა აწ ღვთის წყალობით ვღირსებოდით იმავ ცხოვრებას, რო მ ჩვენ, რომლებსაც თვით ჩვენივე უძლურება მოგვაკლებდა ღვთის სასუფეველს, აწ ღვთის შეწევნით ძალმოსილება შეგვძინა. რაჟამს ბოლომდე აღვასრულეთ უსამართლობა, რაჟამს სრულიად ცხადი გახდა, რომ დავისჯებით და მოგვეგება ცოდვის გამო, რომ სიკვდილია ჩვენს წინაშე, მაშინ დრო დადგა, ის დრო, რომელიც წინდაწინვე განსაზღვრა ღმერთმა, რომ ამიერიდან გამოეცალა მას წყალობა და ძალი თვისი.

ზეჰარბი კაცთმოყვარეობისა და სიყვარულის გამო არ მოგვიძაგა, არ განგვაგდო უფალმა ჩვენ, არ მოიხსენა უკეთურება ჩვენი, არამედ სულგრძელობით დაითმინა ყოველივე და ჩვენი ხსნისათვის განსცა ძე თვისი, ურჯულოთათვის — წმიდა, ბოროტთათვის — უბოროტო, უსამართლოთათვის — სამართლიანი, ხრწნადთათვის — უხრწნელი, მოკვდავთათვის — უკვდავი. სხვას რას შეეძლო დაეფარა ჩვენი ცოდვები, თუ არა მის სიმართლეს? ვისგან შეგვეძლო ჩვენ, უღვთოებსა და ურჯულოებს, შეგვეძინა განმართლება, თუ არა ოდენ ძე ღვთისას მიერ? ჰოდ, უტკბესო ნაცვალგებავ! ჰოდ, მიუწვდომელო დაბადებავ! ჰოდ, უჩვეულო ქველისსაქმენო! რამეთუ მრავალთა ურჯულოება ერთმა მართალმა დაიფარა და იმ ერთის სიმართლემ მრავალი ურჯულო განამართლა. წინარე ოროში ის ცხადყო ღმერ-

თქმა, რომ უძლურია ჩვენი ბუნება. თვით მიწვდეს ცხოვრებას. აწ კი მანვე მაცხოვარი გამოგვიჩინა, რომელსაც ძალუძს იხსნას უძლური. ორივე მჴრივ ის სურდა უფალს, რომ გვერწმუნა მისი სიკეთე და შეგვერაცხა იგი მზრდელად, მამად და მოძღვრად, თანამზრახველად და მკურნალად ჩვენდა, აგრეთვე, გონებად, სინათლედ, პატივად, დიდებად, ძალად, ცხოვრებად, რომ არ გვეზრუნა სამოსისა თუ საზრდელისათვის.

თუ ამგვარ რწმენას დაეშურები და შეიწყნარებ, უპირველესად შეიცნობ მამას; რადგანაც ღმერთმა შეიყვარა კაცნი და შეუქმნა მათ სამყარო, მათვე დაუმორჩილა ყოველივე ამქვეყნიური, მიანიჭა მათ მეტყველება და გონიერება, მხოლოდ ისინი ღირს-ყო მისდა საკვრეტად, შექმნა ისინი საკუთარი ხატისაგან[7], მოუვლინა მათ ძე თვისი მხოლოდშობილი და აღუთქვა ცათა შინა სასუფეველი, რასაც მიმადლებს მის მოყვარულებს.

შეიცან, რაოდენი სიხარულით უნდა აღივსო, რაოდენ უნდა შეიყვარო უფალი შენი, ვინც უწინარეს აგრერიგად შეგიყვარა შენ. თუ შეიყვარებ, მის სიკეთესაც უნდა აბაძო. ნუ გაიკვირვებ, ვით ძალუძს კაცს ღვთისადმი ბაძვა. თუკი ინებებს, ძალუძს კიდეც[8]! არათუ ის არის სიკეთე, რომ მოყვასს მძლავრობდე. ანდა გსურდეს, ჰმეტობდე უძლურს, ან სიმდიდრეს ეშურებოდე ანდა გლახაკთ აჭირვებდე. ამ გზით ვერავინ გახდება მბაძველი ღვთისა. ეს ყოველივე ვერ ეთვისება მის სიდიადეს.

როდესაც ვინმე მოყვასის ტვირთსაც თვით იტვირთებს და შეეცდება, რომ მასზე უძლურს თვისი ძალით კეთილი ექმნას, როდესაც იგი ღვთისგან ბოძებულს გლახაკთ განუყოფს და მათთვის ღმერთად გამოჩნდება, ასეთი ვინმე მართლაც არის მბაძველი ღვთისა. და შენც, როდესაც ჭეშმარიტად შეიმეცნებ ციურ ცხოვრებას, ზმანებულ სიკვდილს არად შერაცხავ, ხოლო შიში გექნება ჭეშმარიტისა, რაც დაეწინდათ საუკუნო ცეცხლში დასჯილებს (ცეცხლი კი ყველას სრულად დასჯის, ვინც მასში შევა), მაშინ იხილავ მიწაზე მყოფი, რომ ღმერთი მოქალაქეობს ცათა შინა, მაშინ შენც იწყებ ღვთის საიდუმლოთა გამოთქმას, შეიყვარებ და თაყვანსცემ ყველას, ვინც არ ინება სასჯელის შიშით ღვთის უარყოფა, მაშინ შენც დაგმობ

საწუთროს მზაკვრობასა და ცთომილებას და გაგაოცებს იმათი სიმხნე, ვინც დაითმინა ცეცხლში დაწვა სიმართლისათვის; ნეტარყოფ მათ, რაჟამს შეიცნობ სხვა ცეცხლის ძალას.

არა ვქადაგებ რაიმე უცხოს, არც უგუნურად ვეძიებ რასმე, არამედ რადგანაც მოწაფე ვიქმენ მოციქულთა, ვარ მოძღვარი ხალხთა. რაც გადმომეცა, გადავცემ იმათ, რომლებიც ღირსეულად დაემოწაფნენ ჭეშმარიტებას. ვინც მართლსწავლება მიიღო და სათაყვანო სიტყვისაგან იშვა, იმას ეძიებს, რომ ცხადად შეიცნოს ყოველივე, რაც თავად სიტყვამ გაუმჟღავნა მის მოწაფეებს. დაუფარავად ეტყოდა მათ და აუწყებდა ყოველივეს ცხადქმნილი სიტყვა, რაც ვერ შეიცნეს ურწმუნოებმა, მოწაფეებს კი განემარტათ. ვინც ის ირწმუნა, შეიცნო კიდეც საიდუმლონი მამისა; მოგვივლინა მამამ სიტყვა, რომ სოფელს გაცხადებოდა იგი. ეს სიტყვა ხალხმა შეურაცხყო, მაგრამ მოციქულებმა იქადაგეს მის შესახებ და წარმართებმა ირწმუნეს იგი. დასაბამიდან იყო სიტყვა, აწ კი გამოჩნდა, როგორც ახალი; ჟამიერ-იქმნა... მარად ახალი იშვება წმიდათა გულებში, ვინც მუდამ იყო, დღეს კი ძედ შეირაცხა, ვინც განამდიდრებს ეკლესიას.

მადლი ივრცობა და მრავლდება წმიდათა შორის, რომლებსაც მისგან ენიჭებათ გონება და უმჟღავნდებათ საიდუმლონი. ეგევე მადლი აუწყებს მათ ჟამთა შესახებ, განიხარებს მორწმუნეთათვის, მიემადლება მაძიებლებს, თუ არ გადავლენ ისინი რწმენის საზღვრებს და თუ მამათა განჩინებებს არ დაარღვევენ.

'შემდეგ', მოშიშება რჯულისა იგალობება, წინასწარმეტყველთა მადლი ცნაურდება, სახარებათა სარწმუნოება მკვიდრდება, მოციქულთა გადმოცემა კანონდება და ეკლესიათა მადლი იხარებს[10]. თუ ამ მადლს არ შეაურვებ, შეიცნობ იმას, რასაც სიტყვა გვიქადაგებს, ვისგანაც ნებავს, როდესაც ნებავს. ამავე სიტყვის ნებითა და ბრძანებით გემეტყველებით და რაც გვეუწყა, სიყვარულით თქვენც გაზიარებთ. წადიერად ისმინეთ და შეიწყნარეთ, და შეიცანით, თუ რაოდენს მიმადლებს ღმერთი, რომლებსაც წრფელად უყვართ იგი. სწორედ ისინი არიან „სამოთხე ფუფუნებისა", რამეთუ ყოვლადნაყოფიერ, კეთილყვავილოვან ხეს აღმოაცენებენ თავის თავში და მრავალფერი

ხილით გამშვენდებიან. ასეთ ადგილზე იზრდება ხე ცნობადისა კეთილისა და ბოროტისა და ხე ცხოვრებისა (შდრ. შესაქმე, 11. 17). ხოლო არათუ „ცნობადობა“ ანუ „ცოდნა“ წარწყმედს, არამედ- — ურჩება. ნათლად ამბობს წერილი, რომ ღმერთმა დასაბამიდან სამოთხის შუაში დანერგა ხე ცნობადისა და ხე ცხოვრებისა; ამით „ცოდნისმიერი“ „ცხოვრება“ ცხადყო მან, რაც არაწმინდად იგემეს პირველმშობლებმა. ამიტომაც, გველისაგან ცთუნებულნი, გაშიშვლდნენ; არ არსებობს „ცხოვრება“ „ცოდნის“ გარეშე და არ არსებობს უცთომელი „ცოდნა“ ჭეშმარიტი „ცხოვრების“ გარეშე. სწორედ ამ მიზეზით იყო ორივე ხე გვერდიგვერდ დანერგილი. ყოველივე ეს განჭვრიტა მოციქულმა, როდესაც გაკიცხა იმგვარი „ცოდნა“, რომელიც ჭეშმარიტების მცნების გარეშე ესწრაფვის „ცხოვრებას“. ასე თქვა მან: „ცოდნა განალაღებს, სიყვარული კი აღაშენებს“ (1 კორ. 8. 1). ვინც თვლის, რომ ჭეშმარიტი და ცხოვრებით შეწამებული ცოდნის გარეშე იცის რამე, ვერ შეუცვნია, რომ გველისაგან არის ცთუნებული, რადგანაც არ უყვარს მას „ცხოვრება“. ხოლო თუკი ვინმე მოშიშებით ეძიებს „ცოდნას“ და ცხოვრებას ესწრაფვის, სასოებაზე ემყნობა იგი და ნაყოფს მოელის. დაე, შენი გული იყოს შენივე „ცოდნა“, ხოლო სიტყვა ჭეშმარიტი, რომელიც უნდა შეიწყნარო, „ცხოვრებად“ გექმნეს. იტვირთე ძელი მისი და ეტრფიალე მის ნაყოფს; დღემუდამ მოისთველე ის, რაც საღვთოდ სასურველია, რასაც გველი ვერ შეეხება, რის ფერსაც ცოდვა ვერ მიიღებს, რისგანაც ევა არ გაიხრწნება, რაც მოგვანიჭებს რწმენას ქალწულისადმი და გაგვიცხადებს მაცხოვარებას, რაც განაბრძნობს მოციქულებს, რაც უწინამძღვრებს უფლის აღდგომას, შემოკრებს ქოროს და განამშვენებს მას სამკაულით, რაც მოძღვრავს წმინდანთ და იხარებს თვითვე, რომლის მიერ ვადიდებთ მამას. დიდება მისდა, უკუნისამდე, ამინ!

კომენტარები

1. „ღვთისმოშიშება“ — „დეისიდაიმონია“. ხსენებული ბერძნული სიტყვა, ჩვეულებრივ, განიმარტება, როგორც „შიში ღვთისა“, ხოლო უარყოფითი აზრით, „ცრურწმენა“ („დეიდო“, — შეშინია; „დაიმონიონ“ — ღვთიურობა). რამდენადაც ბერძნული სიტყვა „დაიმონ“, რომელიც ანტიკურ პერიოდში „ღმერთს“ ნიშნავდა, ქრისტიანულ ხანაში „დემო-

ნის“, „ცრუ ღმერთის“, „ეშმაკის“ აღმნიშვნელად გარდაიქმნება, ამდენად, ზემომოტანილი კომპოზიტიც მსგავსი შინაარსით იტვირთება. ძველი ქართული მთარგმნელები მას, ჩვეულებრივ, თარგმნიან, როგორც „მრჩობლეშმაკეული“ (როგორც ჩანს კომპოზიტის პირველი წევრი „დეისი“ გაუიგივეს სიტყვას „დეოისი“, რაც „ორის“ აღმნიშვნელი ბერძნული სიტყვის მიცემითი ბრუნვაა მრ. რ-ისა).

2. „წრფელი სიყვარული“ — „ფილოსტორგია“. ხსენებული სიტყვა, ჩვეულებრივ, განიმარტება, როგორც ფაქიზი, სათუთი სიყვარული, რაც მშობლიურობის განცდას შეიცავს (მაგ. სიყვარული დედისადმი, შვილისადმი, სამშობლოსადმი).
3. შდრ. პგ. II, სვ. 1160.
4. იგულისხმება წინადაცვეთა, რასაც ებრაელები გამორჩეულობის ნიშნად თვლიდნენ.
5. აქ ტექსტს აკლია. მომდევნო ნაწილიდან ჩანს, რომ ავტორი ქადაგებს მარტვილთათვის.
6. თვალსაზრისი იმის შესახებ, რომ ღმერთი ყველასაგან უხილავია და მისტიკური განცდის ჟამს მხოლოდ სარწმუნოებით შეიძლება მისი წვდომა, განსაკუთრებით მკაფიოდ გამოთქვა წმ. გრიგოლ ნოსელმა: „როდესაც დავცილდი მთელ შესაქმეს, როდესაც განვეცალე ყოველივე ის, რაც ქმნილია და შემეცნების ყოველგვარი გზა მივატოვე, მაშინ სარწმუნოებით ვპოვე საყვარელი ჩემი“ შდრ. ძველი ქართული თარგმანი: „ჟამს დაუტევენ ყოველნი დაბადებულნი და თანაწარეჰკენ ყოველთა აგებულებათა და ყოველთა უხილავთა და ხილულთა არსებათა და ყოველივე მისაწდომელად საგონებელი გამოძიებად დაუტევე, სარწმუნოებისა მიერ ვპოვე საყუარელი იგი“ (საქართველოს ეკლესიის კალენდარი, თბ., 1989, გვ. 258.
7. შდრ. „ეკ ტეს იდიას ეიკონოს ეპლასე“; რამდენადმე სხვაგვარია ლათინური თარგმანი: „ად იმაგინემ სუამ ფორმაეიტ“ („რომლებიც თავისი ხატის მიმართ გამოსახა“).
8. შესაბამისი ბერძნული ტექსტი „დიუნატაი, თელონტოს აუტუ“ შეიძლება ორგვარად გავიგოთ: „შემძლებელია (კაცი), როდესაც ინებებს (ღმერთი)“ და „შემძლებელია (კაცი), როდესაც ინებებს (თვით კაცი)“.
9. იგულისხმება ქრისტიანობაში წვდომის მომდევნო საფეხური
10. „იხარებს“ — „სკირტა“ ბერძნული სიტყვა პირდაპირი აზრით ნიშნავს „ხლდომას“, გადატანით კი (აღნიშნულ კონტექსტში) „სიხარულით აღტაცებას“.

ძველი ბერძნულიდან თარგმნა, წინათქმა და
კომენტარები დაურთო ედიშერ ჭელიძემ.

ჰერმესი

მოციქულთა შემდეგ ქრისტიანთაგან მცირედი თუ შეეცდებოდა ხოლმე საკუთარი რწმენის წერილობით გადმოცემას. მათ შორის ბევრი უბრალო, ღატაკი ხალხი იყო და ქრისტეს სწავლებას ისინი კაცობრივი სიბრძნისა და გონიერების წყალობით როდი სწვდებოდნენ, არამედ სული წმიდის ძალით. თავად მოციქულებიც, მხოლოდ განსაკუთრებული შემთხვევის გამო თუ დაწერდნენ ხოლმე რაიმეს. და მაინც, ჩვენამდე მოაღწია ადრექრისტეანული ხანის მოღვაწეების ნაშრომებმა, რომლებიც ძველი და ახალი აღთქმის ყველაზე უფრო ავტორიტეტულ კომენტარებად დარჩა.

ამასთან, წმ. მამები საღმრთო წერილის განმარტებით როდი იფარგლებოდნენ. მათ ნაწერებში ლაპარაკია ქრისტეანულ რწმენაზე, დოგმატებზე, ქრისტეანული ცხოვრების სიძნელეებზე, ნაჩვენებია უშეცდომო გზა ცხონებისა — სინანული. ჰერმესის წიგნიც სწორედ ასეთი ხასიათისაა. წიგნის ავტორი მოციქულთა მოწაფედაა მიჩნეული. არსებობს მოსაზრება, რომ იგი სწორედ ის ჰერმესი უნდა იყოს, რომელსაც პავლე მოციქული იხსენიებს (რომ. 16, 14). ეს მხოლოდ ვარაუდებია, უეჭველი ცნობები კი მისი ვინაობის შესახებ არაა მოპოვებული. დანამდვილებით ერთი რამის თქმა შეიძლება მხოლოდ, რომ ავტორი ამ წიგნისა პატიოსანი და ღმრთის მოშიში კაცი ყოფილა (ეს ყოველივე მის ნაწერებში ნათლად ჩანს), რომელიც დაუნდობელი დევნის ჟამსაც ქრისტეს ერთგული დარჩა.

მისი ნაწერები სამ წიგნადაა წარმოდგენილი: „ჩვენებები", „მცნებები" და „იგავები". იგი გახლავთ აპოკრიფული ხასიათის ერთგვარი აპოკალიფსისი. ავტორი მოგვითხრობს იმ ჩვენებების შესახებ, რომლებიც მას თავად ჰქონია რომში. ჩანს, რომ ეს ნაწერები დიდი ავტორიტეტით სარგებლობდა; ერთ დროს იგი „ახალი აღთქმის" წიგნებს შორისაც ირიცხე-

ბოდა, ეთიოპიაში კი იგი დღემდე ახალი აღთქმის ერთერთ წიგნად ითვლება.

ჰერმესის წიგნები ლათინურ ენაზე დაიწერა; თარგმანი, რომელსაც ჩვენ ახლა გთავაზობთ, გადმოღებულია რუსული ენიდან[1]. ამჯერად გთავაზობთ პირველ წიგნს — „ჩვენებებს“.

---

[1] Антология. Ранние Отцы Церкви. Брюссель, 1988, გვ. 165—252. სადაც გამეორებით დაიბეჭდა მღვდელ პეტრე პრეობრაჟენსკის თარგმანის 1895 წლის გამოცემა.

ჰერმესი

„მწყემსი“ წიგნი I

ჩვენებები

ხილვა პირველი

რომის მახლობლად მზრდიდნენ. იქვე ერთი გოგონაც იყო. კარგა ხნის მერე შევხვდი, ვიცანი, დასავით მიყვარდა. გამოხდა ხანი და ვნახე ისევ, მდინარე ტიბრში ბანაობდა. ხელი შევაშველე, ამოვიყვანე წყლიდან. ვიფიქრე: „რა ბედნიერი ვიქნებოდი ასეთი ლამაზი სახისა და ზნის ცოლი რომ მყოლოდა-მეთქი“. ეს იყო და ეს, ამაზე შორს ფიქრი არ წამსვლია. გადიოდა დრო და მე კვლავ იგივე გულისთქმა დამყვებოდა თან. ერთხელ, გზად მიმავალი, ვაქებდი უფლის შესაქმეს და ვფიქრობდი: რა ბრწყინვალე და დიდებულია-მეთქი იგი. სეირნობისას, ჩამეძინა. სულმა ამიტაცა და ძეხორციელი რომ თავისით ვერასგზით ვერ გაივლიდა, ისეთი ადგილებისაკენ წამიღო. კლდოვანი იყო იქაურობა, გაუვალი და ღვარჭნილი ბილიკებით დასერილი. გავიარე ეს ადგილი, გავივაკე. სწორ ადგილას, სალოცავად მოვიყარე მუხლი, საკუთარი ცოდვების აღსარებას მოვყევი. სწორედ ამ დროს, ლოცვისას, ცა გაიხსნა და ის ქალი გამოჩნდა, ამდენ ხანს ჩემად რომ ვნატრობდი. მომესალმა ქალი ციდან და მითხრა: „გამარჯობათ, ჰერმეს“. შევხედე და ვკითხე: „ქალბატონო, აქ რას აკეთებთ-მეთქი?“ „შენი ცოდვების მხილება მსურს ღვთის წინაშე, აქ იმიტომ მოვედიო“. — „ქალბატონო, განა რა შეგცოდეთ-მეთქი“,—„მე არაო, მითხრა, მაგრამ ცათა შინა მყოფი უფალი, რომელმაც არაფრისაგან წმინდა ეკლესიას ქვეყნიერება მისცა და გაუმრავლა, გრისხავს, რამეთუ სცოდე წინაშე ჩემსა“. „ქალბატონო, როდის და რით შეგცოდე რა მოვიქმოდე შენი საწინააღმდეგო. განა თაყვანს არა გცემდი, როგორც ქალბატონს, აკი დად მიმაჩნდი-მეთქი, მუდამ“. გაეღიმა ამის გაგონებაზე და მითხრა: „შენს გულში არაწმინდა გულის-თქმა გაჩნდა. განა არ იცი, მართალ კაცს უხიაგი აზრიც კი უმსგავსო საქციელის ტოლზე მოეკითხება. მართალი კაცისათვის ძვირი ფიქრიც კი მძიმე

ცოდვაა, რადგან მართალი კაცი, მართალსა და სწორზე ფიქრობს მუდამ. და როცა ჭეშმარიტზე ზრუნავს და გულმოდგინედ მიისწრაფვის მისკენ, უფლისაგან ენიჭება მადლი ყოველსა საქმესა ზედა. ხოლო, არაწმიდა სურვილებით გულდამძიმებულთ, სიკვდილი და საუკუნო ტყვეობა ელით. ეს განსაკუთრებით ეხება იმ ხალხს, რომელნიც ძლიერად შეემსჭვალნენ ამ სოფელს. წარმავალ სიმდიდრეში განცხრომილთ დაავიწყდათ სიკეთენი მომავლისა, საუკუნო ცხოვრებისა. და დაინთქმება მათი სულები მარადიულ ცეცხლში: ეს ორგულთა ცხოვრების ნირია. არ გააჩნიათ მათ სასოება უფლისა, უდებებასა და დაუდევრობაში ილევა ცხოვრება მათი. შენ კი, ეეედრე უფალს, ის დაგხსნის ცოდვებს შენაც და სახლეულთა შენთაც და ყოველთა წმიდათა".

2. დაასრულა ეს სიტყვები და კიდეც დაიხურა ცის კაბადონი. ღრმა წუხილითა და შიშით დავრჩი მოცული. ჩემთვის ვფიქრობდი: „ეს მცირედიც თუ ცოდვად შემერაცხა, იმ უამრავ ცოდვებს რა ვუყო, რით ვიცხოვნო სული, როგორ ეეედრო უფალს, რა პირით ვთხოვო მოწყალება შენდობისა". ამ ფიქრში ვიყავი, რომ უცებ, ჩემს წინ, თოვლივით თეთრი მერხი დაეშვა. მერე ქალი მოვიდა ბრწყინვალე ტანსაცმლით მოსილი, წიგნი ჰქონდა ხელთ. დაჯდა, მომესალმა. „გამარჯობა, ჰერმეს". ცრემლსავსემ და შეპირვებულმა ვუპასუხე: გამარჯობა-მეთქი, დედოფალო". „რა დაგემართა, ჰერმეს, რა იქნა შენი სიმშვიდე, ზომიერება და მხიარულება". ვუპასუხე: „დედოფალო, ერთმა მშვენიერმა ქალმა, თითქოსდა შემეცოდოს მის წინაშე რაიმე, ისე გამკიცხა-მეთქი". მითხრა: „გულში ხომ გაგიჩნდაო იმ ქალის სურვილი — ღვთის მონას კი ასეთი რამ არ შეჰფერის. მათ ასეთი აზრიც კი, ცოდვად ერაცხებათ. არაწმიდა ფიქრი უცხო უნდა იყოს ღვთის მონისათვის. სუფთა გულს უჯერო გულისთქმა არ უნდა შეეპაროს. მით უმეტეს, შენ, ჰერმეს. რაკი გაემიჯნე ყველა ცოდვიან სურვილს და მოიპოვე უმანკოება დიდებული და სრული უბრალოება".

3. „ისე კი. უფალი, საკუთრივ შენი ცოდვებისათვის კი არ გრისხავს, არამედ შენთა სახლეულთა გამო. რომელთაც არაწმინდებით შეურაცხყვეს უფალი და მშობელნი თვისნი. შენ შვილების სიყვარულმა გძლია. დროზე არ იტვირთე მათი

ძხილება და სწორედ ამით შეუწყვე ხელი მათ უფრო და უფრო გარყვნას. ძლიერ დაცემას. ამის გამო გრისხავს უფალი. ამ ცოდვების გამო ხარ სწორედ ამსოფლიურ საქმეებში გახლართული, დამძიმებული. მაგრამ შეგეწევათ უფალი და შეგენდობა ყველა ცოდვა, რომელიც კი ქმნილა აქამომდე შენს ჭერქვეშ. გიხსნათ ღვთის მოწყალებამ შენ და სახლეულნიც შენნი, შეგინარჩუნა დიდება სულიერი. მოიკრიბე სულგრძელობა. შფოთისა და ყოყმანის გარეშე, ესწრაფე შენთა სახლეულთა განმტკიცებას. იხსენებდე მჭედელს, რომელიც მანამ არ გაუშვებს ხელიდან ჩაქუჩს, სანამ თავისას არ გამოკვერავს, მოუღალავია მარჯვენა მისი. შენაც მის დარად, თავდაუზოგავად მოძღვრე შვილები შენი. დღენიადაგ, მოუწყინებლად ჩანერგილი ჭეშმარიტი სიტყვის წინაშე უძლურია ბოროტი. წინასწარ ხედავს უფალი: გულით შეინანებენ სახლეულნი შენნი საკუთარ ცოდვებს. ჩაიწერება მათი სახელები ცხოვრების წიგნში[1].

დაასრულა ეს სიტყვები და მკითხა: „გსურს იმის მოსმენა, რასაც წავიკითხავ?“ „მსურს-მეთქი, დედოფალო“. „რაკი ასეა, მისმინე-ო“. გაშალა წიგნი, დაიწყო დიდებული, განმაცვიფრებელი კითხვა. წაკითხულის დატევნა ჩემს მეხსიერებას არ ძალუძდა, რამეთუ ყოველი სიტყვა შემაძრწუნებელი იყო, მათი ხსომება გათანგავდა კაცს. თუმცა, სულ ბოლო სიტყვები, ცოტა იყო, თანაც ნუგეშის მომგვრელი და ამიტომ დამამახსოვრდა კიდეც: „აი, უფალი ძალთა, რომელმაც უხილავი ძალითა და დიდებული გონით შექმნა სამყარო. თავისი დიდებული ნებით კეთილქმნა არსება ყოველი. თავისივე ყოვლადძლიერი სიტყვით დაამტკიცა ცა, ხმელი დააფუძნა წყალზე, თავისივე ყოვლისმომცველი ძალით დაადგინა ეკლესია, აკურთხა იგი და იგივე ძალა შეუცვლის ნირს ცასა და მთას, კლდესა და ზღვას და გასწორდება ყოველი რჩეულთათვის, რათა აღესრულოს აღთქმა, რომელიც ბრწყინვალე დიდებაში მისცა მან თვისთა რჩეულთ, თუკი ისინი შეუვალი სარწმუნოებით ყოფენ ცნებებს, რომელიც მიეცათ უფლისაგან“.

IV. კითხვას რომ მორჩა, წამოდგა მერხიდან. ოთხი ჭაბუკი

---

1 იხ. ფილ. 4, 3. აპოკ. 20—15.

მოვიდა. მერხი აღმოსავლეთისაკენ წაიღეს. თავისთან მომიხმო, მომიახლოვდა, და მკითხა: „მოგეწონაო ჩემი წაკითხული?“ — „დედოფალო, სულ ბოლო სიტყვები მომეწონა, წინა კი, საშიში და შემაძრწუნებელი იყო-მეთქი“. მითხრა: „ბოლო სიტყვები ღირსეულთ ეხებათ, პირველი კი — განდგომილთა და წარმართ“, ჯერ კიდევ ვსაუბრობდით, რომ უცებ ორი კაცი გამოგვეცხადა. მხრებზე შეისვეს იგი და იმ აღმოსავლეთისაკენ წარასხნეს. მხიარული მცილდებოდა, დამშვიდობებისას მითხრა: „განმტკიცდიო, ჰერმეს“.

ხილვა მეოთხე

1. გასულ წელს რომ ჩვენება ვიხილე, დაახლოებით ის დრო იყო. სეირნობისას გამახსენდა წინა გამოცხადება, კვლავ ამიტაცა სულმა და სწორედ იმ ადგილას მიმიყვანა, სადაც ადრე მომეცა ხილვა. მივაღწიე თუ არა იმ ადგილს, მუხლი მოვიყარე ლოცვად: ვადიდებდი და ვმადლობდი უფალს, ჩემი ცოდვების წარმოჩინებისათვის. ლოცვა რომ დავასრულე, კვლავ ის მოხუცი ქალი ვიხილე, უწინ რომ მეჩვენა, სეირნობდა და რაღაც წიგნს კითხულობდა. უცებ მომმართა: „შეგიძლია ღვთის რჩეულთ აუწყოო მოსმენილი?“ ვუპასუხე: „დედოფალო, ბევრს ვერ დავიხსომებ, მათხოვე წიგნი და გადავიწერ-მეთქი“. „აიღე და დამიბრუნეო უკან“. გამოვართვი წიგნი. განვმარტოვდი. ასო-ასო ვიწერდი ყველაფერს, რადგან ამოკითხულის აზრი სრულიად გაუგებარი იყო. წერას მოვრჩი თუ არა, თავისთავად წამერთვა წიგნი, ვისგან თუ რისგან, არ ვიცი.

15 დღიანი მარხვისა და ლოცვის შემდეგ გამიხსნა უფალმა გადაწერილის აზრი. აი, ამოკითხულის შინაარსი: „ჰერმეს, უფალს განუდგნენ შენი შვილები, გმობდნენ მას. ამასთან, საშინელი უღმრთობა ჩაიდინეს: საკუთარი მშობლები დაახმინეს: ამით მათ დედ-მამის მიმცემთა სახელი დაიდგინეს: მშობელთა ღალატი არ იკმარეს. ამ ცოდვას აღვირახსნილი ბილწიერება შემატეს და აღივსო მათი ცოდვათა საწყაული უღმრთოებითა და უსამართლობით.

მაგრამ განუცხადე ეს სიტყვები შვილებსა და ცოლს შენ-

სას, (რომელიც ჯერ არს გახდეს დაი შენი. მას ჯერაც ვერ მოუთოკავს ენა და ამიტომაა „პირმან მისმან განამრავლა უკეთურება“[1]...) მას მერე როც აუწყებ მას სიტყვებს, რომლის განცხადებაც უფალმა შენთვის მიბრძანა, მოეგება ცოლი შენი კეთილგონიერებას, დაიმუირავს ენას თვისას და მიემადლება შეწყალება. ცოდვათა შენდობა ეწევა არა მარტო სახლეულთა შენთა, არამედ ყოველთა წმიდანთა, აქამომდე ცხორებულთა. თუკი ისინი მთელი გულით შეინანებენ საკუთარ ცოდვებს და თუკი მოიკვეთენ უნდობლობას უფლისა მიმართ, გულსა შინა თვისთა.

ამიტომაც აუწყე ეკლესიის წინამძღვართ, რომ განუხრელად ემსახურონ სიმართლეს, თუ სურთ სრულყოფილი დიდების მიღწევა. მართლის მოქმედთაც მოგეთხოვებათ სიმტკიცე და ერთგულება, თუკი გსურთ წმიდა ანგელოსთა თანადგომა. ნეტარ არიან, რომელთა დაითმინონ საშინელი დევნა საკუთარი სიცოცხლის ფასად, რამეთუ იფიცა უფალმა ძეი თვისი სანატრელი: უარმყოფელნი ღვთისა, დაუსრულებელ სატანჯველს განიმზადებენო მომავალში. ეს სიტყვები განსაკუთრებით ეხებათ მათ, რომელნიც მომავალში განუდგებიან უფალს. აქამომდე შეცდენილთ, უფალმა თავისი დიდი წყალობა, შენდობა მიჰმადლა“.

3. „შენაც დაივიწყე, ჰერმეს, ცოდვანი სახლეულთა შენთა. ნუ მიატოვებ დას შენსას. იზრუნე მათი გამოსწორებისათვის: ამოძირკვე მათში უწინდელი უსჯულოებანი. ეს რომ შეძლო თავად შენ, ნამდვილად აღარ უნდა გქონდეს გულში სახლეულთა შენთა მიმართ წყრომა და ხსოვნა მათი ადრინდელი ცოდვებისა. ასეთნაირად გაწმენდილი გულიდან გამოსული შენი სწორი რჩევა, საკმარისია მათი მოქცევისათვის. ავის ხსომება — სიკვდილს შობს, სრული დავიწყება მისი — სიცოცხლეს მარადიულს. შენთა სახლეულთა ცოდვების გამო, აკი შენც ბევრი ამქვეყნიური სიმწარე გერგო, ჰერმეს, რადგან თვითონ შენ, ნაკლებად აქცევდი მათ ცოდვებს ყურადღებას და უსარგებლო დაწესებულების საქმეებს მიეცი თავი, მაგრამ შენ, გაცხოვნებს უფალი, რამეთუ თავად არ განუდექი ღმერთს. თუ ბოლომდე შეინარჩუნებ შენს უბრალოებასა და შენივე საოცარ უნარს — საცდურისაგან კრძალვისას, მა-

თი მეშვეობით ცხონდები სწორედ. და არა მარტო შენ, ყველა, ვინაც კი შეიძლებს ამ სათნოებათა შორის განმტკიცებას, ცხონდება. სიწმინდესა და უბრალოებაში მოარულნი სძლევენ ყოველგვარ ბოროტებას, მოიპოვებენ მარადიულ ცხოვრებას. ნეტარ იყვნენ სიმართლის მყოფელნი... არ ეწევათ მათ წარწყმედა უკუნისამდე. ვიცი, მეტყვი: წინ დიდი დევნაა მოსალოდნელი. თუ გაშინებს მომავალი, უარ-მყავუფალი ყოველთვის მიხედავს მსასოებელთა და მძებნელთა მისთა“.

4. ძილში, ძმებო, მშვენიერი ჭაბუკი გამომეცხადა და მითხრა: „როგორ გგონია, ვინ იყო ის მოხუცი ქალი, წიგნი რომ მოგცაო?“ — სივილა-მეთქი — ვუპასუხე. „ცდები, ის სივილა არ ყოფილაო“ — მითხრა. „აბა ვინ იყო-მეთქი, ბატონო“ — „უფლის ეკლესიის სახეაო იგი“. „მოხუცი რატომ იყო-მეთქი?“ — ვკითხე. „ვიდრე შექმნამდე ხილულისა და უხილავისა (იგი უკვე არსებობდა, ამიტომაცაო ხანდაზმული, სწორედ მისთვის შეიქმნა სოფელი“. ამის შემდეგ საკუთარ სახლში ვიხილე ჩვენება, კვლავ ის მოხუცი ქალი მოვიდა და მკითხა: „თუ მიეცით ის წიგნი ეკლესიის წინამძღოლთ?“ — „არა-მეთქი, ჯერ“ — „კარგი გიქნია, კიდევ რამოდენიმე სიტყვის დამატება მსურს, როცა მოვრჩები ჩემს სათქმელს, დაე, შენგან ეუწყოს სიტყვები ჩემი რჩეულთა ჩემთა. ერში კი მათ მიერ განცხადდეს სიტყვები ესე. ორი წიგნი უნდა დაწერო. ერთს კლიმენტოს მისცემ, მეორეს — გრაპტეს. პირველი მათ გარე ქალაქებში გაავრცელებს, რადგან ეს მასზეა მინდობილი; გრაპტე ობლებსა და ქვრივებს დამოძღვრის. შენ კი, ამ ქალაქში, ეკლესიის მსახურთა შორის აუწყე ეს სიტყვები ერს“.

ხილვა მესამე

ღიდხანს ვლოცულობდი და ვეევედრებოდი უფალს, გაეხსნა ჩემთვის ის იდუმალი, რომლის განცხადებაც მან იგივე მოხუცი ქალის მეშვეობით აღმითქვა და ერთხელაც ძმებო, ასეთი ჩვენება მომეცა, მოხუცი ქალი გამომეცხადა ღამით და მითხრა: „რაკი ასე გსურს ყველაფრის ცოდნა, იმავ მინდორზე და-

ახლოებით ექვსი საათისათვის მოდიო. გეჩვენები და გაუწყებ იმდენს, რამდენიც საკმარისია შენთვის". ვკითხე: „რომელ მინდორზე მოვიდე-მეთქი?" „სადაც გსურსო, — მითხრა. გუნებაში ერთი მშვენიერი ადგილი ამოვარჩიე და ის იყო უნდა მეთქვა, რომ „მანდ მოვალ, რახან ასე გსურსო" — მითხრა. ხოდა, ასე ძმებო, წავედი დათქმულ ადგილას, დავინიშნე საათი. მიველი, რას ვხედავ? სავარძელი არ დგას იმ ადგილზე? ზედ სელის ბალიში დევს, ზემოდან ზეწარი ჰქონდა საჩრდილობელად გადაჭიმული. შევძრწუნდი. მარტო ვარ, ირგვლივ არავინაა, თმები ყალყზე დამიდგა. გონს რომ მოვეგე, დავწყნარდი, ღვთის მოწყალება მოვიწამე, გავმხნევდი, მუხლი მოვიყარე და მაშინდელივით, პატიება ვთხოვე უფალს შეცოდებისათვის. ლოცვისას მობრძანდა მოხუცი ქალი იმ მშვენიერ ექვს ჭაბუკთან ერთად, უწინაც რომ ახლდნენ; უკან დამიდგა, ასე ისმენდა ჩემს ლოცვასა და აღსარებას. მერე შემეხო და მითხრა: „ღმერთს მხოლოდ ცოდვების შენდობას ნუ ევედრები. თხოვე უფალს, გაგიმჟღავნოს სიმართლე მისი იდუმალი, რათა მისი ნაწილი მაინც ერგოს ნუგეშად სახლეულთა შენთა".

წამომაყენა, ხელი მომკიდა, სავარძელთან რომ მიმიყვანა, ჭაბუკებს უთხრა: „წადით, აშენეთო". ჭაბუკების განშორების შემდეგ მარტონი დავრჩით და „აქ დაჯექი-ო" — მითხრა. „დედოფალო, ჯერ ხუცესნი დასხდნენ-მეთქი", რომ გეუბნები, დაჯექი-ო — მითხრა. და როცა მის გვერდით, მარჯვენა მხარეს დაჯდომა მოვინდომე, არ დამანება, ხელით მანიშნა, მარცხნივ დამიჯექიო. დავფიქრდი, დავნაღვლიანდი, რაკი მარჯვენა მხარეს დაჯდომის უფლება არ მომეცა. „ჰერმეს, რას ჩაფიქრდი — მითხრა, მარჯვენა ადგილი მათთვისაა განკუთვნილი, ვინაც უკვე ეწამა ღვთის სიყვარულისათვის და შესწირა უფალს მსხვერპლად ღვაწლი კეთილი. მათთან ერთად ყოფნას ჯერ არ იმსახურებ. ბევრი გიკლია. მაგრამ თუ შეინარჩუნებ შენს ამჟამინდელ უბრალოებას. შენცა და ყველა დანარჩენთ, რომელნიც ეაგრძელებენ საქმეთა მათთა და დაითმენენ იმდენს. რამდენიც მათ დაითმინეს. მოგეცემათ მათთან თანადგომის ნება".

7. ვკითხე; დედოფალო, გამაგებინე, ასეთი რა დაითმინეს-მეთქი. მისმინეო, — მითხრა: „მძვინვარება ნადირთა, უმოწყა-

ლო გვემა, სატუსაღოები ბნელი — ასეთი ჯვრები დაითმინეს მისი სახელით. ამიტომაც მიეგოთ მათ მარჯვენა მხარე და არა მარტო მათ, ყველას, ვინც იგივეს უფლის სახელით დაითმენს, ეწევა წყალობა მარჯვნივ დგომისა. ისე კი, ყველას, მარჯვნივ და მარცხნივ მდგომარეთაც, ერთიდაიგივე მადლი და დიდება აქვთ ღვთისგან მინიჭებული. ეგაა, ოღონდ, მარჯვენა მხარეს მდგომთ, მეტი პატივი აქვთ ღვთის წინაშე. შენაც მათთან თანადგომის სურვილი გაქვს, მაგრამ ჯერ კიდევ ბევრი სისუსტე გაქვს დასაძლევი. ცხოვრებას მერმის მის საუკუნისასა, შენცა და ყველა მისი გულით მაძიებელი, ცოდვათაგან განთავისუფლებული უნდა შეხვდეს, განიწმინდეთ თავნი თქვენნი" ეს მითხრა და წასვლა დააპირა, ფეხებში ჩავუვარდი, ვეევედრებოდი, ღვთის გულისათვის, მიჩვენე-მეთქი, ხილვა აღთქმული. ისევ წამომაყენა, ხელი მომკიდა, მარცხენა მხარეს, სკამზე დამისვა, რაღაც საოცრად ელვარე კვერთხი აღმართა და მკითხა: — თუ ხედავო, იმ დიდ ნაგებობას? ვერა-მეთქი, დედოფალო. „ნუთუ ვერ ხედავ, შენს წინ წყალზე, კოშკი რომ შენდება, ელვარე ოთხკუთხედი ქვებით? მერე მართლაც დავინახე ოთხკუთხედის მსგავსი კოშკი შენდებოდა. კოშკს სწორედ ის ექვსი ჭაბუკი აგებდა მოსვლისას მას რომ თან ახლდნენ. სხვებს, ათასობით კაცი იქნებოდა, ქვები მოჰქონდათ: ზოგიერთებს წყლის ფსკერიდან ამოჰქონდათ ქვები, სხვები ჭაბუკებს მიწიდან აღებულ ქვებს აწვდიდნენ. ექვსი ჭაბუკი კი მათი მოწოდებული ქვებით აგრძელებდა მუშაობას. წყლის ფსკერიდან ამოღებულ ქვებს პირდაპირ სვამდნენ კოშკის კედელში, რადგან თითოეული მათგანის ზედაპირი თანაბრად იყო გადასწორებულ-გადათლილი ისინი მიწიდან მოტანილ ქვებსაც კარგად ერგებოდნენ, იმდენად კარგად, რომ მათი გვერდი-გვერდ შეწყობისას, შეერთების კვალის დანახვაც ჭირდა, ქვათა სხვადასხვაობა შეუმჩნეველი რჩებოდა. ასე რომ, ერთი შეხედვით, კოშკი დიდი ერთი მთლიანი ქვით ნაგებსა ჰგავდა. დანარჩენ ქვებს, მიწიდან აღებულს, ზოგს კოშკის ახლოს აწყობდნენ ზოგს მოშორებით, ნაწილს პირდაპირ კოშკის კედელს უდებდნენ. სხვებს კი დახეთქავდნენ, დაჭრიდნენ და კოშკიდან შორ მანძილზე ისროდნენ. ნაწილს, ნაგებობის

ახლოს დალაგებულ ქვებიდან, არ ატანდნენ კოშკის კედელს, რადგან ზოგიერთი მათგანი ხორკლიანი იყო, ნაწილი დაბზარული, სხვა კი მრგვალი, უწახნაგო, ბაცი ფერისა და ამდენად ნაგებობისათვს უსარგებლო და შეუფერებელიც. კოშკიდან შორს მოსროლილი ქვები შარაზე მიგორავდნენ, ზოგი უდაბურ ადგილას ვარდებოდა, ზოგი ცეცხლში ცვივოდა და იწვოდა, ზოგიც წყლის ნაპირს მიღწეული, ამაოდ ცდილობდა წყალში მოხვედრას".

3. მიჩვენა ეს მოხუცმა ქალმა და წასვლასაც დაეპირა. ვუთხარი: დედოფალო, რა აზრი აქვს ყველაფერ ამის ნახვას, თუკი არ მეცოდინება აზრი და მნიშვნელობა ამ მშენებლობისა-მეთქი? მითხრა: „დიდი ცნობისმოყვარე კაცი კი ყოფილხარ, თუკი ამ კოშკის მნიშვნელობის გაგებაც მართლა გსურსო?" — სწორედ, რომ ასეა-მეთქი, დედოფალო, მინდა ვიცოდე ყველაფერი და იგივე მსურს ვაუწყო ძმათ ჩემთა, რათა ერთობით ვაქოთ და ვადიდოთ უფალი. მითხრა: „მოსმენით და გაგებით ბევრი გაიგებს, ეგაა, ოღონდ, გამგონეთ შორის ნაწილს თუ ეწევა სიხარული, დანარჩენები გლოვას მიეცემიან. თუმცა ამ უკანასკნელთაც მიეგებათ სიხარული, თუკი ამ სიტყვების მოსმენის შემდეგ მაინც შეიძლებენ გულითად სინანულს. ახლა მისმინე, კოშკის მნიშვნელობას გაგიმარტავ, გაგიმჟღავნებ დაფარულს, ოღონდ გამოცხადებების თხოვნით, ნულარ შემაწყენ. გამოცხადებებსაც თავისი ზღვარი აქვთ, რამეთუ განსრულდა ჟამი მათი. შენ კი შენსას არ იშლი და დაჟინებით ითხოვ ჩვენებებს. მაშ ასე, ის კოშკი, ახლა რომ შენდება, თავად მე, ეკლესია ვარ. ახლაც და უწინაც მე გეცხადებოდი. მკითხე, რისი გაგებაც გსურს კოშკის შესახებ, გაგიხსნი დაფარულს, რათა შენაც განიხარო წმინდათა შორის. დედოფალო, რადგან მხოლოდ ამ ერთხელ მეძლევა წყალობა გამოცხადებისა, მაშინ გამიმჟღავნე-მეთქი საიდუმლონი კოშკისა. „თუკი გულით მიენდობი უფალს და ყველაფრისა მიუხედავად არ შეუორგულდები მას, შენი წილი რამდენიც კმა არს შენდა, სრულად გაგეხსნება". ვკითხე: წყალზე რატომაა-მეთქი, კოშკი დაშენებული? მითხრა: „უწინამც მითქვამს ცნობისმოყვარე ხარ-მეთქი, სიმართლეს კი გულმოდგინედ ეძიებ. მოიძიე ჭეშმარიტება და ჰპოვებ მას. ახლა მო-

მისმინე და გეტყვი. რატომაც შენდება კოშკი წყალზე: წყალში მიენიჭა და ენიჭება კაცობრიობას წყალობა ხსნისა[1]. კოშკი კი, ყოვლადძლიერის სიტყვამ დაამტკიცა, უხილავად იცავს მას ძალი ღმრთისა".

4. „საკვირველ არს საქმენი მისნი" — მივუგე პასუხად და იქვე ვკითხე: დედოფალო, ის ექვსი ჭაბუკი ვინ იყო, კოშკს რომ აშენებდნენ-მეთქი? — „ისინი ღვთის პირველქმნილი ანგელოზები არიან, რომელთაც უფალმა მიანდო შესაქმე თვისი, რათა მათ განამრავლონ, კეთილქმნან და მართონ შესაქმე მისი. მათი მეშვეობითვე დასრულდება კოშკის მშენებლობაც". ის სხვები ვინღა არიან, ქვებს რომ ეზიდებიან-მეთქი? — „ისინიც უფლის წმიდა ანგელოზები არიან. მაგრამ პირველნი მათზე მაღლა დგანან. მშენებლობის განსრულებისას, კოშკის მახლობლად შეიყრებიან ყველანი, გამართავენ ლიტანიობას, ქებას შეასხამენ უფალს კოშკის განსრულებისათვის". ვუთხარი: მსურს ვიცოდე რა განსხვავებაა ქვებს შორის და როგორია-მეთქი, მნიშვნელობა მათი. „ხალხია, შენზე მაღლა მდგომი და ღირსეული. აი ისინი იმსახურებენ ამ საიდუმლოს გახსნას, მაგრამ შენ, რომელიც არაფრით აღემატები მათ, შენაც კი გეძლევა ეს განცხადება. გეძლევა ორი რამის გამო: რათა განითქვას სახელი უფლისა და ორგულთა გამო, აკი მათ გულს ჯერაც ღრღნის ეჭვი იმის გამო, მართლა არსებობს თუ არა აქაურობა[2]? აუწყე მათ, რომ ჭეშმარიტია ეს ყველაფერი, რომ არაფერია ამაში ცრუ და გამოგონილი, რომ კლდესავით მტკიცე და ძლიერია სამყოფელი ესე".

5. „ახლა იმ ქვებზე გიამბობ, ნაგებობისათვის რომ იყენებენ ღა მისმინე. ოთხკუთხედი, თეთრი, ლამაზად გათლილი მიწიდან აღებული ქვები სახეა მოციქულთა, მოძღვართა და დიაკონთა. აწ განსვენებულთა და დღესდღეობით ცხონებულთა, რომელთაც წმინდად დაიცვეს მცნებები ღვთისა, გამოიძიეს სჯული მისი და განისწავლნენ მასში. (წმინდად, უზადოდ ემსახურებოდნენ ისინი ღვთის რჩეულთ, სრული მშვიდობა და მორ-

---

[1] იგულისხმება ნათლისღების საიდუმლოება.
[2] აქაურობა, იგულისხმება — სასუფეველი.

ჩილება სუფევდა მათში. კოშკის კედელსაც ამიტომ შეეწყვნენ ქვები მოხდენილად). წყლის სიღრმიდან ამოღებული ქვები, რომლებიც ასევე კარგად შეეწყვნენ მიწიდან მოკრეფილთ, უკვე კედელში დატანებულ ქვებს, სახეა გარდაცელილ, ღვთის სახელით წამებულ მარტვილთა". — დედოფალო, და სხვა ქვები, ასევე მიწიდან მოკრეფილი, ისინი რაღას ნიშნავენ-მეთქი? — „კოშკის საძირკველს დაყოლებული ქვები სახეა იმ ხალხისა, რომელთაც სიმართლითა და ღვთის ცნებების აღსრულებაში განვლეს სოფელი ესე. ხოლო ნაგებობის კედელს დატანებული ქვები, ახლად და მტკიცედმოქცეული ხალხთა სახეა. ანგელოზებს ედარებიან ისინი სულიერი სათნოებით, აღარ იპოვება მათ შორის ზრახვა ავი" — და ის ქვები, კოშკს ახლოს, გარშემო რომ შემოუწყვეს-მეთქი? — „ეს ქვები იმ ხალხის სახეა, რომელთაც სცოდეს წინაშე უფლისა, მაგრამ ახლა ეძიებენ სინანულს. შესაძლოა მათ შეიძინონ სინანული წრფელი, რის შედეგადაც მიენიჭებათ კოშკის კედელში მოხვედრის ღირსება, ამიტომაც შემოუწყვეს ისინი კოშკს ახლოს. სინანულის მაძიებელთ უნდა ახსოვდეთ, რომ გულისხმიერი და დროული უნდა იყოს სინანული მათი. კოშკის განსრულებამდე უნდა მოიპოვონ მათ ასეთი სინანული. სხვანაირად, კოშკის კედელში, როგორ მოხვდებიან? გვიანი სინანულით ვერ დაიმკვიდრებენ ადგილს კოშკის კედელში, მის სიახლოვეს თუ ეწყობიან მხოლოდ".

6. შორს მოსროლილ, დახეთქილ-დაპობილი ქვების მნიშვნელობის გაგებაც გსურსო? — მსურს-მეთქი, დედოფალო. „ისინი არიან ძენი უსჯულოებისანი. თვალისასახვევად იწამეს უფალი და არ განეშორნენ მრავალგვარ სახეს უღმრთოებისას. მათ კოშკის კედელში ადგილი არ მიეცემათ, მათივე უსამართლობის გამო და არ ეწევათ წყალობა ხსნისა. ამიტომაც დაიპენ ისინი. ღვთის რისხვამ გადაკარგა სახე მათი, რამეთუ შეურაცხყვეს მათ უფალი. ხოლო ის მრავალ ხორკლიანი ქვა, გვერდზე გადაწყობილი და ნაგებობისათვის უხმარი, სახეა იმ ხალხისა, რომელთაც იგემეს, შეიმეცნეს ჭეშმარიტება და არ ჰყვეს რჯული ღვთისა ზრახვად ცხოვრებისა თვისისა[1] და

---

[1] ფს. 118, 77.

არ არიან ნაწილი წმინდათა: უსარგებლოა არსება მათი. დაბზარული ქვები კი სახეა იმ ხალხისა, რომელთაც ერთმანეთის მტერობითა და ღვარძლით აივსეს გული, არ იპოება სიმშვიდე მათ შორის. შეიყრებიან ერთად, მოიძიებენ მშვიდობას; გაყრილთ, კვლავ ბოროტებითა და სიძულვილით ევსებათ გული. მოკლე ნატეხებად ქცეული ქვები სახეა იმ ხალხისა, რომელთაც იწამეს უფალი, მაგრამ ვერ განეშორნენ უღმრთოებათა თვისთა. დარღვეულია მათში მთლიანობა სათნოებისა. აკი ამიტომაც არიან ასე მოკლე ნატეხებად ქცეულნი". — „ის მრგვალი, უწახნაგო და ბაცი ფერის ქვები, კომკის კედელს არდატანებული რაღას ნიშნავს-მეთქი? „როდემდე უნდა იყო ასეთი უგულისხმო, როდის შეიგნებ შენით? მე როდემდე უნდა მეკითხებოდე? ესაა სახე მორწმუნე ხალხისა, რომელნიც აღივსნენ ამქვეყნიური სიმდიდრით, უზრუნველობითა და ფუფუნებით. დევნის ჟამს ისინი განუდგებიან უფალს, ამსოფლიურ საუნჯეთა გამო". „ოდესმე მაინც თუ იქცევიან-მეთქი ისინი ღვთისათვის სასურველი?" „როცა მოიკვეთენ საკუთარ სიმდიდრეს, რომელიც მათ ამაო სიძლიერედ და სიმშვიდედ ეჭცათ, აი მაშინ გახდებიან ღვთის შენობისათვის შესაფერნი. მრავალი ქვა, თავისით ვერ იქცევა ოთხკუთხედად, თუ არ გათალე და არ დააწახნაგე. ასევე მდიდარი, საკუთარი სიმდიდრის მოუკვეთლად, უსარგებლო და უხმარი მონაა ღვთისათვის. ეს ყველაზე კარგად, პირველ რიგში, შენ უნდა გეესმოდეს. სანამ მდიდარი იყავ, აკი შენაც უსარგებლო იყავ უფლისათვის. ახლა კი ხარ ღვთის წინაშე მონა სახმარ და სარგებელ. ადრე კი, შენაც სწორედ მაგ ქვათა რიცხვში ერიეო. და ბოლოს ქვები, გახსოვს, გზაზე რომ მიგორავდნენ და უდაბურ ადგილას ცვივოდნენ, სახეა ადამიანთა, რომელთაც იწამესო თითქოს ჭეშმარიტება, მაგრამ ეჭვმა და ორჭოფობამ სძლიათ, ჭეშმარიტს, უკეთესი გზის მოძიების იმედით განუდგნენ. ამ უდაბურ გზაზე სიარულია მათი ცთომისა და განსაცდელში მოხვედრის მიზეზი. ცეცხლში მოხვედრილი და დამწვარი ქვები კი ის ხალხია, რომელიც მთლიანად განუდგა ცხოველ ღმერთს და საბოლოოდ დაკარგა ცნობა და

ხსოვნა მისი. აზრადაც აღარ მოსდით სინანული, მონად გაუხდნენ საკუთარ გულისთქმებსა და ვნებებს".

„ის ქვები, წყლის ნაპირს მიღწეულნი, ასე რომ ცდილობდნენ-მეთქი წყალში მოხვედრას?"—„ეს ის ხალხია, რომელთაც ისმინეს სიტყვანი ჭეშმარიტებისანი და წმინდა ნათლის ღებაც კი მოისურვეს. მათ აქვთ ხსომება და ცოდნა წმიდა მცნებებისა და მაინც ბილწ გულისთქმათა ნებას მისდევენ". ამით დაამთავრა მან კოშკის მნიშვნელობის ახსნა-განმარტება.

8. ის იყო შეკითხვებს მოვრჩი, რომ თვითონ მითხრა: „სხვა რამის ხილვა არ გინდაო?" — რასაკვირველია, მინდოდა, თანაც ისე ძლიერ, რომ ეს სურვილი სახეზეც გამომეხატა. შემხედა, გაეღიმა და მითხრა: „ხედავ კოშკის გარშემო შვიდ ქალს?" ვხედავ-მეთქი, დედოფალო. „ეს კოშკი, ღვთის ნებით, ამ ქალების მეშვეობითაა განმტკიცებული. მისმინე, თითოეული მათგანის შესახებ გიამბობ: პირველს, ხელებით რომ უჭირავს ეკლესია, რწმენა ჰქვია. ღვთის რჩეულნი, მისი ძალით ცხონდებიან. მეორეს, მხნეობაშემოსულს, კოშკს რომაა გარსშემოვლებული, კრძალულება ჰქვია. იგი რწმენის ქალიშვილია. ნეტარ არს კაცი კრძალული და მომარხულე, რამეთუ იგი ყველა ავი საქმისაგან მოიზღუდავს თავს, იმ რწმენითა და სასოებით, რომ აქ, ბოროტი ზრახვისაგან განდგომილს სამუდამო სამყოფელში მიეგება წილი კეთილი". დანარჩენი ხუთი ქალბატონი ვინღაა-მეთქი? „ერთიმეორეს შვილები არიან: ერთს უბრალოება ჰქვია, მეორეს უბიწოება, მესამეს სიმდაბლე, მეოთხეს გონიერება, მეხუთეს — სიყვარული. პირველ რიგში მათი დედის კვალს უნდა მიჰყვე, მხოლოდ ასე თუ შეიძლებ მისი ქალიშვილების გზით სიარულს". დედოფალო, რა ძალა აქვს თითოეულ მათგანს, ეგეც მინდა ვიცოდე-მეთქი. მისმინეო, მითხრა. „ძალა თანაბარი აქვთ. მათი შობაც ერთიმეორის მიყოლებით მოხდა. ამიტომაა, ერთმანეთს მისდევენ და მჭიდროდ არიან შეკავშირებულნი. ასე რომ, რწმენა შობს კრძალულებასა და უბრალოებას, უბრალოება — უბიწოებას, უბიწოება — სიმდაბლეს, სიმდაბლე — გონიერებას, გონიერება — სიყვარულს. უმანკო, წმიდა და ღირსეულია საქმენი მათნი. ვინც მოიკრეფს ძალას და აღასრულებს საქმეთა მათთა, ღვთის კოშკში, წმინდათათანა მიეცემა სავანე". ეკითხე:

განა არ განსრულდა-მეთქი ჟამი, კოშკის შენებისა? „უგუნურო ადამიანო, ხმამაღლა წამოიძახა. — განა ვერ ხედავ, ჯერ კიდევ რომ მიმდინარეობს კოშკის მშენებლობა? როდესაც დამთავრდება მისი შენება, აი, მაშინ დადგება ჟამი აღსასრულისა. ეს ჟამი კი მალე მოიწევა. ამის მეტი აღარაფერი მკითხო. შენთვის და ყველა წმინდანისთვისაც, სულის გასამხნევებლად და მთშვრის შესახსენებლად, ესეც კმარა. და კიდევ მხოლოდ შენთვის, შენი სულისათვის კი არ მოგეცა ეს განცხადება, არამედ იმისათვის, რომ ნანახი ყველას აუწყო. ამასთან ერთად, ჰერმეს, იმას, რასაც ახლა გეტყვი, კარგად შეიგნე და გაიაზრე. სამი დღის შემდეგ ჩემი ნათქვამი უნდა მიაწვდინო ყველა წმინდანის გულისყურს, რათა ამ სიტყვების შემდეგ, შენცა და ისინიც განიწმინდოთ ყველანაირი არაწმინდებისაგან.

9. „მისმინეთ შვილნო. მე ღვთის წყალობით ჭეშმარიტ უბრალოება ,უმანკოებასა და სიწმინდეში გზრდიდით. მანვე აწვიმა თქვენზე, განსაწმენდელად თქვენთა, სიმრთელე თვისი, რათა აღარ იპოებოდეს თქვენს შორის არანაირი უღმრთოება და სიბილწე. მისმინეთ და ჰყავთ მშვიდობა ურთიერთშორის, მიხედეთ და გაამხნევეთ ერთმანეთი, ღვთის მოცემულს მხოლოდ სათავისოდ ნუ იხმართ, უხვად მიაგებეთ შეჭირვებულს, ზოგიერთი ნაყოვანებითა და ნამეტნაობით ვნებს სხეულს, ასუსტებს და წარაგებს ძალას მისას. ზოგის სხეულს კი უსახსრობა და საზრდელის უქონლობა განლევსა და ასუსტებს. ვაი, იმ მდიდართა წინდაუხედაობას, რომელნიც ვერ მიმხვდარან შეჭირვებულთა განკითხვას, მოწყალების გაღებას. გაიხსენეთ სამსჯავრო მომავალი! თქვენ, რომელთაც გარდაგმეტებიათ ქონება, დროით კოშკის დამთავრებამდე უნდა მოიძიოთ შემშეულნი და წყალობის მთხოვნელნი. რამეთუ კოშკის განსრულების შემდეგ, მოისურვებთ წყალობის გაღებას და გვიანი იქნება. აღარ შეიწირება საქმენნი თქვენნი. გაფრთხილდით, ნამეტნაობით განდიდებულნო, გაიღეთ საუნჯენი თქვენნი შეჭირვებულთათვის, რამეთუ არგანკითხულთა გოდებას უფალი ისმენს. არ შეგენდობათ უმოწყალობა, არ გეღირსებათ ხილვა კოშკისა. ახლა კი, თქვენ, ეკლესიის წინამძღვართ მოგმართავთ: ნუ ემსგავსებით მწამლავთა, რომელთაც საცავად შხამისა თვისისა რაიმე ჭურჭელი უჩნთ, თქვენ კი საკუთარი გუ-

ლი გიქცევიათ ჭურად შხამისა და არა ცდილობთ მათ განწმენ-
ღას. მხოლოდ სუფთა გულს ძალუძს მიახლება დიდ მეუფისა,
ასეთ გულს ენიჭება წყალობა ღმრთისა. ამ გზიდან განდგომა,
საუკუნო გზის დაკარგვას უდრის, გაფრთხილდით, შვილნო!
ან როგორ უნდა შეიძლოთ თქვენ აღზრდა ღვთის რჩეულთა,
თუკი თავად არა ხართ განსწავლულნი! გულისხმა-ჰყავთ მცნე-
ბანი ჩემნი და ყავთ მშვიდობა შორის თქვენსა. რათა სიხარუ-
ლით ვეჩვენო მამას თქვენსას, შევიძლო ღვთის წინაშე,
თქვენთა საქმეთა გამო, გება პასუხისა".

10. ჩემთან საუბარს მორჩა და კოშკს რომ აგებდნენ, ის
ჭაბუკები მოვიდნენ. ორმა იგი წაიყვანა კოშკისაკენ. დანარჩენ-
მა ოთხმა, სავარძელი წაიღო, კოშკის მიმართულებით წა-
ვიღნენ. ჭაბუკთა სახეებს ვერ ვხედავდი, ზურგით იყვნენ.
განშორებისას კიდევ ვთხოვე მოხუც ქალს: ისიც მითხარი,
სამჯერ, სხვადასხვა სახით რატომ მეჩვენეთ-მეთქი?" მაგის პა-
სუხი სხვამ უნდა მოგცესო", — მითხრა, მისი სამი სახით
ჩვენება კი, ასეთი იყო ძმებო, პირველი ჩვენებისას, შარშან,
ძალიან მოხუცად მეჩვენა, სკამზე იჯდა. მეორე ჩვენებისას
სახე ახალგაზრდისა ჰქონდა, სხეული და თმები მოხუცისა.
ფეხზე იდგა, ისე მესაუბრებოდა, თუმცა პირველზე უფრო
მხიარულად გამოიყურებოდა. მესამედ კი, სრულიად ახალ-
გაზრდული, მშვენებასავე სახით მეჩვენა, თუმცა თმა ჭა-
ღარა ჰქონდა. სკამზე იჯდა, სიხარულით მოსილი. ვერ ამეხ-
სნა ნანახის მნიშვნელობა, ვდარდობდი ძლიერ, სანამ ასეთი
ჩვენება არ ვიხილე. სიზმარში კვლავ ის მოხუცი ქალი მეჩვენა
და მითხრა: „ლოცვას მუდამ სიმდაბლე უნდა ახლდესო. თან
იმარხულე, აგისრულებსო უფალი გულის წადილს". ერთი
დღე ვიმარხულე და იმავე ღამეს ჭაბუკი მომევლინა და მი-
თხრა: „რა ხშირად ითხოვ ლოცვაში უფლისაგან ჩვენებებს,
გაფრთხილდი, მეტის ცოდნის წადილმა არ ავნოს სულს შენ-
სას. განა რაც მოგეცა არ იყო საკმარისი? შეიძლებ კი იმაზე
დიდი ჩვენებების ტვირთვას, ვიდრე მოგეცაო?" პასუხად მი-
ვუგე: „უფალო, ერთსა გთხოვ მხოლოდ, გასაგებად ამიხსენი
რატომ მეჩვენა მოხუცი ქალი სამჯერ სხვადასხვა სახით-
მეთქი? მითხრა: „როდემდე უნდა იყო ასეთი უგულისხმო.
ღმერთს არა ხართ მინდობილნი, ეპვებით ხართ შეპყრობილ-

ნი. ეგაა თქვენი უგნურების მიზეზიც“. — შენი პასუხი უცთონელი იქნება, იმიტომ გთხოვე-მეთქი — ვუთხარი. „მისმინეო, — მითხრა — იმ სამი სახის შესახებ გიამბობ, შენ რომ მთხოვდი. რატომ იყო იგი პირველად მოხუცი და სკამზე რატომ იჯდა? — იმიტომ, რომ დაგიძაბუნდათ სულები, ძალა გამოგელიათ, რადგან გული ცოდვებითა და ეჭვებით აივსეთ. და როგორაც მოხუცს, აღარა აქვს იმედი ძალთა განახლებისა და სარეცელზე მწოლიარე სიკვდილის მეტს აღარაფერს ელის, თქვენაც, ამსოფლიურ საქმეებში გახლართულებმა, უბრუნველობას მიეცით თავი და აღარ გახსოვთ და გეიმედებათ უფალი. დაგისუსტდათ გონება, ჩაბერდით თქვენსავე დარდებში“. — „სკამზე რატომ იჯდა ისიც მინდა ვიცოდე-მეთქი?. — „იმიტომ, რომ უძლური ფეხზე ვერ იდგება, უნდა იჯდეს, რაკი საბეჯანად აღარ ეგულება თავისი სუსტი სხეული. ეს პირველი ჩვენების ახსნაა“.

11. „მეორე ჩვენებაში იგი გაახალგაზრდავებული გეჩვენა, ფეხზე იდგა და ადრინდელზე უფრო მხიარულად გამოიყურებოდა. სხეული და თმები კვლავ მოხუცისა ჰქონდა“, — მითხრა და თანაც ეს იგავი მოაყოლა: „როცა ვინმე ძლიერ მოხუცდება, საკუთარი სიძაბუნისა და უძლურების შემყურეს, გული გაუტყდება და თავისი სიკვდილის მეტს, აღარაფერს ელის. უცებ, გაირკვევა, რომ მას, მემკვიდრეობით ერგო ქონება. წამოხტება ამის გაგონებაზე, აღსდგება მწოლარე, განუახლდება სული, ძველი ამბებით დამძიმებული და გულხელდაკრეფილი კი აღარ ზის, არამედ ᲫᲮნედ ᲛᲝქმედებს. ზუსტად იგივე დაგემართათ თქვენ. იმ გამოცხადების შემდეგ, ღვთისგან რომ მოგეცათ. შეგეწიათ უფალი და მოგმადლათ განახლება სულისა. ამან დაგათრგუნიათ უძლურება, ამან მოგანიჭათ სიმხნე და სიმტკიცე რწმენისა. მოგხედათ უფალმა და იხილა სიმტკიცე თქვენი რწმენისა და განიხარა მან თვისთა შვილთა ზედა და მოგმადლათ: ჩვენება კოშკის შენებისა, მაგრამ თქვენ, მოგეცემათ უფროისი ამისა, თუკი იქნება მშვიდობა თქვენს შორის გულისხმიერი. მესამე ჩვენებაში უფრო ახალგაზრდა და მხიარული იხილე, თითქოს ანათებდაო მისი სახე. წარმოიდგინე, ვინმე გულშეიწრებულს რაღაც მეტად სასიხარულო ამბავი რომ მოუვიდეს, ხომ დაი-

ვიწყებს იმავე წამს წუხილს უწინდელს?! ძველს აღარ დაუბრუნდება გული მისი, რადგან გულს ეს ბოლო სასიხარულო ამბავი აიტაცებს, გაამხნევებს, სიხარულს მიანიჭებს, სულის ძალას განუახლებს. თქვენაც იგივე დაგემართათ, რაკი გეუწყათ წყალობა ღვთისა. სკამი კი ნიშანია სიმტკიცისა და შეურყეველობისა, ამიტომაც იჯდა იგი სკამზე და როგორაც სკამია ოთხი ფეხით მიწას მტკიცედ დაყრდნობილი, ამ ქვეყანასაც სკამის დარად, ოთხი სტიქია განუწესა უფალმა საბჯენად. ვინაც შეიძლებს გულითად სინანულს, მიეცემა სიმტკიცე სულიერი. ახლა უკვე ყველაფერი იცი. გამოცხადებებს ნუღარ ითხოვ. რაიც ჯერ არს, თავისით მოგეცემაო.

ხილვა მეოთხე

1. წინა ხილვებიდან ოცი დღეც არ იყო გასული, რომ ახალი ჩვენებით მომავალი დევნა ვიხილე. კამპანის გზაზე მივდიოდი. მთავარი გზიდან, ასე, ათი უტევანით იქნება ეს მინდორი დაშორებული. ამ ადგილებში იშვიათად შეხვდება კაცი მგზავრს, ცუდი გზაა. მარტო ვიყავი, ღმერთს ეევედრებოდი: დაამტკიცე-მეთქი, უფალო, გამოცხადებანი შენნი, რომელიც მომანიჭე მეცა და ყოველთა ცოდვილთა მონათა შენთა, რათა განითქვას სახელი შენი დიდებული და საკვირველი, იმავ ჩვენებათა გამო, რომლის ღირსიც გამხადე-მეთქი. ღმერთს ვადიდებდი და ვმადლობდი, რომ უეცრად თითქოს რაღაც ხმა გამომეპასუხა: „ჰერმეს, არ შეორგულდე-“ ო შევცბუნდი და ვიფიქრე ჩემთვის: „უფალმა თავისი ნებითა და ძალით გასაოცარი ხილვები მიწყალობა, განმამტკიცა რწმენაში, ნეტა რაღამ უნდა დამაეჭვოს-მეთქი? ცოტა მანძილი კიდევ გავიარე, ძმებო და ვხედავ, მტვერი ცასა სწვდება. ვიფიქრე: ცხოველთა რემა გაივლიდა, ის აამტვერებდა-მეთქი აქაურობას. იმ ბულს ასიოდე ნაბიჯი მაშორებდა. მტვერი სულ უფრო და უფრო მკვრივდებოდა. ეს ყველაფერი უჩვეულოს, არაბუნებრივს გავდა. მერე ის იყო, მზემ ოდნავ გამოაჭყიტა და უზარმაზარი, ვეშაპისმაგვარი მხეცი ვიხილე. პირიდან ცეცხლს აკვესებდა. სიგრძით, ასი ფუტი იქნებოდა, თავი კეცის ჭურს მიუგავდა. ამის შემხედვარე ტირილსა და მუდარას მოვყევი: „მიხსენი-მეთქი, უფალო, ამ ურჩხულისაგან“. უცებ ის სი-

ტყვები მომაგონდა, რაღაც ხმამ რომ მითხრა: „არ შეორგულ-დეო, ჰერმეს“. და ამის გახსენებაზე მოვიკრიბე სარწმუნოება ღვთისა, გავიხსენე საქმენი მისნი საკვირველნი, უშიშრად წავედი ურჩხულისაკენ. ნადირი კი ბრდღვინავდა და ისეთი ძალით მოიწევდა ჩემსკენ, რომ მე კი არა, მისი ერთი შეხება მთელს ქალაქს დაამხობდა. მივუახლოვდი და ეს უზარმაზარი ცხოველი მიწას განერთხო, ძალაწართმეული ენას ძლივს ასავსავებდა, ისე ჩავუარე, არც კი შერხეულა. ურჩხულს ოთხი ფერი გადაჰკრავდა თავზე: შავი, შემდეგ ცეცხლისფერ-სისხლისფერი, მერე ოქროსფერი და ბოლოს თეთრი.

12. ჩავუარე ნადირს და ასე, 30 ფუტის სიშორეზე, ქალწული ვიხილე. თხემიდან ტერფამდე თეთრში იყო შემოსილი, სასძლო პალატიდან გამოსულსა ჰგავდა. თავსაბურავად მიტრა ჰქონდა. თმები — ჭაღარა. წინა ჩვენებების მიხედვით ვიცანი, ეკლესია იყო. გამიხარდა. მომესალმა: „გამარჯობაო შენი, ადამიანო“. ხალისიანად მივუგე: გამარჯობა-მეთქი, დედოფალო. მითხრა: „გზაზედ რამე ხომ არ შეგხვედრიაო, ადამიანო?“ კი, ურჩხული ვიხილე-მეთქი, დედოფალო. თანაც ისეთი, მთელი კაცობრიობის შემუსვრა, რომ არ გაუჭირდებოდა-მეთქი. „ბედნიერად გადარჩენილხარ, რამეთუ მიანდვე ზრუნვა შენი უფალს და გულით იწამე, რომ ვერავინ გიხსნიდა მოწევნილი განსაცდელისაგან, თუ არ ხადილი უფლისა მიმართ, თუ არ ხსენება მისი დიდებული და ძლევამოსილი სახელისა. ამიტომ გამოგიგზავნა უფალმა თავისი ანგელოზი და რომ არ შთაენთქე ურჩხულს, დაუყო მას ანგელოზმა პირი. არ შეგირყია დიდი ურჩხულის ხილვამ სარწმუნოება. სარწმუნოებამან შენმან გიხსნა შენ. ახლა კი წადი და აუწყე ღვთის რჩეულთ საქმენი მისნი დიდებულნი. ისიც უთხარი, რომ ეს ურჩხული სახეა მომავალი დევნა-განსაცდელისა. თუ მოემზადებიან და გულით შეინანებენ ცოდვებს ღვთის წინაშე, თუ იქნა გული მათი სუფთა და უზაკველ, და თუ ცხოვრების დარჩენილ დღეებს ღვთის სამსახურში კეთილად განლევენ, გადაურჩებიან რისხვის მომავალს. იხსენებდით: „მიუტევე უფალსა ზრუნვაი შენი და მან გამოგზარდოს შენ, და არა სცეს შერყევაი უკუნისამდე, მართალსა“[1]. ორგულნო, ღმერთი იწამეთ, შეიგნეთ

[1] ფს. 54, 23.

ყოვლისშემძლეობა მისი, რამეთუ მას ძალუძს მხოლოდ განყენება რისხვისა და მოწევნაც მარადიული სასჯელისა. ვაი, კაცსა მას, რომელსაც ესმას ესე ყოველი და არა გულისხმა ჰყოს. „უმჯობეს იყო მისა, არა თუმცა შობილ იყო კაცი იგი[2]".

13. მერე იმ ფერების შესახებაც ჩავეკითხე, ურჩხულს რომ თავს გადასდიოდა და მითხრა: „მაინც არ იშლი ცნობისმოყვარეობას, ისევ განსაკუთრებულს განმარტებებს ითხოვ". — დიახ, დედოფალო, აგრეა. ამიხსენი, რას ნიშნავდა-მეთქი ის ფერები. მისმინეო მითხრა: შავი ფერი — სოფელია ესე წარმავალი, სადაც თქვენ ცხოვრობთ. ცეცხლისა და სისხლისფერი — ნიშანია იმისა, რომ სოფელი ესე დაინთქმება სისხლსა და ცეცხლში, ოქროსფერი — ნაწილია იმ ხალხისა, რომელთაც უფლის სახელით მოიძულეს სოფელი ესე, ისინი თქვენა ხართ. ოქრო, მხოლო ცეცხლგამოვლილია ვარგისი, თქვენაც მის მსგავსად იცდებით, დანარჩენთა შორის რომ ცხოვრობთ, ვინც მოიზღუდავს თავს საცდურისაგან — განიწმინდება. ცეცხლგამოვლილი ოქრო ტოვებს უსარგებლო მინარევთ, თქვენაც მის მსგავსად მოგცილდებათ ნაღველი და წუხილი. განწმენდილნი კოშკის შენობისთვისაც ივარგებთ. თეთრი ფერი სოფელია მომავალი და მარადიული, რომელშიაც ღვთის რჩეულნი დაემკვიდრებიან. უზაკველი და უმანკო იქნება თითოეული მათგანის სული, რომელთაც უფალი მარადიული სამყოფელისათვის გამოირჩევს. განუწყვეტლივ უმეორე ეს ყველაფერი წმინდათა გულისყურს. იგონებდეთ სახეს მომავალი რისხვა-განსაცდელისას. თუ ისურვებთ, გადურჩებით მას. ეს მითხრა და გამშორდა, თვალი ვეღარ შევასწარი, არ ვიცი, საით გაუჩინარდა.

თარგმნა მანანა ჩიქვანაიამ

[2] **სახარება მათესი, XXVI, 24; სახარება მარკოზისა, XIV, 21.**

წმ. თეოფილე ანტიოქიელი

წმ. თეოფილე II ს-ის მნიშვნელოვანი საეკლესიო მწერალია. სამწუხაროდ მისი ცხოვრების შესახებ მეტად მცირე რამ ვიცით. ევსები კესარიელი გვაუწყებს: „თეოფილე ცნობილია, როგორც მოციქულთა შემდეგ მეექვსე ეპისკოპოსი ანტიოქის ეკლესიისა, სადაც მეოთხე ეპისკოპოსად დადგენილი იყო კორნელიუსი (ჰერონის შემდეგ), ხოლო მეხუთე ეტაპზე, კორნელიუსის მომდევნოდ, ეროსი ფლობდა ეპისკოპატს“ (საეკლესიო ისტორია, IV, 20). იმავე ისტორიკოსის უფრო ადრეულ შრომაში „ქრონიკები“ აღნიშნულია: „ანტიოქიის მეექვსე ეპისკოპოსი თეოფილე — ცამეტი წელი. ამ თეოფილესაგან მოღწეულია (სიტყვ. „არის და ვრცელდება“) მრავალი თხზულება (ევსები კესარიელი, ქრონიკები, წიგნი II, იხ. ბგ. XIX, სვ. 566). თეოფილეს ეპისკოპოსობა ევსების მიხედვით 169 წ.-ს უკავშირდება. (ეს თარიღი ბევრ მკვლევარს ჰიპოთეტურად ესახება). საგულისხმოა, რომ ანტიოქიის მეექვსე ეპისკოპოსად არის სახელდებული თეოფილე ქვემორე თხზულების ხელნაწერშიც. წმ. იერონიმე მას პეტრეს შემდეგ მეშვიდე ეპისკოპოსად წარმოგვიდგენს.

წმ. თეოფილე წარმოშობით იყო მდინარე ევფრატის სანაპირო მხარეებიდან. ამის შესახებ თავად გვაუწყებს: „ის, რომ სამოთხე მიწაა და მიწაზე იყო. იგი დანერგილი, ამის შესახებ წერილი ამბობს: „და დანერგა ღმერთმა სამოთხე ედემში აღმოსავლეთით და დაადგინა იქ კაცი და აღმოაცენა ღმერთმა კვლავ მიწიდან ყველა ხე, — სახილველად ჰამო და საჭმელად კარგი“ (შეს. II, 8—9). საღვთო წერილი სიტყვებით „კვლავ მიწიდან“ და „აღმოსავლეთით“ ცხადად გვასწავლის, რომ სამოთხე ცისქვეშეთში იყო, სადაც არის, აგრეთვე, მიწა და აღმოსავლეთი. „ედემი“ ებრაულიდან ითარგმნება, როგორც „შვება“. [წერილი] მიგვანიშნებს მდინარეზეც, რომელიც ედემიდან გამოდის და რწყავს სამოთხეს[1] და რომელიც აქედან ოთხ თავად განიყოფება. მათგან ორს ეწოდება ფისო-

---

[1] შდრ. „ხოლო მდინარე გამოვალს ედემით მორწყვად სამოთხისა“ (შეს. 2, 10).

ნი და გეონი, რომლებიც რწყავენ აღმოსავლეთის მხარეებს, განსაკუთრებით გეონი, რომელიც გარეშემოწერს ეთიოპიის მთელ მიწას და რომელიც, ამბობენ, ნილოსად სახელდებული, თავს იჩენს ეგვიპტეში. ორი დანარჩენი მდინარე, სახელად ტიგროსი და ევფრატი კარგადაა ჩვენთვის ცნობილი, რადგანაც ისინი ჩვენს მხარეებთან ახლოს არიან („გეიტნიოსინ ჰეოს ჰემეტერონ კლიმატონ") (იხ. თეოფილე ანტიოქიელი, ავტოლიკესადმი, წიგნი II, 24; ბგ. VI, სვ. 1089 ც).

თეოფილე ანტიოქიელის დაბადების წელი უცნობია[1]. უძველეს რომაულ „მარტვიროლოგიონში" მოხსენებულია მხოლოდ მისი დაბადების დღე ცამეტი ოქტომბერი (იხ. „აქტა სანქტორუმ", ოქტომბერი, ტ. VI, გვ. 186; შენ. 9). ამ დღეს არის მისი ხსენებაც.

მიჩნეულია, რომ თეოფილეს მშობლები წარმართები იყვნენ. ეს აზრი იმით მტკიცდება, რომ თავად თეოფილე წარმართულ კულტურაზე იყო აღზრდილი და გაქრისტიანდა მხოლოდ გვიან საღვთო წერილის შემეცნების ჟამს. როგორც აღნიშნავს ბ. მარანი, თეოფილე „დაიბადა და აღიზარდა წარმართთა ცრურწმენების სიბნელეში. მასაც იგივე შეემთხვა, რაც იუსტინეს და ტატიანეს... წერილის კითხვამ ქრისტიანულ რელიგიაზე მოაქცია იგი? (ბ. მარანი, წმ. თეოფილე ანტიოქიელი ეპისკოპოსის მოღვაწეობა და შრომები, ბგ. VI, სვ. 197). საყურადღებოა თეოფილეს სიტყვები, რითაც იგი მიმართავს წარმართ ავტოლიკეს: „ნუ ხარ ურწმუნო, არამედ ირწმუნე (აღდგომა, ე. ჭ.), რადგანაც არც მე მწამდა ყოველივე ეს, მაგრამ ამჟამად შევიცანი და ვირწმუნე; [ეს მოხდა] მაშინ, როდესაც მივემთხვიე წმიდა წინასწარმეტყველთა საღვთო წერილს, სადაც ღვთის სულის მიერ წინდაწინვეა უწყებული წარსული საქმენი, თუ როგორ მოხდა ყოველივე, აგრეთვე, ამჟამინდელი, რაც კი ხდება და სამომავლო საქმეებიც, თუ რა თანმიმდევრობით უნდა აღსრულდეს ისინი. ცხად საბუთად („აპოდეიქსის") ის მაქვს, რომ რაც წინდაწინ ითქვა, აღსრულდა კიდეც; ამიტომაც მწამს" (ავტოლიკესადმი, 1, 14; ბგ. VI, სვ. 1044—1045; შდრ. ი. კვასტენი,

[1] პირობითად მიჩნეულია დაახლ. 100 წ. („აქტა სანქტორუმ", დასახ. ტომი, გვ. 182, შენ. „ა").

მიახლება ეკლესიის მამებთან, 1, პარიზი, 1955, გვ. 267).

რაც შეეხება წმ. თეოფილეს საეკლესიო და სამწერლობო მოღვაწეობას, ამის შესახებ შედარებით ვრცლად გვაუწყებს ევსები კესარიელი: „ხოლო თეოფილესაგან, რომელიც უკვე წარმოგიდგინეთ, როგორც ანტიოქელთა ეკლესიის ეპისკოპოსი, მოღწეულია (სიტყვ. „მიმოქცევაშია“) პირველსაფუძვლების შემცველი (ბერძნ. „სტოიხეიოდეს“) სამი შრომა „ავტოლიკესადმი“, აგრეთვე, სხვაც, რომელსაც ეწოდება „ჰერმოგენეს წვალების შესახებ“, სადაც თეოფილე იმოწმებს ადგილებს იოანეს „გამოცხადებიდან“. გავრცელებულია, აგრეთვე, მისი სხვა კატეხიზმური წიგნები („კატეხეტიკა ბიბლია“). მწვალებლები, მსგავსად სარეველებისა, მაშინაც არანაკლებ რყვნიდნენ სამოციქულო მოძღვრების წმიდა თესლს. ამიტომ, ეკლესიათა მწყემსნი ქრისტეს ცხვართაგან ყველგან უკუაგდებდნენ ასეთ პირებს, როგორც ველურ მხეცებს. განიშორებდნენ მათ ძმათა მიმართ დარიგებებსა და შეგონებების გზით, ზოგჯერ კი აშკარად ებრძოდნენ მათ პირდაპირ ზეპირი კამათითა და დამხობით ან კიდევ წერილობითი შრომების საფუძველზე მათი თვალსაზრისების უმეტესად გამოწვლილვითი მხილებითა და განმარტვით („აკრიბესტატოის ელენხოის დიევთიუნონტეს“). თეოფილეც, სხვებთან ერთად, ებრძოდა მწვალებლებს, რასაც ცხადყოფს მის მიერ არა ლიტონად („უკ აგენნოს“) ნამუშაკევი ქადაგება „მარკიონის წინააღმდეგ“[1], რომელმაც სხვა ზემოხსენებულ შრომებთან ერთად დღემდე მოაღწია“ (ევსები კესარიელი, საეკლ. ისტ. IV, XXIV).

ამგვარად, ევსები კესარიელი გვისახელებს თეოფილე ანტიოქიელის სამ თხზულებას: I) „ავტოლიკესადმი“, სამ წიგნად; (II) „ჰერმოგენეს წვალების წინააღმდეგ“ და (III) „მარკიონის წინააღმდეგ“. თეოფილეს კიდევ ბევრი შრომის

---

[1] როგორც შენიშნავს გ. ბარდი, ევსების პირადად არ უნდა ცოდნოდა აღნიშნული შრომა, რომელიც სამწუხაროდ, ჩვენამდე არ შემონახულა, ფ. ლუფმა სცადა, რომ შეძლებისდაგვარად აღედგინა იგი წმ. ირინეოს ლიონელის სახელგანთქმული შრომის: „მხილება და დამხობა ცრუ ცოდნისა“ მიხედვით, რადგანაც ეს უკანასკნელი მნიშვნელოვანწილად სარგებლობს თეოფილეს ქადაგებით. ბოლო დროს გაირკვა, რომ ამავე ქადაგებით სარგებლობდა ტერტულიანეც თავისი შრომის „მარკიონის წინააღმდეგ“ პირ-

არსებობაზე მიანიშნებს ევსების სიტყვები: „სხვა კატეხიზმური წიგნები". წმიდა იერონიმე ახსენებს, გარდა აღნიშნულისა, ორ თხზულებას: „განმარტება სახარებისა" და „სოლომონის იგავთა განმარტება" (იერონიმე, საეკლესიო მწერალთა შესახებ)[1]. სხვაგან იგივე იერონიმე გვაუწყებს, რომ თეოფილეს შეუდგენია სახარებათა კონკორდანსი (ეპისტოლე ალგასიასადმი 6, 15)[2].

აღნიშნული შრომებიდან ჩვენამდე მოაღწია მხოლოდ პირველმა „ავტოლიკესადმი". ამ ძეგლში თვით თეოფილე მიგვითითებს თავის კიდევ ერთ შრომაზე სათაურით „ისტორიათა შესახებ", რომელშიც, როგორც ჩანს, აღწერილი ყოფილა კაცობრიობის ბიბლიური ისტორია. თეოფილე, კერძოდ, გვაუწყებს: „თვით კაენსაც ჰყავდა ძე, სახელად ენოქი და ააშენა მან (კაენმა) ქალაქი, რომელსაც მისი ძის ენოქის სახელი უწოდა. აქედან დაედო სათავე ქალაქთა შენებას. ხოლო ეს მოხდა წარღვნამდე... ენოქს შეეძინა შვილი სახელად გაიდადი, რომელსაც ეყოლა მეელი, მეელს — მათუსალა, მათუსალას — ლამექი. ლამექმა შეირთო ორი ცოლი, ადა და სელა. აქედან დაედო სათავე მრავალცოლიანობას, აგრეთვე, მუსიკას. ლამექს შეეძინა სამი ძე: ობელი, იუბალი და თობელი. ობელი „იყო მამაჲ მკჳდრთა კარეებისათა საცხოვართმზრდელთასა" (შესაქ. IV, 20); იუბალი არის „გამომაჩინებელ საფსალმუნისა და ებნისა" (შესაქ. IV, 21); თობელი გახდა„კუერით ხუროჲ, მჭედელი რვალისა და რკინისაჲ" (შესაქ. IV, 22). აქამდე მოდის კაენის თესლის აღნუსხვა; მისი შთამომავლობით თესლის მომდევნო ნაწილი დავიწყებას მიეცა, რადგანაც მან მოკლა საკუთარი ძმა. აბელის ნაცვ-

---

ველ გამოცემაში (იხ. გ. ბარდის კომენტარი: ევსები კესარიელი, საეკლესიო ისტორია, წიგნები I—IV, ბერძნული ტექსტი თარგმნა და შენიშვნები დაურთო გ. ბარდმა, პარიზი. 1978, გვ. 206, შენ. 3).

[1] აი, იერონიმეს სიტყვები: „წავიკითხე მისი (თეოფილეს, ე. ჭ.) ავტორობით სახარებისა და სოლომონის „იგავთა" კომენტარები, რომლებიც ჩემი აზრით, სინატიფითა და ფრაზეოლოგიით არ თანხვდება ზემორე თხზულებებს (იგულისხმება თეოფილეს სამწიგნეული „ავტოლიკესადმი". ე. ჭ.) (პლ. VI, სვ. 199).

[2] იერონიმე გვაუწყებს: „თეოფილე პეტრე მოციქულის შემდეგ მეშვიდე ეპისკოპოსი იყო ანტიოქიის ეკლესიისა და მან ოთხი მახარებლის სიტყვები ერთ შრომად შეადგინა („ინ უნუმ ოპუს კომპინგენს"; პლ VI, სვ. 200).

ვლად ღმერთმა კვლავ ორსულობა მიმადლა ევას და შვა მან ძე სახელად სეთი, რომლისგანაც მომდინარეობს ადამიანთა მოდგმა ვიდრე დღევანდელ დღემდე. ვისაც სურს, რომ ცოდნა შეიძინოს თითოეული ტომის შესახებ, წმიდა წერილის გზით ადვილად გაიცხადებს ყოველივეს. როგორც აღვნიშნეთ ზემოთ[1], სხვა ქადაგებაში („ენ ჰეტერო ლოგო"), კერძოდ, პირველ წიგნში „ისტორიათა შესახებ" („ენ ტე პროტე ბიბლო ტე პერი ჰისტორიონ"), ნაწილობრივ („ეკ მერუს") ჩვენც განვიხილეთ გენეალოგიური ხაზი („ტეს გენეალოგიას ჰე ტაქსის"). ყოველივე ამას გვასწავლის სულიწმიდა მოსესა და სხვა წინასწარმეტყველთა პირით. ასე რომ, ის წერილი, რომელიც ჩვენ, ღვთისმოსავთ, გვაქვს, უძველესია და ამასთან უჭეშმარიტესიც ყველა სხვა მწერლისა და პოეტის თხზულებაზე. მუსიკის შესახებაც იყბედა ზოგმა, თითქოს აპოლონს მოეგონებინოს იგი. სხვები იმას ამბობენ, რომ ორფევსმა ფრინველთა ტკბილხმოვანებაში აღმოაჩინა მუსიკა. ამაოა და ფუჭი მათი სიტყვა, რადგანაც ესენი (აპოლონი და ორფევსი, ე. ჭ.) წარღვნიდან მრავალი წლის შემდეგ იყვნენ, ხოლო ნოეს ამბები, რომელსაც ზოგი დეკალიონს[2] უწოდებს, ჩვენ გადმოცემული გვაქვს ზემოხსენებულ წიგნში. თუ გსურს, შეგიძლია შენც ნახო იგი (თავი 30; ბგ. VI; სვ. 1097—1100).

თეოფილე ანტიოქიელის შრომა „ავტოლიკეს წინააღმდეგ" მრავალმხრივ საყურადღებო ძეგლია. ჩვენ ამჯერად, ცხადია, საშუალება არა გვაქვს განვიხილოთ იგი, მხოლოდ აღვნიშ-

---

[1] იგულისხმება 28-ე თავი, სადაც განმარტებულია ადამისა და ევას შესახებ ბიბლიური თხრობა. აღნიშნული თავის ბოლოს ვკითხულობთ: „ეს ევა, რომელიც თავდაპირველად გველმა აცთუნა, გახდა წინამძღვარი ცოდვისა; ამიტომ ბოროტმოქმედი დემონი, იგივე სატანა, რომელიც მაშინ გველის პირით ემეტყველებოდა მას (ევას, ე. ჭ.) და რომელიც დღემდე მოქმედებს მის მიერ შთაგონებული („ენთუსიაძომენოი") ადამიანებში, იწოდება, როგორც „ევანი" („ევანი" იყო წამოძახილი ბაკქანალიის ქამს. ე. ჭ. შდრ. ევრიპიდე, ტროელები, 326). დემონს ვეშაპადაც სახელდებენ... პირველად ანგელოზი იყო იგი. ბევრი რამ შეიძლება ითქვას მასზე, ამიტომ ამჯერად გვერდს ვუვლი ყოველივე ამის გადმოცემას, რამეთუ სხვაგან უკვე გაუწყეთ მის შესახებ" (თეოფილე ანტიოქიელი, ავტოლიკესადმი, თ. 28, ბგ. VI, სვ. 1007).

[2] დეკალიონი — ანტიკური მითოლოგიის პერსონაჟი, რომელიც ადამიანთა წარსაწყმედად მოვლენილი წარღვნის ქამს გემს შეაფარებს თავს.

ნავთ ორ მნიშვნელოვან სიახლეს, რაც ამ შრომამ შეიტანა ქრისტიანულ ლიტერატურაში: (1) თეოფილე ანტიოქიელი პირველია, რომელმაც გამოიყენა ტერმინი „სამება“ („ტრიას“) ერთარსება და სამპიროვანი ღვთის აღსანიშნავად:

„ამგვარად, ამბობს თეოფილე, სამი დღე, რაც წინ უსწრებს მნათობთა შექმნას (ბიბლიური უწყებით მნათობები მეოთხე დღეს იქმნა; შესაქ. I, 14—19, ე. ჭ.), სახეა სამებისა („ტჳპოს ტეს ტრიადოს“) („ავტოლიკესადმი“ 11, 15; პგ. VI, სვ. 1077); (II) თეოფილე ანტიოქიელი პირველია ეკლესიის მამათა შორის, რომელიც ეხება „შიგნითმდებარე სიტყვას“ („ლოგოს ენდიათეტოს“) და „გამოვლენილ სიტყვას“ („ლოგოს პროფორიკოს“)[1]. ხსენებულ შრომაში ვკითხულობთ: წინასწარმეტყველებმა „უპირველესად, ერთსულოვნად გვასწავლეს, რომ არაარსთაგან დაიბადა ყოველივე, რადგანაც არაფერია თანამოასაკე ღვთისა („ტო თეო სჳნეკმასენ“); თვით არის ადგილი თავისი თავისა და არაფერი ეჭირვება მას; უპირატესია საუკუნეთა. ინება ღმერთმა ადამიანის შექმნა, რომ შეცნობილიყო მისგან. წინდაწინ განუმზადა მას სამყარო, რადგანაც კაცი ქმნილია და ნაკლულევანი, ხოლო ღმერთი — შეუქმნელი და უნაკლულო. ფლობდა ღმერთი თავის შ ი გ ნ ი თ მ დ ე ბ ა რ ე სიტყვას საკუთარ წიაღში, რომელიც შვა და გამოავლინა („ექსერევქსამენოს“)[2] თავის სიბრძნესთან ერთად ყოვლის უწინარეს. ეს სიტყვა მისეულ შესაქმეთა თანაშემწედ ჰყავდა მას და მის მიერვე ქმნა ყოველივე“ („ავტოლიკესადმი“, 11, 10;).

სხვა ადგილას ვკითხულობთ: „ღმერთი და მამა ყოველი-

---

[1] პროტოპრესვიტერი პ. პრეობრაჟენსკი აღნიშნავს: „მან (თეოფილემ, ე. ჭ.) პირველმა განასხვავა, აგრეთვე, სიტყვა ფარული და იმანენტური ღმერთში და სიტყვა გაცხადებული“ (პ. პრეობრაჟენსკი, ძველი ქრისტიანი აპოლოგეტების შრომები, სპბ. 1894, გვ. 454). ამასვე აღნიშნავს კვასტენიც (იხ. ი. კვასტენი, დასახ. შრომა, გვ. 270). ამ საკითხის შესახებ იხ. ქვემოთ.

[2] სიტყვა „ექსერევქსამენოს“ მომდინარეობს ზმნიდან „ექს-ერევგომაი“, რომელიც ეტიმოლოგიურად ნიშნავს „ღებინებას, დაბოყინებას“, გადატანით კი — „გამოთქმას“ „გამოცემას“ (ხმისა და მისთ.), „გამოვლენას“. ძველ ქართულ მწერლობაში პირდაპირი აზრით იგი ითარგმნებოდა, როგორც „აღმობოყინება“, გადატანით კი — „გამოცემა“ (გამოსლ. 8, 3), „აღმოთქუმა“ (ფს. 44, 1; 118, 171; 144, 7); „გარდაცემა“ (ფს. 143, 12) და სხვა. სწორედ „გამოცემას“, „აღმოთქუმას“ ნიშნავს იგი ღვთის სიტყვასთან დაკავშირებით.

ვესი შეუცავია და არცერთ ადგილას არ არის იგი, რადგანაც ვერარა ადგილი ვერ განუსვენებს მას; ხოლო მისი სიტყვა, რომლის მიერაც შექმნა მან ყოველივე, რომელიც არის მისი ძალი და სიბრძნე და რომელსაც მიღებული ჰქონდა სახე მამისა, — ეს სიტყვა ღვთის სახით დადიოდა სამოთხეში და ესაუბრებოდა ადამს. თვით წმიდა წერილი გვასწავლის, რომ ადამს, მისივე თქმით, ხმა მოესმა, ხმა კი სხვა არა არის რა, თუ არა სიტყვა ღვთისა, რომელიც არის აგრეთვე, მისი ძე, არა ისე ,როგორც ამბობენ პოეტები და მეზღაპრეები, თითქოს ღვთის ძეები თანაყოფის გზით იშვებიან, არამედ, როგორც გვაუწყებს ჭეშმარიტება, ეს არის სიტყვა, რომელიც მარადიულად შ ი გ ნ ი თ მ დ ე ბ ა რ ე ა ღვთის გულში („ენდიათეტოს ენ კარდია თეუ"). რაიმეს შექმნამდე ეს სიტყვა ჰყავდა მამას თანამოთათბირედ („სჯმბულოს"), რომელიც არის მისი გონება („ნუს") და აზრი („ფრონესის"). რაჟამს ინება ღმერთმა ქმნა ყოველივე იმისა, რაც სურდა, შვა მან ე ს ს ი ტ ყ ვ ა გ ა მ ო ვ ლ ე ნ ი ლ ი, („ჰო ლოგოს პროფორიკოს"), რომელიც პირმშოა მთელი შესაქმისა; არათუ დაცარიელდა იგი (მამა, ე. ჭ.) სიტყვისაგან, არამედ შვა სიტყვა და თავის სიტყვასთან მარადიულად თანამყოფია („ჰომილონ". ლათ. „ვერსარეტურ"). ასე გვასწავლის წმიდა წერილი და ყველა ის, ვინც ღვთივსულიერია, მათ შორის იოანეც, რომელიც ამბობს: „პირველითგან იყო სიტყუაჲ და სიტყუაჲ იგი იყო ღმრთისა თანა" (იოან. I, 1); ამით იოანე ცხადყოფს, რომ თავდაპირველად იყო მარტო ღმერთი და მასში არსებული სიტყვა. შემდეგ მახარებელი ამბობს: „და ღმერთ იყო სი-ტყუაჲ იგი. ყოველივე მის მიერ შეიქმნა და თჳნიერ მისა არც ერთი რაჲ იქმნა, რაოდენი რაჲ იქმნა" (იოანე, 1, 3). ამგვარად, სიტყვა არის ღმერთი და ღვთისაგან შობილი („პეფჳკოს"; ლათ. „გენიტუმ"), რომელსაც ყოვლიერების მამა, როდესაც კი ინებებს, მიავლენს რაიმე ადგილზე, ხოლო ის მიდის და ისმინება კიდეც და იხილვება, [მამისაგან] მივლენილი და ადგილზე მყოფი" (წიგნი II, თავი 22; პგ. VI, სვ. 1038)[1].

---

[1] მამა ღმერთის წიაღიდან ლოგოსის ანუ სიტყვის გამოსვლის შესახებ მიანიშნებს წმ. ეგნატიც: „ერთი ღმერთი არის, რომელმაც გააცხადა („ანეროსას") თავისი თავი მისი ძის იესუ ქრისტეს მიერ, რომელიც არის

ქვემოთ წარმოდგენილი თარგმანი, რომელიც თეოფილე ანტიოქიელის ხსენებული შრომის III წიგნის პირველ ცხრა თავს მოიცავს, უმეტესად პოლემიკური ხასიათისაა. მასში განქიქებულია ანტიკური რელიგია და ნაწილობრივ ფილოსოფია. ამგვარი განქიქება, ცხადია, არ ნიშნავს ანტიკურობის მთლიანობაში უარყოფას. საზოგადოდ, უნდა აღინიშნოს, რომ ეკლესიის მამათა დამოკიდებულება ანტიკური აზროვნებისადმი ხშირად მცდარად არის გაგებული. როდესაც ესა თუ ის საეკლესიო პირი უარყოფს, მაგალითად, გარეშე სიბრძნეს, უარყოფს ჩვეულებრივ იმ პირთა წინაშე, რომლებიც ხსენებულ სიბრძნეს საბოლოო ჭეშმარიტებად სახავენ. მართლმადიდებლური ტრადიცია დასაბამიდან დღემდე ყო-

---

სიტყვა მისი დუმილიდან გამოსული („აპო სიგეს პროელთონ") და რომელიც ყოველითურთ სათნო-ეყო მის მომავლინებელს" (ეგნატი ანტიოქიელი, ეპისტოლე მაგნესიელთა მიმართ, 8, 2; იხ. ეგნატის ეპისტოლეთა პ. კამელოს გამოცემა, პარიზი, 1968, გვ. 86). ქრისტიანი ფილოსოფოსი ათენაგორა აღნიშნავს: „არის ძე ღვთისა სიტყვა მამისა სახით და ქმედებით („ენ იდეა კაი ენერგეია"). მისგან და მის მიერ იქმნა ყოველივე. ერთია მამა და ძე: ძე არის მამაში და მამა — ძეში, ერთობითა და ძალითა სულისა; ძე ღვთისა არის მამის გონება და სიტყვა... პირველი ნაშობია მამისა, არათუ ქმნილება, რადგანაც მამა, რომელიც არის მარადიული გონება და მარადიულად სიტყვიერი, დასაბამიდანვე ფლობდა თავის თავში სიტყვას (ათენაგორა, შუამდგომლობა ქრისტიანთა გამო, თავი 10; პგ. VI, სვ. 908—909; შდრ. „პატრისტიკული ბერძნული ლექსიკონი", გამოსცა გ. ლემპმა, ოქსფორდი 1961, გვ. 899). წმ. იპოლიტე რომაელის სწავლებით „ღმერთმა... შვა სიტყვა, არა სიტყვა, როგორც ხმა, არამედ [ის სიტყვა], რომელიც შიგნითმდებარეა („ენდიათეტოს") (იპოლიტე რომაელი, „წვალებათა წინააღმდეგ", წიგნი X, თავი 33; პგ. XVI, სვ. 3447; შდრ. გ. ლემპის დასახ. გამოც. გვ. 899). მოტანილი ციტატები ცხადყოფს, რომ მსჯელობა ეხება არა თავად ძე ღმერთის ანუ ღვთის სიტყვის მდგომარეობის ცვალებადობას (როგორც ეს შემდეგში მწვალებელთა მიერ იქნა აღიარებული), არამედ სიტყვის მარადიულ და დაუსაბამო მყოფობას მამისეულ წიაღში და ას ე ვ ე მ ა რ ა დ ი უ ლ დ ა დ ა უ ს ა ბ ა მ ო შობას იმავე წიაღიდან (ე. ი. არა იმას, რომ გარკვეულ დროს სიტყვა ღვთისა მამისეულ წიაღში არსებობდა, შემდეგ კი, გარკვეული დროის შემდეგ, იშვა მისგან). ცხადია, წმ. თეოფილესა და წმ. იპოლიტეს მიზანი იყო ადამიანური ენით განემარტათ მამისა და ძის დაუსაბამო არსებისეული ერთობა და დაუსაბამოდ ჰიპოსტასური განყოფა; მას შემდეგ, რაც ერეტიკოსებმა (პირველ რიგში, ვალენტინელებმა) ჟამიერი ახსნა მისცეს მამის წიაღში სიტყვის ფარულად მყოფობას და შემდეგ იმავე წიაღიდან მის შობას, მართლმადიდებლობამ უარყო აზრი „შიგნითმდებარე" და „გამოვლენილი" სიტყვის შესახებ. წმ. გრიგოლ ნოსელი გვაუწყებს: „ნუ ვიფიქრებთ, რომ ძე ოდესმე იყო უჩინარი, მამაში დაფარული, რათა არ წარმოვიდგინოთ სიტყვა შიგნითმდებარედ და გამოვლენილად" (პგ. 45, 1296 ბ.). ამასვე აღნიშნავს ათანასე ალექსანდრიელი, იოანე ოქროპირი და სხვა (იხ. გ. ლემპი, დასახ. შრომა, გვ. 899).

ველთვის ჰვრეტდა ანტიკურ მწერლობასა და ფილოსოფიაში ჭეშმარიტების მარცვალს, რომელიც სასარგებლო იყო ქრისტიანისთვისაც (თუმცა არა აუცილებელი). წმ. იუსტინე მარტვილი ამბობს: „ქრისტე არის პირმშო ღვთისა და, როგორც აღვნიშნეთ, სიტყვაც არის ის, რომელსაც კაცთა მთელი მოდგმა ეზიარება. ისინი, ვინც ამ სიტყვის მიხედვით ცხოვრობენ, ქრისტიანები არიან, თუმცა [წარმართები] უღმერთოებად რაცხენ მას, როგორც სოკრატეს, ჰერაკლიტესა და მათ მსგავსებს ელინთა შორის“ (წმ. იუსტინე, აპოლოგია I, თავი 46; ბგ. VI, სვ. 396). იგივე წმინდანი სხვა ადგილას წერს: „რაც კი ფილოსოფოსებმა და კანონმდებლებმა კარგად თქვეს და აღმოაჩინეს, ყოველივე ეს სიტყვის (ე. ი. ლოგოსის, ძე ღმერთის, ე. ჭ.) ნაწილობრივი შეცნობითა და განჭვრეტით იქმნა; ხოლო რადგანაც მათ სრულად ვერ შეიცნეს ყოველივე ის, რაც სიტყვისაა, რომელიც არის ქრისტე, ამიტომ ხშირად ურთიერთსაწინააღმდეგოც კი თქვეს (იქვე, სვ. 461). თავად წმ. თეოფილე, რომელიც დაუფარავად ამხილებს ანტიკურობის მრავალ სიბილწეს, ამავე დროს სიბილინურ ტექსტებს ჭეშმარიტ წინასწარმეტყველებად დაგვისახავს (იხ. წიგნი II, თავი 31; თავი 36).

დასასრულ, აღვნიშნავთ, რომ ქვემოთ წარმოდგენილი თარგმანი შესრულებულია ორიგინალის მინისეული გამოცემიდან (იხ. ჟ. მინი, პატროლოგია გრეკა, გამოსცა ჟ. მინმა, ტ. VI, სვ. 1121—1136).

ედიშერ ჭელიძე.

წიგნი III

1. თეოფილე ავტოლიკეს მოგიკითხავ[1]! ისევე, როგორც სხვა მწერლები, რომლებიც ფუჭი დიდებისათვის მრავალი წიგნის დაწერას ესწრაფვიან და ხან ღმერთების, ხან ომების, ხან კიდევ ჟამთა შესახებ გვაუწყებენ, ხანაც უსარგებლო თქმულებებსა თუ რაღაც მსგავს სისულელეებს გადმოგვცემენ, დღემდე ამასვე ეშურები შენც და უყოყმანოდ თავს იდებ ამგვარ შრომას, ჩვენთან შეხვედრის ჟამს კი უგუნურებად რაცხ ჭეშმარიტების სიტყვას და თვლი, რომ ჩვენეული წიგნები ახალია და არა ძველი. სწორედ ამიტომ არ დავაყოვნებ და როგორც ღმერთი მომმადლებს, გაუწყებ ჩვენი წერილის სიძველის შესახებ, გაუწყებ ზოგადი და მოკლე განმარტების სახით, რომ დიდად არ გაგსარჯო, მაგრამ ისე კი მოხდეს, რომ შეიცნო ფუჭსიტყვაობა ყველა სხვა წიგნისა.

2. მართებდათ მწერლებს, ან თვითმხილველნი ყოფილიყვნენ იმისა, რაც გვაუწყეს, ანდა თვითმხილველთაგან ზედმიწევნით გაეგოთ ყოველივე, რადგანაც საეჭვო საქმეთა აღმწერნი, შეიძლება ითქვას, წყალს ნაყავენ. რა ირგო თუნდაც ჰომეროსმა ილიონის ომის აღწერით, გარდა იმისა, რომ ცთომილებაში ჩააგდო მრავალნი, ანდა რა ირგო ჰესიოდემ ეგრეთ წოდებულ ღმერთთა შთამომავლობითი ხაზის შექმნით, ან კიდევ ორფეესმა სამას სამოცდახუთი ღმერთის აღიარებით[2] (თუმცა სიცოცხლის მიწურულს თვითვე უარყო ისინი და თავის „შეგონებებში“[3] ერთი ღმერთის არსებობა თქვა)! რა სარ-

---

[1] ერთ ხელნაწერში აღნიშნული მოკითხვის ნაცვლად წერია: „ანტიოქიის მეექვსე პატრიარქი თეოფილე ავტოლიკე ელინისადმი ქრისტიანთა სარწმუნოების შესახებ, და რომ ჩვენეული საღვთო სიტყვები („ლოგია“) უძველესია და უჭეშმარიტესი ეგვიპტელ, ელინელ და ყველა სხვა მწერალზე“ (ბგ. VI, 1121, შენ. 93).

[2] ასევე, ლაქტანციუსიც ორფეესის მიერ შემოტანილ 365 ღმერთს ასახელებს, ხოლო იუსტინე ფილოსოფოსის ავტორობით ცნობილ შრომაში „ერთმთავრობის შესახებ“ მხოლოდ 360 ღმერთია მოხსენიებული (ბგ. VI, 1122, შენ. 95).

[3] „შეგონებები“ — ბერძნ. „დიათეკაი“. სიტყვა „დიათეკე“, ერთი მხრივ, ნიშნავს მცნებას, განჩინებას, შეგონებას, მეორე მხრივ კი — აღთქმას, დაპირებას. მიიჩნევენ, რომ ხსენებული სიტყვა ზემორე კონტექსტში პირველ მნიშვნელობას შეიცავს.

ბებლობა მოუტანა არატეს ანდა სხვებს, რომლებიც მისებრ მსჯელობდნენ, კოსმიური წრებრუნვის სფერულმა აღწერილობამ გარდა ადამიანური დიდებისა, თუმცა ვერც ეს დიდება მიიღეს მათ ღირსებისამებრ. რა თქვეს მათ ჭეშმარიტი? რა ისარგებლეს ევრიპიდემ, სოფოკლემ და სხვა ტრაგიკოსებმა მათი ტრაგედიებიდან, ანდა მენანდრემ, არისტოფანემ და დანარჩენმა კომედიოგრაფებმა — კომედიებიდან, ან კიდევ ჰეროდოტემ და თუკიდიდემ — მათი ისტორიებიდან? რით არგო პითაგორას თუნდაც ტაძარმა და ჰერაკლესეულმა სვეტებმა[1], ანდა დიოგენეს ცინიკურმა ფილოსოფიამ, ეპიკურეს კი იმის მტკიცებამ, რომ არ არსებობს განგება; რა სარგებლობა მოუტანა ემპედოკლეს უღმერთობის სწავლებამ, ანდა სოკრატეს — ძაღლის, ბატის, ჭადრის, დამეხილი ასკლეპიოსის ან კიდევ იმ ღვთაებების დაფიცებამ, რომლებსაც თავად მოუხმობდა? რის გამო მოკვდა იგი ნებაყოფლობით, რა და როგორი საზღაურის მიღებას მოელოდა სიკვდილის შემდეგ? რა არგო პლატონს მისეულმა სწავლებამ ანდა სხვა ფილოსოფოსებს მათმა მოძღვრებამ, რომელთა ჩამოთვლა სიმრავლის გამო შორს წაგვიყვანდა? ყოველივე ამას იმიტომ ვამბობთ, რომ საჩინო ვყოთ ზემოხსენებულთა უსარგებლო და უღვთო აზროვნება.

3. ამაო და ფუჭი დიდება შეიყვარა ყველა მათგანმა; ვერც თვით შეიცნეს ჭეშმარიტება, ვერც სხვებს უწინამძღვრეს ჭეშმარიტებისაკენ; მათივე სიტყვები ამხილებს მათ, რადგანაც ურთიერთსაწინააღმდეგოს ამბობდნენ ისინი და თვითვე არღვევდნენ თავიანთ მტკიცებებს, რაც ნიშნავს, არა მხოლოდ ერთიმეორე დაამხეს მათ, არამედ ზოგმა თავისი მოძღვრებაც გააქარწყლა. ასე რომ, მათი დიდება უღირსებად და უგუნურებად გადაიქცა; ამიტომაც გონივრულად მოაზროვნენი

---

[1] დიოგენე ლაერტის უწყებით, როცა პითაგორა ეგვიპტეში მივიდა, ტაძარში შეიყვანეს იგი და ღმერთების საიდუმლოებებში განსწავლეს. იქვე ეხილა მან ზემოხსენებული სვეტები, რომლებსაც თეოფილე ჰერაკლეს ანუ იგივე ჰერკულესის სვეტებად წარმოგვიდგენს. ზოგი მკვლევარი ხელნაწერისეულ ტექსტს დამახინჯებულად მიიჩნევს და „ჰერაკლეს“ ნაცვლად „ჰერმესს“ აღადგენს. მართლაც ჰერმესის ანუ იგივე მერკურის სვეტები ცნობილი იყო ანტიკურ სამყაროში (იხ. პგ. VI, სვ. 1123, შენ. 97).

კიცხავენ მათ. მართლაც, ჯერ ღმერთების შესახებ იმსჯელეს მათ, შემდეგ კი უღმერთობა იქადაგეს, ასევე, ჯერ სამყაროს შექმნა აღიარეს, საბოლოოდ კი თავისთავადი არსებობა მიანიჭეს ყოველივეს და თუმცა განგების შესახებ თქვეს სიტყვა, იქვე დაგვმოძღვრეს, რომ უგანგებო იყო სამყარო. განა მათ არ გვასწავლეს აღვირახსნილობა, მრუშობა და სიძვა, როდესაც სიწმიდის შესახებ ისურვეს წერა? განა მათვე არ გააკრცელეს ფარული სიბილწენი? თვითვე ამბობენ, რომ პირველებმა სწორედ მათმა ღმერთებმა აღასრულეს ენით უთქმელი აღრევანი და შეწყვილებანი, აგრეთვე, უწესო ჭამა. ვინ არ უმღერის შვილთამჭამელ კრონოსს, აგრეთვე ზევსს, მის ძეს, რომელმაც ჩაყლაპა მეტისი და ბილწი ნადიმები გაუმართა ღმერთებს, სადაც, ამბობენ, კოჭლი მჭედელი ჰეფესტო მსახურებს მათ? ზევსის დამ ჰერამ არა მხოლოდ ძმაზე იქორწინა, არამედ თავისი ბილწი პირით ენით უთქმელი საქმენიც აღასრულა; თუმცა ყველაფერი ის, რასაც ზევსის შესახებ მღერიან პოეტები, შენც კარგად უწყი. რაც შეეხება პოსეიდონს, აპოლონს, დიონისეს, ჰერაკლეს, ავხორც („ფილოკოლპოს") ათინას, ანდა ურცხვ აფროდიტეს, მათ შესახებ ამჯერად არაფერს ვიტყვი, რადგანაც სხვა წიგნში უკვე მქონდა საუბარი[1].

4. იქნებ არც გაგვეკიცხა ისინი, ჭეშმარიტ მოძღვრებაში დაეჭვებული რომ არ მეხილე. თუმცა ხარ ბრძენი, წადიერად იწყნარებ სულელთ; უგუნურ კაცთაგან აღძრული და ფუჭი სიტყვებით წარტაცებული უღვთო პირთა მიერ გავრცელებულ ხმებს ერწმუნები, რომლებიც სიცრუით ცილსა გვწამებენ ჩვენ, — ღვთისმოსავებსა და ქრისტიანებად სახელდებულებს. იმას ამბობენ, თითქოს ზიარი ცოლები გვყავდეს, თითქოს აღრეულად თანავეყოფოდეთ ურთიერთს, თითქოს საკუთარ დებსაც ვეწყვილებოდეთ და, რაც განსაკუთრებით უღვთოა და პირუტყვული, თითქოსდა ვჭამდეთ კაცის ხორცსაც. ამასთან, რადგანაც, მათი თქმით, ახლად ჩენილია, რასაც ვასწავლით, ამიტომ თითქოს არაფრით ძალგვიძს დავამტკიცოთ ჩვენი მოძღვრება და ჩვენეული ჭეშმარიტება. ამბო-

[1] იგულისხმება ამავე შრომის I წიგნი.

ბენ, რომ სისულელეა ჩვენი სიტყვა. უფრო ის მიკვირს, რომ შენ, რომელიც ყველაფერში გულმოდგინე ხარ და ყოველ საქმეს გამოიწვლილავ, უგულისყუროდ ისმენ ჩვენსას, მაშინ როდესაც ღამითაც კი, თუ ამის დრო გაქვს, ბიბლიოთეკებს ეშურები.

5. რადგანაც დიდად ნაკითხი ხარ, გვითხარ, რა წერია ძენონის, დიოგენესა თუ კლეანთოსის წიგნებში. განა კაცი-ჭამიობას არ გვასწავლიან ისინი, განა არ აქეზებენ შვილებს, რომ მათივე მშობლები შეაგბონ და შეთქვლიფონ, განა იმას არ გვაუწყებენ, რომ თუ ვინმე არ ინებებს ამგვარ რამეს ანდა ხსენებული ბილწი კერძის თუნდაც ერთ ნაწილს უკუაგდებს, თვით მას შეჭამენ? უფრო მეტიც, უღვთო ხმა დიოგენისა იმასაც გვასწავლის, რომ შვილებმა მსხვერპლად უნდა შეწირონ მშობლები და შეჭამონ ისინი. განა ჰეროდოტეც არ მოგვითხრობს, რომ კამბიზმა დაკლა ჰარპაგეს შვილები, შეაგბო ისინი და კერძად მიართვა მათსავე მამას? ჰეროდოტე იმასაც გვიყვება, რომ ინდოელთა შორის შვილები ჭამენ საკუთარ მშობლებს. ჰოდ, ამგვარ მწერალთა, უფრო კი ამგვარად მსწავლელთა უღვთო მოძღვრებავ! ჰოდ, ამგვართა უღვთოებავ და ურჯულოებავ! ჰოდ, ამგვარად სიბრძნისმეტყველთა და სიბრძნის შესახებ მქადაგებელთა ბრმა-აზროვნებავ! მათ, რომლებმაც გვამცნეს ეს ყოველივე, უღვთოებით აღავსეს სამყარო.

6. ურჯულო თანაყოფის შესახებაც ურთიერთთანხმობაშია გზააბნეულ ფილოსოფოსთა თითქმის მთელი გუნდი. პლატონმა, რომელიც სიბრძნისმეტყველთა შორის უმეტესად პატივდებული ჩანს, თავის ერთერთ შრომაში „პოლიტიკის შესახებ“, კერძოდ კი ამ შრომის მეხუთე წიგნში, პირველმა დაადგინა გარკვეულწილად ის, რომ ყველას ზიარი ცოლები უნდა ჰყავდეს. მან ზევსისა და კრეტელთა რჯულმდებლის[1] მაგალითს მოუხმო და თავისი აზრი იმით დაასაბუთა, რომ ამ გზით თითქოს შვილიერებაც გამრავლდებოდა და შრომისაგან დაქანცულებსაც მსგავსი კავშირები თითქოს შვებას მოგვრიდა. ასევე, ეპიკურეც, გარდა უღმერთოების სწავლე-

[1] იგულისხმება მინოსი.

ბისა, რჩევას იძლევა დედებთან და დებთან შეწყვილების შესახებ, თუმცა კანონები კრძალავენ ამას. სოლონმა ცხადად განაწესა, რომ კანონიერი ქორწინებით უნდა იშვეს შვილები და არა მრუშობის გზით, რათა არ მოხდეს ისე, რომ მამად მიიღონ ის, ვინც არ არის მამა, ხოლო ნამდვილი მამა უმეცრების გამო შეურაცხყონ. რომაელთა და ელინთა დანარჩენი კანონებიც მსგავსადვე კრძალავენ ხსენებულ საქმეებს.

ეპიკურე და სტოელები ზემოთქმულთან ერთად დებთან თანაწოლასა და კაცთა ურთიერთ თანაყოფასაც განაჩინებენ. ამგვარ სწავლათა მიერ ავსებენ ისინი ბიბლიოთეკებს, რომ სიყრმიდანვე შთაუნერგონ ბავშვებს ურჯულოება. თუმცა სხვა რა უნდა ვთქვა მათ შესახებ, როდესაც თვით ისინი მათსავე ღმერთებს ამგვარ საქმეებს განუკუთვნებენ.

7. რომლებსაც თუმცა ღმერთებად სახელდებენ, ამავე დროს არარად რაცხენ. ზოგიერთები ამბობენ, რომ ატომებისაგან შედგებიან ეს ღმერთები, ზოგიერთები კი, პირიქით, ატომებად გარდაქმნიან მათ და იმასაც ცხადყოფენ, რომ არაფერი ძალუძთ ადამიანებზე მეტად. პლატონი ამბობს, რომ არსებობენ ღმერთები, მაგრამ ამავე დროს მოწადინეა იმისა, რომ ნივთიერი იყოს მათი აგებულება. პითაგორამ, რომელიც აგრერიგად დაშვრა ღმერთების გამო და რომელმაც მთელი ქვეყანა მოიარა, საბოლოოდ ის განაჩინა და თქვა, რომ ბუნებრივად და თვითნებურად მოძრაობს ყოველივე, ხოლო ღმერთები არარას ზრუნავენ კაცთათვის. ბევრი რამ უღვთო აზრი შემოიტანა, აგრეთვე, კლიტომაქე აკადემიელმა, ხოლო კრიტიამ ეს თქვა: „თუნდაც რომ არსებობდეს ღმერთები, არ ძალმიძს მათ შესახებ სიტყვის თქმა, არც იმის ცხადყოფა, თუ როგორები არიან ისინი, რადგანაც ბევრი რამ მაბრკოლებს მე“. ამასვე ამბობს პროტაგორა აბდერიტელიც. რაც შეეხება უმეტესად უღვთო ევემეროსს, უსარგებლოა მისი ხსენებაც, რადგანაც ბევრი რამ შეჰკადრა მან ღმერთებს, ბოლოს კი სრულიად უარყო მათი არსებობა და მიიჩნია, რომ თვითნებურად განეგება ყოველივე. პლატონმაც თუმცა ამდენი რამ თქვა ღვთის ერთმთავრობისა და ადამიანის სულის შესახებ, რომელიც უკვდავად შერაცხა მან,

შემდეგში თავისი თავის საწინააღმდეგოდ ზოგი სულის სხვა ადამიანებში გადასვლა, ზოგისა კი უტყვ ცხოველებში დამკვიდრება ირწმუნა. განა საშინელებად და ურჯულოებად არ წარმოუჩნდება გონიერ ხალს სწავლება იმისა, რომ ადამიანი შემდეგში მგელი გახდება, ანდა ძაღლი, ან ვირი ან კიდევ სხვა რამ უტყვი ცხოველი? ამგვარ სისულელეებს ამბობს, აგრეთვე, პითაგორა, რომელიც იმასაც დასძენს, რომ არ არსებობს განგება. ვისღა ვერწმუნოთ? იქნებ ფილემონ კომიკოსს, რომელიც ამბობს: „თაყვანისმცემელნი ღვთისა გულითადად ელიან გამოხსნას"; ანდა იქნებ ზემოხსენებულ ევემეროსს, ეპიკურეს და პითაგორას მივაპყროთ გულისყური ან სხვა ვინმეს, ვინც უარყოფს ღვთის თაყვანებას და აუქმებს წინაგანგებას. ღვთისა და განგების შესახებ ამბობს არისტონი:

„იმედი გქონდეს, ვინც ღირსია, ყველა მათგანი
განსაკუთრებულ შემწეობას მიიღებს ღვთისგან!
თუ არ მოელის საზღაური ღირსებით მცხოვრებს,
ფუჭი ყოფილა ჩვენეული ღვთისმსახურება!"
„ვთქვათ[1], რომ ასეა, მაგრამ თვითვე ხშირად მიხილავს
გაჭირვებაში, ვინც ირჩია საღვთოდ ცხოვრება,
ხოლო ისინი, გულმოდგინედ რომ დაეძებენ,
რა ისარგებლონ, საკუთარ თავს რა არგონ მხოლოდ,
ჩვენზე უმეტეს ღირსებას და პატივს იმკიან!"
„ეს[2] მხოლოდ ახლა! ჩვენ კი გვმართებს შორით განეკვრიტოთ,
და მოველოდეთ, აღსრულდება ეს ყოველივე,
არა იმგვარად, როგორც ფიქრობს ზოგი მათგანი,
ბოროტგანზრახვით და ურგებად ცხოვრებისათვის,
თითქოს არსებობს თვითნებური რამ მოძრაობა
თითქოს განაგებს ყოველივეს ოდენ შემთხვევა.
მხოლოდ ისინი, უკეთურნი, სჯიან ამგვარად,
რომ გაამართლონ მათი ყოფა, ხოლო მართალნი
საზღაურს რასმე მიიღებენ, სასჯელს — ბოროტნი,
რადგანაც ვიცით, უგანგებოდ არარა ხდება!"

ყველაფერი ის, რაც მრავალმა და მრავალმა თქვა ღვთისა და წინაგანგების შესახებ, ადვილად ამხელს მათ შეუთან-

---

[1] მეორე სტროფი მოპასუხეს ეკუთვნის.
[2] ამ ტაეპიდან კვლავ პირველი მთქმელი შემოდის.

ხმებლობას. ზოგიერთებმა სრულიად უარყვეს ღმერთი და განგება, ზოგმა კი ღვთის არსებობა დაამტკიცა და ისიც აღიარა, რომ სწორედ განგება წარმართავს ყველაფერს. ამიტომ გონიერ მსმენელსა და მკითხველს მართებს გულისყურით ჩაუკვირდეს თითოეული მათგანის სიტყვებს, როგორც ამბობს სიმილოსი:

„ბოროტს თუ კეთილს განუსჯელად ეუწოდებთ პოეტს,
გვმართებს კი განსჯა!"

ამასვე ამბობს ფილემონიც:

„ბრიყვი მსმენელი სიბრიყვის გამო
თავის თავს როდი კიცხავს და ამხელს."

ამიტომ, გვმართებს გულისყურით ჩავუკვირდეთ ყოველივეს და გამჭრიახი გონებით გამოვიწვლილოთ ფილოსოფოსთა და პოეტთა სიტყვები.

8. ღმერთების უარმყოფელნი შემდეგში თვითვე აღიარებდნენ იმავე ღმერთებს და ურჯულო საქმეებსაც განუკუთვნებდნენ მათ. პოეტები კეთილხმოვნად უმღერიან ყველაფერ იმას, რასაც უკეთურად იქმოდა ზევსი, ხოლო ქრიზიპე, რომელმაც ბევრი სისულელე თქვა, გარკვევით მიგვანიშნებს, რომ ჰერა ბილწი პირით თანაეყოფოდა ზევსს. განა საჭიროა აღვრიცხოთ ყველა სიბილწე, რაც აღასრულა ღმერთების დედამ, ანდა ლატიარის ზევსმა, რომელიც კაცის სისხლს ეწაფებოდა[1], ან თუნდაც ატისმა, რომელმაც თავი დაისაჭურისა, ან კიდევ ზევსმა, ტრაგიკოსად სახელდებულმა, რომელმაც წყალში ჩაძირა თავისი ხელი, რომაელებმა კი იგი ღმერთად შერაცხეს. დავიდუმებ ანტინოეს ტაძარზე და სხვა ღმერთების სალოცავებზე, რადგანაც მათი ამბები სასაცილოა გონიერთათვის.

ამგვარად, ხსენებულ სიბრძნისმეტყველთა უღვთოება, მათი ურთიერთაღრევები და უკანონო თანაყოფანი თვით მათ სიტყვებში ცნაურდება. ამასთან კაციჭამიობაც ვლინდება მათ ნაწერებში. როგორც თვით აღწერენ, მსგავს საქმეებს უპირველესად ღმერთები იქმან.

---

[1] ლატიარის ზევსის სისხლისმსმელობას გვაუწყებს ტატიანე სირიელიც: „ვნახე რომაელებთან ლატიარის ზევსი, რომელიც კაცისმკვლელთა მიერ დანთხეული ადამიანთა სისხლით ტკბებოდა" (ტატიანე, სიტყვა ელინთა მიმართ, ბგ. VI, სვ. 866).

9. ჩვენ ვაღიარებთ ღმერთს, მაგრამ ერთს, რომელიც არის ყოველივეს შემოქმედი და დამბადებელი. ისიც ვუწყით, რომ განგება წარმართავს ყოველივეს, მაგრამ — მხოლოდ მისეული განგება; წმიდა რჯულიც გვისწავლია, მაგრამ რჯულმდებლად გვყავს ჭეშმარიტი ღმერთი, რომელიც გვასწავლის სამართლიანობას, ღვთისმოსაობას, ქველმოქმედებას. ღვთისმოსაობის შესახებ ასე გვამცნებს იგი: „არა იყვნედ შენდა ღმერთნი უცხონი ჩემსა გარეშე. არა ჰქმნე თავისა შენისა კერპი, არცა ყოვლადვე მსგავსი, რაოდენი არს ცათა შინაზე, და რაოდენი არს ქუეყანასა ზედა-ქუე, და რაოდენი არს წყალთა შინა-ქუეშე ქუეყანისა. არა თაყვანისცე მათ, არცა მსახურებდე მათ, რამეთუ მე ვარ უფალი ღმერთი შენი" (გამოსლ. XX, 3—9). ქველმოქმედების შესახებ ამას გვაუწყებს: „პატივ-ეც მამასა შენსა და დედასა შენსა; რაჲთა კეთილი გეყოს შენ და დღეგრძელ იყო ქუეყანასა ზედა, რომელი უფალმან ღმერთმან შენმან მოგცეს შენ" (გამოსლ. XX, 12). ასევე, სამართლიანობის შესახებ: „არა იმრუშო, არა კლა, არა იპარო, არა ცილი სწამო მოყუასსა შენსა წამებითა ცრუჲთა. არა გული გითქუმიდეს ცოლისათჳს მოყუასისა შენისა. არა გული გითქუმიდეს სახლისათჳს მოყუასისა შენისა, არც ყანისა მისისა, არცა მონისა მისისა, არცა მხევლისა მისისა, არცა ხარისა მისისა, არცა კარაულისა მისისა, არცა ყოვლისა საცხოვარისა მისისა, არცა ყოვლისა მისთჳს, რაჲცა იყოს მოყუასისა შენისა" (გამოსლ. XX, 13—17); აგრეთვე: „არა გარდაჰგულარძნო სამართალი დავრდომილისა საშჯელსა შინა მისსა. ყოვლისაგან სიტყჳსა ცრუჲსა განეშორო, უბრალო და მართალი არა მოაკუდინო და უღმრთოჲ არა განამართლო ქრთამისათჳს და ქრთამი არა მიიღო, რამეთუ ქრთამი დააბრმობს თუალთა მხედველთასა და განაბოროტებს სიტყუათა მართალთა" (გამოსლ. XXIII, 6—8).

ამგვარი საღვთო სჯული ამსახურა მოსემ, ღვთის მონამ, მთელ ქვეყანას, განსაკუთრებით ებრაელებს, იუდეველებად სახელდებულებს, რომლებიც ძველთაგანვე დაიმონა ეგვიპტელთა მეფემ, თუმცა იყვნენ ისინი „მართალი თესლი" ღვთისმოსავ და ღირსეულ კაცთა: აბრაამისა, ისაკისა და იაკო-

ბისა. მოიხსენა ისინი ღმერთმა, მოსეს მიერ უჩვეულო სასწაულები და ნიშები აღასრულა, გამოიხსნა ებრაელები, გამოიყვანა ეგვიპტიდან, უწინამძღვრა მათ უდაბნოში და კვლავ დაამკვიდრა ქანანელთა მიწაზე, რომელსაც ამის შემდეგ იუდეა ეწოდა. ბოლოს რჯულიც დაუდო მათ ღმერთმა და ასწავლა ყოველივე ზემოთქმული, რასაც მოიცავს მისი დიადი, საკვირველი და მართალი რჯულის ათი მცნება.

მღვდელმოწამე კიპრიანე კართაგენის ეპისკოპოსი

(+258)

დაიბადა დაახლოებით 200 წელს ქალაქ კართაგენში, სადაც მთელი სიცოცხლე გაატარა. კიპრიანე მდიდარი წარმართი სენატორის შვილი იყო, მშვენიერი საერო განათლება მიიღო და ბრწყინვალე ორატორი შეიქნა. იგი კართაგენის სკოლაში ფილოსოფიასა და მჭევრმეტყველებას ასწავლიდა, ხშირად გამოდიოდა სასამართლოზე თანამოქალაქეების დასაცავად. კიპრიანე მოგვიანებით იხსენებდა, რომ დიდხანს „ღამის წყვდიადში იმყოფებოდა ჭეშმარიტების ნათელს მოშორებული". მშობლებისაგან დანატოვარ მემკვიდრეობასა და თავის შრომით ნაშოვნ ქონებას განთქმული რიტორი ქეიფსა და დროსტარებაში ფლანგავდა; მაგრამ ღრეობამაც ვერ შეძლო ჩაეხშო მისი ლტოლვა ჭეშმარიტებისაკენ. ქრისტეანობით დაინტერესებული აპოლოგეტ პრესვიტერ ტერტულიანეს ნაწარმოებებს გაეცნო. მოგვიანებით მღვდელმთავარი წერდა, რომ იმ დროს იგი ვერ ჩასწვდა უფლის მიერ დაპირებულ აღდგომასა და განახლებას. ამ მდგომარეობიდან იგი გამოიყვანა მისმა მეგობარმა და მასწავლებელმა პრესვიტერმა. 46 წლის ბრძენი წარმართი მიღებულ იქნა ქრისტეანთა საკრებულოში. მანამდე კი კიპრიანემ ქვრივ-ობლებს დაურიგა ქონება და თავად ცეცილიუსის სახლში დასახლდა. წმიდა კიპრიანემ თავის მეგობრის დონატესადმი მიწერილ წერილში აღწერა ის ღვთიური მადლი, რომელმაც განაახლა იგი მონათვლის შემდეგ: „როდესაც განმაახლებელმა ტალღამ გადაწმიდა ჩემი ძველი ცხოვრების ყველა მანკიერება, წყნარი და მშვენიერი, ზეციდან ჩაეშვა ჩემს გულში. როდესაც ზეციურმა სულმა მეორედ დამბადა, ახალ ადამიანად მაქცია, საოცრად განვმტკიცდი ეჭვების წინაშე, გამეხსნა საიდუმლოებანი, განათდა სიბნელე. მე გავიგე, რომ ცოდვებისათვის დაბადებული ჩემში მცხოვრები მატერია მიწას ეკუთვნოდა და ახლა დაიწყო ახალი, სულიწმიდით გასხივოსნებული ცხოვრება. ღმერთშია და ღმერთისაგან არის ჩვენი ძალა, მისგანაა სიმტკიცე. მისგან მოგვდის მომავალი ნეტარების შეგრძნება"-

ერთი წლის შემდეგ კიპრიანე მღვდლად აკურთხეს, ხოლო კართაგენის ეპისკოპოს დონატეს სიკვდილის შემდეგ, დაახლოებით 248 წელს იგი მის კათედრაზე აიყვანეს.

მღვდელმთავარი უპირველეს ყოვლისა ეკლესიების კეთილმოწყობასა და სამღვდელოებასა და სამწყსოში მანკიერების მოსპობას შეუდგა, თავისი ნათელი ცხოვრებით ყველას სიწმიდისა და სიბრძნის მაგალითს აძლევდა. მისი სახელი შორს გავარდა. სხვა კათედრების ეპისკოპოსები ხშირად მიმართავდნენ რჩევისათვის. ეპისკოპოსი გაიხიზნა იმპერატორ დაკიუსის მიერ წამოწყებული დევნის დროს (249—251), რადგან მისი სიცოცხლე სამწყსოს სულიერი სიმტკიცისათვის სჭირდებოდა. გამგზავრების წინ მღვდელმთავარმა ქონება სამღვდელო პირთ დაურიგა, რათა გაჭირვებულებს დახმარებოდნენ.

ეპისკოპოსი მუდმივ კავშირში იმყოფებოდა კართაგენის ქრისტეანებთან: წერდა წერილებს პრესვიტერებს, აღმსარებლებსა და მოწამეებს. ზოგიერთ ქრისტეანს შეეშინდა წამებისა და კერპებს თაყვანი სცესა. ეს შეცდენილი ქრისტეანები აღმსარებლებს მიმართავდნენ, წერილობითი დასტური მოგვეცით, რომ ეკლესიაში დაგვაბრუნონო. კიპრიანემ მისწერა პრესვიტერებს, შეცდენილი ქრისტიანების უკან მიღება შეიძლება მხოლოდ მათი განდგომის მიზეზების ღრმად შესწავლის შემდეგო. მათი მიღება შესაძლებელი იყო, მხოლოდ საეკლესიო მონანიებისა და ეპისკოპოსის თანხმობის შემდეგ. ზოგიერთი განდგომილი ეკლესიაში დაუყოვნებლივ დაბრუნებას ითხოვდა და ამით ღელვა შეჰქონდათ საკრებულოში. ეპისკოპოსი კიპრიანე წერილებს სწერდა სხვა ეპარქიების მღვდელმთავრებსაც და მათ გამოცდილებას იყენებდა. ყველა მღვდელმთავარს მოსწონდა მისი გადაწყვეტილებანი.

ეპისკოპოსმა კიპრიანემ წერილობით დაავალა ოთხი ეკლესიის მსახურთ შეემოწმებინათ იმ ადამიანთა ცხოვრება, რომელნიც მღვდლობასა და დიაკვნობას აპირებდნენ. მას წინ აღუდგნენ საერო პირი ფელიქსიმე და ხუცესი ნოვატე, რომლებმაც სამწყსოს ამბოხი გამოიწვიეს. წმ. კიპრიანემ განკვეთა ფელიქსიმე და მისი 6 მიმდევარი. წერილში იგი მიმართავდა სამწყსოს, არ შეებღალათ ეკლესიის ერთიანობა და ეპის-

კოპოსის ჩამოსვლას დალოდებოდნენ. მის წერილს კართაგენის ქრისტეანთა უმრავლესობამ დაუჭირა მხარი.

მალე ეპისკოპოსი კართაგენს დაბრუნდა. 251 წლის ადგილობრივმა კრებამ ბოლო მოუღო ფელიქსიმეს ამბოხს. კრებამ შეცდენილი ქრისტეანების უკან დაბრუნების კიპრიანესეული წესები მიიღო და ფელიქსიმეს განკვეთა დაამტკიცა.

იმ დროს ახალი განხეთქილება მწიფდებოდა, რომელიც დაიწყო რომაელმა პრესვიტერმა ნოვაციანემ; მას კართაგენელი პრესვიტერი ნოვატეც, ფელიქსიმეს მომხრე, მიემხრო. ნოვაციანე ამტკიცებდა, რომ არ შეიძლება ეკლესიას დაუბრუნოთ დევნის დროს შეცდენილნი. ამას გარდა, ნოვაციანემ ნოვატეს დახმარებით, დაარწმუნა იტალიელი ეპისკოპოსები, რომ რომის კანონიერ ეპისკოპოს ცელინეს მაგივრად კათედრაზე სხვა ეპისკოპოსი დაედგინათ. ამ უკანონობით აღშფოთებულმა კიპრიანემ აფრიკის ეპისკოპოსებს მთელი წიგნი გაუგზავნა „ეკლესიის ერთიანობის შესახებ".

როდესაც კართაგენში საეკლესიო განხეთქილება შეწყდა, ქალაქს საშინელი ეპიდემია დაატყდა თავს. ხალხი გარბოდა — ავადმყოფებს მოუვლელად, ხოლო გარდაცვლილებს დაუმარხავად ტოვებდა. წმ. მღვდელმთავარმა თავადვე უჩვენა სიმტკიცის მაგალითი — თავად უვლიდა დავრდომილთ და მარხავდა მკვდრებს. ეპიდემიას თან საშინელი გვალვა და შიმშილობა სდევდა. ბარბაროსი ნუმიდიელები ესხმოდნენ ქალაქს და კართაგენელებს ატყვევებდნენ. მღვდელმთავარმა ბევრი მდიდარი დაიყოლია და ავადმყოფთა სამკურნალოდ და ტყვეთა გამოსასყიდად დიდძალი ფული გააღებინა.

როდესაც იმპერატორ ვალერიანეს დროს (253—259) ახალი დევნა დაიწყო, კართაგენის პროკონსულმა პატერნემ მღვდელმთავარს კერპებისათვის მსხვერპლის შეწირვა უბრძანა. კიპრიანემ უარი განაცხადა არა მარტო მსხვერპლშეწირვაზე, არამედ კართაგენის სამღვდელო პირთა სახელების თქმასა და მათი ადგილსამყოფელის მინიშნებაზეც. მღვდელმთავარი კურუბისში გადაასახლეს. გადასახლებაში მღვდელმთავარმა ბევრი წიგნი და წერილი დაწერა. შემდეგ ვნების მიღების მიზნით კართაგენს დაუბრუნდა. იგი გაასამართლეს, მაგრამ ერთი დღით გაათავისუფლეს. თითქმის ყველა კართა-

გენელი მივიდა მასთან კურთხევის მისაღებად და გამოსამშვიდობებლად. სამსჯავროზე კიპრიანემ მშვიდად განაცხადა უარი კერპებისადმი მსხვერპლის შეწირვაზე და მას თავის მოკვეთა მიუსაჯეს. ეს რომ გაიგო კიპრიანემ, თქვა: „მადლობა ღმერთს!" და ხალხმაც წარმოთქვა: „ჩვენც მასთან ერთად გვსურს სიკვდილი!" თავის კვეთის ადგილზე რომ მიიყვანეს, მღვდელმთავარმა კიდევ ერთხელ დალოცა ყველა და ბრძანა, ჯალათს ჩემგან 25 ოქრო მიეცითო. მერმე თვითონ შეიკრა თვალები, ხოლო ხელები პრესვიტერსა და დიაკვანს დააბორკვინა და მორჩილად დახარა თავი. ქრისტეანები ტირილით აფენდნენ მის წინაშე ცხვირსახოცებსა და მოსაბურავებს, რათა მისი წმიდა სისხლი შეეგროვებინათ. ეს მოხდა 257 წელს. წმიდანის ცხედარი ღამე მოიპარეს და პროკურატორ მაკრობი კანდიდიანეს კერძო სასაფლაოზე დაკრძალეს.

მოგვიანებით, კარლოს დიდის დროს (771—814), მისი წმიდა ნაწილები საფრანგეთში გადაასვენეს.

მღვდელმთავარმა კიპრიანე კართაგენელმა ეკლესიას დიდი საუნჯე დაუტოვა: მღვდელმთავრის ნაწარმოებები მიჩნეულ იყო მართლმადიდებლური აღმსარებლობის ნიმუშებად და ისინი მსოფლიო კრებებზე იკითხებოდა (ეფესოს III და ქალკედონის IV კრებებზე). მღვდელმთავარ კიპრიანეს ნაწარმოებებში გადმოცემულია მართლმადიდებლური მოძღვრება იესო ქრისტეს მიერ დაარსებული და მოციქულთა მიერ მოწყობილი ეკლესიის შესახებ. მისი შინაგანი ერთიანობა გამოხატულია რწმენისა და სიყვარულის ერთანობაში, ხოლო გარეგანი ერთიანობა — იერარქიასა და საეკლესიო საიდუმლოებებში. ქრისტეს ეკლესია შეიცავს სიცოცხლისა და გადარჩენის მთელ სისავსეს. ვინც ეკლესიის ერთიანობას განუდგება, იგი თავის თავშივე ისპობს ჭეშმარიტ ცხოვრებას. ეკლესიის შემდეგ ყველაზე ძალა ქრისტეანული სიყვარულია. „სიყვარული საძირკველია ყოველგვარი სიკეთისა, იგი მუდამ ჩვენთან ერთად იქნება ზეციურ სასუფეველში"[1].

---

[1] „თვენი". III ტ. 632—637 გვ.

წმ. მღვდელმოწამე კვიპრიანე კართაგენის ეპისკოპოსი

ეკლესიის ერთიანობის შესახებ

საყვარელო ძმებო, უნდა ვუფრთხოდეთ არა მხოლოდ აშკარა და თვალსაჩინო ტყუილს, არამედ ისეთსაც, დახვეწილი ცბიერებითა და მზაკვრობით რომაა შენიღბული. მას მერე, რაც მტერი იძლია ქრისტეს მოსვლით, და მოვიდა ნათელი, განმანათლებელი წარმართთა, აღმობრწყინდა მნათობი მაცხოვნებელი, ბედნიერების მომტანი კაცთათვის, მას მერე, რაც ბოროტმა იხილა კერპები — მიტოვებული, თავისი სახლები და საკერპოები — დაცარიელებული, განა შეიძლება უფრო დახვეწილი მზაკვრობისა და ცბიერების წარმოდგენა, ვიდრე ის ახალი ტყუილია, მტერმა რომ მოიფიქრა — თვით ქრისტეანის სახელით აცთუნოს გაუფრთხილებელნი? მან გამოიგონა წვალებანი და განხეთქილებანი, რათა დაამხოს სარწმუნოება, დაამახინჯოს ჭეშმარიტება, დაარღვიოს ერთიანობა. ვის დაბრმავებას და ძველ გზაზე დაყენებასაც ვერ ასერხებს, ის ახალი გზით შეჰყავს შეცდომაში. თვით ეკლესიიდან იტაცებს ადამიანებს და სწორედ მაშინ, როდესაც ისინი უკვე უახლოვდებოდნენ ნათელს, როცა თავს აღწევდნენ ამა ქვეყნის უკუნეთს, მათთვის შეუცნობლად ახალ ბნელეთში ხვევს. ასე რომ, ისინი სახარების სწავლებით არ ცხოვრობენ და ღამის წყვდიადში დაეხეტებიან, თანაც ჰგონიათ, თითქოს ნათელში ვლენან. ასეთია მზაკვრული მანქანება მტრისა, რომელიც, მოციქულის თქმით, გარდაისახება „ანგელოსად ნათლისა“ (2 კორ. 11, 14) და თავის მსახურებს სიმართლის მსახურებად წარმოადგენს, ისინი კი დღეს ღამედ აცხადებენ, წარწყმედას — ცხონებად, სასოების საფარველ ქვეშ სასოწარკვეთილებას მალავენ, სიმუხთლეს რწმენას უწოდებენ, ანტიქრისტეს ქრისტედ სახელდებენ, ტყუილს სიმართლედ ასაღებენ და დახვეწილი მზაკვრობით განაქარვებენ ჭეშმარიტებას. ეს იმიტომ ხდება, საყვარელო ძმებო, რომ არ მიმართავენ ჭეშმარიტების საწყისს, არ ეძიებენ მის სათავეს, არ იმარხავენ ზეციური მოძღვრის სწავლებას. განა შეუძლია მას, ვინც არ

იცავს ეკლესიის ერთიანობას, ჩათვალოს, რომ სარწმუნოებას იცავს?

ან რა იმედი უნდა ჰქონდეს მას, ვინც უპირისპირდება და ეწინააღმდეგება ეკლესიას, რომ ამის მიუხედავად მაინც ეკლესიის წევრია? და ეს მაშინ, როცა პავლე მოციქული ეკლესიის შესახებ ამბობს: „ერთ ხორც და ერთ სულ, ვითარცა-იგი იჩინენით, ერთითა მით სასოებითა ჩინებისა თქუენისათა; ერთ არს უფალი, ერთ სარწმუნოებაჲ, ერთ ნათლისღება, ერთ არს ღმერთი“ (ეფეს. 4, 4—6). მტკიცედ უნდა დავიცვათ და დავიმარხოთ ეს ერთიანობა; ნურავის ტყუილს ნუ აჰყვება ჩვენი ძმობა! ნურავინ დაემუქრება სარწმუნოების ჭეშმარიტებას მუხანათური მზაკვრობით! ერთია ეკლესია, თუმცა მორწმუნეთა გამრავლებისას იგი ნაწილებად იყოფა. ისევე როგორც მზეს მრავალი სხივი აქვს, მაგრამ ნათელი მისი ერთია, ხეს ბევრი ტოტი აქვს, ტანი კი — ერთი, მყარად ფესვგადგმული, მრავალი ნაკადული გამოდის წყაროს სათავიდან, და თუმცა წყლის სიუხვეს ამ ნაკადულთა სიმრავლე ქმნის, სათავე მათი მაინც ერთია. სცადე და მოსწყვიტე მზის სხივი თავის საწყისს — ცალკე ის ვერ იარსებებს, მოტეხილი ტოტი მოკვდება, სათავეს მოშორებული ნაკადული მყისვე დაშრება. ასევე ეკლესია, უფლის ნათლით განბრწყინვებული, მთელ ქვეყანას ჰფენს თავის სხივებს, მაგრამ თვით ნათელი, საიდანაც გამოდის ეს სხივები, ერთია და მისი ერთიანობა დაურღვეველი რჩება. მთელ ქვეყანას სწვდება მისი ტოტები, ნაყოფით დახუნძლული, შორს მიედინება მისგან გამოსული მდინარეები, და ამასთან სათავე ერთია, ერთია საწყისი, ერთია დედა, ნაყოფიერებით განმდიდრებული. ჩვენც მისგან ვიშვებით, მისი რძით ვიკვებებით, მისივე სულით განვსულიერდებით. სძალი ქრისტესი შეუძლებელია დამახინჯდეს, იგი სუფთაა და განუხრწნელი, ერთი სახლი აქვს და უბიწოდ ინახავს ერთი სარეცლის სიწმიდეს. იგი ღმერთისათვის გვინახავს — სასუფევლისათვის ამზადებს თავისგან შობილთ. ყოველი, ვინაც განეშორება ეკლესიას, მემრუშე ცოლს ემსგავსება და უცხო ექმნება ეკლესიის აღთქმას. ვინც განუდგება ეკლესიას, ის აკლდება ქრისტეს მიერ დაპირებულ ჯილდოს, იგია უცხო, უხმარი, მტერი ეკლესიისა. ვის-

თვისაც ეკლესია დედა არ არის, იმისთვის ღმერთი მამა ვერ იქნება. ეკლესიის გარეშე მდგომი კაცის ცხოვნება მხოლოდ მაშინ იქნებოდა შესაძლებელი, ვინმე რომ გადარჩენილიყო წარღვნის დროს ისეთი, ვინც ნოეს კიდობანში არ მჯდარა. უფალი ასე გვასწავლის: „რომელი არა არს ჩემ თანა, იგი მტერ ჩემდა არს, და რომელი არა შეჰკრებს ჩემ თანა, იგი განაბნევს“ (მათე, 12, 30). ქრისტესმიერი მშვიდობისა და ერთობის დამარღვეველი ქრისტეს წინააღმდეგია. ვინც სხვაგან შეკრებს, და არა ეკლესიაში, ის წარაგებს ქრისტეს ეკლესიას.

იტყვის უფალი: „მე და მამაჲ ჩემი ერთ ვართ“ (იოანე, 10, 30). სხვა ადგილას მამისა, ძისა და სული წმიდის შესახებ წერია: „ესე სამნი ერთ არიან“ (I იოანე, 5, 7). ვინ იფიქრებს, რომ ეს ერთიანობა, რომელიც ღმრთაებრივ უცვალებლობაზეა დამყარებული და ზეციურ საიდუმლოებებთანაა შეერთებული, განა შეიძლება დაირღვეს და დანაწევრდეს იმის გამო, რომ ეკლესიაში მეტოქე მსარეები ვერ შეთანხმდნენ? არა, ამ ერთიანობის დამარღვეველი არ ინახავს საღმრთო სჯულს, არ იცავს მამისა და ძის რწმენას, არ ადგას ცხოვნების ჭეშმარიტ გზას. ეს საიდუმლო ერთიანობისა, ეს განუყოფელი თანხმობა ასახულია სახარებისეულ ამბავში ქრისტეს კვართის შესახებ. კვართი არ გაუყვიათ და არ დაუნაწილებიათ, არამედ წილად ხვდა მთლიანად ერთ კაცს, და განუყოფელი და დაუნაწევრებელი დარჩა. ამასთან დაკავშირებით საღმრთო წერილი ამბობს: „ხოლო კუართი იგი, რომელი იყო უკერველ, ზეჲთ გამოქსოვილ ყოვლად, თქუეს უკუე ურთიერთას: არა განვხიოთ ესე, არამედ წილ-ვიგდოთ ამას ზედა, ვისიცა იყოს“ (იოანე, 19, 23—24). ამ კვართს მამისაგან ჰქონდა მაღლით მიცემული ერთიანობა, და ამიტომ არ შეიძლებოდა დაენაწევრებინათ იმათ, ვისაც ის ერგო, არამედ ერთხელ და სამუდამოდ დარჩა მთლიანი და განუყოფელი. ამიტომ შეუძლებელია ქრისტეს სამოსი ჰქონდეს იმას, ვინც ქრისტეს ეკლესიას. არღვევს. თავისი კვართის საიდუმლოთი უფალმა ეკლესიის ერთიანობაზე მიგვანიშნა.

ვინაა იმდენად უსჯულო და ორგული, ვინ შეუპყრია ისე ძალუმად განხეთქილების ჩამოგდების ვნებას, რომ შესაძლებლად მიაჩნია, ანდა კადნიერდება დაარღვიოს ღმრთაებ-

რივი ერთიანობა, უფლის კვართი — ეკლესია ქრისტესი? თვით უფალი შეგვახსენებს და გვმოძღვრავს თავისი სახარებით: „და იყვნენ ერთ სამწყსო და ერთ მწყემს“ (იოანე, 10, 10). ვინ იფიქრებს, რომ ერთ ადგილას მრავალი მწყემსისა და მრავალი სამწყსოს არსებობაა შესაძლებელი? პავლე მოციქული, იმავე ერთიანობას რომ შთაგვაგონებს, გვვედრის და გვარიგებს: „ხოლო გლოცავ თქვენ, ძმანო, სახელითა უფლისა ჩვენისა იესო ქრისტესითა, რაჲთა მასვე იტყოდით ყოველნი, და ნუ იყოფინ თქუენ შორის წვალებაჲ, არამედ იყვენით განმტკიცებულნი მითვე გონებითა და მითვე მეცნიერებითა“ (I კორინთ. 1, 10). სხვა ადგილასაც იგივეს ამბობს: „ყოვლითა სიმდაბლითა და სიმშვიდითა და სულგრძელებითა, თავს-იდებდით ურთიერთას სიყვარულითა, ისწრაფდით დამარხვად ერთობასა მას სულისასა საკვრელითა მით მშვიდობისაჲთა“ (ეფეს. 4, 2—3). შენ კი გგონია, რომ შესაძლებელია ეკლესიის გარეშე დგომა, სხვა სამყოფელის მოწყობა?

ნუვინ იფიქრებს, თითქოს კეთილ კაცებს შეეძლოთ გამოეყონ ეკლესიას. ქარი არ განაბნევს ხორბალს, და ფესვმაგარ ხეს ქარიშხალი ვერას აკლებს. მხოლოდ ბზეს ფანტავს ნიავი, სუსტი ხე წვება გრიგალისაგან. სწორედ მათ შეაჩვენებს იოანე მახარებელი, როდესაც ამბობს: „ჩუენგან განვიდეს, არამედ არა იყვნეს ჩუენგანნი, რამეთუ, უკუეთუმცა ჩუენგანნი იყვნეს, და-მცა-დგრომილ იყვნეს ჩუენ თანა“ (I იოანე, 2, 19). წვალებანი ხშირად იქიდან ჩნდებოდნენ და დღესაც ჩნდებიან, რომ თვითრჯულ გონებას არა აქვს მშვიდობა თავის თავში, და განხეთქილების მთესველი ორგულება არ იცავს ერთიანობას. უფალი ჩვენს თავისუფალ ნებას უფრთხილდება და ამიტომ უშვებს, რომ ჩვენი გულისა და გონების გამოცდით, ჭეშმარიტების ძიების გზით, ნათლად გამოჩნდეს ღირსთა წმიდა სარწმუნოება. ამას წინასწარ გვამცნობს სული წმიდა მოციქულის პირით: „რამეთუ წვალებანიც ყოფად არიან თქუენ შორის, რაჲთა რჩეულნი იგი თქუენ შორის გამოჩნდნენ“ (I კორ. 11, 19). ასე ხდება ერთგულთა გამოცდა და ორგულთა მხილება, ასე ეყრებიან მართალთა სულები უსჯულოთა სულებს და ბზე — ხორბალს

ჯერ კიდევ სამსჯავროს დღემდე! განეყენებიან ისინი, რომელნიც ღმრთაებრივი განჩინების გარეშე, თვითნებურად იღებენ საკუთარ თავზე უგნური ბრბოს ბელადობას, კანონიერი კურთხევის გარეშე აცხადებენ თავს წინამძღვრებად, ეპისკოპოსის სახელს ისაკუთრებენ მაშინ, როცა მათთვის ეს წოდება არავის მიუნიჭებია. სული წმიდა ფსალმუნებში მათ უწოდებს „მსხდომთა“ საჯდომელთა უსჯულოთასა“ (ფს. 1, 1), სარწმუნოების სენსა და იარას, ადამიანებს, რომლებიც გველივით აცთუნებენ გულუბრყვილობას, ამახინჯებენ ჭეშმარიტებას, რომელთა ენაც დამღუპველ შხამს ანთხევს „და სიტყუამან მათმან, ვითარცა სრსვილმან, საძოვარი პოვოს“ (2 ტიმ. 2, 17), და რომელთა სიტყვები მომაკვდინებელ საწამლავად შედის ადამიანთა გულში. მათ წინააღმდეგ ღაღადებს უფალი, მათგან იცავს და მათ არიდებს თავის გზადაკარგულ ერს, როდესაც აფრთხილებს: „ნუ ისმენთ სიტყვათა წინასწარმეტყველთათა, რომელნი გიწინასწარმეტყველებენ თქუენ, რამეთუ გაამოებენ თქუენ იგინი. ხილვასა გულისა მათისასა იტყვიან და არა პირისაგან უფლისა“ (იერემია, 23, 16). მათვე აღწერს უფალი სხვაგან, როდესაც ამბობს: „მე დამიტევეს, წყაროჲ წყლისა ცხოველისაჲ, და უთხარნეს თავთა მათთა ჯურღმულნი გახურეტილნი, რომელნი ვერ შემძლებელ არიან დაპყრობად წყლისა“ (იერ. 2, 13). ხომ ცნობილია, რომ შესაძლებელია მხოლოდ ერთი ნათლისღება, იმათ კი ჰგონიათ, რომ თვითონაც შეუძლიათ მონათვლა, ცხოვრების წყარო დაუტევებიათ და რაღაც სხვა, მაცოცხლებელ წყალს ჰპირდებიან ადამიანებს. ამ წყლით ადამიანები კი არ განიბანებიან, არამედ უფრო მეტად იბილწებიან, ცოდვები კი არ აღიხოცებიან, უფრო მეტად მძიმდებიან. ასეთი შობით ღმრთის ძენი კი არა ეშმაკის ძენი იშვებიან. ძენი სიცრუისანი აღთქმულ ჭეშმარიტებას ვერ დაიმკვიდრებენ. ღალატით შობილნი სარწმუნოების მადლს ღუპავენ. უფლისმიერი მშვიდობის სასტიკი განხეთქილებით დამარღვეველნი მშვიდობის ჯილდოს ვერ მოიპოვებენ.

მავანნი და მავანნი თავს ნუ მოიტყუებთ უფლის ნათქვამი სიტყვებით: „სადაც იყვნენ ორნი გინა სამნი შეკრებულ სახელისა ჩემისათვის, მუნ ვარ მე შორის მათსა“ (მათე, 18, 20).

სახარების გამაყალბებლებს და ცრუ განმმარტებლებს ეს სიტყვები კი მოჰყავთ, მაგრამ რაც მათ წინ უძღვით, იმას ტოვებენ. ერთ ნაწილს გვახსენებენ, მეორეს კი მზაკვრულად ჩქმალავენ. როგორც თვითონ გამოეყვნენ ეკლესიას, ისევე ანაწევრებენ ერთი ადგილის მთლიანობას. უფალი თავის მოწაფეებს ჩააგონებს ერთსულოვნებისა და მშვიდობის შენარჩუნებას და ეუბნება: „ამინ გატყვი თქუენ: უკუეთუ ორნი თქუენგანნი შეითქუნენ ქუეყანასა ზედა ყოვლისათვისცა საქმისა, რომელიცა ითხოვონ, ეყოს მათ მამისა ჩემისაგან ზეცათაჲსა. რამეთუ სადაცა იყვნენ ორნი გინა სამნი შეკრებულ სახელისა ჩემისათვის, მუნ ვარ მე შორის მათსა“ (მათე, 18, 19), და ამით გვიჩვენებს, რომ ბევრი რამაა დამოკიდებული მლოცველთა ერთსულოვნებაზე და არა მათ რაოდენობაზე. „უკუეთუ ორნი თქუენგანნი შეითქუნენ ქუეყანასა ზედა“, ამბობს იგი.

ამგვარად, უფალმა გვამცნო პირველ ყოვლისა თანხმობა, ერთსულოვნება, და გვასწავლა მტკიცედ და უყოყმანოდ ვეთანხმებოდეთ ერთმანეთს. მაგრამ როგორ დაეთანხმება ვინმეს ის, ვინც არ ეთანხმება წმ. ეკლესიის სხეულსა და მთელ ძმობას? როგორ უნდა შეიკრიბონ ქრისტეს სახელით ორნი ან სამნი, რომელთა შესახებ ცნობილია, რომ ისინი განუდგებიან ქრისტესა და მის სახარებას? ჩვენ ხომ არ გამოვყოფილვართ ამ ადამიანებს, ისინი გამოგვეყვნენ, მას შემდეგ, რაც სხვადასხვა კრებები მოაწყვეს, წვალებანი და განხეთქილებანი ჩამოაგდეს და დაუტევეს თავი და საწყისი ჭეშმარიტებისა. უფალი კი ამბობს თავისი ეკლესიის შესახებ, ამ ეკლესიის წიაღში მყოფთა შესახებ, რომ თუ ისინი შეთანხმებულნი იქნებიან, თუ უფლის სწავლების თანახმად თუნდაც ორნი ან სამნი შეიკრიბებიან და ერთსულოვნად ილოცებენ, მაშინ, იმის მიიუხედავად, რომ მხოლოდ ორნი ან სამნი არიან, მიიღებენ, რასაც ითხოვენ. „სადაცა იყვნენ ორნი გინა სამნი შეკრებულ სახელისა ჩემისათვის, მუნ ვარ მე შორის მათსა“ ანუ უბრალო და მშვიდობიან, ღმრთისმოშიშ და ღმრთის მცნებათა დამმარხველ ადამიანთა შორის. უფალმა აღგვითქვა, რომ ასეთებს შორის იქნებოდა, როგორც სამ ყრმას შორის იყო სახმილსა შინა, და ცვარით განაგრი-

ლებდა მათ, რადგან ისინი ღმრთის ერთგულნი და ერთსულოვანნი იყვნენ (დან. 3, 50). უფალი იყო აგრეთვე საპყრობილეში ჩაგდებულ ორ მოციქულთან, და რაკი ისინი უპრალონი და ერთსულოვანნი იყვნენ, გაუღო საპყრობილის კარი და გამოიყვანა, რათა მათ ექადაგათ ხალხისთვის ჭეშმარიტება. (საქმე, 9, 19). ამრიგად, როდესაც უფალი თავის მცნებაში გვიდგენს და გვეუბნება: „სადაცა იყვნენ ორნი გინა სამნი შეკრებულ სახელისა ჩემისათვის, მუნ ვარ მე შორის მათსა", ამით იგი, შემქმნელი და დამაწესებელი ეკლესიისა, კი არ გამოყოფს ადამიანებს ეკლესიისაგან, არამედ ამხილებს სარწმუნოებისაგან განდრეკილთ და მორწმუნეებს მშვიდობის შენარჩუნებას ჩააგონებს. ამ სიტყვებით უფალი გვიჩვენებს, რომ იგი ორ ან სამ ერთსულოვან მლოცველს შორის უფროა, ვიდრე სხვა საქმისთვის თავშეყრილ უამრავ ხალხთან. ამიტომ, როდესაც ლოცვის წესი დაგვიდგინა, უფალმა იქვე დასძინა: „და რაჟამს სდგეთ ლოცვასა შინა, მიუტევეთ, უკუეთუ გაქუნდეს რაჲმე ბოროტი ვისთვისმე, რაჲთა მამამანცა თქუენმან, რომელ არს ცათა შინა, მოგიტევნეს შეცოდებანი თქუენნი" (მარკ. 11, 25). მას, ვინც აპირებს მსხვერპლი შესწიროს ღმერთს, გულში კი ვინმეს მტერობა უდევს, უფალი არ აძლევს საკურთხეველთან მისვლის ნებას, უბრძანებს, ჯერ შეურიგდეს ძმას, და მერე მშვიდობით შესწიროს მსხვერპლი ღმერთს (მათე, 5, 23—24). ღმერთმა არ მიიღო კაენის მსხვერპლი, რამეთუ წყალობის თვალით ვერ მიხედავდა მას, ვისაც შურისა და სიძულვილის გამო განხეთქილება ჰქონდა ძმასთან.

რა მშვიდობას ჰპირდებიან საკუთარ თავს ძმათა მოძულენი? რა მსხვერპლის შეწირვას ფიქრობენ მღვდლების მოშურნენი? ნუთუ, როდესაც ეკლესიის გარეთ იკრიბებიან, ჰგონიათ. რომ მათთან არს ქრისტე? ასეთებმა სიკვდილიც რომ დაითმინონ ქრისტეს სახელით, ლაქას სისხლითაც ვერ ჩამოირეცხავენ. მძიმე, აღუხოცველი დანაშაული განხეთქილებისა წამებითაც კი ვერ განიწმიდება. მოწამე ვერ იქნება ის, ვინც ეკლესიის წიაღში არ იმყოფება, ვერ მოიპოვებს სასუფეველს იგი, ვინც დაუტევა ეკლესია, რომელიც დაიმკვიდრებს სასუფეველს. ქრისტემ მშვიდობა მოგვანიჭა, მან გვიბრძანა, ვყოფილიყავით ერთსულოვანნი და შეთანხმებულნი,

გვამცნო მტკიცედ და დაურღეველად შეგვენახა ერთობა და სიყვარული, და ის, ვინც არ დაიმარხა ძმათა შორის სიყვარული, მოწამე ვერ იქნება. ამასვე გვასწავლის, ამასვე ადასტურებს პავლე მოციქული, როდესაც ამბობს: „ძაქუნდეს-ღათუ ყოველივე სარწმუნოებაჲ ვიდრე მთათაცა ცვალებადმდე და სიყუარული თუ არა მაქუნდეს, არავე რაჲ ვარ. და შე-ღათუ ვაჭამო ყოველი მონაგები ჩემი და მივსცნე ხორცნი ჩემნი დასაწუველად და სიყუარული არა მაქუნდეს, არარაჲვე სარგებელ არს ჩემდა. სიყუარული სულ-გრძელ არს და ტკბილ; სიყუარულსა არა ჰშურნ, სიყუარული არა მაღლოინ, არა განლაღნის, არა სარცხვინელ იქმნის, არა ეძიებნ თავისასა, არა განრისხნის, არად შეჰრაცხის ბოროტი, ყოველსა თავს-იდებნ, ყოველი ჰრწამნ, ყოველსა ესავნ, ყოველსა მოითმენნ. სიყუარული არასადა დავარდების“ (I კორ. 13; 2, 3, 4, 5, 6, 9). სიყვარულიო, ამბობს მოციქული, არასადა დავარდების, იგი სამუდამოდ დარჩება ზეციურ სასუფეველში, დაუსრულებლად გაგრძელდება იქ ძმათა კავშირის ერთიანობაში.

შფოთისა და უთანხმოების ჩამომგდებნი ვერ ეღირსებიან სასუფეველსა და ჯილდოს ქრისტესგან, რომელმაც თქვა: „ესე არს მცნებაჲ ჩემი, რაჲთა იყუარებოდეთ ურთიერთას“ (იოანე, 15, 12). ქრისტეს კუთვნილი ვერ იქნება ის, ვინაც მუხანათური განხეთქილებით დაარღვია სიყვარული ქრისტესი, ხოლო ვისაც სიყვარული არა აქვს, იგი ღვთის გარეშეა. ნეტარი მოციქული ამბობს: „ღმერთი სიყვარული არს და რომელი ეგოს სიყუარულსა ზედა, ღმერთი მის თანა ჰგიეს და იგი ღმრთისა თანა“ (I იოანე, 4, 16). ამგვარად, ღმერთთან ვერ დაემკვიდრებიან ისინი, ვინაც არ ისურვა ღმრთის ეკლესიაში ერთსულოვნება შეენარჩუნებინა, თუნდაც ისინი ცეცხლში დაწვან და მხეცებს მიუგდონ შესაჭმელად. ეს მათთვის სარწმუნოების გვირგვინი კი არა, სასჯელი იქნება ორგულებისათვის, ღმრთისმსახურებრივი ღვაწლის კეთილი დასასრული კი არა, სასოწარკვეთილების დაბოლოება. ასეთი კაცი შეიძლება მოაკვდინონ, მაგრამ მოწამის გვირგვინს ის ვერ მიიღებს, და ისევე ამაოდ უწოდებს ქრისტეანს თავის თავს, როგორც თვით ეშმაკი სახელდებს თავის თავს ქრისტედ. მა-

ცხოვარიც ხომ ამის შესახებ ამბობს: „რამეთუ მრავალნი მოვიდოდიან სახელითა ჩემითა და იტყოდიან, ვითარმედ: მე ვარ, და მრავალთა. აცთუნებდიან“ (მარკ. 13, 6). როგორც ეშმაკი არაა ქრისტე, თუმცა მისი სახელით აცთუნებს ადამიანებს, ისევე ვერ ჩაითვლება ქრისტეანედ ის, ვინც არ ცხოვრობს სახარებითა და ჭეშმარიტი სარწმუნოების მცნებათა მიხედვით. თქმა არ უნდა, დიდი და საკვირველი საქმეა წინასწარმეტყველება, ეშმაკთა განსმა, დიდ-დიდი სასწაულების ქმნა, მაგრამ ყოველივე ამის მოქმედი ვერ მიაღწევს ზეციურ სასუფეველს, თუ პირდაპირი და ჭეშმარიტი გზით არ ივლის. ამას გულისხმობს უფალი, როდესაც ამბობს: „მრავალთა მრქუან მე მას დღესა შინა: უფალო, უფალო, არა სახელითა შენითა ვწინაჲსწარმეტყველებდითა და სახელითა შენითა ეშმაკნი განვასხენით და სახელითა შენითა ძალნი მრავალნი ვქმენენით? მას ჟამსა ვრქუა მათ, ვითარმედ: არა გიცნი თქუენ, განმეშორენით ჩემგან ყოველნი მოქმედნი უსჯულოებისანი“ (მათე, 7, 22—23). იმისთვის, რომ მამა ღმერთს სათნო ვეყოთ, საჭიროა სიმართლე, იმისათვის, რომ ჩვენი შრომისათვის საზღაური მივიღოთ, ღმრთის მცნებებსა და სწავლებას უნდა დავემორჩილოთ. სახარებით უფალი გვიჩვენებს სარწმუნოებისა და სასოების გზას და ამბობს: „უფალი ღმერთი შენი უფალი ერთ არს. და შეიყვარო უფალი ღმერთი შენი ყოვ- უფალი ერთ არს. და შეიყუარო უფალი ღმერთი შენი ყოვლითა გონებითა შენითა და ყოვლითა ძალითა შენითა. ესე არს პირველი მცნებაჲ. და მეორე, მსგავსი ამისი: შეიყუარო მოყუასი შენი ვითარცა თავი თვისი. უფროჲს ამათსა სხუაჲ მცნებაჲ არა არს. ამათ ორთა ყოველი სჯული და წინაჲსწარმეტყუელნი დამოკიდებულ არიან“ (მარკ. 12, 30—31), (მათე, 22, 37—40). ამ სწავლებით უფალმა გვამცნო ერთიანობა და მასთან ერთად — სიყვარული, ორ მცნებაში მოათავსა სჯული და წინასწარმეტყველები. და რა ერთიანობას იცავს, რა სიყვარულს ინახავს, ან საერთოდ რომელ სიყვარულზე ლაპარაკობს ის, ვინც განხეთქილების ჩამოგდებას ცდილობს და შუაზე ყოფს ეკლესიას, არღვევს სარწმუნოებას, აღაშფოთებს შშვიდობას, აღმოფხვრის სიყვარულს, ბილწავს საიდუმლოებას? დიდი ხანია სათავე დაიდო ამ ბოროტებამ, საყვარელო

ძმებო, მაგრამ დამღუპველი დინების დამანგრეველმა ძალამ ამჟამად იმატა, მწვალებლურ ცთუნებათა და განხეთქილებათა მომწამვლელი ქმედება სულ უფრო მეტად მჟღავნდება და ვრცელდება. თუმცა, სული წმიდამ მოციქულის პირით იწინასწარმეტყველა, რომ ქვეყნიერების დასასრულს ასეც მოხდება: „უკუანაჲსკნელთა დღეთა მოიწინეს ჟამნი ბოროტნი და იყვნეს კაცნი თავის მოყუარე, ვეცხლის მოყუარე, ლაღ, თავ-მოთნე, ამპარტავან, მგმობარ, მამა-დედისა ურჩ, უმადლო, უღირს, უყუარულ, უწირავ, მასმენელ, უთმინო, დაუმჭირველ, უზავ, უმშვიდებელ, კეთილის მოძულე, შინა-განმცემელ, წარმდებ, აღზუავებულ, გულის თქუმის მოყუარე უფროჲს, ვიდრე ღმრთის მოყუარე, აქუნდეს ხატი ღმრთის მსახურებისაჲ და ძალსა მისსა უარ-ჰყოფდნენ. და ამათგანცა განეშორე. რამეთუ ამათგანნი არიან, რომელნი შევლენან სახლებსა და გამოსტყუენვენ დედათა, შეკრებილთა ცოდვითა, მოიპოვებენ გულის თქუმათა თითო სახეთა, ყოვლადვე ისწავებენ და არასადა მეცნიერებასა ჭეშმარიტებისასა შემძლებელ არიან მოსლვად. ვითარცა იგი იანე და იამბრე უხდებოდეს მოსეს, ეგრეთცა ესენი უხდებიან ჭეშმარიტებასა, კაცნი გახრწნილნი გონებითა, გამოუცდელნი სარწმუნოებითა. გარნა არა წარემატნენ უფროჲს, რამეთუ უგუნურებაჲ მათი ცხად იყოს ყოველთა, ვითარცა-იგი მათი იყო“ (II ტიმ. 3, 1—9). წინასწარმეტყველება სრულდება: ქვეყნის დასასრულის მოახლოებასთან ერთად უკვე ჩნდებიან ასეთი ადამიანები და დგება ასეთი ჟამი. მტერი უფრო და უფრო მძვინვარე ხდება, და ამასთან ერთად შეცთომილება გვატყუებს, სიცოფე განგვალაღებს, შური აღგვაგზნებს, გულისთქმა გვაბრმავებს, უსჯულოება გვრყვნის, სიამაყე გვერევა, უთანხმოება გვასასტიკებს და მრისხანება გვღუპავს. მაგრამ დაე ნუ შეგვარყევს და ნუ დაგვაბრკოლებს მოულოდნელი, უკიდურესი მუხანათობა მრავალთა, დაე წინასწარმეტყველების ჭეშმარიტებამ განამტკიცოს ჩვენი სარწმუნოება. წინასწარმეტყველების თანახმად მავანნი შეორგულდნენ, მაშ დაე სხვა ძმები უფრთხილდნენ მათ, რამეთუ ესეც წინასწარ გვამცნო უფალმა: „ხოლო თქუენ იხილეთ და ეკრძალენით, აჰა ესერა წინაჲსწარ გითხარ თქუენ ყოველი“ (მარკ. 13, 13). გვედრით

თქუენ, გაექეცით ასეთ ადამიანებს და სასიკვდილო შხამივით მოერიდეთ მათ დამღუპველ საუბრებს, როგორც საღმრთო წერილი გვირჩევს: „მოზღუდე ყურნი შენნი ეკლითა და ნუ ისმენ სიტყვათა უსჯულოთასა“ (სირ. 28, 28), რამეთუ“ განხრწნიან წესთა კეთილთა ზრახვანი ბოროტნი“ (I კორ. 15, 33). თვით უფალი გვმოძღვრის და გვამცნებს განვეშოროთ ასეთებს: „ბრმანი არიან და წინამძღუარნი ბრმათანი, ხოლო ბრმაი ბრმასა თუ წინა-უძღვინ, ორნივე მთხრებლსა შთაცვივიან“ (მათე, “5, 14). უნდა გავექცეთ და განვერიდოთ ყველას, ვინც განუდგა ეკლესიას, „რამეთუ გარდაგუარძნილ არს ეგევითარი იგი და სცოდავს და არს იგი თვით დასჯილ“ (ტიტ. 3, 11). განა შეიძლება ვიფიქროთ, რომ ქრისტესთან ერთადაა ის, ვინც ქრისტეს მღვდლების წინააღმდეგ მოქმედებს, ვინც განეშორება ქრისტეს სამღვდელო დასსა და ერს? ასეთი კაცი ხომ ეკლესიის წინააღმდეგაა ამხედრებული, ღმრთის განგებას უპირისპირდება, მტერია საკურთხეველისა, სარწმუნოებას ღალატობს, ღმრთისმსახურების მიმართ მკრეხელობას სჩადის. იგია ურჩი მონა, უსჯულო შვილი, ბოროტი ძმა, ეპისკოპოსთა შეურაცხმყოფელი და მღვდელთაგან განდგომილი, იგი სხვა საკურთხევლის აღმართვას ბედავს, სხვა ლოცვების შედგენას იწყებს უჯერო სიტყვებით, ცრუ მსხვერპლშეწირვით ბილწავს ღმრთისადმი შეწირული მსხვერპლის ჭეშმარიტებას და არც კი უნდა გაიგოს, რომ ღმრთაებრივი განწესების წინააღმდეგ მოქმედი ღმრთაებრივი ნებითვე დაისჯება უგნური კადნიერებისათვის.

ასე დაისაჯნენ კორე, დათანი და აბირონი, რომლებიც მოსესა და მღვდელ აარონის წინააღმდეგ აღდგნენ და მსხვერპლშეწირვის უფლების მისაკუთრება დააპირეს, მიწა გაირღვა, ღრმა უფსკრული გაჩნდა და ცოცხლივ შთანთქა ისინი. მხოლოდ შფოთისთავებს როდი ეწია ღმრთის რისხვა, ცეცხლმა შემუსრა მათი უგნურების მოზიარე და მიმდევარი 150 კაციც (რიცხვთა, 16), და ამით გვიჩვენა, რომ უსჯულოთა ყველა თვითნებური წამოწყება ღმრთის განგების წინააღმდეგ ღმრთისაგან განდგომას ნიშნავს. ასევე ოზია მეფე: როდესაც ხელში საცეცხლური აიღო და ღმრთის სჯულის საწინააღმდეგოდ მსხვერპლშეწირვის უფლება დაისაკუთრა, არ დაემორჩილა და

არ დაუთმო მღვდელ აზარიას, რომელიც აყენებდა მას ამ საქმისაგან, ღმრთის რისხვა ეწია და შუბლზე კეთრი გამოაჩნდა — შეურაცხყოფილმა ღმერთმა სხეულის სწორედ ის ნაწილი დაუშანთა, რომელზეც ღმრთის სათნო-მყოფელთ წყალობის ნიშანი აღებეჭდებათ ხოლმე (II ნეშტთა. 26). ასევე დაისაჯნენ აარონის ძენი: როდესაც საკურთხეველზე დაანთეს უცხო ცეცხლი, რაც მათ ღმრთისაგან ჰქონდათ აკრძალული, მყისვე ცეცხლით მოისრნენ ღმრთის მიერ (ლევ. 10). მათვე ჰბაძავენ და მათ კვალს მიჰყვებიან ისინი, ვინც ღმრთის მცნებებს შეურაცხყოფენ, უცხო მოძღვრებებს ითვისებენ და კაცთაგან დადგენილ წესებს მისდევენ. უფალი ამხილებს და ყვედრის ასეთ ადამიანებს თავის სახარებაში, როდესაც ამბობს: „და დაგიტევებიეს მცნება ღმრთისაჲ და გიპყრიეს მოძღურებაჲ კაცთაჲ“ (მარკ. 7, 8).

საყვარელო ძმებო, მე მსურს, გირჩევთ და გარწმუნებთ, რომ თუკი ეს შესაძლებელია, არავინ ძმათაგანი წარწყმდეს, რომ დედა ეკლესიამ სიხარულით მიიკრას მკერდზე ერთი სხეული, ერთიანი, ერთსულოვანი ერი თვისი. და თუ ამ რჩევას არ ძალუძს ცხოვნების გზაზე მოაქციოს განხეთქილების მთავარნი და უთანხმოების წამომწყებნი, რომლებიც ბრმა და შეუვალ სიცოფეს შეუპყრია, მაშინ თქვენ მაინც, გულუბრყვილობით მოცთუნებულებმა, ტყუილით მონადირებულებმა, ანდა რაიმე ხრიკით მოხიბლულებმა, განხეთქეთ მზაკვრული ბადე, გაათავისუფლეთ ბორკილებისაგან ფერხნი თქვენნი, მერყეობას შეჩვეულნი, შეიცანით მართალი გზა ზეციური სასუფევლისკენ. იტყვის მოციქული: „გამცნებთ თქუენ, ძმანო, სახელითა უფლისა ჩუენისა იესო ქრისტესითა განშორებად თქუენდა ყოვლისაგე მისგან ძმისა, რომელი უწესოდ ვიდოდის, და არ მოძღურებისა მისებრ, რომელი ისწავა ჩუენგან“ (II თესალონ. 3, 6). და სხვა ადგილას: „ნუცა ვინ გაცთუნებს თქუენ ცუდითა სიტყვითა, რამეთუ ამისთვის მოიწევის რისხვაჲ ღმრთისაი ნაშობთა მათ ზედა ურჩებისათა, ნუუკუე იქმნებით მსგავს მათა“ (ეფეს. 5, 5—7). უნდა გავეცალოთ იმათ, ვინც შეგნებულად ცოდავს, ის კი არა, უნდა გავექცეთ კიდეც, რადგან ვაითუ კაცი, რომელიც ცთუნებისა და ბიწიერების

გზაზე მავალს დაუმეგობრდა, თავადაც ასცდეს ჭეშმარიტ გზას და იგივე ცოდვის მოზიარე გახდეს.

ერთ არს ღმერთი, ერთ არს ქრისტე, ერთ არს მისი ეკლესია, ერთ არს სარწმუნოება და ერთ არს ერი, რომელიც სხეულის მთლიანობაშია შეერთებული თანხმობის კავშირით. ერთიანობა არ უნდა დაირღვეს, ასევე არ უნდა დანაწევრდეს ერთი სხეულიც კავშირების დაშლით, არ უნდა დაქუცმაცდეს პატარ-პატარა ნაწილებად: ყოველივე, რაც მაცოცხლებელ საწყისს მოშორდა, კარგავს სიცოცხლის საწყისს და განცალკევებით ვეღარ განაგრძობს არსებობას. სული წმიდა შეგვაგონებს: „ვინ არს კაც, რომელსა ნებავს ცხონებაი და უყუარან დღენი კეთილნი? დააცხრვე ენაჲ შენი ბოროტისაგან და ბაგენი შენნი ნუ იტყვიან ზაკუვასა, მოიქეც ბოროტისაგან და ქმენ კეთილი, მოიძიე მშვიდობაჲ და მისდევდი მას“ (ფსალ. 33, 13—15). ძე მშვიდობისა მშვიდობას უნდა ეძიებდეს, სიყვარულის კავშირი ვინც შეიცნო და შეიყვარა, იმან უნდა დააყენოს ენა თვისი სასტიკი განხეთქილების ჩამოგდებისაგან. როდესაც უკვე მოახლოვდა ჟამი ვნებისა, უფალმა თავის სხვა სწავლებებსა და მაცხოვრებელ შეგონებებთან ერთად ესეც გვითხრა: „მშვიდობასა დაგიტევებ თქუენ, მშვიდობასა ჩემსა მიგცემ თქუენ“ (იოანე, 14, 27). ასეთი მემკვიდრეობა დაგვიტოვა ქრისტემ! მშვიდობის შენარჩუნებაში მან იგულისხმა თავის აღთქმათა ყველა ნიჭი და ჯილდო. ამგვარად, თუკი ჩვენ ქრისტეს მემკვიდრენი ვართ, ქრისტეს მშვიდობა უნდა დავიმარხოთ, თუ ვართ ძენი ღმრთისანი, მშვიდობისმყოფელნიც უნდა ვიყოთ. უფალი ამბობს: „ნეტარ იყვნენ მშვიდობისმყოფელნი, რამეთუ იგინი ძედ ღმრთისა იწოდნენ“ (მათე, 5, 9). ძეთა ღმრთისათა შეჰფერით იყვნენ მშვიდობისმყოფელნი, მდაბალნი გულითა, უბრალონი სიტყვით, კეთილგანწყობილნი ერთმანეთის მიმართ, ერთსულოვნების კავშირით მტკიცედ შეერთებულნი. ასეთი ერთსულოვნება ჰქონდათ ოდესღაც მოციქულებს. პირველი ქრისტეანები უფლის შეგონებას იმარხავდნენ და ურთიერთის სიყვარულს არ განეშორებოდნენ. ამას გვიმოწმებს საღმრთო წერილი, სადაც ნათქვამია: „ხოლო სიმრავლისა მის მორწმუნე-

თაᲘსა იყო გული და გონებაᲘ ერთ“ (საქმე, 4, 32), და სხვა ადგილას: „ესე ყოველნი იყვნეს განკრძალულ ლოცვასა და ვედრებასა, ერთბაშად დედებითურთ და მარიამ დედით იესოᲘსით და ძმებითურთ მისით“ (საქმე, 1, 14). ამიტომ იყო მათი ლოცვა ნაყოფიერი, ამიტომ შეეძლოთ ჰქონოდათ იმედი, რომ მიიღებდნენ ყოველივეს, რასაც მოწყალე ღმერთს სთხოვდნენ.

თარგმნა **რ უ ს ი კ ო ბ უ ა ჩ ი ძ ე მ.**

წმიდა გრიგოლ ღვთისმეტყველი, მთავარ ეპისკოპოსი კონსტანტინეპოლისა (+389)

მსოფლიო მამა და მასწავლებელი ეკლესიისა დაიბადა 329 წელს წარჩინებული წარმოშობის ქრისტიანთა ოჯახში, ქალაქ არიანზაში (კაპადოკიის ქალაქ ნაზიანზინის მახლობლად). მისი მამა, აგრეთვე მღვდელმთავარი გრიგოლი, ნაზიანზინის ეპისკოპოსი იყო. დედა წმიდანისა, წმიდა ნონა (1—374) ღმერთს ევედრებოდა ძეს და აღთქმას დებდა, უფალს მივუძღვნი მასო. და როგორც სიზმარში გამოცხადებით ეუწყა მას, ახლადშობილ პირმშოს გრიგოლი უწოდეს. როცა ყრმამ კითხვა შეისწავლა, დედამ მას საღმრთო წერილი აჩუქა. წმიდა გრიგოლმა მეტად სრული და მრავალმხრივი განათლება მიიღო: სახლში ბიძასთან, ამფილოქესთან სწავლის შემდეგ, რომელიც რიტორიკის გამოცდილი მასწავლებელი იყო, იგი სწავლობდა ნაზიანზინის, კაპადოკიის, კესარიისა და ალექსანდრიის სკოლებში. შემდეგ, განათლების დასასრულებლად მომავალი მღვდელმთავარი ათენს გაემგზავრა. გზაში ალექსანდრიიდან ელადისაკენ (352 წ.), ზღვაზე მგზავრობისას, როცა საშინელი, მრავალდღიანი ქარბობალა დაღუპვით ემუქრებოდა მგზავრებს, მას მხოლოდ იმის ეშინოდა, რომ „მომაკვდინებელი წყალნი განწმედ წყალთ მოაკლებდნენ მას“; „ოცი დღე და ოცი ღამე ვეგდე მე აბურთებული ხომალდის გემბანზე, — მოგვითხრობს წმიდა გრიგოლი, — და განუწყვეტლივ ვევედრებოდი მოწყალე ღმერთს ხსნას; და ამ დიდ ხიფათში მე აღთქმა მივეცი უფალს, რომ მას მივუძღვნიდი თავს, და აღთქმისამებრ ხსნაც მომენიჭა“.

ექვსი წელი დაჰყო ჭაბუკმა გრიგოლმა ათენში.

წმიდა გრიგოლთან ერთად ამ დროს ათენში სწავლობდა წმიდა ბასილი, კესარია-კაპადოკიის მომავალი მთავარეპისკოპოსი (1—379). ის მეგობრობა მათ შორის, რომელსაც ჯერ კიდევ კესარიის სკოლაში ჩაეყარა საფუძველი, ღრმა სულიერ კავშირში გადაიზარდა. ხოლო ნაცნობობა იულიანესთან, ამ მომავალ ქრისტეს სარწმუნოებისაგან განდგომილ იმპერატორთან 361—363), მალე მასთან შეურიგებელი ბრძოლით შეიცვალა.

358 წელს წმიდა გრიგოლმა ფარულად დატოვა ათენი და მშობლებთან დაბრუნდა ნაზიანზინში, და აქ, 30 წლის ასაკში, მან თავისი მამისაგან მიიღო წმიდა ნათელი.

წმიდა ბასილი დიდის მიწვევით იგი უდაბნოში განმარტოვდა, რათა ამ წმიდა მოღვაწესთან ერთად ეცხოვრა მოსაგრე ცხოვრებით.

მამის მოთხოვნით წმიდა გრიგოლი 361 წელს დაბრუნდა ნიზიანზინში და აქ ხუცესად ეკურთხა. მაგრამ იგი გრძნობდა, რომ მისთვის განუზომლად უფრო ახლოა განმარტოება და უსიტყვო ლოცვა, ვიდრე სამღვდელო მოღვაწეობა; ამის გამო იგი კვლავ წმიდა ბასილთან გაეშურა უდაბნოში. აქ, განმარტოებაში ისე განმტკიცდა სულით, რომ მალე შეძლო კვლავ სამწყსოს დაბრუნებოდა და ღირსეულად აღესრულებინა თავისი მოვალეობა. მღვდელმთავარმა ბასილი დიდმა ქალაქ სასიმის ეპისკოპოსად დაადგინა წმიდა გრიგოლი, მაგრამ იმისათვის, რომ დახმარებოდა თავის ხანდაზმულ მამას, მღვდელმთავარი გრიგოლი ნიზიანზინში დარჩა, ხოლო მამა-ს. წმიდა გრიგოლ ნაზიანზელის გარდაცვალების შემდეგ (1—374), ერთხანს ამ ქალაქის მრევლსაც განაგებდა.

როცა გარდაიცვალა კონსტანტინეპოლის პატრიარქი ევალენტი, ანტიოქიის საეკლესიო კრებამ მღვდელმთავარი გრიგოლი მიიწვია (378 წ.) და სთხოვა მას დახმარებოდა კონსტანტინეპოლის ეკლესიას, რომელიც იმ ხანებში, უფრო მეტად, ვიდრე სხვა რომელიმე ეკლესია, მწვალებელთაგან იყო შევიწროებული. მას შემდეგ, რაც მღვდელმთავარ ბასილი დიდისაგან მიიღო თანხმობა, წმიდა გრიგოლი კონსტანტინეპოლში ჩავიდა და საპატრიარქო ტახტი დაიკავა. 379 წელს მან საღმრთო მსახურების აღსრულება და ქადაგებების წარმოთქმა დაიწყო თავის ნათესავთა ერთ მომცრო, საკარო ეკლესიაში, რომელსაც „ანასტასია“ („აღდგომა“) უწოდა, რადგან სწამდა, რომ სწორედ ამ პატარა ტაძარში დაიწყებდა აღდგომას და აღორძინებას მართლმადიდებლობა. მაშინ ყოველგან მწვალებლები იყვნენ გაბატონებული — არიოზისა და აპოლინარის მიმდევრები. და რაც უფრო ხმამაღლა ისმოდა მისი ქადაგება, მით უფრო მრავალრიცხოვანი ხდებოდა მრევლი ეკლესიისა და მით უფრო მძაფრდებოდა წინააღმდეგობა

მწვალებელთა მხრიდან. 379 წლის აღდგომის წინა ღამეს(21 აპრილი), როცა მღვდელმთავარი გრიგოლი ახლადმოქცეულთა ნათლობას აღასრულებდა, შეიარაღებულ მწვალებელთა ბრბო ტაძარში შეიჭრა და ქვები დაუშინა მართლმადიდებლებს. ერთი ეპისკოპოსი ამ თავდასხმის შედეგად გარდაიცვალა, ხოლო თვით წმიდა გრიგოლი დაიჭრა. მაგრამ მოთმინება და სიმშვიდე წმინდანისა ყველაზე საიმედო ჯავშანი იყო მისთვის, ხოლო სიტყვა მისი მართლმადიდებელთ განამრავლებდა.

განსაკუთრებული ადგილი მღვდელმთავარ გრიგოლ ღვთისმეტყველის ქადაგებებში დათმობილი აქვს პოლემიკას ევნომიანელთა წინააღმდეგ, რომელნიც სულიწმიდას გმობდნენ.

მის კალამს ეკუთვნის: ხუთი სადიდებელი სიტყვა, ცხრა ახსნა-განმარტება სხვადასხვა საეკლესიო დღესასწაულისა, ორი მამხილებელი სიტყვა იმპერატორ იულიანე განდგომილის წინააღმდეგ — ეს არის „ორი ბოძი, რომელზეც წარუშლელადაა დაწერილი შთამომავლობისათვის უკეთურება იულიანესი“; აგრეთვე სხვა ქადაგებანიც სხვადასხვა თემებზე. სულ ჩვენამდე მოაღწია წმიდა გრიგოლ ღვთისმეტყველის 45-მა ქადაგებამ.

დიდება ამ მართლმადიდებელ აღმსარებელზე ყოველგნით ვრცელდებოდა — აღმოსავლეთშიცა და დასავლეთშიც. თვით მღვდელმთავარი კი ისე ცხოვრობდა იმპერიის დედაქალაქში, თითქოსდა უდაბნოში ყოფილიყო განმარტოებული: — „საზრდო მისი — უდაბნოს მწირი საზრდო იყო; სამოსი მისი — გაჭირვებისა; ხოლო ქცევა — უბრალო, რამეთუ სასახლის კარზე მყოფი არაფერს არ ეძიებდა მისგან“.

სნეულების დროს მღვდელმთავარს დიდი დარტყმა მიაყენეს. ვისაც ის თავის მეგობრად თვლიდა, — ფილოსოფოსი მაქსიმე, — ფარულად მღვდელმთავარ გრიგოლის ტახტზე აიყვანეს კონსტანტინეპოლშივე. მაქსიმეს უმადურობით გულმოკლულმა წმიდანმა გადაწყვიტა დაეტოვებინა კათედრა, მაგრამ ერთგულმა სამწყსომ შეაჩერა იგი. ხალხმა ქალაქიდან განდევნა თვითმარქვია პატრიარქი. 380 წლის 24 ნოემბერს დედაქალაქში ახალი იმპერატორი თეოდოსი დიდი ჩამოვიდა, რომელმაც დაადასტურა თავისი ბრძანება მწვალებელთა წინააღმდეგ და კვლავ მართლმადიდებლებს დაუბრუნა უმთავ-

რესი საკათედრო ტაძარი, რომელშიც საზეიმოდ შეიყვანა წმიდა მღვდელმთავარი გრიგოლი. მალე მღვდელმთავრის სიცოცხლეს ხელყოფა დაემუქრა, მაგრამ თვით იგი, ვინც მისი მკვლელი უნდა გამხდარიყო, საკუთარი ნებით გამოცხადდა წმიდათან და ცრემლებით მოინანია ბოროტი განზრახვა. 381 წელს, მეორე მსოფლიო საეკლესიო კრებაზე, მღვდელმთავარი გრიგოლი საბოლოოდ დაამტკიცეს კონსტანტინეპოლის პატრიარქად. ანტიოქიის პატრიარქის, მელეტის გარდაცვალების შემდეგ იგი თავმჯდომარეობდა მოწვეულ ადგილობრივ საეკლესიო კრებას და იმ მიზნით, რომ შეერიგებინა დასავლეთისა და აღმოსავლეთის ეკლესიები, წინადადებას აყენებდა პავლინე ეცნოთ ანტიოქიის პატრიარქად. როცა კრებაზე ისინი მოვიდნენ, ვინაც ადრე მის წინააღმდეგ მოქმედებდნენ მაქსიმეს სასარგებლოდ, ბევრმა მღვდელმთავარმა, განსაკუთრებით კი ეგვიპტისა და მაკედონიის ეპისკოპოსებმა, არ მოისურვეს წმიდა გრიგოლის აღიარება კონსტანტინეპოლის პატრიარქად. მღვდელმთავარმა გადაწყვიტა ეკლესიის მშვიდობისათვის შეეწირა თავი: „დაე იონა წინასწარმეტყველი ვიყო მე! — თქვა წმიდანმა. — ქარიშხალში ბრალი არ მიმიძღვის, გარნა თავს გავწირავ ხომალდის ხსნისათვის. ამიღეთ და გადმომაგდეთ მე... მე არ მიხაროდა, როცა ტახტზე ავდიოდი და ეხლა სიხარულით ვტოვებ მას“. და მას შემდეგ, რაც იგი იმპერატორსაც ეახლა და აუწყა თავისი სურვილი კონსტანტინეპოლიდან წასვლისა, მღვდელმთავარი გრიგოლი უკანასკნელად გამოცხადდა კრებაზე და გამოსათხოვარ სიტყვაში მშვიდობით განტევებას ითხოვდა.

სამშობლოში დაბრუნებული წმიდა გრიგოლ ღვთისმეტყველი დიდ ყურადღებასა და მზრუნველობას იჩენდა ნაზიანზინის სამწყსოსადმი, რომელიც აპოლინარის მწვალებლობის მიმდევართ დამონებოდა. ეპისკოპოსად აქ მან კეთილმსახური ევლალი დაადგინა, თვითონ კი თავის მშობლიურ ქალაქ არიანზაში განმარტოვდა. ამის შემდეგ მას გარდაცვალებამდე აღარ მიუტოვებია უდაბნოს განმარტოება, თუმცა კვლავაც განამტკიცებდა თავისი თავდადებით ქრისტეს ჭეშმარიტებისადმი მართლმადიდებლობას.

389 წლის 25 იანვარს გარდაიცვალა ის, ვისაც ეკლესიამ

თაყვანი სცა ქრისტეს საყვარელი მოწაფის, იოანეს სახელწოდების — ღვთისმეტყველის — მინიჭებით.

„მხნედ და ძლიერად მსურს ვთქვა, რათა უკეთესნი გახდეთ თქვენ და ხორციელისაგან სულიერისაკენ მოიქცეთ, რათა მართლად აღიმაღლოთ სული თქვენი“, — ეუბნებოდა მღვდელმთავარი გრიგოლ ღვთისმეტყველი მორწმუნეებს.

სხეული წმიდა გრიგოლისა მის მშობლიურ ქალაქ ნაზიანზინშივე დაკრძალეს, 950 წელს კი მისი წმიდა ნაწილები კონსტანტინეპოლში გადაასვენეს, წმიდა მოციქულთა სახელობის ეკლესიაში. მოგვიანებით მათი ნაწილთაგანი რომშიც გადაასვენეს. გადმოცემამ წმიდანის გარეგნობის აღწერაც შემოგვინახა: „სახე მოკრძალებული, მკრთალი, მოზიდული და ხშირი წარბები: მზერა — მშვიდი, წვერი არც თუ გრძელი, მაგრამ ხშირი და ფართო“. ჯერ კიდევ მის სიცოცხლეშივე უწოდებდნენ თანამედროვენი გრიგოლ ღვთისმეტყველს წმიდანს. მართლმადიდებელი ეკლესია მღვდელმთავარ გრიგოლს მეორე ღვთისმეტყველსა და მესაიდუმლეს უწოდებს, ნათელ აღმწერელს წმიდა სამებისა, და საღვთისმსახურო საგალობლებში ასე მიმართავს მას: „საღვთისმეტყველო სიტყვით რიტორთა ქარგის დამარღვეველო, დიდებულო მამაო, რომელმა ზეგარდმო მოქსოვილი სამოსით შეჰმოსე მართლმადიდებელი ეკლესია, გიხაროდეს, ღვთის სიტყვით აღსავსეო!“.

(„თვენი“ I ტ. 181—191 გვ.)
ფრაგმენტები

წმ. გრიგოლი ღვთისმეტყველი

კითხვები საკუთარ თავს

სად არის ამაღლებული მჭევრმეტყველება? — ჰაერში გაიფანტა.

სად არის ელფერი სიჭაბუკისა? — დაიღუპა.

სად არის დიდება? — განქარდა.

სად არის სიჯანსაღე სხეულისა? — ავადმყოფობამ შემუსრა იგი.

სად არის სიმდიდრე და ქონება? — ნაწილი ღმრთისადმია შეწირული, ხოლო ნაწილი — ადამიანურმა შურმა მიიტაცა ბოროტმოქმედთა ხელით.

ჩემი მშობლები და ახლობლები საფლავებში განისვენებენ; მხოლოდ სამშობლოღა დამრჩა, მაგრამ ბოროტმა დემონმა ჩემზე სიძულვილის შავი ტალღები აღმართა და იქიდანაც გამაძევა; ახლა მე მარტოხელა მგზავრი ვარ, უცხო მხარეში დავეხეტები, მწუხარებით სავსე ცხოვრებასა და მიხრწნილ სიბერეს მივათრევ; არც ქალაქი გამაჩნია, არც საყდარი და ვეღარც სულიერ შვილებს ვხედავ, თუმცაღა მათზე ზრუნვით ძლიერ ვარ დამწუხრებული. დღესა და ღამეს მარტოობასა და ხეტიალში ვატარებ.

სად დასცილდება ჩემი სული სხეულს? სად შევხვდები აღსასრულს? რომელი მიწა, რომელი გლახაკთმოყვარე სამარე შემიფარებს? ვინ დამიხუჭავს სიკვდილის წინ მიმქრალ თვალებს? — მართლმორწმუნე და ქრისტეს მეგობარი თუ ვინმე ღმრთისმგმობელი?

ყველაფერი ამაოა და ქარს მიაქვს. მე კი, სულმოკლეს, მაწუხებს აზრი — ჩემს სხეულს კუბოს მიაბარებენ თუ გარეულ მხეცთა შესაჭმელი გავხდები; ფერფლად ვიქცევი და ჰაერში გავიფანტები თუ კუბოს გარეშე სადმე უფსკრულში ჩამაგდებენ; მდინარე დამალპობს თუ ხანგრძლივი წვიმები? თუმცა, ასეც რომ მოხდეს, უკვალოდ მაინც არ გავქრები და არც ჩემი გვამის მთლიანობა დაირღვევა, რამეთუ ბოლო ჟამს უფალი აღადგენს და შეკრებს ყველას, იმათაც კი, ვინც სიკვდილის შემდეგ ფერფლად იქცა ან ნადირთა საჯიჯგნი გახდა.

მხოლოდ შენ აღძრავ ჩემში ცრემლსა და შიშს, უფალო!

ქრისტე, მეუფეო! შენა ხარ ჩემი სამშობლო, ჩემი სიმ-ტკიცე და ჩემი ნეტარება. შენ ყველაფერი ხარ ჩემთვის!

ნეტავ მეღირსოს, ღმერთო, რომ მრავალი ტანჯვისა და მწუხარების საზღაურად განსვენება ვპოვო შენში!

თარგმნა ია ისაკაძემ

წმ. გრიგოლ ნოსელი

„მოსეს ცხოვრება“

წინათქმა

წმ. გრიგოლ ნოსელი, ძმა ბასილი დიდისა, ეკლესიის ურჩეულეს მამათა შორის არის შერაცხილი. მას უგალობენ, როგორც „ცხოვრების ხეს“[1], „სამოთხის მდინარეს“[2], „ჭეშმარიტების დამნერგველს“[3], „ღვთის ხატს“[4], „სამკაულს ქრისტეს ეკლესიათა“[5].

ერთ ძველ ქართულ ხელნაწერში ასეთი მინაწერი გვხვდება: „სანატრელნო მამანო, ვჰხედავ, რომელ ესე წმიდაჲ გრიგოლ ნოსელი ესეთივე კაცი ყოფილა, ვითა დიდი ბასილი, ვალე ქადაგი სინანულისაჲ... წმიდანო და ყოვლად დიდებულთავისა ძმაჲ, და თუ ვინმე არა იცნობდეს, თქუმელთა მისთადა უჭურეტნეს“[6] იმავე ხელნაწერის ანდერძში წმ. გრიგოლ ნოსელი სახელდებულია, როგორც „ბრწყინვალე ქადაგი სინანულისაჲ“: „დიდებაჲ ღმერთსა, გასრულდა წმიდაჲ გრიგოლ ნოსელიცა, თუ უნდეს ღმერთსა, დიდი ესე და ბრწყინნო, დიდთა მათ და მაღალთა საიდუმლოთა ბრწყინვალედ მქადაგებელნო, წმიდანო გრიგოლ ღმრთისმეტყველო და წმიდაო გრიგოლ ნოსელო, წმიდით და დიდებულით ძმითურთ თქუენით ბასილით, სამნო... სამებისა წმიდისა მქადაგებელნო, ერთმანეთისა სიყუარულსა, მეოხ გუეყენით წინაშე ღმრთისა“.

---

[1] იხ. „მიქაელ მოდრეკილის ჰიმნები“. წიგნი II. თბ. 1978, გვ. 279: „ხე ცხოვრების იქმენ შენ მორწმუნეთათჳს“.

[2] იქვე: „გამოგჳჩნდი ჩუენ მდინარედ სამოთხისა ღმერთშემოსილო“.

[3] იქვე: „დამნერგველსა ჭეშმარიტებისა ყოველნი ერთობით გრიგოლს შევასხმიდეთ“.

[4] იქვე: „იქმენ ხატად ღმრთისა გრიგოლი, ყოვლითურთ შეზავებულ, ვითარცა მიჰრონი“.

[5] იქვე: „ამისთჳს გაქებთ შენ, მწყემსო კეთილო ნოსიაისაო, შენ სამკაულო ქრისტეს ეკლესიათაო, ღმერთშემოსილო გრიგოლი“.

[6] იხ. „გრიგოლ ნაზიანზელის თხზულებათა შემცველ ქართულ ხელნაწერთა აღწერილობა“, ხელნაწერები აღწერა, შესავალი და საძიებელი დაურთო თ. ბრეგვაძემ, თბ., 1988, გვ. 75).

წმ. გრიგოლ ნოსელის ცხოვრების ზუსტი ქრონოლოგია დადგენილი არ არის. მიჩნეულია, რომ იგი უნდა დაბადებულიყო დაახლ. 331 წ[1]. ასევე უცნობია გარდაცვალების ზუსტი წელი. კონსტანტინოპოლის კრების შემდეგ, რომელიც 394 წლის 29 სექტემბერს შედგა, გრიგოლ ნოსელი აღარსად იხსენიება. შესაბამისად, სწორედ ამ წელს ვარაუდობენ მისი გარდაცვალების თარიღად.

გრიგოლ ნოსელისა და მისი ძმის ბასილი დიდის ბებია და ბაბუა დედისა და მამის მხრიდან მკვიდრობდნენ პონტოში, რომლებიც ქრისტიანობისათვის ეწამნენ. თვით გრიგოლ ნოსელი გვამცნობს: „ჩვენი მამის მშობლებს ქრისტეს აღსარებისათვის ქონება ჩამოართვეს, ხოლო დედის პაპა („პროპატორ") მეფის განრისხების გამო მოაკვდინეს და მთელი მისი ქონება სხვათა მფლობელობაში გადასცეს"[2].

მამის მშობლებმა დევნულების ჟამს თავი შეაფარეს პონტოს ტყეს მათ ერთგულ მსახურებთან ერთად. ამის შესახებ გვაუწყებს წმ. გრიგოლ ღვთისმეტყველი: „ისინი შეეფარნენ პონტოს მთების ტყეს („ლოხმე") მეტად მცირე მხლებლებით" (გრიგოლ ღვთისმეტყველი, შესხმა ბასილი დიდისა, პგ. 36, სვ. 501 ა). ეს უნდა მომხდარიყო დაახლ. 306 წელს. აქედან მოკიდებული, შვიდი წლის მანძილზე (313 წლამდე) ისინი, როგორც დევნულები, დიდ გაჭირვებას განიცდიდნენ[3].

დედის მხრიდან გრიგოლი და ბასილი იყვნენ შთამომავალნი კაპადოკიის გავლენიანი ოჯახისა, რომელიც ზემომოტანილი

---

[1] ამ თარიღს გვაწვდის ლენენ დე ტილმონი, რომელიც აღნიშნავს: „რადგანაც წმ. ბასილი დაიბადა დაახლოებით 329 წლის მიწურულს, წმ. გრიგოლი, რომელიც ბასილის შემდეგ დაბადებული ძმის ნაკვერატიოსის მომდევნოა, ვერ დაიბადებოდა 331 წელზე ადრე" (იხ. ლენენ დე ტილმონი, მემუარები პირველი ექვსი საუკუნის საეკლესიო ისტორიისათვის, ტ. IX, პარიზი, 1703, გვ. 561). ზოგი მკვლევარი გრიგოლ ნოსელის დაბადების თარიღად 334 წ.-ს თვლის (შდრ. „თეოლოგიისა და ეკლესიის ლექსიკონი", ტ. IV, ფრაიბურგი, 1961, გვ. 1211). ჟ. დანიელუ დაბადების პირობით თარიღად 330 წ.-ს ვარაუდობს (იხ. გრიგოლ ნოსელი, ცხოვრება მოსესი, შესავალი, კრიტიკული ტექსტი და თარგმანი ჟ. დანიელუსი, III გამოც. პარიზი, 1968, გვ. 8).

[2] გრიგოლ ნოსელი, წმიდა მაკრინას ცხოვრება, შესავალი, კრიტიკული ტექსტი, თარგმანი, შენიშვნები და ინდექსი პ. მარავალისა, პარიზი, 1971, გვ. 206; შდრ. პგ. 46, 980 ც.

[3] იხ. გრიგოლ ნოსელი, ქალწულებისათვის, შესავალი, კრიტიკული ტექსტი, თარგმანი და კომენტარები მ. ობინოსი, პარიზი, 1966, გვ. 33.

ციტატის მიხედვით ასევე, დევნულების მსხვერპლი გახდა, თუმცა ამ ოჯახმა მალე აღიდგინა დაკარგული პატივი[1].

გრიგოლ ნოსელისა და ბასილი დიდის მამას, ასევე, ბასილი ერქვა, დედას კი — ემელია. მიიჩნევენ, რომ ბასილი (მამა) რიტორიკას დაეუფლა პონტოში, ალბათ, ნეოკესარიაში და დიდი სახელი მოიხვეჭა, თუმცა წმ. გრიგოლ ნოსელის თქმით მისი სახელი პონტოს არ გასცილებია (გრიგოლ ნოსელი, მაკრინას ცხოვრება, დასახ. გამოც. გვ. 210). ბასილი (მამა) გამოირჩეოდა ადამიანური ღირსებებით, რითაც მან მიიპყრო ობოლი ემელიას ყურადღება. ნოსელი გადმოგვცემს: „დედა ყოვლითურთ საღვთო ნებას ემორჩილებოდა და განსაკუთრებით ეშურებოდა ცხოვრების წმიდა და შეურყვნელ წესს. მაგრამ რადგანაც ობოლი იყო იგი ორივე მხრივ, ამასთან, რადგანაც სხეულის მშვენიერებით ყვაოდა იგი, შორს გავარდნილმა მისმა ქმნულკეთილობამ ბევრს აღუძრა მასზე დაქორწინების სურვილი. რადგანაც დიდი იყო საფრთხე... მან აირჩია ცხოვრების სიწმიდით ცნობილი და აღიარებული კაცი, რომ თავისი თავისათვის მფარველი ეპოვა“ (გრიგოლ ნოსელი, მაკრინას ცხოვრება, გვ. 144).

ბასილისა და ემელიას შეეძინათ ათი შვილი. მათგან უფროსი იყო თეკლა, რომელსაც შემდეგში მაკრინა ეწოდა, ხოლო უმცროსი — პეტრე, შემდეგში სებასტიის ეპისკოპოსი; როგორც ჩანს მათ ერთი ბავშვი ადრეულ მოუკვდათ, რადგანაც სხვაგან გრიგოლი ასახელებს მხოლოდ ცხრას, ხუთ ქალსა და ოთხ ვაჟს. მაკრინას შემდეგ, დაახლ. 329 წ.-ს დაიბადა ბასილი დიდი, შემდეგ ნავკრატიოსი, გრიგოლი, ბოლოს კი 341 წ.-ს ზემოხსენებული პეტრე (დაახლ. ამ წელს გარდაიც-

---

[1] იხ. გრიგოლ ნოსელი, წმ. მაკრინას ცხოვრება. დასახ. გამოც. გვ. 206; გრიგოლისა და ბასილის დედის სახელს გვაუწყებს მხოლოდ გრიგოლ ნაზიანზელი, რომელიც აღნიშნავს: „ვინ არ იცის მისი (ბასილი დიდის, ე. ჰ.) მამა, ბასილი, რომელიც დიდად სახელოვანი იყო ყველა საქმეში,... ანდა ვინ არ იცნობს ემელიას, რომელსაც ადრევე ეწოდა ის, რაც შემდეგში გახდა იგი ანუ გახდა ის, რაც ეწოდა („ჰე ემმელია“ მომდინარეობს ბერძნული სიტყვიდან „ტო მელოს“ — მელოდია, და ნიშნავს „ჰარმონიულობას, კეთილშეწყობილებას“, ე. ჰ.), რადგანაც ჰეშმარიტად მოსახელეა იგი „ჰარმონიისა“ (ბერძნ. „ემმელია“) (გრიგოლ ღვთისმეტყველი, შესხმა ბასილი დიდისა, ბგ. 36, 505 ც.).

ვალა მათი მამა). დების შესახებ, მაკრინას გარდა, არაფერია ცნობილი.

გრიგოლ ნოსელმა, საოჯახო ტრადიციის მიხედვით, მიიღო როგორც ანტიკური, ისე ქრისტიანული აღზრდა. შვიდი წლისა იგი შევიდა სკოლაში, სადაც ასწავლიდნენ წერასა და თვლას. შემდეგში ჭეშმარიტების მაძიებელ ყრმას ღრმად შეუსწავლია ანტიკური მწერლობა და ფილოსოფია. მის შრომებში თავს იჩენს რემინისცენციები ჰომეროსისა და ტრაგიკოსებისა. მოგვიანებით გრიგოლი ერთ თავის ქადაგებაში იხსენებს პირველდაწყებითი სკოლის მასწავლებლებს, რომლებსაც „გრამატიკოსებად" („გრამმატისტეს") სახელდებს და რომლებსაც ეკლესიის მოძღვრებს ადარებს: „ამ ეკლესიის წინამძღვარი („პროედროს") და უცთომელი ღვთისმსახურებისა და სათნო მოღვაწეობის მოძღვარნი დიდად ემსგავსებიან პირველსაფუძვლების („ტონ პროტონ სტოიხეიონ") მასწავლებელ გრამატიკოსებს; ისევე, როგორც ისინი მშობლებისაგან ჯერ კიდევ გაუმართავად მეტყველ („ფსელლიძომენუს") ჩვილ ბავშვებს იღებენ და არათუ პირდაპირ შეიყვანენ მათ უსრულეს სწავლებათა წიაღში, არამედ უპირველესად „ალფას"-ა და დანარჩენ ასოებს გამოუწერენ ცვილზე, ასწავლიან მათ სახელებს, და გამოსახული მოხაზულობების მიხედვით გაუვარჯიშებენ ხელს, შემდეგ კი მარცვლებზე („ტაის სილლაბაის") გადაჰყავთ ისინი და მათ გამოთქმას აჩვევენ, — ასევე, ეკლესიის წინამძღვრებიც, უპირველესად, მოძღვრებათა საფუძვლებში განსწავლიან მსმენელებს, შემდეგ კი უსრულეს სწავლათა ცოდნასაც მიანიჭებენ მათ"[1].

პირველდაწყებითი განათლების შემდეგ, როგორც აღვნიშნეთ, გრიგოლი ანტიკური ლიტერატურის ღრმა შესწავლას შეუდგა, კერძოდ კი — ჰომეროსის, ევრიპიდეს, მენანდრესა და დემოსთენეს ტექსტების ანალიზს. მ. ობინოს სა-

---

[1] გრიგოლ ნოსელი, გლახაკთმოყვარეთათვის, პგ. 46, სვ. 453; შდრ. მ. ობინო, გრიგოლ ნოსელის ბიოგრაფია 371 წლამდე, იხ. გრიგოლ ნოსელი, ქალწულებისათვის, მ. ობინოს დასახ. გამოც. გვ. 42. გრიგოლ ნოსელის ფილოსოფიასთან კავშირზე, აგრეთვე, მისი ფილოსოფიის შესახებ. იხ. საქართველოს ეკლესიის კალენდარი 1989, გვ. 194—198; 250—301.

მართლიანი დაკვირვებით, „ის, რაც განსაკუთრებით სასარგებლო აღმოჩნდა მისთვის მომავალში, ეს იყო სამეტყველო ენის ზუსტი მეცნიერება („ჰე ონომასტიკე ტეხნოლოგია"), რაც მან გრამატიკოსთან ყოფნისას შეისწავლა, და რითაც მან დაძლია შემდეგში არიანელი ევნომიუსის მახვილსიტყვაობა"[1]. ევნომიუსის წინააღმდეგ მიმართულ შრომაში წმ. გრიგოლი ახსენებს ამ მეცნიერებას: „არიოზის სიტყვათა უაზრობას იმით ვამხილებთ, რაც იცის ყოველმა ბავშვმა, ვისაც კი გრამატიკოსის და მასწავლებლის ხელშეწყობით შეუსწავლია „სახელდებითი მეცნიერება" („ონომასტიკე ტეხნოლოგია")[2].

გრიგოლ ნოსელის ცხოვრების მნიშვნელოვანი ნაწილი დაეთმო რიტორიკისა და „გარეშე სწავლულების" („თიურათენ პაიდეია") შესწავლას, როგორც ამას გვაუწყებს თეოდორიტე კვირელი[3]. საგულისხმოა ცნობილი ლექსიკოგრაფის სვიდას ცნობა: „ეპისკოპოსი გრიგოლ ნოსელი, ძმა ბასილი კესარიელისა, იყო, ასევე, ურჩეულესი („ელლოგიმოტატოს") და ყოველი სწავლულებით აღსავსე კაცი („ანერ... პასეს პაიდეიას ანაპლეოს"), რომელიც განსაკუთრებით ეშურებოდა რიტორიკის სიამეებს („ტაის ტე რეტორიკე ხაირუსი")[4]. როგორც აღნიშნავს მ. ობინო, „რიტორიკისა და ფილოსოფიისადმი მიძღვნილ წლებში გრიგოლს უნდა შეესწავლა მეცნიერებებიც. იგი დაინტერესებულია მთვარის ფაზებისა და ღრუბელთა წარმოქმნის საკითხებით და ნებისამებრ მიმართავს სწავლულთა ავტორიტეტს. გრიგოლი ფლობდა მედიცინის სა- (მ. ობინო, დასახ. შრ. გვ. 47).

---

[1] მ. ობინო, დასახ. შრომა, გვ. 43.

[2] მ. ობინო, დასახ. შრომა, გვ. 43.

[3] გრიგოლ ნოსელი, ევნომიუსის წინააღმდეგ, პგ. 45, 425 დ. იგივე მეცნიერება კვლავ არის ხსენებული იმავე შრომაში. იხ. პგ. 45, 865 ც („ტეს ანტონომასტიკეს ტეხნოლოგიას ჰე ეპისტემე"). სიტყვა „ტეხნოლოგია" ქრისტიანულ ლიტერატურაში ნიშნავს: „სისტემურ სწავლებას, მოძღვრებას", „გრამატიკულ სისტემას, ტერმინოლოგიას" და „ლოგიკურ სამეტყველო ენას, დიალექტურ მეთოდს" (იხ. „პატრისტიკული ბერძნული ლექსიკონი, გამოსცა გ. ლემპმა, ოქსფორდი 1961, გვ. 1392).

[3] იხ. საქართველოს ეკლესიის კალენდარი 1989 წ. გვ. 246; შდრ. პგ. 82, სვ. 1192ა.

[4] იხ. პგ. 44, სვ. 48. შდრ. აგრეთვე, ფოტი პატრიარქის ცნობა: „წაკითხულ იქნა გრიგოლ ნოსელის შრომა, ასევე, ბასილის დასაცავად და ევნომიუსის წინააღმდეგ (როგორც ცნობილია, ამგვარი შრომა დაწერა ბასილი დიდმაც, ე. ჰ.), რომლის ენა („ფრასის"), როგორც ვინმე რიტორისა („ე ი

გრიგოლ ნოსელის ცხოვრების საფუძველი, ქრისტესმიერი სარწმუნოება, გარდა საოჯახო ტრადიციისა და ღვთისმოსავი დედისა, განსაკუთრებით მძაფრად მსჭვალავს მის არსებას უფროსი დის მაკრინას ღვაწლითა და მადლით. წმ. მაკრინას მოქალაქეობა გრიგოლმა საჩინო-ყო სპეციალურ შრომაში „მაკრინას ცხოვრება". ეს ძეგლი პირველხარისხოვანი წყაროა ქრისტიანული ასკეზისის შემსწავლელთათვის. მაკრინა და-ძმებში ყველაზე უფროსი იყო. თორმეტი წლის ასაკიდან, როდესაც დაწინდული საქმრო მოუკვდა, ქალწულება დაიმარხა მან და სულიერ ცხოვრებას ეზიარა. მოკვიანებით, მამის სიკვდილის შემდეგ, ღვთივ მადლფენილმა ქალწულმა ჯერ თავისი ოთხი და დააქორწინა, შემდეგ კი დედასთან ერთად პონტოში, ანეზის მახლობლად, საოჯახო მამულს მიაშურა და ასკეტის ღვაწლი იტვირთა[1].

ამავე დროს, დაახლ. 352 წ.-ს ასევე, განდეგილობა აირჩია გრიგოლის ძმამ ნავკრატიოსმა[2], ამ ფაქტმა გრიგოლზეც დიდი გავლენა მოახდინა[3].

355 წ.-ს ბასილი დიდი ბრუნდება ათენიდან. დიანიოსი, კესარიის მხცოვანი ეპისკოპოსი, მონათლავს მას და თავის ეკლესიას შერთავს. მიიჩნევენ, რომ დაახლოებით ამ დროს უნდა დაენიშნათ გრიგოლიც ეკლესიაში მკითხველად, მაგრამ საკმაოდ მალე, დაახლ. 364 წელს, იგი ტოვებს საეკლესიო მოღვაწეობას და რიტორობას უბრუნდება. ამის გამო უსაყვედურებს მას გრიგოლ ნაზიანზელი: „არჩიე რიტორის სახელი ქრისტიანისას"[4].

ტის ალლოს რეტორონ"), ბრწყინვალეა და სიამეს გვიწვეთებს ყურებში... რადგანაც მასში უხვადაა აზროვნება და სახეობრიობა („პლეონაძეი ენთიუმემასი კაი ჰჯპოდეიგმასი"). წაკითხულ იქნა იმავე გრიგოლის სხვა შრომებიც... ხოლო მშვენიერება სიტყვისა („ტო კალლოს ტუ ლოგუ") და სიტკბოებასთან თანაშეზავებული ბრწყინვალება აქაც ღირსეულად იჩენს თავს" (წმ. ფოტი პატრიარქი. ბიბლიოთეკა, კოდ., VI—VII; პგ. 103, სვ. 52).

[1] შდრ. საქართველოს ეკლესიის კალენდარი, 1989 წ. გვ. 246.

[2] ვ. ობინო, გვ. 53. ამ დროს ბასილი დიდი ჯერ კიდევ ათენში სწავლობს.

[3] ვ. ობინო, დასახ. შრომა, გვ. 52.

[1] გრიგოლ ნაზიანზელი, ეპისტოლე გრიგოლ ნოსელისადმი, პგ. 37, სვ. 41 ც.

ფიქრობენ, რომ სწორედ ამ დროს ქორწინდება გრიგოლი[1]. შრომაში „ქალწულებისათვის“ ვკითხულობთ: „ნეტარნი არიან ისინი, რომლებსაც ძალუძთ უმჯობესის არჩევა და არ განიზღუდვიან მისგან საზოგადო ყოფას შემსჭვალულნი, ისევე, როგორც ჩვენ, რომლებიც თითქოსდა უფსკრულით განვიზღუდეთ ქალწულებისაგან; ხოლო ქალწულებამდე ვეღარ ამაღლდება ისეთი ვინმე, ვინც ერთგზის უკვე ჩადგა ფეხი ამქვეყნიურ ცხოვრებაში[2].

გრიგოლის მეუღლეს, როგორც ჩანს ერქვა თეოსებეია. ის გარდაცვლილა 385 წ.-ს, რადგანაც ამ წლით დათარიღებულ ეპისტოლეში წმ. გრიგოლ ღვთისმეტყველი თანაგრძნობას უცხადებს მეგობარს. ზოგი მკვლევარი ფიქრობდა, რომ აქ უნდა იგულისხმებოდეს გრიგოლ ნოსელის რომელიმე და, მაგრამ ღვთისმეტყველის ერთი ფრაზა სწორედ მეუღლეზე მიანიშნებს. ასეთ ხოტბას უძღვნის იგი გარდაცვლილს: „თეოსებეია, სიქადული ეკლესიისა, სამკაული ქრისტესი... თეოსებეია, ჭეშმარიტად წმიდა და თანამეუღლე მღვდლისა (ჰიერეოს სჯჯგოს“)“[3].

გრიგოლ ნოსელის ცხოვრებაში დიდი მოვლენა იყო ბასილი დიდის კესარიის ეპისკოპოსად დანიშვნა 370 წ.-ს. ორი წლის შემდეგ, 372 წელს, თვით ბასილი დიდი აკურთხებს გრიგოლს ნისის ანუ ძველი ქართულით „ნოსიის“ ეპისკოპოსად. ამის შემდეგ წმ. გრიგოლ ნოსელი მთელ თავის რიტორიკულ ნიჭს საეკლესიო მოღვაწეობას უთმობს.

371 წლიდან, როდესაც გრიგოლი წერს თავის სახელგანთქმულ შრომას, „ქალწულებისათვის“, იგი მთლიანად შეემსჭვალება ქრისტიანულ ასკეზისს და ამიერიდან მისი ცხოვრება გარდაიქმნება საღვთო მშვენიერებისაკენ დაუსრულებლად მზარდი ძლიერებით აღმასვლისა და უსასრულო სულისმიერი განმრთობის სარბიელად. თვით უმძიმესი მომენტები ამქვეყნიური მოღვაწეობისა, როგორიც იყო თუნ-

---

[1] იხ. მ. ობინო, გვ. 05.

[2] გრიგოლ ნოსელი, ქალწულებისათვის, დასახ. გამოც. გვ. 274.

[3] გრიგოლ ნაზიანზელი, ეპისტოლე გრიგოლ ნოსელისადმი, პგ. 37, სვ. 321—324; იხ. ტერმინ „სჯჯგოს“-ის შესახებ მ. ობინო. დასახ. გამოც. გვ. 67—69. ზოგი მკვლევარი ფიქრობს, რომ გრიგოლს შვილიც უნდა ჰყოლოდა სახელად კვინეგიოსი; იქვე, გვ. 76.

დაც 376 წელი, როდესაც იგი უსამართლოდ ექსორია-ყვეს და ორ სინოდზე (ანკვირიისა და ნისისა) ერთხმად დაგმეს, გახდა მისთვის საფუძველი ჭეშმარიტად დიადი სულიერი აღმაფრენისა და უზენაესი საღვთო ტაძრის იდუმალებში შეღწევისა, რაც სრულად გამჟღავნდა მის შრომებში: „ცხოვრება მოსესი“ და „ქება ქებათას განმარტება“.

378 წ.-ს ვალენსის სიკვდილის შემდეგ სრულდება გრიგოლის დევნა და იგი უკან ბრუნდება.

379 წლის 1 იანვარს გარდაიცვლება ბასილი დიდი. ეს იყო უმძიმესი დანაკლისი გრიგოლისთვისაც და მთელი საქრისტიანოსთვის. როგორც აღნიშნავს მ. კანევე, ამ დროიდან გრიგოლი გახდება მისი მემკვიდრე; იგი სრულად აცნობიერებს საკუთარ პასუხისმგებლობას და უპირველეს როლს თამაშობს საეკლესიო ცხოვრებაში[1]. გრიგოლი მონაწილეობს ანტიოქიის სინოდში, 380 წ.-ს სებასტიის ეპისკოპოსად ირჩევს თავის ძმას პეტრეს, კონსტანტინოპოლში საჯაროდ კითხულობს ზემოხსენებულ შრომას „ევნომიუსის წინააღმდეგ“ (ამის შესახებ ცნობას გვაწვდის წმ. იერონიმე).

სამართლიანად მიიჩნევენ, რომ გრიგოლის საეკლესიო მოღვაწეობის აპოგეა არის 381 წელი, როდესაც იგი კონსტანტინოპოლის მსოფლიო საეკლესიო კრებაზე უდიდესი ავტორიტეტითა და დიდებითაა მოსილი.

382 წ. გრიგოლი მისიონერულ მოგზაურობას ეწევა არაბეთში და იერუსალიმში, კონსტანტინოპოლში ბრუნდება 383 წლის გაზაფხულზე და იქ სინოდის წინაშე წარმოთქვამს ქადაგებას ძისა და სულის ღმერთობის შესახებ[2].

გრიგოლის ავტორიტეტს ცხადყოფს ისიც, რომ 385 წ.-ს სწორედ მას ხვდება წილად სამგლოვიარო სიტყვის წარმოთქმა პრინცესა პულხერიას, ცოტა ხნის შემდეგ კი თავად დედოფალ ფლაკილას გარდაცვალების გამო (იხ. ბგ. 46, 864—892)[3].

---

[1] მ. კანევე, გრიგოლ ნოსელი, სულიერების ლექსიკონი, ტ. VI. პარიზი, 1967, გვ. 972—973.
[2] მ. კანევე, გრიგოლ ნოსელი, სულიერების ლექსიკონი, ტ. VI, პარიზი, 1967, გვ. 973.
[3] ibid.

ბოლო წლები გრიგოლის ცხოვრებისა ბურუსითაა მოცული. ერთი რამ დღეისათვის გარკვეულია. მისი უმეტესად მისტიკური და რჯულდებითი შრომები („სისრულისათვის", „აღთქმა ქრისტიანისა", „განმარტება ქება ქებათასი", „მოსეს ცხოვრება", „ქრისტიანული ინსტიტუტის შესახებ") სწორედ ამ უკანასკნელ წლებს ეკუთვნის.

„მოსეს ცხოვრება" გრიგოლ ნოსელის ერთი უმთავრეს შრომათაგანია. საზოგადოდ, ეს თხზულება წარმოადგენს ქრისტიანული მისტიკის, მისტიკური სახისმეტყველების ურჩეულეს ძეგლს. საღვთო წიაღის უჩვეულო სიდიადით მსჭვალავს იგი მკითხველს. ეს თხზულება ძველადაც იყო ქართულად თარგმნილი დიდი მამის ექვთიმე ათონელის მიერ[1].

„მოსეს ცხოვრება" ორი ნაწილისაგან შედგება. პირველია ბიბლიური უწყების, ბიბლიური ისტორიის პოპულარული გადმოცემა, მეორე კი — ამ ისტორიის ყოველი დეტალის ღრმა მისტიკური განჭვრეტა. ქვემოთ წარმოდგენილია მხოლოდ პირველი ნაწილის თარგმანი, რაც შევასრულეთ ორიგინალის შემდეგი კრიტიკული გამოცემიდან: გრიგოლ ნოსელი, მოსეს ცხოვრება, შესავალი, კრიტიკული ტექსტი და თარგმანი ჟ. დანიელუსი, მესამე გამოც. პარიზი, 1968. ვისარგებლეთ, აგრეთვე ჰ. მუზურილოს კრიტიკული გამოცემით[2].

ედიშერ ჭელიძე

---

[1] იხ. საქართველოს ეკლესიის კალენდარი 1989 წ. გვ. 252—254.

[2] გრიგოლ ნოსელი, მოსეს ცხოვრება, გამოსცა ჰერბერტ მუზურილომ, (გრიგოლ ნოსელი, შრომები, ტ. VII, ნაწ. I) ლეიდენი 1964.

ცხოვრება მოსესი,
ანუ სათნოებისეული სრულქმნილების შესახებ!

ისევე, როგორც მარულას მოყვარულები, გამარჯვების წყურვილით ავსილნი, დაუცხრომლად დაჰკიჟინებენ მათგან რჩეულ მოასპარეზეებს (რომლებიც, თავის მხრივ, არანაკლებ ეშურებიან სისწრაფეს), ზემოდან თვალს აღევნებენ ცხენთა რბოლას და, როგორც თვლიან, აგულიანებენ კიდეც მათ უმკვირცხლესი წინსწრაფვისაკენ, თვითვე ცხენებთან ერთად იჩოქებენ, მათრახის ნაცვლად კი ქნევაქნევით აშვერენ ხელებს და თუმცა მსგავსი შეძახილებითა და მიმორხევებით გამარჯვებას არაფერს ჰმატებენ, მოასპარეზეებისადმი კეთილგანწყობასა და მწველ სიყვარულს ცხადად წარმოაჩენენ, — ვფიქრობ, ასევე ვიქცევი მეც, მეგობართა და ძმათა შორის უპატიოსნესო, როდესაც სათნოების სარბიელზე საღვთო რბოლაში შენს ღირსეულ ასპარეზობას აქედან ვეხმიანები და ღვთივჩენილი საზღაურისაკენ მსუბუქი და დაუცხრომელი ხლდომით მსწრაფველს კიდევ უფრო წინ გაქეზებ, თანაც მომეტებული სისწრაფისაკენ გაგულიანებ.

რიდესაც ამგვარად ვიღწვი, არათუ რაიმე პირუტყვული წადილით ვარ აღტკინებული, არამედ ვესწრაფვი მხოლოდ, რომ შეგეტკბო, როგორც ჩემს საყვარელ შვილს.

ეპისტოლეში, რომელიც ახლახან გამომიგზავნე, მთხოვდი, რაიმე რჩევა მომეცა სრულქმნილი ცხოვრების შესახებ. ამგვარი სათხოვარი უთუოდ ყურადღების ღირსია.

შესაძლოა, ჩემი სიტყვებიდან არც არაფერი აღმოჩნდეს სასარგებლო შენთვის, მაგრამ წინამღებარე პასუხი, ვფიქრობ, მორჩილების ნიმუშად მაინც გამოგადგება. თუკი ჩვენ, რომლებიც მამათა წესისამებრ ამდენ სულს ვუწინამძღვრებთ, ვთვლით, რომ მართლაც შეჰფერის ჩვენს ჭაღარას ყურად იღოს გონიერი ახალგაზრდობის სათხოვარი, გაცილებით უფრო საშური უნდა იყოს შენთვის, განმტკიცდე და წარემატო სიმდაბლეში და შენი სიჭაბუკე ჩვენებრ ნებაყოფლობით მორჩილებაში გამოაწრთო.

ამის შესახებ ეს ვიკმაროთ, ახლა კი დასახულ საქმეს შევუდგეთ და სიტყვის წინამძღვრად ღმერთს ვუხმოთ. ითხო-

ვე ჩვენგან, ძვირფასო გვამო, სახეობრივად წარმოგიდგინოთ, თუ რა არის სრულქმნილი ცხოვრება. თუკი ჩემს სიტყვაში აღმოაჩენ მას, რასაც ესწრაფვი, ცხადია, სურვილიც გაგიჩნდება შენივე ცხოვრებით სრულყო სიტყვაში გაცხადებული მადლი. თვით მე ორივე მხრივ უძლური ვარ, რადგანაც ვერ ძალმიძს ვერც სრულქმნილების სიტყვიერი შემოსაზღვრა, ვერც სიტყვით აღწერილის ცხოვრებაში ასრულება. არა მარტო მე, არამედ ისინიც კი, რომლებიც მამათა შორის დიდებულნი და სათნოებით წარჩინებულნი არიან, მიუწვდომლად აღიარებენ ამგვარ რამეს. მეორე მხრივ, არ მინდა იფიქროს ვინმემ, თითქოს თანახმად მეფსალმუნისა, მაშინ შემიპყრო შიშმა, როცა არ იყო შიში. ამიტომაც შეეეცდები უცხადესად წარმოგიდგინო ჩემი საფიქრალი.

სრულქმნილების ყველა ის სახე, რაც კი გრძნობად საგნებში ვლინდება, შესაბამისი საზღვრებით არის შემოზღუნებში ვლინდება, შესაბამისი საზღვრებით არის შემოზღუდული; ასეთია თუნდაც. განგრძობადი და ზღვრული რაოდენობა. მოეპოვება. თუ დავუკვირდებით, ვნახავთ,, რომ თითოეული წყრთა ანდა რიცხვთა ათეული სადღაც იწყება და სადღაც წყდება; სწორედ ესაა მათი სისრულე. რაც შეეხება სათნოებისეულ სრულქმნილებას, მოციქულის თანახმად, მას მხოლოდ ერთი საზღვარი აქვს: საზღვრის არ ქონა. ხსენებული საღვთო მოციქული, — დიადი და ამაღლებული, რომლის გონებაც სათნოების სარბიელზე რბოდა მარადის, არასოდეს დამცხრალა წინ სწრაფვისაგან (ფილიპ. III, 13), რადგანაც საფრთხედ შეერაცხა მას სრბოლის შეყოვნება. რატომ? იმიტომ, რომ ყოველი კეთილი თავისი ბუნებით უსაზღვროა და მხოლოდ მაშინ იზღუდება, როცა მისთვის უცხოს შეეჩეხება, როგორც, მაგალითად, სიცოცხლე სიკვდილს, ხოლო ნათელი ბნელს. საზოგადოდ, ყოველ კეთილს ის ახშობს, რაც მოწინააღმდეგეა მისი და როგორც სიცოცხლის დასასრული დასაბამი ხდება სიკვდილისა, ასევე სათნოებითი სრბოლის შეყოვნება, თავის მხრივ. ბოროტისაკენ სწრაფვად გარდაიქმნება. აქედან ცხადია, რომ ის, რაც საზღვრებით იზღუდება, სათნოება არ არის. სწორედ ამიტომ, არ ვტყუოდით,

როდესაც ვამბობდით: შეუძლებელია სათნოებისეული სრულქმნილების ამომწურავი განსაზღვრა.

ვფიქრობ, ცხადად უნდა განიმარტოს, აგრეთვე ისიც, თუ რატომ არის სრულქმნილება მიუწვდომელი თვით სათნო ცხოვრების გზაზე.

უპირველესი და ჭეშმარიტი კეთილი, რომლის ბუნებაც სიკეთეა, ე. ი. თავად ღმრთეება, არის ის, რაც მის არსებას შეადგენს, და ასეც იწოდება. ამასთან, რადგანაც სათნოებას, ბოროტების გარდა სხვა საზღვარი არ გააჩნია, ხოლო ღმრთეება თავის მხრივ, არაფერს საწინააღმდეგოს არ შეიწყნარებს, შესაბამისად, საღვთო ბუნება უსაზღვრო და დაუსრულებელი უნდა იყოს. მეორე მხრივ, თუკი ნამდვილი სათნო ცხოვრება იგივეა, რაც ზიარება ღმერთთან (რადგანაც სწორედ ღმერთია სრული სათნოება), და თუკი შეცნობის ყველა მსურველი ჭეშმარიტად კეთილთან ზიარებას ესწრაფვის, ხოლო ამ უკანასკნელს საზღვარი არა აქვს, მაშინ საეჭვო აღარ უნდა იყოს, რომ მზიარებელთა წინსწრაფვაც ასევე უსასრულოდ განვრცობადი იქნება და არც არასოდეს შეფერხდება.

ამგვარად, სისრულე მართლაც, ყველასათვის მიუწვდომელი ჩანს, რადგანაც სრულქმნილება საზღვრებით არ იზღუდება ანუ, როგორც ითქვა, სათნოების საზღვარი მხოლოდ უსაზღვროებაა. ანკი რა გზით მივაღწევთ საძიებელ ზღვარს, თუ ეს ზღვარი არსად აღმოჩნდება?

თუმცა ჩვენმა მსჯელობამ სრულიად მიუწვდომლად წარმოსახა სწრაფვის საგანი, მაგრამ ამის გამო უფლის მცნებას ნუ უგულებელვყოფთ, რომელიც გვაუწყებს: „იყავით სრულნი, ისევე, როგორც სრულია თქვენი ზეციური მამა“ (მათე, V, 48). მართალია, ბუნებით კეთილს მთელი სისავსით ვერასოდეს ვეზიარებით, მაგრამ მასთან ნაწილობრივი ზიარებაც გონიერთათვის დიდად სასარგებლოა. ყოველმხრივ ვეცადოთ, თვით ამ სრულქმნილების ნაწილსაც არ მოვწყდეთ და იმდენად მოვიხვეჭოთ იგი, რამდენის შეწყნარებაც ძალგვიძს. როგორც ჩანს, ადამიანური ბუნებისათვის სრულქმნილება, — ესაა მარადიულად მეტი და მეტი ზიარება კეთილთან.

ვფიქრობ, კარგი იქნება, თუ რჩევისათვის წმიდა წერილს

მივმართავთ. საღვთო ხმა ესაია წინასწარმეტყველის პირით გვაუწყებს, „შეხედეთ აბრაამს — თქვენს მამას და სარას — თქვენს მშობელს“ (ესაია 51, 2). ეს სიტყვები სათნოებისაგან გარემოქცეულთა გასაგონად ითქვა. ისევე, როგორც მეზღვაურები, რომლებიც ნავსადგურისაკენ მიმავალ სწორ გზას გადაუხვევენ, შემდეგ კი ან მაღლა ავარდნილ ცეცხლს შეამჩნევენ, ან კიდევ რომელიმე მწვერვალის თავს მოკრავენ თვალს და ასეთი ცხადი სანიშნეების მიერ ცთომილებას თავს დააღწევენ, — მსგავსადვე, ყველა ის, ვინც უწინამძღვრო გონების გამო ცხოვრების ზღვაში დაიკარგა, სარასა და აბრაამის სახეთა გაჭვრეტით კვლავაც შეძლებს საღვთო ნების ნავსადგურისაკენ გზა გაიკვლიოს. ამასთან, რადგანაც ადამიანური ბუნება მამაკაცად და დედაკაცად განიყოფის, ხოლო მათ ორთავეს თანასწორად მოელით ბოროტის ან კეთილის ნებაყოფლობითი არჩევა, ამის გამო საღვთო ხმამ თითოეულ მათგანს სათნოების შესაბამისი ნიმუშიც კანუჩინა. ორივე ნაწილი მისთვის მონათესავეს ეშურება, მამაკაცი — აბრაამს, დედაკაცი — სარას, და ერთიცა და მეორეც თვისობრივად შესატყვისი სახეების კვალზე სათნოებითი ცხოვრებისაკენ მიმავალ მართალ გზას ადგება.

ამჯერად, ალბათ, საკმარისი იქნება გავიხსენოთ თუნდაც ერთი მათგანი, რომელმაც თავისი ცხოვრებით სახელი გაითქვა. ცეცხლოვან სანიშნედ დავსახოთ იგი, თანაც ვაჩვენოთ, თუ რა გზით ძალგვიძს სათნოების მშვიდი ნავსადგურისაკენ წარვმართოთ სული, რომ ვერც ცხოვრების ქარიშხალმა ააღელვოს იგი და ვერც ვნებათა უწყვეტმა ტალღებმა დანთქას ბოროტების უფსკრულში. ვფიქრობ, სწორედ იმიტომ აღიწერა ასე დაწვრილებით ამაღლებულ კაცთა მოღვაწეობა, რომ შთამომავლებმაც მათ მიბაძონ და წარჩინებულთა მსგავსად ისინიც კეთილისაკენ წარემართონ.

იკითხავს ვინმე: „თუკი არც ქალდეველი ვარ, როგორც აბრაამი, არც ეგვიპტის ასულს აღვუზრდივარ, როგორც მოსე, თუკი არც სხვა რამ ცხოვრებისეული ნიშნით ვემსგავსები ჩემს წინაპრებს, როგორღა შევძლებ ჩემი თავი მათსავე მწყობრს შევუერთო? მათი ყოფა ხომ იმზომამდე უცხოა ჩემთვის, რომ ერთმანეთს არაფრით ვგავართ!“

პასუხად ვიტყვით: ქალდეველობა არც ბოროტებად მიგვაჩნია და არც სიკეთედ; ასევე, ვფიქრობთ, არც ეგვიპტეში მკვიდრობა ანდა ბაბილონში ცხოვრება წაართმევს ვინმეს სათნოებას. არც მხოლოდ იუდეაში შეიცნობენ ღმერთს ღირსეულები; არც სიონია, პირდაპირი აზრით, ღვთის სამყოფელი. უფრო გამჭრიახი გონება და უფრო მახვილი თვალი ისტორიულ თხრობაში იმას განჭვრეტს, სინამდვილეში რომელ ქალდეველსა და ეგვიპტელს უნდა განვერიდოთ ან კიდევ ბაბილონელთა რომელი მონობისაგან უნდა დავიხსნათ თავი, რომ მივაღწიოთ ნეტარ ცხოვრებას.

ამგვარი ცხოვრების ნიმუშად მოსეს წარმოგიდგენთ. ჯერ მოკლედ გადმოგცემთ მის ყოფას, როგორც ეს საღვთო წერილისაგან ვისწავლეთ, შემდეგ კი ისტორიული თხრობის შესატყვის სულიერ აზრს გამოვიკვლევთ და ამ გზით სათნოების შესახებაც მოგცემთ რჩევას, აგრეთვე იმის შეცნობასაც ვეცდებით, თუ რას გულისხმობს ადამიანისათვის მისაწვდომი სრულქმნილი ცხოვრება.

* * *

გადმოგვცემენ, რომ იმ დროს, როდესაც მოსე იშვა, ტირანის ბრძანებით ნაშობი ყრმების ცოცხლად დატოვება აკრძალული იყო. ამბობენ, აგრეთვე, რომ მოსეს დაბადებიდანვე მიემადლა ყველა ის ღირსება, რამაც შემდეგში იჩინა თავი. როდესაც მშობლებმა სახვევები გახსნეს, ისეთი ნატიფი ჩვილი იხილეს, რომ ვეღარ იუფლეს მისი მოკვლა. მართალია, ტირანის შიშით მდინარეს მისცეს მათ აწალშობილი, მაგრამ შიშვლად კი არ გადააგდეს ნილოსის ტალღებში, არამედ ყუთში ჩასვეს, რომლის სამაგრებიც გუდრონითა და ფისით იყო შემტკიცებული (ასე მოგვითხრობენ ისინი, რომლებმაც დაწვრილებით შეისწავლეს მოსეს ცხოვრება).

ყუთი, რომელსაც საღვთო ძალა მართავდა, ნაპირის დამრეც კიდეს შეეყუდრა, შემდეგ კი მდინარის ტალღებით თავისთავად გაირიყა ხმელეთზე. სწორედ ამ დროს სანაპირო ბაღში მეფის ასული იყო მისული, რომელიც იქვე გამორიყულ ყუთს წააწყდა და დაეპატრონა. ყუთიდან ჩვილი მოსე ხმობდა.

როდესაც მეფის ასულმა მადლფენილი ახალშობილი იხილა, მაშინვე შეიყვარა იგი და იშვილა კიდეც, მაგრამ მოსემ არ ითვისა უცხო ძუძუ; ნათესავების ხელშეწყობით მაინც მშობ-

მეფურად აღზრდილი ყრმა გარეშე მოძღვრებაშიც განისწავლა, მაგრამ შემდეგში აღარ ირჩია მან ეს მოძღვრება, რომელსაც ლის რძით გამოიკვება იგი.

ისევ გარეშენი ადიდებენ. განმწვისებულმა მოსემ აღარც დედობილი მიიღო ნამდვილ დედად. სისხლით ნათესავებისაკენ გაეშურა იგი და თავისი ტომის ხალხში გაერია. როდესაც ებრაელსა და ეგვიპტელს შორის ბრძოლა გაჩაღდა, მოსე ნათესავს მიემხრო და მოკლა უცხოთესლი, მაგრამ როცა ორი ებრაელი შეეჭიდა ერთმანეთს, მათ დაწყნარებას შეეცადა მოსე და ასე ურჩია მოქიშპეებს: უთანხმოების დროს ძმათა შორის ბუნება უნდა იყოს შუამდგომელი და არა გულისწყრომა. ერთმა მათგანმა ამის გამო უსამართლოდ განდევნა იგი, მაგრამ განცდილმა წყენამ უმჯობესი სიბრძნისაკენ უწინამძღვრა მოსეს, რადგანაც ამიერიდან მრავალთა კრებულს განერიდა იგი და განმარტოებით დაემკვიდრა. სწორედ მაშინ დაუმოყვრდა მოსე ვიღაც უცხოთესლს, რომელსაც შეეძლო როგორც უკეთურის განშვრეტა, ასევე გარჩევა ადამიანთა ჩვეულებებისა და მათი ყოფა-ცხოვრებისა. ეს კაცი მხოლოდ ერთი ნამოქმედარის გზით ჩაწვდა ჭაბუკის მთელ სათნოებას (ვგულისხმობ მწყემსებზე თავდასხმას), მიხვდა, რომ მოსემ თავის სასარგებლოდ როდი დაიცვა სიმართლე, თავისთვის როდი შეებრძოლა მწყემსებს, რომლებსაც მის წინაშე ბრალი არ მიუძღოდათ, არამედ ბუნებით იყო იგი სამართლიანი. გაუკვირდა უცხო კაცს ჭაბუკის ამგვარი მოქმედება, ძვირფას განძზე უპატიოსნესად შერაცხა გარეგნულ სიმწირეში დამალული სათნოება და თავისი ასული მიათხოვა მას, თანაც ნება დართო, მისთვის სასურველსა და საწადელ ცხოვრებას მიჰყოლოდა.

ასე ცხოვრობდა მოსე მთაში განმარტოებით, თავყრილობათა მღელვარებას გარიდებული და უდაბურ განდეგილობაში ცხვარზე მზრუნველი.

ამგვარ ყოფაში გავიდა დრო. ერთხელ, როგორც გვაუწყებს ისტორია, საშინელი ღვთისჩინება იხილა მოსემ. ზუსტად შუა-

დღით მზიურ ნათელზე უბრწყინვალესმა შუქმა გაუელვა თვალებში. უცხო სახილველით გაცბუნებულმა ყრმამ მთას ახედა და თვალი ჰკიდა ცეცხლოვან ბუჩქს, რომლისგანაც ალი გამოკრთებოდა. ბუჩქის რტოები ცეცხლში ისე ყვაოდა, თითქოს ნამით იყო დაცვარული. თავის თავს უთხრა მოსემ: მივალ და ვნახავ ამ დიად სანახაობას! ამის თქმა იყო და, ცეცხლოვანმა სხივებმა არა მარტო ჭაბუკის თვალები აავსეს საკვირველი შუქით, არამედ, რაც ყველაზე უჩვეულოა, მისი ყურებიც ააკამკამეს. ორივე გრძნობის ორგანოს გაუნაწილდა სინათლის მადლი, — თვალები სხივთა ციმციმმა გააბრწყინა, ყურები კი უხრწნელმა მოძღვრებამ გაანათლა. ხმა გამოსცა სინათლემ და მთაზე ასვლა აუკრძალა მოსეს, რადგანაც ამძიმებდა მას მკვდარი ფეხსაცმლები. მოსემაც შეიხსნა ისინი და მხოლოდ შემდეგ შეახო ფეხი იმ მიწას, რომელსაც საღვთო შუქი ანათებდა.

ვფიქრობ, არ არის საჭირო წვრილად მოგითხროთ ყველაფერი, რადგანაც ამით ჩვენს მიერ დასახულ მიზანს ვშორდებით.

საღვთო გამოცხადების გზით მოსეს ებრძანა, რომ ეგვიპტელთა მონობიდან გამოეხსნა მისი ერი. უბრალო ცდამ უზენაესი ბრძანებისადმი რწმენა შესძინა მოსეს და თანაც უკეთ შეაცნობინა თვით მასში ჩანერგილი საღვთო ძალა. ცდა კი ასეთი იყო: როდესაც მოსემ კვერთხი გააგდო ხელიდან, ხეს სული ჩაედგა და ცხოველად გარდაიქმნა (გველი იყო ეს ცხოველი). შემდეგ, როდესაც შეიპყრო მან გველი, ცხოველი კვლავ კვერთხად იქცა. კიდევ, როდესაც სიღრმეში შეყოფილი ხელი გამოიღო მოსემ, კანი თოვლივით გათეთრდა, მაგრამ როცა უკანვე შეიყო, ხელს ისევ დაუბრუნდა პირვანდელი ფერი.

ამის შემდეგ მოსემ თან წაიყვანა უცხო ტომის ცოლი, მასთან შეძენილი შვილები და ეგვიპტეში ჩავიდა. როგორც გადმოგვცემენ, სწორედ მაშინ შეხვდა მათ ანგელოზი; სიკვდილით ემუქრებოდა იგი მოსეს, მაგრამ მოსეს ცოლმა წინადასცვითა თავის ძეს და ბავშვის სისხლით ანგელოზს გული მოულბო. შემდეგ აარონს შეხვდა მოსე, რომელსაც, ასევე, ღმერთი უწინამძღვრებდა.

მოსემ და აარონმა ერთად შეკრიბეს ეგვიპტეში მცხოვრები ებრაელები და მძიმე შრომით გატანჯულებს მონობიდან გათავისუფლების შესახებ ამცნეს. ტირანთანაც ისაუბრეს მათ, მაგრამ ამ ამბის გამო ეგვიპტის მეფე ადრინდელზე უფრო განურისხდა ებრაელებსაც და მათი შრომის ზედამხედველებსაც. აგურის სამუშაოები კიდევ უფრო დამძიმდა. გამოიცა გაცილებით მკაცრი კანონი, რომელიც თიხის ზელასთან ერთად ჩალისა და ნამჯის მოპოვებასაც აკისრებდა მათ.

მოსემ და აარონმა ღვთის შემწეობით სასწაულები აღასრულეს, მაგრამ ეგვიპტის ტირანმა, რომელსაც ფარაონს უწოდებდნენ, მსახვრალთა გრძნეულება დაუპირისპირა მათ: როდესაც მოსემ ეგვიპტელების თვალწინ კვერთხი ცხოველად აქცია, მოჩვენებითი გრძნეულების გზით იგივე სასწაული აღსრულდა მოგვთა კვერთხებზეც, მაგრამ მაშინვე გაცხადდა მათი სიყალბე, რადგანაც გველად ქცეულმა მოსეს კვერთხმა გრძნეულთა ხელჯოხები (თითქოს გველები) ერთიანად შთანთქა. ამით ნათელი გახდა, რომ მსახვრალთა კვერთხებს არ ჰქონდათ არავითარი თავდაცვითი და სასიცოცხლო ძალა, გარდა მოჩვენებითობისა, რითაც გრძნეულება მხოლოდ გულუბრყვილოებს თუ აცთუნებდა.

მიხვდა მოსე, რომ უკლებლივ ყველა ქვეშევრდომი თანამზრახველი იყო მათი ბოროტი წინამძღვრისა და ამიტომ ეგვიპტელ ხალხს საერთო ჭირი მოუვლინა; ვერავინ გაექცა მკაცრ განსაცდელს.

ეგვიპტელების წინააღმდეგ ბრძოლაში, მორჩილი მხედრობის მსგავსად, მოსეს გვერდში ედგა ყველგან ხილული არსთა პირველსაფუძვლები: მიწა, წყალი, ჰაერი და ცეცხლი, რომლებიც კაცთა ნებისამებრ იცვლიდნენ სახეს. საღვთო ძალამ მათი გზით ერთსა და იმავე დროსა და ადგილზე დამნაშავეები დასაჯა, ხოლო უცოდველნი უვნებლად დატოვა.

მოსეს ბრძანებით, მთელ ეგვიპტეში წყალთა ბუნება სისხლად იქცა, ისე რომ, გამკვრივებულ და გასქელებულ წყალში თევზებიც დაწყდა. მხოლოდ ებრაელთაგან მოპოვებული წყალი არ იყო სისხლი, მაგრამ ეგვიპტელმა გრძნეულებმა მარჯვე ყამი ჰპოვეს და ეს წყალიც სისხლის ფერს მიამსგავსეს.

ამის შემდეგ ეგვიპტის მიწას დაუყოვნებლივ მოეფინა ბა-

ყაყები, მაგრამ მათი ჯიშის ასეთი გამრავლება ბუნებრივი წესით არ მომხდარა. ბაყაყთა მოდგმის ახალი სახეობის დაბადება იმავე საღვთო ბრძანებამ აღასრულა. ცხოველებმა მთელი ეგვიპტე სახლებში შეამწყვდიეს და ამოწყვიტეს, ხოლო ებრაელები კვლავ უვნებლად გადარჩნენ.

ასევე, როდესაც ეგვიპტელებს დღე-ღამის გარჩევა მოესპოთ და ჰაერმა მუდმივი წყვდიადით მოიცვა ისინი, ებრაელებისათვის მაშინაც არაფერი შეცვლილა.

მომდევნო სასწაულებმაც, — სეტყვამ და ცეცხლმა, კოღოებმა და ქინქლებმა, მუმლებმა და კალიებმა მათი ბუნების შესაფერისად ავნეს ეგვიპტელებს; ებრაელები თანამცხოვრებთა უბედურების შესახებ მხოლოდ მითქმა-მოთქმითა და სხვათა გადმოცემით იგებდნენ, თვით მათ კი არაფერი გასჭირვებიათ.

პირმშოთა გაწყვეტამ უფრო აშკარად გამოარჩია ეგვიპტელისაგან ებრაელი. თუ ეგვიპტელები უსაყვარლესი შვილების ამოწყვეტას გლოვობდნენ, ებრაელები ისევ ისე მშვიდად და უშფოთველად ცხოვრობდნენ. სისხლის პკურებამ იხსნა ისინი, რადგანაც მათ სახლებზე კარის წირთხლი და ზემო ზღუდარი სისხლით იყო მონიშნული.

სწორედ იმ დროს, როცა ეგვიპტელებს პირმშოთა უბედურებამ თავზარი დასცა და ყოველი მათგანი განმარტოებით თუ სხვებთან ერთად სიმწრით გოდებდა, მოსე ებრაელების ეგვიპტიდან გამოსვლას წარუძღვა წინ; ადრევე გააფრთხილა მან ყველა მათგანი, რომ დროებითი სარგებლობის საბაბით ეგვიპტელთა სიმდიდრეც თან წამოეღოთ.

ისტორია მოგვითხრობს: სამი დღის შემდეგ ფარაონმა ინანა, რომ აღარ ჰყავდა მონობაში ებრაელები. ყველა ქვეშევრდომი საომრად აღჭურვა მან და ცხენოსანთა მხედრიონით უკან გამოუდგა ისრაელს. ებრაელებს არც ომი ენახათ და არც ბრძოლებში იყვნენ გამოწრთობილნი. ამიტომ, როცა აღჭურვილი ცხენოსნები იხილეს, თავზარი დაეცათ და მოსეს აუჯანყდნენ. თვით მოსეს შესახებ ისტორია გადმოგვცემს, რომ ასეთ დროს ორმაგი ძალა მოიკრიბა მან. ერთი მხრივ, სიტყვითა და შეძახილებით გაამხნევა ისრაელები და უკეთესის მოლოდინი შთააგონა ერს, მეორე მხრივ კი შინაგანად

ღმერთს მიაპყრო გონების თვალი და სასოწარკვეთილთა შეწყალებას ევედრა მას. ზეციდან ემცნო, თუ რა გზით დაეძლია საფრთხე (როგორც ისტორია ამბობს, თვით ღვთის უხმო ძახილს ისმენდა მოსე). საღვთო ძალამ ისრაელს ღრუბელი მოუვლინა წინამძღვრად, რომელიც ჩვეულებრივი ღრუბელი როდი იყო. ნისლით და ორთქლით არ შექმნილა იგი (თუმცა ღრუბელი სწორედ მაშინ ჩნდება, როცა ნისლის მსგავსად შესქელდება აორთქლებული ჰაერი და ქარები ერთად შეამკვრივებს მას). ადამიანის გონებაზე აღმატებულია და ამაღლებული მისი ბუნება.

საღვთო წერილი სწამებს, რომ საკვირველებას ახდენდა ეს ღრუბელი: როდესაც მზე დააცხუნებდა, ზემოდან ფარავდა იგი ებრაელებს, ჩრდილავდა მათ და წვრილი ნამით ჰაერის სიმხურვალეს აგრილებდა; ღამით ცეცხლად იქცეოდა ღრუბელი და მისი სინათლე მწუხრიდან ცისკრამდე ლამპარივით[1] უშუქებდა ისრაელს გზას.

სწორედ ამ ღრუბელს ჰვრეტდა მოსე; სხვებსაც მოუწოდებდა, უკან შედგომოდნენ ჩვენებას. როდესაც ისრაელი წითელ ზღვას მიადგა, ღრუბელი კვლავ წინ გაუძღვა ხალხს. ამ დროს ეგვიპტელების მხედრობა ყოველ მხრივ გარს შემოერტყა ებრაელებს. ხსნა არსად ჩანდა. ზღვასა და საზარელ მებრძოლებს შორის მოექცნენ ისინი. მაშინ ყოვლად დაუჯერებელი რამ აღასრულა ღვთივ ძალცემულმა მოსემ: ნაპირს მიუახლოვდა იგი და ზღვას კვერთხი დასცა; გაირღვა წყალი და როგორც შუშა, რომელსაც თუკი ერთ მხარეს ბზარი გაუჩნდა, მყისვე მეორე კიდემდე გაიპობა იგი, — ასევე, როცა კვერთხით ერთ მხარეს გაიპო ზღვა, მაშინვე მოპირდაპირე ნაპირამდე გაწვდა ნაპრალი. მთელ ხალხთან ერთად ჩავიდა მოსე სიღრმეში, იქ, სადაც ზღვა გაირღვა. მზით გამომხმარი მიწა დახვდათ ქვევით. ფეხით განვლეს ზღვის მშრალი ფსკერი

---

[1] „დადუხეინ“ არის მისტერიების ენის კუთვნილება, სადაც იგი ნიშნავდა მისტერიალური მსვლელობის ჟამს ჩირაღდანით წინ ძღოლას. ქრისტიანულ რელიგიაში ეგვეე ტერმინი მიემართება აღდგომის დღესასწაულის ღამეულ პროცესიას (გრიგოლ ნოსელი, მოსეს ცხოვრება, ჟ. დანიელუს გამოცგვ. 24).

ებრაელებმა და არ შეუშინდნენ ზღუდეებად გარსმომდგარ ტალღებს; ორივე მხრიდან კედლებივით შემკვრივდა მათზე ზღვის წყალი; ხოლო როდესაც ფარაონი და ეგვიპტელები ჩაყვნენ ახლადგაჭრილ ბილიკს, ისევ შეერთდა წყალი; ძველებურად აიტალღა ზღვა, მისი ზედაპირი და საწიერი კვლავ გამთლიანდა. ამ დროს ებრაელები უკვე მეორე ნაპირზე იყვნენ და მძიმე და ხანგრძლივი მგზავრობისაგან ისვენებდნენ.

გამარჯვების სადიდებელი უგალობა ერმა უფალს, რომელმაც სისხლდაუღვრელად მიმადლა მას ძლევა მტრისა და ეგვიპტელების მთელი მხედრობა ეტლებითა და საჭურველით დანთქა წყალში.

მოსემ განაგრძო წინსვლა. სამი დღის უწყლოდ მგზავრობის შემდეგ ძლიერ მოსწყურდათ ებრაელებს; აღარ იცოდა მოსემ, რა ეღონა. ამასობაში ტბა ნახეს მათ და ტბასთანვე დაბანაკდნენ; თუმცა ეს იყო იგივე ზღვის წყალი და მასზე უმწარესიც. წყლის სიახლოვეს მეტისმეტად გაუმძაფრდათ ებრაელებს წყურვილი. მაშინ ღვთის ხმა ისმინა მოსემ, იქვე დაგდებულ ჯოხს დაწვდა და ტბაში ჩაჰყო. მყისვე სასმელ წყლად გარდაიქმნა იგი. ასე შეცვალა ხეში ჩანერგილმა ძალამ წყლის სიმწარე სიტკბოებად.

ღრუბელი კვლავ წინ მიიწევდა. ებრაელებიც უკან მიყვებოდნენ მათ მეგზურს. მხოლოდ მაშინ ჩაიმუხლებდნენ, როდესაც ღრუბელი თვით შედგებოდა და ამით შესვენების ნიშანს მისცემდა მათ; შემდეგ კვლავ წამოიშლებოდნენ და საითაც ღრუბელი უწინამძღვრებდა, ისინიც იქეთ გაემართებოდნენ.

მეგზურს მიდევნებულმა ისრაელმა ისეთ ადგილს მიაღწია, სადაც სასმელი წყალი ამოჩქეფდა: თორმეტი მდინარე უშურველად რწყავდა ამ ადგილს, ხოლო ფინიკების ხეივანი გარშემო ჩრდილს ჰფენდა. თუმცა სულ სამოცდაათი ფინიკი იყო, მაგრამ ეს მცირე რაოდენობაც დიდად აცვიფრებდა მათ მხილველებს, რადგანაც გამოირჩეოდნენ ისინი სიმაღლითა და მშვენიერებით.

შემდეგ მეგზური ღრუბელი კვლავ ამოძრავდა და ახლა სხვა ადგილისაკენ წარუძღვა ისრაელს. უდაბური იყო ეს მხარე, მშრალი და გამომწვარი ქვიშით სავსე. მცირედი სისვე-

ლეც არ ალბობდა მიწას. ისევ შეაწუხა წყურვილმა ებრაელები. იქვე აღმართულ კლდეს კვერთხი დაჰკრა მოსემ და გადმოსკდა სასმელად გემრიელი წყალი, რამაც დაარწყულა ამდენი ხალხი.

ამ დროს საჭმელიც დაელიათ მათ, რაც კი ეგვიპტიდან საგზლად თან წამოეღოთ. როდესაც შიმშილმა გატანჯა ერი, კვლავ აღსრულდა ყოვლად დაუჯერებელი სასწაული: არათუ მიწამ აღმოუცენა მათ საკვები, როგორც ეს საერთოდ ხდება, არამედ ცვარივით გადმოეღვარათ იგი ციდან. განთიადისას გადმოესხურა ცვარი და საზრდოდ ებოძა დამშეულებს. თუმცა ცვარი, ჩვეულებრივ, იგივე წყლის წვეთებია, მაგრამ ის, რაც ამჟამად ცით მოივლინა, სხვა რამ იყო, — გამჭვირვალე, მსხვილი მარცვლები, კორიანდრის თესლივით მრგვალნი, რომლებიც გემოთი თაფლის სიტკბოებას მიაგავდნენ.

ამ სასწაულთან ერთად სხვაც იხილა ისრაელმა. საზრდოს შესაკრებად გასული ებრაელები თუმცა სხვადასხვა ასაკისა და შეძლებისანი იყვნენ, მაგრამ არც არავის ზედმეტი მოუხვეჭია, არც არავინ დარჩენილა ნაკლულად. ყველას წილი, საჭიროების მიხედვით, ზუსტად იყო განსაზღვრული. არც ძლიერი იღებდა მეტს, არც უძლური აკლდებოდა თავის არჩევს.

სხვა სასწაულსაც მოგვითხრობს ისტორია: ებრაელები მხოლოდ დღიურ სარჩოს აგროვებდნენ და არაფერს ინახავდნენ მომდევნო დღისათვის, ხოლო თუკი ვინმე, ზედმეტად ხელმოჭერილი, შემდეგისთვისაც მოიმარაგებდა საზრდოს ნაწილს, გადადებული სარჩო უთუოდ გაუფუჭდებოდა და მატლებით აევსებოდა.

ზემოთქმულს კიდევ ერთი უჩვეულო ამბავი უნდა დაერთოს: რაღაც საიდუმლო განზრახვით, კვირის შვიდეულიდან ერთი უფალმა უქმე დღედ გამოარჩია, ამასთან, თუმცა უქმობის წინა დღეს იმდენივე საზრდო იღვრებოდა ციდან, რამდენიც დანარჩენ დღეებში, და შემკრებთა გულმოდგინებაც კვლავ იგივე იყო, მოპოვებული სარჩო, მაინც, ჩვეულებრივ რაოდენობას ორჯერ აღემატებოდა; ეს კი იმიტომ ხდებოდა, რომ ებრაელებს სარჩოს ნაკლებობის მიზეზით უქმობის კანონი არ დაერღვიათ. საღვთო ძლიერება სწორედ აქ გამოვლინდა: თუკი სხვა დღეებში ზედმეტი სარჩო აუცილებლად ფუჭ-

დებოდა. უქმობის ანუ, როგორც მას უწოდებენ, შაბათის წინა დღეს დაგროვებული მარაგი კვლავაც უცვლელად ინახებოდა და ოდნავადაც არ კარგავდა პირვანდელ სინედლეს.

შემდეგ, უცხო ერთან ბრძოლაში ჩაება ისრაელი. საღვთო წერილი ამალეკს უწოდებს ებრაელებთან მორკინალ ტომს. მაშინ პირველად აღიჭურვა საომრად ისრაელი, მაგრამ არა მთელი ხალხი, არამედ — მხოლოდ ღირსეულები. რჩეული მხედრობა მტერს შეეგება და შეებრძოლა. მხედართმთავრობის ახალი სახე აჩვენა მოსემ: როდესაც იესუ[1], მოსეს შემდეგ წინამძღვარი ერისა, თავისი მხედრობით ამალეკებისაკენ დაიძრა, თავად მოსემ ერთი ბორცვი შეარჩია სამეთვალყურეოდ და ცას მიაპყრო მზერა. ორი ახლობელი აქეთ-იქიდან გვერდში ედგა მას. ისტორიიდან გვსმენია, რომ ასეთი სასწაული ხდებოდა მაშინ: როდესაც მოსე მაღლა ასწევდა ხელებს, ძლიერდებოდნენ ებრაელები, ხოლო როდესაც დაბლა დახრიდა, მტერი ჯაბნიდა მათ. მიხვდნენ ამას იქვე მყოფი ახლობლები და ქვეშ შეუდგნენ მოსეს მკლავებს, რომლებიც რაღაც ფარული მიზეზის გამო დამძიმებულ იყვნენ და საძრაობა წართმეოდათ. ვეღარც ახლობლებმა ზიდეს ფეხზე მდგარი მოსე, ამიტომ ქვა დაუდეს მას საჯდომად, მკლავები კვლავ ცისაკენ აუპყრეს და ასე შეამაგრეს. ამის შემდეგ ისრაელმა დასძლია მტერი.

ღრუბელი, რომელიც აქამდე მეგზურობდა ერს, წინ აღარ დაძრულა და რადგანაც ებრაელებს შემდგომი მგზავრობისათვის წინამძღოლი უკვე აღარ ჰყავდათ, ისინიც ღრუბელთან შეჩერდნენ.

ასე მოიპოვა ისრაელმა უშრომელი და უზრუნველი ცხოვრება: ზემოდან ჰაერი მზა პურს უწვიმებდა მას, ქვემოდან კლდე აღმოუცენებდა სასმელს, ხოლო ღრუბელი ღია ცის ქვეშ ისევ ისე ფარავდა მათ, — დღის მხურვალებას კედლად ეღობებოდა იგი, ღამით კი ცეცხლისებრ ბრწყინავდა და წყვდიადს უნათებდა ებრაელებს.

ბედნიერად ცხოვრობდა მთის ძირას უდაბნოში დამკვიდ-

---

[1] გრიგოლ ნოსელი „ისუს“ ნაცვლად ყოველთვის „იესუს“ წერს და ამით ხაზს უსვამს იმას, რომ ისუ ნავე წინასახეა ქრისტესი.

რებული ისრაელი. სწორედ ასეთ დროს უსაიდუმლოესი ზიარებისაკენ უწინამძღვრა მას მოსემ. თავად საღვთო ძალი გაესაიდუმლა ერსაც და ერის წინამძღვარსაც; ენით უთქმელი საკვირველებები აღასრულა მან.

საიდუმლოსთან ზიარება ასეთი სახისა იყო: ემცნო ისრაელს, რომ განსპეტაკებულიყო იგი ყოველგვარი ხორციელი თუ მშვინვიერი ბიწისაგან, და დაწესებული დროის მანძილზე ქორწინებისაგან წმიდად დაეცვა თავი; მხოლოდ მას შემდეგ შეძლებდა ერი მთაზე ასვლასა და საიდუმლო განდობის შეწყნარებას, როდესაც ყოველგვარ გრძნობადსა თუ ხორციელ წადილს ჩამოიბანდა და ვნებებისაგან გახიწმიდებოდა. ხსენებულ მთას სინას უწოდებდნენ. იმ დროს გონიერთა გარდა არავის ჰქონდა უფლება ამ მთაზე ასვლისა, თანაც გონიერთაგან მხოლოდ მამაკაცებს, მამაკაცთაგან კი — ყოვლად განწმედილებს. დიდი სიფრთხილით იცავდნენ მთას ყველანაირი უწმინდურისაგან, მაგრამ თუკი ისეთი ვინმე, რომელიც პირუტყვული ბუნებისა იყო, მაინც შეაბიჯებდა მასზე, ერი ქვით ჩაქოლავდა თავხედს.

საიდუმლო ზიარების ჟამს ჰაეროვანი შუქის სიწმიდე და გამჭვირვალება არმურით დაიბურა და გარემომცველ ნისლში სინის მთაც გაუჩინარდა. არმურიდან გამომკრთალმა ცეცხლმა კიდევ უფრო საშინელი გახადა სახილველი. ცეცხლი ყოველმხრივ მოედო მთას; მისმა წრიულმა სრბოლამ ირგვლივ ყველაფერი ააკვამლა და ალით აღაგზნო.

აღმა აუძღვა მოსე ერს, თუმცა თვითონაც ვერ იყო გულმტკიცედ; საშინელი ხილვით ზარდაცემული სულითა და ხორცით ძრწოდა. არ დაემალათ ებრაელებს მოსეს სულიერი მღელვარება, თუმცა თვითვე გაუმხილა მათ, რომ შეძრული იყო სანახაობით და შიშისაგან ტანშიც აზრიალებდა.

საშინელი სახილველი მხოლოდ თვალებს როდი აკრთობდა, სმენასაც მსჭვალავდა იგი. გამგმირავი ხმა ზემოდან აზანზარებდა მთელ ცისქვეშეთს. ხმის პირველი ტალღა, — უმძიმესი და გაუსაძლისი, — თითქოს საყვირთა შეძახილს ჰგავდა, თუმცა სიძლიერითა და გამყივანობით ზეაღემატებოდა ყოველგვარ საყვირს. რაც უფრო ახლოვდებოდა ეს ხმა, მეტად და მეტად ბგერდა იგი, მეტად და მეტად საშინელი და

თავზარდამცემი ხდებოდა მსმენელთათვის. ხორხისმიერი იყო ეს ხმა. საღვთო ძალის შემწეობით, სახმო ოიგთა გარეშე ხმობდა ჰაერი, თანაც ფუჭად კი არ მეტყველებდა რამეს, არამედ საღვთო მცნებებს რჯულმდებლობდა. კვლავ და კვლავ ახლოვდებოდა და ძლიერდებოდა ხმა; თავის თავსაც კი ამეტებდა საღვთო საყვირის ხმოვანება; ყოველ წინამორბედ ბგერას გამუდმებით ცვლიდა მასზე უმძლავრესი.

ერი უძლური იყო აეტანა ხილული და სმენილი. ამიტომ, ყველამ ერთობლივად თხოვა მოსეს, ეშუამდგომლა ღმერთსა და ხალხს შორის, რომ მის მიერ მინიჭებოდა ისრაელს რჯული. აღთქმა დადეს ებრაელებმა, რომ საღვთო სიტყვად ირწმუნებდნენ ყველაფერს იმას, რასაც ღვთივსწავლული მოსე აუწყებდა მათ. შემდეგ ისევ მთის ძირს დაუბრუნდა ყველა, მოსემ კი კვლავ უჩვეულო რამ აღასრულა: განმარტოებით დარჩა იგი მთაზე. თუკი ასეთ დროს სხვები ურთიერთთანადგომით იმხნევებდნენ თავს, ახლობლებისაგან მარტოდ დარჩენილი მოსე მათზე გაცილებით გულმტკიცე აღმოჩნდა. ცხადი გახდა, რომ მისთვის უცხოა შიშის განცდა, წინანდელი მღელვარება კი სხვა არაფერი უნდა ყოფილიყო, თუ არა თანალმობის სურვილი ზარდაცემული ერისადმი.

როდესაც მოსემ ტვირთივით ჩამოიხსნა სხვათა სიმხდალე და თავის თავს დაუბრუნდა, მაშინ არმურსაც შეჰბედა მან, შევიდა უხილავთა შიგნით და გაუჩინარდა. საღვთო იდუმალგანდობის[1] შეუვალ სიწმიდეში შეაღწია მან და თავად უჩინარქმნილი უხილავს ეზიარა იქ. ვფიქრობ, ამით ის გვასწავლა მოსემ, რომ ღმერთთან თანამყოფობის მსურველი უნდა გაშორდეს ყოველგვარ ხილულს, უხილავისა და მიუწვდომელისაკენ, როგორც მთის წვერისაკენ გონებით უნდა აღისწრაფოს და ირწმუნოს, რომ ღმრთეება სწორედ იქ იმყოფება, სადაც ვერ წვდება შემეცნება. ვინც ამას აღასრულებს, საღვთო მცნებებს მიიღებს იგი ანუ, რაც იგივეა, სათნოებაში განისწავლება; უმთავრესი მცნება, ესაა ღვთისადმი თაყვანისცემა და საღვთო ბუნების ჯეროვნად შეცნობა ანუ გაგება იმისა, რომ ღმერთი ზეაღემატება ყოველგვარ შემმეცნებელ აზროვ-

---

[1] „იდუმალგანდობა" — ბერძნ. „მისტაგოგია".

ნებასა და სახეს; ცნობადთაგან არაფერი ემსგავსება მას. ღმრთეების განჭვრეტის ჟამს უნდა უარვყოთ ყველაფერი, რაც საწვდომია გონების მიერ, რადგანაც შეცნობადი და აზრისმიერი ყოვლად ზეაღმატებულ ბუნებას ვერ ემსგავსება.

მხოლოდ ღვთის არსებობის რწმენაა შესაძლებელი, მაგრამ ვერავინ ჩაწვდება, როგორ, რამდენად, საიდან ან რა სახით არსებობს იგი.

საღვთო სიტყვა იმასაც გვასწავლის, რა გზით სრულვყოთ ჩვენი ბუნება. ზოგადი და კერძო მცნებებით გვმოძღვრავს იგი. ზოგადია მცნება იმის შესახებ, რომ გვიყვარდეს ჩვენი მოყვასი, რითაც ისპობა ყოველგვარი უსამართლობა. თუკი ამ მცნებას შევითვისებთ, ცხადია, არასოდეს ცუდს არ შევამთხვევთ ჩვენს ახლობელს. რაც შეეხება კერძო მცნებებს, მათგან ერთი მშობლების სიყვარულს გვიბრძანებს, სხვები კი აკრძალულ ცოდვებს ჩამოგვითვლის.

ვინც ამ მცნებათა მიხედვით განიწმედს გონებას, უფრო სრული იდუმალგანდობისაკენ წარემატება იგი. საღვთო ძალი მთლიანი სახით გამოუცხადებს მას ზეციურ კარავს.

სწორედ ეს კარავი იხილა მოსემ, რომელიც იგივე ტაძარი იყო. ენით უთქმელი მრავალფეროვნება ამკობდა მას: წინაბჭეები, სვეტები, ფარდები, ტრაპეზი, სასანთლე, საგუნდრუკე, საკურთხეველი, განსაწმედელი[1], აგრეთვე სიწმიდეთა შიგა ნაწილი, რაც შეუვალია და შეუღწეველი. იმისათვის, რომ დავიწყებას არ მისცემოდა კარვის ნაწილთა ურთიერთშეწყობილი მშვენიერება და რომ სხვებსაც გაცხადებოდათ ღვთივჩენილი საკვირველება, ამის გამო მოსეს ემცნო, რომ გარდა წერილობითი აღწერისა, ნივთიერადაც აეგო უნივთო ქმნილების მსგავსი კარავი და საშენ მასალად ყველაზე უფრო ნათელი და მბრწყინავი საგნები შეერჩია. ცხადებულ ნიმუშში ჭარბობდა ოქრო, რომელიც წრიულად გარს ევლებოდა სვეტებს, თუმცა ამავე სვეტების თავებსა და საძირკვლებს ვერცხლი ამკობდა (ფერში სხვაობას, საფიქრელია, უკეთ უნდა წარმოეჩინა ოქროს ელვარება). საკუთრივ ვერცხლის სვეტები თავში და ბოლოში სპილენძით იყო მოხვეწილი.

---

[1] „განსაწმედელი" — ბერძნ. „ჰილასტერიონ".

რაც შეეხება ფარდებსა და საფარველებს, აგრეთვე, ტაძრის გარსამოსსა და სვეტებზე გადაფენილ კრეტსაბმელს, თითოეული მათგანი მისთვის შესაფერისი მასალიდან იყო ხელოვნებით მოქსოვილი. ზოგან ჭარბობდა იაკინთისა და პორფირის ფერი, სინგურისებრი და ცეცხლოვანი სიწითლე, ბისონის თვითნაბადი ბუნებრივი ელვარება, ზოგან სელი მოჩანდა, ზოგან კი — ბალნის ქსოვილი. აქაიქ მეწამული ფერის ტყავებიც ამშვენებდა კარავს.

ცხადჩენილი ნიმუშის მიხედვით მხოლოდ მთიდან ჩამოსვლის შემდეგ ააგებინა მოსემ ხუროებს კარავი, მაშინ კი, ხელთუქმნელ ტაძარში მყოფი იმის შესახებ იღებდა რჯულდებას, რა სამკაულებით უნდა მორთულიყო მღვდელი, როდესაც იგი შეუვალთა შიგნით შევიდოდა. საღვთო სიტყვამ დაწვრილებით ამცნო მას შიგა და გარე სამოსის შესახებ.

შესამოსელთა რიგი იწყებოდა არა შიგნიდან, არამედ გარედან. ნაირგვარი და მრავალფეროვანი სამხრეები იმავე ძაფებით იყო ნაქსოვი, რითაც ფარდები, თუმცა ამჯერად ქსოვილში ოქროს ძაფი ჭარბობდა. კარშიკები[1] ორივე მხარეს კრავდნენ სამხრეებზე მოთავსებულ სმარაგდებს[2] და წრიულად იყვნენ ჩასმულნი. ქვებს სამკაულად ჰქონდათ ბუნებრივი ელვარება: მწვანე სხივებს აბრწყინებდნენ ისინი. ხელოვნებას, თავის მხრივ, საკვირველად მოეჩუქურთმებინა ქვები, თუმცა ეს ჩუქურთმები არაფრით ჰგავდა ამოკვეთილ გამოსახულებებს. სამკაული, რომელიც ხელოვნებას მიეცა მათთვის, ექვსი პატრიარქის სახელი იყო (თითო ქვაზე თითო სახელი იყო ამოტვიფრული). ქვების ბუდეები სამხრეებს წინ ჰქონდა მოკილი, ბუდეებიდან კი, კარშიკების ორივე მხარეს, ქვევით ეშვებოდნენ ურთიერთშეთხზული ძეწკვები, რომლებიც ქსელისებრ შეწყობილი მონაცვლეობით ჩამოწნულიყვნენ. ვფიქრობ, ქვემო ნაწილთა ნათებას უფრო მეტად უნდა გაებრწყინებინა დაწნულ ძეწკვთა შემკულობა.

ოქროთხზული მშვენიერება, რომელიც მკერდს ეფინებოდა, შედგებოდა სხვადასხვა ქვისაგან. მათი რაოდენობა

---

[1] კარშიკი — შესაკრავი ღილი, ბალთა.
[2] სმარაგდი — ღია მწვანე ფერის ძვირფასი ქვა.

პატრიარქთა რიცხვს თანხვდებოდა ეს ქვები ოთხ მწკრივად იყო გაწყობილი. თითო მწკრივი სამ ქვას შეიცავდა. მათზე ამოტვიფრული იყო ტომთა მამამთავრების სახელები.

სამხრეების შიგა პერანგი, რომელიც კისრიდან ფეხის წვერებამდე წვდებოდა, ჩამოშვებულ ფოჩებს დაემშვენებინა. ქვედა არშია მრავალფერად იყო მოქსოვილი და მორთული. ოქროვანი ნაკიდურებიც ამკობდა მას. ეს იყო ოქროს ეჟვნები და ბროწეულები, რომლებიც გვერდიგვერდ გასდევდნენ ქვედა ქობას. თავსაბური მიტრა[1] მთლიანად იაკინთოვანი[2] იყო, ხოლო პეტალი[3], რომელზეც საიდუმლო გამოსახულება ამოეკვეთათ, მხოლოდ წმიდა ოქროს შეიცავდა. ჩამოშლილ სამოსს სარტყელი კრავდა.

სამოსელის ყველა ეს სახე, დაფარულ ნაწილთა შემკულობასთან ერთად, იგავურად გვაუწყებდა სამღვდელო სათნოების შესახებ.

ასე განაბრძნო საღვთო იდუმალგანდობამ წყვდიადით გარემოცული მოსე. საიდუმლო სწავლათა შეძენით საკუთარ თავს წარემატა იგი[4].

როდესაც მოსემ არმურიდან გამოაღწია, კვლავ თავის ხალხთან ჩამოვიდა იგი, რომ სხვებიც ეზიარებინა ღვთისჩინების ჟამს მისთვის ცხადჩენილ სასწაულებთან, თანაც რჯული განეჩინა ისრაელისათვის და მთაზე ჩვენებული ნიმუშის მიხედვით ერის სათაყვანო ტაძარი და სიწმიდე აეგო. წმიდა ფიცრები მოჰქონდა მას ხელით. ღვთივშექმნილი იყო ეს ფიცრები და ღვთივბოძებული. ადამიანს არ უშრომია მათთვის. ღმერთს შეენივთებინა ისინი და სიტყვებიც მასვე ამოეტვიფრა. ეს სიტყვები თავად რჯული იყო. მაგრამ ერმა დააბრკოლა მადლი. რჯულმდებლის არყოფნაში მეკერპეობას შეუდგა იგი.

როდესაც მოსე საღვთო მესაიდუმლეების ჟამს ხან-

---

[1] მიტრა — ბერძნულში შეესატყვისება „ტაინია". თვით სიტყვა „მიტრაც" ბერძნულია და ნიშნავს თავსახვევს (იხ. მცხეთური ბიბლია, 1, გამოსლვ. XXVIII, 37).

[2] იაკინთე — ძვირფასი ქვა, იისფერი; ბერძნ. „ჰიაკინთოს".

[3] პეტალი — (იხ. მცხეთური ბიბლია, 1, გამოსლვ. XXVIII, 36) — ბერძნ. „პრომეტოპიდონ". საშუბლე თხელი ფირფიტა, რომელსაც დამცველობითი დანიშნულება ჰქონდა.

[4] სიტყვ. „საკუთარ თავზე უკეთესი გახდა".

გრძლივად ემეტყველებოდა ღმერთს და ორმოცი დღე-ღამე წყვდიადით მოცული უკვდავ ცხოვრებას ეზიარებოდა (ბუნების[1] გარეთაც გავიდა იგი, რადგანაც ამ დროის მანძილზე მისი სხეული აღარ ითხოვდა საზრდოს), სწორედ მაშინ ისრაელი, მსგავსად იმ ბავშვისა, რომელსაც აღმზრდელის თვალი მოაკლდა, დაუოკებელი ჟინით მიეცა უწესრიგობას; აარონის ირგვლივ შემოკრბენ ებრაელები და აიძულეს მღვდელი, კერპთაყვანისმცემლობისაკენ ეწინამძღვრა მათთვის, შემდეგ ოქროსაგან კერპიც შეიქმნა (ხბო იყო ეს კერპი) და ისრაელებმაც განიხარეს უღვთოებაში. როდესაც მოსემ ამ ყოფაში იხილა ისინი, მყისვე დაამსხვრია ღვთივებოძებული ფიცრები, რითაც ზეციური მადლი მოაკლო ებრაელებს და შეცოდების წილ ჯეროვანი სასჯელი მიაგო მათ.

ლევიტელთა შემწეობით კრის ცოდვები ერის სისხლითვე განწმიდა მოსემ, მოსპო კერპი და ამ გზით ცოდვილთა მიმართ ღვთის მრისხანებაც დააცხრო. შემდეგ, ისევ ორმოცი დღე დაჰყო მან მთაზე და ახლად მოიგო ღვთივდაწერილი ფიცრები, თუმცა ფიცრები ამჯერად მოსეს ხელს შეექმნა. ამჯერადაც, ორმოცი დღის მანძილზე, კვლავ გაშორებოდა იგი ადამიანურ ბუნებას, რაღაც უცხო და უჩვეულო წესით ცხოვრობდა და მისი სხეული საზრდოდ არაფერს იღებდა ისეთს, რაც საზოგადოდ ჩვენი ბუნების უძლურებას სიმტკიცეს აძლევს.

შემდეგ კარავიც აღმართა მოსემ, კანონებიც განაჩინა ერისათვის და ღვთივებოძებული მოძღვრების მიხედვით სიწმიდეც დაუწესა მას. სწორედ საღვთო სწავლების კვალზე ააგო მან ნივთიერი კარავი, მისი წინკარი და შიგა ნაწილები: საგუნდრუკე, საკურთხეველი, სასანთლე, ფარდები, აგრეთვე, შეუვალთა შიგნით მდებარე განსაწმედელი. მანვე ჯეროვნად განაწესა სიწმიდის მთელი შემკულობა, მირონი, შესაწირავ მსხვერპლთა ნაირგვარობა: მსხვერპლი განწმენდისა, სამად-

---

[1] ამ შემთხვევაში „ბუნება" ნიშნავს კონკრეტულად ადამიანის ხორციელ აგებულებას. ამგვარი შინაარსით „ბუნება" წმ. გრიგოლის შრომებში, როგორც შენიშნავს ჟ. დანიელუ, მეტად იშვიათია. გაცილებით ხშირად ეგევე ტერმინი ნოსელთან აღნიშნავს ადამიანის იდეალურ სახეს, ე. ი. მადლით სახეცვლილ სხეულს (იხ. დასახ. გამოც. გვ. 25).

ლობელისა, ბოროტთა განშორებისა, ცოდვათა მიტევებისა.

როდესაც ყოველივე ეს აღასრულა მოსემ, შური აღეძრათ მის ახლობლებს. ეს სენი იმდენად ძირეულია ადამიანური ბუნებისათვის, რომ თვით აარონმა, სიწმიდის ღირსებათა მიერ პატივდებულმა, აგრეთვე, მარიამმა, მისმა დამ, რომელსაც წმინდა ქალური შურით შურდა ძმაზე ღვთითგადმოსული დიდება, — სწორედ ღვარძლიანი სიტყვები აკადრეს მოსეს, რის გამოც ღმერთმა დასაჯა ისინი. ასეთ დროს უფრო მეტი საკვირველების ღირსად გამოჩნდა მოსე: სულგრძელებით დაიოკა მან მრისხანება და ბუნებრივი გრძნობით აღძრულმა თავისი და შეავედრა ღმერთს, თუმცა თავად ღმერთი მოშურნე ქალის დასჯას განიზრახავდა.

ერის სიმრავლე შემდეგში კვლავ გადაცდა უწესრიგობისაკენ. ახალი შეცოდების მიზეზად იქცა მუცლის სიამოვნებათა უზომო მოთხოვნილება, რასაც ვერ აკმაყოფილებდა ვერც ცითმოვლენილი საზრდო, ვერც მისგან მონიჭებული სიმრთელე და უზრუნველობა. ხორცისადმი გულისთქმამ, მისი ჭამის სურვილმა თვით ეგვიპტის მონური ცხოვრებაც კი ამქამინდელ კეთილდღეობაზე უმჯობესად წარმოუსახა მათ. ახლად თავდატეხილი ჭირის შესახებ მოსე ღმერთს ევედრა რჩევას. ღმერთმა დამოძღვრა, რომ საფრთხის დასაძლევად ერის წადილის აღსრულება იყო საჭირო. ამის შემდეგ ღრუბლებივით მოედო ბანაკს ურიცხვ ფრინველთა გუნდები, რომლებიც მიწასთან ახლოს დაფრინავდნენ და ამის გამო ადვილად ინადირებდა მათ კაცი. მოყირჭებამდე ჭამეს ებრაელებმა ხორცი, მაგრამ უზომო სიხარბემ მათი სხეულების შერთულობა გახრწნა და გაათხევადა. გაუმაძღრობამ ბევრს მოუტანა. ავადმყოფობა და სიკვდილი. ამგვარმა შემთხვევამ მათაც ასწავლა ჭკუა და მათი უბედურების მხილველებსაც.

ყო, მაგრამ ყველა მსტოვარმა სიმართლე როდი აუწყა ხალხს, პირიქით, ზოგმა ცრუ და სამწუხარო ამბავიც მოიტანა და ერი კვლავ აუმხედრა მოსეს; ღმერთმა მკაცრად ხალხს, პირიქით, ზოგი რამ ცრუ და სამწუხარო ამბავიც მოიტანეს და ერი კვლავ აუმხედრეს მოსეს; ღმერთმა მკაცრად უსაჯა ყველას, რომლებსაც არ სწამდათ საღვთო თანადგომისა. აღთქმული ქვეყანა ვერ იხილეს მათ.

როდესაც ერი უდაბნოში მიდიოდა, კვლავ შემოაკლდათ ებრაელებს წყალი. მეხსიერებაც მოაკლდათ მათ და ამიტომაც არ ირწმუნეს, რომ საღვთო ძალი, რომელმაც ცოტა ხნის წინათ სასწაული მოახდინა კლდეზე, ამჯერადაც არ გაუწყვეტდა მათ ცხოვრების სახსარს. კვლავ განუდგნენ ისინი მაცოცხლებელ სასოებას და ყველრებით აავსეს ღმერთიცა და მოსეც. ერის ურწმუნოებამ თითქოს მოსეც დაიმორჩილა, მაგრამ კვლავ სასწაულმოქმედად გამოჩნდა იგი და ცაში აჭრილი კლდიდან ადრინდელივით გადმოადინა წყალი.

მუცლის სიამოვნებათა მონობამ იმდენად გააცხოველა ებრაელთა სიხარბე, რომ თუმცა ცხოვრებისათვის არავის არაფერი აკლდა, მაინც ეგვიპტის მაძღარი ყოფა ეზმანებოდა ყველას, მათ შორის, თავაწყვეტილ ახალგაზრდებსაც. ასეთი უმადურები უმკაცრესად განისწავლნენ, რადგანაც შხამიანმა გველებმა სასიკვდილოდ დაკბინეს ისინი. როდესაც ზედიზედ მოკვდა ბევრი, ღვთის რჩევა ისმინა მოსემ, გველი ჩამოასხა სპილენძისაგან და ისე აამაღლა იგი ,რომ ყველას შეძლებოდა მისი დანახვა. ამ გზით შეაჩერა მოსემ ერის სიკვდილიანობა, ამ გზით იხსნა მან ერი წარწყმედისაგან. ვინც სპილენძის გველს შეხედავდა, მისთვის საშიში აღარ იყო ნამდვილი გველის ნაკბენი, რადგანაც ეს შეხედვა რაღაც ფარული უკუქმედებით[1] უვნებელყოფდა შხამს.

ასევე, როდესაც ძალაუფლების მოსაპოვებლად აუმხედრდა ერი თავის წინამძღვარს და ზოგიერთებმა სიწმიდის მიტაცებაც იძალეს, მოსემ კვლავ ღმერთს შეავედრა შეცოდებულნი. მაგრამ ამჯერად ღვთის მიერ განჩინებულმა სამართალმა დათრგუნა მისი თანალმობა ერისადმი. საღვთო განზრახვით გაიპო მიწა და კვლავ შეერთდა იგი, ნაპრალმა კი თან ჩაიტანა მოსეს გამგებლობის მოქიშპენი. რაც შეეხება მათ, რომლებიც სიწმიდის მოპოვებისათვის დრტვინავდნენ, ცე-

---

[1] სიტყვ. — „რაღაც ფარული ანტიპათიით"; ტერმინი „ანტიპათია" ნიშნავდა „საწინააღმდეგო თვისებებს", „საწინააღმდეგო ქმედებას". იგი სპეციალური ტერმინი იყო ოკულტურ მოძღვრებებში (იხ. დასახ. გამოც. გვ. 28).

ცხლში გამოიწვნენ ისინი (სულ ორას ორმოცდაათი კაცი) და საკუთარი უბედურებით სხვებს ჭკუა ასწავლეს.

მოსეს სურვილი იყო, უფრო მეტად დაერწმუნებინა ერი, რომ სიწმიდის მადლი თავად ღვთისაგან ენიჭებოდათ ღირსეულებს. ამ მიზნით თითოეული ტომის რჩეულს კვერთხი მოატანინა მან, ზედ ყველას თავისი სახელი ამოაკვეთინა და შეგროვილი ჯოხები ერთად დააწყო ტაძარში (მათ შორის იდო აარონის კვერთხიც). ამ გზით მოსემ მთელი ერისათვის ცხადი გახადა, თუ ვისი ხვედრი იყო ღვთის სიწმიდე. თორმეტიდან მხოლოდ აარონის კვერთხი გაიყლორტა; ნიგვზის ნაყოფი აღმოცენდა მისგან და დამწიფდა. ამ სასწაულმა ურწმუნოებიც კი დიდად განაცვიფრა, რადგანაც გამხმარი, გათლილი და უფესვო ჯოხი უეცრად ძირგადგმულ მცენარესავით განელდა. საღვთო ძალი იყო მისი მიწაც, ქერქიც, სითხეც და ყამიც.

როდესაც უცხო ტომთა შორის მიდიოდნენ ებრაელები, დამხვდურებს ფიცით აღუთქვა მოსემ, რომ სამეუფო გზას[1] გაყვებოდა მისი ხალხი და არავინ გადაუხვევდა არც მარჯვნივ, არც მარცხნივ ყანებისა და ვენახებისაკენ. შფოთისმოყვარე ტომი მაინც არ დაცხრა და წინ გადაუდგა ისრაელს. მაშინ ბრძოლაში ჩაებნენ ებრაელები; მტერიც დაამარცხეს მათ და გასასვლელ გზასაც თავად ეუფლნენ.

ისრაელის გამარჯვებამ თავზარი დასცა ბალაკს, რომელსაც უფრო დიდი ტომის წინამძღვრობა ეპყრა (მადიანელებს უწოდებდნენ მათ). ამ ტომსაც სულ მალე იგივე მოელოდა ებრაელებისაგან, ამიტომ ბალაკმა საჭურველისა და მხედრების ნაცვლად დასახმარებლად მიმართა მაგიაში გაწაფულ ბალაამს, რომელიც ფრინველთგრძნეულების დემონურ ხელოვნებას ფლობდა. ფუჭი მაგიის გზით ყველას აშინებდა ბალაამი. ყველასათვის უბედურება მოჰქონდა მას.

როდესაც წარგზავნილებს ბალაამი მეფესთან მიჰყავდათ, ვირის ხმა ავად ენიშნა გრძნეულს. შემდეგ ჩვენებაც იხილა მან და ისიც ემცნო, თუ რა უნდა მოემოქმედა. დარწმუნდა

---

[1] გამოთქმა „სამეუფო გზა" („ჰე ბასილიკე ჰოდოს") მომდინარეობს „რიცხვთა" წიგნიდან: „არა განვიდეთ ყანობირსა შენსა, არცა ვენახებსა შენსა... გზაი სამეუფოი განელოთ" (რიცხვ. 20, 17).

ბალაამი, რომ მისი ბოროტი გრძნეულება ღვთივდაცულ ერს ვერას ავნებდა. დემონთა ზემოქმედების ნაცვლად საღვთო მობერვამ განაღვთო იგი და ამიტომაც მისმა ბაგემ ჭეშმარიტად იწინასწარმეტყველა სამომავლოდ აღსრულებადი. როდესაც მსახვრალობის უკეთური ხელოვნება დაბრკოლდა და უქმი აღმოჩნდა, მაშინ შეიგრძნო ბალაამმა საღვთო ძალი, საბოლოოდ გაშორდა იგი გრძნეულებას და საღვთო განზრახვის ქადაგად იქცა.

ამის შემდეგ ისრაელმა დაჯაბნა უცხოთესლი და გაანადგურა იგი, მაგრამ ებრაელები დამონებულთა შორის აღვირახსნილებას მიეცნენ და დაუძლურდნენ. ღმერთი განურისხდა უწმინდურებს, ხოლო ფინეზმა ერთი დარტყმით შემუსრა უკანონო აღრევის გზით შებილწულები და დააცხრო ღვთის წყრომა. სწორედ მაშინ ისრაელის რჯულმდებელი მაღალ მთაზე ავიდა და შორიდან განჭვრიტა ის ქვეყანა, რომელიც, მამამთავრებისადმი მიცემული აღთქმის მიხედვით, ღმერთს უბრაელებისათვის დაეწინდა. შემდეგ ადამიანური ცხოვრებისაგანაც გარდაიცვალა იგი, თუმცა მიცვალებულს არც სამარე დაუტოვებია ჩვენთვის, არც სხვა რამ ნიშანი თუ მოსახსენებელი.

დრომ ვერ შეცვალა მოსეს ნაკვთკეთილობა. არც თვალებში დაშრეტია მას შუქი, არც მადლფენილი და გაბრწყინებული პირისახე დაჭკნობია. როგორიც იყო, ისეთივე დარჩა ბოლომდე. ბუნების მიმოქცევაში შეუცვლელად დაიცვა მან პირვანდელი მშვენიერება.

ყოველივე ეს, რაც მოსეს შესახებ ტრადიციული გადმოცემისაგან გვისწავლია, მოკლედ გაუწყეთ შენ (თუმცა ზოგჯერ, საჭიროებისამებრ, რამდენადმე განვავრცეთ კიდეც ჩვენი თხრობა). ამჯერად, დროა, ჩვენს დასახულ მიზანს შევუთანხმოთ ზემოხსენებული ცხოვრება და სათნოებისეული მოღვაწეობის შესახებაც შევიძინოთ ცოტა რამ.

ამგვარად, ისევ მოსეს ცხოვრების დასაბამს მივუბრუნდეთ[1].

---

[1] აქედან იწყება ხსენებული თხზულების მეორე ნაწილი, რომელიც ზეპოწარმოდგენილი ისტორიული თხრობის მისტიკურ ჭვრეტას გვაწვდის.

წმიდა იოანე ოქროპირი მთავარეპისკოპოსი კონსტანტინოპოლისა(+407)

ბასილი დიდთან და გრიგოლ ღვთისმეტყველთან ერთად განეკუთვნება მსოფლიოს უმთავრეს მღვდელმთავართა რიცხვს. იგი დაიბადა დაახლოებით 347 წელს, ქალაქ ანტიოქიაში, მხედართმთავრის ოჯახში. მისი მამა, სეკუნდი, გარდაიცვალა სულ მალე ძის შობიდან. დედამ წმიდანისა, ანთუსამ, რომელიც ჯერ მხოლოდ ოცი წლისა იყო, როცა დაქვრივდა, აღარ მოისურვა მეორედ გათხოვება და მთელი თავისი ძალები იოანეს ქრისტიანული ღვთისმოშიშებით აღზრდას მოახმარა. ჭაბუკი იოანე თავისი დროის საუკეთესო ფილოსოფოსებთან და რიტორებთან სწავლობდა. მაგრამ მომავალმა მღვდელმთავარმა თავიდანვე უგულებელჰყო წარმართთა ამაო მეცნიერებანი და ადრევე ჩაუღრმავდა საღმრთო წერილის შესწავლასა და ლოცვით განმჭვრეტელებას. მღვდელმთავარმა მელეტიმ, ანტიოქიის ეპისკოპოსმა, რომელსაც ღვიძლი შვილივით შეუყვარდა იოანე, ჭეშმარიტი რწმენით დამოძღვრა იგი და 367 წელს მონათლა კიდეც. სამი წლის შემდეგ წმიდა იოანე მკითხველად (მედავითნედ) იქნა დადგინებული ეკლესიაში. მას შემდეგ ,რაც 372 წელს იმპერატორმა ვალენტმა ექსორია-ჰყო მღვდელმთავარი მელეტი, იოანე თეოდორესთან ერთად (შემდეგში იგი მოპსუეტის ეპისკოპოსი იყო), გამოცდილ მოძღვრებთან — ფლაბიანე და დიოდორე ტარისელებთან სწავლობდა მოსაგრე ცხოვრებას. განსაკუთრებით დიდი გავლენა მომავალი დიდი ღვთისმეტყველის სულიერ ჩამოყალიბებაზე იქონია დიდად განათლებულმა ხუცესმა დიოდორემ.

როცა წმიდა იოანეს დედაც გარდაეცვალა, მან მონაზვნობა მიიღო, რომელსაც იგი „ჭეშმარიტ ფილოსოფიას“ უწოდებდა.

ოთხი წელიწადი გაატარა წმიდანმა მეუდაბნოე ცხოვრების მძიმე ყოფაში. შემდეგ კი ხორციელად დაუძლურებული იოანე იძულებული გახდა ანტიოქიაში დაბრუნებულიყო, რათა ჯანმრთელობა აღედგინა. 381 წელს წმიდა მღვდელმთავარმა მელეტი ანტიოქიელმა დიაკვნად აკურთხა იგი. ამის

შემდგომი წლები მიეძღვნა ახალი საღვთისმეტყველო ქმნილებების შექმნას, რომელთაგანაც აღსანიშნავია: „ღვთის განგებულების შესახებ“ („მოსაგრე სტაგირიოსს“), „წიგნი ქალწულების შესახებ“, „ჭაბუკ ქვრივ დედაკაცს“ (ორი სიტყვა) და „წიგნი შესახებ ბაბილასი და წინააღმდეგ იულიანესი და წარმართთა“.

386 წელს წმიდა იოანეს ხუცესად დაასხა ხელი ანტიოქიის ეპისკოპოსმა ფლაბიანემ და ღვთის სიტყვის ქადაგება დაავალა ეკლესიაში. წმიდა იოანე მდაბლად შეუდგა ამ მორჩილების აღსრულებას და ბრწყინვალე მქადაგებელი აღმოჩნდა. იშვიათი, ღვთივსულიერი მადლისათვის სიტყვისა მრევლმა მას „ოქროპირი“ უწოდა. 12 წლის განმავლობაში ქადაგებდა წმიდა იოანე ოქროპირი ეკლესიაში მრავალრიცხოვანი მორწმუნეების წინაშე, ჩვეულებრივ კვირაში ორჯერ, ხოლო ხშირად ყოველდღიურადაც კი მისი ქადაგებანი დიდ ზეგავლენას ახდენდა მორწმუნეებზე და ღრმად შესძრავდა მათს გულებს.

წმიდა იოანე ოქროპირის დიდება დღითიდღე სულ უფრო იზრდებოდა, და 397 წელს კონსტანტინოპოლის მთავარეპისკოპოსის, ნექტარის გარდაცვალების შემდეგ, რომელიც ამ კათედრაზე მემკვიდრე იყო წმიდა გრიგოლ ღვთისმეტყველისა, იგი ანტიოქიიდან კონსტანტინოპოლში გამოიძახეს, რათა ამ სამღვდელმთავრო ტახტზე დაედგინათ. დედაქალაქში წმიდა მღვდელმთავარს არ შეეძლო ისევე ხშირად ექადაგა, როგორც ამას ანტიოქიაში, ხუცესად ყოფნის ჟამს, აკეთებდა. მრავალი საქმე მოელოდა მღვდელმთავრის ხელს, და მან უმთავრესით — სამღვდელოთა სრულყოფილებით დაიწყო. და აქაც საუკეთესო მაგალითს თვითონ წარმოადგენდა. მთელი ის სახსრები, რაც მისთვის, როგორც მწყემსმთავრისათვის იყო განკუთვნილი, წმიდა იოანე ოქროპირმა რამდენიმე სასნეულო სახლისა და მლოცველთა ორი სასტუმრო სახლის მშენებლობასა და შენახვას მოახმარა. თვითონ კი სულ მცირედით კმაყოფილდებოდა, იქამდეც კი, რომ სადილებზე მიწვეულებზეც უარს ამბობდა.

ბევრი იშრომა მღვდელმთავარმა იმისთვის, რომ ჯეროვნად მოეწყო საღმრთო ლიტურგია: შეადგინა წესი ლიტურ-

გიისა, შემოიტანა ანტიფონური გალობა ღამისთევის ლოცვის დროს, დაწერა რამდენიმე ლოცვა ზეთისკურთხევის წესისათვის. დედაქალაქის ზნე-ჩვეულებათა აშვებულობამ, განსაკუთრებით კი — იმპერატორის სასახლის კარისა, შეურიგებელი მამხილებელი ჰპოვა წმიდა მღვდელმთავრის სახით. როცა დედოფალმა ევდოქსიამ ბრძანა უკანასკნელი ქონება ჩამოერთმიათ შერისხული დიდებულის ქვრივისა და შვილებისათვის, წმიდანი მათ დასაცავად აღდგა. ამაყმა დედოფალმა არ დაუთმო მღვდელმთავარს და განურისხდა მას. მისმა რისხვამ ახალი ძალით იფეთქა, როცა არაკეთილის მდომებმა ენა მიუტანეს მას, თითქოს იოანე ოქროპირს დედოფალი ჰყავდა მხედველობაში, როცა ამაო დედაკაცებზე წარმოთქვა ქადაგება. წმიდანის მიერ ადრე სამართლიანად მხილებულ მღვდელმთავართაგან (თეოფილე ალექსანდრიელი, სევერიანე, გეევალის ეპისკოპოსი, რომელიც დედაქალაქში შფოთის გამოწვევისათვის სულ მცირე ხნის წინ იყო გაძევებული, და სხვები) შემდგარმა სამსჯავრომ გადაწყვიტა დაემხო წმიდა იოანე და დედოფალ ევდოქსიას შეურაცხყოფისათვის სიკვდილით დაესაჯა, მაგრამ იმპერატორმა სასიკვდილო განაჩენი წმიდანს გადასახლებით შეუცვალა. ამ დროს ტაძართან აღზევებული ხალხის ბრბო ირეოდა, რომელსაც თავისი მღვდელმთავრის დაცვა გადაეწყვიტა. იმისათვის, რომ თავიდან აეცილებინა მღელვარება და შფოთი, მღვდელმთავარი თვითონვე ჩაბარდა ხელისუფალთ. იმავე ღამეს კონსტანტინოპოლში დიდი მიწისძვრა მოხდა. იმპერატორის სასახლე შეირყა. შეშინებულმა ევდოქსიამ სთხოვა სასწრაფოდ დაებრუნებინა წმიდანი და თვითონაც დაუყოვნებლივ წერილი გაუგზავნა ექსორიაქმნილ მღვდელმთავარს, რომელშიც უკან დაბრუნებას ევედრებოდა. და აი, კვლავაც დედაქალაქის ტაძარში იდგა მღვდელმთავარი და მოკლე სიტყვით მადლს შესწირავდა უფალს „ყოველთა გზათათვის მისთა“. წმიდანის შემასმენელნი ალექსანდრიაში გაიქცნენ. მაგრამ ორიოდე თვის შემდეგ ახალმა შესმენამ ხელახალი ძალით გააღვიძა ევდოქსიას რისხვა. 404 წლის მარტში შედგა უკანონო საეკლესიო კრება, რომელმაც გადაწყვიტა გაეძევებინა იოანე ოქროპირი. დედაქალაქიდან მისი გაძევების შემდეგ ცეცხლმა ფერფლად აქცია წმიდა სოფიოს ტაძა-

რი და სენატის შენობა, ხოლო მალე ბარბაროსთა ამაოხრებელი შემოსევებიც დაიწყო; 404 წლის ოქტომბერში კი დედოფალი ევდოქსია გარდაიცვალა. თვით წარმართებიც კი ამ მოვლენებში ზეციურ ძალას ხედავდნენ, რომელიც სასჯელს უგზავნიდა ღვთის ამ სათნომყოფელის უსამართლოდ განმკითხველთ.

გადასახლებაში წმიდა მღვდელმთავარი კიდევ უფრო ზრუნავდა თავის სულიერ შვილთა რწმენაში განმტკიცებისათვის. მრავალრიცხოვან წერილებში (ჩვენამდე მათგან მოღწეულია 245) აზიის, აფრიკის და ევროპის ეპისკოპოსებისადმი, განსაკუთრებით კი თავისი კონსტანტინეპოლელი მეგობრებისადმი, წმიდა იოანე ოქროპირი ანუგეშებდა შეურვებულთ, მოძღვრავდა და შეეწეოდა თავის ერთგულ მიმდევართ, მაგრამ მისი მტრები არ ცხრებოდნენ. დედაქალაქიდან ბრძანება მოვიდა — მიყრუებულ პიტიუსში (აფხაზეთში) გადაეყვანათ წმიდანი. დაუძლურებული მღვდელმთავარი მცველთა თანხლებით სამი თვის განმავლობაში მიდიოდა ქარსა და წვიმაში გადასახლების ადგილისაკენ. ქალაქ კომანში მას სრულიად წაერთვა ხორციელი ძალები. წმიდა კასილისკოს, წმიდა დიდმოწამე გიორგის ძმისწულის, საფლავთან მას ეს წმიდა მოწამე გამოეცხადა და ანუგეშა: „სასოს ნუ წარიკვეთ, ძმაო იოანე! ხვალიდან ჩვენ ერთად ვიქნებით!“ მსოფლიო მღვდელმთავარი უფლის წმიდა საიდუმლოთ ეზიარა და სიტყვებით: „დიდება ღმერთს ყველაფრისათვის!“ — უფალს მიაბარა სული (+407 წლის 14 სექტემბერი). მღვდელმთავარ იოანეს წმიდა ნაწილები ზეიმით გადაასვენეს კონსტანტინოპოლში 438 წელს. მისი მოწაფე, ღირსი ისიდორე პელუსიოტელი წერდა: „როგორც ხედავ, სახლი დავითისა განმტკიცდება, ხოლო სახლი საულისა სუსტდება: მან დაამარცხა ცხოვრების ქარიშხალი და ზეციურ სიმშვიდეში გადასახლდა“.

(„თვენი“ III 475—483 გვ.)

ფრაგმენტები.

წმ. იოანე ოქროპირი

ქადაგება ეკლესიაში სიარულის შესახებ

როდესაც თქვენს მცირერიცხოვნებას შევყურებ და ვხედავ, რომ ჩვენი სამწყსო ყოველი შეკრების შემდეგ სულ უფრო მცირდება, ერთდროულად ვწუხვარ და მიხარია. მიხარია თქვენს გამო, ვინც ახლა აქ ხართ; ვწუხვარ მათზედ, ვინც თქვენთან არ არის. ქების ღირსი ხართ, რადგან მიუხედავად სიმცირისა, არ გახდით გულგრილნი; ისინი კი განკიცხვას იმსახურებენ იმის გამო, რომ თქვენებრ მოშურნენი არ არიან. ამიტომაც გიწოდებთ ბედნიერებსა და ნეტარებს, რამეთუ მათმა უზრუნველობამ გავლენა არ მოახდინა თქვენზე; ხოლო მათ, რადგან თქვენი მოშურნეობით ვერ ისარგებლეს, შევრაცხავ ვითარცა საბრალოთ და ვსტირი. ნუთუ არ სმენიათ წინასწარმეტყველის სიტყვა: „ვირჩიე მე მივრდომა სახლსა ღმრთისა ჩემისასა, უფროს ვიდრეღა დამკვიდრებად ჩემდა საყოფელსა ცოდვილთასა (ფს. 83, 11). არ უთქვამს „ვირჩიე ცხოვრება სახლსა ღმრთისა ჩემისასა“, არც „დამკვიდრება“ და „ყოფნა“ იხმარა, არამედ ბრძანა: „ვირჩიე მე მივრდომა“. მოხარული ვარ, ვიყო უკანასკნელთა შორის, — გვაუწყებს წინასწარმეტყველი — იმაზედაც თანახმა ვარ, თუკი კარიბჭესთან მოხვედრის ღირსი გავხდები. უდიდეს წყალობად ჩავთვლი, თუ სულ უკანასკნელთა შორის დამაყენებენ „სახლსა ღმრთისა ჩემისასა“. ყველასათვის საერთოს — ღმერთს, სიყვარული ითავისებს, ამგვარია მისი თვისება. ამიტომაც ამბობს დავით მეფე: „სახლსა ღმრთისა ჩემისასა“. შეყვარებულს არა მარტო სატრფოს, არამედ მისი სახლის, კარიბჭისა და ქუჩის დანახვაც კი ენატრება. ხოლო თუ მის სამოსელს მოჰკრავს თვალს, ჰგონია, რომ მის წინაშე თავად იგი იმყოფება. ასევე წინასწარმეტყველნი — თუმცა ვერ ხედავდნენ ღმერთს, ტაძარს შეჰყურებდნენ და მასში ჰყავდათ იგი წარმოდგენილი. „ვირჩიე მე მივრდომა სახლსა ღმრთისა ჩემისასა, უფროს ვიდრეღა დამკვიდრებად ჩემდა საყოფელსა ცოდვილთასა“. ყოველი ადგილი, ყოველი სახლი — იქნება ის სასამართლო, სენაკი თუ ბინა — ღვთის სახლთან შედარებით არის „საყო-

ფელი ცოდვილთა". თუმცა იქაც ისმის ლოცვა-ვედრება, მაგრამ ამასთანავე თან ახლავს განხეთქილება, დავა, ჩხუბი და თათბირები ამქვეყნიურ საქმეებზე. ღვთის სახლი კი ყოველივე ამისაგან დაცულია. ამიტომაც არის ეს ადგილები „საყოფელი ცოდვილთა", ხოლო ტაძარი — სახლი ღვთისა. ისევე, როგორც ქარებისა და ღელვისაგან დაცული ნავსაყუდელი ჰპირდება უსაფრთხოებას მასში შემავალ გემებს, ასევე აღმოიყვანებს ეკლესია მასში შემსვლელთ ამქვეყნიურ საქმეთა მორევიდან, სიმშვიდითა და ღვთის სიტყვით დააპურებს მათ და დაიცავს ყოველგვარი განსაცდელისაგან. ამ ადგილს სათნოებათა სკოლა და სიბრძნისმოყვარეების სასწავლებელი ჰქვია. მოდი, არა მარტო ისეთი შეკრების ჟამს, როცა წმიდა წერილი და მამათა სწავლებანი იკითხება, არამედ ნებისმიერ დროს, მხოლოდ შემოღი წინაკარში და იმწუთშივე გადასდებ ყოველნაირ ამაო საზრუნავს. დადექი კარიბჭესთან და შენს სულში რაღაც სულიერი ნიავი დაბერავს. ეს სიჩუმე შიშს ჩაგაკონებს და სიბრძნისმოყვარეობას გასწავლის, გონებას გაგინათებს, დღევანდელობას მიგავიწყებს, მიწიდან ზეცაზე აგიყვანს.

თუკი ეკლესიაში მხოლოდ შემოსვლაც კი ასე სასარგებლოა, მაშ რაოდენ უფრო მეტი სარგებლობის მოტანა შეუძლია ღვთისმსახურებაზე დასწრებას, როდესაც წინასწარმეტყველნი ღაღადებენ, მოციქულნი გვახარებენ, როდესაც ქრისტე ჩვენს შორის დგას და მამისაგან ყოველივე ეს კურთხეულია, როდესაც სულიწმიდა გვაუწყებს თავის სიხარულს? ხოლო რამდენს კარგავენ ისინი, ვინც ყოველივე ამას არ ესწრება! მინდა ვიცოდე, სად არიან ახლა, რამ დააბრკოლა ისინი და განარიდა საღვთო ტრაპეზს? რაზედ საუბრობენ ახლა? თუმცა, მე კარგად ვიცი ეს: ან უგვან და სასაცილო თემებზე ბაასობენ, ან ამქვეყნიურ საზრუნავს მისცემიან. ერთიცა და მეორეც მიუტევებელია და მკაცრ სასჯელს იმსახურებს. ამაოდ მოლაყბეებზე საუბარიც არ არის საჭირო, არამედ ისინიც კი ვერ გამართლდებიან, ვინც ჩვენთან თავს იმართლებენ და ამბობენ, რომ მათ ხელს უშლის აუცილებელი საჭიროება ოჯახურ საქმეთა მოგვარებისა, რადგან ეკლესიაში მოსვლა კვირაში ერთხელ ევალებათ და მაშინაც არ სურთ მიწიერ საზრუნავს მოსწყდნენ. ეს სახარებიდანაც ნათლად ჩანს: საქორწინე

ლხინზე მიწვეულებმა უარი სთქვეს პატიჟზე ამგვარი მიზეზების გამო: ერთმა ხარები იყიდა, მეორემ — აგარაკი, მესამემ ცოლი შეირთო და ამის გამო ვერ მოიცალეს, მაგრამ ამისდა მიუხედავად ისინი დაისაჯნენ (ლუკა 14, 18—24). ყველა ეს საქმე აუცილებელია, მაგრამ მათით ვერ გავმართლდებით, რადგან ისინი ამაონი არიან ღვთის წინაშე. უპირველესად ღმერთს მიაგე პატივი, ხოლო შემდეგ იზრუნე სხვა დანარჩენ საქმეებზე. რომელი მსახური იზრუნებს უწინ საკუთარ სახლზე, სანამ ბატონის ბრძანებას არ შეასრულებს? უცნაურია, რომ ასეთ მოწიწებასა და მორჩილებას ვიჩენთ იმის მიმართ, ვინც მხოლოდ სახელით იწოდება ბატონად, ხოლო ჭეშმარიტ მეუფეს, რომელიც არა მარტო ჩვენი, არამედ ზეციურ ძალთა მბრძანებელიცაა, იმ პატივს არ მივაგებთ, როგორსაც ვიჩენთ ჩვენისთანა მონების მიმართ? რომ შეგვეძლოს იმ ადამიანთა სინდისში ჩახედვა, ვინც ეკლესიაში არ დადის, დავინახავთ, თუ რამდენი ჭრილობა და ეკალია მათ სულში. როგორც დაუმუშავებელი მიწა უხეშდება და ბუჩქნარით იფარება, ასევე საღმრთო სწავლებას მოკლებულ სულშიც აღმოცენდება ეკლები და მანკიერი სურვილები. თუკი ჩვენ, ვინც ყოველდღიურად ვუსმენთ წინასწარმეტყველებსა და მოციქულებს, ძლივს ვახერხებთ შურის, გესლის ამოგლეჯას გულიდან და საღმრთო წერილიდან განუწყვეტლივ ვუგალობთ ჩვენს ვნებებს, — მძვინვარე მხეცებს, რათა როგორმე დავაცხროთ ისინი, მაშინ განა შესაძლებელია ხსნის რაიმე იმედი ჰქონდეთ მათ, ვინც არასოდეს არ უსმენს ღვთაებრივ სიბრძნეს და ამგვარი მკურნალობით არ სარგებლობს? ნეტავი შემეძლოს მეჩვენებინა მათი სულები თქვენთვის. დაინახავდით, თუ რარიგ ბინძური, შეგინებული, მოშლილი, დამცირებული და უიმედონი არიან ისინი! როგორც მტვერითა და ჭუჭყით იფარება კაცის სხეული, თუ იგი აბანოთი არ სარგებლობს, ასევე საშინელი ცოდვის სიბინძურეში ეხვევა სულიც, თუკი უგულებელსყოფს სულიერ სწავლებას. სულიერი განბანა ხდება ეკლესიაში, სადაც სულიწმიდის სითბოთი არა მარტო განიწმიდება, არამედ ფერსაც კი იცვლის იგი. „უკეთუ იყვნენ ცოდვანი თქვენნი ვითარცა ღებილნი, ვითარცა თოვლი განვასპეტაკო“ (ესაია 1, 18) — ბრძანებს უფალი...

...რაოდენ დიდი იქნებოდა ჩვენი სულიერი სიხარული, რამდენ სარგებელს მიიღებდა სული და იდიდებოდა ღმერთი, თუ ყოველი შეკრების ჟამს ეკლესიას ხალხით სავსეს ვიხილავდით! მეზღვაურები ყველაფერს აკეთებენ, რათა გადაცურონ ზღვა და მსწრაფლ მიაღწიონ ნავსადგურს, ჩვენ კი — განუწყვეტლივ ზღვას მიცემულნი — ცხოვრებისეულ ტალღათა მორევში გამუდმებით ვიძირებით, ხოლო ეკლესიაში წელიწადში ერთი-ორჯერ თუ მივალთ. იქნებ თქვენ არ იცით, რომ ღმერთმა ისევე დააფუძნა ქალაქებში ეკლესიები, როგორც ზღვის ნაპირას — ნავსაყუდელნი, რათა ცხოვრების ქარიშხალს გამორიდებულნი მოვიდეთ აქ და იდუმალი სიჩუმითა და სიმშვიდით დავტკბეთ. ჭეშმარიტად, აქ არც მძვინვარე ტალღების გვეშინია და არც ავაზაკთა თავდასხმისა, არც ქარიშხლისა და საზარელი. მხეცებისა, რამეთუ ეს ნავსაყუდელი ყოველივე ამისგან დაცულია. იგი მყუდრო სავანეა სულისა. ამაში თავადაც შეგიძლიათ დარწმუნდეთ: თუკი ამ დროს რომელიმე თქვენგანი საკუთარ სინდისში ჩაიხედავს, იგი უდიდეს სიმშვიდეს დაინახავს მასში. მას არც მრისხანება ეუფლება, არც ავხორცობა აღაგზნებს, არც შური იპყრობს, არც სიამაყით ზვაობს, არც ამპარტავნება ჭამს, რადგან ყველა ეს მხეცი მოთვინიერებულია; საღმრთო წერილი თითოეულის სულში აღწევს, როგორც ღვთაებრივი გამოცხადება და ამ უგუნურ ვნებებს აძინებს. რა საბრალონი არიან ისინი, ვისაც ამგვარი სიბრძნის შეძენის შესაძლებლობა აქვთ და ამისდა მიუხედავად იშვიათად მოდიან ეკლესიაში — რომელიც დედაა ყოველთა. სხვა რა საქმე შეგიძლია დამისახელო ამაზე აუცილებელი? რომელი შეკრებაა ამაზე მეტად სასარგებლო? რა გაბრკოლებს, რომ აქ მოხვიდე? ამ მშვენიერ საკრებულოში არყოფნას შენ ალბათ სიღარიბეს დააბრალებ, მაგრამ ეს უსაფუძვლო მიზეზია. კვირაში შვიდი დღეა; ეს შვიდი დღე ღმერთმა ჩვენთან გაიყო ისე, რომ თავისთვის ბევრი არ აიღო და არც ჩვენ მოგვცა ცოტა. თანაბრადაც კი არ გაყო, არამედ შენ ექვსი დღე დაგითმო, თვითონ ერთი დაიტოვა. შენ კი ამ დღესაც არ გსურს თავი შეიკავო ამსოფლიური საზრუნავისაგან. მკრეხელურად იქცევი, რადგან ეს დღე საღვთო წერილის მოსასმენად არის კურთხეული და დადგინებული, ხოლო შენ მას

ცხოვრებისეულ საქმეებისათვის იყენებ! აღარაფერს ვამბობ მთელი დღის შესახებ. ამ დღეს ისე მოიქეცი, როგორც მოიქცა სახარებისეული ქვრივი მოწყალების გაღების დროს: მან ორი გროში გაიღო და უდიდესი წყალობა მიიღო ღვთისაგან. ასევე შენც, ღმერთს ორი საათი მაინც დაუთმე და დღეგრძელობას შეიძენ. ხოლო თუკი ესოდენ მცირე მსხვერპლის გაღებაც არ გინდა და მაინც მიწიერ საზრუნავს მისცემიხარ, მაშინ მრავალი წლის ნაშრომიც წყალში ჩაგეყრება. უფალი განრისხდება და გაგვიქარწყლებს მთელი ცხოვრების მანძილზე დაგროვებულ სიმდიდრეს, თუკი მას უგულებელს-ვყოფთ. „მიიხილეთ მრავალთა ზედა და იქმნეს მცირედნი და შეხმულ იქმნეს სახიდმი და მიჰვბერე მათ, ამისთვის მათ იტყვის უფალი, ყოვლისა მპყრობელი: მათ წილ, რომელ სახლი ჩემი არს ოხერ, ხოლო თქუენ სდევთ თითოეული სახლისადმი თვისისა“ (ანგია. 1, 9) — ასე დაემუქრა ღმერთი იუდეველებს, როდესაც მათ ტაძარზე ზრუნვა შეწყვიტეს. თუ წელიწადში მხოლოდ ერთი-ორჯერ მოდიხართ ჩვენთან, მაშინ რის შესწავლას მოასწრებთ? რაზე გესაუბროთ — სულზე, სხეულზე, უკვდავებაზე, ცათა სასუფეველზე, საშინელ სამსჯავროზე, გეენიაზე, ღვთის მრავალმოწყალებაზე, სინანულზე, ნათლობაზე, ცოდვათა შენდობაზე, შეწყალებაზე, ზეციერსა თუ მიწიერ არსებებზე, ადამიანურ ბუნებაზე, ანგელოსებზე, დემონთა სივერაგეზე, ეშმაკის მანქანებზე, ზნეობაზე, დოგმატებზე, მართალ სარწმუნოებაზე თუ უწმინდურ მწვალებლობებზე? ქრისტეანმა ყოველივე ეს და უფრო მეტიც უნდა იცოდეს და შეეძლოს ყველა ამ კითხვაზე პასუხის გაცემა. ხოლო თქვენ აქედან მცირედიც კი არ გეცოდინებათ, თუ წელიწადში ერთხელ გავლით ან ჩვეულებისამებრ დღესასწაულის გამო შეიკრიბებით და არა კეთილგონიერი განწყობით. თქვენ არა თუ უბრალო ხელოვნების შესწავლა გსურთ, არამედ ყველა მეცნიერებათა შორის უმნიშვნელოვანესისა — თუ როგორ შეიძლება სათნო ვეყოთ ღმერთს და ზეციური მადლი მოვიპოვოთ. ნუთუ თქვენ გგონიათ, რომ ეს ასე იოლია და ამის მიღწევა მხოლოდ ერთი ან ორი მოსვლით შეიძლება? ეს ხომ უგუნურებაა! თავად მაცხოვარი ბრძანებს, რომ ეს მეცნიერება უდიდეს ყურადღებას მოითხოვს: „ისწავეთ ჩემგან, რამეთუ მშვიდ ვარ და მდა-

ბალ გულითა“ (მათე, 11, 29). ასევე გვაუწყებს წინასწარმეტყველი: „მოვედით შვილნო, ისმინეთ ჩემი, შიში უფლისაი გასწავო თქვენ“ (ფს. 33, 12). და კიდევ — „მოიცალეთ და გულისსმა-ყავთ, რამეთუ მე ვარ ღმერთი“ (ფს. 45, 10). როგორც ხედავთ, ამ სიბრძნის მოსაპოვებლად მრავალი მეცადინეობაა საჭირო.

თარგმნა გელა აროშვილმა

ბავშვთა აღზრდის შესახებ

მამა ხშირად ყველაფერს აკეთებს და ყოველ ღონეს ხმარობს იმისათვის, რომ შვილს ჰყავდეს კარგი ცხენი, ჰქონდეს შესანიშნავი სახლი ან ძვირფასი ადგილ-მამული, მაგრამ სულაც არ ზრუნავს იმაზე, რომ ის ღვთის მოშიშად და კეთილმსახურად აღზარდოს. სწორედ ეს არღვევს ამქვეყნიურ წესრიგს, — ის, რომ ჩვენ დაუდევარნი ვართ ჩვენი ბავშვების მიმართ, სიმდიდრეზე ვზრუნავთ, მათ სულებს კი არ ვუფრთხილდებით, რაც უკიდურესად უგუნური საქციელია. როგორი უხვი და ძვირფასიც არ უნდა იყოს სიმდიდრე, თუ ადამიანს არ ძალუძს მისი სათნოდ გამოყენება, გაქრება და დაიღუპება მასთან ერთად, და მის მფლობელს უდიდეს ზიანს მიაყენებს, ხოლო თუ კაცი კეთილმსახური და სიბრძნისმოყვარე იქნება, მიუხედავად იმისა, რომ არაფერი შეაგროვა, ღმერთი მას ყოველივეს სათნოდ მოახმარს. ამრიგად, იმას კი არ უნდა მივსდიოთ, რომ შვილები ოქრო-ვერცხლითა და სხვა მათი მსგავსი საგნებით გავამდიდროთ, არამედ უნდა ვეცადოთ, ისინი კეთილშობილებით, სიბრძნისმოყვარებითა და სხვა სათნოებებით იყვნენ უმდიდრესნი, რათა ზედმეტს არაფერს საჭიროებდნენ და ამქვეყნიური საგნებითა და სურვილებით არ მოიხიბლონ. საჭიროა გულმოდგინედ ვადევნოთ თვალი მათ საქციელს, მათ მოქმედებასა და ნაცნობთა წრეს, — იმ რწმენით, რომ ამ საქმეში დაუდევრობას ღმერთი არ გვაპატიებს. თუ

ჩვენ მოყვასზე ზრუნვისათვის ვაგებთ პასუხს, — „ნუ ვინ თავისსა ხოლო ეძიებენ, არამედ მოყუასისაცა თვითოეული“ (1 კორ. 10, 24), — უფრო მეტად არ ვაგებთ პასუხს ბავშვთა აღზრდაზე? განა შენი შვილი თავიდანვე შენთან არ დავამკვიდრე? — გკითხავს უფალი; არ დაგადგინე მის მოძღვრად, მზრუნველად და პატრონად? განა სრული ძალაუფლება არ მოგეცი მასზე: ჩვილ ასაკში გიბრძანე მისი ჩამოყალიბება და წარმართვა! რა გამართლება შეიძლება გქონდეს შენ, თუკი არ შეისმინე უფლის ბრძანება? რას იტყვი შენ? — იმას, რომ იგი აულაგმავი და ჯიუტია? ეს დასაწყისში უნდა გაგეთვალისწინებინა, როდესაც იგი ნორჩი იყო და აღსაზრდელად ადვილი. უნდა აეელაგმა, გულმოდგინედ გესწავლებინა თუ რა ევალებოდა, გამოგესწორებინა და დაგესაჯა სულიერი მანკიერებების გამო. ყოველგვარი ეკალი ბავშვს ხელსაყრელ დროს უნდა ამოვაძროთ, სათუთ ასაკში ის უფრო ადვილი მოსაცილებელი და მოსაშუშებელია, რათა უყურადღებოდ დატოვებული ვნებები არ გაძლიერდნენ და არ გახდნენ ძნელად გამოსასწორებელნი. ამიტომ ამბობს ბრძენი: „არიან თუ შენდა შვილნი, სწავლენ იგინი და მოუდრიკენ სიყრმითგან ქედნი მათი“ (ისუ ზირაქი. 7, 25). უფალი არა მხოლოდ გიბრძანებს, არამედ თავადაც გეხმარება ამ საქმეში. როგორ და რანაირად? — „ბოროტის მეტყველი მამისა ანუ დედისა თვისისაჲ სიკვდილით მოკუდეს“ (გამ. 21, 17). ხედავ, რა შიში ჩააგონა მან ბავშვებს? რა საფრთხეს აგარიდა? რა ძლიერი გახადა შენი ძალაუფლება? როგორი გამართლება შეიძლება მოვუძებნოთ თავს, თუკი თვით უფალი არ ზოგავს ბავშვების სიცოცხლეს, როცა ისინი ჩვენ შეურაცხგვყოფენ, ხოლო ჩვენ ისიც არ გვინდა, რომ ვუსაყვედუროთ მათ, როცა ისინი ღმერთს გმობენ. მე, ამბობს უფალი, შენი შეურაცხმყოფელის სიკვდილს არ ვერიდები, შენ კი ისიც არ გინდა, რომ სიტყვით ამხილო ჩემი მცნებების დამრღვევნი! როგორ შეიძლება ეს გეპატიოს? ხედავ, რომ იგი გმობს შემოქმედს, მაგრამ არ უწყრები, არც აშინებ და არც სჯი ამის გამო. თანაც იცი, რომ ღმერთმა იმიტომ კი არ აკრძალა ეს, რომ შეურაცხყოფა მას რაიმეს ვნებს, (რამეთუ შეუძლებელია ზიანის მიყენება ღვთისადმი), არამედ აკრძალა მისივე ხსნისათვის. ვინც უმადური და უგილის-

ხმოა უფლისა მიმართ, ის უფრო მეტად ულმობელი იქნება მშობლებისა და თვით საკუთარი თავის მიმართაც.

ასე რომ, ნუ ვიქნებით უზრუნველნი, რადგან ვიცით, რომ ღვთისადმი კეთილგანწყობილი ბავშვები ამ ცხოვრებაშიც მართლები და გამორჩეულნი იქნებიან. სათნოდ და მოკრძალებულად მცხოვრებ ადამიანს, თუნდაც ყველაზე ღარიბს, პატივს სცემენ და აღიარებენ, ხოლო უზნეო და გარყვნილი კაცი ეზიზღებათ, რა სიმდიდრის პატრონიც არ უნდა იყოს იგი. კარგი შვილი არა მარტო სხვებისაგან დაიმსახურებს პატივისცემას, არამედ შენთვისაც — მშობლისთვისაც კარგი და თავაზიანი იქნება, რადგან გარდა მშობლის მიმართ ბუნებრივი გრძნობისა, მას გაუჩნდება არანაკლები სიყვარული, რომლის წყაროც იქნება სიკეთე. ის არა მარტო თავაზიანი, არამედ უფრო სასარგებლოც გექმნება შენ, რამეთუ პატივს მოგაგებს, მოგემსახურება და თანადგომას გაგიწევს სიბერეში. ურწმუნო შვილები მშობლებსაც უდიერად ექცევიან, ხოლო მოკრძალებულნი ღვთის მიმართ — მოწიწებით ეპყრობიან მათ. იმისათვის, რათა განმართლდე ღვთისა და ხალხის წინაშე, სასიამოვნო გახადო შენი ცხოვრება და სასჯელს თავი აარიდო, ყოველნაირად იზრუნე შენს შვილზე. ამ საქმეში დაუდევარნი, სხვა ყველაფერში წესიერები და ზომიერებიც რომ იყვნენ, მაინც საშინლად დაისჯებიან. ამის დასამტკიცებლად მოგიყვებით ერთ უძველეს ამბავს: იუდეველებს ჰყავდათ ერთი მღვდელი, ყოვლითურთ წესიერი და ზომიერი კაცი, სახელად ელი. მას ჰყავდა ორი ვაჟი, რომლებიც მეტად უზნეონი იყვნენ. იგი არ აკავებდა და არ თოკავდა მათ, უფრო სწორედ, მართალია ამას ცდილობდა, მაგრამ არა სათანადო გულისხმიერებითა და ძალით. მაშინ, როცა მათი გამოსწორებისათვის გაწკეპვლა, სახლიდან გაგდება და ყველა ზომის მიღება იყო საჭირო, ელი მხოლოდ ასე ურჩევდა და არიგებდა: „ნუ ეგრე შვილნო! არა კეთილ არს ამბავი ესე, რომელი მესმის თქვენთვის“ (I მეფ. 2,24). რას ამბობ შენ? მათ ღმერთი შეურაცხყვეს, ხოლო შენ შვილებს უწოდებ? ისინი შემოქმედს არ სცნობენ? შენ კი ნათესაობას აღიარებ მათთან? ამიტომაცაა ნათქვამი, რომ ელიმ შვილები სათანადოდ არ დაარწმუნა. დარწმუნება კი იმას ნიშნავს, თუ ჩვენ არა მხოლოდ ვურჩევთ,

არამედ გადამწყვეტ, ძლიერ ჭრილობასაც მივაყენებთ ავადმყოფის დაჩირქებულ ადგილს, რათა იგი სრულიად განიკურნოს. მხოლოდ დარიგება არაა საკმარისი, საჭიროა ბავშვს უდიდესი შიში ჩაუნერგო, რათა მისი ყმაწვილური უზრუნველობა აილაგმოს. ასე რომ, რადგანაც ელი შვილებს მხოლოდ რჩევას აძლევდა და სათანადოდ არ არწმუნებდა, ამიტომ უფალმა მტერს მათზე ძლევა მისცა და ისინი ბრძოლის ველზე დაიხოცნენ. ელიმ ამის გადატანა ვერ შეძლო და თვითონაც გარდაიცვალა, ხედავ, რა სამართლიანად ვთქვი, რომ მამები შვილთა მკვლელნი ხდებიან, რადგან უმკაცრეს ზომებს არ მიმართავენ დაუდევარი ბავშვების მიმართ და ღვთისადმი კეთილმოშიშებას არ ითხოვენ მათგან. ასე გახდა ელი საკუთარი შვილების მკვლელი. მართალია, მისი შვილები მტრებმა დახოცეს, მაგრამ დანაშაული მას მიუძღვის, რადგან თავისი დაუდევრობით მათ ღვთის შეწევნა მოაკლო და დაუცველნი და უსუსურნი დატოვა ისინი. შვილებთან ერთად მან თავიც დაიღუპა.

დღევანდელი მშობელიც იგივე მდგომარეობაშია: არ სურს უზნეოდ მცხოვრები შვილების მხილება, არც გაწკეპვლა და სიტყვიერი დასჯა. მამები ხშირად ხედავენ შვილების მძიმე დანაშაულს. ამის გამო მათ ასამართლებენ და სიკვდილით სჯიან. როდესაც შენ არ მოძღვრავ და არ სჯი მათ, ისინი უზნეო და გარყვნილ ადამიანებს ეკედლებიან და მათ უპატიოსნო საქმეში მონაწილეობას იღებენ, რისთვისაც საერთო კანონებით განიკითხებიან და ყველას თვალწინ ისჯებიან. როდესაც შვილის სიკვდილში დამნაშავე მამა ყველასათვის თითით საჩვენებელი ხდება და საკრებულოში შესვლა ეკრძალება, მხოლოდ მაშინ უჩნდება სირცხვილის გრძნობა. როგორ უნდა გაუსწოროს მან თვალი შემხვედრთ შვილის ამგვარი უწესო და უპატიოსნო საქციელის შემდეგ? ამიტომ გთხოვთ და გემუდარებით, უდიდესი მზრუნველობით მოეპყროთ ბავშვებს და გამუდმებით იღვაწოთ მათი სულის გადარჩენისათვის. შენ ხარ მოძღვარი მთელი ოჯახისა და შენ ჩაგაბარა უფალმა ცოლიცა და შვილებიც. პავლე მოციქული ცოლზე იტყვის: „ხოლო უკეთუ სწავლის რაიმე უნდეს, სახლსა შინა თვისთა ქმართა ჰკითხვედ მათ“ (I კორ. 14, 35); ხოლო შვილებზე კი ბრძანებს: „განზარდენით იგინი სწავლითა და მოძღვრებითა უფ-

ლისათა“ (ეფეს. 6, 4). წარმოიდგინე, რომ სახლში გაქვს ოქროს ქანდაკებები — შვილები. ყოველდღე გულდასმით შეამოწმე და მოაწესრიგე ისინი, ყოველნაირად შეამკე მათი სულები. მიბაძე ნეტარ იობს, რომელიც იმ შიშით, რომ მის შვილებს ფიქრშიდაც კი არ შეეცოდათ, ღმერთს მსხვერპლს სწირავდა და უდიდეს მზრუნველობას იჩენდა მათდამი; მიბაძე აბრაამს, რომელიც საღმრთო მცნებებისათვის იღვწოდა და არა სიმდიდრის შეძენისათვის, რათა შთამომავლობაში უფლის სიტყვის ზედმიწევნითი შესრულების სურვილი ჩაენერგა. უფალი ამ სათნოებაზე მიუთითებს, როდესაც ამბობს: „ვითარ-მსჯავრისა (დაბ. 18), ასევე დავითმაც, სიკვდილის ჟამს მოიხმო მედ ამცნოს ძეთა მისთა და სახლსა მისსა მის თანა და იცნან გზანი უფლისანი, რამეთუ ძეთა მისთა ქმნად სიმართლისა და თვისი ვაჟი და მემკვიდრეობის დატოვების მაგიერ ასე შეაგონებდა და მოუკლებლად ეუბნებოდა: თუ შენ, შვილო ჩემო, უფლის მცნებებით ცხოვრებას მოისურვებ, არანაირი განსაცდელი არ შეგემთხვევა, რადგან ყველა შენი საქმე ღვთისაგან კურთხეული იქნება და უდიდესი სიმშვიდით ინეტარებ, ხოლო თუ მოიკლებ ამ შეწევნას, შენი მეფობიდან და ძალაუფლებიდან არავითარი სარგებელი არ გექნება.

ივივე უნდა ვუთხრათ ჩვენს შვილებს სიცოცხლეშიც და სიკვდილის წინაც და ჩავაგონოთ, რომ უდიდესი სიმდიდრე, უხრწნელი მემკვიდრეობა და მარადიული საგანძური არის შიში ღვთისა. უნდა ვეცადოთ, რომ მათ დავუტოვოთ არა წარმავალი ქონება, არამედ ღვთისმოსაობა მტკიცე და შეურყეველი. სახიფათო და სამარცხვინოა სიკვდილი მდიდარი კაცისა, თუ იგი ღვთისმოშიში არ იყო, ხოლო სადაც შიშია ღვთისა, იქ გლახაკი და არაფრის მქონეც ცხონდება. თუ შენ შვილს კარგად აღზრდი, ისიც ასევე კარგი მშობელი იქნება და მისი აღზრდილიც ამასვე გააგრძელებს. ამგვარად წარმოიქმნება ჯაჭვი მშვენიერი ცხოვრებისა და გაგრძელდება მარად, რომელსაც სწორედ შენმა შთამომავლობაზე მზრუნველობამ ჩაუყარა საფუძველი. მამები რომ გულისხმიერებით ეკიდებოდნენ აღზრდის საქმეს, მაშინ საჭირო არ იქნებოდა კანონები, სასამართლოები, სასჯელები, არც წამებანი და სახალხოდ სიკვდილით დასჯანი, „მართალსა სჯულ არა უძს“ — ამბობს მოცი-

ქული (I ტიმ. 1), მაგრამ რადგანაც ჩვენ მათთვის სათანადოდ არ ვიღვწვით, ამიტომაც უდიდეს განსაცდელში ვაგდებთ, ჯალათებს ვაძლევთ ხელში და ხშირად უფსკრულისაკენ ვუბიძგებთ. „სათნო მყოფელი ძისა შეაკრავს წყალობასა მისსა“ (ისუ ზირაქი, 30, 7). რას ნიშნავს „სათნომყოფელი?“ — მოსიყვარულეს, მიმტევებელს, ზედმეტად მზრუნველს. ის კი საჭიროებს მკაცრ მოპყრობას, ყურადღებასა და მშობლისადმი შიშს. ამას იმისთვის არ ვამბობთ, რომ ულმობელნი ვიყოთ შვილების მიმართ, არამედ მისთვის, რომ მათ აბუჩად არ აგვიგდონ. თუკი ცოლს უნდა ეშინოდეს ქმრისა, შვილს — მითუმეტეს. არ მითხრა, რომ შეუძლებელია ყმაწვილური ვნებების დაოკება! თუ პავლე მოციქული ამ ღვაწლს ქვრივი ქალისაგან მოითხოვს, მამისაგან — უფრო მეტად. ეს რომ შეუძლებელი იყოს, იგი ამას არ გვიბრძანებდა. ყოველი მანკიერება ჩვენივე უზრუნველობის გამო იბადება, რადგან თავიდანვე, პირველი წლებიდანვე შვილებს ღვთისმოშიშებას არ ვაჩვევთ. ვზრუნავთ და ვიღვწვით, რომ მათ გარეგნული განათლება მივაღებინოთ, ვგზავნით სამხედრო სკოლაში სასწავლებლად, მაგრამ არ ვფიქრობთ იმაზე, რომ ისინი ანგელოზთა მეუფისათვის იყვნენ სასარგებლონი. სანახაობებზე წასვლის უფლებას ხშირად ვაძლევთ, ხოლო ეკლესიაში სიარულს არასოდეს არ ვაიძულებთ. ბავშვი ტაძარში ერთი-ორჯერ კიდეც რომ მივიდეს, მაინც ამაო და უსარგებლოა მისი იქ ყოფნა, რადგან იგი ამით მხოლოდ ერთობა. არა, ასე არ უნდა იყოს, არამედ როგორც სასწავლებელში მოსიარულე ბავშვს ვთხოვთ ნასწავლის ანგარიშს, ასევე უნდა მოვიქცეთ, როცა მათ ეკლესიაში ვგზავნით. უმჯობესი იქნება, თუკი ჩვენ მივიყვანთ მათ ტაძარში, რადგან სხვებს კი არ უნდა ვანდოთ ისინი, თვითონვე უნდა მოვთხოვოთ დაიმახსოვრონ მოსმენილი და ნაქადაგები. ბავშვების გამოსწორება ამგვარად ადვილი და მოსახერხებელი იქნება, რადგან თუ ისინი ჩვენგან სახლშიც მოისმენენ კეთილგონიერ რჩევებს, მაშინ ეკლესიაში და სახლში მიღებული მოძღვრება ერთმანეთს შეავსებს და უმალ გამოიღებს კეთილ ნაყოფს. ჩვენ კი ასე არ ვიქცევით, ამ მეტად საჭირო საქმეს ზერელედ ვეკიდებით და საკმარისია, ვინმემ ამაზე მიგვითითოს, რომ გვეცინება. ამიტომაც

დაკნინდა ყველაფერი და ვისაც მშობლები არ სჯიან, მათ საერო კანონები ასამართლებენ.

მითხარი, ნუთუ შენ არ წითლდები და არ გრცხვენია, როცა შენს შვილს არიგებს და სჯის მოსამართლე და სხვისი გამოსასწორებელი ხდება ის, ვინც თავიდანვე შენთან ცხოვრობდა? როგორ არ იმალები? როგორ ბედავ შენს თავს უწოდო მამა, როცა არ აიძულე უკეთესად მოქცეულიყო და ამით უღალატე კიდეც, რადგან მის გამოსასწორებლად ყოველგვარ საშუალებას არ მიმართე და უყურადღებოდ დატოვე, როცა იგი ყოველგვარი ბიწიერებით იხრწნებოდა? თუ დაინახე, რომ ვიღაც გამოქცეული მონა შენს შვილს ცემს, განა არ განრისხდები ან არ აღშფოთდები და მძვინვარე მხეცივით არ დააცხრები მას? ხოლო იმის შემყურეს, თუ სატანა დღითი-დღე როგორ სძლევს მას, როგორ ითრევენ ეშმაკები ცოდვებში, შენ გძინავს, არ განიცდი და არ ცდილობ შვილი მძვინვარე მხეცს გამოსტაცო. ასევე, თუ იგი ავი ზნითაა შეპყრობილი, შენ წმიდანებთან მიიჩქარი, რომლებიც მიუვალ ადგილებში ცხოვრობენ და ითხოვ შვილის განკურნებას. ხოლო თანდათანობით რომ იპყრობს მას ცოდვა, ყოველგვარ ცოფზე უარესი, ამაზე სულაც არ სწუხარ? ამასთანავე, სიშმაგე იმდენად მავნებელი არ არის, რადგანაც ეშმაკს არ შეუძლია ჩაგაგდოს გეენიაში. თუ ჩვენ ფხიზლად ვიქნებით, მადლობით მივიღებთ და გადავიტანთ ბოროტის ამგვარ თავდასხმას, მაშინ ეს განსაცდელი დიდების გვირგვინით შეგვამკობს. ხოლო ვინც ცოდვებში ცხოვრობს, იგი აქაც შეგინებული იქნება და იმქვეყნადაც მარადიულ სატანჯველს დაიმკვიდრებს. მიუხედავად იმისა, რომ ეს ყველაფერი ვიცით, უმნიშვნელო რამეზე უფრო მეტად ვზრუნავთ, ვიდრე მთავარზე. ეშმაკეულის შემყურენი ვწუხვართ, ხოლო ცოდვილს არ თანავუგრძნობთ. უკეთესი იქნებოდა, თუ არა მარტო ვიტირებთ, არამედ შევაკავებთ, ავლაგმავთ, ვურჩევთ, დავარწმუნებთ, შევაშინებთ, ვუსაყვედურებთ, და განვდევნით ამ სენს მკურნალობის ყოველგვარი ხერხებით და მივბაძავთ იმ ქვრივს, რომელზედაც მოციქული პავლე ამბობს: „საქმეთა შინა კეთილთა

წამებულ, უკეთუ შვილნი განსარდნა“ (I ტიმ. 5, 10), რადგან იგი მხოლოდ მას კი არ მიმართავს ამ სიტყვებით, არამედ ყველას შეაგონებს: „განზარდენით იგინი სწავლითა და მოძღურებითა უფლისათა“ (ეფეს. 6, 4) — ეს არის უპირველესი და უმაღლესი სათნოება.

თარგმნა გელა არაშვილმა

მარხვისათვის

მარხვისას, შენ, ჰოი, კაცო, თუ განიმზადო საზრდელი დღისა, მისი ნაწილი გლახაკთ უწილადე და ისე იმარხულე, რომ გლახაკიც დააპურო და შეიწყალო იმავ საზრდელით, შენ რომ იკვებები. თუ გლახაკი არ შეიწყალო და ისე ილოცო და იმარხულო, შენაც გეწიოს ის სიტყვები, უფალმა რომ უთხრა ისაია წინასწარმეტყველს: „უკუეთუ ძაძაი შეიმოსო და ნაცარი დაიფარო და განჰკაფო გუამი შენი მარხვისა სიმრავლითა და გლახაკი არ შეიწყალო, არა შეიწირავს ლოცვასა შენსა და მარხვასა“.

თუკი გაუწოდო პური მშიერს, უცხო შენს ჭერქვეშ შეიყვანო და უკეთურება შენი ალაგმო შენგან, მაშინ შეგიწყნაროს უფალმან და შეიწიროს ლოცვა შენი. რას გარგებს მარხვა, თუკი გლახაკი და მშიერი ნახე და არ შეიწყალე? არ იცი განა, რა შეემთხვათ იმ ქალწულთ, დღენიადაგ მარხვითა და ზეწოლით რომ განიწმიდნეს გვამნი თვისნი? არ შეიწყალეს რადგან გლახაკნი, მათთვისაც ჩაირაზა კარი წყალობისა. ამიტომ თქვა ღმერთმა: მარხვისას გლახაკს უწილადე საზრდელი შენი, რათა მან ჭამოს, დანაყრდეს და დაგლოცოს შენ. და თუ შეიწყალო გლახაკი, შენიც შეისმინოს უფალმან და შეგიწყალოს.

მონოზონთ კი, რომელთაც დაუტევეს უფლისათვის სოფელი, არარა აქვთ ნივთიერი, გამხმარია გვამი მათი მარხვით და ლოცვა მათი წმიდა არს და უბიწო.

სხვებს, თუ კი ისინი მარხულობენ და თავისი საზრდელით აპურებენ მშიერთ და გლახაკთ, ამ წყალობისათვის შეიწირავს ღმერთი მარხვასა მათსა.

არა გსმენია, რა სიკეთეები ელით მმარხველთა? და არ შეგვფერის უძღებება საზრდელში, უზომობა სასმელში, რათა არ დავკარგოთ თავი, არ აგვერიოს ფეხი, არ ჩაგვიწითლდეს თვალნი, არ დაბორძიკდეს ენა და სვლა ჩვენი რომ არ ემსგავსოს ბარბაცს მთვრალისას; და ისე არ წაგვერთვას გონება, რომ უჯეროდ გვამეტყველოს, ქცევითა და ხედვით ეშმაკეულს მიგვამსგავსოს... და სამარცხვინო და სასაცილო რომ არ იყოს ყველა ჩვენი საქციელი იმ დროს.

ფრიად პატიოსან არს, საყვარელნო, მარხვა, რადგან იგი ანგელოსს მიამსგავსებს კაცს. მარხვამ განწმიდა და უბიწოება მიანიჭა წმინდანთ. მარხვამ აიყვანა კეთილისმოქმედნი ზეცად. მაგრამ მხოლოდ საჭმელისა და სასმელის მარხვას როდი ვამბობ, არამედ დაიცევ თავი შენი ყოვლისაგან ბოროტისა, სიხარბისა და მტერობისა, ძვირისხსენებისა და სიძულვილისაგან და შფოთისა და ტყუილისაგან. მარტო მარხვა როდი გვემცნა უფლისაგან, არამედ განშორებაც ყოვლისაგან ბოროტისა, რომელიც სძულს მას და ქმნა სათნოებათა კეთილთა, რომლებიც უყვარს მას. ლოცვა და მარხვა, მღვიძარება და განკითხვა გლახაკთა, სიწმიდე და ძვირუხსენებლობა, სიყვარული და სიმდაბლე, მოთმინება და სულგრძელობა, ამათი შეძენა გვიბრძანა უფალმა; და ოდეს დავნერგავთ ამ საქმეებს ჩვენში, მაშინ შეიწიროს ლოცვა და მარხვა ჩვენი და ღირს გვყოს თავის სასუფეველსა, რათა ვადიდებდეთ მის წმიდა სახელს, რომლისა არს დიდება უკუნითი უკუნისამდე, ამენ.

წმიდა მამის ეს სიტყვა მხოლოდ ძველ ქართულ ენაზე შემოგვენახა, რომელიც ჩვენ გადმოვიღეთ თანამედროვე ქართულ ენაზე. ძველი ტექსტი გადმოცემულია, ხახე — ძველთა სწავლანი X და XI ს.-თა ხელნაწერების მიხედვით. გამოსცა ილია აბულაძემ. თბ., 1955, გვ. 25—26

თარგმნა მანანა ჩიქვანაიამ.

უცნობი ავტორი

ევსტათი მცხეთელის მოთმინება და მარტვილობა

ხვასროს მეფობის და არეანდ გუშნასპის მარზაპანობის მე-10 წელს, სპარსეთიდან, არშაკეთის ქვეყნიდან, ქართლს ერთი კაცი მოვიდა, მოგვის ძე, წარმართი იყო იგი. სახელად მას გვირობანდაკი ერქვა, ყრმა იყო, ასე 30 წლის.

მოვიდა იგი ქალაქ მცხეთას და მეჯღანის ხელობის შესწავლა დაიწყო. და ხედავდა იგი რჯულს ქრისტიანეთას, ქრისტეს მსახურებასა და ძალას წმიდა ჯვრისას, შეიყვარა მან რჯული ქრისტესი და იწამა ქრისტე და როცა განასრულა მეხამლეობის შესწავლა, ცოლად ქრისტეანე ითხოვა, თავადაც ქრისტეანედ მოიქცა, ნათელი იღო. ნათლისცემისას მას ევსტათი უწოდეს და აღასრულებდა წმ. ევსტათი მცნებებს ქრისტეანულს და ცხოვრობდა ქრისტეანულად.

იმ დროს მცხეთას მყოფი სპარსი მეჯადაგენი და მეხამლენი შეიკრიბნენ, ტოზიკი ჰქონდათ და ნეტარ ევსტათის კაცი გაუგზავნეს, შეუთვალეს:

— მოდი, შემოუერთდიო სიხარულს ჩვენსას.

ხოლო ნეტარმა ევსტათიმ გაიცინა და უთხრა:

— ბნელია თქვენი ტოზიკი და თქვენაც, მეტოზიკენი ბნელები ხართ. მე კი ქრისტეს ბეჭედი მივიღე, ქრისტეს ტოზიკსა ვტოზიკობ და რადგან ქრისტეს ბეჭდით აღვიბეჭდე, მაგ ბნელსაც განვეშორე.

გადიხადეს თავისი ტოზიკი იმ მეჯადაგეებმა და მეხამლეებმა და უსტამთან, მცხეთის ციხისთავთან მივიდნენ, უთხრეს:

— აქა ერთი ჩვენი რჯულის კაცია და ჩვენს ტოზიკზე არ მოდის, ჩვენს რჯულს გმობს, ჩვენაცა გვაგინებსა და ამბობს, რომ ქრისტეანე ვარო. ხოდა, ახლა, რადგანაც ხელმწიფე ხარ ამ ქალაქისა, დაიბარე და დანარჩენი შენ გამოჰკითხე. და უსტამმა, მცხეთის ციხისთავმა, მოისმინა ევსტათიზე ნაამბობი და ერთი მხედართთაგანი გაგზავნა ნეტარი ევსტათის მოსაყვანად. მისულმა მხედარმა მრისხანედ უთხრა:

— გიხმობსო შენ ციხისთავი.

ხოლო წმიდა ევსტათი ოდნავ შეყოვნდა, გარიდება განიზრა-

ხა. მერე დაფიქრდა და თქვა: ისინი ხომ ჩემიანები, ჩემი მოყვასები არიან, მათი თუ შემეშინდა, დიდთა მთავართა წინაშე როგორღა წარვსდგებიო? — პირიქით, დაუფარავად უნდა ვაღიარო ქრისტე, მსმენია რადგან წმიდა სახარებაში ნათქვამი: „რომელმან აღმიაროს მე წინაშე კაცთა, აღვიარო მეცა იგი წინაშე მამისა ზეცათაისა, და რომელმან უვარ-მყოს მე წინაშე კაცთა, უვარ-ვყო იგი მეცა წინაშე მამისა ჩემისა, რომელ არს ცათა შინა". გამოისახა ჯვარი გულსა და შუბლზე და თქვა: „უფალი ჩემ თანა".

და მივიდა ნეტარი ევსტათი და წარსდგა მცხეთელი ციხისთავის წინაშე. და მხედარმა უთხრა უსტამს:

— ესაო ჩვენი რჯულის მაგინებელი.

შეხედა უსტამმა ნეტარსა ევსტათის და უთხრა:

— შენ გეუბნები, კაცო, მითხარი, რომელი ქვეყნიდან, ან რომელი ქალაქიდან ხარ ან რა რჯულს მისდევ?

ხოლო წმიდა ევსტათიმ უპასუხა მას:

— სპარსეთის ქვეყნიდან, არშაკეთის ხევში, ქალაქსა განძაკს ვცხოვრობდი. მამა მოგვი მყავდა და მოგვობას მასწავლიდა. არ ვინდომე მოგვობა, ქალაქ განძაკში ქრისტეანე მღვდლები და ეპისკოპოსები მრავლად არიან და მათკენ გამიწია გულმა, რადგან ქრისტეანობა აღემატება ყველა რჯულსა და უღმრთოებას. ახლა ქრისტე მწამს და მას ვემსახურები.

ხოლო უსტამ ციხისთავმა უთხრა მას:

— არავინ მოგცემს ქრისტეს მსახურების უფლებას და თუ მშვიდობიანად არ ჩამოცილებიხარ მაგ სიგიჟეს, დიდი ტანჯვა მოგელისო.

ხოლო წმიდა ევსტათიმ უპასუხა:

— ქრისტეს სიყვარულის გამო, არა მარტო წამებისათვის, არამედ სიკვდილისთვისაც არ მებრალებაო თავი.

და როცა ნახა უსტამმა გულწრფელი სიმტკიცე ევსტათისი, იფიქრა და თქვა: ამ კაცის დასჯის არანაირი უფლება არა მაქვს: არც ძელზე გაკვრის, არც დატუსაღების, თბილისს ქალაქს, არვანდ გუშნასპს, ქართლის მარზაპანს გაუგზავნი და რასაც იმსახურებს, მან მიაგოს, რადგან ქართლში ყოველი კაცის სიკვდილი და სიცოცხლე მის ხელთაა.

და უბრძანა უსტამ მცხეთის ციხისთავმა ორ მხედარს ნე-

ტარი ევსტათის თბილისს წაყვანა. შეიკრიბნენ ისევ ის მეჯადაგენნი და მეხამლენნი და მივიდნენ უსტამთან და უთხრეს:

— აქა სხვებიც გახლავან ჩვენი რჯულისანი და ისინიც ქრისტეანები არიან. ბრძანე მათი მოყვანებაც და ისინიც თბილისს მიავლინეო.

ხოლო უსტამმა ჰკითხა მათ:

— ვინ არიან?

მათ დაუსახელეს იმათი სახელები და უთხრეს:

— ერთსა გუშნაკ ჰქვია და ერთსა ბახდიად, ერთსა ბურზო და ერთსა პანაგუშნასპ, ერთსა პეროზაკ, ერთსა ზარმილ, ერთსა სტეფანე.

და ბრძანა უსტამმა მათი მოყვანა, ოღონდ გასამართლება მათი არ იტვირთა, არამედ რვავეს შეკვრა და ქართლის მარზპანისათვის, გუშნასპისათვის მათი წარგზავნა ბრძანა და თანაც შეუთვალა: „ეს კაცები ჩვენი რჯულისანი არიან და ქრისტეს რჯულს კი მისდევენ. მე ისინი შევიპყარ და შენ, უფალს, გამოგიგზავნე, რადგან განკითხვა მათი შენს ხელთააო".

და წარავლინეს რვანივე მარზაპანის წინაშე. ხოლო მან ჰკითხა მათ:

— ვინა ხართ, ან რა რჯულს მისდევთ?

და მათ, თითოეულმა ცალ-ცალკე, დაუსახელეს თავისი ქვეყანა, დაბა და ყველამ ერთიდაიგივე უთხრა:

— სანამ სამშობლოში ვცხოვრობდით, სპარსთა რჯულს ვცნობდით, მაგრამ როცა ქართლს მოვაწიეთ და ქრისტეს რჯულს გავეცანით, ქრისტეანები გავხდით და ახლა ქრისტეანები ვართ, რადგან რჯული ქრისტესი ფრიად კეთილია, მშვენიერი, წმიდა და სურნელოვანი და სხვა რჯული, რჯულსა ქრისტეანულს ვერ გაუტოლდება.

სიტყვისმიმგებელი მსაჯულისა მათ შორის ნეტარი ევსტათი იყო და როცა უსტამმა ასეთი სიტყვები გაიგონა, მათგან, გაწყრა და უბრძანა თავის მსახურთ, მათი გარეთ გაყვანა და პირ-სახეში ცემა და ბრძანა:

— გადაპარსეთ მაგათ თავზე თმა, მოპარსეთ წვერი, განუხვრიტეთ ცხვირნი, ქედზე ჯაჭვი, ფეხებზე ბორკილები შეასხით და საპყრობილეში დაამწყვდიეთ და თუ რომელიმე მათგანში აღიაროს რჯული მშობლიური, გაათავისუფლეთ და

მომგვარეთ, რათა დიდი საბოძვარით განვამდიდრო იგი. ხოლო რომელმაც არ აღიაროს რჯული მამა-პაპათა, იგი საპყრობილეში მოკვდეს!

და როცა გაიგონეს სიტყვები მარზაპანისა — რომელმან აღიაროს იგი ვაცოცხლო და რომელმან არ აღიაროს მამისეული რჯული, იგი საპყრობილეში ჩავკლაო, იმ წამს, გულს ბახდიადისას და პანაგუშნასპისას ეშმაკი დაეუფლა, მათ უარყვეს ქრისტე და უღმრთოება აღიარეს და ამით ჯვრის უარმყოფელთა ნაწილი მიიღეს. ხოლო ნეტარი ევსტათი და გუშნაკ, ბურზო და პეროზაკ და ზარმილი და სტეფანე, გულმოდგინედ და მტკიცედ იდგნენ ქრისტეს სარწმუნოებაზე. და როცა უთხრეს მარზაპანს, რომ ორმა მათგანმა აღიარაო რჯული მამა-პაპათა, გაიხარა მარზაპანმა და მათი მოყვანა ბრძანა. თავის გვერდით, ინახით დაისახა ისინი და ქონება და თავისი კეთილგანწყობა აღუთქვა. ხოლო ევსტათისა და მისი მოყვასებისათვის კი, წვერისა და თმის გადაპარსვა, ქედზე ჯაჭვისა და ბორკილების შესხმა და საპყრობილეში ჩასმა ბრძანა. მსახურთ აღასრულეს ბრძანება მარზაპანისა, მოპარსეს თმა და წვერი და ჯაჭვდაბორკილებშესხმულნი საპყრობილეში ჩასვეს. ხოლო ბახდიადსა და პანაგუნასპს ნუგეში სცა და გაათავისუფლა. მაგრამ შეპირებული ქონებიდან და სიკეთიდან, გოდორი რაა, ისიც კი არ მიუცია მათთვის.

და წმიდა ევსტათი და მოყვასნი მისნი ექვსი თვე იყვნენ დატუსაღებულნი. ექვსი თვის მერე სპარსთა მეფის შიკრიკი ეახლა არვანდ გუშნასპს და როცა გაემზადა მარზაპანი სპარსთა მეფესთან წასასვლელად, შეიკრიბნენ ქართლის მთავარნი და მის გასაცილებლად მივიდნენ.

და როცა ამხედრდა მარზაპანი, მიეახლნენ მთავარნი ქართლისანი და სამოელ კათალიკოსი და გრიგოლ ქართლის მამასახლისი და არშუშა ქართლის პიტიახში და სხვანი მეფეწულნი (მთავართა ძენი) და მარზაპანს უთხრეს:

— ვეევედრებით შენს უფლებამოსილებას და სათხოვარსა ერთსა გთხოვთ.

ხოლო მან უთხრა მათ:

— თქვით, რა გნებავთ, ისეთი რა უნდა იყოს, რომ თქვენთვის არ გავაკეთოო. და მათ, ყველამ ერთხმად უთხრეს:

— გევედრებით შენ, უფალო, იმ მცხეთელ კაცთა განთავისუფლებას, რომელნიც ქრისტეანობის გამო იმყოფებიანო საპყრობილეში.

უპასუხა მათ მარზაპანმა:

— ის კაცები სიკვდილს იმსახურებენ, მაგრამ თქვენი შუამდგომლობის გამო გავათავისუფლებო მათ.

ხოლო მათ მადლობა მოუხადეს მას და ბრძანა მან (მარზაპანმა) განთავისუფლება მათი და გამოიყვანეს ისინი საპყრობილედან და დაბრუნდნენ ისინი საკუთარი სახლში და ისინი, ნეტარნი ქრისტეანენი, ღმრთივსასურველი ცხოვრებით ცხოვრობდნენ. დროთა განმავლობაში ზოგიერთი მათგანი გარდაიცვალა, ზოგი კი ცოცხალია.

ხოლო იმათაგან, რომელთაც უარყვეს ქრისტე, ერთი, ბახდიადი ეშმაკისაგან იგვემებოდა და საშინელი სიკვდილით მოკვდა, ხოლო უბადრუკმა პანაგუშნასპმა სიღატაკეში გალია თავისი დღენი. პური არ ეძიებოდა საშელად და სამოსელი არ გააჩნდა სხეულის დასაფარავად და სანამ ცოცხალი იყო, ჭირითა და მწუხარებით იყო აღსავსე დღენი მისი.

და სამი წლის შემდეგ ვეჟან ბუზმირი შემოვიდა ქართლში მარზაპანად და წავიდნენ მცხეთიდან სპარსელები, ნეტარი ევსტათის შემასმენელნი, თბილისს, წარსდგნენ ვეჟან ბუზმირ მარზაპანის წინაშე და უთხრეს:

— კაცნი არიან მცხეთას ჩვენი რჯულისანი და განგვიდგნენ ჩვენ და ქრისტეანობას იჩემებენ. ახლა მისი გასამართლება თქვენს ხელთააო.

და უბრძანა ვეჟან ბუზმირმა ორ მხედარს წასვლა და წმიდა ევსტათისა და სტეფანეს მოყვანა და როცა მოვიდნენ მხედარნი, უთხრეს ევსტათისა და სტეფანეს:

— გიბარებთო თქვენ მარზაპანი.

და მათ უპასუხეს:

— მოვალთ თქვენთან, არც რა გვაწუხებსა და არც რისი გვეშინიაო.

და როცა თბილისს წასასვლელად გაემზადდნენ ევსტათი და სტეფანე, უთხრა ევსტათიმ სიდედრს, ცოლს, შვილებს და მონა-მხევალთ თავისას.

— გემშვიდობებით, რადგან აქ აღარ მოვბრუნდები

და ქრისტეს მე არ ვუარყოფ და ისინი მე ცოცხალს აღარ გამიშვებენ. თბილისში მოვკვდები, საპყრობილეში, თავს მომკვეთენ და გვამი ჩემი, ღმრთისავე ნებით, აქ დაბრუნდება ისევ.

ეს თქვა და გამოემშვიდობა ყველას და მათ, ყველამ, ჯვარი გამოსახეს და ის და სტეფანე, მხედრების თანხლებით გაემართნენ თბილისს.

ხოლო სახლეულნი და ნათესავნი მათნი მისტიროდნენ მათ უკან და როცა გადაიარეს ველი, მცხეთის ჯვარს მიაღწიეს, აღაპყრო ხელები წმიდა ევსტათიმ და თქვა:

— უფალო ღმერთო, იესო ქრისტე, თუკი შენი სახელისათვის სიკვდილს მაღირსებ, ნუ ინებებ ჩემი ხორცის დაგდებას ძაღლთა და ცის ფრინველთა შესაჭმელად, არამედ ბრძანე ჩემი გვამის აქ დაბრუნება, სადაც ნათელი მიმიღია.

და როცა თქვა ეს სიტყვები ნეტარმა ევსტათიმ, თაყვანი სცა ჯვარს, გამოემშვიდობა კრებულს და თბილისს გაემართნენ.

და როს დაბრუნდნენ მხედრები, წარუდგინეს მარზაპანს, ვეჟან ბუზმირს, ევსტათი და სტეფანე და უთხრეს:

— ესენი არიან ახლადმოქცეულნი მცხეთელი ქრისტეანენი.

ხოლო ვეჟან ბუზმირმა ჰკითხა ევსტათისა და სტეფანეს:

— ვინ ხართ? ან რა რჯულისანი ხართ?

და წამოდგნენ ასურნი მთავარნი სტეფანეს' დასაცავად და უთხრეს:

— ამ კაცს ვიცნობთ, ჩვენი დაბელია, მამა და დედა და ძმანი და დანი მაგისნი ქრისტეანენი არიან და ეგაც ქრისტეანე არისო.

სტეფანე მათი ნათქვამის გამო გაათავისუფლეს, ხოლო წმიდასა ევსტათის ჰკითხა:

— შენ ვინ ხარ, ან რომელი რჯულის მიხედვით ცხოვრობ?

წმიდა ევსტათიმ უპასუხა:

— რაკი მეკითხები, გულისყურით მისმინე და ყველაფერს გეტყვიო. სპარსეთის ქვეყანაში არშაკეთის ხევს, ქალაქ განძაკს ვცხოვრობდი და მამა მოგვი იყო, და ძმანი ჩემნი მოგ-

ვები იყვნენ და მეც მოგვობას მასწავლიდა მამაჩემი. არ მიყვარდა მამა-პაპეული რჯული და ჩემთვის, გონებაში ვამბობდი: არ მომწონს ეს რჯული. წავალ ებრაელებისა და ქრისტეანების რჯულს გავეცნობი, რომელიც უკეთესი იქნება, იმას შევიყვარებ-მეთქი და დღისით, მამა რომ მოგვობას მასწავლიდა, მწუხრს, ქრისტეანელ ეკლესიაში რომ ზარს ჩამორეკავდნენ, ეკლესიად მივდიოდი, ლოცვას ვისმენდი და ქრისტეანეთა მსახურებას ვხედავდი, რომელსაც ისინი ღმერთს აღუვლენდნენ. ურიათა სინაგოგაშიაც შევდიოდი, მათ მსახურებასაც ვხედავდი. მაგრამ ქრისტეანთა გალობის ხმა, თითქოს ანგელოზის ხმაარ, ისე მესმოდა, საამოა და მეტად სურნელოვანი ლოცვა მათი. ხოლო ღამით, სინაგოგაშიაც შევდიოდი და არ მესმოდა, რას ამბობდნენ.

მერე, ერთხელაც რომ შევედი, მომიახლოვდა სამოელ არქედიაკვანი, რჯულისმეცნიერი და მითხრა:

— რას დადიხარ ეკლესიაში ასე გულმოდგინედ?

მე ვუპასუხე მას:

— ბატონო, იცი შენ, მე ვინც ვარ, მაგრამ არ მიყვარს რჯული მამა-პაპათა და მინდა ვინმემ გამარკვიოს ებრაელთა და ქრისტეანეთა რჯულში და რომელი რჯულიც უწმინდესი იქნება, იმას შევიყვარებ.

ამაზე სამოელ არქედიაკვანმა მიპასუხა:

— თუ ნამდვილად გსურს მაგის ცოდნა, ორივე რჯულს გაგაცნობ კეთილად. არჩევანი კი შენზე როდია, ისე იქნება, როგორაც უფალი ინებებს.

ხოლო მე ძლიერ შევევედრე:

— რომელი რჯულიც ღმრთის წინაშე სათნოდ გამომაჩენს, იმ რჯულის მიღება მსურს, მასზე მიამბე.

ხოლო სამოელ არქედიაკვანმა დაიწყო თხრობა და მითხრა:

— გულისყურით მისმინე, ძმაო! ადრე, შენაც იცი, სპარსთა რჯული იყო. მაგრამ ღმერთს სძაგდა რჯული სპარსთა და არა სთნდა. მერე ებრაელნი გამოირჩია ღმერთმა და სათნო-ყო და მისცა მათ რჯული და მცნება დასაცავად. მერე კი ქრისტეანენი უფრო სათნო ეყვნენ ღმერთს, ვიდრე ებრაელნი.

მერე კვლავ შევევედრე სამოელ არქედიაკვანსა და ვუთხარი:

— ბატონო, ნუ დამზარდები, კარგად გამაგებინე-მეთქი და

ეკითხე: ბატონო, ვინ იყვნენ ებრაელები, საიდან მოვიდნენ და რატომ შეიყვარა ღმერთმა ისინი?

მაშინ მითხრა სამოელ არქედიაკვანმა:

— ჰურიათა ამბავი, ძმაო, მოსაყოლად დიდია, მაგრამ თუ მომაპყრობ სასმენელს და გულისყურით მომისმენ, მეც დაუზარებლად გიამბობ და გაგაგებინებ ყოველივეს.

ერთი უბიწო და ღმრთისმოყვარე კაცი იყო სპარსთა ქვეყანაში, ბაბილონელთა ქალაქში, სახელად მას აბრაჰამი ერქვა. იხილა მან ღამით ჩვენებაში ღმერთი, რომელმაც უთხრა აბრაჰამს:

— გამოდი მაგ ქვეყნიდან და წაგიყვან სხვა ქვეყანაში და გაგამრავლებ და აღგაღორძინებ შენ მეტად. და დაგადგენ მამად ნათესავთა და ერთა ურიცხვთა.

სოლო აბრაჰამმა იწამა უფლის ეს სიტყვები და მიუგო აბრაჰამმა:

— აღსრულდეს, უფალო, ჩემზე ეგ შენი სიტყვები.

და გამოვიდა აბრაჰამი ქალდეველთა ქვეყნიდან ღა მოვიდა შუამდინარეთის ქვეყანას, ქალაქ ქანანს, ევფრატის მახლობლად. მოვიდა ანგელოზის წინამძღოლობით და დამკვიდრდა ქანანს. შემდეგ იქიდანაც, ქანანის ქვეყნიდანაც გამოიყვანი იგი უფალმა და დაამკვიდრა ქებრონს.

და ჰყავდა აბრაჰამს ძე, ისააკი და ისაააკს — იაკობი და იაკობს ჰყავდა თორმეტი ძე. და უბრძანა აბრაჰამს ღმერთმა და უთხრა:

— წინადასცვითე ისააკს და იაკობს და ყოველთა ძეთა იაკობისათა. ეს წესი იყოს აწი რჯული თქვენი საუკუნო.

და აბრაჰამი ისე მოიქცა, როგორც ღმერთმა უბრძანა. და აღორძინდა და განძლიერდა ნათესავი აბრაჰამისა ძლიერზე ძლიერ. ესენი არიან ებრაელები. და უყვარდა ღმერთს ებრაელები ძალუმად, როგორაც უყვარს მამას შვილი საყვარელი და უწოდა ებრაელებს სახელად — ისრაელ, ხოლო ეს ასე ითარგმნება: ერი ღმრთისა. და გაიზარდა და გავრცელდა ისრაელი, ერი ღმრთისა.

და გარდამოხდა ღმერთი ზეცით ქვეყანას ამას, მოვიდა სინას მთის თხემს. და ფიცარზე დაწერა ღმერთმა თავისი ხელით რჯული და მცნება ესე:

პირველი მცნება ასეთია: შეიყვარეთ უფალი ღმერთი თქვენი, ყოვლითა გულითა თქვენითა, და ყოვლითა სულითა თქვენითა და ყოვლითა გონებითა თქვენითა. და შემდეგ ესენი: კაცი არ მოკლა, არ მოიპარო, არ იმრუშო, ნუ შეგშურდება ცოლი შენი მოყვასისა, ცილი არავის დასწამო, ცილის წამებაზე არ დაიფიცო, ბევრი არ ილაპარაკო. პატივი ეცი მამას და დედას შენსას.

შეიყვარე მოყვასი შენი, როგორაც შენი საკუთარი თავი.

შაბათი დაიცავით, დღესასწაულნი, შესაწირავნი და უქმეები აღასრულეთ. ეს რჯული და მცნებები დაწერა ღმერთმა და მისცა მონას თვისას, მოსეს. და მოსემ აიღო ეს ფიცრები და წაუკითხა მთელს ისრაელს. და გაიხარა მთელმა ისრაელმა და თქვა:

— ყოველივე, რაც გვიბრძანა უფალმა, გავაკეთოთ და აღვასრულოთ, ოღონდ უფალი იყოს ჩვენთან.

და ამაღლდა უფალი ზეცას და როცა ისმინეს ეს რჯული ებრაელთ, შესწირავდნენ შესაწირავს და საკმეველს და მსხვერპლს და იცავდნენ შაბათს და ღმერთი მათთან იყო.

და იმ ხანებში უცხო თესლტომნი შეიკრიბნენ და დაესხნენ ისრაელთ. ხოლო ღმერთმა ერთი კაცის ხელით განდევნა ისინი, მათი ნაწილი მოკლეს, ნაწილი ტყვედ წამოიყვანეს და ნაწილიც გააქციეს და არ ჰქონდათ მათ შიში მტრისა, რადგან ღმერთი მათთან იყო.

რამოდენიმე ხნის შემდეგ, მთელმა ისრაელმა მეფე ითხოვა ღმრთისაგან, რომ იგი მტერს შებრძოლებოდა და მოუვლინა ღმერთმა მათ მეფე და განაგო უფალმა წესი გვირგვინოსნობისა (მეფობისა). და რამდენიმე დღეში მოკლეს ის მეფე ბრძოლაში, რადგან აღიმაღლა მან თავის თავი და ეიმედებოდა მხოლოდ ძალა საკუთარი და არა ღმერთი.

შემდეგ დავითი მეფობდა. ხოლო დავით იყო საყვარელი ღმრთისა და ღმერთი უყვარდა დავითს და დავითმა შესწირა მსხვერპლი ყოვლადდასაწველი და შესაწირავი, დღესასწაულნი და შაბათნი კეთილად დაიცვა.

შემდეგ ძე მისი, სოლომონი მეფობდა და განდგა თვითონაც და ერიც ღმრთისაგან და ემსახურებოდნენ ყრუ კერპებს, ხელით ქმნულს და ქვებს უსულოთ, ხეებს, მაღალ ტყეებსა და

ხეთა მწვერვალებს და უარყვეს ღმერთი. ხოლო წინასწარმეტყველნი კი უქადაგებდნენ და ეუბნებოდნენ მათ:

— უჯეროა ცოცხალი ღმერთის უარყოფა ქვათა და თუნდაც სხვა რამეთა მსახურება. ახლა, აგერ მოავლენს ღმერთი თქვენზე შიმშილსა და სიკვდილს და მახვილსა და ტყვეობას და ასე წარიხოცებით თქვენ.

და მათ არ ისურვეს იმ წინასწარმეტყველთა ხმის მოსმენა, რადგან გაგიჟდა ერი ისრაელისა და ბრძანეს იმ წინასწარმეტყველთა მოკვლა, ნაწილისა მახვილით, ნაწილისა ცეცხლით, ზოგი გადახერხეს, ზოგი მხეცებს მიუგდეს, ნაწილი მღვიმეებში ჩაყარეს, ნაწილი ქვებით ჩაქოლეს. ხოლო ღმერთი ტკბილია და კაცთმოყვარე, არ უნდოდა მას წარწყმედა ისრაელისა და უნდოდა მოქცევა მისი. მოავლინა ღმერთმან ძე თვისი ქრისტე სოფლად და შევიდა წმიდა ქალწულის მუცელში და ხორცნი შეისხნა და განკაცდა წმიდა მარიამისაგან და გამოვიდა წმიდა საშოდან და ღმრთაებრივობა ხორცით დაიფარა. რადგან ღმრთაებრივობა ხორცით რომ არ დაეფარა, ვერ მიეახლებოდა მას კაცი, რადგანაც მზე ქმნილია ღმრთისა და თვალი ვერავის შეუვლია მზისთვის და დისკოს მისას ვერავინ გაუსწორა თვალი. ღმრთაებასაც ვერ მიეახლება კაცი. იმიტომ შეისხა ხორცი, რომ ისრაელი მოექცია ცოცხალი ღმრთისაკენ.

და განკაცებულმა ნათელი იღო მდ. იორდანეს იოანეს ხელით და როცა ამოდიოდა წყლიდან, აჰა, გაიხსნა ცა და სული წმიდა, მტრედის სახით, სპეტაკი გადმოვიდა ციდან და დაადგა მას თავზე და მოისმა ხმა ზეცით:

— „ესე არს ძეი ჩემი საყვარელი, რომელი მე სათნო ვიყავ, მაგისი ისმინეთ და ცხოვნდეთ“.

და როცა შევიდა იერუსალიმს, ნიშნებად სასწაული საქმეების მოხდენა და კურნება დაიწყო. 38 წლის სნეული იყო სარეცელზე, ნახა და სიტყვით უბრძანა.

— „აღდეგ და აღიღე ცხედარი შენი და ვიდოდე! — და მაშინვე აღსდგა და გაიარა ვანკურნებულმა და მადლობდა ღმერთს.

მერე დაბადებიდანვე ბრმა იპოვა და ნერწყვით მოზელილი

თიხა წაუსვა თვალებზე და უბრძანა მისი წყლით მობანა და აეხილა იმ ბრმას თვალები.

და მკვდარნი აღადგინა და საპყარნი გაატარა და კეთროვანნი განკურნა და მრავალნი კურნებანი ჰყო ქრისტემ მათ შორის, რათა ეწამებინათ ებრაელებს და დაბრუნებოდნენ ცოცხალ ღმერთს. და სურდა, რომ არ გაყროდნენ ისინი ღმერთს!

ხოლო ებრაელები კიდევ უფრო გაგიჟდნენ და დიდი შურით აღივსნენ ქრისტეს მიმართ და უნდოდათ მოკვლა მისი. ხოლო ქრისტე განეშორა მათ და იქ, გარე სოფლებსა და დაბებში დადიოდა. და რომელთაც იწამეს ქრისტესი, უკან დაედევნენ მას. და მივიდა ერი ერთ დაბას. მოჰყავდათ ქვრივისა იამავარი[1] მკვდარი და როცა ნახა ეს, ბრძანა და დადგეს ცხედარი. შეახო ხელი ყრმას და მისცა დედამისს იამავარი იგი გაცოცხლებული.

მერე ერთ დაბაში მიდიოდა. უკან უამრავი ხალხი მისდევდა ერის სიმრავლის გამო ვერ შეძლეს კეთროვანის მიყვანა და სახლს ახადეს სახურავი და სნეული ისე ჩაუშვეს მასთან და აღადგინა იგი და ის თავის ფეხით წავიდა სახლში.

და მრავალი ერი მისდევდა მას და ადიდებდა ღმერთს. ხოლო იმ ხალხთაგან თორმეტი გამოირჩია და მოწაფეები უწოდა მათ და რასაც უბრძანებდა მათ, იმას იქმოდნენ.

და ერთ დაბაში შევიდა, იქ ქორწილი იყო და შევიდა იესუ იმ საქორწინე დარბაზში და ღვინო არ იყო იქ, რადგან გათავებულიყო და ცარიელი იდგა კოკები. მაშინ იესომ ბრძანა წყლის მოტანა და ავსება კოკებისა წყლით. და აკურთხა ის წყალი ქრისტემ და აქცია ღვინოდ, იმაზე უფრო საამოდ, ვიდრე იგი თავიდან იყო. და გაუკვირდათ მრავალთ, იწამეს მისი და დაედევნენ მას.

და მერე დედაკაცი, 12 წელი სისხლმდინარე რომ იყო, ფარულად, უკნიდან მიუახლოვდა იესოს და შეახო ხელი ბოლოს მისი სამოსელისას და განიკურნა.

მერე ერთ ადგილას მივიდა ქრისტე და იქ ველი იყო მშვე-

---

[1] იამავარი — დედისერთა.

ნიერი, გადახედა ერს, რომელიც უკან დაედევნა მას და უთხრა თავის მოწაფეებს:

— ეს ხალხი რა ხანია უჭმელია და მეცოდება. წადით ქალაქში და იყიდეთ პური და მიეცით ამ ხალხს... — და ქრისტემ უთხრა მოწაფეებს: — თქვენს შორის აქ პური არავის აქვს?

უთხრა ერთმა მოწაფეთაგანმა.

— მე მაქვს ხუთი პური და ორი თევზი.

უთხრა ქრისტემ:

— მომართვი ისინი აქ!

და როცა მოიტანეს ის ხუთი პური და ორი თევზი, ბრძანა ქრისტემ იმ ხალხის მიწაზე დასხმა და მაღლა, ცისაკენ ასწია ის ხუთი პური და ორი თევზი, აკურთხა, გატეხა და მისცა თავის მოწაფეებს, მოწაფეები ურიგებდნენ ხალხს. და ჭამა ერმა და დანაყრდა და თორმეტი გოდორი გაავსეს ნასუფრალით. ხოლო ის ხალხი, რომელიც ჭამდა, 5000 იყო, ბავშვებისა და ქალების გარდა.

მაშინ უბრძანა ქრისტემ ხალხს ხმელეთზე სიარული, ხოლო ქრისტე და მოწაფენი მისნი, წყალზე, როგორაც მშრალზე ისე მიაბიჯებდნენ და ფეხი მათ არ დასველებიათ და როცა ხმელეთზე გავიდა, შემოხვდა ერთი კაცი, ეშმაკთა გუნდი იყო მასში, ხმამაღლა შეჰღაღადა:

— ქრისტე, შემეწიე, რამეთუ საშინლად ვიტანჯები!

ხოლო ქრისტემ შერისხა გუნდს ეშმაკისას და ეშმაკი განვიდა მისგან და ადიდებდა (ის კაცი) ღმერთს. ხოლო ის ეშმაკი აყვირდა და თქვა:

— ქრისტე, ვიცი ვინცა ხარ, წმიდაი ეგე ღმრთისაი, ჩემდა ხოლო მოხვედ წარწყმედად.

ხოლო ქრისტემ უბრძანა მიწას და გაიხსნა (მიწა) და დაინთქა ის ეშმაკი, ჩავარდა ჯოჯოხეთის ქვესკნელში.

და მერე მივიდა იგი ერთ დაბას, რომელსაც სახელად ბეთანია ერქვა, სადაც ოთხი დღით ადრე მის მისვლამდე ლაზარე მომკვდარიყო და სამარეში იდო იგი. და მივიდა ქრისტე სამარის კართან და თქვა:

— ლაზარე, გამოდი!

ქრისტეს იმ ერთი დაძახებით გამოვიდა იგი სამარიდან; მხიარული და გაკვირვებული იყო ხალხი და უფრო გაძლიერდა ის ერი დიდი სარწმუნოებით.

ამის მერე მიაღწია ქრისტემ იერუსალიმს და შევიდა ღმრთის ტაძარში და იხილა იქ დაგებული სავაჭრო დახლები, სადაც ვაჭრობდნენ და აიღო ქრისტემ შოლტი და გამოყარა ის კაცები და მოუფანტა სავაჭრო, დამხო ის დახლები და თქვა:

წერია ასე: „სახლსა მამისა ჩემისასა სახლ სალოცველ ეწოდოს, ხოლო თქვენ, ვითარცა ქვაბ ავაზაკთა გიყოფიეს“.

და შემდეგ უთხრა:

— „დავარღვიო ტაძარი ესე და მესამე დღეს ავაშენო ესე“.

და როცა გაიგონეს ურიებმა, მეტად განრისხდნენ და თქვეს:

— ჩვენ ვიცნობთ მამას მისას იოსებს და დედას მარიამს და ძმანიცა ჰყავს. მაგრამ თავი ღმრთის ძედ მოაქვს და ღმრთის ტაძარსაც მამეულად იჩემებს, — და მერე თქვეს: — სოლომონმა ორმოც წელიწადში აღაშენა და ეს კი ამბობს დარღვევას და სამ დღეში აშენებას!

ამ სიტყვებზე განაწყენდნენ ებრაელები, შური ჩაიდეს გულში და განიზრახეს მისი შეპყრობა და მოკვლა.

და შეიპყრეს ქრისტე და წარადგინეს მღვდელმთავართა და მოხუცებულთა წინაშე და ჰკითხეს ქრისტეს, მოხუცებულთა და მღვდელმთავართა:

— შენ როგორ მოგაქვს თავი ღმრთის ძედ, ღმრთის ძე ხარ შენა? ხოლო ქრისტემ უპასუხა:

— მაგას თქვენ თვითონ ამბობთ.

და მერე ჰკითხეს ქრისტეს:

— სოლომონმა ორმოც წელიწადში აღაშენა ეს ტაძარი და შენ ამბობ — დავარღვევ მაგას და სამ დღეში ავაშენებო!

მაშინ მიუგო ქრისტემ:

— მე ძალმიძს დარღვევა და სამ დღეში აშენება.

მაშინ კი განრისხდნენ ებრაელები, აიყოლეს და აღაშფოთეს მთელი ებრაელი ხალხი და თქვეს:

— მოსაკლავია ეგ კაცი!

და მივარდნენ ქრისტეს და დაიწყეს მისი ცემა და კიცხვა. და ზოგი მუშტით სცემდა თავში და ზოგიც ლერწამს ურტყამდა მის წმიდა თავს, ზოგიც სახეში სცემდა და ზოგიც აფურთხებდა ნათელს მის პირს და აღმართეს ბოძი და ჯვარს აცვეს

ქრისტე და მას, ჯვარცმულს, ნაღველში განზავებული ძმარი ასვეს.

მაშინ აღაპყრო თვალები ზეცად, თავისი მამის მიმართ და თქვა:

— მამაო ჩემო, აღვასრულე ყველაფერი, მაგრამ ისრაელმა არ შეისმინა ჩემი და ასეთ ტანჯვას მწია მე.

და ჩაჰკიდა თავი და სული განუტევა და უმალ გადმოხსნეს იგი ჯვრიდან, მაგრამ იყო კაცი ერთი შეძლებული და ქრისტეს ყოფილი მოწაფე. მან აიღო გვამი ქრისტესი და ახალ სამარეში დადო და დიდი ლოდი მიაგორა სამარის კარს. და მესამე დღეს, ადრე ცისკარზე, ანგელოზი გარდამოხდა ზეცით და გადააგორა ის ქვა საფლავიდან და აღდგა ქრისტე და გამოვიდა სამარიდან და ეჩვენა ორ მოწაფესა და მარიამ მაგდალინელის და სხვა დედებს და უთხრა მათ ქრისტემ:

— უთხარით მოწაფეებს ჩემსას: წადით გალილეას, თაბორის მთას და იქ მიხილავთ მე.

და თორმეტი მოწაფე დიდი სიხარულით წავიდა თაბორის მთაზე და იხილეს ქრისტე და თაყვანი სცეს და ეამბორენ მის წმიდა ფეხებს, ხოლო ქრისტემ უთხრა თავის მოწაფეებს:

— ამიერიდან აღარ იწოდებით თქვენ მოწაფეებად, არამედ მოციქულები გერქმევათ. და მე ახლა მივალ ჩემსა და თქვენს მამასთან, ჩემს ღმერთთანა და თქვენს ღმერთთან.

და მოციქულთ შთაბერა სული მაცოცხლებელი და უთხრა მათ:

— მიიღეთ თქვენ სული მაცოცხლებელი და იარეთ ქალაქებსა და სოფლებში და დაბებში, ქვეყნის კიდიდან, ქვეყნის კიდემდე და ნიშნებად მოახდინეთ სასწაულები, განკურნეთ და მოაქციეთ წარმართნი და ნათელი ეცით მათ სახელითა მამისა და ძისა და სულისა წმიდისა და ასწავლეთ მათ ყველაფერი, რაც გამცნეთ მე თქვენ. და მე, აგერ, თქვენთან ვარ, „ყოველთა დღეთა ცხოვრებისა თქვენისათა და ვიდრე აღსასრულამდე სოფლისა". უსასყიდლოდ გაქვთ მიღებული და უსასყიდლოდ მიეცით მათ.

და ამაღლდა ქრისტე ზეცად ანგელოზებთან ერთად და თორმეტი მოციქული წავიდა და შემოიარეს სოფლები, ქალაქები და დაბები და ახარებდნენ და ქადაგებდნენ ქრისტეს აღდგომილს მკვდრეთით და ნიშნებად ახდენდნენ სასწაუ-

ლებს და მკურნალობდნენ. და მოიქცა ერი და ნათელს იღებ-
და სახელითა მამისა და ძისა და სულისა წმიდისა.

და ასე განმრავლდა და მოეფინა და გავრცელდა ქრისტეა-
ნობა ქვეყნის კიდიდან, ვიდრე ქვეყნის კიდემდე. და ეპისკო-
პოსნი და მღდელნი განაწესეს და ეკლესიები ააშენეს და შიგ
აღმართეს ჯვარი და მთელმა ქვეყანამ იწამა ქრისტე და გაივ-
სო მთელი ქვეყანა ქრისტეანებით და მთელს ქვეყანაზე იქადა-
გა ქრისტე.

ხოლო ებრაელებს, რასაც წინასწარმეტყველები ეუბნე-
ბოდნენ, ის დაემართათ: ვინ მახვილით, ვინაც შიმშილით, ვინ
სიკვდილით დაიღუპა და დაილია და სხვები ტყვეობაში დაი-
ფანტნენ, რადგან არ დაიმარხეს რჯული ცოცხალი ღმრთისა.

და ახლა ქრისტეანებს უწოდა ღმერთმა ისრაელი,, რადგან
ისრაელი ნიშნავს ღმრთის ერს, ქრისტეს მონას, რომლისა
არს დიდება, უკუნითი უკუნისამდე, ამენ.

მაშინ, როდესაც ყოველივე გულისხმავყავ და შევიცანი
სამოელ არქედიაკვნისგან, დასაბამიდან ვიდრე აქამომდე, ჩავ-
წვდი ყოველივეს ებრაელთა და ქრისტეანეთა რჯულში და ვი-
წამე ღმერთი დაუსაბამო და ძე მისი, იესო ქრისტე და სული
წმიდა და ამიტომ ნათელი ვიღე მე ქრისტესგან, და
ვიდრე ჩემი სულის ამოსვლამდე, ვერავინ განმაშოროს მას.
და ჩემს მამა-პაპეულ რჯულზე ლაპარაკი მზარავსა და
მრცხვენია კიდეც. რადგან ღმერთმა შექმნა ცა და ქვეყანა, მზე
და მთვარე და ვარსკვლავნი, ზღვა და ხმელი, მდინარენი და
სათავენი წყალთა, მთანი და ბორცვნი, ველნი და ტყენი, შეშა
და ცეცხლი, ოთხფეხი პირუტყვი და მხეცნი, ქვეწარმავალნი
და ფრინველნი ცისა. და მერე ადამიანი შექმნა ღმერთმა და
ყოველივე ამის მეუფედ დაადგინა, ყველაფერი ეს, მას ადა-
მიანს დაუმორჩილა. და ჩვენ ყოველივე ამის შემოქმედი
ღმერთი მივატოვოთ და იმავ ღმერთის დაბადებულს ვუწოდოთ
ღმერთი?

ეგ არ იქნება! მზე და მთვარე და ვარსკვლავები არაა
ღმერთი, არამედ ღმერთმა მზეს დღის განათება უბრძანა, და
მთვარესა და ვარსკვლავებს ღამის განათება დაავალა. და ღმერ-
თები ისინი არ არიან. ღმერთმა რომ ღრუბელს უბრძანოს,
ცას გადაეკვრება და ბრწყინვალებას მზისას და მთვარისას და-

აბნელებს. ამიტომ არაა მზე და მთვარე ღმერთი. მერე კიდევ ცეცხლიც არაა ღმერთი. იმიტომ რომ, ცეცხლს კაცი ანთებს და კაცივე აქრობს, რადგან კაცი უფალია ცეცხლისა. ამიტომ არაა ცეცხლი ღმერთი, ხოლო ვინმეს რომ უყურადღებოდ დარჩეს ცეცხლი, რასაც მიადგება, გინდა ტყე იყოს, გინდა ველი, გინდა სახლი, კაციც რომ დაუხვდეს წინ — დაწვავს. მაგრამ ცეცხლს წყალი თუ მოხვდა, ესოდენი ძალა ცეცხლისა დაიშრიტება და გაქრება ცეცხლი. ამიტომაც არ არის (ცეცხლი) ღმერთი, ჩვენ კი ღმერთად გვიწამებია.

და ღმერთმა ჩვენ ცეცხლი მოსახმარებლად მოგვცა, სიცივეში გასათბობად და ყველანაირი სანოვაგის მოსამზადებლად. როცა მოგვესურვება ავანთებთ და როცა მოგვესურვება — ჩავაქრობთ. ასე რომ, ცეცხლი ღმერთი არ არის.

მერე, ღმრთის შექმნილნი კაცნი პირუტყვ საქონელს მივემსგავსენით. და ისე, როგორაც, მამრმა და მდედრმა პირუტყვმა არ იცის არც მშობელი, არც შობილი მათგან და ასე აღრეულად გადადის მათი მამრობა და მდედრობა, ჩვენაც კაცნი, მეტყველნი, იმ პირუტყვებს მივემსგავსენით და არ ვიცით, არც მშობელი ჩვენი, არც შობილი და აღვრიეთ და დავარღვიეთ ის ჩვენი მცნება. და ახლა კი, ღმრთის მადლით, რადგან არსებობს ნათლისღება და რჯული ქრისტეანობისა, იციან ეს კაცთა; იქიდან მოყოლებული დაირღვა და გაქრა ის უწესო საქმე.

ხოლო მე ამას გევედრები, უფალო, იესო ქრისტე, რომ ჩემი გვამი მცხეთას დაიმარხოს, სადაც ნათელი მივიღე სამოელ კათალიკოსის ხელით და ღირსი გავხდი ქრისტეანთა რჯულისა. ამიერითგან ვეღარავინ განმაშოროს სიყვარულს შენსას და სარწმუნოებას და სურვილსა, როგორაც წერილ არს „არცა ტანჯვათა, არცა გვემათა, არც სიყმილმან საპყრობილესა შინა, არცა მახვილმან, არცა სიკვდილმან ამათ ხორცთა ჩემთამან შემიძლოს მე განყენებად შენდა, უფალო იესუ ქრისტე“.

მაშინ უთხრა ბუზმირ მარზაპანმა:

— შვილო ჩემო, ევსტათი, გაიგონე ჩემი და ქრისტეანობისათვის ნუ შეიმოკლებ შენი ცხოვრების დღეებს და ნუ დაიქვრივებ ცოლს შენსას, ნუ დაიობლებ შვილებს შენსას და ნუ დააკლდები ამ ცხოვრებაში მოყვასთა შენთა.

უპასუხა მას წმიდა ევსტათიმ.

— უწინარეს შენსა, სხვა მთავრებმა ძლიერ მტანჯეს და მგვემეს და არ დავემორჩილე მათ. ახლა შენი ვირწმუნო? ეგ არ იქნება!

მაშინ, როცა ნახა ბუზმირ მარზაპანმა მტკიცე და უძვრელი გული და გონება ნეტარი ევსტათისი და ვერც დაშინებით და ტანჯვით და ვერც კეთილი ლაპარაკით, რომ ვერ არწმუნა მამა-პაპეული რჯულისაკენ მოქცევა, უბრძანა მსახურთ:

— საპყრობილეში წაიყვანეთ ეგ და ღამით ჩუმად მოჰკვეთეთ თავი, რომ ქრისტეანებმა არ გაიგონ და პატივი არ დასდონ მის გვამს და წაიღეთ მისი ხორცი, ქალაქ-გარეთ მოაბნიეთ მხეცთა და ფრინველთა საჯიჯგნად.

და მსახურთ წაიყვანეს ნეტარი ევსტათი საპყრობილეში, რათა აღასრულონ, მისი, მარზაპანის ბრძანება.

უთხრა მათ. წმ. ევსტათიმ:

— ცოტა მაცალეთ, მე, ძმებო, რადგან თქვენს ხელთა ვარ, რომ ვილოცო ჩემი ღმერთის წინაშე.

და ისინი ცოტათი შეყოვნდნენ, აცალეს და თქვეს:

— ეგრე ვქნათ.

და მოიდრიკა მუხლი და აღაპყრო თვალები ზეცად და თქვა:

— უფალო ღმერთო, ყოვლისა მპყრობელო, რომელსაც ყოველთა კაცთა ცხოვრება გსურს, რომელთაც სარწმუნოებით ეიმედებათ სახელი შენი წმიდა, რომელმაც ისმინე ლოცვა იმ პირველ მოწამეთა, რომელნიც მოწყდნენ მახვილის პირით, ზოგი ტბაში სიცივით, ზოგიც ზღვაში ჩაყრით რომ მოწყდა, ზოგიც ცეცხლით და ზოგიც მხეცთა, რომ შეეპამეს შენი სახელისათვის და მიიღეს ის, შენგანვე აღთქმული, რომელიც არ უხილავს თვალს და არ სმენია ყურს და არ უგრძვნია გულს კაცისას. და რაც განუმზადე იმ წმიდა მოწამეებს, მეც, უფალო, მომანიჭე ნაწილი მათი, ნაწილი მათი სამკვიდრებელისა, მათი სიხარულისა, მათი უსასრულო შვებისა, ნაწილი ყველაზე უვარგის მოწამეთა სამარადისო ჟამისა, როგორაც იტყვის პავლე მოციქული:

— მე ვარო უცუდესი მოციქულთა შორის. შენ იცი, უფალო ჩემო, იესო ქრისტე, რომ არავინ ვარჩიე, არც მამა, არც

დედა, არც ძმა, არც ნათესავი და მარტო შენ, უფალი შეგიყვარე და შენი სახელისათვის, აგერ, თავს მომკვეთენ დღეს და იმას ვლოცულობ და გევედრები და ვითხოვ შენგან, სახიერისაგან, რომ არ დატოვო ჩემი გვამი აქ, თბილისში, არამედ მცხეთას რომ დაიმარხოს იგი, სადაც შენ გამომიჩნდი და როგორაც მათ პირველთა, ჩემს ძვლებსაც მიეცეს მადლი და კურნება.

და ესმა ხმა, რომელიც ეუბნებოდა ევსტათის და უთხრა:

— არაფრით იქნება ნაკლები მადლი შენი კურნებისა იმ პირველ მოწამეებთან შედარებით, რომელთაც მე მიწამეს. და შენი გვამის გამო, ნუ იზრუნებ, ისე იქნება, როგორაც შენ გსურს, რომ იყოს.

და გამხიარულდა ნეტარი ევსტათი და მადლობდა ღმერთს. და წმიდა ევსტათის თავიდანვე უთქვამს ნეტარი სტეფანესათვის, რომ, როცა ჩემ სიკვდილს შეიტყობ, უმალ წაიღეთ ჩემი გვამი მცხეთას და დამმარხეთ, სადაც ნათელი მივიღეო. და როცა დაასრულა ლოცვა და ვედრება და თხოვნა უფლის მიმართ, უთხრა მარზაპანის მსახურთ:

— ახლა აღასრულეთ ჩემზედ ის განწესებული ბრძანება.

მაგრამ მათ არ უნდოდათ მისი მოკვლა, ხოლო ერთმა მათგანმა თქვა:

— ჩვენ მოგვკლავენ, ეგ რომ ცოცხალი დარჩეს.

მაშინ მიჰყვეს ხელი და მახვილი ჩასცეს მის ქედს პატიოსანს და მოჰკვეთეს თავი და შეავედრა სული თავისი ქრისტეს მეუფესა.

და გვამი მისი წაიღეს გარეთ და იქ დააგდეს, მაგრამ გაიგეს ეს ვილაც ქრისტეანებმა და წაიღეს იგი მცხეთას, რადგან სტეფანეს ჰქონია ეს ნათქვამი იქ მყოფი ქრისტეანებისათვის და როცა მიაღწიეს მცხეთას, უთხრეს სტეფანეს და სტეფანემ სამოელ კათალიკოსს აუწყა. და მან ძლიერ განიხარა და დაკრძალა დიდი დიდებითა და პატივით წმიდა ეკლესიაში მცხეთას. და აქამომდე გრძელდება კურნება სნეულთა მადლითა უფლისა ჩვენისა იესო ქრისტესითა, რომლისა არ სუფევა და ძლიერება, პატივი და სიმტკიცე და დიდება მოუკლებელი სული წმიდითურთ აწ და მარადის და უკუნითი უკუნისამდე, ამენ.

ძველი ქართულიდან გადმოიღო მანანა ჩიქვანაიამ.

კოლაელთა წამება

I იყო სოფელი ერთი დიდი, დიდი მდინარის თავზე, რომელსაც ჰქვია მტკვარი, ხევში, რომელსაც კოლა ჰქვია და იყო უმეტესი ნაწილი ამ სოფლის ერიდან წარმართი — კერპთმსახური და უმცირესი ერი ქრისტეანე-ღმრთისმსახური. შეიკრიბებოდნენ ქრისტეანე და წარმართი ბავშვები ერთად სასიმღეროდ, როგორაც სჩვევიათ ბავშვებს და ყოველ დღე მღეროდნენ. მწუხრის ჟამს ჩამორეკავდა ხუცესი და მიდიოდნენ ქრისტეანე ბავშვები ეკლესიაში სალოცავად, როგორაც წესია ქრისტეანებისა და წარმართი ბავშვებიც რიცხვით ცხრანი, დაედევნებოდნენ უკან, რადგან გონებას ჰკარგავდნენ იმ ქრისტეან ბავშვებზე და უყვარდათ მათ რჯული ქრისტეანული და როცა მოვიდოდნენ ეკლესიის კართან, არ უშვებდნენ მათ ქრისტეანები ეკლესიაში, არამედ ასე პასუხობდნენ მათ, რომ „თქვენ შვილნი ხართ კერპთმსახურთა არ იქნება შემოსვლა თქვენი ღმრთის სახლში“ და ისინი მიდიოდნენ გულდაწყვეტილნი და დარცხვენილნი. მრავალგზის ასე მოქცევიან იმ ბავშვებს.

და ამის მერე მივიდნენ ის წარმართი ბავშვები ქრისტეანთა ეკლესიაში და ძალით მოისურვეს მათთან შესვლა. მაშინ უთხრეს: „თუკი გნებავთ შემოსვლა ჩვენთან ეკლესიაში, იწამეთ უფალი ჩვენი იესო ქრისტე და ნათელი იღეთ მისი სახელით და ეზიარენით საიდუმლოთა მისთა და შემოგვიერთდით ქრისტეანებს“. და მათ მყისვე მიიღეს სწავლა ქრისტეანული და შეპირდნენ ამის გაკეთებას.

და ისინი სწრაფად მივიდნენ მღვდელთან, რომელიც იყო ხუცესი იმ სოფლისა, კაცი წმიდა, ღირსი და პატიოსანი და აუწყეს საქმე იმ ბავშვებისა და მან გაიხსენა ის სიტყვები სახარებისა, რომელიც თქვა უფალმან ჩვენმან იესო ქრისტემ: „რომელმან არა დაუტეოს მამაი თვისი და დედაი თვისი, დანი და ძმანი, ცოლი და შვილნი, და არა აღიღოს ჯუარი თვისი და შემომიდგეს მე, იგი არ არს ჩემდა ღირს“.

მაშინვე წავიდა ის მღვდელი იმ დიდი მდინარის შესართავს

და მასთან ერთად მრავალი ქრისტეანეც და ის წარმართი ბავ-
შვებიც იმ დროს მათთან იყვნენ. იყო ჟამი ზამთრისა და ღამე
გამთოშავი, რადგან დღისით ვერ ბედავდნენ მათ ნათლისცემას
წარმართთა შიშით და უფალმან ჩვენმან იესო ქრისტემაც ღა-
მით იღო ნათელი მდ. იორდანეს იოვანესგან. იმ დროს წყალი
გამოსცემდა საშინელ სიცივეს და როცა ჩავიდნენ ის ბავშვები
იმ მდინარეში და ნათელი სცა იმ ხუცესმა სახელითა მამისა
და ძისა და სულისა წმიდისა და ამბობდა ამ გალობას: „სული
წმიდაი გარდამოსდა ვითარცა ტრედი ზედა იორდანესა, რაჟამს
ქრისტე ნათელს იღებდა, ანგელოზნი თანა უდგეს, ამას გალო-
ბასა იტყოდენ: „ალილუიაი, ალილუიაი". მაშინ გამოსცა იმ
წყალმა ძლიერი სითბო, როგორაც აბანომ და ღმრთის ბრძანე-
ბით სპეტაკი სამოსელი მოიტანეს ანგელოზებმა და შემოსეს
მათ ყრმანი, ახლად ნათელ-ღებულნი, კაცთა უხილავად.
და აღარ დაბრუნდნენ ნათელღებულნი ბავშვები მშობლებ-
თან, არამედ ქრისტეანებთან დარჩნენ და იმყოფებოდნენ
მათთან.

II რამოდენიმე ხნის შემდეგ შეიტყვეს მშობლებმა ეს საქ-
მე და ბავშვები ქრისტეანთა სახლებიდან ძალით გაძოიტა-
ცეს დიდი შეურაცხყოფითა და რისხვით, გულისწყრომით და
გინებით და მოიყვანეს თავიანთ სახლებში და დაუხეთქეს თა-
ვები და დაალბეს სხეული მათი სპეტაკი ცემით. და მათ მხოლოდ
ეს უთხრეს თავის მშობელთ: „ჩვენ ქრისტეანები ვართ და არ
შეგვეფერება, რომ ვჭამოთ და ვსვათ ძღვენი კერპებისა" და გა-
ატარეს იმ ბავშვებმა შვიდი დღე უსმელ-უჭმელად და გემო არ
უხილავთ არაფრისა. ხოლო იზრდებოდნენ სულისა წმიდისა
მიერ, რომელიც ნათლისღებისას შეიმოსეს, მაშინ შეპირდნენ
მათ მშობელნი ყოველივე კეთილს, სამოსელსა ჭრელსა და
ყველას ერთნაირს და ისინი იგივე სიტყვებს ამბობდნენ,
რომ: „ჩვენ ქრისტეანები ვართ და არარა გვინდა თქვენგან,
ოღონდ გაგვიშვით და წავალთ ქრისტეანებთან". ვერ სძლიეს
მათ მტკიცე სარწმუნოებას, მივიდნენ იმჟამინდელი მთავრის
წინაშე, რადგანაც იგიც წარმართი იყო და აუწყეს ყველაფერი:
მათი ბავშვების მიერ ჩადენილი საქმე. და იმ მთავარმა უთხრა
მათ: „თქვენი შვილები არიან, უფლება გაქვთ, ის უყავით,

რაც გენებოთ“. და მათ უთხრეს: „ბრძანე და მოდი ჩვენთან და ქვებით ჩავქოლავთ მათ, რათა სხვებმაც არ მიბაძონ და ქრისტეანები არ გახდნენ“. და იმ ხუცესს მცირედი ჭირი როდი შეამთხვიეს, დაიტაცეს მთელი მისი ნაშრომი და გაიყვეს მისი ქონება. ისეთი ძლიერი ნაჭრილობევი დაადეს თავს, რომ ცოტაც და მოკვდებოდა და გააძევეს თავისი მამულიდან.

III. მერე დაადგინეს დღე წმიდა მოწამეთა ღვაწლისა და გამოვიდა ის მთავარი, მასთან ერთად ურიცხვი სიმრავლე ერისა და მოვიდნენ ისინი იმ წყაროს თავს, სადაც ნათელი იღეს იმ ყრმებმა და ჩაყარეს ორმოში. ისინი იყვნენ ზოგი ცხრა წლისა, ზოგი შვიდისა, უფროსებიცა და პატარებიც. სხვა არაფერი იცოდნენ, რომ ეთქვათ და ამას ამბობდნენ: „ჩვენ ქრისტეანები ვართ და მისთვის მოვწყდებითა და მოვკვდებით, ვისი ნათელიც ვიღეთ“. და მათმა უღმრთო მშობლებმა გაუხეთქეს მათ თავები, ჩაქოლეს ისინი. გველთა და იქედნეთა, ასპიტთა და მხეცთა იციან წყალობა შვილთა, მაგრამ ამ ურჯულოებმა არ ჰყვეს წყალობა საკუთარ შვილთათვის. და უამრავმა ხალხმა დააყარა ქვები, ვიდრე არ აღავსეს ის ორმო და არ დაფარეს ქვით მათი წმიდა გვამები და ამონათხარი მიწაც ზედვე მოაბნიეს. იმ დროს აღესრულა სახარების ეს სიტყვები: „მისცეს ძმამან ძმა სიკუდიდ და მამამან შვილი, და აღდგენ მამადედანი შვილთა მათთა ზედა და მოჰკვლიდნენ მათ“. და დასრულდა წამება მათი და შეერაცხნენ იგინი პირველ მოწამეთათანა და იხარებენ გვირგვინოსანნი ზეციურ სასუფეველში ჩვენი უფლის, იესო ქრისტეს წინაშე, რომელსა შვენის დიდება და პატივი და თაყვანის-ცემა, თანა მამით და სული წმიდითურთ, აწ და მარადის უკუნითი უკუნისამდე, ამინ!.

ძველი ქართულიდან გადმოიღო

მ ა ნ ა ნ ა ჩ ი ქ ვ ა ნ ა ი ა ვ ა

წმ. სვიმეონ ახალი ღვთისმეტყველი
(+1021)

დაიბადა 944 წელს ქალაქ გალატში (პათელაგონია), ხოლო საფუძვლიანი საერო განათლება კონსტანტინოპოლში მიიღო. მამა მას სასახლის კარის კარიერისთვის ამზადებდა, და გარკვეულ ხანს სვიმეონს, ჯერ კიდევ ჭაბუკს, მაღალი მდგომარეობა ეკავა საიმპერატორო კარზე. 25 წლისაც არ იყო იგი, რომ დაუძლეველმა სწრაფვამ შეიპყრო ბერული ცხოვრებისადმი, და მალე გაიქცა კიდეც სახლიდან მონასტერში, სადაც მორჩილად დაუდგა იმ ხანებში სახელგანთქმულ ბერს სვიმეონ ღვთისმოშიშს. ძირითადი საქმე ღირსი სვიმეონისა გახდა განუწყვეტელი ლოცვა იესო ქრისტესადმი მისი მოკლე სახით: „უფალო, შეგვიწყალე!“ იგი ყოველთვის განმარტოებას ეძიებდა, რათა უფრო გულმოდგინედ ელოცა, საღმრთო ლიტურგიის აღსრულების ჟამსაც კი ძმათაგან განცალკავებულად იდგა ხოლმე, ხშირად კი ეკლესიაში მთელი ღამითაც რჩებოდა მარტო: იმ მიზნით, რომ შესჩვეოდა ფიქრს სიკვდილზე და არასდროს არ დავიწყნოდა იგი, სასაფლაოზეც ატარებდა ხოლმე ღამეებს. მისმა გულმოდგინე შრომამ თავისი ნაყოფი გამოიღო! მას ხშირად აღტაცების უჩვეულო მდგომარეობა ეუფლებოდა ხოლმე: ამ საათებში სულიწმიდა მანათობელი ღრუბელის სახით ეშვებოდა მასზე და მის თვალთაგან ყოველივე გარშემომყოფს ჰფარავდა. დროთა განმავლობაში მან მიაღწია ისეთ მდგომარეობას, როცა სული მისი ყოველთვის განწმენდილი და განათლებული იყო. ეს განსაკუთრებით მაშინ მეღავნდებოდა, როცა ღირსი სვიმეონი საღმრთო ლიტურგიას აღასრულებდა.

დაახლოებით 980 წელს ღირსი სვიმეონი წმიდა მამანტის სახელობის მონასტრის წინამძღვრად აკურთხეს, სადაც მან ამ ხარისხში 25 წელი დაჰყო.

წმიდა მამანტის მონასტერში ცოდვას ინანიებდა ერთი რომაელი ეპისკოპოსი, რომელსაც უნებლიედ საკუთარი ჭაბუკი დისწული შემოჰკვდომოდა, და ღირსი სვიმეონი ყოველთვის დიდ გულკეთილობას და ყურადღებას იჩენდა ამ უბედურისადმი.

მკაცრმა სამონასტრო დისციპლინამ, რომლის დამყარებასაც ყოველთვის ცდილობდა ღირსი სვიმეონი, დიდი უკმაყოფილებაც გამოიწვია სამონასტრო ძმობაში. ერთხელ ისიც მოხდა, რომ საღმრთო ლიტურგიის დასრულების შემდეგ განსაკუთრებით გაღიზიანებული ძმები თავს დაესხნენ მას და ცოტაც უკლდათ და არ მოკლეს. როცა კონსტანტინეპოლის პატრიარქმა განდევნა მონასტრიდან ეს უღირსი ძმები და სურდა სამოქალაქო ხელისუფლებისათვის გადაეცა ისინი დასასჯელად, ღირსმა სვიმეონმა პატიება გამოითხოვა მათთვის და მერეც, მათს საერო ცხოვრებაშიც ყოველთვის შეეწეოდა მათ.

დაახლოებით 1005 წელს ღირსმა სვიმეონმა მონასტრის წინამძღვრობა თავის მოწაფეს არსენს გადააბარა, თვით კი იქვე დასახლდა, როგორც რიგითი ბერი. ამ დროს შექმნა მან თავისი საღვთისმეტყველო შრომები, რომელთაგანაც ნაწყვეტები „სიკეთისმოყვარეობის“ V ტომშია შეტანილი. მის შრომათა მთავარი თემაა: საიდუმლო საქმენი კაცისა ქრისტესთვის. ღირსი სვიმეონი გვასწავლის შინაგან ბრძოლას, სულიერი სრულყოფის გზებს გულისწადილთა და ცოდვიან განზრახვათა წინააღმდეგ ბრძოლაში. მან დაწერა სწავლა-მოძღვრებანი ბერებისა: „ქმედითი საღვთისმეტყველო თავნი“, „სიტყვა ლოცვის სამი სახეობის შესახებ“, „სიტყვა სარწმუნოების შესახებ“ და სხვა. გარდა ამისა, ღირსი სვიმეონი გამოჩენილი საეკლესიო პოეტიც (ჰიმნოგრაფიც) იყო. მის კალამს ეკუთვნის „ღვთაებრივი სიყვარულის ჰიმნები“ — სამოცდაათამდე.

წმიდანი მშვიდობით წარუდგა ღმერთს 1021 წელს. ჯერ კიდევ სიცოცხლის ჟამს მიიღო მან დიდი ღვთიური წყალობა — ნიჭი საკვირველმოქმედებისა. მრავალრიცხოვანი სასწაულები გამოცხადდა მისი სიკვდილის შემდეგაც: ერთ-ერთი მათგანია წმიდანის ხატის სასწაულებრივი მოპოვება. ღირსი სვიმეონის ცხოვრება აღწერა მისმა მსახურმა და მოწაფემ, ღირსმა ნიკიტა სტიფატემ.

(„თვენი“ I ტ. 445—448 გვ.)

ფრაგმენტები.

სინანულისა და ლოცვის შესახებ

სიტყვა 67.

ნუთუ ქვეყანაზე არის ისეთი კაცი, რომ სასიკვდილო შხამით მოწამლული და საშინელი ტკივილებით გაწამებული, კანზე უმნიშვნელო ჭრილობას აქცევდეს ყურადღებას? ცხადია, შინაგანი ტკივილი და მოსალოდნელი სიკვდილის შიში მას იმ მცირე განაკაწრს სრულიად დაავიწყებს. ხშირად აუტანელი ტკივილით გატანჯული კაცი ტანსაცმელს იხევს. ყველა ახლობელს ივიწყებს და თავის გარეგან ჭრილობას ფრჩხილებით კიდევ უფრო მეტად აღრმავებს. ამ დროს, მას რაგინდ დიდი შეურაცხყოფაც არ უნდა მიაყენონ, ყურადღებას არ მიაქცევს. იგი აღარც მამულზე ზრუნავს, არც სიმდიდრეზე, პურსაც კი არ სჭამს უზომო ტკივილების გამო, ყველა იქ მყოფს ასე ეუბნება: მომცილდით, სიკვდილი იმარჯვებს ჩემზე, ცოტაც და სულს ამომართმევს! ან კი რად მინდა ასეთი სიცოცხლე, სიკვდილი მიჯობს ამ საშინელ წამებას!

მომაკვდავი მოუსვენრად ბორგავს სარეცელზე, ან ყვირილითა და გოდებით იატაკს ენარცხება; არაფრად აგდებს გარშემო მყოფთა გაკიცხვას. მისი თვალები უამრავი ცრემლისმღვრელი ორი ნაკადულია. ასეთი კაცი ყველას შენატრის — ცოცხლებსაც, მიცვალებულებსაც, შენატრის იმათ, ვინც ჯერ არ დაბადებულა, შენატრის ყველა პირუტყვსა და ქვეწარმავალს და ამბობს: ჭეშმარიტად კურთხეულია ყოველი ქმნილება ღმრთისა, რადგან ისინი ჩემებრ კი არ იტანჯებიან, არამედ ცხოვრებას სიხარულსა და სიმრთელეში ატარებენ. მხოლოდ მე მამძიმებს უზარმაზარი ტვირთი ცოდვისა, რომლისთვისაც მიწაზევე აუტანელ ტანჯვას განვიცდი და მარადიული ცეცხლიც არ ამცდება. ამ დროს მას ყველა კეთილგონიერი ჰგონია, თავად კი ერიდება მათ, როგორც უწმინდური. იგი მართალსა და მტყუანს არ განასხვავებს, არამედ ღირსეულსაცა და უღირსსაც წმინდანად რაცხავს. მხოლოდ საკუთარ თავს სცნობს ცოდვილად. ასე ზის საკუთარ უსჯულოებათა სანაგვეზე, მწუხარებისა და სევდის სიბნელეში, რომელსაც თით-

ქოს დასასრული არ უჩანს და დაჩირქებულ წყლულებს იობის მსგავსად ქოთნის ნატეხით კი არ ისუფთავებს, არამედ ფრჩხილებით, რადგან დიდია მისი გულისტკივილი. იობი თუმცა სხეულით დასნეულდა, მაგრამ მისი სული ღმრთის მფარველობის ქვეშ იმყოფებოდა, მას კი სხეულთან ერთად სულიც ცოდვითა აქვს მოწამლული. ამიტომ, ასეთი ჭრილობები ბევრად უფრო საშიშია, ვიდრე იობისა. ამის შემდეგ მომაკვდავს ტოვებენ ნათესავები, მეგობრები და ახლობლები, ამქვეყნად რომ ჰყავდა. ისინი მცირე ხნით ჩამოჯდებიან მის სასთუმალთან, ზოგიერთი ცრემლსაც გადმოაგდებს, შემდეგ კი ყველა თავიანთ სახლებში გასწევს. მაშინ, საკუთარ თავთან დარჩენილი, იგი საშინელ მარტოობას იგრძნობს და უფრო მეტად დამწუხრებული, გულდაწყვეტილი და სასოწარკვეთილი შეჰღაღადებს უფალს: „შენ ყოველივე იცი, უფალო, და ყოველივეს ჰხედავ. თუმცა შენგან ქმნული ვარ, მაგრამ შენს მცნებებს არ ვასრულებდი და ჩემი უგუნურების გამო ყოველგვარი ბოროტება მაქვს ჩადენილი. არასოდეს მიფიქრია შემოქმედო ჩემო, რომ შენ, თუმცა სახიერი და კაცთმოყვარე ხარ, მაგრამ ამავე დროს ხარ მართლმსაჯულიც. მხოლოდ ახლა ვხედები ამას! შეძრწუნებული ვარ, მაგრამ არ ვიცი, როგორ მოვიქცე! ვგრძნობ, უფალო, შენს განკიცხვას და არაფრით შემიძლია თავი ვიმართლო. არანაირი სათნოება არ გამაჩნია და არც სინანული მქონია ოდესმე, ამიტომ ვერ ვბედავ შენგან შეწყნარება ვითხოვო. იმასაც ვხედავ, რომ შენი შეწყალების გარეშე კაცი თავის ცოდვებს ვერ გამოისყიდის, რაგინდ სათნოებებით არ უნდა იყოს იგი შემკული და მრავალ კეთილ საქმეს აღასრულებდეს. ცოდვა — სიკვდილია, და ვის ძალუძს საკუთარი ძალისხმევით მკვდრეთით აღდგომა? ჰეშმარიტად, არავის. მხოლოდ შენ მოკვდი, და აღსდექ, რამეთუ ცოდვა არ გქონდა და არც ზაკვა გამოსულა შენი ბაგიდან. მეუფეო, ყოვლისმპყრობელო, მრავალი ცოდვით დამძიმებული — ვინანიებ ჩემს დანაშაულს, მაგრამ ვიცი, მხოლოდ სინანულით ვერ გავმართლდები. სინანული საკუთარ ცოდვათა შეცნობაა, მათი განბანვა კი მხოლოდ შენს მოწყალებას შეუძლია. ჰხედავ, უფალო, რომ გარდა სხეულისა, აღარაფერი გამაჩნია. ახლა მე მხოლოდ წყლული ვარ. ჩემში გადარჩენის ყოველგვარი იმედი გაქრა და ჯოჯოხე-

თი მზად არის ცოცხლად შთანმთქას. მხოლოდ შენ ერთს ძალგიძს ჩემი ხსნა და განკურნება. ჯოჯოხეთის უფსკრულებსაც კი სწვდება ყოვლად ძლიერი მარჯვენა შენი და ყოველივე მას ემორჩილება. ვერ ვბედავ ვთქვა: მიწყალე მე, ღმერთო! რამეთუ პატიებას არ ვიმსახურებ, არამედ „სამართლად ღირსი, რომელი ვჰქმენ, მომეგების!“ შენ ყოველივე უწყი, უფალო, და როგორც შენი კაცთმოყვარეობა ინებებს, ჩემგვარი უღირსი მონა ისე განსაჯე“.

სახიერი უფალი მსწრაფლ შეისმენს მონანულის ამგვარ ვედრებას, დაუყოვნებლივ ნუგეშინისცემას გაუგზავნის მას და იხსნის მწუხარებისაგან, ვინაიდან ღმერთი კაცთმოყვარეა და არ სურს, რომ მისი ქმნილება ამგვარ შეპირვებასა და აუტანელ ურვაში იმყოფებოდეს. ადამიანს, რომელიც ყოველივე ზემოთქმულს მოუკლებლივ აკეთებს, და აგრეთვე მათაც, ვინც მას ამ სინანულში მიბაძავს, ღმერთი დიდსა და გამოუთქმელ წყალობას უბოძებს, ავადმყოფობას სიხარულით შეუცვლის, მწუხარებას კი ლხინით, და საბოლოოდ განათავისუფლებს საშინელი ურჩხულის შხამისაგან, მის შიგნეულობას რომ სწვავდა. ამ წუთიდან მონანული კაცი უწინდელ გაპირვებასა და ავადმყოფობას ივიწყებს; იგი აღარასოდეს გაიხსენებს გადატანილ მწუხარებას, არ შეუდგება ავადმყოფობის ჟამს დაკარგული ფულისა და ნივთების ძებნას, არც სხვა რამ დანაკლისზე დასწყდება გული. უფალი მას მისცემს სიმრთელეს, რომელიც ყოველგვარ მიწიერ საუნჯეს აღემატება. ეს სიმრთელე ადამიანს გამოუთქმელ სიხარულს ანიჭებს და მისი გულიდან ყველა სნეულებას განაგდებს. ამ დროს მონანული ხედავს, რომ ვერანაირი გარეგანი მწუხარება ვერ მიუახლოვდება იმ დიდ სიხარულს, რომელსაც მის გულში დაუდვია ბინა. მისი ახლობლები და მეგობრები კი ამას ვერ ამჩნევენ და ამბობენ: „ეს კაცი არასოდეს გვინახავს მხიარული. მისი ცხოვრება მწუხარებითა და ნაღველითაა სავსე. ხვედრი მისი — არაფრით განსხვავდება კატორღელთა ხვედრისაგან, რომლებიც ბოროტი საქმეების გამო ისჯებიან“. მხოლოდ მან იცის, რომ მისი ცხოვრება სიხარულით აღივსო. ეს სიხარული სიკვდილს დასცინის და მას ჯოჯოხეთი ვერ მოერევა, რადგან ამგვარი ცხოვრება მარადიული და უსასრულოა. ეს შინაგანი ლხენა ბევრად უფრო

ძლიერია, ვიდრე ყოვლისმპყრობელ მეფეთა, პორფირითა და ბისონით შემოსილ მდიდართა და ამ სოფლისაგან განდიდებულთა განცხრომა, რამეთუ მან უწყის, რომ მისი სიღარიბე ყოველ ამქვეყნიურ სიმდიდრეს აღემატება. ქვეყნად ყოველივე წარმავალია, მიწით იფარება და სიკვდილისაგან იმუსრება. ღვთივბოძებულ ნუგეშისცემას კაცი არ დასთმობს, რადგან ის არაამქვეყნიურია. მასში ღვთიური სიხარული არც მიწიერი დიდებისა და უხვი სიმდიდრის გამო ჩასახულა, არც ხორცის სილამაზისა და ჯანმრთელობის გამო, არამედ იგი მისი სულის ხანგრძლივი მწუხარებისა და საღმრთო სულის მოქმედების ურთიერთმირქმის ნაყოფია. რატომ ვერ სძლევს მას სიკვდილი? იმიტომ რომ იგი მის სულში განსაკითხს ვერაფერს ჰპოვებს. ის დაწმენდილი და მზის შუქზე გამქვირვალე ღვინის სადარი იქნება, და თუკი ვინმე მის შესმას მოისურვებს, გულსაც გაუხარებს და სასმელის ათინათი სახესაც გაუცისკროვნებს.

ასეა, ვინც სინანულის ამ სასარგებლო სამსჯავროს გაივლის, არანაირი სხვა სასჯელის, სატანჯველისა და განსაცდელის შიში აღარ ექნება, რამეთუ ამგვარი სინანულის სულიერი წყურვილი არასოდეს განქარდება და ეს ტკბილი, კამკამა და ბრწყინვალე სასმელი არასოდეს დაიშრიტება. მისი სიტკბოება და სიხარულისმომგვრელი ციური ბრწყინვალება კაცის სულიდან ყოველგვარ სევდას განაგდებს და მას მოზეიმედ აქცევს, ამიტომ ამ გადარჩენის წყაროს მას ვერავინ მოსწყვეტს და ვერც წინ აღუდგება. „თავადი ამის სოფლისა“ და მეუფე წყვდიადისა, მზაკვარი ეშმაკი, რომლის ბოროტებაც გაბატონებულია წყალსა და ხმელეთზეც, და რომელსაც პატარა ჩიტივით უპყრია ხელთ ეს სოფელი და მისით ერთობა, მთელი თავისი ლეგიონებითაც კი ვერ გაბედავს მიუახლოვდეს ან თუნდაც ოდნავ შეეხოს მას. ამ სულიერი ღვინის ელვარება ციალებს კაცის სახეზე, გადაეცემა ხელ-ფეხს, მთელ სხეულს მოედება და ძლიერ ცეცხლად აქცევს, რათა დასწვას მასთან მებრძოლი მტერი. იგი გახდება პირმშო სინათლისა, მეგობარი მზისა და საყვარელი შვილი ღმრთისა. ამგვარი ზეციური ღვინით საზრდოობა განსწმენდს მისი სულიერი წყლულების სიბილწეს და მას სრულ სიჯანსაღეს მიანიჭებს. ეს სიმრთე-

ლე კი მას სხვა მავნე საზრდელის მიღების ნებას არ მისცემს, არამედ მხოლოდ ამ ღვინის, ანუ სინანულის შესმის უსაზღვროდ .ძლიერ წადილს აღძრავს, რათა უფრო და უფრო მეტად განიწმინდოს და განამტკიცოს თავისი ჯანმრთელობა. ამგვარი სულიერი სიჯანსაღის მშვენიერებითა და კეთილსახოვნების მადლით შეუძლებელია კაცის განძღომა.

საყვარელნო შვილნო! საბოლოოდ ასეთი გახდება ის, ვინც ყოვლისმპყრობელის წინაშე შესცოდა, ხოლო შემდეგ დაეუფლა შიში ღმრთისა, ანუ ვინც ძრწის საზარელი სამსჯავროსა და უფლის პირისაგან განგდების მოლოდინში. ისევე როგორც მანქანა, რომელიც დაწურულ ყურძენს აწვება და სრესს, (ჩვეულებრივ ყურძენს ჯერ ფეხებით წურავენ, ხოლო შემდეგ მძიმე ქვით ჭყლეტენ, რათა მას მთელი წვენი გამოადინონ), ასევე ღმრთის შიში და მისი მართლმსაჯულების შეგრძნება ქვის ლოდივით შემუსრავს კაცის ხორცსა და ძვლებს, დათრგუნავს მას და დაამდაბლებს ყველას წინაშე. ხოლო როდესაც მისი სიამაყე და პატივმოყვარეობა საბოლოოდ მოტყდება, მაშინ მას ზეგარდამო მიეცემა მსუბუქი და უტკბილესი გრძნობა სიმდაბლისა, ლოდივით დააწვება, გამოსწურავს მისგან ხორციელ ვნებებს და მას კეთილმსახურად აქცევს. ამგვარად დამდაბლებულსა და სულით შემუსვრილს უფალი ცრემლთა ნაკადულებით გაანაყოფიერებს. ეს ცრემლები კი ის მალამოა, რომელიც კაცს ყოველგვარი ცოდვისაგან განკურნავს, ბინძურ წყლულებს განბანს და თოვლივით განასპეტაკებს.

ნეტარ არს კაცი, რომელიც ისმენს ამ სიტყვებს, რწმენით მიიღებს მას და საქმედ აქცევს. იგი უდიდეს საუნჯეს შეიძენს, რომელიც ყოველგვარ სიბრძნეს, სიტყვასა და აზრს აღემატება. ის დააფასებს ამ წერილის ცოდვილსა და გლახაკ დამწერს და განადიდებს მრავლისმოწყალე ღმერთს, რომელმაც ჩემი ბილწი ენისა და არაწმიდა ბაგეთა მეშვეობით გვაუწყა ყოველივე ეს სინანულის მაგალითად და ჭეშმარიტი გზის მაჩვენებლად მათთვის, ვისაც მთელი გულით სურს ხსნა და ცათა სასუფევლის დამკვიდრება ღმერთში და მაცხოვარში ჩვენში, რომელსაც შვენის დიდება უკუნისამდე, ამინ!

თარგმნა ია ისაკაძემ

წმიდა გრიგოლ პალამა, მთავარეპისკოპოსი თესალონიკისა (+1360)

დაიბადა მცირე აზიაში, 1296 წელს. თურქების შემოსევის დროს მისი ოჯახი კონსტანტინეპოლში გაიქცა და იქ ანდრონიკე II პალეოლოგის (1282—1328) სასახლის კარზე ჰპოვა თავშესაფარი. გრიგოლი შესანიშნავი მონაცემებით იყო დაჯილდოებული და დიდი სიბეჯითითაც გამოირჩეოდა; ამიტომ მან ადვილად შეითვისა ყველა ის საგანი, რომლებიც შუა საუკუნეების უმაღლესი განათლების სრულ კურსს შეადგენდნენ. იმპერატორს უნდოდა, რომ ჭაბუკს სახელმწიფო მოღვაწეობისათვის მიეძღვნა თავი, მაგრამ გრიგოლმა, რომელიც ამ დროს ჯერ ოცი წლისაც არ იყო, ათონის წმიდა მთას მიაშურა და აქ ვატოპედის მონასტერში შედგა მორჩილად. ეს უნდა მომხდარიყო დაახლოებით 1316 წელს (სხვა ცნობებით, 1318 წელს). აქ იგი ღირსი მამის, ნიკოდიმოს ვატოპედის ხელმძღვანელობით დაადგა სულის მხსნელ ღვაწლთ და მის მიერვე აღიკვეცა ბერად. ერთი წლის შემდეგ მას წმიდა მახარებელი იოანე ღვთისმეტყველი გამოეცხადა ჩვენებით და თავისი სულიერი მფარველობა აღუთქვა. გრიგოლის დედამ და დებმა აგრეთვე მიიღეს მონაზვნობა.

ხუცესის მოვალეობას წმიდა გრიგოლი მეუდაბნოე ბერის ცხოვრებას უხამებდა. ხუთ დღეს კვირაში იგი განმარტოებულ მდუმარებასა და ლოცვით ღვაწლში ატარებდა, და მხოლოდ შაბათსა და კვირა დღეებში გამოდიოდა მრევლთან — საღმრთო ლიტურგიას აღასრულებდა ეკლესიაში და ქადაგებით მიმართავდა სამწყსოს. მისი ღვთივსულიერი სიტყვა და სწავლა-მოძღვრება ღრმა ზეგავლენას ახდენდა ტაძარში მყოფ მორწმუნეებზე და ხშირად ცრემლებსაც კი იწვევდა მათში. მაგრამ

სრული განდგომა საზოგადოებრივი ცხოვრებისაგან უცხო იყო მღვდელმთავრისათვის. ზოგჯერ იგი ქალაქის განათლებული ახალგაზრდობის საღვთისმეტყველო შეკრებულობებსაც ესწრებოდა, რომელთაც მომავალი პატრიარქი ისიდორე თავმჯდომარეობდა.

ამასობაში კი, XIV საუკუნის 30-იანი წლებისათვის, აღმოსავლეთის ეკლესიის ცხოვრებაში მწიფდებოდა მოვლენები, რომელთაც მღვდელმთავარი გრიგოლი მართლმადიდებლობის მსოფლიო აპოლოგეტთა უდიდეს წარმომადგენელთა რიცხვში დააყენეს და ისიქაზმის ცნობილი მოძღვრის სახელი მოუპოვეს მას.

დაახლოებით 1330 წელს კონსტანტინოპოლში კალაბრიიდან ჩამოვიდა მეცნიერი ბერი ვარლამი, ავტორი ტრაქტატებისა ლოგიკასა და ასტრონომიაში. ამ გონებამახვილმა მეცნიერმა კათედრა მიიღო დედაქალაქის უნივერსიტეტში და ახსნა-განმარტება დაიწყო დიონისე არეოპაგელის თხზულებებისა. მალე ვარლამი ათონის წმიდა მთაზეც მოვიდა, სადაც ისიქასტთა სულიერი ცხოვრების წესს გაეცნო და ღმერთის არსების მიუწთომელობის საფუძველზე მწვალებლურ შეცთომილებად გამოაცხადა მათი გონებისმიერი ქმედება. თავისი ხშირი მიმოსვლის დროს ათონიდან თესალონიკში, იქიდან კი კონსტანტინოპოლში და შემდეგ კვლავ თესალონიკში, ვარლამი მრავალ ისიქატ ბერს ეკამათებოდა და ცდილობდა დაესაბუთებინა მათთვის, რომ თაბორის ნათელი ქმნილი მოვლენა იყო; ამასთან იგი იმასაც კი არ ერიდებოდა, რომ სასაცილოდ აეგდო მონაზონთა მონათხრობი ლოცვით საშუალებებსა და სულიერ განცისკროვანებათა შესახებ.

ათონელ ბერთა თხოვნით მღვდელმთავარმა გრიგოლმა თავდაპირველად სიტყვიერ შეგონებებს მიმართა და ამ გზით სცადა ვარლამის დარწმუნება. მაგრამ, როცა ამან ჯეროვანი ნაყოფი ვერ გამოიღო, მან წერილობით გადმოსცა თავისი საღვთისმეტყველო დასაბუთებანი. ასე შეიქმნა ცნობილი „ტრიადები წმიდა ისიქატთა დასაცავად“ (1338). 1340 წელს ათონელმა მოღვაწეებმა, წმიდა გრიგოლის ქმედითი მონაწილეობით, შეადგინეს საერთო პასუხი ვარლამის თავდასხმებზე —

ეგრეთ წოდებული „წმიდა მთის ტომოსი“. კონსტანტინოპოლის საეკლესიო კრებაზე 1341 წელს, წმიდა სოფიოს ტაძარში, მღვდელმთავარი გრიგოლ პალამა ვარლამს შეეჯახა სიტყვიერ პაექრობაში, რომელიც ძირითადად თაბორის ნათლის გარშემო სწარმოებდა. ვარლამის მოძღვრება დაგმეს, როგორც მწვალებლობა, თვით იგი კი შეაჩვენეს.

მაგრამ ცილობა პალამიტელთა და ვარლამიტელთ შორის კიდევ დიდხანს გაგრძელდა. ამ უკანასკნელთა რიცხვში იყვნენ: მოწაფე ვარლამისა, ბულგარელი მონაზონი აკვინდინე და პატრიარქი იოანე XIV ხეიბარი (1341—1347); აგრეთვე იმპერატორი ანდრონიკე III პალეოლოგი (1328—1341). აკვინდინემ რამდენიმე ტრაქტატი დაწერა, რომლებშიც საეკლესიო შფოთში მღვდელმთავარ გრიგოლსა და ათონელ ბერებს ადანაშაულებდა. წმიდა გრიგოლმა მწვალებელს საკადრისი პასუხი გასცა და დამაჯერებლად უარჰყო მისი ბრალდება. მაშინ პატრიარქმა ეკლესიიდან განკვეთა წმიდა გრიგოლ მღვდელმთავარი (1344) და საპყრობილეში ჩააგდებინა, სადაც იგი 3 წლის განმავლობაში ჰყავდათ დამწყვდეული. 1347 წელს, როცა მწვალებელი იოანე XIV საპატრიარქო ტახტზე ისიდორემ შესცვალა (1347—1349) წმიდა გრიგოლ პალამა გაათავისუფლეს და თესალონიკის მთავარეპისკოპოსად დაადგინეს. 1351 წელს ვლაქერნის საეკლესიო კრებამ საზეიმოდ დაადასტურა მისი მოძღვრების მართლმადიდებელი არსი. მაგრამ თესალონიკელებს მაშინვე არ მიუღიათ თავიანთი ახალი მღვდელმთავარი, და მასაც პირველ ხანებში სხვადასხვა ადგილებში უხდებოდა ცხოვრება. მისი ერთ-ერთი მგზავრობის დროს ზღვაზე კონსტანტინეპოლისკენ, ბიზანტიელთა ხომალდი თურქებს ჩაუვარდათ ხელში. ერთი წლის განმავლობაში მღვდელმთავარ გრიგოლს ტყვესავით ჰყიდდნენ სხვადასხვა ქალაქებში, მაგრამ მაშინაც იგი დაუღალავად განაგრძობდა ქრისტიანული სარწმუნოების ქადაგებას.

მხოლოდ 3 წლით ადრე თავის გარდაცვალებამდე დაბრუნდა იგი თესალონიკში. გარდაცვალების წინ ჩვენებაში მას წმიდა მღვდელმთავარი იოანე ოქროპირი გამოეცხადა. წმიდა

გრიგოლ პალამა მშვიდობით ჩაბარდა უფალს 1359 წლის 14 ნოემბერს. იგი წმიდანად შერაცხეს 1368 წელს, პატრიარქ ფილოთეოსის დროს (1354—1355, 1362—1376), რომელმაც მისი ცხოვრებაც აღწერა და მოსახსენებელი კანონიც შეუდგინა.

(„თვენი" III ტ. 489—495 გვ.)

ფრაგმენტები.

წმ. გრიგოლ პალამა

ქადაგება თქმული სასიკვდილო ეპიდემიის მძვინვარეობის შამს

საყვარელი მოწაფე ქრისტესი იოანე ღვთისმეტყველი ამბობს: „საყუარელნო! უკუეთუ გული ჩუენი არა გუგმობდეს ჩვენ, განცხადებულებაჲ გუაქუს ღმრთისა მიმართ. და რაჲცაიგი ვითხოვოთ, მოვიღოთ მისგან, რამეთუ მცნებათა მისთა ვიმარხავთ და სათნოებასა წინაშე მისსა ვჰყოფთ". (I იოანე 3, 21—22). ჩვენ კი, მხილებულნი სინდისისაგან, მანკიერ ჩვევათ დამონებულნი, ძვირისმომქმედნი წინაშე ღვთისა, მუდამჟამ მომთვრალენი, დღისით ქეიფის საბაბის მძებნელნი, ღამით კი ხორციელსა და სულიერ უწმინდურებაში ჩაფლულნი, სიცრუესა და მომხვეჭელობაში მცხოვრებნი, ჩვენივე ნამოქმედარი ნაპარავ-ნაძარცვით გახარებულნი, ურთიერთას მოშურენი, ბოროტის-მსიტყველნი, ცილისმწამებელნი, სიკეთისა და მოკრძალების მოძულენი და ყოველგვარი ცოდვის თანამდებნი — ნუთუ ისე გავკადნიერდებით, რომ ლოცვისა და ფსალმუნების ჟამს რაიმეს ვითხოვთ ღვთისაგან? ნუთუ უფლის მცნებების უარმყოფელნი შეგვიძლია ვიმედოვნებდეთ, რომ ღმერთი ნათხოვნს აგვისრულებს?! ცოდვილს ხომ ასე მიმართავს ღმერთი: „რაჲსთვის-მე მიუთხრობ შენ სამართალთა ჩემთა და აღიღებ აღთქმასა ჩემსა პირითა შენითა? შენ ეგერა მოიძულე სწავლებანი და განიშორენ და განსთხიენ სიტყუანი ჩემნი, იხილი თუ მპარავი თანაურბიოდი მას და მეძავსა თანა დასდვა ნაწილი შენი; პირმან შენმან განამრავლა უკეთურებაჲ და ენაჲ შენი თხზვიდა ზაკვასა. შჯდი რაჲ, ძმისა შენისათვის ბოროტსა იტყოდი და ძისათვის დედისა შენისა დასდვი საცთური; ესე ყოველი ჰყავ და დავიდუმე; ჰგონე უსჯულოებაჲ, ვითარმედ მეცა შენ გემსგავსო; გამხილო და წარმოვადგინნე ცოდვანნი შენნი წინაშე პირსა შენსა. გულისხმა-ყავთ ესე ყოველთა, რომელთა დაგივიწყებიეს ღმრთისა, ნუუკუე წარგიტაცნეს და არავინ იყოს მხსნელ თქუენდა" (ფს. 49, 16—22). სწორედ ასე წარგვიტაცებს სიკვდილი და არავინ იქნება ჩვენი მხსნელი, ჩვენი შემწე! მართალია ყოველი ჩვენგანი ყველა აქ ჩამოთ-

ვლილ ცოდვათა თანამდები არ გამხდარა, მაგრამ ერთი ან რამოდენიმე ყველას ჩაუდენია და უხმარ-ქმნილა. თუმცა უფლის წყალობის წარსახოცად და მისი რისხვის თავსდასატყდომად ამ ცოდვათაგან ერთიც კი საკმარისია.

რის გამო ვერ გახდნენ ისრაიტელნი საღმრთო სჯულის ფიცართა მიღების ღირსნი? განა მთვრალობამ არ შეუშალა მათ ხელი? მოსემ ორმოცი დღე იმარხულა სინას მთაზე და ღმერთს თავის ხალხზე ესაუბრა. მან იქვე მიიღო უფლისაგან უდიდესი წყალობა — ხელთუქმნელი სჯულის ფიცარნი, რომელიც ისრაელისათვის უნდა წამოეღო. როდესაც უკან დაბრუნებულს შორიდანვე მოესმა უწესო ხმაური და ღრიანცელი, იგი მიხვდა, რომ ისინი მთვრალები იყვნენ. „ხმაჲ განცხრომისა“ მესმის“ — სთქვა მან (გამოსვლ. 32, 18), უღირსად სცნო ისრაელი ამ წყალობისა და ღვთისაგან ბოძებული სჯულის ფიცარნი შემუსრა. ამის შემდეგ, მან თავისი ერთგული ხალხი — ისინი, ვინც არ მიეცნენ მთვრალობას და თაყვანი არ სცეს ოქროს კერპს — უწესოთა წინააღმდეგ აამხედრა, მრავალი ათასი მოსწყვიტა მათგან და ამით სათნო ეყო ღმერთს. შემდგომ კვლავ ავიდა მთაზე და თავისივე ხელით გამოთლილი სხვა ფიცარნი წამოიღო, რომლებზედაც ღმერთმა სჯული ხელმეორედ გამოსახა.

ხედავთ, რომ სიმთვრალე უძველესი დროიდან სიკვდილს იმკის. ვინც ამ საშინელ ვნებას მიეცემა, იგი ამქვეყნადაც შეიმოკლებს სიცოცხლეს, და ცათა სასუფეველსაც ვერ დაიმკვიდრებს. მთვრალობა ეს თვით ხორცშესხმული დემონია. იგი გადაგვარებაა გონებისა, დაუძლურება სხეულისა; სიცოცხლე, სიკვდილზე უარესი. იგი მიზეზია ღვთისაგან ადამიანის დაშორებისა, რამეთუ სიმთვრალით უცხო ვექმნებით ღვთისაგან აღთქმულ ცხოვრებას. „მომთვრალეთა“, — ბრძანებს მოციქული, — „სასუფეველი ღმრთისა ვერ დაიმკვიდრონ“ (I კორ. 6; 10). რალა უნდა ვთქვათ სიძვაზე? — ისრაელი ეგვიპტიდან უიარაღოდ გამოვიდა, ხოლო უკან კარგად შეიარაღებული ეგვიპტელთა ჯარი დაედევნა. როდესაც მათ მეწამულ ზღვამდე მიაღწიეს, ღვთის განგებით მოსეს კვერთხმა წყალი განაპო, გზა გაკვალა და ისრაელმა განვლო ზღვა, ხოლო მდევარი ტალღებმა შთანთქა და მათი გვამები ნაპირზე გამორიყა. უიარაღო

ისრაიტელთ ამგვარად სულ მალე მიეცათ საჭურველი. მათ ის დახოცილ ეგვიპტელებს აართვეს, ამის შემდგომად ისინი გზად ყველა წინააღმდგომს ამარცხებდნენ. ისრაელმა მრავალი დასახლებული თუ უკაცრიელი ადგილი განვლო. ისეთებიც კი, სადაც ადამიანს ჯერ ფეხი არ დაედგა, მაგრამ როდესაც სიძვას მიეცნენ, იმდენად დაუძლურდნენ, რომ მორიგ ბრძოლაში ერთბაშად ოცდასამი ათასი კაცი დაკარგეს. ამიტომაც გვეუბნება პავლე მოციქული. „ნუცა ვისიძავთ, ვითარცა იგი ვიეთმე მათგანთა ისიძვეს, და დაეცნეს ერთსა შინა დღესა ოცდა-სამიათასი“ (1 კორ. 10, 8). რომ არა ფინეზი, რომელმაც თავისი მოშურნეობით ერთი დარტყმით მოუღო ბოლო ამ გარყვნილებას, — ყველანი დაიხოცებოდნენ, რადგან ამის გამო აუცილებლად ღვთის რისხვა დაატყდებოდათ თავს. ვინ არ იცის, რომ ღვთისათვის საძაგელი ქმედება ჩვენს შორისაც ხდება, მაგრამ არავინ ცდილობს ამის ალაგმვას. მამები შვილებს არ არიგებენ, ძმა — ძმას, მეგობარი — მეგობარს. პირიქით, ხშირად ამ საქმეში ხელსაც უწყობენ ერთმანეთს. მოციქული კი ასე გვაფრთხილებს: „ესე ვითარისა მის-თანა არცაღა ჭამად“ (1 კორ. 5; 11). აი, ამიტომ ვართ სიკვდილისა და წარწყმედის ღირსნი! თუკი სიძვა ესოდენ დიდ სასჯელს იმსახურებს, მაშ რაოდენ უფრო მეტად განსაკიცხია მრუშება, რომელიც ოჯახებს ანგრევს, მრავალი უკეთურებითა და გარყვნილებით აღავსებს მათ, ხოლო შთამომავლობას გაქრობით ემუქრება. ასეთივე მსჯავრი დაედება შურსაც — კაცისკვლის მშობელს. სწორედ შურმა აქცია კაენი ძმის მკვლელად და იგი გახდა მიზეზი პირველი ადამიანის სიკვდილისა. რაც შეეხება ქურდობას, ცნობილია, თუ რარიგ განარისხებს ეს ცოდვა ღმერთს. ძველ აღთქმაში მოთხრობილია აქარის ამბავი, რომელიც ერთადერთი ქურდი იყო ისრაიტელთა ჯარში. ეს უკანასკნელნი მარცხს მარცხზე მანამდე განიცდიდნენ, სანამ არ გამოიძიეს ამის მიზეზი და ქურდი არ ჩაქოლეს.

ყოველივე ეს ჩვენთვის დაიწერა, რათა რომელიმე ამ ცოდვაში ჩავარდნილებს საშინელი სასჯელი არ მოგვეზღოს. არც ის უნდა დავივიწყოთ, რომ ჩვენ ბევრად მეტი პატივი გვხვდა წილად, რადგან ქრისტიანებად ვიწოდებით და ამდენად, ცოდ-

ვებისთვის პასუხსაც მეტს მოგვთხოვენ. „რმეთუ უკუეთუ რომელი-იგი ანგელოზთა მიერ ითქუა სიტყუაჲ იქმნა მტკიცე, და ყოველმან სჯულსა გარდამავალმან და ურჩმან მიიღო სასჯელი კუალად-გებისაჲ: ვითარმე ჩუენ განვერნეთ, უკუეთუ ესოდენი-იესე უდებვყოთ ცხოვრებაჲ, რომელი მან — იგი დასაბამი მიიღო სიტყუად უფლისა მიერ, მსმენელთა მათგან ჩუენდა მომართ დაამტკიცნა, თანამოწამებითა ღმრთისაჲთა სასწაულებითა და ნიშებითა, და ფერად-ფერადითა ძალითა, და სულისა წმიდისა განყოფითა ნებისაებრ მისისა?“ (ებრ. 2; 2—4) — გვეუბნება მოციქული. ამიტომაც მოაკვდინა ღმერთმა პეტრეს მიერ ანანია და საფირა, საკუთარი ქონების ქურდობისა და სიცრუისათვის. ტყუილი ყოველთვის ქურდობასთანაა დაკავშირებული. „წარსწყმიდე შენ ყოველნი, რომელნი იტყვიან სიცრუვესა“ (ფს. 5; 6). — იტყვის დავით წინასწარმეტყველი უფლისა მიმართ. პავლემ ეშმაკს გადასცა სიძვით შეცოდებული კორინთელი, ხოლო თავად კორინთელთ დაუკანონა: „ესე ვითარისა მის-თანა არცაღა ჭამად“ (1 კორ. 5; 11). მოციქულმა მანამ არ უჩვენა შეცოდებულს მოსიყვარულე გული, ვიდრე მან ეს ბოროტი საქმე არ მიატოვა და არ შეინანა. ახლა გავიხსენოთ, თუ რას ეუბნება სახარებაში უფალი ძუნწს, რომელსაც დიდი მოსავალი ჰქონდა და მოწყალების გაღების მაგიერ მხოლოდ თავის საგანძურის შევსებაზე ფიქრობდა. „უგუნურო! ამას ღამესა მიგიღონ სული შენი შენგან; ეგე, რომელ მოიმზადე, ვისა იყოს?!“ (ლუკა 12; 20). ეს რომ ყოველი ადამიანის მიმართაც არის ნათქვამი, შემდეგი სიტყვებიდან სჩანს: „ეგრეცა, რომელი იუნჯებდეს თავისა თვისისა და არა ღმრთისა მიერ განმდიდრდებოდეს“ (ლუკა 12; 21). მიუხედავად იმისა, რომ ამ კაცს სიმდიდრე უპატიოსნო გზით არ მოუხვეჭია, არამედ უხვი მოსავლით განმდიდრდა, მაინც სიკვდილით დაისაჯა, რადგან ბოროტად გამოიყენა უფლის წყალობა. ხოლო ჩვენს შორის მრავლად მოიძებნებიან ისეთები, რომლებიც არა თუ კანონიერ სიმდიდრეს, არამედ ღარიბ-ღატაკთა ძარცვით დაგროვილ ქონებას ინახავენ შინ. ამგვარი მომხვეჭელობის სენი და ანგარებისმოყვარება კი, როგორც პავლე მოციქული ამბობს, იგივე კერპთაყვანისცემაა. ეს სიტყვები არა მარტო დიდებულებს ეხებათ, არამედ ეაჭრებსაც,

ისინი ხომ დიდ ზიანს აყენებენ მყიდველს, როცა მათ ზიმა-წონაში ატყუებენ.

ყველა ზემოთ ჩამოთვლილ უკეთურებათა გამო ვისჯებით და კვლავაც დავისჯებით, ვინაიდან ამ განსაცდელისაგან თავის დაღწევას არ ვცდილობთ და ამით არსებულ დანაშაულს კიდევ სხვას ვუმატებთ. ვნებავთ იცოდეთ, თუ რაოდენ დიდი ბოროტებაა ანგარებისმოყვარება? ეს ამჟამინდელი ეპიდემიის მაგალითებიდანაც სჩანს. სისხლი ჩვეულებრივ მთელი სხეულის ერთ-ერთი შემადგენელი და აუცილებელი ნაწილია, მაგრამ მისი მოწარბებისას ავადმყოფი იღუპება. ასე რომ, ისევე როგორც სხვულს ვნებს ყველაფერი ზედმეტი, ასევე ვნებს და მოაკვდინებს სულს ანგარება და განდევნის მისგან ღვთიურ მადლს. ეს სულიერი სიკვდილი ყოველთვის წინ უსწრებს ხორციელს, რომლის წარმოშობის მიზეზი ღვთისაგან ადამიანის დატევებაა. ღვთის მცნებათაგან განდგომის შედეგად სამყაროში დასაბამი მიეცა სიკვდილს, მაგრამ ადამიანი ცოდვით დაცემისთანავე არ მომკვდარა, რადგან ღმერთმა მას დრო მისცა სინანულისათვის. შემოქმედმა არაფრისაგან შექმნა მთელი სამყარო ისევე, როგორც შექმნა ანგელოსნი, მთავარანგელოზნი, მთავრობანი, ძალნი, ხელმწიფებანი, უფლებანი, ქერუბიმნი, სერაბიმნი და საყდარნი. მან მხოლოდ გაიფიქრა და ეს აზრი იმწამსვე საქმედ იქცა. ასე მიეცა დასაბამი ზეციურ ძალთა არსებობას. მთელი ადამის მოდგმის მეყსეულად შემქმნელ უფალს მისი განადგურებაც ძალ-ედვა; ასე მოიქცა იგი წარღვნის დროს, მაგრამ უსაზღვრო კაცთმოყვარეობის გამო მან ადამიანთა ხელახალი გამრავლების მიზნით მაინც გადაარჩინა მართალი ნოე და მისი შვილები და ისე მოაწყო, რომ ყოველ ადამიანს დაენახა სიკვდილის გარდუვალობა მისი ახლობლებისა და ნათესავების გარდაცვალების მაგალითზე, რათა სინანული და იმქვეყნიურ ცხოვრებაზე ზრუნვის სურვილი აღძრდა. მაგრამ ვინაიდან ჩვენ არც სინანული გვაქვს და არც მომავალ ცხოვრებაზე ვზრუნავთ, ამიტომაც სამართლიანად ვისჯებით ამ ეპიდემიით, რადგან ღმერთს არ სურს, რომ ბოროტებასა და უსჯულოებაში ვცხოვრობდეთ. სიკვდილი ცოდვილთათვის უკიდურეს სასჯელად გვევლინება, ამის მაგალითია ჩვენთვის ცნობილი ეგვიპტელთა მოწყვეტის ამბავიც.

ადამიანები ერთმანეთის გასამართლებისას ხშირად სცდებიან, რადგან უმნიშვნელო დანაშაული შეიძლება ზედმეტი სიმკაცრით იყოს განსჯილი. მაგრამ უფლის უდიდესი კაცთმოყვარება იმის ფიქრის საფუძველს არ გვაძლევს, თითქოსდა უსამართლოდ ვიმსახურებდეთ სასტიკ სასიკვდილო განაჩენს. მაშასადამე, თუ ჩვენ ამგვარი სასჯელით ვისჯებით, უნდა დავასკვნათ, რომ მართლაც ძლიერ ვცოდავთ ღვთის წინაშე და არ ვცდილობთ, რომ თავს სინანულით ვუმკურნალოთ. რადგან ვხედავთ, თუ რაოდენ დიდია ჩვენი ცოდვების სიმძიმე, დაე ყოველმა ჩვენგანმა ზურგი აქციოს ხორციელ მიდრეკილებებს და შეუდგეს ღმერთს. შევინანოთ გულით, შევიზიზღოთ ბოროტი ჩვევები და ცოდვის მოყვარე აზრები, რათა ღვთის რისხვა ავიცილოთ და მისი წყალობა დავიმსახუროთ. განვკურნოთ ჩვენში ყოველგვარი ბოროტება, ნუ გავხდებით მისი მსხვერპლნი. მივბაძოთ ნინევიელებს, რომლებიც სინანულმა გადაარჩინა და არა მათ, ვინც წარღვნის დროს დაიღუპა. მიუხედავად იმისა, რომ ნინევიელთ წარმოდგენა არ ჰქონდათ ღმრთის მრავალმოწყალებაზე, მაინც მხურვალედ შეჰღაღადეს უფალს და დაუტევეს ყოველგვარი ბოროტი საქმე და ძალადობა. „ვინ უწყის, მო-თუ-აქციოს უფალმან და ვედრებულ იქმნეს და მოიქცეს რისხვისაგან გულისწყრომისა მისისა და არ წარვწყმდეთ?“ — ასე ამბობდნენ ისინი. (იონა, 3; 9). ჩვენ ხომ ღმრთის კაცთმოყვარებას მრავალი მაგალითის საფუძველზე ვხედავთ. უფლის მრავალმოწყალება ნინევიელთა ამბავიდანაც კარგად ჩანს, რამეთუ „და იხილნა ღმერთმან საქმენი მათნი, რამეთუ მოაქციეს გზათაგან მათთა ბოროტთა და შეინანა ღმერთმან სიბოროტესა ზედა, რომელი თქუა ყოფად მათდა და არა უყო“ (იონა 3; 10). მართალია ნინევიელებთან იონა წინასწარმეტყველი იმყოფებოდა, მაგრამ მას არც სინანულისაკენ მოუწოდებია მათთვის და არც ღვთის მოწყალებას შეჰპირებია, მხოლოდ გააფრთხილა მოსალოდნელი უბედურების შესახებ. იონა იუდეადან იოპიაში მივიდა, იქიდან კი ნავით ნინევიელებთან გაემგზავრა. შემდგომ იგი ნავიდან გადმოაგდეს და ღვთის განგებით ვეშაპმა გადაყლაპა. მან სამი დღე დაჰყო ცხოველის მუცელში, ხოლო იქიდან ისევ უფლის ნებით ნინევიაში აღმოჩნდა და ხალხს ქალაქის მოსალოდნელი

დაღუპვის შესახებ უქადაგა. ნინევიელებმა შეინანეს, ღმრთისადმი სასოება გამოიჩინეს და ამით გადაურჩნენ შემოქმედის რისხვას, მაგრამ იონაზე რაოდენ აღმატებულია ის, ვინც თავადაა ღვთის სიტყვა, ვინც ჩვენთვის ზეცით გარდამოხდა, ისევე როგორც იონა იოპიაში; უფალმა თავი თვისი მწუხარებასა და განსაცდელს მისცა, ისე როგორც იონამ ტალღებს; მაცხოვარი სიკვდილის შემდეგ ჯოჯოხეთში ჩავიდა, ისევე როგორც იონა — ვეშაპის მუცელში; და აღსდგა მესამესა ღღესა, მონანულთ ცათა სასუფეველს შეჰპირდა და ყველას ასწავლა, თუ როგორ უნდა აღასრულებდნენ სინანულის საქმეთ, რომელთა უარყოფითაც სამართლიანად დავისჯებით სიკვდილით.

სასტიკი და დაუნდობელია სიკვდილი, საზარელია მისი მოახლოვება, მაგრამ გაცილებით უფრო საშინელია ამ ქვეყნიდან ცოდვების მოუნანიებლად წასვლა. ამის გამო საბოლოო ჯანაჩენი ბევრად უფრო მკაცრი იქნება და დაუსრულებელი ტანჯვა მოგვეგება ჯოჯოხეთში. დაე, ნურავინ ნუ გახდება ამის ღირსი! თუ ამქვეყნიური მწუხარებანი ჩვენთვის აუტანელია. მიუხედავად იმისა, რომ ისინი წარმავალნი არიან და მხოლოდ ხორციელ ტკივილს იწვევენ, — რაოდენ უფრო მძიმე იქნება სიკვდილის შემდგომი ტანჯვა, რომელიც ხორცთან ერთად სულსაც შეაჭირვებს და მისგან თავის დახსნის იმედიც არ იქნება?! მაშ, შევინანოთ, ძმანო! განვუდგეთ ბოროტებას სიტყვითა და საქმით, შემუსვრილი გულით შეუევრდეთ უფალს და ღაღადვჰყოთ: „უფალო, ნუ გულისწყრომითა შენითა მამხილებ მე, ნუცა რისხვითა შენითა მსწავლი მე“ (ფს. 6; 2); არამედ — „იყავ მონისა შენისა თანა წყალობისაებრ შენისა“ (ფს. 118; 124). უფალი არ მიატოვებს მათ, ვინც ერთითა პირითა და ერთითა გულითა უხმობს მას და ცხოვრების წესითაც მისი ერთგული რჩება. „მოიქეცით ჩემდამი, და მე მოვიქცე თქვენდა — იტყვის უფალი ძალთა“. (ზაქარია 1, 3); და „მე ვარ იგივე აღმხოცელი უშჯულოებათა შენთა და ცოდვათა შენთა, და არა მოვიხსენიე“, (ესაია 43; 25). თუ ჩვენ ყოველთვის განვერიდებით ცოდვას, ანდა სინანულსა და აღსარების გზით ლმობიერვჰყოფთ ღმერთს, მაშინ მის რისხვას ამქვეყნადაც გადავურჩებით, რომელიც ამ საშინელი ეპიდემიის სახით დაგვატყდა თავს, ხოლო სიკვდილის შემდეგ კი საუკუნო ცხოვრებას და-

ვიმკვიდრებთ, სადიდებლად მხოლოისა ცხოვრების მომცემლისა ჩვენისა იესო ქრისტესი, რომელსაც შვენის დიდება, პატივი, სიმტკიცე და თაყვანისცემა თანდაუსაბამოით მამით თვისით და ცხოველსმყოფელით სულითურთ, აწ და მარადის და უკუნითი უკუნისამდე, ამინ!

თარგმნა გელა აროშვილმა

მღვდელმთავარი კერნიკისა და კალავრიტისა ილია მინიატისი
1669—1714)

ეპისკოპოსი ილია მინიატისი იყო სახელგანთქმული მართლმადიდებელი მქადაგებელი და ღვთისმეტყველი. წარმოშობით კეფალონიელმა განათლება ფლანგიანეს კოლეგიაში მიიღო, რომლის დამთავრების შემდეგ თავადვე მასწავლებლობდა აქ. მალე ახალგაზრდა იეროდიაკვანი წმ. გიორგის ეკლესიაში დაადგინეს მქადაგებლად. 1689 წლიდან იგი კეფალონიაში გადაყავთ, სადაც თავის მქადაგებლურ მოღვაწეობას აგრძელებს. აქ იგი შთამბეჭდავ ჰომილიებს წარმოსთქვამდა ბერძნულსა და იტალიურ ენებზე. ილია მინიატისი ცდილობდა სახარებისეული სიტყვის ძალით ემკურნალა საზოგადოებრივი წყლულებისათვის. ამ მიმართებით მეტად მნიშვნელოვანია მისი სიტყვა „სიყვარულის შესახებ“, რომელიც ქალაქ ლიკსურის წმ. ნიკოლოზის ეკლესიაში წარმოთქვა.

ვენეციელმა დიდებულმა ანტონი მოლინამ ილია ქალაქ კორფაში მიიწვია და თავისი ორი ახალგაზრდა ნათესავის აღზრდა მიანდო. მალე იგი ერთ-ერთი მდიდარი მონასტრის იღუმენად დაადგინეს. რამდენიმე წლის შემდეგ კონსტანტინოპოლის პატრიარქმა გაბრიელმა იღუმენი ილია დეღაქალაქის საკათედრო ტაძარში დანიშნა მქადაგებლად. ამავე დროს იგი საპატრიარქო სკოლაშიც მასწავლებლობდა. 1711 წელს მას ეპისკოპოსად დაასხეს ხელი და კერნიკის კათედრა ჩააბარეს.

კონსტანტინოპოლში ყოფნის დროს ილია მინიატისმა დაწერა წიგნი — „ლოდი საცთურისა ანუ აღმოსავლეთისაგან დასავლეთის ეკლესიის გამოყოფის დასაწყისის მიზეზებისა და მათ შორის უთანხმოებათა შესახებ“, რომელიც მის ერთერთ უმნიშვნელოვანეს თხზულებას წარმოადგენს.

ლოდი საცთურისა

ანუ

აღმოსავლეთისაგან დასავლეთის ეკლესიის გამოყოფის დასაწყისის მიზეზებისა და მათ შორის უთანხმოებათა შესახებ

წიგნი პირველი.

კონსტანტინოპოლის პატრიარქთა — ეგნატესა და ფოტის დროის მოვლენების შესახებ.

§ 1. სახელოვანო და კეთილმორწმუნე მბრძანებელო[1] გსურდა, დაწვრილებით შეგეტყო ჩემგან, თუ სახელდობრ რა ჰყოფს აღმოსავლეთის და დასავლეთის ორ ეკლესიას, ანუ გაგეგო ამ განყოფილების მიზეზი და მათ დოგმატებს შორის არსებული სხვაობა. სიამოვნებით მინდა რაიმეში გამოგადგე, ამიტომ ვეცდები, შენი ცნობისმოყვარეობა შეძლებისდაგვარად დავაკმაყოფილო. იმისათვის, რომ ამ ავბედითი განხეთქილების წარმოშობა გასაგები გახდეს, საჭიროა, დაწვრილებით გადმოგცე, რა ხდებოდა კონსტანტინოპოლის პატრიარქებს — ეგნატესა და ფოტის შორის, რამ განაპირობა მაშინ ღვთის ეკლესიაში ესოდენ დიდძალი არეულობა, რამ მიაყენა საკმაოდ დიდი გულისტკივილი მათ და მათს მემკვიდრეებს და საბაბი გახდა დღემდე არსებული არაერთი უთანხმოებისა. იმ დროისათვის მთელი სამღვდელო დასი და ერი ორ ნაწილად იყოფოდა, რომელთაგან ერთნი ეგნატეს ემხრობოდნენ, ხოლო მეორენი — ფოტის; საერთოდ ყველაფერი მეტ-ნაკლები მიკერძოებით მიმდინარეობდა. აქედან გამომდინარე, საკუთარ გრძნობებს აყოლილნი, მაშინდელი მოვლენების აღმწერნიც ძირითადად იმ

---

[1] მბრძანებლად უნდა ვიგულისხმოთ ვლახეთის მთავარი, თავადი კონსტანტინე ბრიანკოვიანუ, რომელიც ძალზედ კეთილგანწყობილი იყო ილია მინიატისის მიმართ. ეს უკანასკნელი ხანგრძლივი დროის მანძილზე იმყოფებოდა მის სამეფო კარზე და მისი არაერთი მნიშვნელოვანი დავალების აღმსრულებელი იყო.

მხარეს ამართლებდნენ, რომელსაც თვითონ ეკუთვნოდნენ. იმავე სენითაა შეპყრობილი ყოველი მათი მომდევნო მწერალიც; ხან ერთ, ხან მეორე ისტორიკოსს მინდობილნი, ისინი ამ სურათს თავისებურად გვიხატავენ, და მოვლენებს ნამდვილი სახით არ წარმოადგენენ, არამედ თავისი სურვილისამებრ. ამიტომ იოლი არაა, მათგან ჭეშმარიტი სინამდვილე შეიტყო; მიუხედავად ამისა, ეს უკანასკნელი თავისთავად წარმოუდგება და გამოეცხადება ყველა იმათაგანის აზრობრივ ხედვას, ვინც დაბრმავებული არაა მიკერძოებით, ვისაც სწორი ხედვა და საღად მსჯელობის უნარი გააჩნია. ახლა წარმოგიდგენ ყველაზე მეტად უტყუარ ფაქტებს, რაც კი ამ საკითხს შეეხება; ისინი სხვადასხვა ისტორიკოსების მონათხრობთაგან შეძლებისდაგვარად ამოვარჩიე.

§ 2. ეგნატე იყო კეთილშობილი და ფრიად სახელგანთქმული ოჯახის შვილი. იგი ეკუთვნოდა სამეფო გვარს როგორც მამის, ასევე დედის მხრივაც. იყო ძე მიხეილ კუროპალატისა, კონსტანტინოპოლის იმპერატორისა, და პროკოფიასი, იმპერატორ ნიკიფორე ჰენიკის ქალიშვილისა. ლევ სომეხმა, რომელმაც იმპერატორი მიხეილი ტახტიდან ჩამოაგდო და ძალმომრეობით გამეფდა[2], განიზრახა სრულიად ჩამოერთმია მემკვიდრეობა ეგნატესათვის, და მისი დასაჭურისება ბრძანა. ამის შემდეგ ბერად აღკვეცილი ეგნატე განმარტოვდა სატირის მონასტერში.

§ 3. არც ფოტის მშობლები ყოფილან უბრალო და ნაკლებად ცნობილი ხალხი. ისინი კეთილშობილი და დიდგვაროვანი ოჯახის შთამომავალნი იყვნენ, როგორც ამას აღნიშნავს ნიკიტა დავით პაფლაგონელი „ეგნატეს ცხოვრებაში"[3], თვით ფოტის მოწმობით[4], მათ მოწამეობრივი გვირგვინიც კი დაიდგეს; ხოლო რომის პაპის, ნიკოლოზ პირველისადმი წერილში[5] ფოტი თავის ბიძად ასახელებს იმ დიდ ტარასის, რომელიც კონსტან-

---

[2] ეს ხდებოდა ქრისტეს შობიდან 813 წელს.
[3] Collect. concil. ah Harluino. Paris. 1713. Tom. V. col. 960.
[4] Epist. 234. pag. 349. Edit. Londin. an. 1651.
[5] Annal. Baron. ann. DCCCLXI numer. LII.

ტინესა და ირინეს დროს კონსტანტინოპოლის პატრიარქი იყო და რომლის დროსაც შედგა ნიკეის მე-2, მე-7 მსოფლიო კრება ხატთმებრძოლთა წინააღმდეგ.

§ 4. ფოტის სამართლიანად შეიძლება ვუწოდოთ სწავლულობის მწვერვალი. მის მიერ შეძენილი აურაცხელი ცოდნის გამო თანამედროვეთაგან მას ტოლი არ ჰყოლია, და დიდი ხნის მანძილზე არც მის შემდეგ გამოჩენილა ვინმე მისი მსგავსი. მან არამარტო ერთი რომელიმე მეცნიერება იცოდა სრულყოფილად, არამედ თითქმის ყველა. ფოტი ფილოსოფიის, მედიცინის, ასტრონომიისა და ღვთისმეტყველების შესანიშნავი მასწავლებელი იყო. მისი დანატოვარი ბიბლიოთეკა, რომელიც უამრავ აღწერილ და განხილულ წიგნს მოიცავს, საკმარისი მოწმობაა როგორც მისი ფართო მეცნიერული ცოდნისა და მწერლობის სწორი შეფასებისა, ასევე მისი დაუღალავი მუყაითობისაც, რომლის წყალობითაც მან ესოდენ ბევრი თხზულება წაიკითხა. ფოტი პოლიტიკაშიც არანაკლებ გამოირჩეოდა, არამარტო როგორც მისი თეორიული მცოდნე, არამედ როგორც პოლიტიკური მოღვაწეც; ამის გამო მან დიდ პატივს მიაღწია სახელმწიფოში და მაღალ თანამდებობებს აღასრულებდა, სახელდობრ: პროტოსპათარისა და პირველი მრჩეველისა იმპერატორ თეოფილეს დროს, შემდეგ სენატორისა; ამასთან, იოანე დიაკვნის სიტყვებით[6], სენატში მას პირველი ადგილიც კი სჭერია. გარდა ამისა, სენატის გამწესებისა და იმპერატორის მითითების თანახმად, ფოტი ელჩად ყოფილა წარგზავნილი ასურელებთან, რასაც იგი თავად მოწმობს თავისი ძმის, ტარასისადმი გაგზავნილ წერილში. ასეთები იყვნენ ეგნატე და ფოტი, სანამ პატრიარქები გახდებოდნენ.

§ 5. მიხეილის მეფობის მეექვსე წელს, რომელიც თავისი მამის, თეოფილეს სიკვდილის შემდეგ დედამის თეოდორასთან ერთად მართავდა სახელმწიფოს, გარდაიცვალა კონსტანტინოპოლის პატრიარქი უწმინდესი მეთოდე. ტახტზე აიყვანეს ეგ-

---

[6] იხ. იოსებ. ჰიმნოგრაფის ცხოვრება, in Act. SS. Ayril.

ნატე[7]. ამ არჩევანს ყველა ეპისკოპოსი და კრებულის წევრი როდი ემხრობოდა. ბევრნი იყვნენ წინააღმდეგნი, მათ შორის კი პირველ რიგში — სირაკუზელი მთავარეპისკოპოსი გრიგოლი. აღნიშნულის გამო ეგნატე მასზე იმდენად განაწყენდა, რომ თავის პატრიარქად აღსაყდრების დღეს არ მოისურვა, მასთან ერთად აღესრულებინა წირვა; მან ბრძანა, რომ გრიგოლი მღვდელთმოქმედებას არ დასწრებოდა. ბევრს არ მოეწონა ეგნატეს ეს საქციელი, რითაც მან თავისი პატრიარქობის დასაწყისშივე გამოამჟღავნა გრიგოლისადმი უსიყვარულო დამოკიდებულება. მალე ეგნატემ მოიწვია კრება, რომელზედაც სამღვდელო ხარისხი აჰყარა გრიგოლს და ელჩობასთან ერთად წერილი გაუგზავნა რომის პაპებს, ჯერ ლევ IV-ს, შემდეგ ბენედიქტე III-ს იმ მიზნით, რომ მათაც იგივე განაჩენი გამოეტანათ მისთვის, და აღმოსავლეთისა და დასავლეთის ეკლესიათა ამ ერთობლივი განჩინებით თავისი გადაწყვეტილება კიდევ უფრო განემტკიცებინა. მაგრამ არც ლევის, არც ბენედიქტეს არ სურდათ, მონაწილეობა მიეღოთ გრიგოლის დამხობაში. ამას მოწმობს ლევისა და ბენედიქტეს მომდევნო რომის პაპის ნიკოლოზ I-ის წერილი იმპერატორ მიხეილისადმი[8]. თუმცა, საწინააღმდეგოს ამტკიცებს სტილიან ნეოკესარიელი[9], რომელსაც ბარონიც[10] ეთანხმება.

§ 6. შეურაცხყოფილმა გრიგოლმა თავისი მდევნელის წინააღმდეგ იწყო ქმედება. მას ხელს უწყობდნენ როგორც მღვდელმთავრები და სამღვდელო წევრნი, ასევე არაერთი საერო დიდებულიც, რომელთა რიცხვში ფოტიც იყო. იგი ამას ადასტურებს თავის III წერილში გრიგოლის მიმართ. დადგა ის დროც, როდესაც ეგნატეს ბრალმდებლებმა საერთო ძალისხმევით შეძლეს მისი საბოლოო განადგურება. აი, როგორ მოხდა ეს:

§ 7. ეგნატეს საპატრიარქო ტახტზე ასვლიდან თერთმეტი წლის შემდეგ პატრიცი და სასწავლებლების მთავარი ზედამ-

---

[7] ეს ხდებოდა ქრისტეს შობიდან 847 წელს.

[8] In collect. Concil. Narduin. T. V. Epist. IX. column. 164.

[9] Ibidem. Epist. ad Stephan. VI. Pontific. Ram. col. 1121.

[10] Ad. ann. DCCCLVI. num. VII. Tom. X.

ხედველი ბარდა ცოლს გაეყარა (როგორც ამბობენ, უმიზეზოდ), და საკუთარ რძალთან უკანონო კავშირი დაამყარა[11]. სარწმუნოებისათვის თავდადებულმა ეგნატემ ამგვარი აშკარა საცთურის მოთმენა ვერ შეძლო; იგი მრავალგზის შეაგონებდა და ამხილებდა საეკლესიო კანონების დამრღვევს, მაგრამ ამაოდ. ამის გამო ერთ დღესაც, სახელდობრ უფლის განცხადების დღესასწაულზე, როდესაც ბარდას სურდა იმპერატორთან ერთად ზიარებულიყო, პატრიარქმა იგი ზიარებიდან განაყენა, როგორც ცოდვილი. ბარდა თავდაპირველად ცდილობდა პირმოთნეობით მოეპოვებინა პატრიარქის კეთილგანწყობა; მაგრამ როდესაც თავისი დანაშაულის შეწყნარებას ვერ ეღირსა, უდიდესი სიძულვილით აღივსო ეგნატეს მიმართ; მან გადაწყვიტა, ყოველი ღონე ეხმარა მისი ტახტიდან ჩამოსაგდებად. როგორც იმპერატორ მიხეილის ბიძა და თეოდორას ძმა (რომელიც მართალია არ ამართლებდა ძმის საქციელს), ბარდა იმ დროს დიდი უფლებებით და ძალით სარგებლობდა, და თავისი სურვილისამებრ მართავდა იმპერატორსა და სამეფო კარს. საკუთარი განზრახვის განსახორციელებლად, ყოველგვარი დაბრკოლების თავიდან აცილების მიზნით, მან იმპერატორს ურჩია, სახელმწიფო საქმეებს ჩამოეშორებინა დედამისი თეოდორა და და თეკლა, რომლებიც იმპერატორის ხელისუფლებას იყოფდნენ და პატრიარქ ეგნატესათვის მათი მონაზვნად აღკვეცა ებრძანებინა. მიზეზად ბარდა ასახელებდა იმას, რომ იმპერატორი ბავშვობის ასაკიდან გამოსულია, და უმართებულოა, დედას ემორჩილებოდეს, რომელიც გათხოვებას აპირებს და იმპერატორის ხელისუფლებაც თავის მომავალ მეუღლეს უნდა რომ გადასცეს; რაშიც მას მხარს უჭერს და ეხმარება პატრიარქი ეგნატე. ახალგაზრდა იმპერატორმა ირწმუნა ბიძის სიტყვები და პატრიარქს მაშინვე უბრძანა დედისა და დის აღკვეცა. პატრიარქი არ თანხმდებოდა და პასუხობდა, რომ სამეფო პირთა აღკვეცა მათი ნება-სურვილის წინააღმდეგ ყოველგვარ კანონს ეწინააღმდეგება, რომ მას არ შეუძლია, ძალდატანებით აიძულოს ისინი,

---

[11] Leo Grammat. in Chronagraphia, edit. Paris. 1655. pag. 462. Johan. Zonal. Tom. II. peg. 161. edit. Paris. 1687. Noan. Seyt. Collect. Concil, Hard. Tom. V. col. 1148.

იტვირთონ ბერმონაზვნური ცხოვრება, რომელსაც საკუთარი ნებით არ ირჩევენ; რომ მან ფიცი დადო და ვალდებულია, არასოდეს მათი საწინააღმდეგო ბოროტი განზრახვები არ იქონიოს. მაგრამ ამ პასუხმა იმპერატორს კიდევ უფრო განუმტკიცა ეგნატეს შეეხებოდა; ამის გამო მან დედამისი თეოდორა და თავისი და სასწრაფოდ ჩამოაცილა სახელმწიფო საქმეებს და ბრძანა, დაუყოვნებლივ აღეკვეცათ ისინი კარიანის მონასტერში. ამის შემდეგ მალე პატრიარქიც ჩამოაგდო ტახტიდან[12].

§ 8. თუ ეგნატეს მომხრე ისტორიკოსებს დავუჯერებთ[13], მაშინ იმპერატორმა მიხეილმა, ბარდამ და მათმა თანამოაზრეებმა გაითვალისწინეს, რომ იმ შემთხვევაში, თუ ეგნატე ნებაყოფლობით არ უარყოფდა პატრიარქის ტახტს, მაშინ სამღვდელო დასის დიდი ნაწილი ახალ პატრიარქს უხალისოდ შეხვდებოდა; პატრიარქის არჩევას კი ისინი სამ დღეში აპირებდნენ. მათ ორგზის წარგზავნეს ეპისკოპოსები და რჩეული დიდებულები, რათა მათ დაპირებებით თუ მუქარით დაეყოლიებინათ ეგნატე, საკუთარი ნებით განეცხადებინა წერილობითი უარი ტახტზე. მაგრამ ეგნატე არავითარ შემთხვევაში არ თანხმდებოდა, თუმცა, იმპერატორის წერილში პაპი ნიკოლოზის მიმართ ნათქვამია, რომ ეგნატემ თვითონ თქვა უარი საეკლესიო საქმეების მართვაზე მოხუცებულობისა და ხორციელი უძლურების გამო.

§ 9. ყოველივე ამის შემდეგ დიდხანს მსჯელობდნენ და ბჭობდნენ, თუ ვინ აეყვანათ საპატრიარქო ტახტზე. ამ მაღალი წოდების ღირსად მიიჩნიეს ფოტი, ვინაიდან იგი ამ დროისათვის განთქმული იყო არამარტო სიბრძნით, არამედ კეთილმსახურებითაც; და ეპისკოპოსებისა და დასის წევრთა კრებაზე, რომელსაც თვით იმპერატორი და მისი ბიძა ბარდა ესწრებოდნენ, იგი სამეფო ქალაქის პატრიარქად გამოაცხადეს. „ერთმანეთში მრავალი სჯისა და თათბირის შემდეგ პროტოსპა-

---

[12] Nicet. Dav. Hist. col 956.
[13] Irem col. 957 et 960.

თარი და პირველი მრჩეველი ფოტი აირჩიეს დედაქალაქის მთავარეპისკოპოსად“ — ამბობს ნიკიტა დავით პაფლაგონელი[14]. ფოტი არჩევაზე არ თანმხდებოდა, სთხოვდა, ეევედრებოდა, ტიროდა და უარს აცხადებდა მისთვის შემოთავაზებულ პატრიარქის წოდებაზე[15]. მაგრამ იმპერატორი დაჟინებით მოითხოვდა თავისას, შეიტყო თუ არა, რომ ფოტი ნებით არ თანხმდება, მან ძალას მიმართა. ბრძანა, დაეპატიმრებინათ იგი, ვიდრე იმპერატორის ნებას არ აღასრულებდა. ვინაიდან ფოტი ერისკაცი იყო, ამიტომ სირაკუზელმა მთავარეპისკოპოსმა გრიგოლმა ის პირველ დღეს ბერად აღკვეცა, მეორე დღეს ხელი დაასხა მედავითნედ, მესამე დღეს იპოდიაკვნად, მეოთხე დღეს დიაკვნად, მეხუთე დღეს მღვდლად, ხოლო მეექვსე დღეს, 25 დეკემბერს, ანუ ქრისტეს შობას, პატრიარქად[16]. მაგრამ ეს ყოველივე ერთ დღეში არ მომხდარა, როგორც ამას სტეფანე VI-ს სტილიან ნეოკასარიელი წერს[17]. თავდაპირველი წინააღმდეგობის მიუხედავად, ფოტის არჩევას დასთანხმდნენ ეგნატეს მომხრე ეპისკოპოსებიც, ასე რომ, იგი საერთო მოთათბირებითა და მთელი კრებულის თანხმობით აირჩიეს, თუ არ ჩავთვლით ხუთიოდე კაცს, რომელთა შესახებ ფოტის აშკარა მოწინააღმდეგენი — მიტროფანე სმირნელი, სტილიან ნეოკესარიელი, ნიკიტა და თეოგნოსტე მოგვითხრობენ. მაგრამ ამაშიც ძნელია მათ ერწმუნო, ვინაიდან ისინი მრავალ ფაქტს მიკერძოებულად აღწერენ, ხოლო ფოტის უაზროდ სწამებენ ცილს, ბრალს სდებენ იმაში, რაშიც მას არავითარი მონაწილეობა არ მიუღია და რის შესახებაც არაფერი სცოდნია. მაგალითად, თითქოს ფოტის თავად სურდა, რადაც არ უნდა დასჯდომოდა, პატრიარქი გამხდარიყო, თითქოს ის ყოფილიყოს ეგნატეს დამხობისა და ყველა მისი უბედურების მიზეზი. მაგრამ ჯერ ერთი, როგორც ზემოთ აღვნიშნეთ, ეგნატე იმპერატორმა და ბარდამ დაამხვეს. მეორეც, ფოტი ყოველგვარად

---

[14] Nicet. Dav. col. 960.
[15] Epist. Phot. ad Pontif. Nicol. et. Epist. VI. od Bardam, peg 69.
[19] Nicet. Dav. col. 961.
[17] Epist ad steph. VI. Pontit. Rom. in Sollect. Concil. Harduin. Tom. V. col. 1121.

ცდილობდა, თავი აერიდებინა პატრიარქიის წოდებისათვის, რომელიც მან თავისი სურვილის წინააღმდეგ მიიღო. ამის უტყუარი მოწმე თვით ფოტის წერილებია პაპი ნიკოლოზისა და ბარდას მიმართ[16]. ბარდას ფოტი სიცრუის მიწერას ვერ გაუბედავდა, ვინაიდან ბარდა თვითონ გახლდათ ამ საქმის მონაწილე და ყოველივე ზედმიწევნით უწყოდა. ხოლო ფოტის მტრები ნდობას არ იმსახურებენ, როგორც მისი მოწინააღმდეგენი, მითუმეტეს, რომ ისინი ზოგჯერ თვითონვე ეწინააღმდეგებიან ერთმანეთს.

§ 10. გაძევებული ეგნატეს მომხრეები თითქოს შეურიგდნენ ფოტის და იგი კანონიერ პატრიარქად აღიარეს; მაგრამ მისი აღსაყდრებიდან ორი თვეც არ გასულა, რომ კვლავ დაუპირისპირდნენ მას და თავისივე თანხმობა უარყვეს. ისინი განუდგნენ ფოტის და წმ. ირინეს ტაძარში შეკრებილებმა მისი დამხობა გადაწყვიტეს, ანათემას გადასცეს და ერთხმად მოითხოვდნენ საპატრიარქო ტახტზე ეგნატეს დაბრუნებას, რომელსაც კონსტანტინოპოლის ეკლესიის ერთადერთ კანონიერ მთავარეპისკოპოსად და მწყემსად მიიჩნევდნენ. ამგვარმა საქციელმა დიდი არეულობა გამოიწვია, ბევრი განუდგა ფოტის და ეგნატეს მიემხრო. ყოველივე ეს აშკარად შეურაცხმყოფელი იყო ფოტის თავგამოდებული დამცველებისათვის — იმპერატორ მიხეილისა და კეისარ ბარდასათვის. ორივენი ძლიერ განრისხდნენ, და, როგორც ნიკიტა წერს[19], გაძევებულ ეგნატეს მრავალი შეურაცხყოფა მიაყენეს, ყვრიმალს სცეს, ბოროკილი აასხეს, დაატუსაღეს და ბოლოს კუნძულ ტერევინტიდან მიტილენაში გადაასახლეს, რადგან ეგონათ, რომ არეულობა თვით ეგნატემ წარმოშვა ტახტის დაბრუნების მიზნით. ასევე მოექცნენ ეგნატეს ერთგულ ეპისკოპოსებსა და კრებულის წევრებს: ერთნი გადაასახლეს, მეორენი დააპატიმრეს, ხოლო ვინმე ვლასი — ქარტოფილაქსს ქადაგებისას გადაჭარბებული გამბედაობისათვის ენა ამოჭკვეთეს. შემდეგ წმ. მოციქულთა ტაძარში შედგა ეპისკოპოსთა და დასის წევრთა კრება, რო-

---

[16] Epist. III. pag. 67. et Ep. VI. pag 69. 70.
[19] Nicet. Dav. col. 964.

შელსაც იმპერატორი და ბარდაც ესწრებოდნენ. კრებაზე ეგნატე მღვდელმთავრობის უღირსად გამოცხადდა, იგი ეკლესიიდან განკვეთეს და შეაჩვენეს.

§ 11. ამგვარ დევნას ეგნატე ნამდვილად არ იმსახურებდა; იგი უსამართლოდ შეიპყრეს და განკვეთეს ეკლესიიდან; პირიქით, ის, როგორც პატრიარქი პატივისცემას იმსახურებდა და როგორც მოხუცი, თანაგრძნობის ღირსი იყო. კაცთა რისხვამ კი ხშირად არც კანონი იცის და არც ზღვარი. მაშინდელ ვითარებაში ამ კეთილი მოძღვრის მომხრეებს სხვაგვარად უნდა ემოქმედათ; მაგრამ მათ სძულდათ ფოტი. თვითონ სასულიერო წოდებისანი იყვნენ და საპატრიარქო ტახტზე ერისკაცს გულგრილად ვერ უცქერდნენ. შესაძლოა, მათ ერთგულება ამოძრავებდათ, მაგრამ ეს ერთგულება გონიერებას მოკლებული იყო. ფოტისადმი სიძულვილი იმდენად ძლიერი იყო, რომ მას ეგნატესა და ეგნატეს თანამდგომთა ყველა უბედურებაში ადანაშაულებდნენ, ცდილობდნენ, იგი ყველასათვის საძულველი გამხდარიყო. მაგრამ ფოტი არათუ ხელს უწყობდა იმ უბედურებებს, არამედ (როგორც ის ბარდა კეისარს სწერს[20]), თანაუგრძნობდა, წუხდა და გული შესტკიოდა ეგნატეზე. ფოტი შუამდგომლობდა ზემოთხსენებულ ვლასის, რომელსაც ენა ამოჭკვეთეს; საყვედურობდა ბარდას, როგორც ყოველივეს მიზეზს; ჩიოდა, რომ თავისი ნების წინააღმდეგ აკურთხეს პატრიარქად; ამბობდა, რომ მოსალოდნელ უბედურებათა შესახებ მან წინასწარ იცოდა და ამიტომაც არ თანხმდებოდა, და რომ იგი ყოველთვის მზადაა, პატრიარქის წოდებაზე უარი განაცხადოს. ფოტი ამას ვინმე შორს მცხოვრებ, ანდა მომხდარ მოვლენებში გაუთვითცნობიერებელ ადამიანს კი არ სწერდა, არამედ სწორედ იმ ბარდას, რომელმაც ყოველივე უწყოდა და ყველაფრის მიზეზიც იყო. ამასთანავე, საკმაოდ აშკარად ჩანს ამ წერილებიდან, რომ ფოტი არ თვალთმაქცობდა, არამედ გულწრფელად წერდა სინამდვილეს.

§ 12. თუმცა, ყოველივე ამან არათუ არ შეწყვიტა, არამედ

---

[20] Epist. III. pag. 63 et sequ te Ep. VI. pag. 69.

კიდევ უფრო გაამძაფრა მოწინააღმდეგე მხარეთა ბრძოლა და ეკლესიის მღელვარება, რომელსაც იმ დროისათვის კვლავ გაძლიერებული ხატმებრძოლთა მწვალებლობაც თან დაერთო. ამიტომ იმპერატორმა, ბარდას რჩევით, გადაწყვიტა წერილობით მიემართა რომის პაპი ნიკოლოზისათვის, რათა მას ეკლესიაში საცთურის შეწყვეტის მიზნით კონსტანტინოპოლის კრებაზე ელჩები გამოეგზავნა. თავის მხრივ მან წარავლინა ეპისკოპოსი მეთოდე, სამუელ, ზაქარია და თეოფილე, აგრეთვე პროტოსპათარიც, ძვირფასი ძღვენითურთ. ამ მართლაც რომ მეფურ საეკლესიო ჭურჭელს და შესამოსელს დაწვრილებით აღწერს ანასტასი ბიბლიოთეკარი ნიკოლოზის ცხოვრებაში[21]. იმპერატორი ხედავდა, რომ გადამტერებულთა შერიგება აღმოსავლეთის ეპისკოპოსთა მეშვეობით შეუძლებელია, მას მიაჩნდა, რომ თუ მოსაწვევ კრებაზე ეგნატეს დამხობასა და ფოტის არჩევას პაპი ნიკოლოზიც დაამოწმებდა, მაშინ სხვებიც იგივეს დაადასტურებდნენ, და ამგვარად აღმოსავლეთის ეკლესიაც დასცხრებოდა. მაგრამ ნიკოლოზისათვის ამ საქმის თაობაზე არავითარი ელჩობა არ წარუგზავნია ფოტის, როგორც მას ცილს სწამებენ ნიკიტა, მიტროფანე და სტილიანი, მისი აშკარა მტრები. ისინი წერილობით გვარწმუნებენ, რომ თითქოს ფოტის ნიკოლოზისათვის ელჩები ეთხოვოს ტახტის დასამტკიცებლად. სრულიად საწინააღმდეგოზე მეტყველებს ფრანცისკო კომბეფიზის მიერ ქრ. შ.-დან 1672 წელს პარიზში გამოქვეყნებული „წმიდა მამების ბიბლიოთეკის“ დანართში მოთავსებული ფოტის წერილი პაპი ნიკოლოზის მიმართ, რომელიც ასე იწყება: „ძველი რომის პაპს, ყოვლადუწმიდეს ძმასა და თანამსახურ ნიკოლოზს“, ამასვე მოწმობს იქვე მოთავსებული პაპი ნიკოლოზის საპასუხო წერილიც ფოტისადმი: არცერთ ამ წერილში არაფერია ნათქვამი ელჩებზე, აღნიშნული ისტორიკოსები რომ ამბობენ, ფოტი მათი გამოგზავნის თხოვნით მიმართავდაო ნიკოლოზს. ცნობილია, რომ უწინ ქრისტესმიერი ურთიერთსიყვარულისა და ეკლესიათა შორის ურთიერთკავშირის დაცვისათვის, განსაკუთრებით კი მნიშვნელოვანი საეკლესიო მოვლენების დროს, ეკლესიები ერთმანეთს ეპის-

---

[21] T. I, pag. 409. Edit. Pom. 1718.

ტოლეებს უგზავნიდნენ. ამ ეპისტოლეებს ეწოდებოდათ საუწყებონი. მათი მეშვეობით ახლად არჩეული ეპისკოპოსები დანარჩენ ძმებს თავის აღსაყდრებას ატყობინებდნენ, და თანამოაზრეობის დასტურად თავიანთ მრწამსს უგზავნიდნენ. ამ ძველ ჩვეულებას არც ფოტი ღალატობს და ნიკოლოზს ამცნობს თავის აღსაყდრებას, რომელიც მისი ნების წინააღმდეგ მოხდა. უგზავნის მას მრწამსს, რადგანაც, როგორც იგი ამბობს, „ყველაფერს აღემატება რწმენით ერთობა და ყველაზე წმიდაა ჭეშმარიტი სიყვარული“...

§ 13. როგორიც არ უნდა ყოფილიყო იმპერატორის განზრახვა, ის კარგად არ მოიქცა, როდესაც პაპს ელჩები გაუგზავნა. მისმა მოქმედებამ ის დამღუპველი უთანხმოება გააღვივა, მომავალში აღმოსავლეთისა და დასავლეთის ეკლესიათა განყოფით ეკლესიას დიდი ზიანი რომ მიაყენა. პაპი ნიკოლოზი ძალაუფლების მოყვარე იყო, ამასთან მას თავის წინამორბედებთან შედარებით, ყველაზე მეტად სურდა, ძალაუფლება უკვე თითქმის სრულიად დამონებული დასავლეთიდან აღმოსავლეთამდე გაევრცელებინა, რათა, როგორც ბასილი დიდი ამბობს[22], ის მსოფლიო საეკლესიო მონარქია შეექმნა, რომელზედაც დასავლეთური ამპარტავნება ოცნებობდა. პაპი დიდი სიხარულით შეეგება იმპერატორის ელჩებს, ძღვენსა და წერილს; მან ბრძანა თხოვნის დაუყოვნებლივ აღსრულება, რადგანაც იმედოვნებდა, რომ ამ ყველაზე უფრო ხელსაყრელი შემთხვევით იგი თავის მიზანს განახორციელებდა და აღმოსავლეთის ეკლესიას დასავლეთისას დაუმორჩილებდა. შემდეგ მან ელჩებად წარგზავნა ეპისკოპოსები როდოალდი და ზაქარია, დაავალა, თვითონ გაერკვიათ და კეთილმსახურებისა და სამართლიანობის კანონების დაცვით გადაეჭრათ წმ. ხატების საკითხი, ხოლო ფოტისა და ეგნატეს საქმე არ გადაეწყვიტათ, არამედ საფუძვლიანად გამოეკვლიათ, რომში დაბრუნებულიყვნენ და ყოველივე მისთვის მოეხსენებინათ, რათა მას, როგორც უზენაეს მოსამართლეს, მსჯავრი და განაჩენი გამოე-

---

[22] Oper. S. Bas. T. III. pag. 368. edit Paris 1730 an.

ტანა[23]. როდესაც პაპის ელჩები კონსტანტინოპოლში ჩავიდნენ, წმ. მოციქულთა ტაძარში მოწვეულ იქნა კრება, რომელსაც 318 ეპისკოპოსი დაესწრო, ანუ იმდენივე, რამდენიც პირველ ნიკეის წმ. კრებას. ამ კრებაზე ფოტი კანონიერ პატრიარქად აღიარეს, რაც პაპის საპირისპირო ბრძანების მიუხედავად, ნიკოლოზის ელჩებმაც დაადასტურეს. იმპერატორსა და პატრიარქს ნიკოლოზის მიერ წარმოგზავნილი ელჩები ამ საქმის გამომძიებლად და მსაჯულად კი არ სჭირდებოდათ, არამედ საერთო სიმშვიდის ხელისშემწყობად და შემწედ. ისინი არაფრით არ თანხმდებოდნენ პაპი ნიკოლოზის სურვილს, რომ საქმე, რომელიც კონსტანტინოპოლის ეკლესიას ეხებოდა, განსახილველად და გადასაწყვეტად გადასცემოდა რომს — გარეშე სამსჯავროს. კრების დახურვის შემდეგ (რომელიც მეორე — პირველად იწოდება, რადგანაც მასზე დამსწრე მამები ორჯერ შეიკრიბნენ[24]), იმპერატორმა კრების აქტი პაპ ნიკოლოზს გაუგზავნა და სთხოვა, საგანგებო წერილით დაედასტურებინა ყოველივე, რაც კრებამ დაადგინა. პატრიარქმა ფოტიმაც გაუგზავნა კრებამდე მიღებული ეპისტოლეს საპასუხო წერილი პაპ ნიკოლოზს. ამ წერილში იგი ნიკოლოზის ყველა ფრიად უხეშსა და შეურაცხმყოფ გამოთქმას სიყვარულისა და ერთგულების ნიშნად მიიჩნევს, და გარკვევით ამბობს, რომ ივი იძულებული იყო, პატრიარქის ტიტული ნების წინააღმდეგ მიეღო. და წერს, რომ როცა უწინდელ მშვიდ მდგომარეობას ახლანდელ პატრიარქის ტახტზე ყოფნას ადარებს, თავს ძალზე უბედურად თვლის, ამიტომაც სიბრალულს უფრო იმსახურებს, ვიდრე გაკიცხვას. ამასთან დასძენს, რომ თუმცა იგი პატრიარქად ერისკაცთაგან აკურთხეს, მაგრამ მას საეკლესიო კანონები არ დაურღვევია, რადგანაც ის კანონები, რომელიც ამას კრძალავს, მხოლოდ ლათინთა ეკლესიაშია მიღებული, და არა აღმოსავლეთისაში. შესაბამისად, აღმოსავლეთში ვინც ამ კანონებს არ იცავს, იგი არც მათი დამრღვევი არაა. ყველასათვის სავალდებულოა მხოლოდ მსოფლიო, საყოველთაოდ

---

[23] An' Bibliothec in vita Nic. T. I, p. 409 et 414. edit. 1649. Paris.

[24] Balsam. schol. ad, hanc. Synod in Synod. Beveteg. T. I, p. 331, edit. Oxon 1672.

დადგენილი კანონების დაცვა; კერძო კანონებიდან კი ლათინთა ეკლესიის მიერ მიღებული ზოგიერთი კანონი აღმოსავლეთისას არ ეთანხმება; მაგალითად, აღმოსავლეთის ეკლესიაში მღვდლებს უფლება აქვთ, მეუღლე ჰყავდეთ, ლათინთა ეკლესია კი ამას კრძალავს. აღმოსავლეთის ეკლესიაში ერისკაცობიდან საპატრიარქო ტახტზე აიყვანეს ნექტარი, ტარასი და ნიკიფორე; ლათინი ამბროსი მედიოლანელიც მონათვლისთანავე მთავარეპისკოპოსად აკურთხეს. შემდეგ ფოტი წერს, რომ დასავლეთისა და აღმოსავლეთის ორ ეკლესიას შორის მეტი ერთობისა და თანხმობის მიზნით, ყოველგვარი საცთურის ლოდის თავიდან ასაცილებლად მან კრებაზე ისიც დაადგინა, რომ ამიერითგან ეპისკოპოსად ერისკაცთაგან აღარავინ აერჩიათ. შემდეგ ფოტი ნიკოლოზს არწმუნებს, წმ. მამების დადგენილებებს არ გადააბიჯოს და წერილობითი მოწმობების გარეშე არ მიიღოს კონსტანტინოპოლიდან რომში ლტოლვილნი[25], უმალ არ ირწმუნოს მათი, ვინაიდან ეს ხალხი უმეტესწილად თვითონაა საცთურის მიზეზი და დანაშაულის ჩამდენი, ისინი რომში იმისათვის გარბიან, რომ დამსახურებულ სასჯელს გადაურჩნენ, თავისი ეპისკოპოსების შესახებ ცილისწამებებს ავრცელებენ და ეკლესიის წინამძღვართა შორის მშვიდობას და თანხმობას არღვევენ. ბოლოს, ფოტი პირდაპირ აცხადებს, რომ იგი უხალისოდ ავიდა საპატრიარქო ტახტზე, ასევე უხალისოდ რჩება მასზე და ყოველთვის მზადაა, იგი დატოვოს.

§ 14. ადვილი წარმოსადგენია, როგორ შეხვდებოდა ნიკოლოზი აღნიშნული კრების გადაწყვეტილებას. იგი განაწყენდა, რომ კონსტანტინოპოლის საქმე მისი იმედისა და სურვილის შესაბამისად არ დაგვირგვინდა; გადაწყვიტა, შური ეძია თავისი უზომო ძალაუფლებისმოყვარეობის შეურაცხყოფისათვის და ფოტის დაუფარავ მტრად და ეგნატეს ქომაგად იქცა. პაპი ეკლესიაში უზენაესი ძალაუფლების მიღწევას ესწრაფვოდა, ამიტომაც თავდაპირველად მან იმპერატორ მიხეილს ეპისტოლე გაუგზავნა, რომელშიც ხატთმებრძოლთა თაო-

---

[25] Canon. Apostol. XIV et XXXII.

ბაზე მიღებულ გადაწყვეტილებას ადასტურებდა, ხოლო ეგნატეს დამხობასა და ფოტის არჩევას არ ეთანხმებოდა. გარდა ამისა, ყოველგვარი საცთურისა და ეპისკოპოსებისა და სამღვდელო დასის წევრების აზრთა სხვადასხვაობის საბოლოოდ შეწყვეტის მიზნით ურჩევდა, მიემართა რომის ეკლესიის სამსჯავროსა და გადაწყვეტილებისათვის. იმპერატორისადმი ეპისტოლეს ტონი ზომიერია, სამაგიეროდ პაპი მკაცრად სწერს პატრიარქ ფოტის, რომ რომის ეკლესია ყველა დანარჩენ ეკლესიათა თავია იმ უპირატესობის გამო, რომელიც პეტრე მოციქულს იესო ქრისტემ მიანიჭა, და რომ აქედან გამომდინარე, რის დადგენასაც იგი მოისურვებს, დანარჩენებმა უცვლელად უნდა შეასრულონ, თუნდაც ეს ტრადიციებს ეწინააღმდეგებოდეს. რომ ის (ფოტი) ერისკაცობიდან გახდა პატრიარქი, რითაც მიუტევებელი დანაშაული ჩაიდინა, რადგან დასავლეთის ეკლესიის კანონები ამას კრძალავს, ფოტი კი ვალდებულია მის დადგენილებებს სცნობდეს და იცავდეს; რომ ნექტარი მართლაც ერისკაცი იყო, როდესაც იგი ამ უწმინდეს ხარისხში აიყვანეს, მაგრამ მაშინ კრებულში მასზე ღირსეული არავინ აღმოჩნდა. ტარასიც იმიტომ გახადეს საპატრიარქო ტახტის ღირსი, რომ იგი ხატის თაყვანისცემისათვის იბრძოდა, ხოლო ამბროსი პატრიარქად სასწაულთმოქმედების გამო აკურთხეს; ფოტი კი აღესაყდრა ერისკაცობიდან, თანაც ჯერ კიდევ ეგნატეს სიცოცხლეში და მისი სურვილის წინააღმდეგ, ამიტომ რომის პაპი მას პატრიარქად არ აღიარებს, და ამ წოდების ღირსად მაინც ეგნატეს მიიჩნევს. ასეთია ფოტის მიმართ ნიკოლოზის საპასუხო ეპისტოლეს შინაარსი! მაგრამ პაპი ორ პუნქტს არ პასუხობს: ნიკიფორეს თაობაზე, რომელიც კონსტანტინოპოლის ეკლესიამ პატრიარქად ყოველგვარი განსაკუთრებული საჭიროების გამო აირჩია და დაამტკიცა; და საცთურის დანაშაულებრივ წარმომშობთა შესახებ, რომლებიც კონსტანტინოპოლიდან რომში გარბოდნენ და რომლებსაც ნიკოლოზი ღებულობდა. გარდა ამისა, პაპმა მეორე ეპისტოლე გაუგზავნა აღმოსავლეთის პატრიარქებსა და მთავარეპისკოპოსებს, რომელშიც მათ ატყობინებს, რომ რომის ეკლესია ფოტის არჩევას არ ეთანხმება, და მბრძანებლური კილოთი მოციქულეობრივი უფ-

ლებით (როგორც თვითონვე ამბობს) მოითხოვს, რომ ისინიც ასევე მოიქცნენ და დანარჩენებსაც ამცნონ ყოველივე.

§ 15. ამგვარად წერდა პაპი ნიკოლოზი აღმოსავლეთს[26]. დასავლეთში კი მან ყველა ეპისკოპოსი რომში შეკრიბა, მოიწვია კრება, რომელზედაც კონსტანტინოპოლის აქტის წაკითხვა ბრძანა და საზეიმოდ განაცხადა, რომ იგი ადანაშაულებს ფოტის, როგორც ერისკაცობიდან ასულს საპატრიარქო ტახტზე და შეჰრაცხავს მას, ვითარცა მპარავსა და ავაზაკს. რომ ფოტი ფიცის გამტეხია, ვინაიდან მან წერილობით დადო აღთქმა, გაძევებული ეგნატე და მისი მეგობრები არ შეევიწროვებინა, შემდეგ კი მათ არაერთი ბოროტება მიაგო და ბოლოს კრებაზე ანათემასაც გადასცა; რომ მან კრება უკანონოდ მოიწვია; რომის ეკლესიის გასაწბილებლად კი ელჩები (პაპის) მოატყუა და პაპის ბრძანების მიუხედავად თავის მხარეს გადაიბირა; რომ იგი უსამართლოდ მოიქცა, როცა ღირსება აჰყარა მის წინაადმდგომ ეპისკოპოსებს და მათ ნაცვლად თავისი თანამოაზრეები დაადგინა. ამ მიზეზთა გამო პაპმა დაგმო ფოტის პატრიარქობა და მღვდლობა, იგივე განაჩენი გამოუტანა მის მიერ ხელდასხმულებს და ისინი ერისკაცებად გამოაცხადა; რაც შეეხება ეგნატეს, პაპმა ბრძანა მისი კანონიერ და ჭეშმარიტ პატრიარქად აღიარება და მის გამო წამებულ ეპისკოპოსთა უწინდელ ადგილებზე დაბრუნება; ამასთან ყოველ ერისკაცსა თუ სამღვდლო დასის წევრს, რომელიც ამ კრებაზე მიღებულ დადგენილებას დაარღვევდა, იგი ანათემით, შეჩვენებით, განუხსნელი განკვეთით და მარადიული სატანჯველით ემუქრებოდა. პაპმა ნიკოლოზმა ყოველივე ამის შესახებ აცნობა აღმოსავლეთს, ხოლო ფოტის, ბარდა კეისარსა და ეგნატეს საგანგებო ასლები გაუგზავნა. აქედან ნათლად ჩანს, რომ ნიკოლოზმა დაუჯერა რომში ლტოლვილ ფოტის მტრებს, რადგანაც იგი ფოტის იმაში ადანაშაულებს, რაც ეგნატესა და მის მომხრეებს შესახებ წინასწარ იცოდა, ამიტომაც მიმართავდა პაპს, ეს იმპერატორმა და ბარდამ გაუკეთეს. თითქოს ფოტიმ ამის ხალხი არ მიეღო და მათთვის არ დაეჯერებინა. ალბათ, რომში

---

[26] Epist. Nicol. VII. ad Mich. Imper., et X ad Cler, Constantin., XI ad Phot., XII ad Bard., et XIII. ad Ignal. Patriarch., apud Harduin. Tom V.

მართლაც იყვნენ ასეთები, რომლებიც (როგორც ფოტი ნიკოლოზს სწერს) მძიმე დანაშაულისათვის დამსახურებული სასჯელის თავიდან აცილების მიზნით კონსტანტინოპოლიდან გარბოდნენ, და როგორც მსგავს დამნაშავეებს სჩვევიათ ხოლმე, ავად იხსენიებდნენ იმ მსაჯულებს, რომელთაგან სამართლიან სასჯელს მოელოდნენ. ნიკოლოზმა სწორედ მათი ცილისმწასწორედ დასავლეთის ეკლესიის კანონები დაარღვია, რომელსტანტინე ლარისელი, მიტროფანე სმირნელი, პავლე პონტოს ლიც კრძალავს წერილობით მოწმობათა გარეშე ასეთი ლტოლვილების მიღებას და მათი ჩვენებების სარწმუნოდ მიჩნევას, როდესაც ისინი ვინმეს ადანაშაულებენ. აი, ერთი ასეთი კანონი: „წმიდა მამებზე და ეპისკოპოსებზე ცილის მწამებელი და მათი სიძულვილით მგმობელი არ შეიწყნარებოდეს"[27]. თუმცა, სადაც ვნება ბობოქრობს, იქ კანონებს ადვილად ივიწყებენ.

§ 16. ნიკოლოზის მიერ დასავლეთიდან აღმოსავლეთისაკენ მიმართული ყოველგვარი განკვეთა თუ შეჩვენება მიჩნეულ იქნა, როგორც გარეშე სამსჯავროდან დამიზნებული უსუსური საბავშვო ისრები. ნიკოლოზს პროტოსპათარ მიხეილის მეშვეობით თვით იმპერატორმა გაუგზავნა პასუხი, რომელშიც იგი უარყოფს იმ უზენაეს ძალაუფლებას, რომლითაც პაპი ყველა ეკლესიაზე გაბატონებას ლამობს, უხსნის მას, რომ მან რომის ელჩები პატივის ნიშნად მოიწვია (რაც უწინ არცერთ იმპერატორს არ გაუკეთებია), და არა იმიტომ, რომ აღმოსავლეთის ეკლესია დასავლეთისას დაუმორჩილოს, ანდა ფოტისა და ეგნატეს საქმე მხოლოდ რომის პაპმა განსაჯოს, არამედ რათა პაპის ელჩთა თანდასწრებით უკვე დამხობილი ეგნატეს დამხობა და უკვე არჩეული ფოტის არჩევა განამტკიცოს, და ამგვარად სრულიად აღკვეცოს უთანხმოება ორ საწინააღმდეგო მხარეს შორის. ამასთან იმპერატორი აღნიშნავს, რომ ნიკოლო-

---

[27] Ecclesiae African. canon. VIII et IX apud Harduin. Tom II.. column. 869. conf. can. XXIII col. 876.

ზის წინააღმდეგობა ვერავითარ დაბრკოლებას ვერ შექმნის, ვინაიდან ამაზე აღმოსავლეთის ყველა პატრიარქი თანახმაა[28].

§ 17. მაგრამ პაპი ნიკოლოზი თავის აზრს ჯიუტად არ თმობდა, პირიქით, თავისი მიზნის განხორციელებას კიდევ უფრო ესწრაფვოდა. იგი საღმრთო წერილით შეიარაღდა და ყოველმხრივ შეეცადა აღმოსავლეთის ეს საწინააღმდეგო აზრი უკუეგდო. იმპერატორ მიხეილისადმი წერილში ნიკოლოზი მას უმტკიცებს, რომ ვინაიდან მოციქულმა პეტრემ მთელს ეკლესიაზე მეუფების უპირატესობა მიიღო არა კაცთაგან, არამედ ღვთისაგან, ანუ არა კრებების, არამედ თვით მაცხოვრის მიერ, ასევე მისი მემკვიდრენიც — რომის მღვდელმთავრები ყოველგვარი საეკლესიო საქმის უზენაესი მსაჯულები არიან. ამიტომ იგი მოითხოვს, თვით ეგნატე და ფოტი წარუდგნენ რომის სამსჯავროს; თუ ისინი ვერ გამოცხადდებიან, მაშინ არგამოცხადების მიზეზი წერილობით დაადასტურონ, შემდეგ კი მათი საქმის საფუძვლიანი განხილვისათვის თავისი რწმუნებულები გამოაგზავნონ, სახელდობრ: პატრიარქ ფოტის მხრიდან ყველა, ვინც კი გრიგორი სირაკუზელთან ერთად მოქმედებდა, ეგნატეს მხრივ — ანტონ კიზიკელი, ბასილი თესალონიკელი, კონსტანტინე ლარისელი, მიტროფანე სმირნელი, პავლე პონტოს ირაკლიიდან, აგრეთვე იღუმენები ნიკიტა ქრიზოპოლელი და ნიკოლოზ სტოდიელი და სხვები. განსახილველ საქმეზე დასასწრებად იმპერატორის მხრიდან იგი რომელიმე სამეფო კარის მოხელეს მოითხოვდა. მაგრამ ყოველივე ამით ნიკოლოზმა აღმოსავლეთს საბაბი მისცა, კიდევ უფრო უკუეგდო ის ძალაუფლება და უპირატესობანი, რომელსაც იგი საღმრთო წერილით ამტკიცებდა. აღმოსავლეთმა უპასუხა, რომ იესო ქრისტეს რომის ეკლესიისათვის არ მიუნიჭებია უპირატესობა მთელს ეკლესიაზე მეუფებისა, რომ უწინ რომს მხოლოდ იმიტომ გააჩნდა უპირატესობა, რომ იგი იმპერატორთა სატახტო ქალაქი იყო, ხოლო საიმპერატორო ტახტის რომიდან კონსტანტინოპოლში გადატანის შემდეგ იმპერატორის ხელისუფ-

---

[28] Collect. Concil. Harduin. Tom. V. col. 144-147.

ლებასთან ერთად პატრიარქობის უპირატესობამაც იქ გადაინაცვლა. ამ დროიდან მოყოლებული კონსტანტინოპოლის ეპისკოპოსს რომის ეპისკოპოსზე ნაკლები პატივი არ მიეგება, და რომის სურვილისდა მიუხედავად, მსოფლიო პატრიარქად იწოდება[29].

§ 18. ამასობაში იმპერატორი მიხეილი ბიძამის ბარდასთან ერთად მონაწილეობას ღებულობდა სარკინოზთა წინააღმდეგ ლაშქრობაში, რომლებიც კუნძულ კრეტას ესხმოდნენ თავს. ბარდამ ამ დროისათვის იმდენად დიდი ძალაუფლება მოიპოვა, რომ იმპერატორი ძლიერ შეეშვდა მასში და ბოლოს მისი უეცრად შეპყრობა და მის ფერხთით მოკვლა ბრძანა[30]. ამის შემდეგ ბიზანტიაში დაუყოვნებლივ დაბრუნებული იმპერატორი მალე მიხვდა, რომ სახელმწიფოს მართვას მარტო ვერ შეძლებდა, უფრო კი ახალი ღალატისა შეეშინდა, რის გამოც მან იმპერიის თანამმართველად გაიხადა სიბრძნითა და სიმამაცით განთქმული ბასილი მაკედონელი. მიხეილმა ის ჯერ იშვილა, ხოლო სულთმოფენობის დღეს, წმ. სოფიას ტაძარში მისთვის იმპერატორის დიადემის საზეიმოდ დადგმა უბრძანა პატრიარქ ფოტის, რომელმაც დაღუპული ბარდას სახით მართლაც დიდი მფარველი დაკარგა.

§ 19. როცა პაპი ნიკოლოზი მიხვდა, რომ მის ეპისტოლეებს წარმატება არ მოჰყოლია, იმავე წლის ბოლოს გადაწყვიტა, კონსტანტინოპოლში იმპერატორ მიხეილისათვის გაეგზავნა ელჩები: დონატ ეპისკოპოსი, ლევ პრესვიტერი და მარინ დიაკონი, რათა მათი ჩაგონებით იმპერატორს საპატრიარქო ტახტზე დაებრუნებინა ეგნატე, ხოლო ფოტი ჩამოეგდო. იგი ამასთანავე ითხოვდა, ისინი რომში ჩასულიყვნენ. ხოლო მისთვის გამოგზავნილი წერილი, რომელშიც რომის ეკლესიის ძალაუფლება და უპირატესობა უკუგდებული იყო, ცეცხლისათვის მიეცა. წინააღმდეგ შემთხვევაში პაპი იმუქრებოდა, რომ რომ-

---

[29] Synod. Chalcedon. can. 28. in collect. Conc. Harduin. Tom II. col. 611, et Synod. Constant. 1. can. 3 ibidem. Tom. I.

[30] ეს ხდებოდა ქრ. შ-დან 866 წელს. Vid. Constant. Porphyr. in. vita Basil. Maced. cap. XVII; peg. 148. edit. Paris. 1685.

ში კრებას მოიწვევდა, აღნიშნულ წერილს ხეს მიაკრავდა და აღმოსავლეთის ეკლესიის სამარცხვინოდ დაწვავდა[31]. მაგრამ აღმოსავლეთსაც უკვე სიტყვით ან წერილობით კი არა, ჭეშმარიტად სურდა, დაემტკიცებინა ნიკოლოზისათვის, რომ იგი სრულიადაც არ ეთანხმებოდა კონსტანტინოპოლის ეკლესიის დამორჩილებისაკენ მიმართულ პაპის მსჯელობასა და სწრაფვას. იმპერატორმა მიხეილმა და კეისარმა ბასილიმ ბრძანება გასცეს, ნიკოლოზის დესპანები იმპერიის საზღვრებს შიგნით არ შემოეშვათ, თუკი ისინი წინასწარ არ წარადგენდნენ მრწამსს, რომეშიც უარყოფილი იქნებოდა ლათინთა ყველა ის დოგმატი, რომელსაც კონსტანტინოპოლის ეკლესია არ იზიარებდა. იმპერატორის ამ ბრძანების შესახებ პაპის დესპანებმა უკვე ბულგარეთში ყოფნისას შეიტყვეს. მათ ი ქ ორმოცი დღე უმოქმედოდ დაჰყვეს, შემდეგ კი რომში დაბრუნდნენ, რათა გაგონილი პაპისთვის ეცნობებინათ[32].

§ 20. ორ ეკლესიას შორის არსებული უთანხმოება კიდევ უფრო გაღრმავდა ბულგარელთა ქრისტეანულ რწმენაზე მოქცევის გამო. ბულგარელები ბიზანტიის იმპერიისათვის საშიში ხალხი იყო, რომელიც თავისი ხშირი შემოსევებით დიდ ზიანს აყენებდა და აოხრებდა მას. იმპერატორმა მიხეილმა და ბარდა კეისარმა ისარგებლეს ხელსაყრელი შემთხვევით და როდესაც მთელს ბულგარეთში მოუსავლიანობის გამო დიდი შიმშილი მძვინვარებდა, მათ წინაალმდეგ მრავალრიცხოვანი ლაშქრით დაიძრნენ, ზღვიდან თუ ხმელეთიდან ალყაში მოაქციეს და უკიდურეს საფრთხეში ჩააგდეს. თავისი მეფის, ვოგორის თანხმობით ბულგარელებმა გადაწყვიტეს, უბრძოლველად დანებებულიყვნენ, ქრისტეანობა მიეღოთ და სამეფო დაექვემდებარებინათ კონსტანტინოპოლის იმპერატორისათვის. ხოლო ეკლესია — კონსტანტინოპოლის პატრიარქისათვის. ხელშეკრულების დადების შემდეგ ვოგორი ყველა თავისი დიდებულის თანხლებით სამეფო ქალაქში ჩამოვი-

---

[31] Nicol. Epist. VIII. in Collect. Concil. Harduin. Tom. V. col. 144 et 766 et IX Tom. col. 177.

[32]. ჭ. შ-დან 867 წელს.

და და მოინათლა. მისი ნათლია თავად იმპერატორი იყო, რომელმაც მეფეს თავისი სახელი მიხეილი უწოდა[33]. მზრუნველმა პატრიარქმა ბულგარეთში მაშინვე წარგზავნა მქადაგებლები, რომლებსაც ახლადმოქცეული ხალხი უნდა გაენათლებინათ და მისთვის მართლმადიდებლური რწმენის დოგმატები განემარტათ. პატრიარქი თვით მეფე მიხეილსაც განუწყვეტლივ უგზავნიდა ეპისტოლეებს და რწმენას განუმტკიცებდა. ამიტომაა, რომ ერთ-ერთ თავის ეპისტოლეში ფოტი მას შემდეგი სიტყვებით მიმართავს: „ჩემი შრომის შესანიშნავო ქმნილებავ, ჩემი სულიერი შობის კეთილშობილო და ჭეშმარიტო ნაყოფო“[34]! მაგრამ ამ შემთხვევის შემდეგ ორი წელიც არ გასულა, რომ ამ ეპარქიის თავისი ძალაუფლებისათვის დამორჩილების მიზნით პაპმა ნიკოლზმაც წარგზავნა ბულგარეთში თავისი ეპისკოპოსები, რომლებსაც ადგილობრივი მოსახლეობისათვის დასავლეთის ეკლესიის დოგმატები უნდა ესწავლებინათ. დასავლეთის ეპისკოპოსების სწავლებას იმდენად დიდი წარმატება მოჰყვა თან, რომ მათი ჩაგონებით მეფე მიხეილმა პატრიარქი ფოტი მიატოვა, ხოლო პაპ ნიკოლოზთან ძღვენით დატვირთული ელჩები წარავლინა და სთხოვა, მისთვის რჩევა მოეცა ადგილობრივი ეკლესიის აგებისა და ჯერ მოუნათლავი ბულგარელების თაობაზე[35]. არაა გასაკვირი, რომ ახლადმონათლული, გამოუცდელი ბულგარელები ნორჩი ტოტივით აღმოსავლეთის ეკლესიიდან დასავლეთის ეკლესიისაკენ გადაიხარნენ, მითუმეტეს, რომ ნიკოლოზის ეპისკოპოსები დაუფარავად ქადაგებდნენ, თითქოს კონსტანტინოპოლის პატრიარქი ფოტი ჭეშმარიტი და კანონიერი მწყემსმთავარი არ ყოფილიყოს და ამიტომ მის მღვდელმოქმედებებს არავითარი მადლი არ გააჩნდეს. ამგვარად, ისინი ხელმეორედ სცხებდნენ მირონს მათ, ვინც უკვე მოინათლა ადრე ჩასული აღმოსავლეთის მოძღვრების მიერ.

---

[33] ქ. შ-დან 866 წელს.

[34] Phot. Epist. I. sect. V. et sect. CXVIII.

[35] ქ. შ-დან 868 წელს. Vid. Anast. Bibl. Tom. I, p. 420. Metrophanis. epistol. ad Manuel. Patric. apud Baron C. X. an DCCCLXX num. LIII-LIX.

§ 21. ამგვარი საქციელი მეტისმეტად შეურაცხმყოფელი იყო კონსტანტინოპოლის მოძღვრებისათვის. ისინი ხედავდნენ, როგორ სტაცებდნენ ხელიდან სულიერ შვილებს, რომლებსაც მათ პირველებმა აუხილეს თვალი სახარებით და რძე კეთილ-მსახურებისა აწოვეს. განრისხებულმა პატრიარქმა ფოტიმ აღ-მოსავლეთის პატრიარქებსა და ეპისკოპოსებს აუწყა ამ დიდი შეურაცხყოფის შესახებ, რომელიც მას აღმოსავლეთის ეკლე-სიაში გაბატონებას მოწყურებულმა ნიკოლოზმა მიაყენა, ჩა-მოუყალიბა მათ ის დოგმატები, რომლებსაც რომის ეპისკოპო-სები ბულგარეთში ქადაგებდნენ, სხვათაშორის, მან განსაკუთ-რებით მიუთითა მასზედ, რომ მოციქულებისა და წმ. კრებების კანონების საწინააღმდეგოდ, ისინი მღვდლებს ცოლის ყოლას უკრძალავდნენ. ამის გამო ფოტი მათ ღვთისაგან განდგომილე-ბის მეთაურებს და ანტიქრისტეს მსახურებს უწოდებს: ფოტიმ იტალიიდან მიღებული წერილების ასლებიც გააგზავნა, სადაც ზოგიერთი დასავლეთის მთავარეპისკოპოსი, სახელდობრ ტრე-ვირელი თევდაგარი, კოლონელი გუნთერი და რავენელი იოანე ნიკოლოზის მეტისმეტ სისასტიკეს უჩიოდნენ და დახმარები-სათვის კონსტანტინოპოლის ტახტს მიმართავდნენ; დასასრულ, მან ისინი კრებაზე მოიწვია მამების დადგენილებების და კა-ნონიერი უფლებების დაცვისა და განმტკიცებისათვის, საყო-ველთაო მშვიდობის დამყარებისა და პაპი ნიკოლოზის ჩანა-ფიქრთა შეწყვეტისათვის[36]. მაშინვე შედგა კრება პატრიარქ ფოტის თავმჯდომარეობით. მას ესწრებოდნენ ალექსანდრიის, ანტიოქიისა და იერუსალიმის პატრიარქთა თანამოსაყდრენი, ეპისკოპოსები, კრებულის წევრები, თვით იმპერატორი მიხე-ილი და ბასილი კესისარი, აგრეთვე სენატორები, დიდებულნი და სხვა მრავალი ერისკაცი. კრებაზე ნიკოლოზის მოქმედება საყოველთაოდ ამხილეს და საგულდაგულო განსჯის შემდეგ მისი დამხობის გადაწყვეტილება მიიღეს, იგი ეკლესიური ძმო-ბის უღირსად ცნეს და დასასრულ ყველა თავის თანამოზიარეს-თან ერთად ანათემას გადასცეს. კრების აქტები ქალკედონელი

---

[36] Epist. II. peg. 47 ad 61. აგრეთვე Harduin. Tom. V.

მიტროპოლიტი ზაქარიასა და თეოდორე კარიელის ხელით უწყებისათვის გაეგზავნა თვით პაპ ნიკოლოზს.

§ 22. მაგრამ მალე მოვლენათა ახალი რიგი განვითარდა, საიმპერატორო სახლსა და საპატრიარქოში დიდი ცვლილებები მოხდა. წმ. მოწამის მამანტის სასახლეში ბასილი მაკედონელის ხელით სიცოცხლეს გამოესალმა იმპერატორი მიხეილი, რომელიც თხუთმეტ წელიწადს მეფობდა დედამის თეოდორასთან ერთად, ცხრა წელიწადს მარტო, ხოლო წელიწადსა და ოთხ თვეს — კეისარ ბასილისთან ერთად. თუ ამ საქციელით ვიმსჯელებთ, ბასილი მართლაც უმადურობის მწვერვალად შეიძლება მივიჩნიოთ, მაგრამ, როგორც ამბობენ, მიხეილმა, რომელსაც ყველაფრისა სჯეროდა, ბოროტი ხმების ირწმუნა და ბასილის მოკვლა თვითონ განიზრახა. ბასილიმ გადაწყვიტა, მიხეილისათვის დაესწრო, რადგანაც მან უწყოდა მის წინააღმდეგ მიმართული მზაკვრობისა და ცილისწამების შესახებ. ამგვარად ბასილი მაკედონელი იმპერატორის ტახტის ერთადერთი მფლობელი და რომის თვითმპყრობელი გახდა, ამის შემდეგ მან ფოტი საპატრიარქო ტახტს ჩამოაცილა და სკეპის მონასტერში დაამწყვდია, ხოლო ეგნატესთან ილია დრუნკარი (ფლოტის მხედართმთავარი) წარგზავნა, გადასახლებიდან გამოიწვია და კვლავ პატრიარქობა დაუბრუნა[37]. პატრიარქ ფოტისაკენ მიმართული ეს მრისხანება ფრიად უცნაურია, ვინაიდან ბასილი ფოტის ყოველთვის პატივისცემით, სიყვარულითა და ნდობით ეპყრობოდა. ამას მოწმობს ისიც, რომ კეისარმა მას თავისი ვაჟიშვილიც კი მოანათვლინა. ზოგიერთი ამბობს[38], რომ ბასილიმ ეს გააკეთა ორი მტრული მხარეს შერიგების მიზნით, კერძოდ, თითქოს მან ფოტი განაშორა ეგნატეს გარდაცვალებამდე. სხვების თქმით, იმპერატორის ამგვარი საქციელი პირადული უკმაყოფილებიდან გამომდინარეობდა. იგი ისევე მოიქცა, როგორც ჩვეულებრივ ექცევა ხოლმე მბრძანებელი

---

[37] Symeon. magister et logophet. inter Sezipt. Histor. Byzantin. post Pheophan. p. 454 edit. Paris. 1685.

[38] Const. Porphyrog. in vita Basil. Maced. inter seript. N. Byz. post Theophil. cap. XXXII. p. 163.

მონას, რომელიც მას წინააღმდეგობას უწევს. მაგრამ რა პირადული უკმაყოფილება უნდა ყოფილიყო მათ შორის? თვით ფოტი მიანიშნებს ამის შესახებ ერთ-ერთ თავის წერილში ბერი თეოდორისადმი[39]. სამაგიეროდ ამას დაუფარავად აცხადებს ზონარა თავისი მატიანის 101-ე წერილში ქ. შ-დან დაახლოებით 857 წელს[40]. კერძოდ, როდესაც მიხეილის სიკვდილისა და ტახტზე ასვლის შემდეგ ბასილი საკათედრო ტაძარში საზიარებლად მივიდა, პატრიარქმა ფოტიმ განაყენა ზიარებიდან და მიხეილის მკვლელობაში ამხილა. იმპერატორმა ეს მხილება ვერ აიტანა და ფოტისადმი მისი უწინდელი სიყვარული უმალ დიდმა სიძულვილმა შეცვალა. იგივეს მოგვითხრობს ლევ გრამატიკოსიც[41].

§ 23. ფოტი დიდსულოვნად გადაიტანდა ტახტიდან თავის ჩამოგდებას, მისთვის მშვიდი ცხოვრების საშუალება რომ მიეცათ იმ მონასტერში, რომელიც მას საპყრობილის ნაცვლად მიუჩინეს. მაგრამ მის წინააღმდეგ დაწყებული დევნა ამით არ დამთავრებულა: ერთის მხრივ, ტახტზე ასულმა და კვლავ უფლებამოსილმა პატრიარქმა ეგნატემ ეკლესიიდან განკვეთა ფოტიც და ყველა მის მიერ ხელდასხმული თუ მასთან კავშირში მყოფი[42]. მეორეს მხრივ, იმპერატორმა, რომელიც ალბათ ფიქრობდა, რომ პაპი ნიკოლოზი ფოტის დამხობას დასთანხმდებოდა, რომში ელჩები წარგზავნა, რათა პაპს, როგორც მსაჯულს, ეს საქმე გადაეწყვიტა. ეგნატეს მხრივ მან გაგზავნა სილეელი მიტროპოლიტი იოანე, ფოტის მხრივ — სარდიელი მიტროპოლიტი პეტრე, ხოლო თავის მხრივ — პროტოსპათარი ბასილი. გარდა ამისა, იმპერატორი წერილობით მიმართავდა პაპს, ამ საქმის განხილვის შემდეგ კონსტანტინოპოლში ზემოხსენებული ელჩებთან ერთად რომში თავისი დესპანებიც გამოაგზავნა, რათა კრებას აქაც იგივე გადაწყვეტილება მიეღო. ელჩები კონსტანტინოპოლიდან გაემგზავრნენ და თან უკანასკნე-

---

39 Epist. CXVIII. peg. 160.

40 Tom. II. peg. 167. edit. Paris, 1687.

41 Leo Gramat. in Chzonograph. edit. Paris. 1655, pag. 471.

41 Leo Gramat. in Chronograph. edit. Paris. 1655. pag. 471. et caet.

ლი კრების აქტები წაიღეს, იმ კრებისა, რომელზედაც პაპი ნიკოლოზი განიკვეთა. რომისაკენ მიმავალ გზაზე მათი გემი დაიღუპა, და სარდიელი მიტროპოლიტი პეტრე, რომელსაც ფოტი უნდა დაეცვა, დაიხრჩო, ხოლო დანარჩენები მშვიდობიანად ჩავიდნენ რომში[43]. ადვილი მისახვედრია, თუ რა მიზანი ამოძრაეებდა ბასილის, როდესაც ის პაპს ფოტის საქმეს გადასცემდა. ნიკოლოზი ხომ ფოტის უმძვინვარესი მტერი იყო. ბასილის სურდა, ორივე ეკლესიის მიერ ერთხმად დაემცირებინა, დაეგმო და დაემხო ფოტი; მაგრამ როდესაც იგი მიზნის მისაღწევად ამ გზას მიმართავდა, მან ვერ გაითვალისწინა, რომ პაპი ნიკოლოზი შემთხვევით ისარგებლებდა და თავის ძალაუფლებას კონსტანტინოპოლის ტახტზე გაავრცელებდა. იგი ოცნებობდა ამაზე მიხეილის ელჩობის ვიზიტის შემდეგ და მის განსახორციელებლად ძალ-ღონეს არ იშურებდა. ადვილი წარმოსადგენია, როგორი სიხარულით შეხვდებოდა პაპი ნიკოლოზი ელჩებს, როდესაც მათ თავისი სამსჯავროს წინაშე იხილავდა და იმ სანუკვარ მიზანს მიაღწევდა, რომლისთვისაც ყოველმხრივ ირჯებოდა. მაგრამ ნიკოლოზი ამ სიხარულს ვერ მოესწრო, ვინაიდან სანამ ის კონსტანტინოპოლის ორი პატრიარქის მსაჯული გახდებოდა, თვითონ წარსდგა ცხოველთა და მკვდართა უზენაესი მსაჯულის წინაშე, ანუ გარდაიცვალა. ეს მოხდა იმავე წელს. ტახტზე ადრიანე მეორე ავიდა[44].

§ 24. კონსტანტინოპოლის ელჩებმა წერილი სწორედ ამ ახალ პაპს ჩააბარეს და მას იმპერატორის სურვილი აუწყეს. პაპმა ადგილობრივი კრება მოიწვია და ყველაფერი მოიწონა, რაც კი იმპერატორმა ფოტის წინააღმდეგ მოიმოქმედა. მან ნიკოლოზის წინააღმდეგ მიღებული ყველა გადაწყვეტილება დაწვის ღირსად ცნო, ხოლო ფოტი და მის მიერ ხელდასხმული შეაჩვენა, მათთვის სასულიერო ხარისხის აყრა და ერისკაცებად დაქვეითება ბრძანა (რაც მას არავითარ შემთხვევაში არ უნდა მოემოქმედა, ვინაიდან ფოტის წინააღმდეგ წამოყენებუ-

---

[43] Nicet. David. col. 985. Collect. Concil. Harduin. col. 786. Tom. V.

[44] ქ. შ-დან 867 წელს. Anast. Biblioth. Tom. I. pag. 423.

ლი ბრალდებების სამართლიანობის შემთხვევაშიც კი მის მიერ აღსრულებული ხელდასხმა ჭეშმარიტი იყო), იგივე განაჩენი გამოუტანა მან ყველა მის თანამოაზრეს, რომლებიც კონსტანტინოპოლის უკანასკნელ კრებას ესწრებოდნენ; პაპმა დალოცა ყველა, ვინც კრების აქტებს გაანადგურებდა, განსაკუთრებით მოიხსენია იმპერატორი ბასილი, რომელსაც თავისი ყველაზე უფრო კეთილსაიმედო შვილი და ყველაზე უფრო მართლმადიდებელი იმპერატორი უწოდა; ურჩია მას დედაქალაქში კრება მოეწვია. პაპმა თავის მხრივ დესპანებად წარგზავნა დონატ და სტეფანე ეპისკოპოსები და მარინ დიაკვანი. მათ კრებაზე უნდა დაედასტურებინათ ყოველივე ის, რაც პაპმა ფოტის წინააღმდეგ რომში მოიმოქმედა; მაგრამ მათ უპირატეს მიზანს წარმოადგენდა იმ კრების ყველა ნუსხის დაწვა, რომელზედაც ნიკოლოზი განკვეთეს. ხოლო მას, ვინც არ მოისურვებდა, აქტები კრებისათვის წარედგინა, პაპი სამუდამო შეჩვენებით და თვით ქრისტეანის სახელის დაკარგვით ემუქრებოდა. ყველაფერმა ადრიანეს სურვილისამებრ ჩაიარა: ლეგატები კონსტანტინოპოლში ჩამოვიდნენ, თან წერილი ჩამოიტანეს. ქ. შ-დან 869 წლის 6 ოქტომბერს, თავისი მეფობის მესამე წელიწადს, იმპერატორმა ბასილიმ კრება მოიწვია თვით იმპერატორის, მისი ორი ძმის, კონსტანტინესა და ლევის, ადრიანეს სამი დესპანის, პატრიარქ ეგნატესა და აღმოსავლეთის საპატრიარქო ტახტების მოსაყდრეთა გარდა (სხვათა შორის, მათ შესახებ ამბობენ, თითქოს ისინი აღმოსავლეთის ემირის წარმოგზავნილი ისმაიტელი ელჩები ყოფილიყვნენ, რომლებიც კონსტანტინოპოლში კრების წინ ჩამოსულან) მას აღმოსავლეთის საეპარქიოებიდან შეკრებილი 102 ეპისკოპოსიც დაესწრო.

§ 25. 23 სექტემბერს შედგა ამ კრების მეხუთე სხდომა, რომელსაც ლათინები მერვე მსოფლიო კრებას უწოდებენ. იმპერატორმა ფოტისაც უბრძანა, კრებაზე გამოცხადებულიყო; ამის შესახებ მამებს აცნობეს, მაგრამ პაპი ადრიანეს დესპანებმა მოითხოვეს, რომ იგი სასულიერო პირებს კი არა, არამედ ერისკაცებს შემოეყვანათ. ასეც მოიქცნენ. გზაზე ფოტიმ განაცხადა, რომ იგი ნებით არ მიდის, არამედ იძულებით მიჰყავთ, ამიტომაც მას განზრახული აქვს. კრინტი არ დაძრას, რო-

გორც დავითი ამბობს: „ვთქუ: ვიმარხნე გზანი ჩემნი, რათა არა ვცოდო ენითა ჩემითა; დავსდევ საცოი პირსა ჩემსა“ (ფს. 38,1). სინკელმა ილიამ მას ყველრებით უპასუხა, რომ ჯიუტ დამნაშავეთა შესახებაც ასევე წერილ არს ფსალმუნებში: „ჴიმითა და აღვირითა უქცინე ღაწუნი მათნი, რომელნი შენ არა მოგეახლნეს“ (ფს. 31, 9). კრებაზე შემოსვლის შემდეგ მას ჰკითხეს, ეთანხმება თუ არა იგი რომის ეპისკოპოსების გადაწყვეტილებებს, ანუ იმას, რაც უწინ დაადგინა პაპმა ნიკოლოზმა, შემდეგ კი უკანასკნელ კრებაზე — ადრიანემ; მაგრამ ფოტი არაფერს პასუხობდა. როდესაც დესპანებმა მას უთხრეს, რომ მისი დუმილი კრებისათვის შეურაცხმყოფელია და იგი მას აშკარა და შეუწყნარებელ დამნაშავედ ამხილებს, ფოტიმ მიუგო: „ღმერთს მაშინაც ესმის ჩემი, როდესაც ვდუმვარ“. როცა მას გაუმეორეს, რომ დუმილით იგი საკუთარ თავს ადანაშაულებს, ფოტიმ უპასუხა: „იესოც განიკითხეს, როდესაც დუმდა“. ამასობაში პაპი ნიკოლოზის ზოგიერთი ეპისტოლე წაიკითხეს. შემდეგ ფოტის მიმართა პატრიცმა ვაანმა. მან შენიშნა, რომ კრებას ესწრებოდნენ როგორც აღმოსავლეთის, ასევე დასავლეთის მთავარეპისკოპოსები და ურჩია, თავი დაეცვა, რადგან თუკი კარი დაიკეტებოდა, ველარავინ გააღებდა მას ხელახლა. სხვები ეუბნებოდნენ: „გვითხარი, ღვთისკაცო, რა პასუხს მოგვიგებ დასაცავად?“ — „პასუხი ჩემი არა ამასოფლისაგანი არს; უკეთუ ამასოფლისაგანი იყოს, თქვენმცა უწყოდეთ“. — უპასუხა ფოტიმ. ამაზე ვაანმა ისევ გაუმეორა: „ჩვენ ვიცით, რომ დაბნეული ხარ, გეშინია, და ველარაფერს გვპასუხობ. ამიტომ ეს წმიდა კრება მოსაფიქრებელ დროს გაძლევს, ახლა კი ნებას გრთავს, შენს ადგილს დაუბრუნდე და აქ მეორედ მოსვლას გიბრძანებს“. ფოტიმ უთხრა: „მოსაფიქრებელი დრო არ მჭირდება, ჩემი განშორება კი თქვენი ნებაა“. შემდეგ პატრიცმა კვლავ შეახსენა მას, რომ კრებაზე მხოლოდ ერთი ქვეყნიდან არ შეკრებილან, არამედ მას მსოფლიოს ყველა კუთხის წარმომადგენელი ესწრება, რომ ეს კრება პირუთვნელად სჯის ღვთიური ზეშთაგონებით. ამიტომაც მან თავის შეცოდებათათვის პატიება ახლავე უნდა ითხოვოს, რათა შენდობა მიიღოს; თუკი ის პაპის დესპანთა წასვლის შემდეგ იტყვის ან მოიმოქმედებს რაიმეს, მაშინ ყოველივე ძალადა-

კარგული და უდროო იქნება. ფოტი იდგა, ისე რომ სიტყვა არ დაუძრავს, და შემდგომ კრების ბრძანების თანახმად, გავიდა.

§ 26. 29 ოქტომბერს, მეშვიდე სხდომაზე ფოტის კვლავ უბრძანეს, კრებაზე გამოცხადებულიყო. ის კვერთხით ხელში მოვიდა, რომელიც მისი სიამაყის ნიშნად მიიჩნიეს, მაშინვე ხელიდან გამოგლიჯეს და უკანასკნელ ადგილზე დაჯდომა უბრძანეს. ფოტისთან ერთად შემოვიდნენ გრიგოლ სირაკუზელი და იოანე ირაკლიელი. ამ უკანასკნელს ჰკითხეს ეთანხმება თუ არა იგი პაპის გადაწყვეტილებას მისი ხელდამსხმელი ფოტის შეჩვენების თაობაზე. იოანემ უპასუხა: „თავისი მღვდელმთავრის დამაწყევარი თავადაც კრულ იყოს". ფოტისთან ერთად მოსული სხვა ეპისკოპოსებიც პასუხობდნენ ამ კითხვაზე: „არ ვეთანხმებით უკანონოდ აღსრულებულ საქმეებს, ე. ი. პაპის ნაცვლებს მსაჯულებად არ ვცნობთ". შემდეგ, როდესაც მათ ჰკითხეს: „მაშ ვინ იქნება თქვენი დამცველი?", პასუხად გაისმა: „მოციქულთა კანონები". დასასრულ, როდესაც კრებაზე დამსწრენი დარწმუნდნენ, რომ ფოტი გადაჭრით უარყოფს ნიკოლოზისა და ადრიანეს გადაწყვეტილებებს, ბრძანეს, ჯერ ამ პაპთა მიერ ფოტის წინააღმდეგ მიღებული გადაწყვეტილებანი წაეკითხათ, შემდეგ კი სტეფანე დიაკვანსა და ნოტარიუსს ხმამაღლა წარმოეთქვათ ანათემა, ანუ უკეთ რომ ვთქვათ, ანათემათა გრძელი რიგი: „ფოტის — ეკლესიაში სამეფო კარიდან შემოჭრილს, ანათემა; ფოტის — სამეფო კარის წარმომადგენელს და ერისკაცს, ანათემა; ფოტის — ახლადგამომცხვარსა და ტირანს, ანათემა; ფოტის — განდგომილსა და განკითხულს, ანათემა; ფოტის — მრუშსა და მამისმკვლელს, ანათემა; ფოტის — ახალ მაქსიმე ცინიკოსს, ანათემა; ახალ დიოსკორეს, ანათემა; ახალ იუდას. ანათემა; ყველა მის მიმდევარსა და თანამზრახველს, ანათემა"[45]. ფოტი ყოველივეს დუმილით ისმენდა, უხმოდ ითმენდა ხანგრძლივი ანათემის საშინელ დარტყმებს. ერთერთ თავის წერილში კლავდიუპოლელი მიტროპოლიტის ეგნატეს მიმართ ის კიდეც ტრაბახობს ამ ანათემით. წერილი ასე იწყება: „ერთ

[45] Collect. Concil. Harduin. Tom. V. col. 882.

დროს ანათემა საზარელი და მრისხანე იყო, როდესაც მას კეთილმსახურების მქადაგებლები უსჯულოთა წინააღმდეგ იყენებდნენ, მაგრამ მას შემდეგ, რაც... და სხვ.“[46].

§ 27. შემდეგ სხდომაზე, რომელიც 3 ნოემბერს შედგა, დიაკვანმა და მომხსენებელმა თეოფილაქტემ მოიტანა იმ კრების აქტები, რომელზედაც პაპი ნიკოლოზი განიკვეთა, აგრეთვე ფოტისა და მის ეპისკოპოსთა სხვა ხელნაწერები. გიორგი ორფანოტროფმა ღესპანთა მსახურებს გადასცა ეს ქაღალდები. მათ კი მისი ბრძანებისამებრ ყოველივე ცეცხლს მისცეს და დაწვეს იქვე საგანგებოდ მომზადებულ სპილენძის ჭურჭელში. იანვრის ბოლო რიცხვებში კრება დასრულდა. ყველაფერმა პაპი ადრიანეს სურვილისამებრ ჩაიარა. ასე იქნა დაკმაყოფილებული მისი ძალაუფლებისმოყვარეობა, როგორც ეს ჩანს მეტადრე ერთი კანონიდან, რომელშიც ნათქვამია: „თუკი მსოფლიო კრებაზე მაინც ექნება ადგილი რაიმე შეშფოთებას რომის ეკლესიასთან დაკავშირებით, ჯერ-არს ამ საკითხის მოწიწებით და შესაფერი კრძალვით გამოკვლევა, და არა ხამს კადნიერი სიტყვები ძველი რომის მღვდელმთავართა შესახებ“[47]. საბოლოოდ, კრებამ ყოველივე პაპის დესპანთა ნება-სურვილის თანახმად აღასრულა, ხოლო იმპერატორმა და პატრიარქმა ეგნატემ ყველაფერი დაადასტურეს. ამიტომაცაა, რომ დასავლეთის ეკლესია ამ კრებას, მერვე მსოფლიო კრებას უწოდებს.

§ 28. აღნიშვნის ღირსია ამ კრების სამი გარემოება, რაც

არასოდეს არცერთ სხვა კრებაზე არ მომხდარა:

პირველი, — იმპერატორის სურვილისამებრ და ადრიანეს საამებლად, ფოტის დამხობისა და დაგმობის დროს, ყოველგვარი დაბრკოლების თავიდან აცილების მიზნით, კრებაზე შესვლა აეკრძალა ყველას, ვინც რომიდან პაპის დესპანთა მიერ ჩამოტანილ გრაგნილს საკუთარი ხელმოწერითა და მოწმეთა თანდასწრებით არ დაადასტურებდა. ეს გრაგნილი იუწყებოდა შემდეგს: „ვეთანხმებით ნეტარხსენებული ნიკოლოზის დროს

---

[46] Epist. Phot. CXV. pag. 156, seq.

[47] Act. X. can. XIII. Collect. concil. Harduin. Tom. V. col. 1104.

შემდგარი წმ. კრების დადგენილებებს, რომელსაც ხელს აწერ თვით შენ, მეუფე და ანგელოზთასწორი მღვდელმთავარი ადრიანე; მის მიერ შეწყნარებულთ შევიწყნარებთ, და მის მიერ დაგმობილთ ვგმობთ: მეტადრე ფოტის და გრიგოლ სირაკუზელს, აგრეთვე მათი განხეთქილების ყველა მიმდევარსა და თანამოზიარეს. განუხსნელი ანათემით ვჰკრავთ ავაზაკთა კრებებსა და იმპერატორ მიხეილის მიერ მიღებულ უსჯულო დადგენილებებს, ორჯერ — უნეტარესი პატრიარქის ეგნატეს წინააღმდეგ, ხოლო ერთხელ — უზენაესი სამოციქულო ტახტის წინააღმდეგ. შევაჩვენებთ იმათაც, ვინც იცავს მათ, ან მათ უსჯულო საქმეებს მალავს. სავსებით ვეთანხმებით სამოციქულო ტახტის ხელმწიფების დადგენილებას უწმიდესი პატრიარქის ეგნატესა და მის თანამოაზრეთა შესახებ. ჩემს ამ აღმსარებლობას მე (ესა და ეს) ეპისკოპოსი ვადასტურებ საკუთარი ხელმოწერით და წარმოგიდგენ შენ, უწმიდეს მეუფეს, დიდ მღვდელმთავარსა და მსოფლიო პაპს ადრიანეს, შენი ელჩების: წმ. რომის კათოლიკური ეკლესიის უწმიდესი ეპისკოპოსების დონატესა და სტეფანეს, აგრეთვე დიაკვან მარინის მეშვეობით. ხელმოსაწერად ვიწვევ მოწმეებს"[48]. თვით იმპერატორი და პატრიარქი აცხადებდნენ, რომ გრაგნილის ხელმოწერა ახალი და გაუგონარი ამბავია; მიუხედავად ამისა, ეს ასე მოხდა. თეოდულე ანკირელმა და ნიკიფორე ნიკეელმა, რომლებმაც ხელმოწერაზე უარი განაცხადეს, ვერც კრებაზე დასწრების ნებართვა მიიღეს. ეგ არაფერი, კარიელმა მიტროპოლიტმა თეოდორემ ხელი კი მოაწერა, მაგრამ როგორც კი შეიტყვეს, რომ ის ფოტის კრებას ესწრებოდა, რომელზედაც ნიკოლოზი განკვეთეს, — იგი კრებიდან გააძევეს. იმდენად ძლიერი იყო სიძულვილი ფოტის მიმდევართა მიმართ, რომ მათ მაშინაც კი არ პატიობდნენ, როდესაც ეს უკანასკნელნი ინანიებდნენ!

მეორე, — ამბობენ, რომ აღმოსავლეთის საპატრიარქო ტახტების თანამოსაყდრეთა სახელით კრებას პატრიარქთა ნამდვილი თანამოსაყდრენი კი არ ესწრებოდნენ, არამედ სირიელი-ემირის, ანუ ისმაიტელთა მმართველის მიერ გამოგზავნილი

---

[48] Collect. Concil. Harduin. T. V. 773 et seq.

ელჩები, რომლებიც კონსტანტინოპოლში კრების წინ ჩამოვიდნენ. ამ უცნაურ გარემოებას მარტო ფოტი არ აღნიშნავს ბერ თეოდოსისადმი წერილში[49]. ამასვე წერს მომდევნო კრებას თავის ეპისტოლეში იერუსალიმის პატრიარქი ილიაც. ეს ეპისტოლე მარტიროპოლელი მიტროპოლიტის ხელით გაიგზავნა, რომელიც მანამდე ანტიოქიის პატრიარქთან იმყოფებოდა და კრებას იქიდან ეახლა. აღნიშნული ეპისტოლეს ტექსტი ამოწერილი აქვს კეისარ ბარონის, თუმცა იგი მას ყალბად მიიჩნევს[50].

მესამე, — ამის გაგონებაც კი შეგზარავს! კრების მამებმა (ამბობს ნიკიტა დავით პაფლაგონელი ეგნატეს ცხოვრებაში[51]) ფოტის დამხობას ჩვეულებრივი მელნით კი არ მოაწერეს ხელი, არამედ — რა საშინელებაა! — კალამი თვით მაცხოვრის სისხლში ჩააწეს, როგორც ამის უტყუარ მცოდნეებთაგან შევიტყვე". ეს ხომ ძველ ღმერთშემოსილ წმიდა მამებსაც არ გაუკეთებიათ, როდესაც მათ ყველაზე უფრო უღვთო მწვალებლები — ნესტორი, მაკედონი და თვით არიოზი განკვეთეს. იქნებ მათ რომის პაპის, თეოდორეს მაგალითს მიბაძეს, რომელმაც ზუსტად ასევე მოაწერა ხელი კონსტანტინოპოლის პატრიარქის, მონოთელიტ პიროსის განკვეთას[52]. შეუძლებელია, ღვთისმოშიში სული არ შეაკრთოს სიწმიდის ამგვარმა შებღალვამ!

§ 29. მაგრამ ეპისკოპოსებმა თავისი საქციელი მალე შეინანეს. მათ თავიანთი სინანული გამოხატეს იმპერატორთან იმის გამო, რომ აღმოსავლეთის ეკლესია სამარცხვინოდ დაუქვემდებარეს დასავლეთისას, და დაჟინებით მოითხოვეს, უკანვე დაებრუნებინათ ხელმოწერილი გრაგნილი. იმპერატორმა ეპისკოპოსებს სურვილის შესრულება აღუთქვა და ფარული ბრძანება გასცა, დესპანთა ოთახებიდან მსახურების დახმარებით გამოეტანათ გრაგნილი. როდესაც დესპანებმა ეს შეიტყვეს, ყოველი ღონე იხმარეს და გრაგნილი კვლავ დაისაკუთრეს. ამას მოგვითხრობს ნიკოლოზის ბიბლიოთეკარი და ცხოვრების აღ-

---

[49] Epist. CXVIII. pag. 159 et seq.
[50] Ann. Baron. ad ann. Chr. DCCCLXXIX. n. LXXVI.
[51] Collect. Concil. Hard. T. V. col. 988.
[52] ჯ. შ.-დან 648 წელს.

მწერელი ანასტასი, რომელიც მაშინ პაპის ელჩებთან ერთად იმყოფებოდა კონსტანტინოპოლში. იგი ამბობს, რომ მან ეს გრაგნილი თვითონ ჩამოიტანა რომში[53]. შემდეგი მემატიანე პაპების ცხოვრებისა ადრიანეს ცხოვრებაში დაურთავს[54], რომ დასასრულ ლეგატებმა იმპერატორს ბულგარელთა საქმეც წარუდგინეს, რამაც მისი სიტყვებით, იმპერატორი შეაძრწუნა, და თუმცა გარეგნულად არაფერი შეიმჩნია, მაგრამ მათი გამასპინძლებისა და დასაჩუქრების შემდეგ დაუყოვნებლივ უბრძანა პროტოსპათარ თეოდოსის, მათს გამგზავრებაზე ეზრუნა. პროტოსპათარი დიდი მონდომებით არ მოეპყრო იმპერატორის ბრძანებას და ლეგატები არაშესაფერი პატივით გაისტუმრა. როგორც იგივე მწერალი გვამცნობს, რომისაკენ მიმავალი ელჩები ხელში ჩაუვარდნენ სლავებს, რომლებმაც გაძარცვეს ისინი და კრების მთელი კოდექსი და აქტები წაართვეს. არავინ იცის, იმპერატორის ბრძანებით და ნებართვით მოხდა ეს, თუ არა.

§ 30. ამასობაში იმპერატორისაგან შერისხულ და უმაღლესი პატივიდან უბედურების უფსკრულში გადაჩეხილ ფოტის, მტრების სასტიკი სიძულვილით დევნილს, იმპერატორის ნების აღმსრულებელ სამეფო კარის პირთა მფარველობას მოკლებულს, თავისი ერთგული მეგობრების დახმარებისა და ნუგეშის გარეშე დარჩენილს, რომლებიც კრებაზე ლეგატების წინააღმდეგობისათვის შორს გადაასახლეს; მოსამსახურეს, ხმის გამცემსა და ყოველივე აუცილებელს ჩამოშორებულს; ყველასაგან მიტოვებულს სრულ მარტოობასა და ფხიზელი ყარაულებით გარემოცულ საპყრობილეში, არ გააჩნდა არავითარი შესაქცევი, გარდა საკუთარი ფიქრებისა, და არავითარი შვება, გარდა საკუთარი მოთმინებისა. უამრავ უბედურებათა შორის, რომლებსაც იგი აღწერს თავის ეპისტოლებში ეპისკოპოსთა მიმართ, ფოტის განსაკუთრებით ის წყინდა, რომ მას იმპერატორის ბრძანებით ყველა წიგნი წაართვეს; კითხვა ხომ საუკეთესო საზრდო იყო ამ უაღრესად სწავლული და შრომის-

---

[53] Collect. Concil. Hard. T. V. col. 755. in adnot. in prim. action.

[54] Oper. Anastas. Biblioth. T. I, p. 436.

მოყვარე კაცისათვის. ამას მისი სასტიკი მტერი ნიკიტა დავით პაფლაგონელიც კი ადასტურებს, როდესაც ამბობს: „ის ღამეებს უძილოდ, გულმოდგინე კითხვაში ათენებდა“[55]. ამიტომაც იყო, რომ წიგნების წართმევამ ფოტი აუწერელ და აუტანელ დარდში ჩააგდო. როგორც ის თავად ირწმუნება, როდესაც თავისი მტრების უზომო სიძულვილს უჩივის. მისი სიტყვებით, ისინი წინ აღუდგნენ მის ხორცსა და სულს, ამასთან დასძენს: „წიგნებიც კი მომისპეს; აი, ახალი, უჩვეულო, ჩვენთვის მოგონილი სასჯელი“[56]. ამიტომაცაა, რომ იმპერატორისადმი წერილში, როდესაც იგი თავის უზომოდ სასტიკ ტანჯვას აღწერს, ფოტი სიკვდილს ითხოვს, როგორც წყალობას[57].

§ 31. იმპერატორი უყურადღებო არ დარჩენილა გაძევებული და შეპყრობილი ფოტის ჩივილის მიმართ; როგორც იქნა, მოწყალე იქმნა მასზე, და თანაგრძნობა გამოავლინა. იმპერატორი მიხვდა, თუ რა საბრალო მდგომარეობასა და უზომო ტანჯვაში ჩააგდო მწყემსმთავარი, გაიხსენა უწინდელი მეგობრული დამოკიდებულება და ურთიერთობა, დაინახა, რომ ფოტი ნამდვილად ბრძენი და სწავლული იყო და დარწმუნდა, რომ ამგვარი ბრძენი ადამიანი ასეთ სასჯელსა და წამებას არ იმსახურებდა. ამიტომაც სიძულვილი კვლავ სიყვარულით შეცვალა, ხოლო რისხვა — წყალობით. იმპერატორმა ფოტი პატიმრობიდან გაათავისუფლა, კარზე მოიწვია, სასწავლებლად თავისი ორი ვაჟი მიაბარა და უწინდელი უბედურებების სანაცვლოდ მრავალი წყალობით დააჯილდოვა[58]. ფოტის მდგომარეობის ამგვარ შემობრუნებას სულ სხვაგვარად ხსნის ნიკიტა პაფლაგონელი[59]. იგი ამბობს, რომ ფოტიმ აიღო იმპერატორის ოჯახის სახელების პირველი ასოები: იმპერატორ ბასილისა — ბ, მისი მეუღლის ევდოკიასი — ე, მისი ოთხი ძისა: კონსტანტინესი — კ, ლევის — ლ, ალექსანდრესი — ა, და

---

55 In vita Ignat. apud Hard. Tom. V. column. 960.
56 Phot. Epist. XCVII. pag. 137.
57 Ibidem pag. 140 —
58 Constant. Porphvr. in vit. Basil. Maced. pag. 171. inter.
59 In. vit. Ignat. col-1004 conf. Sym. Magist. et Logephet. Inscriptores Byz. post. Theophan.
ter script. Byz. peg. 454.

სტეფანესი — ს; მათგან შეთხზა სახელი ბ ე კ ლ ა ს ი; შეადგინა ცრუ გენეალოგია სომეხთა მეფე ტირიდატიდან ბასილის მშობლებამდე, რომელთაგანაც, წინასწარმეტყველების თანახმად, თითქოს უნდა შობილიყო რომის ყველა მბრძანებელს შორის დიდებული და მეტად სახელგანთქმული მეფე. მას უნდა რქმეოდა ბეკლასი. ეს ამბავი ფოტიმ ძველ ქარტიაზე დაწერა ალექსანდრიული ასოებით, რათა მას ძველთაძველი წიგნის შთაბეჭდილება დაეტოვებინა. შემდეგ თითქოს მან მოახერხა ამ წიგნის დადება იმპერატორის ბიბლიოთეკაში, რაშიც მას თეოფანე პალესტინელი დაეხმარა (იგი იყო ფოტის მეგობარი და იმპერატორის ახლობელი). თეოფანემ ეს ხელნაწერი განზრახ აჩვენა იმპერატორს, როგორც უჩვეულო წინასწარმეტყველებით აღსავსე წიგნი, და დაითანხმა, ფოტი მოეხმო, რომელიც თითქოს ერთადერთი კაცი იყო, ვინც მის წაკითხვას შეძლებდა. სამეფო კარზე მოყვანილმა ფოტიმ, სახელი ბეკლასი რომ ახსნა, იმდენად აამა იმპერატორს, რომ მისი უწინდელი კეთილგანწყობა და სიყვარული დაიბრუნა. მაგრამ, ჯერ-ერთი, ისტორიკოსი ნიკიტა ფოტის აშკარა მტერია, რის გამოც მას ყველაფერში ვერ ვენდობით. გარდა ამისა, ყველა საღად მოაზროვნე ადამიანი მიხვდება, რომ ასეთი გამოგონება არც ფოტის და არც იმპერატორ ბასილის კეთილგონიერებას არ ეკადრება. ბასილი მაკედონელი ძალზედ მიამიტი იქნებოდა, თუკი იგი ფოტის სიბრძნესა და სწავლულებას მხოლოდ ამ შემთხვევის შემდეგ ირწმუნებდა. პირიქით, ჯერ კიდევ იმპერატორობამდე ის კარგად იცნობდა ფოტის, უყვარდა, პატივს სცემდა, და როგორც უკვე აღვნიშნეთ, მას თავისი ერთადერთი ვაჟიც კი მოანათვლინა. „მომისმინე, კაცთმოყვარე იმპერატორო (ასე სწერდა იმპერატორს ფოტი გადასახლებიდან), არც უწინდელ მეგობრობას, არც საშინელ ფიცსა და დაპირებებს, არც მირონცხებასა და მეფედ კურთხევას არ გახსენებ, არ მოგაგონებ იმას, რომ ჩემი ხელით ეზიარებოდი წმიდათაწმიდა და საშინელ საიდუმლოს, არც იმას, რომ შენი შესანიშნავი ძის მამობა გვაერთიანებს“[60] და

---

[60] Epist. Phot. p. 163 —

სხვა. უფრო დასაშვებია ვიფიქროთ, რომ ყოველივე ამის მოგონებამ და თანაც ყოფილი მეგობრის, მწყემსმთავრისა და პრძენის საბრალო მდგომარეობისადმი თანაგრძნობამ ბასილის გადააწყვეტინა, მოწყალე ქმნილიყო და ფოტისათვის კვლავ მეგობრობის ხელი გაეწოდებინა.

§ 32. ამასობაში გარდაიცვალა ფოტის ორი უმთავრესი მოწინააღმდეგე: ადრიანე II — რომში, ხოლო ოთხმოც წელს მიღწეული პატრიარქი ეგნატე — კონსტანტინოპოლში[61]. ადრიანეს მემკვიდრე გახდა იოანე VIII თუ IX. თავის წინამორბედთა, ნიკოლოზ და ადრიანე პაპების მსგავსად, იოანესაც სურდა და ცდილობდა ბულგარელთა ეკლესია თავისი ტახტისათვის დაემორჩილებინა, და იგი კონსტანტინოპოლს აღარ დაქვემდებარებოდა. ამის შესახებ მან ორჯერ მისწერა ეგნატეს, მაგრამ ამაოდ. ბოლოს მისთვის ელჩების წარგზავნა განიზრახა, და პავლე და ევგენი ეპისკოპოსებს თან მუქარით აღსავსე წერილები გაატანა. ამ წერილებში იგი აცხადებდა, რომ თუ პატრიარქი 30 დღის განმავლობაში ბულგარეთიდან არ გამოიწვევდა ყველა აღმოსავლეთის ეპისკოპოსს და სამღვდელო დასის წარმომადგენლებს, რომლებიც იქ ცხოვრობდნენ და იქაურ მოსახლეობას მოძღვრავდნენ, და თუკი იგი გადაჭრით არ განაცხადებდა უარს ბულგარეთზე რომის ტახტის სასარგებლოდ, მაშინ იგი საეკლესიო ძმობის უღირსად ჩაითვლებოდა და პატრიარქობას დაკარგავდა[62]. მაგრამ სანამ ელჩები კონსტანტინოპოლში ჩავიდოდნენ, ეგნატე გარდაიცვალა. მის ნაცვლად იმპერატორმა ბასილიმ ტახტზე უსიტყვოდ აიყვანა ფოტი და აღმოსავლეთისა და დასავლეთის ეკლესიებს შორის სრული ერთობის დამყარებისა და ყოველგვარი საცთურის შეწყვეტის მიზნით პაპ იოანეს ელჩობა გაუგზავნა, რათა მათ უკვე ხელმეორედ არჩეული პატრიარქი ძმობაში მიეღოთ. ამის შესახებ მას სწერდა ფოტიც (რომელთანაც არც კონსტანტინოპოლში ჩამოსულმა პაპის ელჩებმა და არც სხვა

---

[61] ქ. შ.-დან 878 წელს.

[62] Collect. Concil. Harduin. Tom. VI. P. 1. col. 20. num XXIV. Apud Labbeum. LXXVIII.

სამღვდელო დასის წევრებმა ურთიერთობა არ ისურვეს); ამას მოწმობს ლათინურ ენაზე დაწერილი იოანეს ეპისტოლები, სახელდობრ გრიგოლ პრიმიკირის მიმართ, — 12 ინდიქტიონს, 3 აპრილს, და კონსტანტინოპოლის სამღვდელო დასის მიმართ, — 12 ინდიქტიონს, აგვისტოში, ქრ. შობიდან 879 წელს[63]. იოანეს ამ ეპისტოლეთა შესახებ უნდა ითქვას, რომ მათი ლათინური ასლები ბერძნულს არ ემთხვევა. ლათინები ამბობენ, რომ ბერძნული ასლი ბერძნებმა დაამახინჯეს, ბერძნები კი ამბობენ, რომ ლათინური ასლები ლათინების მიერაა შეცვლილი.

§ 33. ამგვარად, ვითარება ისევ მკვეთრად შეიცვალა! თავისი პირველი პატრიარქობიდან თერთმეტი წლის შემდეგ ფოტი კვლავ პატრიარქი გახდა, და საეკლესიო მღელვარების სრული შეწყვეტის მიზნით დაუყოვნებლივ საჭიროდ ცნო ახალი კრების მოწვევა, რაც იმპერატორის სურვილიც იყო. ამ გადაწყვეტილებას პაპი იოანეც დაეთანხმა. მან დაუყოვნებლივ მიიღო იმპერატორის ელჩობა და ვინაიდან კარგად მოეხსენებოდა მისი წინამორბედების, ნიკოლოზისა და ადრიანეს დროინდელი მოვლენები, თავისი მიზნის მისაღწევად სხვა, უფრო მშვიდობიანი გზა აირჩია. პაპმა ელჩებად დანიშნა იმ დროს ისევ კონსტანტინოპოლში მყოფი პავლე და ევგენი ეპისკოპოსები, რომელთა შესახებაც ზემოთ უკვე ითქვა, და მათ შეუერთა მესამეც, სახელდობრ, კარდინალ-პრესვიტერი პეტრე, რომელსაც ინსტრუქცია ჩააბარა. ამ ინსტრუქციაში იგი მიუთითებდა ლეგატებს, თუ რა ეკეთებინათ კრებაზე[64]. იოანეს ყველა უწყება გამსჭვალული იყო ქება-დიდებით და პირფერობით, აღსავსე იყო მშვიდობისმოყვარეობით და უწყინარობით, თუმცა ყველგან პეტრე მოციქულის უზენაესი ძალაუფლება და რომის უპირატესობა გამოსჭვიოდა, სიყვარული და სიმშვიდე კი ამპარტავნებასა და მბრძანებლობის წყურვილს ერწყმოდა. ამ ეპისტოლეებში პაპი ადასტურებს ფოტის პატრი-

---

[63] Apud Labbeum Epist. CLXIX; apud Harduin. LXXIV et LXXXIV in Collect. Concil. Tom. VI. Pars 1. col. 49 et 72.

[64] Ann. Baron. ad ann. 879 p. XVII-IXXXII et Collect. conc. Harduin. Tom. VI. Pars. I. col. 207 et 293. Graeco et Latine.

არქად არჩევას და მას კანონიერ და ჭეშმარიტ პატრიარქს, ძმასა და თანამსახურს უწოდებს; იგი ფოტის სხვებთან ერთად ყოველგვარ ანათემას უხსნის, ხოლო მის უარმყოფელებს შეაჩვენებს; პაპი არწმუნებს იმპერატორს, რომ ფოტის მიმართ სიყვარულით, მოწიწებით და პატივისცემით განიმსჭვალოს, და ყველა მისი წინააღმდგომი კრების დადგენილებებს გაუქმებულად აცხადებს. ამგვარად, პაპი იოანე ადრიანე II-ს კრებასაც გმობს. ამას იუწყება ლათინურ ენაზე (და არა ბერძნულზე) დაწერილი ეპისტოლე იმპერატორის მიმართ. გარდა ამისა, მასში ნათქვამია, რომ ფოტიმ კრების წინაშე პატიება და შენდობა უნდა ითხოვოს იმისათვის, რომ იგი საპატრიარქო ტახტზე რომისათვის წინასწარი შეტყობინების გარეშე ავიდა[65]. ყოველივე ეს არსად ჩანს იმპერატორისადმი ბერძნულ ენაზე დაწერილ ეპისტოლეებში[66], ხოლო კონსტანტინოპოლის სამღვდელო დასისადმი ეპისტოლეში ამის შესახებ სხვაგვარად წერია, კერძოდ: „კრებაზე ფოტიმ აღიარა მის მიმართ რომის ეკლესიის ღვთაებრივი გულმოწყალება, მფარველობა და ზრუნვა"[67]. ამის შემდეგ პაპი ყოველმხრივ ცდილობდა, რომის ეკლესიისათვის დაექვემდებარებინა ბულგარეთის ეპარქია, დაჟინებით მოითხოვდა, ან, უკეთ რომ ვთქვათ, ბრძანებდა, რომ პატრიარქს ამ ეპარქიის საქმეებში არავითარი მონაწილეობა არ მიეღო; წინააღმდეგ შემთხვევაში იოანე მას განუხსნელი ანათემით ემუქრებოდა. ინსტრუქცია ამგვარი შინაარსის იყო: პაპი თავის ლეგატებს უბრძანებდა ფოტისთან შეკავშირებას; ხოლო როდესაც კრებაზე შევიდოდნენ, ეკითხათ, კრების ყველა დამსწრე ეთანხმებოდა თუ არა პაპის იმპერატორისადმი ეპისტოლეს, და თუკი ყველა თანხმობას განაცხადებდა, მაშინ ეთქვათ, რომ ისინი მოვლინებული იყვნენ უწმიდესი პაპის მიერ, რათა განბნეულნი შეეკრიბათ, დაყოფილი გაეერთიანებინათ, დაცემული აღედგინათ, მშვიდობა მოეფინათ და საცთური შეეწყვიტათ; შემდეგ ელჩებს უნდა განეცხადებინათ თვით უწმიდესი პაპის სურვილი, რომ წმიდა მამების კანონების თანახმად, ფოტის შემდეგ

---

[65] Harduin. T. VI. P. 1. col. 63. num. XCIII. apud Labbeum — CXC.
[66] Harduin ibid. col. 232.
[67] Harduin. num. XCIV. Labb. CC.

კონსტანტინოპოლის პატრიარქად ერისკაცი აღარ არჩეულიყო, და რომ ამიერიდან პატრიარქს ბულგარეთში აღარც ეპისკოპოსები, აღარც პრესვიტერები აღარ ეკურთხებინა, რომ ადრიანე II-ს დროს შემდგარი რომისა და კონსტანტინოპოლის კრებები ძალდაკარგულად მიჩნეულიყო და სხვა კრებების სწორად აღარ მოხსენიებულიყო. აი, რა ბრძანა პაპმა იოანემ წერილობით. მაგრამ რა დაადგინა კრებამ?

§ 34. კრება დაიწყო ქ. შ.-დან 879 წელს, ბასილის მეფობის მე-13 წელიწადს, წმ. სოფიას ტაძარში, კათაკმეველთა ადგილიდან მარჯვენა მხარეს. მას ესწრებოდა 383 ეპისკოპოსი, პაპი იოანეს ლეგატები, პავლე, ევგენი და კარდინალ-პრესვიტერი პეტრე, აგრეთვე სხვა პატრიარქების თანამოსაყდრენი ფოტის თავმჯდომარეობით. ამ კრების მოკლე მიმდინარეობა შვიდი სხდომის სახით შთამომავლობას შემოუნახა კონსტანტინოპოლის პატრიარქმა იოანე ვეკამ თხზულებაში ეკლესიის სამყაროს შესახებ; იგი ბერძნულ და ლათინურ ენებზე მოთავსებულია პანდექტთა მე-2 ტომში, ფურცელი 273[68]. იგივე აქტები ხელნაწერის სახითაც არის შემონახული. იგი დაწერილია სხვა, უცნობი პირის მიერ გაცილებით გულმოდგინედ და სრულად; ვეკას თხზულებისაგან მას მხოლოდ სხდომათა რიცხვი განასხვავებს, როგორც ვილჰელმ კავე ამბობს საეკლესიო მწერალთა შესახებ წიგნის მე-2 ტომში, ფურცელი 303[69]. თუ ყველაფერს ერთმანეთს შევუთანხმებთ, მაშინ კრება შემდეგნაირად წარმართულა.

ს ხ დ ო მ ა 1. 879 წლის ნოემბერი. პატრიარქ ფოტის თავმჯდომარეობით კრების გახსნის შემდეგ შემოდიან პაპის ელჩები იოანეს ნაბოძებ სამღვდელმთავრო შესამოსელში; ფოტი მათ ხვდება უაღრესი მოწიწებით და შემწყნარებლურად. იოანე ირაკლიელი წარმოთქვამს სიტყვას, რომელშიც ამბობს, რომ ყველა მომხდარი საეკლესიო საცთურის მიზეზი იყო პაპი ნიკოლოზი, თავის მემკვიდრე ადრიანესთან ერთად. იგი აქებს პაპ

---

[68] Pandect. Bevereg. edit. Oxon. an. 1673 et Collect. Conc. Harduin. Tom. VI. Pars. 1. Col. 213 et seq.

[69] Edit. Londin. Pars I. 1688 et Pars II. 1698.

იოანეს და ჩამოთვლის იმ უბედურებებს, რომლებიც ფოტიმ უსამართლოდ გადაიტანა.

ს ხ დ ო მ ა II. იკითხება იოანეს ეპისტოლეები იმპერატორისა და ფოტის მიმართ, აგრეთვე სამი პატრიარქის: მიხეილ ალექსანდრიელის, თეოდოსი იერუსალიმელის და თეოდოსი ანტიოქიელის ეპისტოლეები, რომლებშიც ისინი გმობენ და შეაჩვენებენ ადრიანეს დროს ფოტის წინააღმდეგ მოწვეულ კრებას. შემოდის მიტროპოლიტი თომა, რომელიც ფოტის წინააღმდეგ მიმართულ კრებას ესწრებოდა და პატიებას ითხოვს.

ს ხ დ ო მ ა III. კითხულობენ იოანეს ეპისტოლეს აღმოსავლეთის ეპისკოპოსთა მიმართ; იგი კრებამ არ მოიწონა, ვინაიდან ეპისტოლედან აშკარად გამოსჩვიოდა პაპის უმთავრესი განზრახვა, ანუ რომის ეკლესიისადმი ბულგარეთის ეპარქიის დაქვემდებარებისა და აღმოსავლეთის ეკლესიაზე პაპის ძალაუფლების გავრცელების წყურვილი. ამიტომ კრებამ პირდაპირ განაცხადა, რომ პაპის ეპისტოლეებში გამოთქმული აზრი, თითქოსდა მან აღმოსავლეთის ეკლესიებში ელჩები მშვიდობის დამყარების მიზნით გამოაგზავნა, ზედმეტია; ვინაიდან ისინი თვითონვე ზავდებიან, როდესაც ერთხმად აღიარებენ ფოტის ჭეშმარიტ პატრიარქად და რომ როდესაც ისინი რომს მიმართავდნენ, მას მხოლოდდამხოლოდ ფოტის არჩევაზე დასტურს სთხოვდნენ, და არა სამსჯავროს, და რომ მათ ეს ყოველივე მორჩილების ნიშნად კი არ გააკეთეს, არამედ სიყვარულით. ხოლო რაც შეეხება ბულგარეთის ეპარქიას, ეს იმპერატორის საქმეა, და არა კრების. შემდეგ ზაქარია ქალკედონელი ფოტის დასაცავად წარმოთქვამს სიტყვას, რომელშიც ამბობს, რომ თუმცა ფოტი პატრიარქად ერისკაცობიდან აკურთხეს, მაგრამ ეს ადრეც არაერთხელ მომხდარა, და რომ ტრადიცია და საჭიროება ხშირად კანონს ცვლის. ამის დასტურად მოჰყავს ბასილი დიდის სიტყვები, რომელიც დაახლოებით იგივეს სწერს ამფილოქე იკონიელს[70]. კრებაზე იკითხება ანტიოქიისა და იერუსალიმის პატრიარქთა ეპისტოლეებიც იმპერატორის მიმართ, რომლებშიც ისინი ფოტის არჩევას ეთან-

---

70 Bas. Oper. Tom. III. pag. 325. elit. Paris. 1730 an.

ხმებიან. ამის შემდეგ კითხულობენ კომონიტორის, რომელსაც ხელს აწერს 16 ეპისკოპოსი, 5 პრესვიტერი და 2 დიაკვანი. მასში დაგმობილია ადრიანეს დროს ფოტის წინააღმდეგ მოწვეული კრება.

ს ხ დ ო მ ა IV. შემოდის ანტიოქიის პატრიარქის თანამოსაყდრე ბასილი მარტიროპოლელი, შემოაქვს იერუსალიმის ახლადაღსაყდრებული პატრიარქის — ილიას წერილი, რომელშიც ნათქვამია, რომ ფოტის წინააღმდეგ მიმართულ უკანასკნელ კრებას საპატრიარქო ტახტების თანამოსაყდრეთა სახელით ნამდვილად სარკინოზი ელჩები ესწრებოდნენ. ამიტომ კრებამ დაადგინა: „დაგმობილ და განკიცხულ იქნას უნეტარესი პაპის, ადრიანეს დროს რომში მოწვეული კრება, რომელიც მიმართული იყო უწმიდესი პატრიარქის, ფოტის წინააღმდეგ, ასევე დაიგმოს უწმიდესი ფოტის წინააღმდეგ კონსტანტინოპოლში მოწვეული კრება; ამ კრებას ნუ მივაკუთვნებთ სხვა წმიდა კრებებს, და კრებადაც აღარ შევრაცხავთ, თითქოსდა არც ჩატარებულა. ვინც ქრისტეს წმიდა ეკლესიის წინაშე და უწმიდესი პატრიარქის, ფოტის მიმართ იცრუეს, წმიდა ეკლესია ზიარებისგან განყენებისა და მორწმუნეებთან კავშირისა და ძმობისაგან განკვეთის ეპიტიმიას ადებს, სანამ ისინი თავის დანაშაულს არ მოინანიებენ“.

ს ხ დ ო მ ა V. კრებაზე იწვევენ მიტროფანე სმირნელს, რათა მან თავისი განდგომის მიზეზი განაცხადოს, ანუ მოახსენოს კრებას, რატომ არ სურს ფოტის არჩევას დასთანხმდეს. რადგან იგი მოსვლაზე უარს აცხადებდა ავადმყოფობის მიზეზით, მასთან აგზავნიან სამ მიტროპოლიტს. როდესაც მიტროფანემ მათაც იგივე პასუხი გასცა, კრებამ განკვეთა იგი, როგორც მწვალებელი. იმავე დღეს ეს სამი კანონი დაადგინეს: პირველი — ვისაც დაამხობს ან განკვეთავს პაპი იოანე, ის პატრიარქმა ფოტიმაც დამხობილად უნდა მიიჩნიოს; და პირიქით, ვისაც პატრიარქი ფოტი დაამხობს ან განკვეთს, პაპმა იოანემაც იგი იმავეს ღირსად უნდა ცნოს; ისე, რომ, არც ამჟამად, არც მომავალში, რომის ეკლესიის უწმიდესი ტახტისა და მისი წინამძღვრის ამჟამინდელ უპირატესობებში აღარავითარი სიახლე შეტანილ აღარ იქნას“; ამგვარად მთავრდება კანონი; მეორე — თუ რომელიმე მღვდელმთავარი ეპისკო-

პოსობაზე უარს განაცხადებს და ბერად წავა, კვლავ ეპისკოპოსად ნუღარ დასვამენ; მესამე — ერისკაცთა ძალაუფლება სასულიერო პირთა დასჯაზე ნუ გავრცელდება. კრებამ ხატმებრძოლნი კვლავ შეაჩვენა და მე-7 ნიკეის კრების დადგენილებები დაადასტურა, ამასთან ამ კრებას დანარჩენი ექვსი კრების შემდეგ მეშვიდე მსოფლიო კრება უწოდა. კრებამ ეს იმიტომ გააკეთა, რომ ზოგიერთები ამბობდნენ, თითქოს წმიდა ხატების თაყვანისცემის შესახებ მეშვიდე კრების დადგენილებებს დასავლეთის ეკლესიაში ყველა არ ეთანხმებოდა. შემდეგ პაპის ელჩებმა პატრიარქის თანამოსაყდრეებმა და ყველა დანარჩენმა ეპისკოპოსმა კრების გადაწყვეტილებები თავისი ხელმოწერით დაადასტურეს. ამგვარად, მათ ერთსულოვნად აღიარეს ფოტი პატრიარქად და დაგმეს ყოველი მისი საწინააღმდეგო ქმედება.

ს ხ დ ო მ ა VI. კრების მამები იმპერატორის სასახლის ოქროს დარბაზში შეიკრიბნენ; სხდომას ესწრებოდნენ აგრეთვე იმპერატორი ბასილი და მისი ძენი. იმპერატორმა წმიდა მრწამსის წაკითხვა ბრძანა იმ სახით, როგორც ის თავდაპირველად ჯერ ნიკეაში, შემდეგ კი დანარჩენ წმიდა მსოფლიო კრებებზე ჩამოაყალიბეს. წაიკითხეს მეორე მსოფლიო კრების წმიდა მრწამსი. მისი წაკითხვის შემდეგ მამებმა გადაწყვიტეს, რომ ყველა ქრისტეანმა უცვლელად უნდა აღიაროს სწორედ ეს მრწამსი; თუკი ვინმე გაბედავს რაიმეს დამატებას, შეცვლას ან დამახინჯებას, იგი დაიმხოს და განიკვეთოს. ამით კრებას სურდა დაეგმო მრწამსში შეტანილი დამატება: „და ძისაგან“, რომელიც ძლიერი საცთური იყო აღმოსავლეთის ეკლესიისათვის. ამ დადგენილებას, — სახელდობრ წმიდა მეშვიდე კრებისა და პატრიარქ ფოტის დამტკიცებას, ამ უკანასკნელის წინააღმდეგ ნათქვამის თუ დაწერილის განადგურებას ხელი მოაწერეს იმპერატორმა და მისმა ვაჟიშვილებმა: ლევმა, ალექსანდრემ და სტეფანემ.

ს ხ დ ო მ ა VII. 880 წლის მარტი. ისევე, როგორც ორი დღის წინ, კვლავ წაიკითხეს მრწამსი, რომელიც ერთსულოვნად დადასტურდა საყოველთაო შეძახილებით: „ასე გვიპყრიეს და ასე გვწამს!“ პროკოფი კესარიელმა პატრიარქ ფოტის მისამართით წარმოთქვა ქების სიტყვა. დასასრულ პაპის ლეგა-

ტებმა განაცხადეს: „ვინც უწმიდეს ფოტის კანონიერ პატრიარქად არ აღიარებს, ვინც მასთან ძმობაში არ იძყოფება, ნაწილი მისი იუდას თანა დაიდვას“. ამ სიტყვებზე მთელმა კრებამ ერთხმად მიუგო: „ვინც ფოტის ღვთივ დადგენილ მღვდელმთავრად არ მიიჩნევს, ნუღარ იხილავს ღვთის დიდებას“. დასასრულ, ჩვეულებრივი დასკვნის შემდგომ, კრება დაიხურა. ამ კრების შესახებ ბევრს ლაპარაკობენ და წერენ დასავლეთის ეკლესიის წარმომადგენლები, განსაკუთრებით კეისარი ბარონი, სევერინ ვინი და ლევ ალლატი, რომელმაც განსაკუთრებული წიგნი დაწერა. მისი სათაურია: „ფოტის კრება“. ეს წიგნი დაბეჭდილია რომში, ქ. შ-დან 1662 წელს. მასში ავტორი ცდილობს დაამტკიცოს, რომ ამ კრების აქტები დამახინჯებულია, რომ თვით კრებაც კი არ შემდგარა. აი, რამდენად მიკერძოებით სჯიდა იგი! მრავალი აღმოსავლეთისა თუ დასავლეთის წარმომადგენლის გარდა ამ ფაქტს ხომ თვით პაპი იოანეც გარკვევით ადასტურებს, თავის წერილებში ფოტის მიმართ[71], აგრეთვე იმპერატორისა და მისი შვილების მიმართ[72], 13 ინდიქტიონს, ქ. შ-დან 880 წლის 13 აგვისტოს. მაგრამ დავუბრუნდეთ საქმეს.

§ 35. როდესაც პაპმა იოანემ კრების ამბები შეიტყო და დაინახა, რომ მისი არცერთი სურვილი არ შესრულდა, უპირველეს ყოვლისა კი ბულგარეთის ეპარქია ვერ მიიღო, რომლის შესახებაც ორჯერ მისწერა ბულგარეთის მეფეს მიხეილს, მან ჯერ კრება და პატრიარქი ფოტი დაგმო, შემდეგ კი იმ მიზნით, რომ როგორმე აღმოსავლეთის ეკლესიის აზრი შეეცვალა, ელჩად წარავლინა სწორედ ის მარინი, რომელიც ადრიანეს სახელით ფოტის წინააღმდეგ მოწვეულ კრებას ესწრებოდა. კონსტანტინოპოლში ჩამოსული მარინი ყოველმხრივ შეეცადა იოანეს სურვილისა და ბრძანების აღსრულებას, მაგრამ საკუთარი დამცირების გარდა ვერაფერს მიაღწია და 30 დღის პატიმრობის შემდეგ, ყოველგვარი წარმატების გარეშე უკან დაბრუნდა. გამოხდა ხანი. იოანეს შემდეგ რომის ტახტზე ავი-

---

[71] Apud. Labbeum ep. CCL, Harduin. CVIII.

[72] Labb. CCLI. Hard. CIX.

და მარინი, კონსტანტინოპოლში მიყენებული შეურაცხყოფა მას ჯერ არ დავიწყებოდა. მარინმა ფოტიცა და მისი კრებაც შეაჩვენა. იგივე მოიმოქმედეს მისმა მემკვიდრეებმა ადრიანე III-მ და სტეფან VI-მ. რომიდან კონსტანტინოპოლისაკენ მიმართულმა მუდმივმა ანათემებმა, რომლებიც აღმოსავლეთისა და დასავლეთის ეკლესიებს შორის მტრობას სულ უფრო და უფრო აღვივებდა, ძლიერ განარისხა იმპერატორი ბასილი. მან რომში გაგზავნა ფრიად უხეში შინაარსის წერილი, რომელშიც უკუაგდო რომის ეკლესიის მიერ მითვისებული ძალაუფლება, რითაც ფოტისა და მისი ტახტის დასაცავად სრული მზადყოფნა გამოამჟღავნა. მაგრამ მალე იმპერატორი ბასილი გარდაიცვალა, და მისი სახით ფოტიმ თავისი ძლიერი მფარველი და ქომაგი დაკარგა: ძველმა მტრებმა კვლავ გამოააშკარავეს თავისი სიძულვილი და ახალ იმპერატორ ლევს ჩააგონეს, თითქოს იგი მოღალატე იყო ევქაიტელი ეპისკოპოსის თეოდორე სანტავარინელის საქმეში. მათ თავისას მიაღწიეს, ფოტი გადაასახლეს არმონიანის მონასტერში, სადაც სიბერითა და ტანჯვით ღონემიხდილი გარდაიცვალა (იგი პატრიარქის ტახტზე იყო თავდაპირველად 9 წელიწადს, ხოლო მეორეჯერ 8 წელიწადს). ეს მოხდა იმპერატორ ლევის მეფობის პირველ წელიწადს, ქრისტეს შობიდან 866 წელს[73].

§ 36. სანამ ფოტის მომხრე უამრავი ეპისკოპოსი მის უსამართლო გაძევებას განიცდიდა, ამასობაში მოწინააღმდეგე მხარემ, მეტადრე სტილიან ნეოკესარიელის გაიძვერობით, რომის პაპს წერილობით მიმართა იმის თაობაზე, რომ მას ფოტის დამხობა და მის ნაცვლად ახალი პატრიარქის, — იმპერატორ ლევის ძმის, სტეფანეს არჩევა დაედასტურებინა. პაპმა თავის წინამორბედთა მსგავსად, რომელთაც ყოველთვის სურდათ, კონსტანტინოპოლის ეკლესიის საქმეებში მსაჯულები ყოფილიყვნენ, საქმის რომში გამოკვლევისა და გადაწყვეტის მიზნით ორივე მხრიდან ელჩების გამოგზავნა მოითხოვა. მაგრამ ამჯე-

---

73 Leo Gramm in chronogr. pag. 475. Inter scriptor. Hist. Byz. incert. Continnator Pheophanis pag. 215 et Symeon Magist. pag. 461.

რად გამარჯვება ფოტის მხარეს ხვდა წილად: აღმოსავლეთის ეკლესია პაპის მოთხოვნას არ დათანხმდა, ვინაიდან მას კონსტანტინოპოლის საპატრიარქო ტახტის ღირსებისა და თავისუფლების შენარჩუნება სურდა. სამი წლის შემდეგ პატრიარქი სტეფანე გარდაიცვალა. მის ნაცვლად ტახტზე ავიდა ანტონი, მეტსახელად კავლეუსი. მაგრამ საცთური ფოტის ხელმეორე გაძევებისა და სიკვდილის შემდეგაც დიდხანს გრძელდებოდა. სტეფანეს მომდევნო პაპმა, ფორმოზმა კონსტანტინოპოლში კვლავ გამოაგზავნა ელჩები, მაგრამ აღმოსავლეთის ეკლესიამ არც ბულგარეთის ეპარქია დათმო და არც კონსტანტინოპოლის ეკლესიაზე რომის პაპის ძალაუფლება აღიარა. ამგვარად, როდესაც ერთიც და მეორე მხარეც თავის აზრს მტკიცედ ადგნენ, საბოლოოდ შეწყდა ერთმანეთს შორის ძმობისა და სიყვარულის კავშირი, რომელიც ამდენი საუკუნის განმავლობაში აერთიანებდა დასავლეთისა და აღმოსავლეთის ეკლესიებს.

§ 37. ამ დიდ ბოროტებას მოწინააღმდეგეთა შორის შუღლმა დაუდო სათავე. ერთ-ერთმა მათგანმა მეორეზე გამარჯვების მიზნით დახმარებისათვის რომის პაპებს მიმართა, ხოლო პაპებმა, რომლებიც მუდამ ძალაუფლების მოპოვებას ესწრაფვოდნენ, ამჯერად შემთხვევით ისარგებლეს და აღმოსავლეთის ეკლესიაზე თავისი ძალაუფლების გავრცელება მოისურვეს. ბულგარელთა საქმემ ეს ბოროტება კიდევ უფრო გაამწვავა. როდესაც საცთური გაძლიერდა და სულ მცირე შეცდომაშიც კი ერთმა მხარემ მეორის მხილება იწყო, მაშინ დავა დოგმატთა თაობაზედაც გაჩაღდა. ამ უკანასკნელმა აღმოსავლეთისა და დასავლეთის ეკლესიებს შორის სრული განხეთქილება გამოიწვია, რომელიც მათ დღემდე ჰყოფს ერთმანეთისაგან.

§ 38. სხვადასხვა დროს მრავალჯერ სცადეს ამ ორ განყოფილ ეკლესიათა გაერთიანება; მაგრამ ამ მცდელობის წამომწყებნი ქრისტეანთა შორის მშვიდობის შენარჩუნების კეთილშობილური სურვილით კი არ იყვნენ გამსჭვალულნი, არამედ ოდენ საკუთარი, წმიდა-ადამიანური მიზნებით ხელმძღვანელობდნენ, და ამიტომაც მათ მცდელობებს სასურველი შედეგი არ მოჰყოლია. ამ საკითხზე მოწვეული არცერთი კრება და

შეკრება წარმატებით არ დაგვირგვინებულა. პირიქით, უფრო მეტად გააღრმავეს შუღლი, როგორც ამას ახლა ვნახავთ.

§ 39. თეოდორე ლასკარის გარდაცვალების შემდეგ, რომელმაც ლათინებისგან კონსტანტინოპოლის აღების შემდეგ ბითინიის ქალაქ ნიკეაში აღადგინა ბიზანტიის იმპერიის ტახტი, გამეფდა მისი სიძე იოანე დუკა ვატაკი[74]. მან სიმამრის მიერ აზიაში, ევროპასა და ჰელესპონტში მოპოვებულ გამარჯვებებს თავისი მრავალრიცხოვანი წარმატებული ბრძოლანი მიუმატა, მტრები გაანადგურა, და ბიზანტიის იმპერიას თითქმის ყველა უწინდელი სამფლობელოები დაუბრუნა. ასე რომ, ლათინებს ოდენ კონსტანტინოპოლიღა დარჩათ. ლათინთა იმპერატორი ბალდუინ უმცროსი იქიდანაც კი იძულებული გახდა გაქცეულიყო. იგი რომს გაემგზავრა, რათა პაპისთვის და სხვა ქრისტეანი მმართველებისათვის ეთხოვა დახმარება. ამ მიზეზით შედგა კრება. სწორედ ამ კრებაზე წარმოიშვა ეკლესიათა გაერთიანების საკითხი. ამ გაერთიანებას ესწრაფვოდა ბერძენთა იმპერატორი პაპთან დამეგობრების მიზნით, რითაც მისდამი მტრულად განწყობილი ლათინი უფლისწულებისა და მეფეების კეთილგანწყობის მოპოვებას ლამობდა, რომელთა მტრობაც მისი გამარჯვებების შურითა და ბალდუინის ჩაგონებით იყო გამოწვეული. იგივე სურდა პაპ გრიგოლ IX-საც; პირველ ყოვლისა, აღმოსავლეთის ეკლესიაზე რაიმე ძალაუფლების მოპოვების იმედით; მეორე მხრივ კი იმიტომ, რომ გაენელებინა ბერძენთა სიძულვილი, კონსტანტინოპოლის აღებით გამოწვეული, და ამ ეკლესიის შეერთებით მოწინააღმდეგენიც შეერიგებინა. მითუმეტეს, ხედავდა, რომ ბერძენთა თანადგომის გარეშე ლათინები ძნელადღა თუ დაიბრუნებდნენ სარკინოზთაგან დაპყრობილ სირიისა და პალესტინის მიწებს.

§ 40. ამის გამოისობით ორგზის წამოიწყეს ეკლესიათა გაერთიანება. პირველად ბითინიის ქალაქ ნიკეაში გაიმართა მცირე კრება იმპერატორის თანდასწრებით, სადაც მხოლოდ ორი საკითხის გარშემო გაიმართა დავა: სული წმიდის წარმომავლო-

---

[74] 1222 წ. ჟ. შ-დან.

ბასა და უფუველ სეფისკვერზე*. მსჯელობა სიტყვიერად და წერილობით მიმდინარეობდა. ლათინთა მხრიდან დავაში მონაწილეობდნენ ღვთისმეტყველების მასწავლებლები — ორი დომინიკანელი და ორი ფრანცისკანელი, ხოლო აღმოსავლეთის ეკლესიიდან — პატრიარქი გერმანე და მასთან მყოფი მღვდელმთავარნი. მაგრამ მათი მსჯელობები მხოლოდდამხოლოდ ფუჭ სიტყვიერ პაექრობას წარმოადგენდა, და ამიტომაც იმპერატორმა (როგორც პოლიტიკოსმა და არა ღვთისმეტყველმა) ორივე მხარის შეთანხმების მიზნით ამგვარ დათმობებზე წასვლა შესთავაზა: ლათინებს უფუველი სეფისკვერით წირვა შეენარჩუნებინათ, და როგორც ლოდი საცთურისა, უარეყოთ სულიწმიდის დოგმატის ჩამატება — „და ძისაგან“**. ეს შემოთავაზება იყო რაღაც შუალედური, და შერიგებისათვის საუკეთესო საშუალება ,რადგან ერთი სადავო საკითხი ლათინთა მოსაზრების მიხედვით წყდებოდა, ხოლო მეორე — აღმოსავლეთის ეკლესიისა. მაგრამ ლათინმა მამებმა განაცხადეს, რომ ერთ იოტასაც არ დათმობენ თავიანთი ეკლესიის სწავლებიდან, და პირიქით, მოითხოვდნენ, რომ აღმოსავლეთის ეკლესია დამდგარიყო მათ მოსაზრებებზე და დაეწვათ ლათინთა წინააღმდეგ დაწერილი ყველა წიგნი. ამან ძლიერ განარისხა იმპერატორი, პატრიარქი და აღმოსავლეთის სხვა წარმომადგენელნიც და კრებაზე ლათინთათვის მეტად უსიამო სიტყვები წარმოითქვა. ამის შემდეგ პატრიარქმა გერმანემ კალმით, და იმპერატორმა მახვილით ბულგარელთა დახმარებით ისეთი გამძაფრებული ბრძოლა დაიწყეს ლათინთა წინააღმდეგ, რომ უკიდურესობამდე შეავიწროვეს. ამასობაში კი ბალდუინი მომხრეებს ეძებდა, რათა წინაღდგომოდა ბერძნებს.

§ 41. მეორეჯერაც იყო ეკლესიათა გაერთიანების მცდელობა[75]. პაპი ინოკენტი IV-ის დროს. აღმოსავლეთის ყოფილი ლეგატის, ფრანცისკანელი ლავრენტის, ფრანცისკანელთა გენერ-

---

* აღმოსავლეთის ეკლესია ტრადიციისამებრ საფუარით აფუებულ სეფისკვერს იყენებდა წირვაში, ხოლო ლათინები უფუველი სეფისკვერით წირავდნენ (მთარგმ.).

** ლათინებმა მრწამსში სულიწმიდის დოგმატს: „და სული წმიდა, რომელიც მამისაგან გამოვალს“, მიუმატეს „და ძისაგან“ (მთარგმნ.).

[75] ქ. შ-დან 1254 წელს.

ლის იოანე დე პარმასა და იმპერატორ თეოდორე ლასკარის ქალიშვილის, უნგრეთის მეფის ბელა VI-ის მეუღლის — მარიას დაჟინებული მოთხოვნით იმპერატორმა რომს ელჩები გაგზავნა ადრონიკე სარდიელთან და გიორგი კიზიკელთან ერთად[76]. ისინი აღმოსავლეთის ეკლესიის სახელით რომის პაპს ჰპირდებოდნენ დაეთმოთ ყველაფერი, რასაც იგი თავისი უპირატესობის განსამტკიცებლად მოისურვებდა, ოღნდ ეს თანხმობაში უნდა ყოფილიყო წმიდა წერილთან და წმიდა კრებათა კანონებთან. თავისი მხრივ კი შემდეგს მოითხოვდნენ: 1) დაებრუნებინათ კონსტანტინოპოლი, როგორც ბიზანტიის იმპერიის დედაქალაქი, 2) კონსტანტინოპოლის ტახტზე ასულიყო აღმოსავლეთის ეკლესიის პატრიარქი, როგორც ჭეშმარიტი მღვდელმთავარი, და ლათინთა პატრიარქს იქაურობა დაეტოვებინა. 3) არანაირი დახმარება არ გაეწიათ ბალდუინისათვის. პაპს გადამწყვეტი პასუხი არ გაუცია, მან თქვა, რომ მსოფლიო კრება იმპერატორთა — ვატაკისა და ბალდუინის საქმეს განიხილავს, და გადაწყვეტს, კონსტანტინოპოლი რომელ მათგანს უფრო სამართლიანად ეკუთვნის, და თუკი დედაქალაქი ბიზანტიელთა ხელში გადავა, მაშინ ორივე პატრიარქს — ბერძენსაც და ლათინსაც შეეძლება იქ დარჩენა, რადგან ორივეს თავისი მრევლი ეყოლება. აი, ასეთი პასუხი გასცა პაპმა ელჩებსა და მღვდელმთავრებს, სხვა მრავალ სასიამოვნოსაც დაჰპირდა და დასაჩუქრებულნი გაისტუმრა. ამავე წლის ბოლოს პაპი გარდაიცვალა, თითქმის იმ ხანებში აღესრულა იმპერატორი ვატაკიც[77], და ეს საქმეებიც დაუსრულებელი დარჩა.

§ 42. აი, ეკლესიათა გაერთიანებისა და შერიგების კიდევ ერთი მცდელობა. იმპერატორ იოანე დუკა ვატაკის გარდაცვალების შემდეგ სამეფო ტახტზე ავიდა მისი ძე თეოდორე ლასკარი II, რომელიც მხოლოდ 4 წელი განაგებდა იმპერიას, და სიკვდილის შემდგომ იმპერია მის ექვსი წლის ვაჟს — იოანეს ჩაბარდა პროტოვესტარი გიორგი მუზალონისა და პატ-

---

[76] Pachymer. in Michael. Palaeolog. Lib. V. cap. XI. pag. 249. edit. Rom. 1666.

[77] 1255 წ. ჟ. შ-დან.

რიარქ არსენის მეურვეობის ქვეშ[78]. როცა გიორგი მისი მმართველობით უკმაყოფილო დიდებულებმა მოკლეს, მაშინ კეთილმა პატრიარქმა იმპერატორს მეურვედ მიხეილ პალეოლოგი დაუნიშნა. იგი ჭეშმარიტად მეფობისათვის ღირსეული კაცი იყო თავისი წარმომავლობითაც, უნარიანობითაც და დამსახურებითაც. იმ ხანებში ბიზანტიის იმპერიას უწინდელი დიდების დასაბრუნებლად სწორედ ღირსეული გამგებელი ესაჭიროებოდა, და მიხეილ პალეოლოგი იმპერატორად გამოაცხადეს[79]. მან მეორე წელსვე გამოიხსნა კონსტანტინოპოლი ლათინთა ხელიდან კეისარ ალექსი სტრატიგოპულის შემწეობით.

§ 43. მიხეილმა ყველა ღონე იხმარა, ადამიანური სიბრძნისათვის მისაწვდომი ყველა ხერხი გამოიყენა, რათა იმპერატორის ტახტზე განემტკიცებინა თავი და თავისი შთამომავლებიც. მან ეს ტახტი უდავოდ უკანონოდ ჩაიგდო ხელში — ახალგაზრდა იმპერატორი მაგნეზიაში გაისტუმრა, დილეგში ჩაამწყვდია და ბოლოს თვალებიც დასთხარა[80]. გადაასახლა პატრიარქი არსენიც, რომელმაც ამ უდიდესი დანაშაულის გამო ეკლესიიდან განკვეთა იმპერატორი და მის განხსნაზე აღარ თანხმდებოდა; პატრიარქის ადგილზე კი თავისი მოძღვარი, იღუმენი იოსები დაადგინა, რომელმაც განხსნა კიდეც იგი. შემდგომ, საბრალო იმპერატორ იოანეს სამივე და გვარ-ტომით არაბერძენთ მიათხოვა იმის შიშით, რომ მათ ქმრებსა და შვილებს იმპერატორის ტახტის ხელში ჩაგდების მცდელობა აღარ ჰქონოდათ. ქმრებად უცხოელი მდიდარი და წარჩინებული დიდებულები აურჩია, რათა იმპერიის საზღვრებს განეშორებინა ტახტის მემკვიდრენი. ერთი და ფრანგ მათე ვალენკურტს მისცა ცოლად, მეორე — ბულგარელ თავადს, მესამე კი — გრაფ დე ვინტიმილ ვილგელმს[81]. მხოლოდ ერთი გარემოება-

---

[81] Pachymer. Lib. III cap. VI. p. 120 et Niceph. Gregor. Lib. IV. cap. IV. Segm. I.

[78] 1259 წელს Nicephor Gregor. Hist. Byz. Lib. III cap. Segm. IV. edit. Paris. 1702.

[79] 1260 წელს Niceph. Gr. Lib. IV. cap. I. Segm. I.

[80] Pachymer. in Mich. Pal. Lib. III. cap. X. pag 127.

ღა აბრკოლებდა იმპერატორ მიხეილის ტახტზე საბოლოოდ განსამტკიცებლად და სულიერ სიმშვიდეს ურღვევდა: ნეაპოლიტანელთა და სიცილიელთა მეფე — კარლოს დ'ანჟუ, თავის მტერთა მამაცი და დაუმარცხებელი მოწინააღმდეგე, მრავალბრძოლამოგებული და ბიზანტიის იმპერიის ზოგი ქალაქის მიმტაცებელი, ისევანად ემზადებოდა ხმელეთიდან ჯარით დასხმოდა თავს კონსტანტინოპოლს, ხოლო უზარმაზარი ფლოტით ალყა შემოერტყა და აეღო ბერძენთა სხვა ზღვისპირა სიმაგრეებიც. ეს კონსტანტინოპოლიდან განდევნილმა ბალდუინმა სთხოვა დახმარება კარლოსს და აღუთქვა, რომ ტახტის დაბრუნების შემდგომ მთელ აქაიასა და პელიპონესს მისცემდა, და თავის ვაჟ — ფილიპეს კარლოსის ასულზე დააქორწინებდა, იმ პირობით, რომ თუკი ბალდუინი და მისი ძე უშვილოდ გარდაიცვლებოდნენ, მთელი იმპერია კარლოსსა და მის მემკვიდრეთ გადაეცემოდა. მეორე მხრივ, კარლოსის ძმა, ფრანგთა მეფე ლუდოვიკო სხვა ფრანგ უფლისწულებთან ერთად სარკინოზთა წინააღმდეგ ჯვაროსნული ლაშქრობისათვის ემზადებოდა პალესტინის გამოსახსნელად[82]. მიხეილი ხედავდა ამას, და შიშობდა, რომ ეს ორი ძმა შეერთებული ძალებით არ წამოსულიყვნენ მის წინააღმდეგ და ტახტიდან არ ჩამოეგდოთ. ამიტომაც, პოლიტიკური მიზნებით გადაწყვიტა დამეგობრებოდა რომის პაპს, რათა მისი მფარველობით თავი დაეღწია მოსალოდნელი საშიშროებისაგან, და ამასთან ერთად, ხელსაყრელი შემოხვევით დასავლეთელ მეფეებსაც დაახლოებოდა. სწორედ ამ მიზეზით დაიწყო მან მთელი ძალისხმევით ეკლესიათა გაერთიანების მცდელობა.

§ 44. ამასობაში კი, რომის პაპი ურბან IV ბალდუინის თხოვნით გულმოდგინედ ცდილობდა მიხეილის წინააღმდეგ აემხედრებინა ევროპის ყველა მეფე. სწორედ მაშინ დაიწყო იმპერატორმა მიხეილმა მასთან მოლაპარაკებების წარმოება, ჯერ რამოდენიმე ფრანცისკანელ ძმათა მეშვეობით სცადა კავშირის დამყარება, შემდგომ კი უკვე ელჩები გაგზავნა რომს, რათა დრო მოეგო და ძვირფასი საჩუქრებით მოესყიდა კარ-

---

[82] ეს ხდებოდა ქ. შ-დან 1266 წელს.

დინალები და პაპთან დაახლოებული პირები[83]. ამ დროს ყოველდღიურად იზრდებოდა კარლოსის საქმეთა და გამარჯვებათა დიდება. მან იმხანად თავისი ჯარი ძმის მხედრობას შეუერთა, და მიხეილის შიშიც გაძლიერდა. მიხეილმა საგანგებო ელჩობა გაუგზავნა ლუდოვიკოს, და არწმუნებდა, უფრო სწორედ, აფიცებდა მას, თანადგომა გაეწია ეკლესიათა გაერთიანებისათვის. ამისთვისვე იღწვოდა ურბანის მემკვიდრე — კლიმენტი IV-სთან მოლაპარაკებითაც. კლიმენტიმ უწყოდა იმპერატორის შიში, ხედავდა მის აშკარა მძიმე მდგომარეობას, და ღრმად დარწმუნებული, რომ მიხეილი მის ყველა მოთხოვნას დააკმაყოფილებდა, პასუხად მიუგო, რომ ეკლესიათა გაერთიანებისათვის საჭირო არაა არც ბჭობა და არც კრებები, რამეთუ რომის ეკლესიის დოგმატები კრებებზე ძალზე მშვენივრადაა ჩამოყალიბებული, და თუკი იმპერატორი მართლაც ესწრაფვის გაერთიანებას, მაშინ, მანაც და პატრიარქმაც, აღმოსავლეთის ეკლესიის ყველა მღვდელმთავარმა და მათმა ქვეშევრდომთაც მიიღონ გამოგზავნილი მრწამსი, რომელიც ლათინთა მთელ სწავლებას შეიცავს, და მის ქვეშ ხელი მოაწეროს ჯერ თავად იმპერატორმა, ხოლო შემდგომ სხვებსაც აიძულოს ასევე მოიქცნენ, და ეს ფურცლები რომს გამოაგზავნოს საუკუნოდ შესანახად.

§ 45. აქამომდე იმპერატორი მიხეილი ცხადად სიტყვითა და დაპირებებით მოქმედებდა, ფარულად კი შეძლებისდაგვარად ცდილობდა კარლოსის წინააღმდეგ მტრები აემხედრებინა, განსაკუთრებით კი ვენეციელებს აქეზებდა. მაგრამ ახლა უკვე იძულებული გახდა აშკარად ემოქმედა, რადგან ურბანთან და აწ უკვე გარდაცვლილ კლიმენტისთან კი აღარ ჰქონდა საქმე, არამედ ფრიად გონიერ და მასავით ცბიერ კაცთან: ეს იყო გრიგოლ X, — კლიმენტის მემკვიდრე რომის საპატრიარქო ტახტზე[84]. ეს პაპი განზრახვას მიუხვდა იმპერატორს და გადაწყვიტა, რადაც არ უნდა დაჯდომოდა, ეკლესიათა გა-

---

[83] Pachym. Ioc. cit. Lib. II. cap. XXXVI. p. 109.

[84] ჯ. შ-დან 1271 წელს.

ერთიანება ეიძულებინა მისთვის; პირველ ყოვლისა, მან ჩაშალა მიხეილის კავშირი ვენეციელებთან, კარლოსის წინააღმდეგ რომ იყო განზრახული; ევროპის ყველა მეფესა და უფლისწულს მისწერა, რომ მზადყოფნაში ჰყოლოდათ ჯარები; ყველანი ეპისკოპოსებთან ერთად მოიწვია მომავალ წელს ლიონში დანიშნულ კრებაზე; და მერმე მიხეილს გაუგზავნა ლეგატები უწყებითურთ, რომელიც ფრიად მბრძანებლური ტონით იყო დაწერილი, სადაც იგი იმპერატორს აუწყებდა, რომ თავად იგი დაუყოვნებლივ გამოცხადებულიყო კრებაზე, ანდა თავისი ნაცვალნი გამოეგზავნა; აღმოსავლეთს ყოველგვარი ვანსჯის გარეშე მიეღო ლათინთა მრწამსი, რომელიც მისმა წინამორბედებმა გაუგზავნეს, თუკი ლათინებთან მეგობრული კავშირი სურდა.

§ 46. ასეთ გამოუვალ მდგომარეობაში ჩავარდნილი იმპერატორი ხედავდა, რომ მიზნის მისაღწევად, ე. ი. მტრების მოსაცილებლად და ტახტის განსამტკიცებლად ერთადერთი საშუალებაღა რჩებოდა: აღმოსავლეთის ეკლესია დასავლეთის უბადრუკ მორჩილებაში შეეყვანა. მე აღარ შევუდგები იმ ყველაფრის აღწერას, რაც მან პაპი გრიგოლის მოსათაფლად წარმოთქვა და მოიმოქმედა; მსურველებს შეუძლიათ ყოველივეს დაწვრილებით გაეცნონ ისტორიკოსთა თხზულებებში[85]. და დაინახავენ, რომ თავის განზრახვაზე მყარად მდგომი იმპერატორი ყოველგვარ ღონეს ხმარობდა, რათა ყველა თავისი ქვეშევრდომი თავისი აზრებისაკენ გადაებირებინა. თავიდან პირმოთნე დაპირებებით და საჩუქრებით ცდილობდა მიზნის მიღწევას, ხოლო მერე შეურაცხყოფაზე, მუქარაზე, გადასახლებასა და სიკვდილით დასჯაზე გადავიდა. რაღას არ იქმოდა, ოღონდ კი მისი მოთხოვნა დაეკმაყოფილებინათ.

§ 47. იმპერატორმა საპატრიარქო ტახტიდან ჩამოაგდო და ერთ-ერთ მონასტერში[86] გადაასახლა ჩინებული კაცი, კეთილ-

---

[85] Geog. Pachym. I. c. Lib. V. cap. XI et XII. Niceph. Gregor. Lib. V. cap. I. et II.

[86] მთავარანგელოზ მიქაელის მონასტერში.

[86] Vid. Niceph. Greg. lib. V. cap. II. Segm. II.

მორწმუნე ღვთისმსახური და თავისი მოძღვარი, პატრიარქი იოსები, რომლისაგანაც მიიღო განხსნა თავისი დიდი დანაშაულისა, და რომელთანაც უწინ განუზომელი სიყვარული და პატივისცემა აკავშირებდა. იმპერატორმა ჯერ მარტო სცადა, შემდეგ კი მის მონა-მორჩილთა: კონსტანტინე მელიტინიოტის, გიორგი მეტოხიტისა და გიორგი კვიპრელის დახმარებით დაეპირა თავის მხარეს გადაებირებინა ეკლესიის სახელგანთქმული ქარტოფილაქსი იოანე ვეკა, რომელიც თავისი ღრმა განსწავლულობისათვის პატრიარქისა და იმპერატორის კარზე დიდ პატივს იმსახურებდა. იოანე ცნობილი იყო, როგორც უჭკვიანესი კაცი, მუერმეტყველი, მეცნიერებათა მცოდნე და როგორც ყველასაგან გამორჩეული ნიჭით დაჯილდოებული ადამიანი. მაგრამ რადგანაც ვეკა ამის წინააღმდეგი იყო და ლათინებს მწვალებლობაში გაბედულად ამხილებდა, ამიტომ მიხეილმა ვინმე იოანე ხუმნის მეშვეობით კრებაზე მას ბრალი დასდო იმპერატორის ხელისუფლების წინააღმდეგ შეთქმულებაში. ამ კრების მსაჯულები სასულიერო პირებთან ერთად, მიხეილის ერთგული ერისკაცებიც იყვნენ, უმაღლესი ლოგოფეტის*, გიორგი აკროპოლიტის თაოსნობით. ამის შემდეგ იმპერატორმა იოანე ვეკა საპყრობილეში ჩააგდო. საპყრობილეში იოანემ თავისი მდგომარეობა გაიაზრა, და როდესაც მიხვდა, რომ ძლიერ სახიფათოა წინ აღუდგე ისეთ იმპერატორს, როგორიც მიხეილია, თავის მიმართ უსიტყვო მორჩილებას რომ ითხოვს, აზროვნება შეიცვალა, სიტყვით თუ საქმით ლათინების მომხრეთა მეთაური გახდა და ყველაფერში იმპერატორის სურვილისამებრ იქცეოდა: სიტყვით, კალმით თუ ქადაგებით ცდილობდა, ეამებინა მისთვის. შემზარავია ქრისტეს ეკლესიის მქადაგებლის მიხეილ ოლოვოლის ბედი. ჭეშმარიტების საჯაროდ ქადაგებისათვის იმპერატორის ბრძანებით მას ტუჩები და ცხვირი მოაჭრეს და ბითინიის მონასტერში გადაასახლეს. შემდეგ იმპერატორმა იგი კონსტანტინოპოლში გამოიძახა და უმეტესი შეურაცხყოფის მიზნით ბრძანა, ახლადმოკლული ცხოველის შიგნეულობა სახეში ერტყათ მისთვის. ამ შემთხვე-

---

* ლოგოფეტი — (ბერძნ.) — ბიზანტიაში ერთ-ერთი უმაღლესი ხამოხელეო თანამდებობა.

ვამ ხალხი იმდენად შეაძრწუნა, რომ მას შემდეგ წინააღმდეგობის გაწევა ვეღარავინ გაბედა. იმპერატორი უკეთ არც თავის ნათესავებს მოქცევია, ზოგიერთს თვალები დასთხარა და პაპის ელჩებს აჩვენა იმ მიზნით, რომ ისინი უფრო დარწმუნებულიყვნენ, თუ როგორ არ უნდოდა იგი განხეთქილების მომქმედთ და როგორ გულწრფელად სურდა ეკლესიათა გაერთიანება. იმპერატორს ოჯახის წევრებს შორის ყველაზე ძლიერ უყვარდა თავისი და, ევლოგია, რომელიც მას ბავშვობისას ზრდიდა და მისდამი დიდ მზრუნველობას იჩენდა; მაგრამ იმის გამო, რომ ევლოგია მტკიცედ იდგა მართლმადიდებელთა მსარეზე, იმპერატორმა მისდამი ესოდენ ძლიერი სიყვარულიც კი უსასტიკესი სიძულვილით შეცვალა. ვინღა გაბედავდა ყოველივე ამის შემდეგ იმპერატორის მრისხანებას აღდგომოდა წინ? ყველა ქედს იხრიდა და დამარცხებული ნებდებოდა.

§ 48. პაპ გრიგოლ X-ეს მიერ ლიონში მოწვეულ კრებაზე მიხეილმა ელჩები გააგზავნა: თავისი და თავისი ძის. ანდრონიკეს მხრივ — უმაღლესი ლოგოფეტი გიორგი აკროპოლიტი, პროტოვესტარი პანარეტი და მთავარი თარჯიმანი ვერიტი, ხოლო საეკლესიო მხრიდან — მომავალი პატრიარქი გერმანე, მიტროფანე ნიკეელი და მათთან ერთად რამოდენიმე სამღვდელო დასის წარმომადგენელი, რომელთა შორისაც იოანე ვეკაც იმყოფებოდა, მაგრამ იმპერატორის ელჩების გემი დაიღუპა, ხოლო მეორე გემზე მყოფი აკროპოლიტი, მღვდელმთავრები და სამღვდელო დასის წარმომადგენლები 26 ივნისს მშვიდობიანად ჩავიდნენ კრებაზე, სადაც მათ ფიცით მიიღეს და ხელმოწერით დაადასტურეს ლათინთა აღმსარებლობა. ასე გადაწყდა ყოველივე პაპის სურვილისამებრ, რომელიც ცდილობდა აღმოსავლეთის ეკლესია დასავლეთისათვის დაექვემდებარებინა და ბერძნებთან ემეგობრა იმ იმედით, რომ ლათინები მათი სახით მტრებს დაკარგავდნენ და პალესტინასა და სირიას იოლად გამოსტაცებდნენ ხელიდან სარკინოზებს, რომელთა წინააღმდეგაც ისინი ჯვაროსნულ ლაშქრობის წამოწყებას აპირებდნენ; მიხეილი კი თავის მხრივ იმედოვნებდა, რომ ამ გზით ლათინებთან, მეტადრე კარლოსთან მშვიდობას დაამყარებდა და ტახტზე განმტკიცდებოდა. როდესაც იმპერატორის ელჩები დაბრუნდნენ და მას

კრებაზე მომხდარის შესახებ აუწყეს, იმპერატორმა გაერთიანებისადმი თავისი გულწრფელი სურვილის გამოხატვის მიზნით ჯერ გაერთიანების წინააღმდეგი პატრიარქი იოსები აიძულა, პატრიარქობაზე უარი განეცხადებინა, და მის ნაცვლად ტახტზე თავისი თანამოაზრე იოანე ვეკა აიყვანა, იოსების ერთგული მოკავშირე, მართლმადიდებელი იობი იასიტი კი ციხეში ჩააგდო; შემდეგ პირველივე წირვაზე კვერექსებში, უწინარეს ყოველთა პატრიარქთა, პაპის სახელის მოხსენიება ბრძანა. ამასობაში პაპმა, რომელსაც იმპერატორმა მეორე ელჩობა გაუგზავნა, კარლოსი დაარწმუნა, რომ ეკლესიის მშვიდობისა და ერთსულოვნების მიზნით მიხეილს შერიგებოდა და საომარი სამზადისი შეეწყვიტა.

§ 49. მაგრამ იმპერატორის ეს ქმედება არ იკმარა პაპმა ნიკოლოზ III-მ — მემკვიდრემ ერთმანეთის მიყოლებით გარდაცვლილი პაპების: გრიგოლ X-ის, ინოკენტი V-ის და იოანე XXI-სა. იგი ხვდებოდა, რომ იმპერატორი ეკლესიის გაერთიანებას ოდენ პოლიტიკური მიზნების გამო ესწრაფვოდა, ხოლო მისი ქვეშევრდომნი არანაირად არ იყვნენ ამისთვის მოწადინებულნი. ამიტომაც მან ელჩები გაუგზავნა მიხეილს და მოსთხოვა: ეკლესიათა გაერთიანება უფრო სარწმუნო რომ ყოფილიყო, იმპერატორს უნდა მიეღო ლათინთა მრწამსი ჩამატებითურთ: „და ძისაგან“ და შემდეგ აღმოსავლეთის ეკლესიაც ეიძულებინა იგივე გაეკეთებინა.

ასეთი მოთხოვნა აღმოსავლეთის ეკლესიისათვის არც მანამდე, და არც მერმე არცერთ პაპს არ წამოუყენებია. იმპერატორი მიხეილიც გამოუვალ მდგომარეობაში ჩავარდა. თვითონ არ ღებულობდა ამ წინადადებას, და მითუმეტეს ვერ მოთხოვდა ამის ქმნას წმიდა მამათა დოგმატების მტკიცე დამცველებს, რომლებიც ეკლესიათა გაერთიანებაზე არ თანხმდებოდნენ და იმპერატორსაც ისე ცივად ეკიდებოდნენ, რომ უკვე შინაომის საშიშროებაც დგებოდა. მეორე მხრივ, მიხეილს პაპისთვისაც უნდა ეამებინა, რათა თავისი მოქმედებების სიწრფელეში ეჭვი არ შეეტანინებინა. ამასთანავე, ხედავდა, თუ დღითიდღე როგორ იზრდებოდა კარლოსის საქმეთა სახელი და დიდება. ამიტომაც ამგვარი ქმედება დაიწყო: ერისკაცთა საამებლად პატ-

რიარქის ტასტიდან დაამხო იოანე ვეკა. იმპერატორი თვითონაც უკვე ველარ უძლებდა მის დაჟინებულ და უჯიათ ხასიათს — (პატრიარქი თავისი სურვილების ასრულებას დაუყოვნებლივ მოითხოვდა იმპერატორისაგან)[87]. ამავე დროს პაპთან მოლაპარაკებებს ავრძელებდა: ხან ჰპირდებოდა, ხან ებოდიშებოდა, და ბოლოსდაბოლოს თავის მხარეზე გადაიბირა. პაპი სხვადასხვა მიზეზის გამო კარლოსის დიდი მტერი იყო, მიხეილმაც დრო იხელთა და საიდუმლო კავშირი დაამყარა მასთან, რათა თანადგომა გაეწია კუნძულ პროხიტას თავადის — იოანეს წამოწყებისათვის, რომელიც არაგონის მეფე — პეტრესთან ერთად კარლოსის ძალაუფლების ქვეშ მყოფი სიცილიის მოპოვებას ცდილობდა[88]. ეს იოანე, სიცილიის ტახტის მემკვიდრედ აცხადებდა თავს, კარლოსმა კი მას მთელი ავლადიდება წაართვა, და ახლა იგი ფარულად დადიოდა კონსტანტინოპოლში, რომსა და ესპანეთში მონაზვნის სამოსში გადაცმული და როცა კარლოსის წინააღმდეგ სამოქმედოდ გადმოიბირა ბერძენი იმპერატორი, არაგონის მეფე და პაპი ნიკოლოზი, ყველანაირი ღონე იხმარა სიცილიაში აჯანყების მოსახდენად.

§ 50. ამ დროს გარდაიცვალა პაპი ნიკოლოზი. კარლოსის შემწეობით ტახტზე ავიდა პაპის მემკვიდრე მარტინ IV. მიხეილმა უწინდელი კავშირის აღსადგენად დაუყოვნებლივ გაგზავნა მასთან ელჩები — ლევ ირაკლიელი და თეოფანე ნიკეელი. მაგრამ პაპმა ეკლესიის საქმეთა განგება პირველი ნაბიჯებიდანვე პოლიტიკური გზით წარმართა — პოლიტიკური ვითარების ცვლილების მიხედვით ცვლიდა ეკლესიის საქმეებს. პაპი ნიკოლოზი კარლოსის მეგობარი იყო, და მისი რჩევით იმპერატორი მიხეილი ეკლესიიდან განკვეთა ყოველგვარი სამართლიანი მიზეზის გარეშე, როგორც ამას აღიარებს მაიმბურგ-იეზუიტიც, რომელიც ამ ამბებს დაწვრილებით აღწერს მართლმადიდებელთა წინააღმდეგ დაწერილ

---

[87] Pachym. Lib. VI. cap. XII et XIII. p. 310 et 311.

[88] Platina in vitis Pont., vid. Vitam Nicolai III edit. Colon. 1574. p. 211.

„ეკლესიათა განყოფის ისტორიაში“[89]. ეს კიდევ არაფერი, პაპს სურდა კარლოსთან და ვენეციელებთან ერთად იმპერატორისთვის ხმელეთიდანაც და ზღვიდანაც შეეტია. მაგრამ ამაოდ: შემთხვევამ, უფრო სწორედ ღვთის განგებამ სხვაგვარად წარმართა საქმე. იმპერატორმა მიხეილმა როგორც კი შეიტყო პაპის ამგვარი მოქმედებანი, უპირველესად ასეთი ნაბიჯი გადადგა: კვირას, წირვაზე, როცა დიაკვანი ჩვეულებისამებრ (როგორც ლიონის კრების მერე იყო მიღებული), პაპის სახელის წარმოთქმას აპირებდა, იმპერატორი წამოდგა და ხმამაღლა, ყველას გასაგონად შეაჩერა იგი[90]. შემდგომ შეუკავშირდა არაგონის მეფე — პეტრეს და ოცდაათი ათასი უნცია ოქრო გაუგზავნა წარმატებით დაწყებული ომის გასაგრძელებლად. ალბანეთში მიხეილის ჯარებმა სძლიეს კარლოსის ჯარების ნაწილს. სიცილიელები აჯანყდნენ: წმიდა აღდგომის საღამოს წინასწარი შეთანხმებისამებრ უცაბედი ამბოხი მოაწყვეს, მთელი ფრანგები დაბოცეს და კარლოსის ბატონობიდანაც დაისნენ თავი. კარლოსმა იმხანად სხვა ბევრი დამარცხებებიც იწვნია, სიცოცხლე დაასრულა, და თან გაიყოლა ოცნება ბევრ ბრწყინვალე გამარჯვებებზე. ამის შემდეგ მიხეილი სრულ უსაფრთხოებაში აღმოჩნდა, თუმცა ალარც მას უცოცხლია დიღხანს. მეორე წელსვე, როცა მის წინააღმდეგ ამბოხებული თესალიის განმგებელ — იოანეს დასამორჩილებლად დაძრა ჯარი, პახომიევოს დასახლებას რომ მიუახლოვდა, გარდაიცვალა. ტახტი დაუტოვა თავის ძეს — ანდრონიკეს, რომელმაც მეფეს შესაფერი პატივით დაკრძალვაც არ აღირსა; ბრძანა, ყოველგვარი ცერემონიის გარეშე დაემარხათ ორმოში და იმდენი მიწა მიეყარათ, რომ ფრინველთა და მხეცთა საჯიჯგნი არ გამხდარიყო[91]. მაშინ პატრიარქის ტახტზე კვლავ იოსები დააბრუნეს, გადასახლებული ევლოგიაც იმპერატორის კარზე ჩამოიყვანეს, ლათინთა თანამოაზრეებმა შეინანეს და შენდობაც მიიღეს; დასავლეთის ეკლესიის ახალი დოგმატები დაიგმო და აღმო-

---

[89] Histoire du Schisme de Grecs. par. Maimburg. Lib. V. Tom. II. p. 119. Edit. Paris. 1680.

[90] Pachymer. Lib. VI. cap. XXX. p. 314.

[91] ჯ. შ-დან 1283 წელს, Niceph. Gregor. Lib. V. cap. VII. Segm. III et VI.

საეკლესიო ეკლესია უწინდელზე მეტად დასცილდა მას. ასეთი იყო დასაწყისი და დასასრული იმპერატორ მიხეილ პალეოლოგის მიერ წამოწყებული ეკლესიათა გაერთიანებისა.

§ 51. იმპერატორ მიხეილის სიკვდილის შემდეგ მისი შემართებით გამოცოცხლებული ბიზანტიის იმპერია ანდრონიკეს მეფობის სანაში დაკნინების გზას დაადგა. პირველმა თურქმა სულთანმა ოტომანმა ბითინიის ქალაქ ბრუსში რეზიდენცია داارسا და აღმოსავლეთიდან იმპერიის მიწების დიდი ნაწილი დაიპყრო, რითაც ძლიერ შეარყია იგი. ანდრონიკე უმცროსის მეფობის დროს (რომელმაც ძალით წაართვა ტახტი თავის პაპას[92]), აზიიდან ევროპაში შემოიქრა ოტომანის ძლეკამოსილი ვაჟი — ორხანი და სასტიკად ააოხრა ბერძენთა სამფლობელოები. ამავე ხანებში იმპერია თურქთა, ბულგარელთა და სხვა მტერთა მრავალრიცხოვან შემოსევებსაც განიცდიდა. მტრებისაგან შეშინებულმა ანდრონიკემ ლათინთა მხრიდან შემწეობის იმედით გადაწყვიტა ისევ გაემართა მოლაპარაკებები ეკლესიათა გაერთიანებაზე და ელჩებიც გაგზავნა: ფრანგთა მეფე ფილიპესთან ვენეციელი დიდებული დანდოლი მიავლინა, ხოლო პაპ ბენედიქტე XII-სთან — მონაზონი ვარლაამი. ეს ვარლაამი ეკლესიის ისტორიაში საკმაოდ ცნობილი პირია მის მიერ მოხდენილი განხეთქილების გამო. ამ განხეთქილებას ძირფესვიანად აღწერენ გრიგორასი და იოანე კანტაკუზენი. შემდგომ იმპერატორის ტახტზე ასული[93]. ამ ბერმა პაპს ორი წინადადება შესთავაზა: პირველი, პაპს უნდა დაერწმუნებინა ლათინი მეფეები ამხედრებულიყვნენ ბარბაროსთა წინააღმდეგ, და ამით დაეყოლებინათ ბერძნები გაერთიანებაზე. მეორე — მოითხოვდა, მოეწვიათ მსოფლიო კრება, რომელზეც აღმოსავლეთის ყველა პატრიარქი ანდა მათი თანამოსაყდრენი დაესწრებოდნენ. ამ კრებას უფრო მტკიცედ უნდა გაეერთიანებინა ეკლესიები, ვიდრე ეს ლიონის კრებამ შეძლო. ბენედიქტემ უპასუხა: ჯერ აღმოსავლეთის ეკლესია შემოგვიერთდეს, და მერე ვიზრუნებ ლათინები დასახმარებლად შევაიარა-

---

[92] 1328 წ. ქ. შ-დან.

[93] Niceph. Gregor. Lib. XI. cap. X. იხ. აგრეთვე Johan. Cantacus. Histor. Lib. II. cap. XXXIX et XL.

ლოო. რაც შეეხება კრებას, მისი მოწვევა სულაც არაა საჭირო, რადგან დასავლეთის ეკლესიის დოგმატთა გამორკვევის არანაირი აუცილებლობა არ არსებობს, ისინი ხომ კრებებზე უკვე მრავალჯერ ჩამოყალიბებული და ახსნილიაო.

§ 52. ასეთი პასუხით გამოსტუმრებული ვარლაამი ორი ლათინი ეპისკოპოსის თანხლებით დაბრუნდა უკან. პაპს უნდოდა ხელსაყრელი შემთხვევით ესარგებლა და ეს ეპისკოპოსები აღმოსავლელებთან საპაექროდ გამოეგზავნა კონსტანტინოპოლს. მაგრამ ამგვარი პაექრობის გამართვას წინ აღუდგა ნიკიფორე გრიგორასი, რომელმაც პატრიარქ იოანესა და მასთან მყოფ მღვდელმთავრების თანდასწრებით წარმოთქვა სიტყვა. ამ სიტყვაში საკუთარი აზრებითაც და წმიდა მამათა გამონათქვამების მოშველიებითაც დაასაბუთა, რომ სარმწუნოებაზე დავა საშიშია, და რომ აღმოსავლეთის ეკლესიის დოგმატები საკმაოდ ნათლადაა ჩამოყალიბებული სხვადასხვა წმიდა კრებებზე და აღარანაირ ეჭვს არ იწვევს[94]. ნიკიფორე მაშინ დიდი პატივით სარგებლობდა იმპერატორთან და სასულიერო პირთა შორისაც განთქმული იყო თავისი განსწავლულობით. მისმა სიტყვამ იმოქმედა. ლათინი ეპისკოპოსები იძულებულნი გახდნენ უკან გაბრუნებულიყვნენ, და ეკლესიათა გაერთიანების საქმეც ჩაიშალა. მითუმეტეს, რომ მალე იმპერატორი ანდრონიკე გარდაიცვალა[95].

§ 53. ამის შემდეგ ბიზანტიის იმპერიის მდგომარეობა დღითი-დღე უარესდებოდა და უკიდურეს მდგომარეობამდე მივიდა ანდრონიკე უმცროსის ძის — იოანე პალეოლოგის მეფობის ხანაში. იგი იმდენად მტრულად იყო განწყობილი თავისი მეურვისა და სიმამრის — იოანე კანტაკუზენის მიმართ, რომ იმპერიაში დიდხანს მძვინვარებდა სისხლიანი შინაომები[96]. იმ ზანად ბერძნებს ორი სასტიკი მტერი ჰყავდათ: ერთი — თურქთა სულთანი, იმპერიის დასაპყრობად მოწადინებული, და მე-

---

[94] Niceph. Gregor. Hist. Byz. Lib. XX cap. VIII.

[95] ქ. შ-დან 1341 წელს.

[96] Ioann. Cantacuzen. Lib. III. cap. XX-XXXV.

ორე — პაპი, ეკლესიის დამორჩილების მოსურნე. საბრალო ბიზანტიელმა იმპერატორებმა იმპერიის დამონებისაგან განთავისუფლების მიზნით გადაწყვიტეს აღმოსავლეთის ეკლესია დასავლეთისათვის დაექვემდებარებინათ. ასე დაიწყო მოლაპარაკებები გაერთიანებისათვის, რომლებიც არასოდეს წარმატებით არ დასრულებულა, რადგან ბერძნები ყოველთვის ბარბაროსთა წინააღმდეგ დახმარების იმედით იწყებდნენ გაერთიანების მცდელობას, ლათინებს კი არასოდეს აღმოუჩენიათ ეს შემწეობა.

§5 4. კანტაკუზენმა ორჯერ გაგზავნა ელჩები რომს, — ერთხელ კლიმენტი VI-სთან, მეორეჯერ — ინოკენტი VI-სთან, მაგრამ ამაოდ[97]. შემდგომ, როცა მან ტახტზე უარი განაცხადა და ბერად აღიკვეცა, იოანე პალეოლოგი უკიდურესად შეავიწროვა თურქმა სულთანმა — ამურატმა. მან უკვე აიღო კალიუპოლი და მრავალრიცხოვანი ლაშქრით დაიძრა კონსტანტინოპოლისაკენ. მაშინ იმპერატორმა ჯერ ელჩები გაუგზავნა პაპს, მერე თვითონ წავიდა რომს, და იქ (როგორც ლათინები ამტკიცებენ, თუმცა ძლიერ საეჭვოა), დასავლეთის ეკლესიის მრწამსი მიიღო და თავისი სიგელით დაადასტურა, ბარბაროსთა წინააღმდეგ დახმარების მიღების იმედით. მაგრამ არათუ დახმარებას ვერ ეღირსა, არამედ რომისკენ მიმავალ გზაზე ვენეციაში მევახშეებმა შეიპყრეს და სანამ მისმა ძემ — მანუელმა ფული არ გამოგზავნა ვალების გადასახდელად, არ გაუთავისუფლებიათ[98]. უწინდელზე უფრო უსახსროდ დარჩენილი იმპერატორი კონსტანტინოპოლში დაბრუნდა, და იძულებული გახდა ამურატხანს უკიდურესად არახელსაყრელი პირობებით დაზავებოდა: ბარბაროსთა ბრძანებით უფროსი ვაჟი — ანდრონიკე უნდა დაებრმავებინა, ხოლო მეორე — მანუელი, ტახტის მემკვიდრე, მძევლად გაეგზავნა.

§ 55. ამის შემდეგ მანუელი გამეფდა თურქებისაგან შევიწროებულ და დანგრეულ სამეფოში. ლათინების შემწეობის იმე-

---

[97] Idem. Lib. IV. cap. IX. pag. 732. edit. Paris. 1645.
1645.

[98] Laonic. Chaleocondyl. Histor. Lib. I. pag. 25 et seq. edit. Paris. 1650.

დით შეპყრობილი, საფრანგეთს გაემგზავრა კარლოს VI-სთან, იქიდან კი ინგლისში გადავიდა. მან დიდი ხანი დაჰყო იქ, და ბევრი მცდელობის შემდეგ ხელმოცარული დაბრუნდა უკან.

§ 56. ეკლესიათა გაერთიანების საქმე უკანასკნელად წამოიწყო იოანე პალეოლოგმა, მანუელის ძემ, მაშინ, როცა ამხელა იმპერიიდან მისი ძალაუფლების ქვეშ კონსტანტინოპოლის გარდა თითქმის აღარაფერი დარჩა. ბერძნების მღვომარეობა უკიდურესად მძიმე იყო. პაპმა ევგენი VI-მ ფერარაში მოიწვია კრება (რომელიც ფლორენციაში დასრულდა). ამ კრების მიზანი იყო: გაენადგურებინა კონსტანცაში და ბაზელში მომხდარი მოქმედებანი, სადაც პაპის ძალაუფლება უარყვეს, და თავის მხარეს გადმოებირებინა აღმოსავლეთის ეკლესია, რისთვისაც ესოდენ საჭირო შემწეობის აღმოჩენას ჰპირდებოდა ბერძნებს. ამ კრებას ესწრებოდნენ იმპერატორი იოანე, მისი ძმა დიმიტრი და პატრიარქი იოსები მრავალ მღვდელმთავრებთან ერთად. მასზე მომხდარ ამბებს დაწვრილებით აღწერს სილვესტერ სიროპული, ეკლესიის უმაღლესი ეკლესიარხი და დიკეოფილაქსი[99], რომელიც ყველაფრის თვითმხილველი იყო. თავის თხზულებაში იგი აშკარად აჩვენებს ლათინთა მიზნებსა და მანქანებებს და აღმოსავლელთა უმძიმეს გასაჭირს. რაღა მოხდა მერე? ფლორენციის კრება და მისი ქმედება არ ცნო შემდგომმა კონსტანტინოპოლის კრებამ. იგი შეიდგა წმიდა სოფიას ტაძარში, იოანეს ძმის — კონსტანტინეს მეფობის დროს. ლათინებს შემდგომშიც არანაირი დახმარება არ აღმოუჩენიათ ბერძნებისათვის და შორიდან უცქერდნენ, როგორ აიღო კონსტანტინოპოლი მუჰამედ II-მ და მთელ ბიზანტიის იმპერიაზე გაბატონდა[100]. ამგვარად, ეკლესიები აქამდე განყოფილი რჩება. დაე, ოდესმე მტკიცე კავშირით შეაუღლოს ისინი სული წმიდის მადლმა! ამინ.

---

99 Syropul. Concil. Florentin. exacti. nazzat. edit. Hagae Comitis. 1660.

100 ქ. შ-დან 1453 Laonic. Chaleocond. De redus Turcie. Lib. VIII. pag. 209.

ამბროსი ნეკრესელი ეპისკოპოსი

ამბროსი ნეკრესელი (ერისკაცობაში — ზაქარია მიქაძე); დაიბადა 1728 წელს; ბერად აღიკვეცა 1777 წელს; 1794 წლიდან იყო ნეკრესის ეპისკოპოსი; იგი იყო ფრიად სწავლული და განათლებული მღვდელმთავარი; ამბროსი დაუცხრომლად იბრძოდა კახეთში გალეკებისა და გამაჰმადიანების წინააღმდეგ; ერთ-ერთ ქადაგებაში იგი მიმართავს ხალხს: „აჰა ესერა, რომელთა ესე ქრისტეს მიერ ნათელ-გვიღებიეს, განვიძარცვეთ ძველი — იგი სიმყრალე მაჰმადიანთა, და აწ, ეითარცა ქრისტეს უყვარდა ერი და მოყვასნი, ისე შეეიყვაროთ ჩვენი ქართველობა და დავიცვათ იგი". აგრეთვე დაუცხრომლად იღწვოდა ცრუმორწმუნეობის აღმოსაფხვრელად: „ნუცა თილისმა, ნუცა ქადაგი, ნუცა მხარი, ნუცა ბეჭი და სიზმარი და ყოველი ამისებრი საქმე საეშმაკო, გჯერათ; ესე ყოველივე არა არს შვილნო, ღვთისანი, და აიღეთ ხელი ახლავ; განაგდეთ თქვენგან და ნურღარა იქმთ ამისთანებს". მის ქადაგებაში საკმაო ადგილი უჭირავს ეკლესიური დოგმატების ახსნასაც. 1808 წელს ღრმად მოხუცებული ამბროსი გარდაიცვალა. იგი დაკრძალულია სიონის ეკლესიაში.

(„ქადაგებანი და მოძღვრებანი თქმულნი ამბროსი ნეკრესელ ეპისკოპოსის მიერ".
გამოცემული ალექსანდრე ეპისკოპოსის მიერ.
ქ. თბილისში 1881 წ.).

ამბროსი ნეკრესელი ეპისკოპოსის ქადაგება პირველსა კვირეპაპესა მარხვისასა, წმიდათა ხატთა თაყვანისცემასა. სიტყვა სარწმუნოებისათვის მართლ-აღსარებისა

„...სარწმუნოება უხმს, რომელი მოუხდების ღმერთსა, რაჰეთუ არს და მეძიებელთა მისთა სასყიდლის — მიმცემელ იქმნების“.
(ებრ. 11, — VI)

სახელითა მამისათა და ძისათა და სულისა წმიდისათა, ამინ.

აქა შემოკრებულნო კეთილ მორწმუნენო მსმენელნო! ითქვა წარსულისა წინა დღესასწაულისათვის სიტყვა და ქადაგება თქვენდა მიმართი, რაოდენ შესაძლებელ იყო ჩემ გლახაკისა მწყემსისაგან და რაოდენ დაიტევდა გონება თქვენი, და ახლა, რადგან სარწმუნოებისათვის ჯერ არს სიტყვა და ქადაგება დღეინდელსა ამას დღესა, რაოდენ ძალ-გვედვას ვიტყოდეთ მადლითა ყოვლად წმინდისა სულისათა, რომელსაცა მართალსა და ჭეშმარიტს სარწმუნოებას აღიარებს დღეს ჩვენი ეკლესია, ჩვენ მართლმადიდებელთა: დიდისა საბერძნეთისა, დიდისა რუსეთისა, ბულღარიისა, საქართველოისა და იმერეთისა. იმათ განუჭრელი, განუყოფელი და შეუცვალებელი იგივე და ერთი მართლმადიდებელი სარწმუნოება გვიპყრიეს, ღვთის მოყვარენო, და ხუთნივე ესე ერთობით და მტკიცედ ვდგევართ მადლითა ყოვლად წმინდისა სულისათა. რაგვარადაც ერთს მაღალსა და შეურყეველსა გოდოლზედ დამყარებულნი, შვიდთა მსოფლიოთა კრებათაგან დამტკიცებული ძეგლი აღწერილი გვიპყრია, ვითარცა თითითა ღვთისათა წერილნი და იმაზედ ვსდგევართ. გვწამს და განმტკიცებულნი ვართ მათვე შვიდთა კრებათავე მადლითა, და აწ პირველად მათ შვიდთავე კრებათათვის ვიტყოდეთ თვითეულად ადგილთა მართლმადიდებლობით შეკრებულთა და მწვალებელთათვის, თუ ვინ იყვნენ და სადათ გამოჩნდეს.

პირველი კრება იქმნა ნიკიას — ვითინიისა მიტროპოლიასა შინა, დროსა კეთილმსახურისა და დიდისა მეფისა კონსტანტინესსა. მაშინ გამოჩნდა უღუთო არიოს, ხუცესი ალექსანდრი-

ელთა დიდისა ეკლესიისა, რომელიცა ძესა თანა დაუსაბამოსა მამისასა არა იტყოდა თანა არსად მამისა, არამედ შექმნილად და დაბადებულად იტყოდა. ამას ზედა შემოკრბენ წმიდანი მამანი სამას ათვრამეტნი, და შეაჩვენეს უსჯულო იგი, არიოს და მისნი მიმდგომნი განჰკვეთეს და ჭეშმარიტი აღსარება დაწერეს და დაამტკიცეს, „მრწამს ერთი ღმერთი, მამა ყოვლისა მპყრობელი, შემოქმედი ცათა და ქვეყნისა, ხილულთა და არა ხილულთა. და ერთი უფალი იესო ქრისტე, ძე ღვთისა მხოლოდ შობილი, მამისაგან შობილი უწინარეს ყოველთა საუკუნეთა, ნათელი ნათლისაგან, ღმერთი ჭეშმარიტი ღვთისაგან ჭეშმარიტისა, შობილი, და არა ქმნილი, თანა არსი მამისა". ესრეთ აღიარეს და დაამტკიცეს.

მეორედ შეკრბენ კონსტანტინუპოლის შინა, სამეუფოსა ქალაქსა, დროსა კეთილმსახურისა მეფისა თეოდოსი დიდისასა, ას ერგასნი წმიდანი მამანი და შეაჩვენეს უღვთო მაკედონიოს და აპოლინარი, რომელნიცა ცხოველმყოფელსა სულსა ღვთაებისაგან უცხო ჰყოფდნენ და სიტყვისა ღვთისა ხორცსა, უგონებოდ და უსულოდ აღიარებდენ. ესენი განჰკვეთეს წმიდათა მამათა და სრული და ჭეშმარიტი სარწმუნოება დაწერეს, რომელსაც დღითი-დღე აღვიარებთ. „სული წმიდა უფალი და ცხოველსმყოფელი, რომელი მამისაგან გამოვალს, მამისა თანა და ძისა თანა თაყვანის იცემების და იდიდების".

მესამედ შეკრბენ ეფესოს — დროსა კეთილ-მსახურისა თეოდოსი მცირისასა, ორასნი წმიდანი მამანი და შეაჩვენეს ურია, ცნობილი ნესტორ, რომელიცა ჰგმობდა ღუთისმშობელსა მარიამს და კაცის მშობელად იტყოდა, და ორს ძეს აღიარებდა. ესე განკვეთეს წმიდათა მამათა, და ჩვენ ჭეშმარიტი აღსარება დაგვიმტკიცეს, და ესრეთ აღვიარებთ ერთსა და იმავე ძესა, საუკუნოდ მამისაგან შობილსა, ღმერთად და განხორციელებულად და განკაცებულად ჟამსა შინა, შობილად ქალწულისა მარიამისაგან, და არათუ კაცად ლიტონად განღმრთობილად, და ეგრეთვე წმიდა ქალწულსა, არა მხოლოდ ქრისტეს მშობელად, არამედ ჭეშმარიტად და საკუთრად ღუთისმშობელად აღვიარებთ და თაყვანისვცემთ.

მეოთხედ შეკრბენ ქალკიდონს შინა, ექვსას ოცდა ათნი წმიდანი მამანი, დროსა კეთილ-მსახურისა და თვითმპყრობე-

ლისა მარკიანესა და პულხერიასსა, და შეაჩვენეს უღმრთო ევ-
სტიხი არქიმანდრიტი და დიოსკორე, რომელნიცა უფალსა
ჩვენსა იესო ქრისტესა, ერთის არსებით და ერთის ბუნებით
შეზავებულად იტყოდენ, რომელსაცა დღეს სომეხნი აღიარე-
ბენ. ესენი განჰკვეთეს და შეაჩვენეს წმიდათა მამათა, და კე-
თილ-მსახური, და მართალი სარწმუნოება დაგვიწერეს, რო-
მელსაც აღვიარებთ და გვრწამს უფალი იესო ქრისტე, შემ-
დგომად შეერთებისა ორის სრულის არსებით, ორის ბუნე-
ბით, ორის ნებით და ორის მოქმედებით; შეურევნებლად შე-
ერთებულად და ერთს გვამად, და ერთს ძედ, და ერთ ქრის-
ტედ, ესე იგი, საღმრთოსაგან და კაცობრივისა ღუთად სრუ-
ლად. და კაცად სრულად, ჭეშმარიტებით.

მეხუთედ შეკრბენ კონსტანტინუპოლისვე, მუნვე სამეუ-
ფოსა ქალაქსა, ას სამოცდა ხუთნი წმიდანი მამანი, კეთილმსა-
ხურისა და თვითმპყრობელისა იუსტინიანე მეფისაზე, როდეს
გამოჩნდა ეშმაკებრი თქმული მოძღვრება ორიგენისა, პირვე-
ლად, ვითარმედ, გვამნი ჩვენნი არღარა აღდგებიანო; მეორედ
ვითარმედ სამოთხე ხილული არა შეუქმნიესო ღმერთსა; მესა-
მედ ვითარმედ ადამ ხორცითა არა დაბადებულ არს; მეოთხედ
ვითარმედ დასასრული აქვსო სატანჯველსა ცოდვილთასა და,
მეხუთედ, ვითარმედ ეშმაკნი კვალადვე ეგებიანო პირველსავე
პატივსა. ესე და მსგავსნი ამისნი წვალებანი ორიგენისნი,
ამასთანავე ევაგრეცა და დიდიმოს თანასმანი მისნი. კვალად
დიოდორე ტარსელი და თეოდორე მომფსვეტელი, და მსგავსნი
ამათნი შეაჩვენეს, და განჰკვეთეს, და რომელიცა მართალი
სარწმუნოება ქალკიდონსა შინა შეკრებულთა წმიდათა მამა-
თა აღწერეს, ამათცა იგივე ჭეშმარიტი საცხოვრებელი სარ-
წმუნოება დაგვიწერეს და დაამტკიცეს.

მეექვსედ შეკრბენ კვალად კონსტანტინუპოლისვე, ას-სა-
მეოცდაათნი წმიდანი მამანი, დროსა კეთილ-მსახურისა მეფი-
სა კონსტანტინე პოღონათისასა, და შეაჩვენეს ონორი, წინამ-
ძღვარი, და პაპა ჰრომისა სერგი, და პავლე, პატრიარქნი კონ-
სტანტინუპოლისანი, და შემდგომნიცა მათნი, რომელნიცა წა-
რევდნენ და ჰგმობდნენ. ამისთვის დაამტკიცეს წმიდათა მა-
მათა სარწმუნოება მართალი და ჭეშმარიტი რომელ, ვითარ
იგი უფლისა ჩვენის იესო ქრისტეს შორის ორთა არსებათა,

და ორთა ბუნებათა შეურევნელთა და განუყოფელთა აღვიარებთ; ეგსახეთ ორთა ბუნებითთა ძალთა, და ნებათა, და მოქმედებათა განუყრელად შეერთებულთა ვიტყვით, და გვწამს და აღვიარებთ. ვინათგან თვითეული ბუნება თანაზიარებითა მეორისათა მოქმედებს, და მათ ორთავე მნებებელი და მოქმედი, თვით განხორციელებული სიტყვა იგი ძე მამისა, და ძე ქალწულისა იგივე და ერთი გვამი არს.

ხოლო მეშვიდედ შეკრბენ კვალად ნიკიასვე, ვითინიისასა, სამას ოც-და-ათნი წმინდანი მამანი, დროსა კეთილ-მსახურთა მათ და თვითმპყრობელთა კონსტანტინე და ირინა დედისა მისისათა. მათთვის, როდესაც გამოაცხადეს წმიდათა ხატთა გმობა და არა თაყვანისცემა, უღმრთომამ ანასტასი, კონსტანტინე და ნიკიტა, კონსტანტინუპოლის პატრიარხთა, და ეგრეთვე თეოდოსი ეფესელმა. სისინი, პერგელიმ და ვასილი ანტიოქიელმა. ამისთვის წმიდათა მათ შეკრებულთა მამათა, ამათ უღვთოთა შეკრებულობანი შეაჩვენეს და განჰკვეთეს, და დაამტკიცეს წმიდათა ხატთა თაყვანისცემა, და სურვილით და სასოებით ამბორება წმიდისა ხატისა მაცხოვრისა, გინა ღვთისმშობლისა, ანუ უხორცოთა წმიდათა ძალთა, ანუ წმიდათა მოციქულთა, და მამათ-მთავართა, და მოძღვართა, და მწყემსთა, და მოწამეთა, ღირსთა და მართალთა ხატთა და სახეთა მათთა, რომელიცა ღვთისა მიმართ მეოხად, და მფარველად ცხოვრებისა ჩვენისათვის ესასოებდეთ, ვითარცა იობს შინა წერილ არს, 22,8, ვითარმედ „წარვედით მონისა ჩემისა მიმართ იობისა და ჰყოს მსხვერპლი თქვენთვის, ხოლო იობ მონაჲ ჩემი ევედროს თქვენთვის, რამეთუ პირსა მისსა თვალვახებ“. კვალად დიდისა ვასილისა მიერი თქმაჲ ამფილოქეს მიმართსა შინა, 10 თავსა ვითარმედ „პატივი ხატისა პირმშოსა მიმართ ხატისა აღიწევის.“ კვალად გამოსლვათას შინა წერილარს, 25,9 ვითარმედ „უბრძანა უფალმან მოსეს, მიქმენ შენ ყოვლისა მისებრ, რაოდენი გიჩვენო შენ მთასა ზედა, მაგალითი კარავისა, და მაგალითი ჭურჭელთა მისთაო“. ამაებით ცხადი და საცნაური არის, რომ ესენი წმიდათა ხატთა გამოსახვისა და პატივისცემისა მიზეზნი, და ჭეშმარიტნი თქმანი და მოსწავებანი არიან, და ამისათვის შეაჩვენეს და განჰკვეთეს წმიდათა და ღმერთ შემოსილთა მამათა, მგმობარნი და შეუ-

რაცხის მყოფელნი წმიდათა ხატთანი. და ჩვენ პატივის-ცემით და სურვილით თაყვანისცემა გვასწავეს და გვიქადაგეს სამ-ასოცდა-ათთა მამათა, და ეგრეთვე შვიდთა ამათ მსოფლიოდ შეკრებილთა, ესე ვითარი სარწმუნოება გვასწავეს, და გვამცნეს, რომელიც აღვწერეთ და შეწევნითა ღვთისათა, და მადლითა მათითა მიერითგან მტკიცედ დამტკიცებულვართ და ვჰგიეთ მათვე მოცემულთა ძეგლთა სარწმუნოებასა ზედა, რომელნიცა ზემოთ მოვიხსენეთ ხუთნი ესე, საბერძნეთი, რუსეთი, ბულღარეთი, საქართველო და იმერეთი; რომელნიცა დაგვიცვნეს ღმერთმან შეუცვალებელად და შეურყეველად უკუნისამდე ამინ.

კვალად ამისათვის წმინდანი მოძღვარნი აღწერენ და მოიხსენებენ, რომ ოდესმე ადგილ-ადგილ სხვანიცა კრებანი იქმნენო, მაგრამ იგინიცა კვალად ამ შვიდთავე კრებათაგან იქმნა შეწყნარებული და დამტკიცებულიო, ჩვენს მართლ-აღსარებასა სრულება ამ შვიდის კრებით მოეცა და დამტკიცდაო, ღვთისმეტყველებისა, და განგებულობისაცაო. ამისათვის კვალად გაგიახლებ ქრისტეს საყვარელნო შვილნო, რომ ყოველმა სჯულმა თავისი სჯული და სარწმუნოება იცის, და ჩვენს საქართველოში ამ ცოდნაზედ დიაღ დიდად ნაკლებათა ვართ, რომე თვით მღვდელთაც არ ვიცით სარწმუნოების სიმეოლონი. ახლა რომ კიდევ მოკლედ მოგახსენებ, რომ ღვთისმეტყველებაზე აღსარება მხოლოდ სამწმიდა სამებაზე ითქმის სარწმუნოება ასე, რომ ერთი იგი დაუსაბამო ღმერთი სამის გვამოვნებით ითქმის: მამა, ძე და სული წმიდაჲ. ამას სამწმიდა სამება ეწოდება, და ეს სამწმიდა სამება, ერთ არსებით ითქმის. ერთ არსებით, და ერთის ბუნებით, რიცხვთა სახელთათა განყოფილნი, ესე იგი გვამოვნებითა, პირითა და თვითებითა; ვითარ იგი გვრწამს მამა უშობელად, ძე შობილად და სული წმიდა მამისაგან გამოსრულად, ვითარცა მეორემ კრებამ ესრედ დაწერეს მრწამსი და დაამტკიცეს. ხოლო ღვთაებითა და მეუფებითა, და დამბადებლობითა, და ბუნებითა, და არსებითა, და ნებითა, სამთავე ერთი არის ძალი და მოქმედება, რამეთუ განიყოფებიან და შეიერთებიან შეურწყმელად ვითარ იგი წამებენ ღმერთ შემოსილნი მამანი, ღვთივ განმბრძობილნი, და ესე კმა არს სიტყვად, რომელ მამისა და ძი-

საგან გამოსვლა არცა ერთსა რომელსამე წინასწარმეტყველთაგანსა და არცა კრებაში სადმე თქმულა. ფლორენცას მერვედ შემოკრბენ ლათინნი, და მამისა და ძისაგან გამოსვლა მაშინ ითქვა; ისინი მერვეს კრებას აღიარებენ, და ჩვენ შვიდის კრების მეტი არ უნდა გვწამდეს, რომელიც ამ შვიდს კრებაში ჩვენ ეს უნდა გვწამდეს, ვითარცა დაგვიწერია და გვითქვამს. ღვთისმეტყველებისა ეს თქმული არის ჭეშმარიტი სარწმუნოება და აღსარება; და განგებულება, განკაცება, და განხორციელება, რომ ერთი არის უფალი იესო ქრისტე ორი ბუნებით, ორის ნებით, ორის მოქმედებით და ორის არსებით, გვწამს, ერთი ღვთაებისა და ერთი კაცებისა, ერთ ქრისტედ და ერთ გვამად, შეურევნელად, შეერთებულად, რომ ორისავ თვითება და მოქმედება იმავ ერთს წმიდას გვამსა შორის ცხად არს, და ჭეშმარიტებით მოქმედებულ და მნებელ ღვთაებისაცა და კაცებისაცა; და ერთბუნებად როგორ უნდა ითქმოდეს, და როგორ უნდა აღიარებდეს? ნუ იყოფინ. ამისთვის ჭეშმარიტი აღსარება ამაზედ მეოთხემ წმიდამ კრებამ დაგვიმტკიცეს, ვითარცა აღვწერეთ; და ღმერთ-შემოსილთ მამათაც პირველად დოღმატი აღგვიწერეს, რომ ღვთისმეტყველებისათვისაცა, და განგებულებისათვისაც, ესრეთ არის დამტკიცებული, და ამათს შემდგომად ნეკტარიოს პატრიარქისაგან თქმული წიგნი სამნაწილი ესრეთის ჭეშმარიტის აღსარებით არის დაწერილი და დამტკიცებული. ეგრეთვე წიგნი თქმული, „გრდემლი“ საქართველოს პატრიარქისა ბესარიონისაგან. და ეგრეთვე წიგნი თქმული „კატეხისმოსი“ საქართველოს პატრიარქისა ანტონისაგან. ესე ყოველივე ღვთივ განბრძნობილნი და ზესთა ბრწყინვალენი წიგნნი და წერილნი ესე ვითარის ჭეშმარიტის სარწმუნოების აღსარებით აღგვიწერენ, გვამცნებენ და დაგვიმტკიცებენ, რომელიც მოგახსენე და გამცნე ყოველთავე სულიერთა შვილთა ჩვენთა, სამწყსოთა; ესრეთ უნდა გვწამდეს, და ესრეთ აღვიარეთ, და გულით და პირითა და სასოებითა, ესრეთ დავისწავლოთ ყოველთავე და დავიბეჭდოთ სამღვდელოთაცა, და საეროთაცა დამტკიცებით; ესრეთ ვიცოდეთ და ნუ შევცვლით, რადგანაც ეს სარწმუნოება მოგვცემია, როდესაც საქართველო ნინო მოციქულს მოუქცევია, და საბერძნეთიდამ მღვდელი და ეპისკოპოსი მირიან ხელმწიფესა და ნანა

დედოფალს რომ დიდის კონსტანტინესათვის უთხოვნიათ, და რამდენი ათასი სული ქართველი მცხეთას მონათლულან, და მერმე წმინდაჲ ნინო ხომ იქიდამ ქისიყს წამოსულა, და ეს ქვეყანა მოუქცევია, და ეს სარწმუნოება, რომელიც მოგახსენე მიერითგან დღეს აქამდე ესრეთ გვისწავლია და ესრეთ გვწამს, და ღმერთმან დაგვამტკიცნეს უკუნისამდე ამინ!

ამაზე გვიქადაგა და გვიმოძღვრა წმიდა მოციქულმა, ვითარმედ „სარწმუნოება უხმსო რომელი მოუხდების ღმერთსა, რამეთუ არს იგი, და მეძიებელთა მისთა სასყიდლის მიმცემელი იქმნებისო“.

ამ ბრძანებასა ჭეშმარიტის სარწმუნოების აღსარებისათვისაც ამბობს, რომ ღმერთი ჭეშმარიტის აღსარებითა და სარწმუნოებით უნდა გრწამდეს, როგორც მოგახსენე, და ამ სიტყვაში, საქმის მიდევნებასაც გვიბრძანებს წმიდა მოციქული, რომ კეთილის სარწმუნოების მქონებელსა კეთილის საქმის მქონებელობაც უნდა მისდევდეს, რომ რასაც ეძიებს და ითხოვს ღვთისაგან, სასყიდელსაც მიიღებს, ვითარცა დღეისა ამისთვის დაგვიწერა, ვითარმედ „სარწმუნოებით შესწირა აბრაამ ისაკი გამოცდასა მას, და მხოლოდ შობილსა მას შესწირვიდაო, რომელმან აღთქმა იგი მიიღო“. ამ ჭეშმარიტის სარწმუნოებითაცა სწამდა დიდს აბრაამ მამათმთავარს ღმერთი, და საქმეც იმისთანა კეთილი მიუძღოდა, რომ რასაც ღვთისაგან ითხოვდა, კიდეც მიიღებდა, და ღმერთიც ისმენდა იმის თხოვნასა და ვედრებასა. ამას წამებასა ზედა დასწერს ნეტარი მაქსიმე აღმსარებელი ასეულსა შინა, 3 პუნკტსა შინა, ვითარმედ: „რომელსა ჰრწამნ უფალი, ეშინინ ტანჯვათაგან; ხოლო ტანჯვათაგან მოშიში, იმარხავს ვნებათაგან; ხოლო მმარხველი ვნებათაგან მოითმენს საჭირველთა; ხოლო საჭირველთა მოთმინესა აქვს სასოება ღვთისა მიმართ; ხოლო ღვთისა მიმართ სასოებაჲ განაშორებს ყოველთა ქვეყნიერთაგანისა ვნებულ, მოყვარებისაგან; ხოლო ამისგან განშორებულსა გონებასა აქვს ღვთისა მიმართ სიყვარული. ამით ვხედავთ, ღვთის-მოყვარენო, რომ წმიდა მოციქულმან და ამ სანატრელმა მამამ, სარწმუნოება და კეთილი საქმე ერთმანეთს მოჰკიდეს, ერთმანეთს შეუდგინეს და დაამტკიცეს; ვითარცა იაკობ მოციქული დასწერს, 2,26, ვითარმედ „ვითარ იგი არა განმართლ-

დებისო კაცი საქმეთაგან სჯულისათა, თვინიერ სარწმუნოებისა, უფლისა ჩვენისა იესო ქრისტესისა, ეგსახედ სარწმუნოება თვინიერ საქმეთასა მკუდარ-არსო". ამისთვის მოგახსენე პირველად სარწმუნოების აღსარება, რომ თავი და პირველი კეთილი საქმე, მართალი სარწმუნოება, და ღვთის ცნობა არს; მაგრამ ამ ჩვენს სარწმუნოებასა თუ კეთილი საქმეც არ მივადევნეთ, მარტო სარწმუნოება კაცს ვერ აცხოვრებს, რომ იძახოდეს: მე ხომ ქრისტეანედ ჩემს მამასა და დედას მოუნათლავვარო, და ის მაცხოვნებსო", არა, ძმანო და შვილნო, მამანო და დედანო! ამ ჩვენს კეთილს სარწმუნოებასა კეთილი საქმეც უნდა მივადევნოთ, თორემ როგორც ფრინველი ცალის ერთის ფრთით ვერსად გაფრინდება, თუ მეორე ფრთაც არა აქვს, ეგრეთვე ჭეშმარიტს ქრისტეანესა, პირველად, როგორც მართალი სარწმუნოება უნდა სწამდეს და იცოდეს, ეგრეთვე კეთილი საქმეც უნდა სჭირდეს, რომ ამ ორის კეთილის ფრთით ზეცას სასუფეველში წასვლა ეღირსოს; საუკუნოდ ცხოვრება, საუკუნოდ განსვენება, ღვთის დიდების ხილვა, წმიდას ანგელოსებთან და ყოველს წმინდანებთან ყოფნა, იმათთან ნათელში ყოფნა და იმათის შვენიერებისა ბრწყინვალებისა, და სიხარულის სმენა, და თვალით დანახვა! აბა ამ სოფლიერად, რას უნდა მივამსგავსო, საყვარელნო, იმ საკეირველის სუნნელების ყნოსა, და უცხოსა და უცხოს ტკბილ-ხმოვანობის სმენა და გონება, ამ სოფელს კაცი ვერას მიამსგავსებს, რომელს ენას შეუძლიან, რომ მოიგონოს და ის პირისპირ შეამსგავსოს რასმე? ვერას მოიგონებს, და ვერცარას შეუმსგავსებს ჭეშმარიტად იმ ნათლისა და იმ ბრწყინვალების შესამსგავსს რასმე, ამის მეტსა, რომე ერთის ცხოვნებულის პირის სახე მზისა და მთოვარისაგან კიდევ უფრო. და რავდენგზის უმეტესად განბრწყინვებული და განათლებული იქნება, და აბა სხვა რა უნდა მოიგონოს და შეამსგავსოს კაცმა იქაურს დიდებასა, ნათელსა და სიხარულსა ცხოვნებულთასა?! ამით დავინახოთ თავნი ჩვენნი, შვილნო და ძმანო საყვარელნო, რომ კეთილს მორწმუნესა და ღვთისმოყვარეს კაცს ეს ამისთანა ადგილი და განსვენება მოელის, და ვაი, ჩვენი ბრალი, რომ, თურმე ამ კეთილის საქმეებისაგან ღმერთი ნაკლებად გვხედავსო და უსჯულონი, და ურწმუნონი ჩვენის ცოდვისა და უსასოებისაგან

გვერევიან, გვჩაგვრენ და გვმძლავრობენ, სიკვდილითაც, დატყვეებითაცა, აოხრებითაცა, წახდენითაცა; მუდამ ჩვენზედ კადნიერებენ, ლაღობენ, და კიდევ უმეტესად გვემუქრებიან, თავს გვიქნევენ და გვაშინებენ! ამ სოფელს ხომ მუდამ ჩვენი ქვეყანა ამისთანას სატანჯველშია, და ახლა იმ საუკუნოსაცა, ვაი თუ ჩვენის ცოდვისაგან, იმ სასუფეველისა და დიდებისაგანაც დავიკარგნეთ, და საუკუნოდ წარვწყმდეთ, და ღვთისაგან დავისაჯნეთ?! ამისთვის გევედრებით, სულიერნო შვილნო, რადგან თქვენი მწყემსი ვარ, და თქვენის მოხსენებისა და სწავლების ვალი მაქვს, და თქვენც გაგონებისა, და დაჯერების თანამდებობა გაქვსთ, რომ ამისთანას სწავლაზედ სიტყვით მოგახსენო, თუ სწავლითა, უნდა დაიჯეროთ და შეისმინოთ, რომელიც მომიხსენებია პირველად სარწმუნოება მართალი და ჭეშმარიტი, და მერმე კეთილი საქმე, რომ წელიწადში ერთხელ მაინც აღსარება და ზიარება არის და უნდა ეღირსნეთ; ეგრეთვე მუდამ წირვისა და ლოცვის სიყვარული, და უფრო ნამეტანად, კვირასა და უქმესა; ეგრეთვე თქვენის ძმებისა და ქრისტეანე მეზობლების სიყვარული, შებრალება, და მოწყალება გქონდესთ, ეგრეთვე მდაბალი, მშვიდი, და მორჩილი თავისის მშობლებისა, ანუ უპირატესისა, მებატონისა, მოძღვრისა თუ ეპისკოპოსისა. ეგრეთვე მოთმინებაც უნდა გქონდეს, რომ ეს წუთისოფელი უმწუხაროსა და უგანსაცდელოს ძნელად დააგდებს კაცსა, რომ ერთი რამ მწუხარება არ მიაყენოს, ან სიგლახაკისა, სიმშილისა და დაობლებისა და ან მტრისა ვისგანმე შინაურისა და თუ უსჯულოსაგან მორევისა და გაოხრებისა! ღმერთმანი ამაების უცხონი ვართ, და გამოუცდელია ჩვენი ქვეყანა? ყველა ჩვენზედ არის მოწევნული ჭეშმარიტად; მაგრამ ისევ ღვთის მადლობის მიცემისა და მოთმინების მეტი არა გაგვეწყობა რა. და თუ ამაებს ვერ მოვითმენთ და ღმერთს დავაყვედრებთ რასმე, ღმერთსაც მოვიმდურებთ და ჩვენს თავსაც ვავნებთ, რომ მოთმინებას გვიბრძანებს, და ჩვენ წმიდას სახარებას წინა აღუდგებით. ესები არის, ქრისტეანენო, კეთილი საქმე, და კვალად ამასთანა ესეც კეთილ-საქმედ არის დაწერილი მოძღვართაგანაცა, და წმიდა მოციქულიც დასწერს: „შვილნი კეთილად განზარდენითო“ და უქმისა და გაურჯელისა კაცისა პურისა და

საზრდელისა ულირსებასაც დასწერს. ამიტომ მინამ ამ წუთს სოფელს სცხოვრებს კაცი, როგორც სულისათვის უქადაგებთ ზრუნვასა, ეგრეთვე ხორციელადაც თავისი თავი მცონარებასა და დაზარებას არ უნდა მისცეს თავის სახლეულსა, თუ შვილსა თუ სახლსა და მამულსა, სხვათა უცილებელად, უშფოთველად, უდრტვინველად და მიუმძლავრებელად, უნდა გაუძღვეს და მოუაროს სიმდაბლით, სიმშვიდით, სულგრძელობით, სიტკბოებით და დაწყნარებით; და ყოვლის შეძლებით, გარჯითა და შრომითა რომ იმავ პირველითგანვე ღვთის ბრძანება ასე დასწერს „ოფლითა შენითა სჭამდე პურსაო!" და როდესაც ამისთანას ცხოვრებასა და კეთილს ქცევაში აღსრულდება კაცი, თუ უნდა ერთის რომლისამე საქმისათვის სხვას ადგილსაც ესწრას სიკვდილი, რადგან ამისთანა გამზადებული ღვთის ნებისმყოფელი ქცევა ექნება; და წმიდის აღსარებითა და ზიარებითაც განმზადებული იქნება, და ეგოდენი კეთილი საქმეც მიუძღვის, ჭეშმარიტად, რომელიც ზეცას ცხოვნებულთათვის განსასვენებელი ადგილი მოგახსენე და დავსწერე, ისიც იმავ საუკუნოს ნათელსა, და განსასვენებელს ადგილსა შინა მისლვას ეღირსება, და დაემკვიდრება უკუნისამდე, რომელსა შინა ღირმსცა ვართ, ყოველნი მიმთხვევად მადლითა უფლისა ჩვენისა იესო ქრისტესითა. მისა შვენის პატივი, დიდება და თაყვანისცემა აწ და უკუნისამდე ამინ.

აღწერილ იქმნა და ითქვა მადლითა ღვთისათა, შილდას ეკკლესიასა შინა, გლახაკისა ნეკრესელისა ამვროსისაგან, სამწყსოთა შვილთა თვისთა სწაელად და წვრთნად. მარტს. თ. წელსა, ქრისტესითა, ათას შვიდას ოთხმოცდა ათექვსმეტსა, პირველსა კვირეაკესა წმიდათა მარხვათასა, ხატთა თაყვანისცემასა.

წმიდა ეპისკოპოსი ეგნატე

წმიდა ეგნატე (ერისკაცობაში დიმიტრი ბრიანჩანინოვი) დაიბადა 1807 წლის 6 თებერვალს ვოლოგდის გუბერნიის სოფელ პაკროვსკოში. მისი მამა ალექსანდრე ბრიანჩანინოვი დიდგვაროვან თავადთა შთამომავალი იყო. დედა სოფია, ამავე გვარის წარმომავლობისა, მეტად განათლებული და ღვთისმოსავი ქალი იყო. პატარა დიმიტრის სიყრმიდანვე უყვარდა სასულიერო წიგნების კითხვა და ლოცვა. ეკლესიაში ხშირად დადიოდა, ესწრებოდა წირვა-ლოცვას. 1822 წელს 16 წლის დიმიტრი მამამ სანკტ-პეტერბურგში წაიყვანა მთავარ საინჟინრო სასწავლებელში შესაყვანად. მან ბრწყინვალედ ჩააბარა მისაღები გამოცდები, რითაც ამ სასწავლებლის გენერალ-ინსპექტორის, შემდგომში იმპერატორ ნიკოლოზ პავლეს ძის ყურადღება მიიპყრო, სასწავლებლის შემდეგ დიმიტრიმ დაახლოებით ორი წელი იმსახურა სპეციალობით. მთელი ამ დროის განმავლობაში მისი სანუკვარი ოცნება იყო, ღვთისმსახურებისათვის შეეწირა თავი, მაგრამ ამ მიზნის განხორციელებისათვის ოჯახისა და იმპერატორის მხრიდან დიდ წინააღმდეგობას წააწყდა. ამ დროისათვის გაეცნო ერთ-ერთ გამოჩენილ მოძღვარს — მამა ლეონიდეს, რომელსაც მთელი გულით მიენდო. ამის შესახებ ასე წერდა თავის მეგობარ ჩიხაჩოვს: „მთელი გული დამიტყვევა მამა ლეონიდემ. ახლა უკვე გადავწყვიტე: სამსახურს ვტოვებ და შევუდგები მოძღვარს. მას მივენდობი და მხოლოდ-მხოლოდ სულის ცხონებისთვისღა ვიზრუნებ განმარტოებაში“. მაგრამ მის გადაწყვეტილებას დიდი გამოცდა ელოდა წინ. იმპერატორმა ნიკოლოზმა დიმიტრის განზრახვა რომ შეიტყო, თავის ძმას — მიხეილს დაავალა, გადაეფიქრებინებინა მისი საყვარელი აღზრდილისათვის სამსახურის დატოვება და ბერად აღკვეცა. 19 წლის დიმიტრი დიდი თავადის წინაშე წარსდგა, რომელმაც მეფის გვარდიაში სამსახური შესთავაზა, მაგრამ დიმიტრი მყარად დადგა თავის აზრზე, მაშინ მისი სურვილის წინააღმდეგ დინაბურგის საინჟინრო რაზმში გადაიყვანეს. როცა იმპერატორის ძმამ იგი მოინახულა და დაინახა, რომ დიმიტრის სუსტი ჯანმრთელობის გამო ამ სამსახურში დარჩენა აღარ შეეძლო, ბოლოსდაბოლოს

ნება დართო გადამდგარიყო. დიმიტრი მაშინვე გაემგზავრა თავის მოძღვარ მამა ლეონიდესთან ალექსანდრო-სვირსკის მონასტერში. მამა ლეონიდე ამ მონასტრიდან პლოშჩანის უდაბნოში გადავიდა, სადაც დიმიტრიც გაჰყვა. ცოტა ხანში იგი ოპტინის უდაბნოში წავიდა სამოღვაწეოდ, და მალე თავის მეგობარ ჩიხაჩოვთან ერთად ნოვოოზერსკის მონასტერში გაემგზავრა, სადაც დიდხანს აღარ დასცალდათ ყოფნა, რადგან იქაური მძიმე პირობების გამო ორივენი დასნეულდენ და დიმიტრის ოჯახში დაბრუნება მოუწია.

როცა ცოტა მომჯობინდა, ვოლოგდის ეპისკოპოსის — სტეფანეს ლოცვა-კურთხევით სემიგოროდის უდაბნოში დასახლდა, შემდეგ კი გადავიდა დიონისეევო-გლუშიცკის მონასტერში. აქ გატარებულმა წლებმა დიმიტრი სულიერი სიბრძნით გაამდიდრა.

1831 წელს ეპისკოპოსმა სტეფანემ იგი ბერად აღკვეცა ეგნატეს სახელით. იმავე წლის ივნისში იეროდიაკვნად დაასხეს ხელი, და სულ მოკლე ხანში კი მღვდელმონაზვნად აკურთხეს. მალე მღვდელმონაზონი ეგნატე დაინიშნა პელიშემსკის მონასტრის წანამძღვრად, რომელიც მალე უნდა დახურულიყო. მამა ეგნატემ მხოლოდ ორი წელი დაჰყო აქ, მაგრამ ამ მცირე ხანში თავისი სიბრძნითა და დაუღალავი ენერგიით ეს სავანე ააღორძინა.

1833 წელს იგი იღუმენის ხარისხში აიყვანეს. მამა ეგნატეს მოღვაწეობა ცნობილი გახდა პეტერბურგში, იგი გამოიძახეს დედაქალაქში და წმიდა სერგის უდაბნოს წინამძღვრად დაადგინეს უკვე არქიმანდრიტის ხარისხში. ეს უდაბნო უკიდურესად მძიმე მდგომარეობაში იყო ჩავარდნილი. და 27 წლის არქიმანდრიტს მოუწია, ყველაფერი თავიდან დაეწყო. ააშენა და კეთილმოაწყო ეკლესიები, მოაწესრიგა სოფლის მეურნეობა, შექმნა შესანიშნავი გუნდი. არქიმანდრიტი ერთად აღასრულებდა თითქმის შეუთავსებელ საქმეებს: ის იყო შესანიშნავი წინამძღვარი და ადმინისტრატორი და ამავე დროს ღრმად სულიერი მოძღვარი. — 27 წლისა უკვე სულიერად ხელმძღვანელობდა მონასტრის ძმობას.

1838 წელს არქიმანდრიტი ეგნატე პეტერბურგის ეპარქიის ყველა მონასტრის ბლაღოჩინად დაინიშნა. გარეგნულად მო-

უცლელი ცხოვრების მიუხედავად იგი შინაგანად ასკეტ მეუდაბნოედ რჩებოდა. წმიდა სერგის უდაბნოს განმარტოებულ კელიაში მამა ეგნატე მღვიძარებაში, ლოცვასა და სინანულში ატარებდა ღამეებს.

1847 წელს მძიმედ დასნეულებული არქიმანდრიტი სამკურნალოდ გაემგზავრა ნიკოლაევო-ბაბაევოს მონასტერში. აქ მან 11 თვე დაჰყო და კვლავ წმიდა სერგის უდაბნოში დაბრუნდა. კვლავ დაიწყო სიძნელეებით აღსავსე დღეები.

მამა ეგნატეს ნაცნობთა წრე საკმაოდ ფართო იყო: ეპისკოპოსები, ბერები, უბრალო ერისკაცები რჩევისათვის მიმართავდნენ მას. იგი საზოგადოების ყველა ფენაში იყო ცნობილი. შიმოწერა ჰქონდა მაღალ არისტოკრატიასთან. დღეისათვის მისი 800 წერილია ცნობილი.

წლები გადიოდა. მამა ეგნატეს ფიზიკური ძალები სულ უფრო და უფრო სუსტდებოდა. 1857 წელს პეტერბურგის მიტროპოლიტმა გრიგოლმა არქიმანდრიტ ეგნატეს ეპისკოპოსად დაასხა ხელი და წმ. სინოდმა მას კავკასიისა და შავიზღვისპირეთის ეპარქია ჩააბარა. მოკლე ხანში ეპისკოპოსი ეგნატე სტავროპოლს გაემგზავრა, რათა ეპარქიის მართვას შესდგომოდა. აქ მან 4 წელი დაჰყო და ამ ხნის განმავლობაში ბევრი რამის გაკეთება მოასწრო თავის სამწყსოსათვის. მძიმე ავადმყოფობის გამო 1861 წელს ეპისკოპოსმა ეგნატემ თხოვნით მიმართა წმიდა სინოდს, გადამდგარიყო ეპარქიის მართვა გამგებლობიდან და ბაბაევოს მონასტერში წასულიყო.

განმარტოებული ცხოვრების წლები მეუფე ეგნატემ ამ მიყრუებულ სავანეში გაატარა. აღადგინა თითქმის დაქცეული მონასტერი და ააშენა ახალი ეკლესია ივერიის ღვთისმშობლის ხატის სახელზე.

ეპისკოპოსი ეგნატე ნაყოფიერი სასულიერო მწერალიც იყო. ბაბაევოს მონასტერში მან გადახედა და შეასწორა ცხოვრების სხვადასხვა დროს შექმნილი ნაწარმოებები, ერთად მოუყარა თავი და რამდენიმე ტომი თავის სიცოცხლეშივე გამოაქვეყნა. მის კალამს ეკუთვნის „ასკეტიკური გამოცდილებანის“ ორტომეული, „ასკეტიკური ქადაგებანი“, „თანამედროვე ბერ-მონაზვნობისათვის“ და სხვა. მისი სასულიერო ნაწარმო-

ებები არა მარტო რუსეთშია ცნობილი და მიღებული, მისი ავტორიტეტი ძალზე დიდია მართლმადიდებლურ აღმოსავლეთში. თვით წმიდა ათონის მთის ბერ-მონაზვნობამ დიდი სიყვარულით მიიღო მისი სწავლებები.

1867 წლის 16 აპრილს სნეულებებით დაუძლურებულმა ეპისკოპოსმა უკანასკნელად სწირა, ამის შემდეგ საერთოდ აღარ გამოსულა კელიიდან, და ამავე წლის 30 აპრილს „ლოცვანის“ კითხვის დროს მიიცვალა.

წმ. ეპისკოპოსი ეგნატე

სიტყვა

თქმული დიდი მარხვის პირველ კვირიაკეს

მართლმადიდებლობის შესახებ

საყვარელო ძმანო! ამ მართლმადიდებლობის კვირიაკეს ბუნებრივი იქნება ჩვენი ქადაგება დავიწყოთ შეკითხვით: რა არის მართლმადიდებლობა?

მართლმადიდებლობა ჭეშმარიტი შემეცნება და მსახურებაა ღვთისა; მართლმადიდებლობა თაყვანისცემაა ღვთისა სულითა და ჭეშმარიტებითა; მართლმადიდებლობა ჭეშმარიტი შემეცნებითა და თაყვანისცემით განდიდებაა ღვთისა; მართლმადიდებლობა ღვთის მიერ მისი ჭეშმარიტი მსახურის გამოჩინებაა სულიწმიდის მადლის მინიჭებით; სული წმიდა დიდებაა ქრისტიანთა[1], სადაც არაა მადლი სულისა წმიდისა, იქ არაა მართლმადიდებლობა.

არაა მათლმადიდებლობა ადამიანურ სწავლებასა და ნააზრევებში: აქ მეუფებს მტყუვარი გონება — ნაყოფი დაცემისა. მართლმადიდებლობა სული წმიდის სწავლებაა, ღვთით მონიჭებული ადამიანთა საცხოვნებლად. სადაც არაა მართლმადიდებლობა, აქ ცხონების გზაც დაკარგულია. „რომელსა უნდეს ცხოვრებად, პირველ ყოვლისა თანა არს მას პყრობად კათოლიკესა სარწმუნოებისა, რომელი უკუთუმცა ვინმე არა დაიმარხოს სრულად და უბიწოდ, თვინიერ ყოვლისავე რაიმე მიზეზისა, საუკუნოდ წარწყმდეს იგი"[2].

უძვირფასესი საუნჯეა სული წმიდის სწავლება! ეს სწავლება წმიდა წერილსა და მართლმადიდებელი ეკლესიის საღვთო გადმოცემაშია შემონახული. უძვირფასესი საუნჯეა სული წმიდის სწავლება! მასშია წინდი ჩვენი ცხონებისა. ყო-

---

[1] იოანე, 7, 39.

[2] თქმული წმიდათა შორის მამისა ჩვენისა ათანასე ალექსანდრიის პატრიარქისა მიერ. წინათქმა ფსალმუნისა.

ველი ჩვენგანისათვის შეუფასებელი, შეუცვლელი და შეუდარებელია ჩვენი ნეტარი ხვედრი მარადისობაში: იმგვარადვე ღირებულია, იმგვარადვე ყოველგვარ საფასეს აღმატებულია წინდი ჩვენი ნეტარებისა — სული წმიდის სწავლება.

დღეს წმიდა ეკლესია ყველას გასაგონად ჩამოთვლის სატანისაგან წარმოშობილსა და გამოსულ სწავლებებს, რათა ეს წინდი დაიცვას ჩვენი ცხონებისათვის. ეს სწავლებანი ღვთის მტრობის გამომხატველია, წინააღმდგომნი ჩვენი გადარჩენისა, წარმტაცებელნი ჩვენი ცხონებისა. ეკლესია ამხილებს ამ მოძღვრებებს, როგორც მგელთ მტაცებელთ, გველთ წარწყმედელთ, როგორც მპარავთა და მკვლელთ. იგი ანათემას გადასცემს ამ სწავლებებს და მათაც, ვინც შეუპოვრად ადგას ამ გზას; ამით გვიფარავს ამ მოძღვრებებისაგან და უფსკრულიდან ამოსვლას მოუწოდებს მათით მოხიბლულებს.

სიტყვა ანათემა განყენებას, განკვეთას ნიშნავს. როცა ეკლესია ანათემას გადასცემს რაიმე სწავლებას, ეს ნიშნავს, რომ ეს სწავლება სული წმიდის გმობის შემცველია და ცხონებისათვის უნდა უარიყოს და მოიკვეთოს. როცა ეკლესია შეაჩვენებს ადამიანს, ეს ნიშნავს, რომ ამ კაცმა საბოლოოდ შეისისხლხორცა ღვთისმგმობი სწავლება და ამით თავისთავსაც უკარგავს ცხონების გზას და იმ ახლობლებსაც, ვისაც თავის მოსაზრებებს უზიარებს. როცა ადამიანი გადაწყვეტს დაუტეოს ღვთისმგმობი მოძღვრება და მიიღოს მართლმადიდებელი ეკლესიის სწავლება, მაშინ მან მართლმადიდებელი ეკლესიის წესისამებრ უნდა შეაჩვენოს ის ცრუმოძღვრება, რომელზეც მანამდე იდგა, რომელიც ღუპავდა მას, განაშორებდა ღვთისაგან და ღვთისმტრობასა და სულიწმიდის გმობაში მყოფს სატანას თანაზიარად ზრდიდა.

ანათემა ეკლესიის სულიერი წამლობაა ადამიანის სულის საუკუნოდ მომაკვდინებელი სენისაგან განსაკურნავად. საუკუნო სიკვდილს გვპირდება ყოველი ადამიანური სწავლება, მტყუვარი გონებიდან და ხორციელი ზრახვიდან, — დემონთა და ადამიანთა ამ საერთო საკუთრებიდან მოხმობილი ნააზრევი ღვთივ განცხადებულ სწავლებაში რომ შეაქვს. ადამიანური გონების ნაყოფს, ქრისტეანული სარწმუნოების მოძ-

ღვრებაში შეტანილს, ეწოდება მწვალებლობა, ამ სწავლების შედგომას კი — ბოროტმორწმუნეობა[1].

მოციქული მწვალებლობებს ხორციელ საქმეთა თანა რაცხავს[2]. მწვალებლობანი თავისი დასაბამით ხორციელ ვნებათ განეკუთვნება. ეს დასაბამია „ზრახვა იგი ჴორცთა", რომელი „სიკუდილ არს", „მტერობა არს ღმრთისა; რამეთუ სჯულსა მას ღმრთისასა ვერ დაემორჩილების და ვერცა ძალ-უც"[3]. მწვალებლობანი ხორციელ საქმეთ მიეთვისება თავისი შედეგებითაც. ისინი ადამიანის სულს ღვთისაგან განაშორებენ, და სატანის სულთან ხდიან თანაზიარს მთავარი სატანური ცოდვით—ღვთისმგმობელობით, ვნებათა ღელვას უქვემდებარებენ მას, როგორც ღვთისაგან მიტოვებულსა და თავისი დაცემული ბუნების ანაბრად დარჩენილს. „და დაუბნელდა უგულისჴმოჰ იგი გული მათი" — ამბობს მოციქული. ჭეშმარიტი ღვთისშემეცნებისაგან განდგომილ ბრძენთა შესახებ — „იტყოდეს თავთა თჳსთა ბრძენ და განცოფნეს... გარდაცვალეს ჭეშმარიტებაჰ ღმრთისაჰ სიცრუვედ... ამისთჳს მისცნა იგინი ღმერთმან ვნებასა მას გინებისასა"[4]. გინების ვნებებად გარყვნილების მრავალგვარი ვნებანი იწოდება. გარყვნილებით იყო სავსე ერესიარხთა საქციელი: აპოლინარი მრუშობდა[5], ევტიხი ვერცხლისმოყვარებას ჰყავდა შეპყრობილი[6], არიოზი უგარყვნილესი კაცი იყო. როცა ნიკეის პირველ მსოფლიო კრებაზე მისი საგალობლის — „ტალიას" კითხვა დაიწყეს, წმიდა მამებმა ყურები დაიცვეს და უარი განაცხადეს ამგვარი ბილწსიტყვაობის მოსმენაზე. „ტალია" დაწვეს. ქრისტეანობის საბედნიეროდ მისი ყველა ნიმუში განადგურდა. დაგვრჩა მხოლოდ ისტორიული ცნობა, რომ ეს ნაწარმოები უმძაფრესი გარყვნილებით სუნთქავდა[7]. „ტალიას" მსგავსია თანამედროვე ერესიარხთა ბევრი თხზულება: მათში საშინელი ღვთისმგმობელობა არაადამიანურად გარყვნილ და აღვირახსნილ გამონათქვამებ-

---

[1] სათნოებათა-კიბე. სიტყვა 1.
[2] გალ. მიმართვა. V, 20.
[3] რომ, VIII, 6, 7.
[4] რომ, 1, 22, 25, 26.
[5] Житие преподобного Ефрема Сирина.
[6] Церковская история Флери. Том. 2, кн. 27, гл. 28.

თანაა შერწყმული და აღრეული. ნეტარ არიან, ვისაც ეს ჯოჯოხეთის მოციქულნი არასოდეს სმენია და წაუკითხავს. მათი კითხვისას ხომ ნათელი ხდება ერესიარხთა სულის ზიარება სატანურ სულთან.

მწვალებლობანი, როგორც საქმე ხორცთა და ნაყოფი ხორციელი ზრახვისა, დაცემულ ანგელოსთა გამონაგონია: „ეკრძალენით უღვთო მწვალებლობათ — სატანურ გამონაგონს ამ ბოროტ-საწყისიანი გველისას". — ამბობს წმ. ეგნატე ღმერთშემოსილი[1]. ეს საკვირველი არაა. დაცემულ ანგელოსთა დასები სულიერი ღირსების სიმაღლიდან გარდამოიქცნენ. ხორციელ ზრახვაში ისინი ადამიანებზე უფრო ღრმად ჩაეფლნენ. ადამიანს ძალუძს ხორციელი ზრახვიდან სულიერში გარდაცვალება. დაცემული ძალნი კი მოკლებულნი არიან ამას. ადამიანი არაა დაქვემდებარებული ხორციელი ზრახვის იმდენად ძლიერ ზემოქმედებას, რადგან მასში ბუნებრივი სიკეთე დაცემით არაა მოსპობილი, როგორც დემონებში. კაცთა ბუნებაში სიკეთე ბოროტებაშია აღრეული და ამიტომაცაა უხმარქმნილი; დემონებში კი მხოლოდდამხოლოდ ბოროტება მეუფებს და მოქმედებს. მათ სამფლობელოში ხორციელი ზრახვა უკიდურესად ვრცლად და სრულად განვითარდა. მათი უმთავრესი ცოდვა ღვთის ზღვარგადასული სიძულვილია, საშინელ და დაუცხრომელ ღვთისგმობაში გამოხატული. დაცემული ძალნი აღზევადნენ თავად ღმერთზე, ქმნილებათა ბუნებითი წესი — მორჩილება ღვთისა, განუწყვეტელ წინააღმდგომობად და შეურიგებელ ბრძოლად გარდასცვალეს. ამიტომაც დიდია მათი დაცემა და განუკურნავია ის საუკუნო სიკვდილის წყლული, რომლითაც ისინი არიან გვემულნი. დაცემულ ანგელოსთა არსებითი ვნება ამპარტავნებაა; ისინი განსაცვიფრებელი და უგონო მზვაობრობით არიან შეპყრობილნი, ყველა სახის ცოდვაში პოულობენ განცხრომას, მუდმივად ტრიალებენ მათ მორევში და ერთი ცოდვიდან მეორეში გადადიან; ეფლობიან ვერცხლისმოყვარეობაშიც, ნაყროვანებაშიც, მრუშობაშიც[2]. ამ ცოდვათა სხეულით განხორციელება რომ არ ძალუძთ, ოცნებებსა და შეგრძნებებში იქმან მათ. და-

---

[1] Св. Игнатий Богоносец — Послание I к Граллианамъ.
[2] Св. Игнатий Богоносец — Послание к Филипписеям.

ცემულმა ანგელოსებმა უხორცო ბუნებას ხორციელი მანკიერებანი შესძინეს. ეს მათთვის არაბუნებრივი ბიწიერებანი თავიანთში გაცილებით მეტად განავითარეს, ვიდრე ეს ადამიანებშია შესაძლებელი[1]. „ვითარ განვარდა ცისაგან მთიები განთიად აღმომავალი?" — ამბობს წინასწარმეტყველი დაცემულ ქერუბიმზე — „შეიმუსრა ქუეყანასა ზედა, ხოლო შენ სთქუ გულსა შინა შენსა: ზეცად მიმართ აღვიდე, ზედაჲთ ვარსკულავთა ცისათასა დავდგა საყდარი ჩემი, და ვიყო მსგავს მაღლისა. ხოლო აწ ჯოჯოხეთადმი შთაჰჴდე და საფუძველთა მიმართ ქვეყანისათა, დაჰვარდე მთათა ზედა, ვითარცა მკუდარი მოძაგებული"[2].

დაცემული ანგელოსნი, ყოველგვარი ცოდვის დასაბამის შემცველნი, ადამიანთა წარწყმედის მიზანსწრაფვით შეპყრობილნი, ცდილობენ ყოველგვარი ცოდვის თანამდებნი გახადონ ისინი. კაცთ ითრევენ ხორცის მრავალფეროვან მაამებლობაში, ანგარებაში, დიდებისმოყვარეობაში, თვალისმომჭრელად გვიხატავენ თვალწინ ამ ვნებათა საგნებს. მთელი ძალისხმევით კი ცდილობენ ამპარტავნებაში შთაგდებას, რადგან ამ ცოდვისაგან აღმოცენდება, როგორც თესლიდან მცენარე, მტერობა და გმობა ღვთისა. ღვთისმგმობელობა, რომელიც ყოველი მწვალებლობის არსს წარმოადგენს, ყველაზე მძიმე ცოდვაა, როგორც კერძოდ დაცემულ ანგელოსთა საკუთრება და მათი გამოსარჩევი თვისება. დაცემული ძალნი კეთილსახიერების საფარველქვეშ ცდილობენ შენიღბონ ყოველგვარი ცოდვა. კეთილსახიერების ამ საბურველს მამათა ასკეტიკურ თხზულებებში გ ა ნ მ ა რ თ ლ ე ბ ა ნ ი[3] ეწოდება. ამგვარად მოქმედებენ ღემონები ადამიანთა ადვილად მოსახიბლად და ცოდვაზე დასათანხმებლად. ღვთისმგმობელობის ცოდვასაც ნიღბავენ: ბრწყინვალე დასახელებით, მდიდრული მჭევრმეტყველებითა და ამაღლებული ფილოსოფიით ცდილობენ მის შებურვას. საშინელი იარაღია დემონთა ხელში — მწვალებლობა! მისი შემწეობით დაღუპეს მათ მთელი ერები, მათთვის შეუმჩნევლად

---

[1] წმ. ბასილი დიდი დაცემულ ანგელოზს უწოდებს ვნებიან ხორციელ სისუსტეთა მშობელს. Малитвы отьосквернения. кс. поникъ.

[2] ესაია, XIV, 12, 13, 14, 15, 19.

[3] ღირსი მამა აბბა დოროთე. „რათა არა მიეენდვნეთ განზრახვათა და გულის-ხმის-ყოფათა ჩვენთა".

გამოაცალეს ხელიდან ქრისტეანობა, ღვთისმგმობი სწავლებით შეუცვალეს იგი და მომაკვდინებელი სწავლება განწმენდილი, ჭეშმარიტი, აღდგენილი ქრისტეანობის სახელით შეალამაზეს. მწვალებლობა უპირატესად გონებაში აღსრულებული ცოდვაა. ეს ცოდვა, გონებით შეწყნარებული, სულს ეუწყება, სხეულს მოეფინება და შეგვიბილწავს, სხეულს, რომელიც იმ თვისებითაცაა აღჭურვილი, რომ ღვთიურ მადლთან ზიარებით იკურთხოს და იმ თვისებითაც, ოომ დაცემულ ანგელოსებთან კავშირით შეიმწიკვლოს და განირყვნას. ეს ცოდვა ქრისტეანობის ძირეულად არმცოდნეთათვის ძნიადშესამჩნევი და ნაკლებად გასაგებია. და ამიტომაც ადვილად ხლართავს თავის ქსელში სიალალეს, უცოდინარობას და ქრისტიანობის გულგრილ და ზერელე აღმსარებლობას. მწვალებლობის მახეში იყვნენ გაბმულნი მცირე ხნით ღირსნი მამანი იოანიკე დიდი, გერასიმე იორდანელი და ზოგიერთი სხვანიც. თუკი ამ წმიდა ადამიანებმა, მთელს ცხოვრებას მხოლოდ ცხონებაზე ზრუნვაში რომ ატარებდნენ, ვერ შეძლეს შენიღბული ღვთისმგმობელობა ერთი შეხედვით გამოეცნოთ, რაღა ვთქვათ მათზე, ვინც ამასოფლური ზრუნვით არიან შეშთობილნი და სარწმუნოებაზე არასაკმარისი, საკვებით არასაკმარისი წარმოდგენა გააჩნიათ? როგორ იცნობენ ისინი მომაკვდინებელ მწვალებლობას, როცა ის სიბრძნის, სიმართლისა და სიწმინდის ნიღაბმოსილი წარმოუდგებათ? აი, ის მიზეზი, რომლის გამოც მთელი საზოგადოებები და მთელი ერები ადვილად მოიდრიკნენ მწვალებლობის უღელქვეშ. ამავე მიზეზით ძნიად თუ მოექცევა კაცი მწვალებლობიდან მართლმადიდებლობისაკენ. ეს ბევრად უფრო ძნელია, ვიდრე ურწმუნოებიდან და კერპთაყვანისმცემლობიდან გამოსვლა. ურწმუნოებასთან ახლოს მდგომი მწვალებლობანი უფრო ადვილად საცნობი და დასატოვებელია, ვიდრე სწავლებანი, მართლმადიდებლობიდან მცირედ გადახრილნი და ამიტომ მეტად შეფარულნიც. რომის იმპერატორი, მოციქულთასწორი კონსტანტინე დიდი წერდა ალექსანდრიის პატრიარქს წმიდა ალექსანდრეს, ერესიარხი არიოზის მამხილებელს და ურჩევდა შეეწყვიტა მშვიდობის დამარღვეველი დავა რაღაც „ფუჭი სიტყვების“ გამო. ამ ფუჭად შერაცხილი სიტყვებით კი უარიყვება

უფლისა ჩვენისა იესო ქრისტეს ღვთაება, იავარიქმნება ქრისტეანობა[1]. ასე შეაცდინა უცოდინარობამ კეთილმსახურად მოღვაწე წმიდა კაცი, მისთვის გამოუცნობი მწვალებლობის მანქანებით. მწვალებლობა თუმცაღა უმძიმეს და მომაკვდინებელ ცოდვას წარმოადგენს, მაგრამ როგორც ცოდვა გონებისა, სწრაფად და საბოლოოდ იკურნება მისი გულწრფელი შეჩვენებით. წმ. იოანე კიბისაღმწერელი ამბობს: „რაჟამს მწვალებელნი მოვიდიან კათოლიკე ეკლესიასა მართლ-მადიდებლობად და უარ-ყვიან და შეაჩუენიან წვალებაჲ იგი გულითა, მეყსეულად ღირს-ჰყოფს მათ ეკლესიაჲ ზიარებასა წმიდათა საიდუმლოთასა; ხოლო რომელნი დაეცნიან სიძვითა, მო-რაჲვიდენ აღსარებად და საქმე იგი დაუტეონ, ჟამ რაოდენმე განაყენებს მათ კანონი მოციქულთა და მამათა ზიარებისაგან[2]". კვალი ხორციელი ცოდვისა აღსარებისა და ცოდვის დატევების მერმეც შთება; კვალი მწვალებლობისა კი მისი უარყოფისთანავე უჩინარდება. მწვალებლობის წრფელი და მტკიცე შეჩვენება წამლობაა სულისა ამ სენისაგან საბოლოოდ და სრულად განსათავისუფლებლად. ამ წამლობის გარეშე ღვთისმგმობელობის საწამლავი ადამიანის სულში შთება და მწვალებლობისადმი აღმოუფხვრელი თანაგრძნობით გამოწვეული მიუხვედრელობითა და ეჭვებით არ მოასვენებს მას. შთეღმრთისასა"[4]. საძნელოდ ქმნიან ცხონებას ამ სნეულებით შეპბიან „გულის-სიტყუანი, ამაღლებულნი მეცნიერებასა ზედა ყრობილისა, ქრისტესადმი დაუმორჩილებლობითა და წინააღმდგომობით მოცულისა, სატანის თანაზიარად გამხდარისა. მწვალებლობის საშინელი სენის ანათემით მკურნალობას ყოველთვის აუცილებლად მიიჩნევდა წმიდა ეკლესია. როცა კირიის ეპისკოპოსი ნეტარი თეოდორიტე მეოთხე მსოფლიო კრებაზე ეკლესიის მამათა წინაშე წარსდგა და მასზე წაყენებული ბრალდებისათვის თავისმართლება მოისურვა, წმიდა მამებმა უპირველესად ერესიარხი ნესტორის შეჩვენება მოსთხოვეს. თეოდორიტე უარყოფდა ნესტორიანობას, მაგრამ არც ისე მტკიცედ, როგორც ეკლესია, და ამიტომაც სცადა

---

[1] Церковская история Флери. Томь I. кн. 10, гл. 42.
[2] იოანე კიბისაღმწერელი — სათნოებათა კიბე. სიტყვა მე-15.
[3] ლაოდიკიის კრების კანონი. № 7.
[4] 2 კორ. 10, 5.

თავისმართლება. მამებმა კვლავ მოსთხოვეს ყოველგვარი ახსნა-განმარტების გარეშე შეეჩვენებინა ნესტორი და მისი მოძღვრება. თეოდორიტემ კვლავ გამოთქვა თავისმართლების სურვილი, მაგრამ მამებმა კვლავ მოსთხოვეს, ნესტორი ანათემას გადაეცა და დაემუქრნენ, რომ წინააღმდეგ შემთხვევაში თავად მას მიიჩნევდნენ მწვალებლად. თეოდორიტემ შეაჩვენა ნესტორი და ყველა იმდროინდელი ცრუმოძღვრებანი. მაშინ წმიდა მამებმა ადიდეს ღმერთი და თეოდორიტე მართლმადიდებელ მწყემსმთავრად აღიარეს. თეოდორიტე კი უკვე აღარ თხოულობდა ასსნა-განმარტებას, რადგან სულიდან განაგდო თავისმართლების საჭიროების მიზეზი[1]. ასეთია ადამიანის სულის მიმართება მწვალებლობის საშინელი სენისადმი.

დღეს მოვისმინეთ სულიერი წამლობის მკაცრი უწყება. სწორედ გავიგოთ და მივიღოთ იგი; გულში ჩავიკრათ, და წრფელად და მტკიცედ უარვყოთ ის დამღუპველი სწავლებანი, რომლებსაც ეკლესია ჩვენივე ცხონებისათვის ანათემით განგმირავს. თუკი ყოველთვის უარვყოფდით ცრუმოძღვრებებს, მაშინ განემტკიცდეთ მათ უგულვებელყოფაში ეკლესიის ხმით. ის სულიერი თავისუფლება, სიმსუბუქე და ძალა, უცილობლად რომ შევიგრძნობთ, დაგვიდასტურებს ეკლესიის ქმედების სისწორეს და მის მიერ უწყებული სწავლების ჭეშმარიტებას. ღაღადებს ეკლესია: „ყოველთა, რომელთა დაატყვევეს თვისი გონება ღვთიური განცხადების მორჩილებაში და იღვაწენ მისთვის, თაყვანის-ვცემთ და ვადიდებთ. ჭეშმარიტების წინააღმდგომთ, თუკი არ შეინანებენ წინაშე უფლისა, მარადის მომლოდინესი მათი მოქცევისა და სინანულისა; თუკი არ ისურვებენ შედგომას წმიდა წერილისა და პირველადი ეკლესიის გადმოცემისა, განვკვეთთ და შევაჩვენებთ“.

„ღვთის არსებობის უარისმყოფელთა და მტკიცებელთა, რომ ეს სოფელი თვითმყოფადია, რომ მასში ღვთის განგებით კი არ ხდება ყველაფერი, არამედ შემთხვევის წყალობით, შევაჩვენებთ“.

„ყოველთა, რომელთაც თქვან, რომ ღმერთი არაა სული,

---

[1] Флери. История Христианства. Том 2. кн. 20. гл. 24.

არამედ ნივთიერია; ასევე, რომელთაც არ სცნონ იგი მართლად, მოწყალედ, ყოვლადბრძნად და ყოვლისმცნობელად, და ამგვარი გმობანი წარმოსთქვან: შევაჩვენებთ“.

„გაკადნიერებულთ იმის დასამტკიცებლად, რომ ძე ღვთისა არაა თანაარსი მამისა, როგორც სული წმიდა, — არააღმსარებელთა, რომ მამა, ძე და სული წმიდა — ერთი ღმერთია: შევაჩვენებთ“.

„ყოველნი, რომელთაც თავს ნება მისცეს ეთქვათ, რომ ჩვენი ცხონებისათვის და ცოდვათაგან გამოხსნისათვის არ უხმდა ამსოფლად ძე ღვთისას ხორციელი მობრძანება, მისი ნებსითი ვნება, სიკვდილი და აღდგომა: შევაჩვენებთ“.

„სახარებით უწყებული გამოხსნის მადლის არმიმღებელთა, როგორც ღვთის წინაშე განმართლების ერთერთი საშუალებისა: შევაჩვენებთ“.

„გაკადნიერებულთ სათქმელად, რომ ყოვლადწმიდა ქალწული მარიამი შობამდე, შობისას და შობის მერმე ქალწული არ ყოფილა: შევაჩვენებთ“.

„ყოველთა, რომელთა არ სწამთ, რომ წინასწარმეტყველნი და მოციქულნი სული წმიდამ განაბრძნო, მათი პირით გვაუწყა ცხონების ჭეშმარიტი გზა და ეს სასწაულებით დაამტკიცა, და რომ სული წმიდა დღესაც მოქმედებს ერთგულ და ჭეშმარიტ ქრისტეანთა გულებში და მათ ყოველგვარ ჭეშმარიტებას ამცნობს: შევაჩვენებთ“.

„უარმყოფელთა ქრისტეს წმიდა ეკლესიის საიდუმლოებათა: შევაჩვენებთ“.

„უარმყოფელთა წმიდა მამათა კრებათა და მათ გადმოცემათა, რომელნიც თანხმობაშია ღვთიურ განცხადებასთან, და კეთილმსახურებითაა დამარხული კათოლიკე-მართლმადიდებელი ეკლესიის მიერ: შევაჩვენებთ!“[1].

ღვთიური ჭეშმარიტება განხორციელდა გამოსახსნელად კაცთა, წარწყმედილთა მომაკვდინებელი სიცრუის მიღებითა და შეთვისებით. „უკუეთუ თქუენ დაადგრეთ სიტყუათა ჩემთა“. — გვაუწყებს იგი, — თუკი ჩემს მოძღვრებას მიიღებთ და მისი ერთგულნი იქნებით, — „ჭეშმარიტად მოწაფენი ჩემ-

---

[1] Последованіе въ неделю Православія.

ნი ხართ, და სცნათ ჭეშმარიტი, და ჭეშმარიტებამან განგათავისუფლნეს თქუენ"[1]. ქრისტეს სწავლებაზე დადგრომას შეძლებს მხოლოდ ის, ვინც მტკიცედ შეაჩვენებს და მარადის უარყოფს ყველა მოძღვრებას, დაცემულ ანგელოზთა და ადამიანთა გამონაგონსა და გამოსაგონებელს, ქრისტეს მოძღვრების, ღვთის მოძღვრების წინააღმდგომსა და მისი მთლიანობისა და შეუხებლობის ხელმყოფს. ღვთივ განცხადებული სწავლება ხელუხლებელი მთლიანობით მხოლოდდამხოლოდ აღმოსავლეთის მართლმადიდებელი ეკლესიის წიაღშია დამარხული. ამინ!

თარგმნა რუსიკო კობახიძემ

წერილები ერის კაცთა მიმართ

30.

შენ ჯოჯოხეთისა და სამუდამო სატანჯველის არსებობა გეეჭვება? დღევანდელ მოდურ გამოთქმას რომ იმეორებ: „ეს არ შეესაბამება ისეთ გულმოწყალე არსებას, როგორიც ღმერთია".

ეჰ, ჩემო მეგობარო! შეუძლია კი ისეთ სუსტსა და შეზღუდულ არსებას, როგორიც ადამიანია, თავისით განსაჯოს განუსაზღვრელი ღმერთი, ყოველგვარ წვდომასა და განსჯას აღმატებული, და საკუთარი თავიდან გამომდინარე მასზე დადებითი დასკვნები გამოიტანოს? დაუტევე შენი აზრები და მთელი გულით იწამე ყოველივე, რასაც სახარება გვასწავლის. თავად მაცხოვარმა ბრძანა: „და წარვიდენ ესენი სატანჯველსა საუკუნესა" მათე, 25, 46), და სხვა ადგილას გვეუბნება: „და ჯოჯოხეთს შინა აღიხილნა თუალნი თვისნი" (ლუკა, 16, 23). მაცხოვარმა ბრძანა, რომ არსებობს ჯოჯოხეთი, არსებობს სა-

---

[1] იოანე, 8, 31, 32.

მუდამო სატანჯველი, — რატომღა ეწინააღმდეგები! თუკი შენში ეს წინააღმდეგობა არსებობს, ეს ნიშნავს, რომ მაცხოვრის სიტყვების ჭეშმარიტებაში შეგაქვს ეჭვი და უგულვებელჰყოფ მათ. ვინც ქრისტეს მოძღვრებაში ერთ დოგმატს მაინც უარყოფს, ის თავად ქრისტეს უარყოფს. კარგად დაფიქრდი: — შენი ეჭვი არც ისე მსუბუქი ცოდვაა. თუკი მას გაითავისებ და სიტყვით განახორციელებ, — სასიკვდილო ცოდვაში ჩავარდები. ერთმა სიტყვამ რწმენისამ შეიძლება გვაცხოვნოს და ერთმა სიტყვამ ურწმუნოებისამ წარგვიწყმიდოს სული. ჯვარზე გაკრულმა ავაზაკმა სიკვდილის ჟამს აღიარა ქრისტე, — და თავისთვის სამოთხის ბჭენი განიხვნა. ფარისევლებმა ჭეშმარიტების უარყოფით დაგმეს სული წმიდა, — და წარწყმდნენ. „რამეთუ სიტყუათა შენთაგან განჰმართლდე და სიტყუათა შენთაგან დაისაჯო“. (მათე, 12, 37). — გვაუწყა მაცხოვარმა. თუკი გონებას ნებას მისცემ წინაღუდგეს ქრისტეს სწავლებას, იგი ასეთ წინააღმდეგობებს ათასობით მოიძიებს: გონება ამოუწურავია, როცა მას ქრისტესადმი მტრობით დაასნეულებ. თანდათანობით ის ქრისტეანობის ყველა დოგმატს უარყოფს. აღვირახსნილი, თვითნებური აზროვნების ეს ნაყოფი ახალი არაა. მისგან წარმოიშვა ამქვეყნად ამდენი უღმერთო და ღვთისმგმობელი! გამოუცდელ თვალს ისინი ბრწყინვალე მოაზროვნეებად ეჩვენებოდა, რომელთაც ჯაჭვები გაწყვიტეს, თავისუფლება მოიპოვეს, ჭეშმარიტება აღმოაჩინეს და სხვა ადამიანებს დაანახვეს. მაგრამ შემდგომ აღმოჩნდა, რომ მათი ჭეშმარიტება ცრუ და უსაშინლესი, დამღუპველი შეცდომა ყოფილა. ეს ცრუ აზრები სისხლში განიბანა, მაგრამ ამ განბანით მაინც ვერ განიწმიდა. საშინელებაა აზრის ტყუილით წაბილწვა: ადამიანის სისხლს არ ძალუძს ტყუილის ამ შავი ლაქების ამორეცხვა. ასეთი განწმენდისათვის კაცობრიობა ღმერთკაცის სისხლს საჭიროებდა. მან ეს სისხლი მიიღო, განიბანა მასში და განიწმიდა. სარწმუნოებით განმტკიცებული ადამიანი ღვთისშემეცნებისა და თვითშემეცნების ნათელში გამოვიდა, — გამოვიდა ხორციელი, ცრუ გონების ღრმა და ბნელი უფსკრულიდან. ეს გონება მას კვლავ უფსკრულისაკენ უხმობს, — და ისიც ყურად-იღებს დამღუპველ მოწოდებას! რა გასაკვირია? ადამიანმა თავისი ხასიათი შეინარჩუნა: ღვთიური კეთილსურნელებითა და ნე-

ტარებით აღვსილ სამოთხეში მყოფი დაუყოვნებლად ენდო ეშმაკის მაცდურ სიტყვებს.

ჩემო მეგობარო! შენ ქრისტეანი ხარ, აღმოსავლეთის მართლმადიდებელი ეკლესიის წევრი. ერთგული იყავი იმ სულიერი სხეულისა, რომლის ნაწილსაც წარმოადგენ; დაიცავი ერთობა წმინდა ეკლესიასთან, რომელსაც შენ ეკუთვნი; ფასდაუდებელი განძივით შეინახე შენი სულიერი ღირსება. შენი უძლურების გამო ნუ დაიწყებ დოგმატების განსჯას: ეს ღრმა უფსკრულია, სახიფათო ზღვაა. მასში მრავალი გამოუცდელი და თვითდაჯერებული მოცურავე დაიღუპა. ღვთისმეტყველების ამ საოცარ ტალღებზე უშიშრად და უხვი სულიერი სარგებლის მოპოვების იმედით შეუძლიათ იცურონ მხოლოდ მათ, ვისი მასაზრდოებელი გონებაც სულიწმიდის მფარველობაშია. წმიდა პავლე მოციქულის რჩევით: „წარმოვსტყუენავთ ყოველსავე ცნობასა მორჩილებად ქრისტესა“*, ნუ შეეკამათები ცრუ გონებიდან დაბადებულ ეჭვებსა და წინააღმდეგ აზრებს, ნურც მათ განსჯას შეუდგები. რწმენის მახვილით მოკვეთე თავი ამ გველებს, როგორც კი თავისი ხვრელიდან გამოსრიალდებიან! ეს იქნება სწორი და ჭეშმარიტი ქმედება! ასეთი ქმედება შეჰფერის მას, ვინც ერთხელ და სამუდამოდ შეუდგა ქრისტეს. განსჯა შეერთებამდე ხდება; შეერთების შემდეგ კი უკვე დანაშაულს წარმოადგენს. დაე, ნურაფერი დაარღვევს, ნურაფერი შეარყევს შენს ერთგულებას! ეჰ! სჯობს საერთოდ არ შეუდგე, ვიდრე უღალატო. სიმდაბლით მოუდრიკე ქედი ტკბილ უღელს, კეთილმორწმუნედ იცხოვრე, ხშირად იარე ეკლესიაში, იკითხე ახალი აღთქმა და წმიდა მამათა თხზულებანი, კეთილი უყავ მოყვასს. თავის დროზე შენი სული ქრისტეს ღვთაებრივ სწავლებას გაითავისებს, სწავლებას, რომლითაც სიწმიდე და ჭეშმარიტება სუნთქავს. მაშინ მას არანაირი ეჭვი აღარ შეაწუხებს. ქრისტეს სწავლება ზებუნებრივია, რადგან ღვთაებრივია. ის ადამიანის გონებისათვის მხოლოდ და მხოლოდ რწმენის საშუალებითაა მისაწვდომი. უგუნური წამოწყებაა ზებუნებრივის ახსნა ადამიანური აზ-

* 2 კორ. X; V.

როვნებით. ამ აზროვნებას არ ძალუძს საერთო ჩვეულებრივი ბუნებრივი წრიდან გამოსვლა. ეს უგუნური წამოწყება იწვევს შეუთანხმებლობებს, ურიცხვ წინააღმდეგობებს, იწვევს არაბუნებრივის უარყოფას, თუნდაც ეს არაბუნებრივი ღვთაებრივი იყოს.

თავიანთი საქციელით ადამიანები ხშირად საკუთარ თავსვე ეწინააღმდეგებიან! თვალს სიბინძურისაგან იცავენ, სულის თვალს — გონებას კი სულ არ უფრთხილდებიან და ყოველგვარი ნაგავით ავსებენ. უფალმა უპირველესად გონების დაცვა გვიბრძანა, რადგან იგია კაცის წინამძღოლი. თუკი გონება ჭეშმარიტი გზიდან გადაუხვევს, ადამიანის მთელი ცხოვრება შეცდომად გადაიქცევა. ჭეშმარიტი გზიდან ასაცდენად კი გონებას სულ ცოტა ჰყოფნის: ერთი ცრუ აზრი. „ოდეს თუალი შენი განმარტებულ იყოს“, — ბრძანებს მაცხოვარი, — „ყოველი გუამი შენი ნათელ იყოს: და უკუეთუ თუალი შენი ბოროტ იყოს, ყოველი გუამი შენი ბნელ იყოს. იხილე, ნუუკუე ნათელი იგი შენ შორის ბნელ იყოს“ (ლუკა, 11, 34). ამ წმიდა მცნებას ჩვენ საერთოდ არ ვასრულებთ; არ ვცდილობთ, რომ ჩვენი ნათელი—გონება ბნელად არ იქცეს, და ყოველგვარი აბდაუბდით ვაბინძურებთ. გონება საბოლოოდ რომ დაბნელდება, წყვდიადი მოიცავს მთელ ჩვენს მოქმედებებს, მთელ ჩვენს ცხოვრებას. საიდან შეიძლება გაჩენილიყო შენს სულში ღვთისადმი მტრული, დამღუპველი ურწმუნოებისა და ცრუსიბრძნის აზრები? უთუოდ რელიგიაზე დაწერილი მრავალგვარი ფუჭი უცხოური წიგნები იკითხე, მრავალნაირი უსაფუძვლო მსჯელობები მოისმინე. ამგვარი მსჯელობებით ფრიად მდიდარია ჩვენი დრო; დრო, რომელიც ჭეშმარიტი რელიგიური შემეცნებით ასე გაღარიბდა. „არაფერი ისე არ წარმართავს ადამიანს ღვთის გმობისაკენ, როგორც ერეტიკული წიგნების კითხვა“. — თქვა წმიდა ისააკ ასურმა. თავი ანებე ამ უწესრიგო კითხვას, გონებას დახლართული, უკუღმართი აზრებით რომ გივსებს; მას სიმყარეს, დამოუკიდებლობასა და სწორ შეხედულებას აცლის და სკეპტიკურ მერყეობაში აგდებს. საფუძვლიანად შეისწავლე აღმოსავლეთის ეკლესია მისი გადმოცემის მიხედვით, რომელიც წმიდა მამათა თხზულებებშია დაცული. ამ ეკლესიას ეკუთვნი? მისი

საფუძვლიანად გაცნობა შენი ვალია. დააკვირდი, რა კარგად იციან დასავლეთში თავისი რელიგია! მართალია, თავისი რწმენის დაწვრილებითი შეცნობა მათთვის უფრო ადვილი საქმეა. კათოლიკემ ირწმუნა თუ არა პაპი, როგორც ღმერთი, ყველაფერი დაამთავრა — ის სრულყოფილი კათოლიკეა! შეუძლია ისულელოს, რამდენიც უნდა! პროტესტანტი როგორც კი დაეჭვდა მთელ საღვთო გადმოცემაში და წინააღუდგა ქრისტეს სწავლებას, თუმცაღა ქრისტეანის სახელი შეინარჩუნა, — ისიც ყველაფერს მორჩა: ნამდვილი პროტესტანტია. ასეთი სრულყოფილების მიღწევის შემდეგ ლათინიც და პროტესტანტიც მრავალტომიან თხზულებებს წერენ, მათ შემოქმედებას ორთქლმავლებში ტვირთავენ და რუსეთში აგზავნიან მკითხველების საძებრად. ნუ წაიკითხავ ამ ადამიანთა ნაწერებს, თვითონაც კი რომ არ ესმით, რას თხზავენ. ახლანდელი მოდის მიხედვით შენ ისე ცუდად იცნობ ქრისტეანულ რელიგიას, რომ ძალიან ადვილად შეიძლება რომელიმე ცრუ აზრი შეითვისო და სული წარიწყმიდო. ჯოჯოხეთი არსებობს, სამუდამო სატანჯველიც არსებობს; ღვთისათვის სათნო ცხოვრებით შეეცადე ისინი შენთვის არარსებული გახდეს.

ჩემი პასუხი დასრულებულად მიმაჩნია. ხოლო რასაც ამის შემდეგ ვიტყვი, ჩემი მეგობრული ვალია. არა, სხვაგვარად უნდა ითქვას: ეს ვალი კი არა, უქმი მეტყველებაა, თუმცაღა ის გულახდილობიდან და მეგობრობიდან გამომდინარეობს. ხშირად მომისმენია შენს მიერ აწ გამოთქმული აზრი, რომელსაც სწორედ იგივე არგუმენტით ამყარებენ, რომ ჯოჯოხეთისა და სამუდამო სატანჯველის არსებობა არ შეესაბამება ღვთის გულმოწყალებას. ერთხელ, ამგვარი საუბრის შემდეგ, სტუმარმა როცა დამტოვა, უნებლიედ შეუმჩნეველმა მჭმუნვარებამ მომიცვა, გულზე სევდა დამაწვა, თუმცა არანაირი განსაკუთრებული აზრი არ მაწუხებდა. ეს იყო ჩემი მნახველის მიერ დატოვებული შთაბეჭდილება. როგორ არ დამრჩებოდა სევდიანი გრძნობა, როდესაც ვუსმენდი ქრისტეს წინააღმდეგ გაკადნიერებულ ქრისტეანს, რომელმაც თავს უფლება მისცა, თვით ჭეშმარიტების — ღვთის სიტყვები ტყუილად და ცრურწმენის გამონაგონად შეერაცხა. როგორ არ დამრჩებოდა სევდიანი გრძნობა, როცა ვხედავდი, რომ უარყოფილია ღვთის

წყალობა, წყალობა, რომელიც შეუძლია მიიღოს და დაიცვას მხოლოდ ქრისტეანული სარწმუნოების დოგმატთა მართალმა აღმსარებელობამ, ღვთისაგან რომ გვეძლევა. და ამ წყალობის უარყოფის მიზეზად მოაქვთ ამაო კაცობრივი ზრახვა ღვთის მოწყალების შესახებ! — მოულოდნელად მებადება აზრი, რომელიც ქვეყნიერების გარშემო მოგზაურობას მთავაზობს. აზრი ისეთი ნათელი იყო და ისეთი სასიამოვნო შეგრძნება გამოიწვია, რომ აღარც დავფიქრებულვარ. ადვილად მივენდე. ეს აზრი თითქოს საჰაერო ბურთით მიმაფრენს. ვხედავ მთელ ქვეყნიერებას, გზად არაფერი მაჩერებს, მივქრივარ ნისლიანი მთების შორიახლოს, სწრაფად გადავუფრინე მდინარეებს, ტბებსა და ზღვებს. მთელი სამყარო უმცირეს დროში მოვიარე და ამავე დროს მშვიდად ვიჯექი ჩემს სავარძელში. რა ვნახე ამ მოგზაურობისას? კაცობრიობის ტანჯვა. დიახ! მე ვიხილე ტანჯვა ფიზიკურიც და ზნეობრივიც. ისეთი ადამიანი არ შემხვედრია, რომელიც არ იტანჯებოდა. მე ვიხილე ტანჯულნი სასახლეებსა და სამეფო ტახტზე; მე ვიხილე ტანჯულნი მოზღვავებულ ფუფუნებაში, სადაც სხეულს ჯანმრთელს და მაძღარს ვხედავდი, იქ სული იყო მშიერი და სნეული, ამ საშინელი სენის დათმენა არ შეეძლო და განუწყვეტლივ კვნესოდა. ვნახე პატიმრები, სამუდამოდ დასამარებულნი დახუთულ და ბნელ საპყრობილეებში; ვნახე მიწის წიაღში მომუშავენი, სადაც მზის სხივიც ვერ აღწევს, სადაც ბორკილების ჟღარუნი და ურიებისა და წერაქვების ხმა გაისმის. აქ მოიპოვებენ ოქროს, ადამიანთა ერთი ნაწილის განცხრომისათვის მეორეთა მუდმივი გაჭირვების ხარჯზე. ყველაზე ცივილიზებულ სახელმწიფოებში ვიხილე უამრავი დამშეული ოჯახი; ვიხილე მოსახლეობის დიდი ნაწილი, ფიზიკური და ზნეობრივი სიღატაკით გაუბედურებული. მე ვიხილე კაცობრიობა ბოროტმოქმედებით დაცემული! კაცობრიობა შეცდომებით დამახინჯებული! კაცობრიობა ბარბაროსობით დასახიჩრებული! მე ვიხილე კაცობრიობა პირუტყვთა და მხეცთა მსგავსებაზე დასული! იქ ადამიანებზე ისე ნადირობენ, როგორც ცხოველებზე, იქ ადამიანებით ვაჭრობენ, როგორც უსულო ნადავლით, როგორც პირუტყვით, — და ამ ბაზარზე კაცს შინაურ ცხოველზე უფრო

იაფად აფასებენ. იქ ადამიანი თითქმის პირუტყვივით ცხოვრობს, და როგორც მძვინვარე მხეცი, ისე იქცევა, სისხლისღვრაში პოვებს სიამოვნებას, გაშმაგებული, გამხეცებული ჭამს თავისივე მსგავსთ. ეჰ, ასეთ საშინელ არსებობას სჯობს სულ არ არებობდე! ასეთია ჩვეულებრივი ადამიანური ცხოვრების ამქვეყნიური სურათი. უნდა გავიხსენოთ ის უბედურებანი, დროდადრო და ადგილ-ადგილ რომ დაატყდება ხოლმე კაცობრიობას: მიწისძვრები, შავი ჭირი, შინაომები, დამპყრობელთა მახვილი, ასე უხვად რომ ღვრის სისხლს, როცა ის ბათო-ყაენს ან თემურლენგს უპყრია. აი, უკვე რამდენიმე ათასწლეული გაკიდა, რაც დედამიწაზე ერთი თაობა მეორეთი იცვლება, იცვლება მხოლოდ სატანჯველად. თუმცაღა ამ ყველაფერს ხედავს ღმერთი, შემოქმედი და მეუფე ყოველთა, ყოვლისშემძლე და ყოვლადმოწყალე. ეს უსაშინლესი ბოროტება, რომლითაც დედამიწაზე ადამიანთა მოდგმა იტანჯება, ღმერთს ხელს არ უშლის ყოვლადმოწყალედ დარჩეს. უსასრულობას რამდენი რიცხვიც არ უნდა მიუმატო, ან დააკლო, ის მაინც არ შეიცვლება, კვლავ უსასრულობად რჩება! — მაგრამ თუკი ამ თვალით შევხედავთ ამ ქვეყანას, სადაც მიყოლებით იტანჯებოდნენ და ამდენი თაობა მეტ-ნაკლებად საშინელი სიკვდილით დაიღუპა, — ჯოჯოხეთსა და სამუდამო სატანჯველზე ფიქრი უცხოდ აღარ მოგვეჩვენება!

ადამის მოდგმა დაცემულ ადამიანთა წყებაა. ეს ქვეყანა ჯოჯოხეთის კარიბჭეა, სადაც დამნაშავეებს პირველდაწყებითი სასჯელი მიეზღვებათ. მაცხოვარმა ის სამოთხის კარიბჭედ აქცია.

თარგმნა ზ ურ ა ბ ა რ ო შ ვ ი ლ მ ა

წერილები ერის კაცთა მიმართ

44.

ახლა ვკითხულობ წიგნს, რომელიც სლავურ, რუსულ და სხვა ენებზე მომეპოვება. ეს წიგნი „წმიდა ეგვიპტელ მეუდაბნოე მამათა გამონათქვამების კრებულს“ შეიცავს. ეს გამონათქვამები ფასდაუდებელი მარგალიტებია! ზღვის სიღრმეში ეშვება მყვინთავი ძვირფასი მარგალიტის საძებრად. წმიდა

მამები უდაბნოებში იხვეწებოდნენ, იქ საკუთარ თავს ღრმად ჭვრეტდნენ და მრავალნაირ ფასდაუდებელ მარგალიტს პოულობდნენ; პოულობდნენ ქრისტესმიერ სიმდაბლეს, ჩჩვილთა უბრალოებასა და უმანკოებას, ანგელოზებრივ უვნებლობას, სულიერ განსჯასა და სიბრძნეს, — ერთი სიტყვით, პოულობდნენ სახარებას.

დღეს სისოი დიდის ის გამონათქვამი წავიკითხე, რომელიც ყოველთვის გამორჩეულად მომწონდა, ყოველთვის ვანსაკუთრებით ახლოს მომდიოდა გულთან. „ძმამან ჰკითხა მამასა სისოის და ჰრქუა: ვხედავ, რამეთუ ხსენებაჲ ჩემი ღმრთისა თანა დადგომილ არს. ჰრქუა მას ბერმან: არა დიდ არს, რამეთუ გულისსიტყუაჲ შენი ღმრთისა თანა არს, არამედ დიდ ესე არს, უკუეთუ თავი შენი ყოველთა დაბადებულთა ქვემო კერძო შეგერაცხოს“[1].

მაღალი ღვაწლია — მეხსიერებით მუდმივად ღმერთთან დადგრომა! მაგრამ ეს სიმაღლე ძალზე სახიფათოა, როცა მისკენ მიმავალი კიბე სიმდაბლის მტკიცე ქვაზე არაა დაფუძნებული.

დაუკვირდით, როგორ თანხმობაშია წმიდა წერილი მამათა ნაწერებთან! წმიდა წერილი ამბობს: „საკუერთხი არა გთნდეს, მსხუერპლი ღმრთისა არს სული შემუსრვილი, გული შემუსრვილი და დამდაბლებული ღმერთმან არა შეურაცხყოს“. კაცთა მსხვერპლი და საკვერთხი სულიერი სიგლახაკისა და სინანულის გრძნობაზე უნდა იყოს დამყარებული. ამის გარეშე ღმერთი განაგდებს ამ შესაწირავს. ასევე ძალიან მომწონს პიმენი დიდის გამონათქვამი: „თუკი ყოველთვის და ყველაფერში საკუთარ თავს დავადანაშაულებთ, სიმშვიდეს მოვიპოვებთ“. სხვა წმიდა მამა ამბობს: „ჩვენ დავუტევეთ მსუბუქი ტვირთი საკუთარი თავის განკითხვისა და ავიღეთ სიმძიმე სხვისი დადანაშაულებისა“. ასეთი გამონათქვამები მთელი ტომეულების ფასია! მგონი ისე ღრმად არავინ არ ჩასწვდომია სახარებას, როგორც წმიდა მეუდაბნოე მამები. ისინი ცდილობდნენ სახარება ცხოვრებით განეხორციელებინათ, განეხორციელებინათ თავიანთი აზრებითა და გრძნობებით. მეუდაბნოე მამები

---

* შუა საუკუნეთა ნოველების ძველი ქართული თარგმანები. თბ. 1966, გვ. 214.

ულრმესი სიმდაბლით გამოირჩეოდნენ. მათი ფიქრის მუდმივ საგანს კაცობრიობის ცოდვით დაცემა წარმოადგენდა, საკუთარ ცოდვებზე ტირილი მათ მუდმივ საქმედ ქცეულიყო.

სხვა მიმართულება აირჩიეს დასავლეთის ეკლესიის მოღვაწეებმა და ასკეტიზმის მასწავლებლებმა მას შემდეგ, რაც ეს ეკლესია აღმოსავლეთისას გამოეყო და მწვალებლობის დამღუპველ წყვდიადში ჩაეფლო. ღირსი ბენედიქტე და წმიდა პაპი გრიგოლი დიოლოღოსი ჯერ კიდევ ეთანხმებოდნენ აღმოსავლეთის ასკეტიზმის მასწავლებლებს; ბერნარდი უკვე საგრძნობლად გამოირჩევა მათგან; შემდგომნი კი უფრო მეტად გადაიხარნენ. ისინი თავიდანვე მიისწრაფვიან და მკითხველებსაც იზიდავენ ახალდამწყებთათვის მიუწვდომელი სიმაღლეებისაკენ, თვითონაც ეფლობიან და სხვებსაც ითრევენ. აგზნებული, ხშირად გონებადაბინდული მეოცნებეობა უცვლის მათ მთელ სულიერებას, რომელზეც არანაირი წარმოდგენა არ გააჩნიათ. ამ მეოცნებეობას ისინი მადლად შერაცხავენ. „ნაყოფთა მათთაგან იცნეთ იგინი“ — თქვა მაცხოვარმა. საყოველთაოდ ცნობილია, როგორი სისხლისღვრებით, როგორი აშკარად ქრისტეანობის წინააღმდგომი ქმედებით გამოხატეს დასავლეთელმა ფანატიკოსებმა თავისი დამახინჯებული აზროვნება, თავისი უგვანი გულისთქმა. აღმოსავლეთის ეკლესიის წმიდა მამები თავიანთ მკითხველებს სიყვარულის ბადეში კი არ ახვევენ, ხილვების სიმაღლეზე კი არ აღამაღლებენ, არამედ თავიანთი ცოდვის, თავიანთი დაცემის შეცნობისაკენ მიჰყავთ ისინი, მიჰყავთ ქრისტეს აღიარებამდე, საკუთარი თავის დატირებამდე შემოქმედის მოწყალების წინაშე. ისინი გვასწავლიან ჯერ ჩვენი ხორციელი უწმინდური ვნებების ალაგმვას, ხორცის შემსუბუქებას სულიერი მოღვაწეობისათვის; შემდეგ გონებას მიმართავენ, იწყებენ აზროვნების გასწორებას, გონებას დაცემისაგან გათავისებული აზრებისაგან ასუფთავებენ და მათ განახლებული კაცობრივი ბუნებიდან გამომდინარე აზრებით ცვლიან, სახარებაში ასე ცოცხლად რომაა გამოხატული. გონების გამართვის შემდეგ წმიდა მამები გულის გამოსწორებისათვის ზრუნვას იწყებენ, მისი ჩვევებისა და შეგრძნებების შეცვლას. გულის განწმენდა გაცილებით უფრო ძნელია, ვიდრე გონებისა: გონება ახალი აზრის

სისწორეში რომ დარწმუნდება, ადვილად დაუტევებს ძველს და ამ ახალ აზრს შეითვისებს. მაგრამ ჩვევის ჩვევით შეცვლა, თვისების თვისებით, გრძნობის სხვა საწინააღმდეგო გრძნობით, — ეს უკვე ღვაწლია, ეს უკვე მძიმე და ხანგრძლივი შრომაა, შეუპოვარი ბრძოლაა. ამ ბრძოლის სიმძაფრეს მამები ასეთი სიტყვებით გამოხატავენ:

„მიეცი სისხლი და მიიღე სული". ეს ნიშნავს: სისხლისა და ხორცის ყველა ცოდვისმიერი სურვილი უნდა ჩავკლათ, უნდა მოვაკვდინოთ ყოველი მათმიერი მოძრაობა გულისა და გონებისა; ხორციც, გონებაც და გულიც სულის გამგებლობაში შევიყვანოთ. ბევრნაირი ვნება აღაგზნებს სისხლსა და ნერვებს: მრისხანება, ვერცხლისმოყვარეობა, გემოთმოყვარეობა და დიდებისმოყვარეობა. არასჯულიერად მოღვაწეებს ეს ორი უკანასკნელი ვნება უჩქროლებს სისხლს ყველაზე მძაფრად და მათ გონებადაკარგულ ფანატიკოსებად აქცევს. დიდებისმოყვარეობა უდროოდ მიილტვის სულიერი ფასეულობებისაკენ. ამ ფასეულობების მიღწევა კი ადამიანს ჯერ არ ძალუძს თავისი უწმინდურობის გამო, და ჭეშმარიტებას რომ ვერ სწვდება, მეოცნებეობას იწყებს. დიდებისმოყვარეობის მოქმედებას ემატება გემოთმოყვარეობაც. ეს ვნება მომხიბლავ, ცრუ ნუგეშინისცემას, ტკბობისა და თრობის გრძნობას იწვევს გულში. ამგვარ მდგომარეობას ჰქვია სულიერი ხიბლი. ყველა არასჯულიერად მოღვაწე ამ მდგომარეობაში იმყოფება. სულიერი ხიბლი იმისდამიხედვით ვითარდება, თუ ისინი თავიანთ ღვაწლს რამდენად გააძლიერებენ. ასეთ მდგომარეობაში მყოფნი წერდნენ დასავლეთის მწერლები უამრავ წიგნებს. სწორედ ამ წიგნებს ეტანება დაბრმავებული და ამაყი მსოფლიო, მათ ცნობს უფრო წმინდად და წმიდა წერილის გვერთავს უაღრესად განათლებულად მიიჩნევს და ამიტომაც აღარ დით დგომის ღირსად შერაცხავს. მსოფლიო, რომელიც თავის საჭიროებს განუხრელად მისდიოს აღმოსავლეთის ეკლესიის გადმოცემას.

აღმოსავლეთის ეკლესიის წმიდა მამათა თხზულებებში ვერ ნახავ ამგვარ აღგზნებულ მდგომარეობას. მათ არასოდეს არ იპყრობს ენთუზიაზმი, სისხლიდან რომ იბადება და ხშირად სისხლისღვრასვე ეძიებდა დასავლეთში. წმიდა მამათა ნაწე-

რებში ჭეშმარიტი თავდადება სუნთქავს, სუნთქავს ვნებების დამთრგუნავი კეთილსურნელება სული წმიდისა. ამ კეთილსურნელებას გაურბიან ამა სოფლის ძენი, ისე როგორც კრაზანები იფანტებიან საკმევლის კმევისას. „სოფელიმცა თვისთა ჰყუარობდა“ — თქვა უფალმა. დასავლეთის მწერალთა თხზულებანი, სულიერი ხიბლის მდგომარეობაში დაწერილნი, უამრავ მკითხველს პოულობს, არაერთხელ ითარგმნება რუსულ ენაზე, იბეჭდება, გადაიბეჭდება. ისინი წარმოთქვამენ, წერენ და ბეჭდავენ ხმამაღალ ქება-დიდებას. ის, რაც მომაკვდინებელი საწამლავითაა გაჯერებული, მოწონებული და განმტკიცებულია. წმიდა მამათა თხზულებანი დავიწყებას მიეცა! წმიდა ეკლესიის მიერ ოდითგანვე მიღებული, მოღვაწეობისათვის ერთადერთ სწორ წინამძღოლად მიჩნეულ ნაწერებს უპატივცემლოდ ეკიდებიან. მათ აკრიტიკებენ, პოულობენ მათში შეუთანხმებლობებს, წინააღმდეგობებს წმიდა წერილთან. ყველაფრის მიზეზი კი იმაშია, რომ წმიდა მამები სული წმიდის ჩაგონებით წერდნენ, მათ ამსოფლიური სიბრძნე უარყვეს სული წმიდის სიბრძნის მოსაპოვებლად. ამაოა მათი მცდელობა, ვინც მოციქულის სწავლების, ეკლესიის სწავლების საწინააღმდეგოდ ამქვეყნიური სიბრძნით ცდილობს სული წმიდის სიბრძნის მოპოვება. და „შეიპყრნის ბრძენნი სივერაგითა მათითა“ (I კორ. 3, 19). შებრკოლდნენ და დაეცნენ საშინელი დაცემით. მათ „სულიერის“ ახსნა ბნელი მშვინვიერი გონებით მოინდომეს და ეს „სულიერი“ წმიდა მამათა თხზულებებში უცნაურად, წმიდა წერილის წინააღმდგომად მოეჩვენათ. „სულიერთა სულიერად შევატყუებთ“ — ამბობს წმიდა პავლე მოციქული — „ხოლო მშვინვიერი კაცი არა შეიწყნარებს სულსა ღმრთისასა, რამეთუ სიცოფე უჩნნ მას და ვერ შემძლებელ არნ ცნობად, რამეთუ სულიერად განიკითხვინ“ (I კორ. 2, 13, 14). ეს უკანასკნელი სიტყვები ახალ თარგმანში ასე იკითხება: „რადგან სულიერზე სულიერად უნდა ვიმსჯელოთ“.

თარგმნა რუსიკო კობახიძემ

წმიდა ეპისკოპოსი თეოფანე დაყუდებული

წმიდა თეოფანე დაყუდებული (ერისკაცობაში გიორგი ვასილის ძე გოვოროვი), დაიბადა 1815 წლის 10 იანვარს, ორლოვის გუბერნიის სოფელ ჩერნოვსკში, მღვდლის ოჯახში. მშობლებმა მას ბავშვობიდანვე ჩაუნერგეს ღვთისმოშიშება. ოჯახშივე მიიღო კარგი დაწყებითი განათლება, რაც დაეხმარა ლივენის სასულიერო სასწავლებლის, ხოლო შემდგომ ორლოვის სემინარიის წარმატებით დამთავრებაში. შესანიშნავი მასწავლებლების წყალობით მომავალი მღვდელმთავარი სასარგებლო ზნეობრივ და სულიერ ატმოსფეროში აღიზარდა. სწავლების ბოლო წელს იგი ბერად აღიკვეცა. ზნეკეთილმა და ნიჭიერმა სტუდენტმა მაგისტრის ხარისხი მიიღო და ჯერ კიევის სასულიერო სასწავლებლის რექტორად დაინიშნა, შემდეგ კი— ნოვგოროდის სემინარიის ინსპექტორად. 3 წლის შემდეგ იგი სანკტ-პეტერბურგის სასულიერო აკადემიაში გადაიყვანეს სამოძღვრო ღვთისმეტყველების ბაკალავრად.

1847 წელს მამა თეოფანე გახდა წევრი რუსეთის სასულიერო მისიისა იერუსალიმში, სადაც 6 წელი დაჰყო. ამ ხნის განმავლობაში იგი საფუძვლიანად სწავლობდა ბერძნულ და ფრანგულ ენებს, გაეცნო აგრეთვე ებრაულსა და არაბულს, გულმოდგინედ შეისწავლა წმიდა მამათა თხზულებანი უძველესი ხელნაწერებიდან, წერდა ხატებს ადგილობრივი ღარიბი ეკლესიებისათვის. მის ამგვარ მოღვაწეობას ხელი შეუშალა ყირიმის ომმა და რუსეთში დაბრუნებული მღვდელმონაზონი თეოფანე კვლავ გულმოდგინედ შეუდგა პედაგოგიურ მოღვაწეობას.

1856 წელს, უკვე არქიმანდრიტის ხარისხში აყვანილი მამა თეოფანე კონსტანტინოპოლში გადაყავთ საელჩოს ეკლესიის წინამძღვრად. ერთი წლის შემდეგ იგი წმიდა სინოდმა გამოიხმო მის ახალ თანამდებობაზე დანიშვნის გამო და იგი გახდა სანკტ-პეტერბურგის სასულიერო აკადემიის რექტორი, ღვთისმეტყველების პროფესორი. აქ მან მხოლოდ 2 წელი იმსახურა, შემდეგ კი ეპისკოპოსად დაასხეს ხელი.

25 წლიანი საეკლესიო მსახურების შემდეგ წმიდა მამა თეოფანემ გადაწყვიტა განმარტოებით დაყუდება, რათა დაუბ-

რკოლებლად მისცემოდა ღმრთისათვის სათნო ღვაწლს. დარჩენილი 28 წელი, ცხოვრების ბოლომდე მან ტამბოვის ეპარქიაში, ვიშინსკის უდაბნოში გაატარა. მეუფე თეოფანე თავისუფალ დროს ლიტერატურულ და საღვთისმეტყველო საქმიანობას უთმობდა, დიდი მიმოწერა ჰქონდა ათასობით სულიერ შვილთან, როგორც სამეფო კარის მოხელეებთან, ასევე უბრალო ხალხთან. მისი წერილების უმრავლესობა გამოქვეყნებულია. მათგან განსაკუთრებით ცნობილია: „წერილები სულიერი ცხოვრების შესახებ", „წერილები ქრისტეანული ცხოვრების შესახებ", „რა არის სულიერი ცხოვრება და როგორ უნდა დავიწყოთ იგი", „წერილები სხვადასხვა პირებისადმი". ეს წერილები ჩვენი დროისთვისაც მეტად აქტუალურია. მათგან გამოსჩვივის მოყვასისადმი საოცარი ყურადღება, სიკეთე და სიყვარული.

1890 წელს სანკტ-პეტერბურგის აკადემიამ მრავალმხრივი და სასარგებლო საღვთისმეტყველო მოღვაწეობისათვის ეპისკოპოს თეოფანეს ღვთისმეტყველების დოქტორის წოდება მიანიჭა. რუსეთის მართლმადიდებელი ეკლესიის ყველა სასულიერო აკადემიებმა იგი თავის საპატიო წევრად აირჩიეს.

ამა სოფლის დატევება და განმარტოებით დაყუდების ღვაწლი მეუფე თეოფანეს ხელს არ უშლიდა აქტიური მონაწილეობა მიეღო ეკლესიის ცხოვრებაში. მან მეტად მდიდარი ბიბლიოთეკა შეაგროვა. სასულიერო ლიტერატურულ მოღვაწეობას იგი ღვთის ერთ-ერთ უპირველეს სამსახურად თვლიდა. ბიოგრაფიაში ეპისკოპოს თეოფანეს სამართლიანად უწოდებენ „ქრისტეანული ფილოსოფიის უდიდეს სწავლულს". საოცრად ნაყოფიერია მისი მთარგმნელობითი საქმიანობა. ასკეტური მწერლობის შესანიშნავმა მცოდნემ ბერძნულიდან თარგმნა „სიკეთის მოყვარების" ხუთტომეული.

„ადამიანს თავისი ძალებით არ შეუძლია ჭეშმარიტი ქრისტეანული ცხოვრება, ამისათვის საჭიროა მადლი ღვთისა" — გვასწავლის თეოფანე დაყუდებული. წმიდა მღვდელმთავრის ღვთივგანბრძნობილი თხზულებებით ხელმძღვანელობა ყველა ქრისტეანისათვის მარადიული ცხოვრების დამკვიდრების

საიმედო საფუძველია. იგი მოგვიწოდებს: „ყველამ დაიმარხეთ ქრისტეანობა, როგორიც ის არის და როგორიც დაცულია ქრისტეს ეკლესიაში, მტკიცედ სდექით მასზედ, არ გაკადნიერდეთ და რაიმე არ შესცვალოთ მასში, საკუთარ თავს კი მოუკლებლივ სრულყოფდით მისი სწავლების მიხედვით“.

წმ. თეოფანე დაყუდებული

მართლმადიდებლობის საფუძველი ერთაზრობაშია. მისი სანყისია საუოველთაოდ აღიარებული ბეშმარიტება, მისი სიმყარე და სიმტკიცე ბეშმარიტების ცოდნაშია

დღეს ეკლესიაში მართლმადიდებლობის ზეიმია — ვდღესასწაულობთ ჭეშმარიტების გამარჯვებას სიცრუესა და შეცთომილებაზე. — როგორც მძლეველნი ჩვეულებრივი გამარჯვების შემდგომ მტრებთან იმ გადამწყვეტ შეჯახებებზე მოგვითხრობენ, სადაც მტერი დაამარცხეს და მომავალი თაობის საწვრთნელად უმამაცეს წინამძღოლთა და მეომართა ქებადიდებას აღავლენენ; ასევე სვეტი და სიმტკიცე ჭეშმარიტებისა — წმიდა ეკლესია ჭეშმარიტებისადმი წინააღმდგომი ამაოდბრძნობის თავდასხმებს განიცდიდა ჟამ და ჟამ, და დიდებით რომ უკუაქცია მტერი, დაადგინა თავის გამარჯვებათა საზეიმოდ უწყება: განიკითხავს ჭეშმარიტების მოძულეთ, ამხილებს მათ ცრუ ნააზრევს და ამავე დროს საყოველთაოდ ქადაგებს წმიდა ჭეშმარიტებას და განადიდებს მის თანამდგომთ, რათა ეკლესიის ნამდვილმა შვილებმა უწყოდნენ, რას მოითხოვს იგი და როგორ დააღწიონ თავი ასეთივე ან სხვაგვარ შეცთომილებებს. ამის გამგონეთ ვადიდოთ უფალი; მან მისცა ძლევა ჭეშმარიტებას, რათა, როგორც ნათელი ბნელში, ისე ანათებდეს ადამიანურ შეცთომილებათა წყვდიადში და შეუცთომელ ბილიკს უჩვენებდეს სწორი გზის მაძიებლებს.

ჭეშმარიტებას უფალი მფარველობს: ვინ მოგვტაცებს?! მაგრამ ნუ გვავიწყდება, რომ უფალი არა მარტო თავისი ზებუნებრივი ძალით იცავს მას, არამედ ამასთანავე იმგვარად ინება წმიდა ეკლესიის მოწყობა, რომ ეს ეკლესია იყო დაიქნება საუკუნოდ ამ ჭეშმარიტების დამარხვის შემძლე, ღვთის წინამძღოლობით. ამ თვალსაზრისით ორკეცდება წმიდა ჭეშმარიტებისადმი ჩვენი ვალი: რაც უფალმა მოგვმადლა მის დასაცავად, მადლობითა და მორჩილებით მივიღოთ, — რაც ეკლესიაშია, მის მიმართ ჩვენი ვალდებულებაც უნდა შევიგნოთ, როგორც ეკლესიის ნამდვილმა შვილებმა, და შეძლები-

სამებრ თანაშეევწიოთ კიდეც. და ასე უნდა იქცეოდეს ყველა — დიდი თუ პატარა, ხელდასხმული თუ ხელდაუსხმელი.

აი ესაა აზრი, რომელსაც ბევრნი არ იზიარებენ, და შესრულებით ხომ უფრო ცოტანი ასრულებენ. მე მინდა თქვენი მოსაზრება ამ აზრს მივუახლოვო.

რაშია ჭეშმარიტების დამარხვის ის ძალა, უფალმა თავის ეკლესიაში რომ განაჩინა? — ეს ძალა ერთაზრობაშია. — ნახეთ, როგორ წამოვიდა ამქვეყნად ქრისტეანული ჭეშმარიტება. მოვიდა უფალი და წმიდა მოციქულებს აუწყა. — შემდგომ სული წმიდა გარდამოუვლინა, სული წმიდით ძალამიცემულმა და მადლშემოსილმა მოციქულებმა ყოველი მხრით იქადაგეს ერთიანი ზეციური ჭეშმარიტება. როგორც ერთია უფალი და ერთია სული წმიდა, ასევე ერთიანი იყო ყველგან მათი სწავლებაც — „ერთ არს უფალი“ — ამბობს მოციქული — „ერთ სარწმუნოებაჲ“. „ერთ ხორც და ერთ სულ, ვითარცა იჩინენით ერთითა მით სასოებითა ჩინებისა თქუენისაჲთა“ (ეფ. 4, 4, 5). ასე იქცა ერთსულოვნება, ერთსარწმუნოება, ერთაზრობა ქრისტეანობის არსებით ნიშნად, მისი არსებობის დასაბამად, მისი სიმყარის საფუძვლის ქვაკუთხედად. ამ ერთიანობას იმდენად ძვირფასად რაცხდნენ წმიდა მოციქულები, რომ თავიანთ სწავლებებში ყოველ ნაბიჯზე ამას გვიბეჯითებენ: და არაა სიტყვა, არაა ეპისტოლე, სადაც ერთიანობა არ იყოს ნახსენები. — ხან „ერთსულ და ერთზრახვა“ ყოფნას შეგვაგონებენ (ფილ. 2, 2; 1 პეტრ., 3, 8), ხან გვარწმუნებენ, „იღუაწდით ერთგზის მოცემულისა მისთვის წმიდათა სარწმუნოებისა“ (იუდა, 3) და მთელი გულისხმით დაიმარხეთ სულიერი ერთობა მშვიდობაში, ხან იმათ ადიდებენ, ვინც დგანან „ერთითა სულითა“ და არა ჰფრთხებიან „არარაჲთ მხდომთა მათგან“ (ფილ. 1, 27, 28), ხან გვაფრთხილებენ, არ მიმოგვიტაცოს „ყოველმან მან ქარმან მოძღურებისამან“ (ეფ. 4, 14) ხან კი მთელი სიმკაცრით ამხილებენ განწვალებისათვის, და სწორედ — სწავლებაში (1 კორ. 1 —).

წმიდა მოციქულთაგან მორწმუნეებში ჩანერგილმა ერთაზრობის ამ სულმა მუდმივად დაისადგურა მათში და შემდგომ უკვე სასინჯ ქვად იქცა ჭეშმარიტების სიცრუისაგან გამოსარჩევად. ვინ ჭეშმარიტებას ეძიებდა, ვინ ტყუილს ეკრძალვო-

და, ვინ მტკიცებას ითხოვდა, ეუბნებოდნენ, წადი იერუსალიმს, ანტიოქიას, ალექსანდრიას, ეფესოს, რომს, — იქ დათესეს მოციქულებმა ჭეშმარიტება. ისე ირწმუნე, როგორიცაა საყოველთაო სწავლება — ანდა, ჭეშმარიტება ამასა და ამაშია. რადგან ასე ასწავლიდნენ და ასწავლიან ყოველგან. და ეს ყოველი, ყოველგან, ყოველთვის იქცა ქრისტეანული ჭეშმარიტების დამახასიათებელ ტერმინად.

როგორ უნდა გვწამდეს და ვასწავლიდეთ? — ისე, როგორც სწამდა და ასწავლიდა ყოველი, ყოველგან და ყოველთვის.

დასაბამითგან აქამომდე სწორედ ამ ერთაზრობით მოწმდებოდა ქრისტეანული ჭეშმარიტება და იმხილებოდა სიცრუე, რადგან ერთიანობა მხოლოდ წიგნებში როდი იყო გამოხატული, იგი ცოცხლობდა გონებასა და გულში და ყველა მორწმუნის ნამდვილ განწყობას წარმოადგენდა. რატომ ხდებოდა, რომ, როგორც კი სადმე ვინმესგან აზრთა სხვაობა იჩენდა თავს, მას მაშინვე ყველა შენიშნავდა, ყველა ამხილებდა და გამოაჩინებდა, როგორც საერთო წესიდან გადახრილს, — არაკანონიერს. დაიწყო არიოზმა ქადაგება: „დრო იყო, როცა ძე არ იყო", გულისხმობდა ყოვლადწმიდა სამების მეორე წევრს. მაშინვე ყველა შეაძრწუნა ამ აზრმა. — ერთი, მეორე, მესამე, ყველა კითხულობდა: როგორ თუ არ იყო? შესაძლოა, რომ არ ყოფილიყო? — საიდანაა ეს სიახლე? ეს შეშფოთება ალექსანდრიიდან სხვა ეპარქიებშიც გავრცელდა, და იქიდან — მთელს ეკლესიაში — სიცრუე ყველგან ამხილეს და ერთმზრახველი საერთო აღმსარებლობით განამტკიცეს ჭეშმარიტება. ასევე მოუვიდა ნესტორსაც. მისმა თანადგომმა მქადაგებელმა ერთი სიტყვა ახსენა ღვთისმშობელზე: ქრისტემშობელი. ამ ახალმა სიტყვამ ყველანი შეაშფოთა. როგორ ამბობენ ქრისტემშობელიო? მან ხომ ხორციელი ღმერთი გვიშვა და ჭეშმარიტად ღვთისმშობლად იწოდება, როგორც თავიდანვე აღიარა ელისაბედმა: „და ვინაჲ ჩემდა ესე, რაჲთა მოვიდეს დედაჲ უფლისა ჩემისაჲ ჩემდა?" (ლუკა, 1, 43). და მოჰყვა ასე ლაპარაკს მთელი ერი, სამღვდელო დასი, ხელისუფალნი — ხმამ მეფის ყურამდეც მიაღწია — და მწვალებელი ამხილეს მიუხედავად მისი ყოველგვარი მანქანებისა.

ახლა თქვენთვის ნათელია, რომ ჭეშმარიტების დაცვის ძალას, თვით ეკლესიაში დამარხულს, ეკლესიის წევრთა ცოცხალი ერთაზრობა წარმოადგენს, — როცა ჭეშმარიტება ყველა მათგანის გულსა და გონებაში ცოცხლობს და ყოველთა ეუფლება, როცა, მოციქულის სიტყვით, ყოველთა აქვთ „იგივე ზრახვად ურთიერთას“... (რომ., 15, 5) — მასვე იტყვიან ყოველნი და არიან „განმტკიცებულნი მითვე გონებითა და მითვე მეცნიერებითა“ (1 კორ. 1, 10).

თქვენი გულის-ზრახვა ამ ჭეშმარიტებისათვის მინდოდა მიმეახლოვებინა. მაგრამ იმიტომ კი არ დავმშვრალვარ, რომ ამ საფუძველზე ეკლესიის განჩინება გამემართლებინა, ახლა რომ მოისმინეთ, — არამედ იმისთვის, რომ თქვენს შეგნებამდე დამეყვანა ყველა ქრისტეანეზე დადებული ჭეშმარიტების დაცვის მოვალეობა.

თუკი ჭეშმარიტების დაცვა ნაწილობრივ თვით ეკლესიას აქვს მინდობილი, ე. ი. მის ყველა წევრს, — და ამ დაცვის ძალა კი ერთაზრობაშია დამარხული, ცოცხალ ერთაზრობაში; მაშინ ნათელია, რომ თითოეული წევრი ამ ერთაზრობას უნდა შეუერთდეს თავისი ძალ-ღონისამებრ და შემდგომ მასში განმტკიცდეს — შეიტყოს და დაიცვას ეს საყოველთაოდ მიღებული ჭეშმარიტებანი.

ჭეშმარიტების დაცვა რომ შესძლო, იგი ჯერ უნდა მოიპოვო, — მოპოვება რომ შესძლო, ჯერ უნდა შეიტყო. ამგვარად, ყოველი მცნობელი ქრისტეანული ჭეშმარიტებისა მისი დამმარხველი, ებგური და მფარველი ხდება. რაც მეტმა იცის ეს ჭეშმარიტება, მით ძლიერია მისი დაცვის ძალა და თავადაც უფრო უშიშრად დგას იგი, — ადამიანთა შორის, და არა თავისთავად. და პირიქით, რაც უფრო მცირედმა უწყის ჭეშმარიტება, მით უფრო სუსტია ზღუდე სიცრუის წინააღმდეგ, — მით უფრო სახიფათოა ჭეშმარიტების მდგომარეობა ჩვენს შორის, რადგან თუკი ცრუ სწავლება გამოჩნდება, ჭეშმარიტების უცოდინარს გაეპარება, რადგან არც მისი შეცნობა ძალუძს და არც მხილება. ერთი უცოდინარიდან მეორესთან გადავა, მეორისაგან — მესამესთან და ა. შ. სიცრუე გაბატონდება და ჭეშმარიტებას გამოდევნის. მართალია კი ის, ვინც სიცრუე გაატარა?! — არაფრით. ეს იგივეა, რომ მეომარმა თა-

ვისი დაუდევრობის გამო ნიშანი ვერ იცნოს, და მტერი ბანაკში შეუშვას. ამ მიმართებით ჭეშმარიტების ყოველი არმცოდნე მისი მოღალატე გამოდის, მოღალატე მორწმუნეთა დასისა, და წმიდა ეკლესიისა. — მკაცრადაა არა? მაგრამ ასეა.

თავისთავად ცხადია, რომ ეს ბრალი მთელი სიმძიმით აწვება იმ ადამიანებს, ვისაც ჭეშმარიტების გაგება ძალუძს და არ იქმან ამას — ეს მეტწილად განათლებულთა წრეს ეხება. რამდენადაა ამაში დამნაშავე ჩვენი ქვეყნის განათლებული საზოგადოება, თავადაც უწყით. — თავად უწყით, როგორი საფუძველი ეყრება ჩვენში ქრისტეანული სწავლებისაგან განსხვავებულ მოძღვრებებს. ეს მოძღვრებანი ჩვენში სწორედ მათ შემოაქვთ, თუმცაღა მათ გამონაგონს არ წარმოადგენს. — სხვათაგან იღებენ და გადმოგვცემენ. დაიწყებდნენ კი ისინი სხვისი სიცრუის გადმოღებას, თავისი ჭეშმარიტება რომ იცოდნენ? — ამ სიცრუეს მათგან ისევ ქრისტეანული ჭეშმარიტების უცოდინარნი იღებენ, — და იმიტომაც იღებენ, რომ სიმართლე არ იციან. რაღაც უცნაურად დაინერგა ჩვენში: თუ ერისკაცი ხარ, არანაირ საჭიროებას არ ხედავ, ქრისტეანული ჭეშმარიტების შესწავლით დაიტვირთო თავი — ერცხვინებათ ამ შრომის თავს-დება, — და კიდევაც რომ უწყოდნენ, ამ ცოდნის წარმოჩენასაც ერიდებიან, და მითუმეტეს, მის თანადგომას. — და ამგვარად ფართოვდება ჩვენში სიცრუის სამფლობელო და მეუფება მისი მამისა (ე. ი. ეშმაკისა — მთარგ.).

ვინმე იტყვის: მე თავად მივედი ქრისტეანობისაგან განსხვავებულ დებულებამდე. საეჭვოა. — უფრო სარწმუნოა, რომ სხვა, ქრისტეანობის წინააღმდგომი წიგნი ჩაგივარდა ხელში, წაიკითხე და გზა აგებნა. გზა კი იმიტომ აგებნა, რომ საქმის უცოდინარს მაცდუნებელი ალბათობები მოგეჩვენა საქმედ. — ხოლო ცრუ ჩვენების შემოწმება და მისი საწინააღმდეგო ჭეშმარიტების მოსმენა აღარც მოგესურვა გულგრილობის გამო: ლანდი იგდე ხელთ და გგონია, ჭეშმარიტებას ფლობ და დაკმაყოფილდი.

ზოგს დამოუკიდებელი მოსაზრებებისადმი ლტოლვა იზიდავს, ამ დამოუკიდებლობას კი ქრისტეანული მოძღვრებისაგან განდგომით, მისგან გაუცხოებითა და მისი წინააღმდგომობით ზომავენ, და ესეც ქრისტეანობის უცოდინარობის გა-

მოისობით ხდება, ჩვენ ხომ მხოლოდდამხოლოდ ქრისტეანობა გვაძლევს დამოუკიდებლად დგომის საყრდენს. — დამოუკიდებლად დგომა კარგი საქმეა, მაგრამ დგომისათვის სანდო წერტილი კი უნდა მოიპოვო. — ქრისტეანობა ღვთიურ ჭეშმარიტებაზეა დაფუძნებული — სად ნახავ უკეთეს საფუძველს? გონიერ ქმნილებებს ღმერთი მოძღვრავს. ხოლო ამ ქმნილებათა ვალია ამ მოძღვრების ყურად-ღება. — და ყოველი ყურად-მღებელი უეჭველად შეიტყობს ჭეშმარიტებას, რადგან თავად ღმერთია ჭეშმარიტება. — უფალი ოდითგანვე გვაუწყებდა წინასწარმეტყველთა პირით, ბოლო ჟამს თავისი ძის პირით გვამცნო. ძემ ღვთისამ და უფალმა ჩვენმა ჭეშმარიტება წმიდა მოციქულებს გადასცა, მოციქულებმა — ეკლესიას. — ეკლესიაში კი რას მიიჩნევენ უეჭველ სიმართლედ? — საყოველთაოდ აღიარებულ ჭეშმარიტებას. — თავადაც ამ მოსაზრებაზე დადექი და დამოუკიდებლობას მოიპოვებ — დამოუკიდებლობას ყველაზე სარწმუნოსა და შეუცთომელს; თუმცაღა იგი იმ დამოუკიდებლობის უარყოფა იქნება, როგორც მას ჩვეულებრივი გაგებით ხმარობენ. ჩვეულებრივი დამოუკიდებლობა ცოდნის გამორჩეულობას გულისხმობს, ქრისტეანული კი რწმენის ერთობას წარმოადგენს. ქრისტეანისათვის უცხოა ყველაფრის თავისებურად გაგების სურვილი; ის მხოლოდ ერთს ეძიებს — შეიტყოს როგორ აზროვნებდნენ და სჯიდნენ ყველანი ყოველთვის. მისი აზრით, აქედან გამორჩევა ჭეშმარიტებისაგან განდგომას ნიშნავს და მაშასადამე არა სრულყოფის გზაზე დადგომას, არამედ წარწყმედისაკენ მიმავალზე. ქრისტეანს არ მიაჩნია, რომ საერთო მრწამსს დამორჩილებული დამოუკიდებლობას კარგავს. — ამ ერთობაში იგი მხოლოდ საწყისებს შეითვისებს, ჭეშმარიტ საწყისებს, ღვთისაგან გამომავალს. — და შემდგომ მათზე დაყრდნობით სჯის და წყვეტს ყველაფერს — და ცთომილებაშიც არ ვარდება, რადგანაც ეყრდნობა ჭეშმარიტ დებულებებს, ბეჭედდასმულს ღვთიური ავტორიტეტით.

ჭეშმარიტების ამ ძირითადი წესის დარღვევიდან მოდის ყველა მწვალებლობა და ყოველი სიცრუე. მწვალებლობა რაიმეს შესახებ თვითმყოფად განსჯას წარმოადგენს, რომელიც არ ითვალისწინებს, თუ უფალმა როგორ დაუდგინა ამის გან-

სჯა ეკლესიას. არიოზმა თავისებურად დაიწყო უფალზე მსჯელობა, და მწვალებლობაში ჩავარდა. იგი უფალ იესო ქრისტეს მამა ღმერთისა და სული წმიდის თანაარსად არ რაცხდა. ლუთერიც თავისებურად შეუდგა ქრისტეანული სწავლების სისტემის აგებას და — რამდენი სიცრუე გამოიგონა? ასევე პაპმა, ასევე ყველა ახალმა გზასაცდენილმა. როცა რაიმე კითხვა იბადება, ქრისტეანი თავისთავში კი არ ეძიებს და თვითონ კი არ ცდილობს ჩაწვდომას, არამედ საერთო აღმსარებლობაში ეძიებს პასუხს. არც ისეა საქმე, თითქოს ის თავადაც არ სჯიდეს და არანაირი მოსაზრებანი არ ებადებოდეს. შესაძლოა მას სხვებზე მეტადაც უფუთფუთებენ ამგვარი აზრები. მაგრამ საქმე იმაშია, რომ ქრისტეანისათვის ამ აზრებს არანაირი ღირებულება არ გააჩნია, სანამ საერთო სწავლებით არ შეამოწმებს. თუ მისი მოსაზრება თანხმობაშია ამ სწავლებასთან, მაშინ იტოვებს, — თუ არადა — უარყოფს. და ამაშია მისი სიმშვიდე. — ქრისტეანი ამ ერთობაზე დგას, როგორც მყარ საფუძველზე, რამეთუ აქედან აღვალს იგი ღვთისაკენ, როგორც სათავისაკენ.

ვფიქრობ, საკმარისად ითქვა თქვენს აღსაძვრელად ქრისტეანული ჭეშმარიტების სრული შეცნობისათვის და მისკენ მიმავალი სწორი გზის ამოსარჩევად. ძმანო, ვაიძულოთ თავი, გავეცნოთ ამ ჭეშმარიტებას, და გაცნობის მერმე მისი შემწენი გავხდეთ, ვისწავლოთ ეს ეკლესიისაგან და მივბაძოთ იმ თანამდგომთ, რომელსაც ის განადიდებს. რაგვარად დაშვრა ეკლესია ჭეშმარიტებისათვის ბრძოლაში?! რაგვარად მფარველობს მას უფალი?! და თითქოსდა არც ყოფილა ეს ყველაფერი! — ვილოცოთ, დაე მუდამ იდიდოს ერთიანმა ჭეშმარიტებამ, თავისთავს რომ გვთავაზობს მის დასაცავ იარაღად — ამინ!

ქრისტეანობაში დროის სულისკვეთებისდა მიხედვით არაფერი არ უნდა შეიცვალოს, არამედ მკაცრად უნდა დავიცვათ ყველაფერი, რაც დასაწყისიდანვე მოგვეცა და არ უნდა ვეძიოთ შელავათები.

ჩემს ყურამდე მოაღწია, თითქოს ჩემი სწავლებანი ძალზე მკაცრად მიგიჩნევიათ და ფიქრობთ, რომ დღევანდელ დღეს ასე აზროვნება არ შეიძლება, ასე ცხოვრება არ შეიძლება, და ალბათ — ასე სწავლებაც არ შეიძლება. ის დრო აღარაა!! — როგორ გავიხარე ამის გამგონემ! ეს იმას ნიშნავს, რომ თქვენ ყურადღებით მისმენთ, და არა მარტო მისმენთ, არამედ მოსმენილის შესრულებაც მოგინდომებიათ. — მეტი რაღა შეიძლება ვისურვოთ ჩვენ — რომელნიც იმას ვქადაგებთ, როგორც გვამცნეს და რაც გვამცნეს.

მიუხედავად ყველაფრისა, თქვენ მოსაზრებას ვერაფრით ვერ დავეთანხმები. მისი დაძრახვა და შესწორება ჩემს ვალად მიმაჩნია. მიუხედავად თქვენი სურვილისა და დარწმუნებისა, ეს აზრი ბოროტი სათავიდან მომდინარეობს; მომდინარეობს იმ წყაროდან, თითქოს შეუძლებელია, რომ ქრისტეანობა თავის დოგმატებს, წესებს და მაკურთხეველ მოქმედებათ დროის სულისკვეთებისდა მიხედვით ცვლიდეს და ამა სოფლის ძეთა მერყეევი ხასიათის გათვალისწინებით ამ მოძღვრებას ზოგი რამ შეიძლება მიუმატოს და ზოგიც დააკლოს. ეს ასე არაა — ქრისტეანობა მარადის ხელუხლებლად უნდა რჩებოდეს, დროის სულისაგან დამოუკიდებელი და განუგებელი. და პირიქით, თავად მმართველად და მბრძანებლადაა დადგენილი მასზე, ყველა მის წინამძღოლობაზე დამორჩილებულთათვის. — თქვენს დასარწმუნებლად რამდენიმე აზრს შემოგთავაზებთ. —

ამბობენ: მკაცრია ჩემი სწავლება. — ჩემი სწავლება ჩემი არაა, და არც შეიძლება ჩემი იყოს. არავის არ უნდა, და არც შეუძლია იქადაგოს ამ წმიდა ადგილიდან თავისი საკუთარი სწავლება. — და თუ ან მე ან ვინმე მავანი ასრერიგად გაკადნიერდება, აქედან მოგვაშორეთ. — ჩვენ ვქადაგებთ მოძღვრებას უფლისა, ღვთისა და მაცხოვრისა ჩვენისა იესო ქრისტესი, წმიდათა მისთა მოციქულთა და წმიდისა ეკლესიისა,

ღვთის სულით განბრძნობილისა. — და ყოველგვარ ღონეს ვხმარობთ, რომ ეს სწავლება თქვენს გონებასა და გულებში სრულად და ხელშეუხებლად დაიმარხოს, — სიფრთხილით ვარჩევთ ყოველ აზრსა და ყოველ სიტყვას, რომ ამ ნათელ, ღვთაებრივ მოძღვრებას რაიმე ჩრდილი არ მივაყენოთ. — სხვაგვარი მოქმედება არ შეიძლება. ეკლესიაში ქადაგებისათვის ეს კანონი ქვეყნიერების დასაბამითგანვეა ღვთის პირით დადგენილი და მის აღსასრულამდე უნდა იქნას დაცული. წმიდა წინასწარმეტყველმა მოსემ ისრაელის ხალხს ღვთის მცნებები აუწყა და დაუდგინა: „არა შესძინო შენ სიტყუაჲ ერთი, რომელსა-ესე მე გამცნობ თქუენ და არცა დააკლოთ მაგას, არამედ დაიცვნე შენ მცნებანი უფლისა ღმრთისა შენისანი, რომელთა-ესე მე გამცნებ შენ დღეს-დღე“ (II სჯულ. 4, 2). უცვალებლობის ეს კანონი იმგვარად ხელშეუხებელია, რომ თავად უფალმა და მაცხოვარმა ჩვენმა მთაზე ქადაგებისას ბრძანა: „ნუ ჰგონებთ, ვითარმედ მოვედ დახსნად სჯულისა, გინა წინაჲსწარმეტყუელთა; არა მოვედ დახსნად, არამედ აღსრულებად — ამინ გეტყვი თქუენ: ვიდრემდე წარხდეს ცაჲ და ქუეყანაჲ, იოტა ერთი გინა რქაჲ ერთი არა წარხდეს სჯულისაგან და წინაჲსწარმეტყუელთა, ვიდრემდის ყოველივე იქმნეს“ (მათე 5, 17, 18). შემდგომ ასეთივე ძალა მიანიჭა თავის მოძღვრებასაც; სანამ ამ მცნებებს სახარებისეული სულით გამოათარგმანებდა, დაამატა: „უკუეთუ ვინმე დახსნეს ერთი მცნებათა ამათგანი უმცირესთაჲ და ასწავოს ესრეთ კაცთა, უმცირეს ეწოდოს მას სასუფეველსა ცათასა“ (მათე 5, 19). ეს ნიშნავს: ვინც ამ მცნებებს მრუდედ გამოათარგმანებს და მათ ძალას დაამცირებს, განწირულ იქნება მომავალ ცხოვრებაში. ასე ბრძანა უფალმა თავისი ქადაგების დასაწყისში. გამოცხადებაში იგივე დაუდასტურა წმიდა იოანე ღვთისმეტყველსაც. ამა ქვეყნის და ეკლესიის უკანასკნელი ხვედრის ჩვენების შემდეგ აუწყა: „ვწამებ მე ყოვლისა მიმართ, რომელსა ესმოდიან სიტყუანი წინაჲსწარმეტყუელებისა ამის წიგნისანი. უკუეთუ ვინ შესძინოს ამათ ზედა, შესძინენ ღმერთმან მის ზედა წყლულებანი იგი, რომელ წერილ არიან ამას წიგნსა-და უკუეთუ ვინ მოაკლოს სიტყუათა წიგნისა ამის წინაჲსწარმეტყუელებისათა, მოაკლენ ღმერთმან ნაწილი მისი ძელისა მისგან

ცხოვრებისა და ქალაქისა მისგან წმიდისა“ (გამცხ. 22, 18, 19). მოციქულებს ასეთი კანონი დაუდგინა უფალმა მთელი ამ დროისათვის, მისი პირველი გამოჩენიდან მეორედ მოსვლამდე: „წარვედით და მოიმოწაფენით ყოველნი წარმართნი... და ასწავებდით მათ დამარხვად ყოველი, რაოდენი გამცენ თქუენ“. — ე. ი. ის კი არ ასწავლოთ, რაც მოგაფიქრდებათ, არამედ რაც „მე გამცენ თქუენ“. — და ესრეთ აღსასრულადმდე სოფლისა. „და აჰა ესერა მე თქუენ თანა ვარ ყოველთა დღეთა და ვიდრე აღსასრულადმდე სოფლისა, ამინ“ (მათე 28, 19, 20). მოციქულებმა ეს კანონი მიიღეს და მისი აღსრულებისათვის სიცოცხლე დასდვეს. სასჯელისა და სიკვდილის შიშით ცდილობდნენ, ეიძულებინათ ისინი, აღარ ექადაგათ ამგვარად, მაგრამ მოწაფეები მიუგებდნენ: „უკუეთუ სამართალ არს წინაშე ღმრთისა, თქუეხი სმენაჲ უფროჲს, ანუ ღმრთისა, საჯეთ, რამეთუ ჩუენ ვერ ხელ-გვეწიფების, რომელი-იგი გუესმა და ვიხილეთ, ვითარმცა არ ვიტყოდეთ“ (საქმე 4, 19, 20). მოციქულებმა თავის მოწაფეებს გადასცეს ეს კანონი, მათ მიიღეს და მას აქეთ იგი მუდმივად მოქმედებს ღვთის ეკლესიაში. ეს კანონია ის ძალა, რაც ჭეშმარიტების სვეტსა და სიმტკიცეს წარმოადგენს. — ხედავთ, როგორი ხელშეუხებელი ურყევობაა! ვინ გაბედავს ამის შემდეგ რაიმეს ხელყოფას ანდა ქრისტეანულ სწავლებასა და კანონებში რაიმეს შეძვრას? უსმინეთ რა ეუწყა წინასწარმეტყველ იეზეკიელს. „შვიდ დღეს ილოცვიდა იგი“ განმცხრომელ „და იყო შემდგომად შვიდთა დღეთასა“, ესმა მას სიტყვა უფლისა: „ძეო კაცისაო, ებგურად მიგეც სახლსა ისრაელისასა, და ისმინო პირისა ჩემისაგან სიტყუა, და უთქმიდე მათ ჩემ მიერ“. — და აჰა შენ კანონი! — უკეთუ ნახავ უსჯულოსა უსჯულოებასა შინა და არ ეტყვი მას: დაუტევე უსჯულოება შენი და მოიქეც მაგ გზათაგან, „უსჯულოჲ იგი უსჯულოებითა მისითა მოკუდეს, და სისხლი მისი ხელისაგან შენისა გამოვიძიო“. — „ხოლო უკუეთუ შენ განამკაცრე უსჯულოჲ იგი და არა მოქცევით მოიქცეს უსჯულოებისაგან მისისა და გზისაგან მისისა, უსჯულოჲ იგი უსამართლოებასა შინა მისსა მოკუდეს, და შენ სული შენი განირინო“. ასევე, უკეთუ ხედავ „მი-რაჲ-იქცეს მართალი სი-

მართლეთაგან თვისთა“, არ შეეწევი მას და მის მოქცევაზე არ იზრუნებ, შეცოდებული მართალი „ცოდვათა შინა მისთა მოკუდეს მით,... და სისხლი მისი ხელისაგან შენისა გამოვიძიო — და უკუეთუ შენ განამკაცრო მართალი არაცოდვად და მან არა ცოდოს, მართალი ცხორებით ცხონდეს,. და შენ სული შენი განირინო“ (იეზეკ. 4, 17—21). რა მკაცრი კანონია! არადა ეს კანონი ყველა მოძღვრის სინდისში ისმის მათი ხელდასხმის ჟამს, როცა კისრადიღებენ მძიმე უღელს — მწყემსონ მათთვის ჩაბარებული პატარა თუ დიდი ფარა ქრისტესი და არა მხოლოდ მწყემსონ, არამედ დამწყსონ კიდევაც. როგორ გავბედავთ ქრისტეს კანონში რაიმეს გამრუდებას, როცა ამის გამო ჩვენც დავიღუპებით და თქვენც! ამ მოძღვრების მაცხოვნებლობა ჩვენს მოსაზრებებსა და დათანხმებაზე რომ იყოს დამოკიდებული, მაშინ კიდევ აზრი ექნებოდა, რომ მავანს და მავანს უძლურების გამო ამ საუკუნის მიდრეკილებისდა მიხედვით ქრისტეანობის გარდაქმნა და მისი ბოროტი ეულისთქმისათვის მისადაგება მოენდომებინა. ქრისტეანული განმგებლობის მაცხოვნებელი ძალა კი ჩვენზე არაა დამოკიდებული, იგი ღვთის ნებისაგან გამომდინარეობს. გამომდინარეობს იქიდან, რომ თავად ღმერთმა დაგვისახა სწორედ ეს გზა ცხონებისა და ამასთანავე იმგვარად, რომ სხვა გზა არც არსებობს და არც იარსებებს — თუკი ასეა, სხვაგვარად სწავლება სწორი გზიდან გადახვევას უნდა ნიშნავდეს და თქვენსა და ჩემს დაღუპვასაც. ამაში კი რა აზრია? ნახეთ, როგორი მკაცრი სასჯელი დადგინდა, როცა ისრაელის ერში ამგვარი რამ მოხდა, მათი ტყვეობის ჟამს ზოგ წინასწარმეტყველს ნათრევ-ნატანჯი ხალხი ებრალებოდა და ღვთის სიტყვას უცვალებელად კი არ აუწყებდნენ, არამედ თავისი გულისკარნახის მიხედვით. აი, რა უბრძანა უფალმა იეზეკიელს: „და შენ, ძეო კაცისაო, განამტკიცე პირი შენი ასულთა ზედა ერისა შენისათა, რომელნი წინასწარმეტყველებენ გულით გამო მათით და წინაწარმეტყველებდ მათ ზედა... ვაი, რომელნი შეაკერვენ სასთაულებსა ყოველსა ქვეშე იდაყუსა ხელისასა და ჰყოფენ სადგმელებსა და ყოველსა ზედა თავსა ყოვლისა ჰასაკისასა გარდასაქცეველად სულთა“. — ეს ნიშნავს, ვაი მათ, ვინც ყოველგვარ შეღავათებს ეძიებს და შერ-

ბილებულ წესებს გვთავაზობს, რათა არც მაღლიდან და არც დაბლიდან არანაირმა უსიამოვნებამ არ შეგვაწუხოს. იმას კი აღარ ჩივიან, გვაცხოვნებს ეს თუ წარგვწყმედს, ღვთისათვის სათნო იქნება თუ საძაგელი. ვაი მათ, რამეთუ „ამათ იტყვის ადონაი უფალი: აჰა მე თავისსაცოებსა თქვენსა ზედა“ — ე. ი. მაცდურ და შემამსუბუქებელ სწავლებათა ზედა, — რომელთა ზედა თქვენ მიმოიქცევით მუნ სულთა დასარღუეველად, და განვხეთქნი... და განვავლინნე სულნი, რომელთა თქუენ გარდააქცევთ სულთა მათთა განბნეულებად“. თქვენ კი განმხრწნელთ, წარგწყმედთ (იეზეკ. 13, 18—21). აი სარგებელი იმ შეღავათებისა და შემსუბუქებისა, მქადაგებელთა პირიდან რომ გსურთ გაიგონოთ! გულისხმა რომ ყოთ, იმას კი არ უნდა ნატრობდეთ, რომ თქვენს საამებლად რაიმე დათმობებზე წავიდეთ, არამედ პირიქით, დაჟინებით უნდა გვთხოვდეთ ქრისტეს სწავლებაზე რაც შეიძლება მკაცრად და შეურყეველად დადგომას.

მოგიყვებით ერთ შემთხვევას, რომლის თითქმის მოწმეც ვიყავი აღმოსავლეთში. ერთმა ქრისტეანმა სცოდა. მივიდა სულიერ მამასთან, შეინანა და ეუბნება: მოიქეცი კანონისამებრ, — მე შენ ჭრილობას გიჩვენებ, მიმკურნალე, არ დამზოგო, და როგორც საჭიროა, ისე ჰქმენ. — მოძღვარს გული მოულბო მისმა გულახდილობამ და ჭრილობაზე იმდენი მალამო აღარ დაადო, რამდენიც ეკლესიაშია დაწესებული. — გარდაიცვალა ეს ქრისტეანი. გავიდა რამდენიმე ხანი. ეცხადება თავის მოძღვარს სიზმარში და ეუბნება: მე ჭრილობა გიჩვენე და წამალი გთხოვე. — შენ კი საკმაო მალამო არ მცხე, — და ახლა ამის გამო არ მამართლებენ. გამოეღვიძა მოძღვარს. ჭმუნვარებამ მოიცვა მისი სული. არ კი იცოდა, რა ექნა? მიცვალებული კი ისევ ეცხადება, მეორედ, მესამედ, და ყოველდღე, დღეგამოშვებით, კვირაგამოშვებით. — იგივე სიტყვებს უმეორებს: მე წამალი გთხოვე, შენ კი არ მომეცი. და ახლა ცუდად ვარ. — შეაშთო მოძღვარი მწუხარებამ და შიშმა. — წავიდა ათონზე, იქაურთა რჩევით მძიმე ეპიტიმია დაიდო და რამდენიმე წელი მარხვაში, ლოცვასა და მოღვაწეობაში გაატარა, სანამ არ მიიღო უწყება, რომ მასაც ეპატია და ...

ქრისტეანსაც, რომელსაც ცრუ შემწყნარებლობის გამო არ უმკურნალა.

აი სადამდე მივყავართ შემსუბუქებებსა და შეღავათებს! — და ვინ მოგვცა მათი გამოწერის უფლება? — ამას ჩვენგან ნუ მოელით! გსმენიათ რომის პაპის ინდულგენციების შესახებ? აი ესაა — შემსუბუქება და შეღავათები, რომლებსაც პაპი ქრისტეს კანონის წინააღმდეგ იძლევა. მაგრამ რა? ამან შეურყვნა მთელს დასავლეთს რწმენა და ცხოვრება... და ახლა ურწმუნოებაში იღუპება ამსოფლიურ თავისუფლებაში ჩაფლული თავისი ინდულგენციებითურთ. პაპმა ბევრი დოგმატი შეცვალა, ყველა საიდუმლოება შერყვნა, ეკლესიის მმართველობის წესები და ზნეობრივი კანონები შეარბილა და ყველაფერი ღვთის ნებით კი არ წარიმართა, — არამედ უარესად და უარესად. შემდეგ გამოჩნდა ლუთერი — გონიერი, მაგრამ თავისნება კაცი. ამბობს — პაპს რაც მოუნდება, ყველაფერს ცვლის, მე რატომღა არ შევცვალო? და დაიწყო ყველაფრის თავის ჭკუაზე მოწყობა და გადაწყობა. და ამგვარად შექმნა ახალი ლუთერანული სარწმუნოება, სრულიად განსხვავებული უფლის მიერ დადგენილი და წმიდა მოციქულთა მიერ გადმოცემული სარწმუნოებისაგან. ლუთერის შემდეგ გამოჩნდნენ ფილოსოფოსები. ამბობენ: ლუთერმა ახალი რელიგია გამოიგონა. მართალია, თითქმის სახარებისეულია, მაგრამ თავის ჭკუაზეა გაწყობილი. — ჩვენ რატომღა არ შევადგინოთ სახარებისაგან განსხვავებული სწავლება ჩვენი საკუთარი გონებით? და ყველამ თავისებურად დაიწყო ფილოსოფოსობა და მკითხაობა — ღმერთზე, სამყაროზე, ადამიანზე, და იმდენი მოძღვრებები ჩამოაყალიბეს, რომ მარტო იმათი ჩამოთვლით გონება აგერევა — და ახლა ასე დადგინდა: როგორც ფიქრობ, ისე ირწმუნე; როგორც გსურს, ისე იცხოვრე; დატკბი, რითაც მოგეგუნებება. — არ ცნობენ არანაირ კანონებსა და შეზღუდვებს, ღვთის სიტყვას არ ემორჩილებიან. — სიფართოვეა: ყველა ზღვარი წაშლილია. მაგრამ, როგორც უფალმა ბრძანა, „ფართო არს გზაჲ, რომელსა მიჰყავს წარსაწყმედელად“. — აი, სადამდე მიგვიყვანა სწავლების შემსუბუქებამ!

ღმერთო, დაგვიფარე ამგვარი სიფართოვისაგან! სჯობს

ყოველგვარ სივიწროვეს ვიყუარებდეთ, ჩვენივე ხსნისათვის რომ გვირჩია უფალმა. — ვიყუარებდეთ ქრისტეანულ დოგმატებს, მათით შევაიწროთ ჩვენი გონება და სხვაგვარ აზროვნებას გადავაჩვიოთ. ვიყუარებდეთ ქრისტეანულ ცხოვრების წესს და ამით შევაიწროთ ჩვენი ნება, ვაიძულოთ სიმდაბლით და მოთმინებით ატაროს ეს ტკბილი უღელი. — ვიყუარებდეთ ყველა დამმოძღვრავ, გამომასწორებელ და გამწმენდელ განწესებებსა და მსახურებებს, ამით შევაიწროთ ჩვენი გული და ვაიძულოთ ჩვენი გულისთქმა მიწიერობისა და ხრწნადობიდან ზეციურობამდე და უხრწნელობამდე აიყვანოს. შევიკეტოთ, თითქოსდა გალიაში, ანდა იწრო ბჭესთან მივათრიოთ ჩვენი თავი. დაე, იყოს იწრო, რომ არც მარჯვნივ, არც მარცხნივ გადახრა არ შეიძლებოდეს; — სამაგიეროდ ეს ვიწრო გზა სასუფეველამდე მიგვიყვანს — ღმრთის სასუფეველამდე. უფალმა ეს ვიწრო გზა დაგვიდგინა და გვიბრძანა: ამ გზით იარეთ და სასუფეველში შეხვალთ. — როგორღა შეიძლება დავეჭვდეთ, რომ ამ გზით მიმავალი ბოლომდე მიაღწევს? და ვინ ჭკუათმყოფელი ისურვებს რამენაირ გადახვევას, როცა ამით იმწამსვე გზას აცდები და დაიღუპები?

მყარად დადექით ამ აზრზე და ნუ სწუხხართ, თუკი ჩვენს სწავლებაში რაიმე მკაცრად მოგეჩვენებათ, და მხოლოდ იმაში დასარწმუნებლადღა იზრუნეთ, ღვთისაგანაა ეს თუ არა. როცა დარწმუნდებით, რომ ღვთისაგანაა, მთელი გულით მიიღეთ, როგორი მკაცრი და შემავიწროვებელიც არ უნდა იყოს. სწავლებასა და ცხოვრების წესში შეღავათებსა და შერბილებებს ნუ ეძიებთ, არამედ განერიდეთ, როგორც გეენიის ცეცხლს. ეს სატანჯველი არ ასცდება მათ, ვინც ამ შეღავათებს იგონებს, ამით ხიბლავს სულიერად არამტკიცე ადამიანებს და თავისთან ერთად ღუპავს. ამინ!

თარგმნა რუსიკო კობახიძემ

პირველი წერილი სანკტ-პეტერბურგში
იჟაური მწვალებლობის გაგო

სიამოვნებით გიპასუხებ, ანუ უფრო უკეთ, შევეცდები შენთან ერთად განვსაჯო ყოველივე, რაზეც შენს ერთობ მნიშვნელოვან წერილში მწერდი. ადრეც მსმენია რაღაც იმ ამბებზე, შენ რომ მატყობინებ, მაგრამ ვფიქრობდი, ისეთი არაფერია, ყურადღების მიქცევად რომ ღირდეს-მეთქი. ახლა კი ვხედავ, რომ მანდ, თქვენთან, რაღაც ეკლესიის ხანძრის მსგავსი დაწყებულა, და ვჩქარობ მოგწერო, რასაც ღმერთი მომმადლებს. 1) მწერ: „ჩვენთან გამოჩნდა ვიღაც, მქადაგებელი სარწმუნოებისა, თავად-აზნაურთა წრიდან უნდა იყოს; ვგონებ, საკმაოდ მაღალი მოხელეც გახლავთ, ეს კაცი დადის სახლებში, მხოლოდ მდიდრულ კი არა, ღარიბულ ქოხებშიც. კითხულობს და განმარტავს სახარებას, ქადაგებს ქრისტეს სარწმუნოებას და სინანულს. ჩემს ახლოს ღარიბი მკინძავი ცხოვრობს, რომელთანაც ეს მქადაგებელი დადის. იქ თავს იყრის ხალხი, მეც ვიყავი ორ-სამჯერ. ამბობენ, სხვაგანაც იმართება ამგვარი თავშეყრები და დიდძალი ხალხი იკრიბებაო“. ამ სიტყვებზე შევჩერდეთ. გამოჩნდა სარწმუნოების მქადაგებელი, მქადაგებელი — არა ეკლესიის სახელით, ეს აშკარაა. უკვე ამის გამო უნდა გაგჩენოდათ ეჭვი: როგორ ჰმოძღვრის ის, ვინც მოძღვრად არავის დაუდგენია? ეს ჩვენში უჩვეულო სიახლეა. ამ ეჭვიდან მაშინვე უნდა გადასულიყავით ასეთ მსჯელობაზე: „აქ რაღაცაშია საქმე, ეს კაცი ღმრთის სახლიდან კი არ მოდის ჩვენთან, არამედ გარედან, ამიტომ ფრთხილად ვიყოთ“. თქვენ კი როგორ მოიქეცით? აზრადაც არავის მოგსვლიათ გაფრთხილებულიყავით, უსმენდით, და კვლავაც უსმენთ, ისე რომ თავს არ იტკიებთ იმაზე ფიქრით, სიმართლეა თუ არა ის, რასაც ისმენთ, და კარგი იქნება თუ არა, მას თუ დაუჯერებთ? აი თქვენი პირველი შეცდომა!

ამბობთ, ქრისტეს სარწმუნოებას გვასწავლის და ყველაფერს სახარებიდან იღებსო, მაგრამ სწორედ ამას უნდა დაეეჭვებინეთ. თქვენ ვინღა ხართ, თათრები თუ უსჯულოები? თქვენ ხომ გწამთ უფალი იესო ქრისტე, ცდილობთ ცხონდეთ წმიდა მართლმადიდებელ ეკლესიაში, და ცხონების საქმეს

წარმართავთ იმ ჩვენი წმ. მამების მიბაძვით, რომლებიც ღმერთმა ადიდა! თავიდანვე უნდა მიხვედრილიყავით, რომ რაკი მან სარწმუნოების განმარტება დაიწყო, და თანაც გვიხსნიდა ჩვენ, მორწმუნეებს,მაშასადამე ეს მისი სარწმუნოება არის განსხვავებული ჩვენი სარწმუნოებისაგან. როცა მან გითხრათ: იწამეთ იესო ქრისტეო, თქვენ უნდა გეკითხათ: რატომ გვეუბნები ამას? განა ჩვენ მოუნათლავები ვართ? — თქვენ კი აზრადაც არ მოგსვლიათ ამის თქმა. იწამეთ იესო ქრისტე, რომ გეუბნებოდათ, ამით ურწმუნოებაში გამხილათ, თქვენ კიდევ ისე უსმენდით, თითქოს მართლა ურწმუნოები ყოფილიყავით. და თუ ის სხვა სარწმუნოებას ქადაგებს, თქვენ კი მორჩილად უსმენთ, მაშინ თქვენ მასთან ერთად გმობთ ძველ სარწმუნოებას, გმობთ წმიდა ეკლესიას და ყველას, ვინც ოდესმე იცხონა სული თვისი ამ ეკლესიაში, და ვინც ახლა ცდილობს იცხონოს. ესაა თქვენი მეორე დანაშაული, პირველზე უფრო დიდი! რატომ ხდება ეს ყოველივე თქვენთან? განა ეს შესაძლებელი იქნებოდა მათთან, ვისაც ჭეშმარიტად სწამს უფალი და მაღლით მითითებული გზით მიდის? ძენი ეკლესიისანი მშვიდად და წყნარად მისდევენ სულის ცხონების საქმეს. ამ დროს მოდის ვინმე კაცი, აქამდე მათთვის უცნობი, და იწყებს ღაღადისს: იცით რას გეტყვით? ქრისტე მოკვდა ჩვენთვის. გწამდეთ, შეინანეთ, და ცხონდებით. — და ეს ადამიანები, თითქოს რაღაც უჩვეულო გაიგონესო, მისდევენ ამ კაცს, მზად არიან მიატოვონ თავისი ეკლესიაც, მოძღვრებიც, და ყველაფერი, რაც აქამდე ძვირფასად მიაჩნდათ, რითაც საზრდოობდა და რითაც განიწმინდებოდა მათი სული! საოცარია! განა აქამდე უფლისა მიერ არ იქმოდით სულის ცხონების საქმეს? განა მისი სახელით არ მოინათლეთ? განა მისი ძალით არ იღებდით ცოდვათა მიტევებას სინანულის საიდუმლოს მეშვეობით? განა თვით მას არ იღებდით საკუთარ თავში, როდესაც მის წმიდათაწმიდა ხორცსა და წმიდათაწმიდა სისხლს ეზიარებოდით? განა მას არ მიმართავდით თქვენს ლოცვებში, განა მხოლოდ მასზე არ ამყარებდით ცხონების იმედს? მაშ რაღაა ახალი და განსაკუთრებული იმაში, რასაც ეს უცხო კაცი გეუბნებათ? იგი ამბობს: ქრისტე მოკვდა თქვენთვის, გწამდეთ ეს, და ცხონ-

ქადაგებით ზოგიერთ ჩვენს ბატონსა და ქალბატონს, იმათ, დებით. განა ამას არ აღიარებთ ყოველდღიურად, როდესაც მრწამსს კითხულობთ: „მრწამს... უფალი იესო ქრისტე... რომელი ჩვენთვის, კაცთათვის, და ჩვენისა ცხონებისათვის გარდამოხდა ზეცით და ხორცნი შეისხნა სულისაგან წმიდისა და მარიამისაგან ქალწულისა, და განკაცნა. და ჯვარს ეცვა ჩვენთვის"... და სხვა. განა ამასვე არ აღიარებთ, როდესაც ეკლესიაში გალობთ: „მხოლოდშობილო ძეო... რომელი ჯვარს ეცვ... გვაცხოვნე ჩვენ?" ანდა: „მოვედით თაყვანის-ვსცეთ და შეუვრდეთ ქრისტესა... გვაცხოვნენ ჩვენ, ძეო ღმრთისაო?" ანდა: „ნათელო მხიარულო წმიდისა დიდებისა უკვდავისა მამისა ზეცათასა, ძეო ღმრთისაო ცხოვრების მომცემელო?" ანდა: „აწ განუტევე... რამეთუ იხილეს თვალთა ჩემთა მაცხოვარება შენი". ხოლო ლიტურგია სხვა არა არის რა, თუ არა ჩვენი საცხოვნებელი სისხლიანი მსხვერპლის საიდუმლო გამეორება უსისხლო მსხვერპლის სახით. მაშ რაღა გესმით ახალი ამ მოსული კაცისაგან, რომ მზადა ხართ დაუტევოთ ყოველივე ძველი და მას შეუდგეთ, თან ისე, რომ დანამდვილებით არც იცით, საით მიყავხართ ამ კაცს; სამაგიეროდ კარგად იცით, რომ გზა, რომლითაც აქამდე ვიდოდით, ჭეშმარიტი გზაა? მართლაც რომ გაუგებარია. იცით, ვის ჰგავხართ? ვთქვათ, გუნდი გალობს, და თქვენც იმ გუნდს ეკუთვნით. გალობა აწყობილია, ყველა ხმა ერთად ისმის. ამ დროს მოდის ვიღაც, შუაში ჩაგიდგებათ და თავისი ხმით ყველასაგან გამოიყოფა. თქვენ კიდევ გუნდსაც თავს ანებებთ, ვალობასაც წყვეტთ და მთელი გულისყური ამ უცნაური ხმისკენ გაგირბით, თან გიკვირთ, როგორ გამოსცემს ასეთ ბგერებსო. აზრადაც არ მოგდით განსაჯოთ, კარგად იქცევით თუ არა, ან ის, ან თქვენ, მხოლოდ იმიტომ უსმენთ, რომ ის ახალია, გამოირჩევა, უწინდელ გალობას კი მიეჩვიეთ და მოგბეზრდათ. გალობის ხელოვნების მცოდნენი კი ამტკიცებენ, როდესაც ერთი ხმა გამოირჩევა გუნდში, ეს ნიშნავს, რომ ამ კაცს არაფერი გაეგება გალობისა, ხოლო ასეთი მომღერლით მოხიბლულნი თავიანთ უგემოვნებას ადასტურებენო. აი, ვის ჰგავხართ თქვენ თქვენი ცხონების საქმეში. მშვიდად და წყნარად მიდიოდით ცხონების გზაზე, სხვა ძმებისა და დების გუნდთან

ერთად. მაგრამ გამოჩნდა ვიღაც მჩხავანა და დაიწყო რაღაც ერთი ფრაზის გამეორება, რომელიც მაცხოვნებელ ჭეშმარიტებათა ერთიანობიდან ამოგლიჯა. და თქვენც მისკენ მიიქეცით, სხვა ყოველივე დაუტოვეთ და მზადა ხართ ყველას გამოეყოთ. იმაზე კი არც დაფიქრებულხართ, სწორად იქცევა თუ არა ის, თავისი ფრაზით რომ გამოიყოფა, და სწორად იქცევით თუ არა თქვენ, მის მხარეს რომ დგებით. ცხონების საქმეში ღრმად ჩახედულნი სამართლიანად გისაყვედურებენ სულიერ უგემოვნებას თქვენც და მით უმეტეს, იმ მჩხავანასაც.

ამგვარად, ეგ კაცი პირველი სიტყვების გაგონებისთანავე უნდა მოგეშორებინათ თავიდან, ან თვითონ შეგექციათ ზურგი, თქვენ კიდევ დაუმეგობრდით და უფრო და უფრო უმეგობრდებით.

2) მწერ: „იგი განუწყვეტლივ ლაპარაკობს იესო ქრისტეზე და ცხონებაზე, თან შთაგონებით ლაპარაკობს. სასიამოვნო მოსაუბრეა, გული სულ მისკენ მიმიწევს". დაფიქრებულხართ კი შენ და სხვა შენნაირი მსმენელები, ჩვენია ეს კაცი თუ უცხო? ალბათ გადაწყვიტეთ, რაკი რუსია და რუსულად უბნობს, იესო ქრისტეზე ლაპარაკობს და თანაც ასეთი შთაგონებით, მაშ, რაღა თქმა უნდა, ჩვენი ყოფილაო, და მიაშურეთ კიდეც მას, მაგრამ მწარედ მოტყუვდით. დიახ, რუსია, მაგრამ რუსეთის სარწმუნოება აღარ უპყრია; მართლმადიდებელი იყო, მაგრამ უცხო რჯული მიიღო. იგი ქადაგებს ცხონებაზე, მაგრამ ისე არა, როგორც ამაზე თვით უფალი და მისი მოციქულები ქადაგებდნენ. აღფრთოვანებით ლაპარაკობს, მაგრამ ეს იმას როდი ნიშნავს, რომ ჭეშმარიტია მისი ნათქვამი, არამედ მხოლოდ იმას ამტკიცებს, რომ გატაცებულია თავისი მოძღვრებით და ცდილობს ჭეშმარიტად დასახოს იგი, თუმცა სინამდვილეში ეს მოძღვრება სიცრუითა და სიყალბითაა სავსე.

ნუთუ ეს ყოველივე თქვენთვის ახალი ამბავია? არ იცით განა, ვისი მოწაფეა ეგ მჩხავანა? მოძღვრის მიხედვით იცანით მოწაფეც. ეს სიცრუე, ეს გადამდები სენი ხომ თქვენს თვალწინ ჩაისახა. ჩამოვიდა ვიღაც ინგლისელი, დაიწყო კარდაკარ სიარული, თავისთანაც იწვევდა ხალხს, და თავისი

ვინც მყარად ვერ იდგა ჭეშმარიტების გზაზე, თავგზა აუბნია. ერთი ამ გზააბნეულთაგანია თქვენი მჩხავანაც, რომელიც განდევნილი ინგლისელის ნაცვლად დადის კარდაკარ და აბდაუბდას გაიძახის, რომ სხვებიც თავის მსგავსად ააცდინოს მართალ გზას. ასე რომ, რაც ის ინგლისელია სარწმუნოებით, ისაა ეგ თქვენი მჩხავანაც. ინგლისელი კი ვიღაა? იგია ღმრთაებრივი ჭეშმარიტებისაგან განდგომილი, სიცრუისა და ბნელეთის ორმოში ჩავარდნილი, თანაც მეოთხე ხარისხში ჩავარდნილი. აი ვინ არის იგი! საქმის არსს არ განვიხილავ, მოკლედ წარმოგიდგენ ამ ჩავარდნის გარეგნულ მხარეს. ქვეყნად იყო ერთი ეკლესია, ერთი, ჭეშმარიტი სარწმუნოებით. მაგრამ მას განსაცდელი დაატყდა თავს — პაპი თავისი მომხრეებით ამაოდბრძნობით გაერთო და განუდგა ჭეშმარიტ ეკლესიას, ჭეშმარიტ სარწმუნოებას. ესაა პირველი ხარისხი სიცრუისა და ბნელეთის ორმოში ჩავარდნისა. პაპისტებს შორის მერე გამოჩნდნენ პროტესტანტები, ისინიც, პაპის არ იყოს, ამაოდბრძნობით გაერთნენ და პაპისტურ ეკლესიასა და სარწმუნოებასაც განუდგნენ. ესაა მეორე ხარისხი ბნელეთისა და სიცრუის ორმოში ჩავარდნისა. პროტესტანტებს გამოეყო ინგლისური მწვალებლობა. ესაა მესამე ხარისხი სიცრუისა და ბნელეთის ორმოში ჩავარდნისა. და ინგლისური მწვალებლობისაგან (ამაოდბრძნობისაგან) იშვა ის სწავლება, რომელსაც აჰყვა ზემოხსენებული ინგლისელი, ამ ინგლისელმა მოხიბლა თქვენი მჩხავანაც და სხვა მისთანანი. ესაა მეოთხე ხარისხი სიცრუისა და ბნელეთის ორმოში ჩავარდნისა. ამ ხარისხში გახლავთ თქვენი მჩხავანა, რომელიც თქვენს სახლებსა და ქალაქის საზვინეებში დაეხეტება თავისი ქადაგებებით. იგია ერთგული მოწაფე იმ ინგლისელისა, თუ არაფერი დაუმატა თავის მხრივ მისგან მიღებულ სიცრუეს, რათა ასე და ამგვარად სიცრუისა და ბნელეთის ორმოში ჩავარდნის მეხუთე ხარისხში არ დაემკვიდროს. აი ვინაა ეგ თქვენი მჩხავანა! არც პაპისტებს, არც პროტესტანტებს, არც ანგლიკანებს, არც იმათ, ვისაც თქვენი მაცდუნებელი წარმოადგენს, არ გააჩნიათ ღმრთაებრივი ჭეშმარიტება — ნამდვილი, სუფთა, სრული. იგი სუფევს მხოლოდ ერთიან, ჭეშმარიტ, მართლმადიდებელ ეკლესიაში. მართალია, თვით ის მოხიბლულნი ფიქ-

რობენ, თითქოს ჭეშმარიტება უპყრიათ, მაგრამ სინამდვილეში ჭეშმარიტება შორსაა მათგან. პაპისტები პირველნი განუდგნენ ჭეშმარიტებას, მაგრამ ჰგონიათ, თითქოს სწორედ ისინი იმარხავენ მას. პროტესტანტებმა ამხილეს პაპისტების მრავალი შეცდომა, მაგრამ თავად ვერ მიაგნეს ჭეშმარიტებას და კიდევ უფრო დაშორდნენ მას. ახალი სარწმუნოება თავიანთ ამაოდბრძნობაზე ააგეს და არა ღვთაებრივ ჭეშმარიტებაზე, ისე კი, პაპისტების არ იყოს, ფიქრობენ, რომ უპყრიათ ჭეშმარიტება, რომელიც იგივე პაპისტებმა დაკარგეს. ინგლისელებს გერმანული სარწმუნოება არ მოეწონათ და თავისი გამოიგონეს, ისიც საკუთარი ამაოდბრძნობით და არა ღმრთაებრივ ჭეშმარიტებაზე დაყრდნობით. მათ თქვეს: გერმანელებთან ესა და ეს არა ვარგა, ჩვენ ჩვენს სარწმუნოებას შევქმნით, რომელიც უფრო გამოგვადგებაო — და შექმნეს კიდეც, ამით ღვთაებრივ ჭეშმარიტებას უფრო მეტად დაშორდნენ, თანაც ჰგონიათ, რასაკვირველია, რომ სწორედ ისინი იცავენ მას ყველაზე მეტად. ინგლისელებთან მერე, გერმანელების არ იყოს, უამრავი სარწმუნოება გაჩნდა, რომლებსაც ასევე ჰგონიათ, რომ ჭეშმარიტება ჰპოვეს, ამ დროს კი უფრო და უფრო შორდებიან მას. რაკიღა ისინი ჭეშმარიტებას ეძიებენ არა იქ, სადაც მას უფალმა მიუჩინა ადგილი, არამედ საკუთარი ამაოდბრძნობის ფარგლებში, ამიტომ ჭეშმარიტებას კი არა, მის აჩრდილს წააწყდნენ, და მასზე ააგეს თავიანთი სარწმუნოება. ასეთია ის სარწმუნოება, რომელიც იმ ინგლისელმა შემოიტანა თქვენში და რომელმაც ასე მოხიბლა თქვენი მჩხავანა. და იმ დროს, როცა დასავლეთში მრავლდებოდა ეს ერთმანეთზე უფრო მტყუვარი სარწმუნოებები, აღმოსავლეთში უცვალებლად ეგო თავის სარწმუნოებაში მართლმადიდებელი ეკლესია, ერთი ჭეშმარიტი ღმრთაებრივი ჭეშმარიტების დამმარხველი, იმ ჭეშმარიტებისა, რომელიც გვამცნო უფალმა იესო ქრისტემ და რომელიც ეკლესიაში დააფუძნეს წმიდა მოციქულებმა. ჩვენ, მართლმადიდებელი ეკლესიის შვილებს, გვიპყრია ეს ჭეშმარიტება და მტკიცეთ ვდგავართ მას შინა. საუკუნეთა მანძილზე მოდიოდა ეს შეუვალი ჭეშმარიტება მართლმადიდებელ ეკლესიაში და ჩვენამდე მოაღწია. ჭეშმარიტებასა შინა დგას წმ. ეკლესია, და ჩვენც მასთან ერთად. მადლობა უფალს,

რომელმაც ინება ჩვენი დაბადება ერთი, ჭეშმარიტი, მართლ-მადიდებელი ეკლესიის წიაღში!

ამგვარად, თქვენ მარადიული ჭეშმარიტება გიპყრიათ, ამ მჩხავანამ კი გუშინღა ისწავლა მომხიბლავი ტყუილი გუშინვე მოხიბლული ინგლისელებისაგან. ჰოდა, როგორც კი დაიწყო თქვენთან ხეტიალი და თავისი ტყუილის ძახილი, მყისვე გა-ნუსჯელად მიჰყევით და მის მხარეზე დადექით, მზად ხართ სულაც მოსწყდეთ წმ. ეკლესიას და მასში დამარხულ ღვთა-ებრივ ჭეშმარიტებას. რასაც ჩვენ აღვიარებთ და როგორაც მიგვყავს ჩვენი სულის ცხონების საქმე, იგივეს აღიარებდნენ ჩვენი მამები, პაპები, პაპის პაპები და იმათი პაპები (და ყველა რუსი იქიდან მოყოლებული, რაც ისინი ჭეშმარიტ სარწმუ-ნოებაში მოაქცია თავადმა ვლადიმერმა. მას მერე თითქმის ათასი წელიწადია უკვე გასული.) და რამდენი წმიდანი გამო-ზარდა ჩვენმა ეკლესიამ, მეოხნი და მლოცველნი ჩვენთვის წინაშე ღმრთისა! ამას მოწმობს მათი წმ. ნაწილები, ჩვენს მიწაზე უხვად რომაა გაბნეული. და უცებ ვიღაც მჩხავანა, გუ-შინ მოხიბლული ტყუილით, ცდილობს მოგწყვიტოთ ამ წმიდა დასს! მაგრამ უფრო შორს წადით — იგივე სარწმუნოებას და იგივე სულის საცხონებელ მოღვაწეობას წააწყდებით ბერძ-ნებთან, ვისგანაც ჩვენ მივიღეთ წმ. სარწმუნოება. კიდევ უფ-რო იქით გაიხედეთ —მიხვალთ საეკლესიო კრებებამდე, რომ-ლებიც იცავდნენ და ამტკიცებდნენ მსოფლიო ჭეშმარიტებას. მოიხილეთ ეს კრებები ვიდრე კონსტანტინე დიდამდე — ყველ-გან ნახავთ ერთსა და იმავე ჭეშმარიტებას, რომელსაც იმარ-ხავს მორწმუნეთა მთელი დასი, და რომელიც სუფევს მთელ ქვეყანაზე. უფრო შორს წავიდეთ — მოციქულთა დროც ვნა-ხოთ — იქაც იგივე აღმსარებლობა და ცხონებისათვის მოღ-ვაწეობაა, რაც დღეს ჩვენთანაა შემონახული. ის, რასაც მო-ციქულები გვასწავლიდნენ და რაც მათ დაგვიწერეს, უფლისა-განაა მიღებული, უფალი კი იმას ამბობდა და აკეთებდა, რაც მიიღო თავისი მამისგან ყოვლადწმიდა სამების საიდუმლო-თი. აი, საიდან მოდის ჩვენი სარწმუნოება! აი, როგორ მოე-დინებოდა იგი საუკუნეთა მანძილზე ღმრთაებრივი სათავი-დან და როგორ მოვიდა ჩვენამდე! თქვენ კი ეს ღმრთაებრივი, ძირძველი სარწმუნოება მზად ხართ დააგდოთ და გაცვალოთ

ტყუილზე, რომელსაც ეგ თქვენი გუშინ მოხიბლული მჩხავანა გაიძახის! კი მაგრამ, რატომ?

3) მესმის, რომ შენ და შენი ამხანაგები დაახლოებით ასეთი პასუხის გაცემას მიპირებთ: „განა რა ტყუილს ამბობს ეს კაცი? ჭეშმარიტებას გვამცნობს, უფლისმიერ ცხოვნებას გვიქადაგებს, სახარებას გვიკითხავს“.

მოიცა, მოიცა! პასუხს ნუ ჩქარობ, ჯერ ის მითხარი, შეიძლება თუ არა, რომ იესო ქრისტეზე მრუდედ და უსწოროდ გვიქადაგონ, მისმიერ ცხონებაზე კი ისე დაგვმოძღვრონ, რომ თუ დაუჯერებ, ცხონების ნაცვლად წარწყმედას მოიპოვებ? თუმცა, აქ გასარკვევიც არაფერია, ეს ასე ხდებოდა და დღესაც ხდება. რამდენი მოძღვრება იყო, ჭეშმარიტებას რომ ამბხინჯებდა, არიოზამდე და მის მერე? ყველა ისინი ეკლესიამ ამხილა და შეაჩვენა. რამდენი ასეთი მოძღვრებაა დასავლეთში? უთვალავი. და თუმცა მათში მხოლოდ და მხოლოდ იესო ქრისტეზეა ლაპარაკი, მართლმადიდებელი ეკლესია მაინც ყველა მათგანს ერთნაირად უარყოფს. მაშ თურმე არ შეიძლება ასე მსჯელობა, რაკი ესა და ეს კაცი იესო ქრისტეზე ქადაგებს, ესე იგი ჭეშმარიტებას ღაღადებს. ჯერ უნდა გაარკვიო, მართლად ქადაგებს თუ არა იგი. თქვენთან კი, ჩანს, თავი არავის შეუწუხებია ამის განსჯით — როგორც კი ესმათ უტკბესი სახელი იესო ქრისტესი, მაშინვე დაუფიქრებლად, განსჯის გარეშე მის მხარეზე დადგნენ, და აზრადაც არ მოსვლიათ, რომ ეს სათაყვანო სახელი მოხიბლულის ბაგეთაგან გულუბრყვილო მორწმუნეთა სულების მოსანადირებელ მახედ იქცა. არ წაგიკითხავთ სახარებაში თვით იესო ქრისტეს გაფრთხილება: „ეკრძალენით ცრუწინასწარმეტყველთაგან, რომელნი მოვიდოდიან თქუენდა სამოსლითა ცხოვართაჲთა, ხოლო შინაგან იყვნენ მგელ მტაცებელ“ (მათე, 7, 15)? იქნებ გგონიათ, რომ უფალი აქ იმათ გულისხმობს, ვისაც არც კი სმენია მისი სახელი? არა, სწორედ იმათზე ლაპარაკობს, ვინც მისი სახელით ინიღბება და მტყუვარი გზისკენ იზიდავს ადამიანებს, რადგან იქვე ამბობს: „მრავალთა მრქუან მე მას დღესა შინა (ანუ სამსჯავროს დღესა): უფალო, უფალო, არა სახელითა შენითა ვწინასწარმეტყუელებდითა?“ (მათე, 7, 22) ხედავთ? უფლის სახელით ქადაგებდნენ, უფალი კი გვამცნებს, ეკრძა-

ლენითო. სამსჯავროზეო, განაგრძობს, ასე გეტყვითო: „არა გიცნი თქვენ“ (მათე, 7, 23). როგორ შეიძლება, რომ ისინი არ სცნობოდა მას, ვინაც ყოველი იცის? ამით უფალი ამბობს, რომ არასოდეს სცნობდა მათ ისეთებად, როგორებადაც თავი მოჰქონდათ — ჭეშმარიტების მქადაგებლებად. ისინი ქრისტეზე ქადაგებდნენ, მაგრამ ისე, რომ უფალი მათ სიტყვებში ვერ სცნობდა თავის თავს, ისინი ვიღაც სხვა ქრისტეს ქადაგებდნენ და არა მას, ჭეშმარიტს, ვინაც ჩვენ ცხოვრება მოგვანიჭა. ხომ ხედავთ, შესაძლებელი ყოფილა, რომ ქრისტე იქადაგო და მაინც უფალი იესო ქრისტე კი არა, სულ სხვა იგულისხმო. თქვენ კი, ყველანი მიაწყდით მაგ ვიღაც მჩხავანას, მხოლოდ იმიტომ, რომ მან იესო ქრისტეს სახელით შენიღბა თავისი ტყუილი. თქვენ გგონიათ, მას არ შეიძლება ეხებოდეს სიტყვები: „მრავალნი მოვიდოდიან სახელითა ჩემითა... და მრავალთა აცთუნებდენ“ (მათე, 24, 5)? სწორედ რომ სამართლიანად ეღერს თქვენდამი პავლე მოციქულის სიტყვები, კორინთელთა მიმართ თქმული: „მე თქვენ მიგათხოვეთ უფალ იესო ქრისტეს, როგორც წმიდა ქალწულნი. მაგრამ მეშინია, როგორც გველმა აცთუნა ევა თავისი მზაკვრობით, თქვენი გონებაც არ განხრწნას ვინმემ თავისი ცრუ ქადაგებით. თქვენ ისე გიყვართ ახალი სწავლებანი, რომ ვინმე რომ მოვიდეს და სხვა იესო ქრისტე იქადაგოს, მაშინვე შეიწყნარებთ და მის მხარეზე დადგებით“ (2 კორ, 11, 2—4). და აი, რასაც მოციქული შიშით მოელოდა კორინთელთაგან, სწორედ ის ხდება დღეს თქვენთან. მოვიდა ვიღაც მჩხავანა, სხვა იესოს ქადაგება დაიწყო, და თქვენც მისკენ გაიწიეთ.

მეტყვით: „რომელ სხვა იესოზეა ლაპარაკი? ეს კაცი ყველაფერს სახარებიდან ამბობს, სახარების სიტყვებს გვასწავლის: „შეინანეთ და გრწმენინ სახარებისაჲ“ (მარკ. 1, 15) იგი სულ იმას გააძახის: „ქრისტე ჩვენთვის მოკვდა, გწამდეთ ეს და ცხონდებით. სად არის აქ ტყუილი და მოხიბლვა“?! მართლაც ტკბილი ხარებაა, ვინ შეიძლება გულგრილი დარჩეს მის მიმართ? მაგრამ ხარებასაც შეიძლება შეერიოს ტყუილი და შერყვნას იგი, და ამას მოწმობს პავლე მოციქულის სიტყვები, გალატელთა მიმართ თქმული: „მიკვირს, რამეთუ ესრეთ ადრე გარდაიქცევით მისგან, რომელმან-იგი გიჩინნა თქუენ მად-

ლითა ქრისტესითა, სხუად სახარებად“ (გალ., 1, 6). გალატელებმა გულით ირწმუნეს უფალი იესო ქრისტე და სიხარულით მიიღეს ქადაგება ქრისტესმიერი ცხონების შესახებ, პავლე მოციქულის მიმართ კი, რომელმაც ჭეშმარიტი სარწმუნოება ამცნო, ისეთი მადლიერებით იყვნენ განმსჭვალულნი, რომ მზად იყვნენ საკუთარი თვალები დაეთხარათ და მისთვის მიეცათ. მაგრამ დაშორდათ თუ არა პავლე, მაშინვე ვიღაც ამაოდმბრძნობი კაცები მოადგნენ, იმათაც სახარება მოჰქონდათ, მაგრამ ჭეშმარიტი კი არა, სიცრუით შერყვნილი, და მათ ხელახლა სწავლებას მოჰყვნენ. გალატელებსაც დიდი გარჩევა არ დაუწყიათ, სახარების სახელით მოიხიბლნენ, ცრუმახარებლებიც შეიფარეს და ტყუილის მახეშიც გაებნენ. მათი სიტყვები საამო ხარებად ეჩვენებოდათ, სინამდვილეში კი დამღუპველი, ბოროტი სწავლება გახლდათ. ასეთი მომხიბლავია ტყუილი, რომელიც წმინდა და ტკბილი სახელებით ინიღბება! ეს რომ შეიტყო წმ. პავლემ, ისინი გონს მოიყვანა და უცვალებელ, ყოველი დროისათვის ვარგის კანონად განუჩინა შემდეგი: „დაღაცათუ ჩუენ, გინა თუ ანგელოზი, ზეცით გახარებდეს თქუენ გარეშე მისსა, რომელი იგი გახარე თქუენ, შეჩუენებულ იყავნ. ვითარცა წინაჲსწარ ვთქუ და აწ კუალად ვიტყვი, უკუეთუ ვინმე გახარებდეს თქუენ მისსა გარეშე, რომელი იგი მიიღეთ, შეჩუენებულ იყავნ“ (გალ., 1, 7—9). ხომ ხედავთ, არსებობს თურმე „სხუაჲ სახარებაჲ“, რომლის მახარებლებიც ანათემას გადაეცემიან. მე და თქვენ კი ეს დავივიწყეთ და, როგორც კი გამოჩნდა ვიღაც მჩხაკანა სახარებით ხელში, იმას გამოვეკიდეთ, აღარც კი გაგვახსენდა ის, რაც ჭეშმარიტად გვწამს და რაც ცხონებას გვანიჭებს. თქვენც იგივე გალატელნი ხართ. ის დროა, მოციქულისაგან მათ მიმართ თქმული საყვედური გაგიმეოროთ კაცმა: „ჰოი უცნობელნო გალატელნო, ვინ გეშურებოდა თქუენ ჭეშმარიტებისა არა მორჩილებად“ (გალ., 3, 1)?

4) ამბობ, სახარებას გვიკითხავს, იქიდან გვასწავლისო. წმ. სახარება და მოციქულთა წიგნები, მთელი ახალი აღთქმა არის ყველაზე სანდო წყარო ჭეშმარიტი ქრისტეანული ცოდნისა, ცხონების ჭეშმარიტი გზის შეცნობისა. ყველა, ვისაც ცხონება სურს, სწორედ წმიდა წერილიდან გაიგებს, როგორ უნდა მოიპოვოს იგი. მაგრამ ყველა როდი შეძლებს სწორედ დაინა-

ხოს ცხონების გზა. ზოგიერთი სახარებას კი კითხულობს, მაგრამ არასწორად ესმის, არასწორად განმარტავს, და ესაა შერყვნა სახარებისა. ასეთ კაცს სახარება ვერას არგებს, და ის ამბავი, რომ სახარება უპყრია ხელთ, ვერ იხსნის ყველრებისა და სასჯელისაგან. შედარებისათვის ასეთ მაგალითს მოგიყვანთ: ვთქვათ, კაცს მშვენიერი ნაჭერი აქვს და რაღაცის შეკერვა უნდა. თუ კარგი მკერავი გამოჩნდა, კარგ ტანსაცმელსაც შეკერავს, უმეცარი კი ისეთს მოჯღანავს, რომ ჩაცმაც შერცხვება ადამიანს და ვერც სიცივისაგან დაიფარავს. ასევე, სახარებიდან ზოგს ისეთი უვარგისი მოძღვრება გამოჰყავს, რომელიც თვითონ იმასაც ღუპავს და მის მიმდევრებსაც. რატომ? იმიტომ, რომ არ იცის, როგორ დაიწყოს საქმე. არსი სულის საცხოვნებელი მოღვაწეობისა რამდენიმე პუნქტად შეიძლება ჩამოყალიბდეს: უნდა გვწამდეს, მცნებები დავიმარხოთ, სული წმიდის მადლი მოვიხვეჭოთ და სხვა, მაგრამ სახარებაში ეს პუნქტები ერთად ხომ არაა თავმოყრილი, სხვადასხვა ადგილასაა გაბნეული — ერთგან ერთია ნათქვამი, მეორეგან — მეორე. იმისთვის, რომ ნამდვილად გავიგოთ, რას წარმოადგენს ცხონება, ყველა ამ პუნქტს ერთად უნდა მოვუყაროთ თავი — ყველას, უკლებლივ. ეს აუცილებელი პირობაა. და სწორედ აქ იტეხენ ხოლმე კისერს უმთავრესად ხელმოცარული მძებნელები. კი დაეპირებს კაცი ამ პუნქტების თავმოყრას, მაგრამ არ იცის, როგორ ხდება ეს; ამიტომ ამოიჩემებს ერთი-ორ მცნებას, ამოგლეჯს მათ საღვთო წერილიდან და გაიძახის: მორჩა, ვიპოვე! აი ესაა ცხონების გზა! ერთი ამბობს, გწამდეს და ცხონდებიო, მეორე — სულის წმიდის მადლი მოიხვეჭე და სხვა არაფერია საჭიროო, მესამე — გიყვარდეს, და ნეტარ აღსასრულს მოიპოვებო, სხვა კიდევ სხვას ამბობს. ყველა ეს დებულება ჭეშმარიტია და საღმრთო წერილი ყოველ მათგანს უცილობელ კანონად გვიდგენს, მაგრამ თითოეული ცალ-ცალკე ცხონებას ვერ მოგვანიჭებს. ყველა ეს პუნქტი უნდა ძევაერთოთ, და მაშინ მივიღებთ სრულ წარმოდგენას ცხონების შესახებ.

ამბობ, თითქოს ეგ თქვენი მჩხავანაც სახარებიდან გიკითხავთ და გიხსნით, როგორ უნდა ცხონდეთ. მაგრამ ყველა პუნქტს იღებს იქიდან, თუ მხოლოდ ნაწილს? ყური დაუგდე და მიხვდები, რომ ყველას არა. ის მხოლოდ იმას გაიძახის,

შეინანეთ და გრწმენინო. მაგრამ განა ამით ყველაფერია ნათქვამი? სრულიადაც არა. მეტიც, ამ პუნქტშიც ყველაფერს როდი იზიარებს. შეინანეთო, ამბობს. ჰკითხეთ ერთი, საჭიროა აღსარების თქმა, ან მიტევების მიღება? ამაზე ვერაფერს გიპასუხებთ, ანდა მიკიბულ-მოკიბულით შეეცდება თავის დაძვრენას. რადგან ის რომ თქვას, რასაც სინამდვილეში ფიქრობს, მაშინვე ზურგს შეაქცევ (მისი აზრით, ეს ყოველივე ზედმეტია, თუმცა კი უფალმა გვამცნო საღმრთო წერილის მეშვეობით).

მწერ: „ეს კაცი ამბობს, სახარებით დამიმტკიცე, რომ ეტყუივარო!" — იმას არავინ ეტყვის, „შეინანეთ და გრწმენინ" ტყუილიაო, ეს უფალმა გვამცნო და აუცილებელია ცხონებისათვის. მაგრამ მაშინ კი ტყუის, როცა ამბობს, მხოლოდ ესაა საკმარისიო, რადგან ცხონების მოსაპოვებლად სხვაც ბევრი რამაა საჭირო. ვთქვათ, ექიმმა გამოგიწერა წამალი, რომელშიც ბევრი ბალახი და ესენცია შედის, აფთიაქარმა კი აიღო ორი-სამი კომპონენტი და გითხრა: აჰა შენ წამალიო. ვინ გამოდის ეს აფთიაქარი? ცრუ და მატყუარა. ასევე, ჩვენი სულების მკურნალმა, იესო ქრისტემ, სახარებაში გვამცნო, როგორ უნდა ვუმკურნალოთ ჩვენს სულს ისე, რომ ცხონება მოვიპოვოთ, მოგვცა სრული კრებული წამლებისა, თქვენმა მჩხავანამ კი ორი-სამი კომპონენტი ამოგლიჯა იქიდან და გაიძახის, ესაა მხსნელი წამალი, მიიღეთ და ცხონდებითო. ამიტომაა იგი ცრუ და მატყუარა. თქვენ კიდევ, როგორც კი თავისი მოწოდება წარმოთქვა, მყისვე ჩიხში მოექეცით და ამით გაათამამეთ, უფრო და უფრო ხმამაღლა იმეორებს, გწამდეთ იესო ქრისტე, და ცხონდებითო.

5) ჭეშმარიტად! — „არავინ არს სხვით ცხორებაჲ და არცაღა არს სახელი სხუაჲ ცასა ქვეშე მოცემული კაცთა, რომლითამცა ჯერ-იყო ცხოვრებაჲ ჩუენდა" (საქ. 4, 12) „დიდ არს ღმრთის მსახურებისა იგი საიდუმლოჲ; ღმერთი გამოჩნდა ხორცითა" (I ტიმ. 3, 16). — მოდრიკა ცანი და ქვეყანა, და ჩვენ ცადმდე აგვამაღლებს. გიხაროდენ, მადლობას შესწირვიდეთ და შეუდეგით მას, მაცხოვარსა და ღმერთსა ჩვენსა, რომელიც ამაღლდა ცად და ჩვენი კაცობრივი ბუნება მამა ღმერთის მარჯვენით ჯდომარე ჰყო. და მაინც, ნუ დაივიწყებთ, რომ

ესაა მხოლოდ ერთი პუნქტი ცხონების საქმეში. მას თვით უფალმა დაუმატა სხვა პუნქტები, რომლებიც ასევე აუცილებლად უნდა დავიმარხოთ, თუ ცხონება გვინდა. იმათზე მერე გესაუბრები, ახლა კი გეტყვი, რომ ეს პუნქტიც: „გრწმენინ უფალი მაცხოვარი", ისე უნდა შეიმეცნო და ისე გაითავისო, რომ ყოვლადწმიდა სამების საიდუმლოებასთან სრულ ჰარმონიაში იყოს. თორემ ისეც შეიძლება მოხდეს, რომ მუდამ გვახსოვდეს იესო ქრისტესგან მონიჭებული ცხონება, ყოვლადწმიდა სამება კი სულ დაგვავიწყდეს და იგი იესო ქრისტეს სახემ დაჩრდილოს. ეს კი იმის ნიშანი იქნება, რომ დაირღვა სწორი წარმოდგენა ცხონებაზე, ანდა სხვაგვარად რომ ვთქვათ, ჩამოყალიბდა გამრუდებული, გაუკუღმართებული ქრისტეანული აზროვნება.

ამის შეხსენება მინდოდა სწორედ: იესო ქრისტემ ჩვენი ცხონების ზოგადი წესი მამასა და სული წმიდასთან ერთად ჩამოაყალიბა, თვითეული ჩვენგანის ცხონება იესო ქრისტეს მიერ ხდება მამისა და სული წმიდის მონაწილეობით. ამრიგად, ცხონება მოგვანიჭა და თვითეულ ჩვენგანს აცხონებს ღმერთი, ერთარსება და სამ იპოსტასად ცნობილი და თაყვანისცემული მამა, ძე და სული წმიდა. ეს კარგად უნდა დავიმახსოვროთ ყველამ, ვისაც ცხონება გვინდა. შეხედე, როგორ ხდება იესო ქრისტეს ნათლისღება! ნათელ-იღებს ძე ღმრთისა განკაცებული, მაგრამ მასზე და მასში ჰგიეს მამა ღმერთი თავისი ნებით და სული წმიდა თავისი ქმედებით. აქედან ნათლად ჩანს, რომ ჩვენი ცხონების საქმე, რომელიც ნათლისღებით დაიწყო, განხორციელდა უფალი იესო ქრისტეს მიერ, რომელსაც მუდამ თან ახლდა ნება მამისა და ქმედება სული წმიდისა. ძე არაფერს იქმოდა მამისა და სული წმიდის გარეშე, რადგან, მას შემდეგაც, რაც განხორციელდა, არ მიუტოვებია წიაღი მამისა თვისისა.

ხომ ხედავ, როგორ ხორციელდება ჩვენი ცხონება ერთარსება და სამ იპოსტასად ცნობილი და თაყვანისცემული ღმერთის მიერ? ახლა იმასაც გიჩვენებ, რომ თვითეული ჩვენგანის ცხონებაც სწორედ სამების მიერ ხდება. ჩვენი ცხოვრებაც და ჩვენი ცხონებაც ღმერთთან ცოცხალ კავშირში მდგომარეობს. დაცემის შედეგად ჩვენ ეს კავშირი დავკარ-

გეთ. მაგრამ მოვიდა ღმერთი განხორციელებული — ძე ღმრთისა მხოლოდშობილი, და თავის იპოსტასში დაცემული კაცობრივი ბუნება ღმერთთან შეაერთა, და ყველა მორწმუნე თავის თავთან გააერთიანა და ამით ღმერთს შეუერთა. ეს თვით მაცხოვარმა გვიჩვენა, როცა წმ. მოციქულებს უთხრა: „მე მამისა ჩემისა თანა, და თქუენ ჩემ თანა, და მე თქუენ შორის" (იოანე, 14, 20). ეს ნათქვამი ყველა მორწმუნეს ეხება. ესაა ოქროს ჯაჭვი, რომელიც ღმერთთან გვაერთებს. უფალმა ეს სხვა ადგილსაც დაადასტურა: „მე ვარ გზაჲ და მე ვარ ჭეშმარიტებაჲ და ცხოვრებაჲ, არავინ მოვიდეს მამისა, გარნა ჩემ მიერ" (იოანე, 14, 6). ამგვარად, მამასთან მიდიან ძისა მიერ. ძესთან როგორღა მიდიან? ძესთან მამას მივყავართ, როგორც უფალი იტყვის: „ვერვის ხელ-ეწიფების მოსლვად ჩემდა, უკუეთუ არა მამამან, მომავლინებელმან ჩემმან, მოიყვანოს იგი ჩემდა" (იოანე, 6, 44). რაკი ძესთან მიყვანების გარეშე თვითეული ჩვენგანის ცხონების საქმის დაწყებაც კი შეუძლებელია, ხოლო ეს მიყვანება ხდება მამის მიერ, მაშასადამე ცხადია, რომ თვითეული კაცის ცხონების საქმის დამწყები თვით მამა ღმერთია. ეს უნდა ახსოვდეს და ამას უნდა აღიარებდეს ყოველი, ვისაც ქრისტეს მიერი ცხონება სწადია, და მუდამ უნდა ხედავდეს ზეციური მამის მარჯვენას, რომელსაც იესო ქრისტესთან მივყავართ. მამას როგორღა მივყავართ ძესთან? — სული წმიდის მეშვეობით, რომელიც ამის მერე ადამიანების გულსა და გონებაში განახორციელებს ყველაფერს, რაც ცხონებისათვისაა საჭირო. ქრისტე მაცხოვარი ევნო, ჯვარს ეცვა და აღდგა, ამაღლდა და დაჯდა მარჯვენით მამისა, თავის ნაცვლად კი გამოგვიგზავნა მამისაგან სული წმიდა, რომელიც დამკვიდრებულია ჭეშმარიტ ეკლესიაში და წარმართავს ყოველი ჩვენგანის ცხოვნების საქმეს. გავიხსენოთ: თავიდან იგი მოციქულებზე გარდამოვიდა, მერე მთელი ქვეყანა მოატარა მათ, მისცა სიტყვა, ხოლო ამ სიტყვას მიანიჭა დამარწმუნებელი ძალა. იმათ, ვინც ირწმუნა, ნათლავდა, აკურთხევდა და ყოველგვარ კეთილ საქმეში განამტკიცებდა, და მათი კრებულისაგან შექმნა წმ. ეკლესია. დღესაც ასევე მოქმედებს სული წმიდა ამ ეკლესიაში და განაგებს ყველას ცხონებას. სული წმიდის გარეშე ვერავინ ცხონდება. ამიტომაც თქვა

უფალმა: „უმჯობეს არს თქუენდა, რაჲთა მე წარვიდე, უკუეთუ მე არ წარვიდე, ნუგეშინის-მცემელი იგი არა მოვიდეს თქუენდა“ (იოანე, 16, 7). ამით მან თქვა: ჩემი განხორციელება, სიკვდილი, აღდგომა — ყოველივე ეს ამაოა, თუკი არ მოვა ნუგეშინისმცემელი — სული წმიდა. ამ შემთხვევაში ვერ ცხონდებით, რამეთუ სული წმიდის გარეშე ვერ გარდაიქმნებით ისეთებად, როგორებიც ცხონების საქმეს შედგომილნი უნდა იყვნენ. ამგვარად, გწამდეს და სასოება იქონიეთ, რომ ცხონდებით იესო ქრისტეს მიერ, მამის ნებით, შენი ცხონების საქმეს კი წარმართავს სული წმიდა, რომელიც გადმოდის შენზე წმ. ეკლესიაში საღმრთო საიდუმლოებების მეშვეობით, და რომელიც ამის შემდეგ დაემკვიდრება შენს გულში, მუდმივად გსწავლის და განგამტკიცებს ცხონების საქმეში. ხედავ როგორ ვცხონდებით? იესო ქრისტეს მიერ, მამის ნებით და სული წმიდის მადლით. ეს დაიმარხე გულსა და გონებაში, ასეთი იყოს შენი აღმსარებლობა. და გახსოვდეს, ვინც მხოლოდ იმას გიჩიჩინებს, გრწმენინ უფალი, გრწმენინ უფალიო, და არასოდეს მოუვა აზრად ცხონების საქმეში მამა ღმერთისა და სული წმიდის მონაწილეობის წარმოჩენა, მასთან არ არის სრული ჭეშმარიტება, ის ამღვრევს ქრისტეანულ წარმოდგენას და აბნელებს ქრისტესმიერ ნათელს.

ეს იცოდნენ წმ. მოციქულებმა, და ნახე, როგორ გამოხატეს! წმ. მოციქული პეტრე წერს: „წინაჲსწარ ცნობითა ღმრთისა მამისაჲთა და სიწმიდითა სულისაჲთა დასამორჩილებელად და საპკურებლად სისხლისა იესო ქრისტესისა. მადლი თქუენ თანა!“ (I პეტრ. 1, 2). წმ. პავლე მოციქული ასე ლოცულობს: „მადლი უფლისა ჩუენისა იესო ქრისტესი და სიყუარული ღმრთისა და მამისაჲ, და ზიარებაჲ სულისა წმიდისაჲ თქუენ ყოველთა თანა!“ (II კორ, 13, 13). პავლე მოციქულის ამ სიტყვებს უცვლელად იმეორებენ ეკლესიაში, წირვის დროს, ვიდრე იესო ქრისტეს ხორცისა და სისხლის საიდუმლოს შესრულებას დაიწყებდნენ. და ყველა ჩვენი წმიდა მამა, როცა ცხონებაზე მსჯელობდა, ამბობდა, რომ ცხონებას გვანიჭებს ღმერთი, სამებით თაყვანისცემული: მამა, ძე და სული წმიდა, ესაა ერთი, მთლიანი საწყისი. შენც ასე გახსოვდეს, მიეჩვიე, რომ სწორედ ასე უნდა აღიქვამდე შენში მიმდი-

ნარე პროცესს ცხონებისა — და ამის შემდეგ მაგ საზომით გაზომე, დღევანდელი ახალი მასწავლებელიც და სხვანიც, ზვალ-ზეგ რომ გამოჩნდებიან.

6) ახლა ბარემ ყველაფერს გეტყვი, რაც საჭიროა თვითეული ჩვენგანის ცხონებისათვის. მოკლედ ეს ასე შეიძლება გამოითქვას: გწამდეს ღმერთი, სული წმიდის მადლი მოიხვეჭე წმიდა საიდუმლოებებში მონაწილეობის მეშვეობით, უფლის მცნებების მიხედვით იცხოვრე, ღმრთივდადგინებული მოძღვრების რჩევებით იხელმძღვანელე და წმ. ეკლესიასთან ცოცხალი კავშირი გქონდეს. უფრო ნათლად რომ წარმოიდგინო, რაოდენ აუცილებელია ის ყოველივე, ცხონების გზა ჩვეულებრივ მოგზაურობას შეადარე. მოგზაურს მარჯვე და უსაფრთხო გზა რომ ჰქონდეს, ამისთვის აუცილებელია სინათლე და გაკვალული ბილიკი, თვითონ მგზავრიც ჯანმრთელი და ღონიერი უნდა იყოს, წინაც ვინმე ისეთი უნდა მიუძღვოდეს, ვინც საჭიროების შემთხვევაში — მოსახვევებში ან გზაჯვარედინებზე — სწორ გზას უჩვენებს. ცხონების გზაზეც ასეა: აუცილებელია სინათლე — სარწმუნოება, აუცილებელია გზა გაკვალული — მცნებები, აუცილებელია ჯანმრთელობა და ძალა — სული წმიდის მადლი, წმიდა საიდუმლოებების მეშვეობით, რომ გვეძლევა, აუცილებელია გზამკელევი და ხელმძღვანელი — ეკლესიის მწყემსები. ყოველივე ამას შენ წმ. ეკლესიაში ჰპოვებ, ამიტომაც მასთან ცოცხალ კავშირში იმყოფება ყველა, ვისაც სწორედ მიჰყავს თავისი ცხონების საქმე. ყველა, ვინაც ცხონება მოიპოვა, ამ გზით ვიდოდა, და დღესაც ამ გზით მიდის ყველა, ვისაც ცხონება სურს... სხვა გზა არ არსებობს.

არა მგონია, თვითეული ამ პუნქტის აუცილებლობის ახსნა და დამტკიცება გჭირდებოდეს. მაგრამ ზოგ რამეს მაინც განგიმარტავ.

ცხონებისათვის სარწმუნოება აუცილებელია, ამაზე ლაპარაკიც ზედმეტია. ურწმუნო კაცს ცხონებაზე ფიქრი აზრადაც არ მოსდის. ამიტომ ამბობს პავლე მოციქული: „სარწმუნოებაᲐ უღირს, რომელი მოუხდების ღმერთსა, რამეთუ არს და მეძიებელთა მისთა სასყიდლის მიმცემელ იქმნების“ (ებრ. 11, 6). ხოლო უნდა გვწამდეს სრულად — ყველაფერი, რისი გამჟღავნებაც ინება ჩვენთვის ღმერთმან, რაიმეს მიმატების ან

მოკლების გარეშე. უნდა გვწამდეს ისე, როგორც წმიდა მართლმადიდებელი ეკლესია გვასწავლის. კერძოდ: ღმერთი ერთ არს ბუნებით, სამსახოვანი, მან თავისი სიტყვით შექმნა ქვეყანა და ზრუნავს მასზე, ჩვენ, კაცნი, სამოთხისათვის შეგვქმნა, რამეთუ ხატად თვისად გვქმნა, მაგრან ჩვენ დავკარგეთ სამოთხე წინაპრების შეცოდების გამო, და ამ დაცემის შემდეგ თვითონ ვეღარ წამოვდგებოდით, მაგრამ ძე ღმრთისამ შეგვიბრალა, აღიღო ჩვენი გამოხსნისა და აღორძინების საქმე, მოვიდა სოფლად, განკაცდა, ევნო, მოკვდა ჯვარზე, აღდგა, ამაღლდა ცად და მჯდომარე არს მარჯვენით მამისა, გვწამს, რომ ჭეშმარიტია მის მიერ კაცობრიობისათვის გაღებული მსხვერპლი, და რომ მისი მეოხება ჭეშმარიტად მაცხოვნებელია მორწმუნეთათვის. ხოლო შემდგომად ამაღლებისა მამისაგან გამოგვიგზავნა სული წმიდა, რომელიც მოციქულებზე გარდამოვიდა და აღავსო ისინი სიბრძნითა და ძალით, მათ კი, სული წმიდით აღვსებულებმა, ქვეყნად გაავრცელეს ქრისტეანული სარწმუნოება, მორწმუნეთაგან შეადგინეს სხეული წმ. ეკლესიისა, რომლის თავიც თვით იესო ქრისტეა, ეკლესიას ჩააბარეს სარწმუნოების ყველა საიდუმლო და ყველა წმიდა საიდუმლოება, რომელთა მეოხებითაც სული წმიდის მადლს ვღებულობთ, ხოლო მოციქულებმა თავიანთ მემკვიდრეებად თვით უფლის ბრძანებით დატოვეს მღვდლები და ეპისკოპოსები, რომლებიც ხელდასხმით იღებენ ამ განსაკუთრებულ მადლს, და ეს ძაფი უწყვეტლივ მოდის მოციქულებიდან ვიდრე ჩვენამდე, ცხონების მსურველნი აღწევენ ეკლესიის წიაღში, ანუ, ცალ-ცალკე კი არა, ყველასთან ერთად, ცხოვრების იმ წესით, რომელიც საერთოა ყველა ჭეშმარიტი მორწმუნისათვის; ეკლესიის საიდუმლოებებით განიწმინდებიან და მოძღვართა ხელმძღვანელობის ქვეშ იმყოფებიან, თვითეული ჩვენგანის ცხონების საქმე დაფარულად მიმდინარეობს ადამიანის სულში, ხოლო სრული ბრწყინვალებით სხვა ცხოვრებაში ცხადდება, ამ იმედით აღჭურვილნი, ნებსით და უნებლიე გაჭირვებას მოთმინებით ვიტანთ მომავალი ცხონებისათვის, ვიცით, რომ ისინი, ვინც სიკვდილს მიჰყავს სხვა ცხოვრებაში, მაინც ეკლესიის ერთიანი სხეულის წევრებად რჩებიან და არც ჩვენ-

თან ურთიერთობას წყვეტენ, თუმცა ეს ურთიერთობა უკვე უხილავია და არა ხილული.

ეს ყოველივე უნდა გვწამდეს და ჩვენც აღვიარებთ ამ სარწმუნოებას, როდესაც ყოველდღე ვკითხულობთ სარწმუნოების სიმბოლოს. მოკლედ იგი ასე შეიძლება გადმოიცეს: ღმერთი, სამებით თაყვანისცემული, რომელმაც შექმნა ქვეყანა და განაგებს მას, თავის წმ. ეკლესიაში გვაცხოვნებს ჩვენ, დაცემულებს, უფალი იესო ქრისტეს მიერ, მამის ნებით და სული წმიდის მადლით. ეს ცხონება აქ საიდუმლოდ ხდება, მომავალ ცხოვრებაში კი სრულად გაბრწყინდება თავისი გამოუთქმელი ნათლით. ხომ ხედავ, ყველა პუნქტი, რომლებიც ცხონების პირობად დაგისახე, სარწმუნოების სიმბოლოში შედის. მთელი გულით გწამდეს, რომ ასეა, და შეუძლებელია სხვაგვარად იყოს.

7) მაგრამ ცხონებისთვის მხოლოდ სარწმუნოება არ კმარა. ამასთან ერთად საჭიროა სიწმინდით ცხოვრება, უფლის ყველა მცნების დაცვით. „არა ყოველმან, რომელმან მრქუას მე: უფალო, უფალო! შევიდეს იგი სასუფეველსა ცათასა, არამედ რომელმან ყოს ნებაჲ მამისა ჩემისა ზეცათაჲსაჲ“ (მათე, 7, 21). ზეციერი მამის ნება კი მის მცნებებშია გადმოცემული. წაიკითხე სახარება, იქ, ცხადია, სარწმუნოების მოთხოვნებზეცაა ლაპარაკი, მაგრამ არც ისე ბევრი. ძირითადად იგი გვთავაზობს წმიდა და ღმრთის სათნო ცხოვრების მაგალითებს. სახარებიდან ასეთი დასკვნა გამოდის: მთელი გულით, დაუღალავად შეასრულე მცნებები, და ცხონდები. ცხადია წინ უნდა გიძღოდეს სარწმუნოება და ყოველივეს ღმრთის სათნო-ყოფისათვის წარმართავდეს. ისმინე, რას ამბობს უფალი: „რომელსა აქუნდნენ მცნებანი ჩემნი და დაიმარხნეს იგინი, იგი არს, რომელსა უყუარდე მე, ხოლო რომელსა უყუარდე მე, საყუარელ იყოს მამისა ჩემისა მიერ, და მეცა შევიყუარო იგი და გამოუცხადო მას თავი ჩემი“ (იოანე, 14, 21). და იქვე დასძენს: „უკუეთუ ვისმე უყუარდე მე, სიტყუანი ჩემნი დაიმარხნეს, და მამამანცა ჩემმან შეიყუაროს იგი, და მოვიდეთ მისა და მის თანა დავადგრეთ“ (იოანე, 14, 22). ასევე, მოციქულთა ეპისტოლეებში ბევრი რამ წერია სარწმუნოებაზე, მაგრამ უფრო მეტი — სიწმიდით ცხოვრების შესახებ, წმ. პავლე მოციქულ-

მა ცხონების საქმის არსი ორიოდე სიტყვით გადმოსცა: „სარწმუნოებაჲ, სიყვარულისაგან შეწევნული“ (გალ. 5, 6). სიყვარულში იგი გულისხმობს ყველა მცნების დამარხვას და განშორებას ყოველი ცოდვისა და ცოდვილ ვნებათაგან (რომ. 13). ამიტომ ყველა თავის ეპისტოლეში ქრისტეანთა მთავარ საზრუნავად მიიჩნევს წმიდა და ღმრთის სათნო ცხოვრებას, „რავდენი არს ჭეშმარიტ, რავდენი პატივოსან, რავდენი მართალ, რავდენი წმიდა, რავდენი საყუარელ, რავდენი საქებელ, რავდენი სათნო და რავდენი ქებულ, მას ზრახევდით... და ღმერთი მშვიდობისაჲ იყავნ თქუენ თანა“ (ფილ. 4, 8—9). მოციქული იმასაც ამბობს, რომ თვით განგებამ ღმრთისა ჩვენი ცხონება იმისთვის ინება, რომ სიწმიდით ცხოვრების უნარი მოგვცა. „რამეთუ გამოჩნდა მადლი იგი ღმრთისაჲ მაცხოვრად ყოველთა კაცთა, სამოძღურებელად ჩუენდა, რაჲთა უარ-ვყოთ უღმრთოებაჲ და სოფლისა გულის თქუმაჲ, სიწმიდით და სიმართლით და ღმრთის-მსახურებით ვცხონდებოდით ამას სოფელსა, და მოველოდით ნეტარსა მას სასოებასა და გამოჩინებასა დიდებისა დიდისა ღმრთისა და მაცხოვრისა ჩუენისა იესო ქრისტესსა (ტიტ. 1, 11—13). ამასვე დაბეჯითებით გვირჩევენ სხვა წმ. მოციქულები. მაგალითად წმ. იაკობ მოციქულის სიტყვებს მოგიყვანთ: „რაჲ სარგებელ არს, ძმანო ჩემნო, უკუეთუ ვინმე თქუას: სარწმუნოებაჲ მაქუს, და საქმენი არა ჰქონდენ? ნუ ძალ-უც-მეა სარწმუნოებასა ხოლო ცხოვნებაღ მისა?... სარწმუნოებაჲ უკუეთუ არა აქუნდენ საქმენი, მკუდარ არს იგი ხოლო. არამედ თქუას თუ ვინმე: შენ სარწმუნოებაჲ გაქუს და მე საქმენი მქონან, მიჩუენე მე სარწმუნოებაჲ შენი საქმეთაგან შენთა, და მე გიჩუენო შენ საქმეთაგან ჩემთა სარწმუნოებაჲ ჩემი. შენ გრწამს, ვითარმედ ერთ არს ღმერთი, კეთილად იქმ, და ეშმაკთაცა ჰრწამს და ძრწიან მისგან. ნებავსა ცნობად ჰ კაცო ამაოო, რამეთუ სარწმუნოებაჲ თვინიერ საქმეთასა მკუდარ არს? აბრაჰამ, მამაჲ ჩუენი, არა საქმეთაგან განმართლდაა, რამეთუ შესწირა ისაკი, ძე თვისი, საკურთხეველსა ზედა? ჰხედავა, რამეთუ სარწმუნოებაჲ შეეწია საქმეთა მისთა და საქმეთაგან სარწმუნოებაჲ იგი სრულ იქმნა?... ჰხედავთა რამეთუ საქმეთაგან განმართლდების კაცი და არა სარწმუნოებისაგან ხოლო?“ (იაკობ, 2, 14—24).

ხედავ, რა აუცილებელია ყოველი ჩვენგანის ცხონებისათვის მცნებათა აღსრულება. შეგნებულად ვთქვი მეტი ამ საკითხზე, რამეთუ ისინი, რომლებმაც თქვენი ახალი მასწავლებელი შეაცდინეს, არასწორად წარმოაჩენენ ამ საკითხს. ამბობენ, თითქოს ცხონებისათვის მხოლოდ სარწმუნოება იყოს საკმარისი, საქმეებს კი თითქმის მთლიანად უგულებელყოფენ. ალბათ ეგ თქვენი მასწავლებელიც ასევე უკუღმართად ფიქრობს. ჰოდა, თავად განსაჯე. საღმრთო წერილის მიხედვით, სარწმუნოება და მცნებათა აღსრულება ერთნაირად მნიშვნელოვანია, უპირატესობა არც ერთს არ ენიჭება. ცალ-ცალკე ორივე უძლურია — სარწმუნოება გარეშე საქმეთა, და საქმეები — გარეშე სარწმუნოებისა. მხოლოდ უწყვეტ კავშირში ყოფნისას შეუძლიათ მათ ჩვენი ცხონება, და თავადაც ამ კავშირში ჰპოვებენ თავიანთ ნამდვილ ფასს, ძალასა და მნიშვნელობას.

8) იმისათვის, რომ სარწმუნოებაც მართალი იყოს, და შესაბამისი საქმეებიც თან ახლდეს, აუცილებელია სული წმიდის მადლი. უიმისოდ არათუ სარწმუნოებას ვერ მოვიპოვებთ, რაიმე კეთილ ფიქრსაც კი ვერ გავივლებთ (II კორ. 3, 5), და რომც გავივლოთ, ვერ შევასრულებთ. რამეთუ, მოციქულის თქმით, კეთილი განზრახვა შეიძლება მოგვივიდეს, მაგრამ საქმე საქმეზე რომ მიდგება, შესრულება არ გვინდა. მოციქულიც ამას ამბობს: „ნებაჲ იგი წინა-მიც მე, ხოლო საქმედ კეთილისა მის არა ვჰპოვებ“ (რომ. 7, 18). ღმერთს რომ მხოლოდ ის ეჩვენებინა, როგორ უნდა გვწამდეს და როგორ ვცხოვრობდეთ, და ამის ამარა დავეტოვებინეთ, ვემსგავსებოდით კაცს, რომელიც მზის სხივითაა განათებული, ხედავს გზას, რომლითაც უნდა ვიდოდეს, იცის, რომ სხვაგვარად დაიღუპება, მაგრამ ამ გზაზე შედგომის ძალა არ შესწევს, რადგან სუსტია და დავრდომილი. თუ ასეა, სჯობს საერთოდ არაფერი იცოდეს და ვერაფერს ხედავდეს, ვიდრე იცოდეს, ხედავდეს და ამის გამოყენების უნარი კი არ ჰქონდეს. მოწყალე ღმერთს არც დავუტოვებივართ ამ ცოდნის ამარა, არამედ ინება სული წმიდის გამოგზავნა, რათა მან ჩვენთან ერთად წარმართოს ჩვენი ცხონების საქმე. სული წმიდა პირველად მოციქულებზე გარდამოვიდა, და მერე მათი მეშვეობით ყველა მორწმუნეს მოეფინა. იგი მოციქულთა სიტყვის საშუალებით აღვიძებდა სარწმუნო-

ებას ადამიანებში და იმათ, ვინც გადაწყვეტდა სიწმიდით ცხოვრებას, ამ გადაწყვეტილების შესრულების ძალასაც აძლევდა. რასაც მოციქულები აკეთებდნენ და დღესაც აკეთებენ მათი მემკვიდრეები ღმრთივგანჩინებული წესით. მადლი სულისა წმიდისა დამკვიდრებულია მორწმუნეთა დასში, ანუ წმ. ეკლესიაში, ყველას განანათლებს, განწმენდს და განასპეტაკებს. და თუკი ვინმე ცხონდა ან ცხონდება, მხოლოდ სული წმიდის მადლით. „რამეთუ მადლითა ხართ გამოხსნილ სარწმუნოებისა მიერ, და ესე არა თქუენგან, არამედ ღმრთისა ნიჟი არს“ (ეფეს. 2, 8), ამბობს მოციქული, და თავის თავზეც ამას იმეორებს: „ხოლო მადლითა ღმრთისაჲთა ვარ, რაჲ-იგი ვარ“. წმ. პეტრე მოციქული თავის თავზეც და სხვებზეც გვიმოწმებს: „რომელმან-იგი ყოველივე თვისისა ღმრთეებისა ძალი საცხორებელად მოგუანიჴა ჩუენ“ (II პეტრ. 1, 3). ამიტომ ყველა მოციქული მორწმუნეთა მიმართ მიწერილი ეპისტოლეების თავსა და ბოლოში უსურვებენ მათ სული წმიდის მადლის დამკვიდრებასა და განმრავლებას: „მადლი უფლისა ჩუენისა იესო ქრისტესი თქუენ ყოველთა თნა“ მართალია, თითქმის არავინ დაობს იმაზე, რომ სული წმიდის მადლი, როგორც მაცხოვნებელი ძალა, აუცილებელია ჩვენთვის და მხოლოდ მას შეუძლია წარმართოს ჩვენი ცხონების საქმე, მაგრამ ის, თუ როგორ მიიღება იგი, ხშირად ამიტომაც ხდება ხოლმე საკამათო. ამიტომ განგებ ვამახვილებ ყურადღებას ამ საკითხზე: იქნებ თქვენი ახალი მასწავლებელიც ერთი იმათგანია, ვისაც არასწორად ესმის იგი. ხომ არიან ისეთი ბრძენკაცებიც, რომლებიც ამტკიცებენ, რომ საკმარისია სარწმუნოება შეიძინო, და მადლი უფლისა მყისვე მოვა და დაიმკვიდრებს შენში. მაშ იცოდე და კარგად გახსოვდეს, რომ სული წმიდის მადლი გვეძლევა და მიიღება მხოლოდ საიდუმლოებების მეშვეობით, რომლებიც თვით უფალმა დააწესა ეკლესიაში წმ. მოციქულთა ხელით. ეს ამბავი შენთვის უფრო სარწმუნო რომ გახდეს, რამდენიმე მაგალითს მოგიყვან იმისა, თუ როგორ მიიღება სული წმიდის მადლი უფლის ბრძანებით.

თვით უფალმა და მაცხოვარმა ნიკოდიმოსთან საუბარში ბრძანა: „ჯერ არს თქუენდა მეორედ შობაჲ (იოანე, 3, 7). აქ იგი

გულისხმობს ახალი ცხოვრებისთვის დაბადებას. და რა საშუალება მიგვითითა ღმერთმა? განა ისა თქვა, ოღონდ გწამდეს, და პირს დააღებ თუ არა, უმალ სული წმიდის მადლი შემოვა შენში და განგაბლებსო? არა, ასე არ უთქვამს. მაშ რაღა თქვა? „უკუეთუ ვინმე არა იშვეს წყლისაგან და სულისა, ვერ ხელეწიფება შესლვად სასუფეველსა ღმრთისასა“-ო (იოანე, 3, 5). წყლითა და სულით შობა არის ნათლისღება — პირველი ქრისტეანული საიდუმლო. მაგრამ განასლება მხოლოდ სული წმიდის ნიჭის მიღების, დატევნისა და დამარხვის უნარს აძლევს ჩვენს ბუნებას, თვით მოცემა კი ამ ნიჭისა ხდებოდა განსაკუთრებული საიდუმლოთი, კერძოდ, მოციქულთა ხელდასხმით. ამას ცხადყოფს თუნდაც ერთი შემთხვევა, რომელიც ეფესოში მოხდა წმ. პავლეს მოციქულებრივი მოღვაწეობის დროს. ეფესოში ჩასულ მოციქულს იქ თორმეტი მორწმუნე დახვდა და ჰკითხა: მას შემდეგ, რაც ირწმუნეთ, მიიღეთ თუ არა სული წმიდაო? მათ უპასუხეს, სული წმიდის არსებობის შესახებ არც კი გვსმენია რამეო. პავლე მოციქულმა ჰკითხა: მაშ როგორღა მოინათლეთო? იოანეს ნათლისღებითო, მიუგეს მათ. მაშინ წმ. პავლემ მათ განუმარტა, რომ იოანეს ნათლისღება იყო მხოლოდ მომზადება უფალი იესო ქრისტეს რწმენისათვის. შემდეგ მოციქულმა უფრო სრულად განუმარტა ეფესელებს სახარება, ნათელ-სცა ქრისტეანული ნათლისღებით, მონათვლის მერე ხელნი დაასხა, და ამრიგად, მათ მიიღეს სული წმიდის მადლი. ხომ ხედავ, ნათლისღება ცალკეა, ხელდასხმა ცალკე, სული წმიდის მადლი კი მხოლოდ ხელდასხმის შემდეგ მიიღება? ხელდასხმა მოციქულებმა შემდეგ მირონცხებით შეცვალეს, და იგი თავიანთ მემკვიდრეებს გადასცეს, როგორც საიდუმლო, ნიჭი სული წმიდისა, მორწმუნეთათვის მიმადლებული. იგი ახლაც მოქმედებს წმ. ეკლესიაში.

ეს ორი მაგალითი კმარა იმის დასანახად, რომ სული წმიდის მადლი გონების გზით მხოლოდ სარწმუნოებით კი არ მიიღება, არამედ ხილულადაც, წმ. საიდუმლოთა მეშვეობით. ნათლისღების შემდგომ, ჩადენილ ცოდვათა მიტევება ხდება არა მაშინ, როცა კაცი მხოლოდ ბუნებაში ინანიებს და ღმრთის წინაშე აღიარებს თავის ცოდვებს, არამედ მაშინ, რო-

ცა შეინანებს, გადაწყვეტს მეტად აღარ სცოღოს, აღსარებას ეტყვის თავის სულიერ მამას და მისგან მიტევებას მიიღებს. ცოცხალი ურთიერთობა ღმერთთან ხდება მაშინ, როცა ადამიანი ეზიარება მის ხორცსა და სისხლს, ევქარისტიის საიდუმლოთი. სული წმიდის მადლი მოციქულთაგან გადაეცათ მღვდელმოაერებსა და მღვდლებს ხელდასხმის მეშვეობით. ქორწინების საიდუმლოთი უკავშირდება ერთმანეთს საცოლე და საქმრო, ზეთისკურთხევის საიდუმლოთი განიკურნება სხვადასხვა სნება.

ეს შვიდი საიდუმლო არის შვიდი ნაკადი ღმრთაებრივი მადლისა, ეს საიდუმლოები მოქმედებს წმ. მართლმადიდებელ ეკლესიაში. სხვა გზა სული წმიდის მადლის მოპოვებისა არ არსებობს. ვინც შეეცდება სხვა გზა გიჩვენოს, ზურგი აქცეე ასეთ კაცს, იცოდე, ამაოდმბრძნობია იგი.

9) სამ დასახელებულ პუნქტს — სარწმუნოებას, მცნებათა მიხედვით ცხოვრებას და სული წმიდის მადლს, საიდუმლოთა მეშვეობით მიღებულს — უნდა დაემატოს მეოთხე, ღმრთივდაწესებული მწყემსობა. სარწმუნოება უნდა შეეიძინოთ, მაგრამ როგორ უნდა მოხერხდეს ეს მქადაგებელის გარეშე? „ანუ ვითარმე ქადაგებდნენ, არა თუ წარივლინნენ“ (რომ. 10, 15)? მადლი ღმრთისა საიდუმლოთა მეშვეობით უნდა მივიღოთ, მაგრამ როგორ, განა ეს შესაძლებელია გარეშე მსახურთა ქრისტესთა და მნეთა საიდუმლოთა ღმრთისათა (I კორ. 4, 1)? აუცილებელია მცნებათა მიხედვით ცხოვრება სარწმუნოებრივი სულით, მაგრამ ან ეს როგორღაა შესაძლებელი ხელმძღვანელის გარეშე. რომელიც მიუთითებს, აფრთხილებს, შეცდომებს უსწორებს, აღადგენს დაცემულთ და კვალად წარმართავს ჭეშმარიტ გზას აცდენილებს? ამრიგად, ცხონების მისანიჭებლად აუცილებელია არსებობდნენ ადამიანები, რომლებიც ღმრთის სახელით მოქმედებენ, გვასწავლიან სარწმუნოებას, სული წმიდის მადლს გადმოგვცემენ საიდუმლოთა მეშვეობით და ხელმძღვანელობას გვიწევენ ქრისტეანულ ცხოვრებაში — აუცილებელია ღმრთივბოძებული და ღმრთივდადგინებული მწყემსები. და უფალმაც ინება მათი მოვლინება. მოციქულიც გვიმოწმებს თავისი სიტყვით: „და მან (ღმერთმან) მოსცნა, რომელნიმე მოციქულნი, რომელნიმე წი-

ნაასწარმეტყველნი, რომელნიმე მახარებელნი, რომელნიმე მწყემსნი და მოძღვარნი“ (ეფეს. 4, 11). ეს საქმითაც გამოჩნდა. ღმერთმა მოგვივლინა და უბრძანა მათ: „წარვედით და მოიმოწაფენით ყოველნი წარმართნი და ნათელს ცემდით მათ სახელითა მამისაჲთა და ძისაჲთა და სულისა წმიდისაჲთა, და ასწავებდით მათ დაშარხვად ყოველი, რაოდენი გამცენ თქუენ“ (მათე, 27, 19—20). მოციქულები ასეც იქცეოდნენ. მაგრამ რაკიღა ისინი მოკვდავნი იყვნენ, მოციქულებრივი საქმე კი საუკუნითგან და უკუნისამდე უნდა ცოცხლობდეს, ამიტომ მათ, ღმრთის განგებით, ყველგან დატოვეს მემკვიდრენი და მოწაფენი, მღვდელნი და მოძღვარნი, რათა მათ გაეგრძელებინათ მოციქულთა საქმე — საიდუმლოთა აღსრულება. ასე გაანათლეს პავლემ და ბარნაბამ ლუსტრა, დერბია, იკონია, პისიდიის ანტიოქია. და როცა სირიის ანტიოქიაში მათი დაბრუნების დრო დადგა, განა დაივიწყეს გამოვლილი ქალაქის მკვიდრნი და სარწმუნოების ამარა დატოვეს ისინი? არა, ისევ გამოიარეს ყველა ქალაქი, დაუწესეს მათ ეკლესიური ცხოვრების რიგი, ხოლო მეთვალყურეობისა და ყოველივეს ჯეროვნად შესრულებისათვის დაუდგინეს მწყემსნი, „უკურთხნეს მათ ეკლესიად — ეკლესიად ხუცესნი“ (საქმე, 14, 23). ასევე მოიქცა ეფესოში და ასიის სხვა ქალაქებში, ყველგან დაადგინა კურთხევით მწყემსები და მასწავლებლები. შემდეგ, როდესაც ეფესოს ახლოს აღმოჩნდა ზღვით მოგზაურობისას და იქ ჩასვლის დრო კი არ ჰქონდა, ყველა ეს მწყემსი მილეტში მიიხმო, დაემშვიდობა მათ და საბოლოო დარიგება მისცა მათი მსახურების შესახებ: „ეკრძალენით უკუე თავთა თქუენთა და ყოველსავე სამწყსოსა, რომელსა-ეგე თქუენ სულმან წმიდამან დაგადგინნა მოღუაწედ და მწყსად ეკლესიისა უფლისა ღმრთისასა, რომელი მოიგო სისხლითა თვისითა“ (საქმე, 20, 28). კიდევ ა.ა რა მოხდა: რომიდან დაბრუნებისას, პირველი პყრობილებიდან გათავისუფლების შემდეგ, პავლე მოციქულმა კუნძულ კრეტაზე შეიარა და იქ ქრისტეს სარწმუნოება გაავრცელა. მაგრამ რაკიღა არ ჰქონდა დრო, რომ ყველგან დაეყენებინა მწყემსები, ამ საქმისთვის იქ დატოვა წმ. ტიტე, — „რაჲთა... დაადგინნე ქალაქად — ქალაქად ხუცესნი“ (ტიტ. 1, 5). ცხადია, წმ. პავლე სხვა ქალაქებშიც ასევე მოიქ-

ცეოდა და ზუსტად ასევე იქცეოდნენ სხვა მოციქულები, რადგან თავიანთი მოსაზრებით კი არა, უფლის ბრძანებით მოქმედებდნენ. და არც ერთი ქრისტეანული საზოგადოება არ დარჩენილა ხელდასხმული მწყემსების გარეშე. ასე გრძელდება უფლის ეკლესიაში დღესაც, და მორწმუნეთათვის ესაა კანონი: „დაემორჩილენით წინამძღუართა თქუენთა და ერჩდით მათ, რამეთუ იგინი იღვიძებენ სულთა თქუენთათვის“ (ებრ. 13, 17). და ის, რაც უფალმა უთხრა თავის მოციქულებს, მღვდლებსაც შეეხება: „რომელმან თქუენი ისმინოს, ჩემი ისმინა, და რომელმან თქუენ შეურაცხ-გყენეს, მე შეურაცხმყოფს, და რომელმან მე შეურაცხმყოს, შეურაცხ-ჰყოფს მომავლინებელსა ჩემსა“ (ლუკა, 10. 16).

10) ესაა ის ოთხი პუნქტი, რომლებიც უნდა შევასრულოთ და რომელთა მიხედვითაც უნდა წარვმართოთ ჩვენი ცხონების საქმე, თუ ჭეშმარიტად გვინდა ცხონება. მაგრამ არსებობს კიდევ ერთი პუნქტი, კერძოდ — მორწმუნეთა დასთან ცოცხალი ერთობა ეკლესიის წიაღში. უფალმა თავის ეკლესიას ვენახი უწოდა, სადაც იგია ვაზი, ხოლო მორწმუნენი — რტოები ვაზისა. ამიტომ ეკლესია, ანუ ერთობა მორწმუნეთა, არის ერთი, განუყოფელი მთლიანობა, რომელსაც ცოცხალი კავშირი აქვს ღმერთთან, ასეთივე კავშირია მის წევრებს შორის. როგორც ხმება და კვდება ხეს მოწყვეტილი ტოტი, ისევე კვდება სულიერად ყოველი, ვინც განეშორება ღმრთის ეკლესიას, ხოლო ეკლესიისგან განდგომით განუდგება უფალსაც (იოანე, 15). წმ. პავლემ ეს კიდევ უფრო ნათლად გამოთქვა, როდესაც ეკლესიას უფლის სხეული უწოდა. ჩვენ ყველანი, მორწმუნენი, შევადგენთ ქრისტეს სხეულს, ქრისტე კი არის თავი ამ სხეულისა. სხეულის ყოველი ასო ხომ საკუთარი კი არა, მთელი სხეულისათვის საერთო ცხოვრებით ცხოვრობს, და თუ სხეულს მოშორდა, კვდება და ლპება. ასევე თვითეული მორწმუნეც განცალკევებით კი არა, მორწმუნეთა მთელი დასის, ანუ ეკლესიის საერთო ცხოვრებით ცხოვრობს, და თუ მას გამოეყოფა, სულიერად შრება და კვდება (I კორ. 12, ეფეს. 4). ჭეშმარიტ მორწმუნეთა შორის ყოველთვის ითვლებოდა და დღესაც ითვლება ცხოვრების კანონად ეკლესიის წი-

აღში ყოფნა. ჩვენ აღვიარებთ, რომ ეკლესია დედაა ჩვენი, მართლად უთქვამთ, რომ ვისთვისაც ეკლესია დედა არ არის, მისთვის არც ღმერთია მამაო. ხოლო თუ ღმერთი არა, მაშ ვინღა? როდესაც უფალმა წმიდა მოციქულთა მეშვეობით წმიდა ეკლესია დააფუძნა, ყოველივე, რაც ცხონებისათვისაა საჭირო, მასვე ჩააბარა დასაცავად და ქვეყანაზე გასავრცელებლად. ეკლესია იმარხავს სარწმუნოების ყველა საიდუმლოს და ყველა ჭეშმარიტებას, მასშია მთელი მადლი და საიდუმლოებანი, რომელთა მეშვეობითაც გვეძლევა ეს მადლი, მასშია ჭეშმარიტი სამღვდელოება, რომელიც ხელმძღვანელობს ჩვენი ცხონების საქმეს, მასზეა ნება უფლისა, რომელიც იცავს თავის ეკლესიას და ისმენს მის ლოცვას, და ამ ეკლესიაში კაცნი და ანგელოზნი, ყოველნი გონიერნი არსნი, ერთობით ემსახურებიან ყოვლად სახიერ ღმერთს.

ეს ამბავი, ანუ ეკლესიის წიაღში ყოფნა და საკუთარი ცხონების საქმის იქვე წარმართვა ყოველ მორწმუნეს რამდენიმე მოვალეობას აკისრებს: 1) სწამდეს, როგორც სწამს მთელ ეკლესიას დასაბამიდან ვიდრე დღეინდელ დღემდე, ეკლესიის ხმას შეუდაროთ ყოველი ახალი მოსაზრება, ჩვენი თუ სხვისი, იმავე წესით გადავწყვიტოთ ყოველი ახლად გაჩენილი გაუგებრობა, და არავითარ შემთხვევაში არ მივცეთ მას უფლება რაიმე ისეთის გაკეთებისა, რაც თუნდაც სულ ოდნავ უხვევს ეკლესიის სწავლებიდან, რამეთუ ეკლესია „არს სუეტი და სიმტკიცე ჭეშმარიტებისაჲ“ (I ტიმ. 3, 15). იცოდე, ვინც ამას არ ასრულებს, ისაა მეზვერე და წარმართი, როგორც თვით უფალი ამბობს (მათე, 18, 17). 2) არაფრით არ გამოირჩეოდეს სხვებისაგან ეკლესიური ცხოვრების მხრივ — მარხვა შეინახოს მაშინ, როცა ყველა იმარხავს, ეზიაროს ისე, როგორც ეკლესიაშია დაწესებული, და საერთოდ, ყველა ეკლესიური წესი შეასრულოს თანახმად მოციქულის სიტყვისა, რომელიც გვიკრძალავს კრებულის მიტოვებას (ებრ. 10, 25). 3) გვჯეროდეს, რომ ამ ქვეყნიური და ზეციური მკვიდრნი უწყვეტ, ცოცხალ და უშუალო კავშირში არიან ერთმანეთთან. ამიტომ ჩვენს ლოცვებს მათთვის და მათ წინაშე, და მათ ლოცვებს ჩვენთვის კიდევაც ისმენს ღმერთი და ძალაცა აქვთ. ჩვენა ვართ თვისნი და მახლობელნი ანგელოსთა და ყოველთა საუკუნითგან

ღმრთის სათნოყოფილთა, რამეთუ, რაკი ეკლესიის წევრები ვხდებით, მოსულ ვართ „მთასა სიონსა და ქალაქსა ღმრთისა ცხოველისასა, იერუსალემსა ზეცისასა და ბევრეულსა ანგელოზთა კრებულსა, და ეკლესიასა პირმშოთასა, აღწერილსა ცათა შინა“ (ებრ. 12, 22—23).

აბალა თავი მოვუყაროთ ყოველივეს, რაც აქამდე ვთქვით ცხონების გზის შესახებ და გავიმეოროთ: გნებავს ცხონება? გრწმენინ მთელი ღმრთივგამოცხადებული სწავლება, საღმრთო საიდუმლოთა მეშვეობით მიიღე სული წმიდის მადლი, იცხოვრე უფლის მცნებებით, ღმრთივდადგინებული მოძღვრების ხელმძღვანელობით და მათი მორჩილების გზით, ოღონდ ყოველივე ეს უფლის ეკლესიის წიაღში უნდა ხდებოდეს, მისი სჯულისმდებლობით, მასთანვე უნდა იმყოფებოდე უწყვეტ, ცოცხალ კავშირში, და ცხონდები. ცხონების გზის ამ სურათს თამამად შეგვიძლია დავუმატოთ იოანე ღვთისმეტყველის შეგონება: „ყოველივე, რომელი გარდაჰხდებოდის და არა ეგოს მოძღურებასა ზედა ქრისტესსა, მის თანა ღმერთი არა არს, ხოლო რომელი ეგოს მოძღურებასა ზედა ქრისტესსა, მის თანა ძეცა და მამაცა არს. რომელი მოვიდეს თქუენდა და ესე მოძღურება არა მოაქუნდეს, ნუ შეიწყნარებთ მას სახლთა თქუენთა და „გიხაროდენ“ ნუ ეტყვით მას. რამეთუ რომელმან ჰრქუას მას „გიხაროდენ“, ეზიარების საქმეთა მისთა ბოროტთა“ (II იოანე. 9—11).

11) ყოველივე ზემოთქმულის შემდეგ თვითონვე შეგიძლია იმსჯელო, არის თუ არა რაიმე სიმართლე თქვენი ახალი მასწავლებლის სიტყვებში. „ერთხელო“, მწერ, „დიდხანს გვესაუბრა იმის შესახებ, რომ აუცილებელია სიტყვით აღვიაროთ უფალი იესო ქრისტე, და მხოლოდ ის, ვინც ასე აღიარებს ქრისტეს, მიიღებს კიდეც მას თავის თავში, და ქრისტე აღავსებს მას და იცავს მადლითა თვისითა. ერთ კაცს ეს ჩვენი მასწავლებელი ჩააცივდა, აღიარეო, ის კი არ დათანხმდა, ამბობდა, მრცხვენიაო. ძალიან კარგად მოიქცა, რომ არ დათანხმდა. წრფელი სული ჰქონია, რადგან ასეთი აღიარება ღმრთისნების საწინააღმდეგოა. ამ კეთილ ქრისტეანს სინდისმა არ მისცა უფლება ამგვარი აღიარებისა. ეს იქნებოდა მეტიჩრობა და თავისმოწონება. იესო ქრისტეს აღიარება დიდი ღვაწლია

და უფალმა აღგვითქვა, რომ მას, ვინც აღიარებს წინაშე კაცთა, თავადაც აღიარებს წინაშე მამისა თვისისა (მათე. 10, 32). მაგრამ როდისაა ესოდენ ფასეული ეს აღიარება? მაშინ, როცა ან უნდა აღიარო, რომ გრწამს უფალი იესო ქრისტე, და ამის გამო მყისვე საშინელი წამება და სიკვდილი მიიღო, ან უნდა უარყო ქრისტე და თაყვანი სცე კერპებს. კაცი, რომელიც ასეთ დროს აღიარებს ქრისტეს, უკვე მოწამის ღვაწლს იღებს, ამიტომაცაა მისი აღიარება ესოდენ ფასეული. უფლის ეკლესიაში აღმსარებელნი მოწამეთა სწორებად არიან შერაცხილნი. მოწამეები არიან ისინი, ვინაც აღიარა ქრისტე, ეწამა და მოკვდა. აღმსარებელნი — ისინი, ვინაც აღიარა ქრისტე, ეწამა, მაგრამ რაიმე შემთხვევის გამო ცოცხალი დარჩა. აი, როგორ აღიარებას გულისხმობს უფალი! ამიტომაც უპირისპირებს ასეთ აღმსარებლებს იმათ, ვინაც უარყოფს მას: „და რომელმან უარ-მყოს მე წინაშე კაცთა, უარ-ვყო იგი მეცა წინაშე მამისა ზეცათაჲსა“ (მათე. 10, 32). ერთი მითხარი, არის კი თქვენთან ასეთი ვითარება, რომ ან უნდა უარყო ღმერთი, ან ბედნიერი ცხოვრება არჩიო? არა. მაშასადამე, ვერც ისეთ აღმსარებლობას გამოიჩენ უფლის წინაშე, რომ ესოდენ სათნო იყოს. მეტიჩრობისა და თავმოწონების საშუალება კი ყოველთვის გაქვს. გამოდი ქუჩაში და იყვირე რამდენიც გინდა: მწამს ღმერთი და აღვიარებ მას. მაგრამ ასეთი აღიარება ქარს გატანებული იქნება, იმ თქვენი მასწავლებლის მოთხოვნისა არ იყოს. თქვენი ახალი მასწავლებელი აღიარებას ასეთ აღთქმას უკავშირებს: როგორც კი სიტყვით აღიარებ ქრისტეს, მაშინვე მიიღებ მას შენში. საიდან მოიტანა? იხილე, რას გვასწავლიან უფალი და წმ. მოციქულები იმის შესახებ, თუ როგორ შეიმოსავს ქრისტეს ადამიანი. წმ. პავლე მოციქული ამბობს: „რავდენთა ქრისტეს მიმართ ნათელ-იღეთ, ქრისტე შეიმოსეთ“ (გალ. 3, 27). იმან, ვინაც ქრისტე შეიმოსა, ცხადია, მიიღო კიდეც იგი თავის თავში. მაშასადამე, ქრისტეს ღებულობს ის, ვინაც ნათელ-იღო. ნათლისღების წინ ადამიანი კითხულობს მრწამსს და ამით აღიარებს ქრისტეს, მაგრამ ამ გზით კი არ დაიმკვიდრებს მასში უფალი, არამედ ნათლისღების შედეგად. აი, რას გვასწავლის მოციქული, თქვენი მასწავლებელი კი

სულ სხვა რამეს ამბობს. ეს მისი გონების ნაყოფია და არა უფლის გამოცხადების ან აღთქმის შედეგი.

გარდა ამისა, უფალი ამბობს: „და რომელი ჭამდეს ხორცსა ჩემსა და სუმიდეს სისხლსა ჩემსა, იგი ჩემ თანა დადგრომილ არს, და მე მის თანა“ (იოანე. 6, 56). უფალი იმიტომ არის იმ ადამიანთან, რომელიც ეზიარა, რომ წმ. ზიარების წყალობით მან მიიღო უფალი თავის თავში... ზიარების წინ ჩვენ ვაღიარებთ ქრისტეს და ვამბობთ: „მრწამს, უფალო, და აღვიარებ“... მაგრამ ამ აღიარების გამო კი არ დაემკვიდრება ჩვენში უფალი, არამედ ხორცისა და სისხლის მიღების წყალობით. აღიარება კი მხოლოდ კარს უღებს უფალს, რათა იგი შემოვიდეს ჩვენში მის წმ. საიდუმლოთა ზიარების გამო.

ხომ ხედავ, ქრისტე დაიმკვიდრებს ჩვენში ნათლისღებისა და წმ. ზიარების მეშვეობით, და არა მხოლოდ მისი აღიარებით, თუმცა კი ამ საიდუმლოთა შესრულების წინ ჩვენ აღვიარებთ ქრისტეს. თქვენმა ახალმა მასწავლებელმა კი სულ სხვა გზა აღმოაჩინა უფლის მიღებისა. ის ამას აკეთებს თავისი ამაოდბრძნობას აყოლილი გონებით.

სხვა ადგილას იმავე იოანე ღვთისმეტყველის პირით უფალი გვიჩვენებს კიდევ ერთ გზას მისი მიღებისას, ანუ მცნებათა დამარხვის გზას. „რომელსა აქუნდენ მცნებანი ჩემნი და დაიმარხნეს იგინი, იგი არს, რომელსა უყუარდე მე, ხოლო რომელსა უყუარდე მე, საყუარელ იყოს მამისა ჩემისა მიერ, და მეცა შევიყვარო იგი და გამოუცხადო მას თავი ჩემი“ (იოანე. 14, 21). და კიდევ იქვე: „უკუეთუ ვისმე უყუარდე მე, სიტყუანი ჩემნი დაიმარხნეს, და მამამანცა ჩემმან შეიყვაროს იგი, და მოვიდეთ მისა და მის თანა დავადგრეთ“ (იოანე. 14, 23). არ გეგონოს, თითქოს მცნებათა აღსრულება ცალკე გზა იყოს, რომელსაც ნათლისღებისა და ზიარების გარეშე მივყავართ უფლის მიღებისაკენ. ნათლისღებისა და ზიარების მადლი გვაძლევს იმის ძალას, რომ მტკიცედ დავიმარხოთ მცნებები. გული ისეთი კაცისა, ვინაც ყველა მცნებას ასრულებს, თავის სულს სხვადასხვა სათნოებებით ამკობს, ხდება ტაძარი, ღირსი უფლის დამკვიდრებისა, და მასში მართლაც შევალს ღმერთი. უფალი კაცის გულშია დავანებული წმ. ნათლობის დროს, კიდევ უფრო წრფელია ეს ერთობა წმ. ზიარების დროს. მაგ-

რამ ვიდრე სულში ჯერ კიდევ რჩება ვნებების კვალი, ვიდრე იგი მთლიანად არ განიწმინდება მცნებათა დამარხვის გზით, უფალი საბოლოოდ არ დაიმკვიდრებს მასში. იგი არ დაივანებს ასეთ სულში, ჯერ ვერ ენდობა მას მთლიანად, ჯერ მხოლოდ იმზადებს მასში მშვიდ სამყოფელს. ხოლო როცა სული სათნოებებით განიწმინდება, მაშინ კი მინდობილად შედის მასში ღმერთი, და ცხოვრობს იქ მშვიდად, რამეთუ არ აშფოთებს ცოდვისა და ვნების სუნთქვა. ამრიგად, სარწმუნოება მიიზიდავს უფალს, საიდუმლოებებში მონაწილეობა ღირსყოფს კაცს, რომ უფალმა მოიხილოს და თანაშეეწიოს, ხოლო როდესაც მორწმუნე ღმრთის შეწევნით განწმენდს თავის თავს ცოდვათაგან მცნებათა აღსრულების გზით და გულში სათნოებებს მისცემს ადგილს, მაშინ ღმერთი საბოლოოდ ჩასახლდება მასში და იქ დაივანებს. აი ესაა უფლის მიღების გზა. ამ გზას აქვს თავისი ეტაპები — დასაწყისი, გაგრძელება და დასასრული. ზემოთ მოყვანილ ადგილას უფალი სწორედ ამ დასასრულზე ლაპარაკობს. მაგრამ საფუძველი მთელი ამ საქმისა არის საიდუმლოებების გზით მიღება უფლისა. საიდუმლოებების გარეშე უფალს ვერც სარწმუნოება მიიზიდავს და ვერც სათნოებები. თავისთავად ამ ორი პირობის გამო უფალმა შეიძლება კაცი მიიყვანოს საიდუმლოებებში მონაწილეობამდე და ასე დაემკვიდროს მასში, როგორც ეს კორნილიუს ასისთავს უყო. ამ გზაზე თავისი ადგილი აქვს აღმსარებლობასაც, მაგრამ ესაა მხოლოდ მოსამზადებელი ნაწილი, და სრულიადაც არაა ერთადერთი გადამწყვეტი პირობა უფლის მიღებისათვის.

უფლის აღმსარებლობას მხოლოდ ის მნიშვნელობა როდი აქვს, რომ მაგით თქვა, მწამს უფალიო. აღმსარებლობა საერთოდ ქრისტეანად ყოფნას ნიშნავს. როდესაც გვეკითხებიან, რომელ აღმსარებლობას ეკუთვნითო, ვპასუხობთ, ქრისტეანულსო, და ეს პასუხი უკვე იმას ნიშნავს, რომ ვამბობთ: ქრისტეანი ვარო. ახლა ვნახოთ ამ სიტყვის მკაცრი მნიშვნელობა. რას ნიშნავს ქრისტეანობა? იმას, რომ მართლად გვწამდეს, სიწმიდით ვცხოვრობდეთ, საიდუმლოებებით განვიწმინდებოდეთ, მოძღვრებს ვემორჩილებოდეთ; მართლმადიდებელი ეკლესიის წევრები ვიყოთ და მტკიცედ ვასრულებდეთ ყოველივეს, რასაც ეკლესია ბრძანებს, — ანუ, გავაკეთოთ ყველა-

ფერი, რაც ცხონების გზას შეადგენს. მაშასადამე, ჭეშმარიტად აღიარებს უფალს ის, ვისაც სწამს უფალი, საიდუმლოებებით განიწმინდება და მათი მეშვეობით სული წმიდის მადლს იღებს, სიწმინდით ცხოვრებას მისდევს უფლის მცნებათა მიხედვით და ეკლესიის მოძღვრების მორჩილებით; და ყოველივე ეს [illegible] ეკლესიის სჯულისდებების მიხედვით ხდება. აი ესაა ნამდვილი აღმსარებლობა და არა ის, ვინც მხოლოდ ბაგით აღიარებს უფალს. წმ. იოანე ღვთისმეტყველი თავის პირველ ეპისტოლეში, აღმსარებლობაზე საუბრისას, სწორედ ასეთ, საქმიან ქმედით აღმსარებლობას გულისხმობს.

თქვენი მასწავლებელი უფლის ზეპირი აღმსარებლობის ნაყოფად მიიჩნევს აღმსარებლის აღვსებას სული წმიდის მადლით. აღმსარებლობის გზით უფალი რომ შემოდიოდეს ჩვენში, მაშინ, ცხადია, მადლიც შემოვიდოდა, რამეთუ მადლი არის მოხილვა ჩვენი უფლისა მიერ და მისი ერთობა ჩვენთან. მაგრამ როგორც უწინაც ვთქვი, უფალი შემოდის ჩვენში არა აღმსარებლობის გზით, არამედ საიდუმლოებების მეოხებით. ისიც განგიმარტე, რომ მადლი სული წმიდისა მხოლოდ საიდუმლოებათა მეშვეობით მიიღება. არასოდეს მომხდარა უფლის ეკლესიაში, რომ რაიმე სხვა გზით მიეღოს იგი ვინმეს. მაშასადამე არ უნდა ვიფიქროთ, რომ მხოლოდ ზეპირი აღმსარებლობით შეიძლება მადლის მიღება. ეს რაღაც ამასა ჰგავს: ოღონდ შენ პირი დააღე, და სული წმიდის მადლიც შემოფრინდება. ამ შემთხვევაში უპრიანია თქვენს მასწავლებელს და მის მიმდევრებს, რომლებიც მხოლოდ ზეპირი აღმსარებლობის გზით ფიქრობენ მადლის მიღებას, პირღიები ვუწოდოთ.

12) მწერ: „ჩვენი ახალი მასწავლებელი თავისი სიტყვებით ლოცულობს, მაგრამ ლოცვის დროს არც პირჯვარს ისახავს, არც მუხლს იყრის".

ხომ ხედავ, რა მოდური კაცია? მთელი ქრისტეანული სამყარო პიჯვარს იწერს, ისინიც კი, ვინც ქრისტეს სარწმუნოებას არასწორად აღიარებენ, ამას კი ეთაკილება. პირჯვარს ვინც ისახავს, ის უსიტყვოდ აღიარებს უფალ იესო ქრისტეს, რომელმაც ჩვენთვის დაითმინა ჯვარცმა და სიკვდილი, და ამით გამოგვიხსნა სასჯელისაგან. თქვენი მასწავლებელი გაიძახის, ბაგით აღიარეთ ქრისტეო. თქვენც უნდა გეთქვათ, აღიარე ქრის-

ტე პირჯვარის გადასახვითო. ერთი და იგივეა: ერთიც აღმსარებლობაა და მეორეც, ოღონდ პირველი — სიტყვით, მეორე კი საქმით. საქმე სიტყვაზე ძლიერია. თქვენი მასწავლებელი ეუბნება მას, ვინც უარი თქვა სიტყვით აღიაროს უფალი: აჰა, გრცხვენია ხომ კაცთა წინაშე უფლის აღიარება? თქვენ კიდევ უთხარით: შენც გეთაკილება პირჯვარის გადასახვა, მაგრამ ესეც ხომ აღიარებაა უფლისა! მაშ, შენ თვითონაც გრცხვენია უფლის აღიარება კაცთა წინაშე-თქო.

წმ. ბასილი დიდი გვიმოწმებს, რომ პირჯვარის გადასახვა მოციქულთა შემოღებულია, და იგი, სარწმუნოებით როცა სრულდება, განაგდებს უხილავ მტრებს, განაქარვებს მთელ მათ მზაკვრობას და გვიცავს მათი თავდასხმისაგან. უფალი ჯვარით მუსრავს მტრის ძალას. ეს იციან ჩვენმა მტრებმა და გაურბიან ჯვარს, ხოლო ვინც არ ისახავს პირჯვარს, და ვინც არ იყენებს ჯვარის ძალას, იმას მტერი ადვილად ერევა. უიარაღო მეომარსა ჰგავს ის ქრისტეანი, რომელიც პირჯვარს არ იწერს, საითაც უნდა, იქით უზამს თავს მტერი ასეთ კაცს. პირჯვარის გადასახვით იკურთხება ყველა საღმრთო საიდუმლოება, ჯვარითავე ხდება ყველა ნივთის კურთხევა. ასე მიიღო წმ. ეკლესიამ მოციქულთაგან, და ასე იქცევა ყველა ქრისტეანი. ამიტომ ბუნებრივად ისმის კითხვა: არის თუ არა ქრისტეანი ის, ვინც ჯვარის გადასახვას ერიდება?

თავის მოდრეკით ჩვეულებრივ ჩვენს პატივისცემასა და მორჩილებას ვადასტურებთ. ხომ აუცილებელია, რომ ადამიანი, რომელიც ღმერთს აღუვლენს ლოცვას, ღრმა მოწიწებისა და სრული მორჩილების გრძნობით შეუდგეს ამ საქმეს? ამდენადვე აუცილებელია ამ გრძნობის გარეგნული გამოხატვა თაყვანისცემით. ამიტომაცაა, რომ ქრისტეანები თაყვანს სცემენ უფალს გარეგნულადაც, შინაგანი შიშისა და სრული მორჩილების ნიშნად. ვინც გარეგნულ თაყვანისცემას ერიდება, ის საეჭვოდ ხდის, ნამდვილად განიცდის თუ არა შინაგანად ამ გრძნობას — კრძალვასა და მორჩილებას. და თუ ეს გრძნობები არა აქვს, რაღაა მაშ მისი ლოცვა? არსებობს გამოთქმა — ქედს არ იდრეკსო. ეს იმას ნიშნავს, რომ კაცს დაუმორჩილებელი სული აქვს, არავის არა სცნობს უფროსად. ასეთივე სული აქვს იმას, ვინც ლოცვის დროს მუხლს არ იყ-

რის. ცუდი ჩვევაა. უბრალოდ რომ ვთქვათ, ქედს არ იღრეკს, მერედა ვის წინაშე? ღმრთის წინაშე.

13) მწერ: „სანდო ხალხმა მითხრა, რომ თურმე არც ჩვენი ახალი მასწავლებელი და არც მისი მიმდევრები ეკლესიაში არ დადიან, წმიდანებს არ უხმობენ ლოცვებში, არც ღმრთის,-მშობელს, არც ანგელოსებს, არც მოციქულებს და წინასწარ-მეტყველებს, არც დიდ მღვდელმთავრებს, არც მოწამეებს და ღირს მამებს, მარხვებს არ ინახავენ, აღსარებას არ ამბობენ, ქრისტეს წმ. საიდუმლოებებს არ ეზიარებიან და დღესასწაულებს არ სცნობენ“.

ხედავ, რა ყოჩაღი ხალხია? ნამდვილი მალაკნები. თუმცა ინგლისელისაგან კი ისწავლეს მთელი ეს „სიბრძნე“. ჩვენი მალაკნები და დუხობორები საკუთარ თავს სულიერ ქრისტეანებად, ღმრთის კაცებად, წმიდანებად თვლიან, რომლებსაც გარეგნული საეკლესიო წესები აღარაფრად სჭირდებათ, არც რაიმე მოღვაწეობა, მაკურთხეველი საიდუმლოებები და მღვდელმოქმედება არგიათ რადმე. თქვენი პირღიებიც მაგ ყაიდის ხალხია. მაინც არ მესმის, რას დასდევთ კუდში იმ თქვენს ახალ მასწავლებელს, რატომ აძლევთ იმის ნებას, რომ ფუჭი ლაპარაკით გამოგიჭედოთ ყურები? შენ რაც თქვი, იქიდან სრულიად ნათელია, რომ იგი განუდგა წმიდა მართლმადიდებელ ეკლესიას, და თავის სწავლებას იმიტომ ქადაგებს, რომ თქვენც განგაშოროთ ეკლესიას და რაიმე სექტა შექმნას, ეკლესიისთვის უცხო და ღმრთისათვის შეუწყნარებელი. თქვენ კიდევ ისე ეწებებით, როგორც უგუნური ბუზები მოწამლულ სითხეს. იმის მოყოლას არ დაგიწყებთ, რომ თქვენი მასწავლებელიც და მთელი მისი გუნდიც მწარედ ცდება, ეკლესიასა და შენგან ჩამოთვლილ სხვა პუნქტებს რომ არ იღებს. მაგრამ გირჩევ წაიკითხო სტეფანე იავორსკის წიგნი „ლოდი სარწმუნოებისა“, სადაც ავტორი ყველა ამ პუნქტს იცავს და მათ უარმყოფელებს ამხილებს. ყურადღებით წაიკითხე და შეითვისე ეგ წიგნი. მაშინ ამ ლოდით დაუყოფ პირს სიცრუის მღაღადებელთ და შემუსრავ ჭეშმარიტების წინაშე მცოდველთა კბილებს, რომლებიც კადნიერად ამბობენ თავიანთ სათქმელს, ტყუილითა და ცბიერებით სავსეს. ეს წიგნი პროტესტანტების წინააღმდეგაა მიმართული, პროტესტანტები კი იგივე მალაკნე-

ბი არიან, ოღონდ გერმანელები. ისევე როგორც ეგ თქვენი სიახლის შემომტანები არიან ინგლისური ყაიდის მალაკნები.

14) მწერ: „ჩვენთან არ ესმით, რატომ სდუმან ჩვენი მწყემსები. ეს მასწავლებელი ყველგან მოგზაურობს, რაღაცეებს ცდილობს, ასწავლის, შთაგონებით ლაპარაკობს ჩვენები კიდევ ჩუმად არიან. ეკლესიაშიც იშვიათად თუ ქადაგებს რომელიმე მათგანი, მხოლოდ წირვა-ლოცვას ატარებენ. ცოცხალი სიტყვაცაა საჭირო, ის კი არსად ჩანს".

ერთ რამეს გკითხავ: რომელიმე თქვენგანი თუ მივიდა მოძღვართან და უთხრა, ასეა, ერთი მასწავლებელი გამოჩნდა ჩვენთან, თავს გვიყრის და გვასწავლის, ნახეთ ერთი, სწორად გვასწავლის თუ არაო? — არც ერთი. თუნდაც შენი მაგალითი ავიღოთ: ვინ იცის რამდენჯერ მომწერე მე, ცხრა მთას იქით მყოფს, და აზრადაც არ მოგსვლია შენი მოძღვრისთვის მიგემართა, რომელიც მანდვეა და ყოველ კვირას, ყოველ დღესასწაულზე ხედავ. მერე, მოძღვრებმა საიდან უნდა გაიგონ, რა ხდება თქვენთან ჩუმ-ჩუმად? თქვენი მოძღვარი მოდის ეკლესიაში, ხედავს თავის მრევლს, ეკლესიაში რომ შეკრებილა და გულმოდგინედ ლოცულობს, და მშვიდადაა, რადგან დარწმუნებულია, რომ მის სამწყსოში ყველაფერი რიგზეა. დოგმატები იცით, მცნებები გახსოვთ, ეკლესიას ემორჩილებით. რაღა უნდა გითხრათ? შეიძლება ხანდახან კიდევ ერთხელ განგიმარტონ რაიმე დოგმატი, მცნება ან საიდუმლო. მაგრამ ეს ასეც ხდება ხანდახან, როგორც თავადვე მწერ. უამისოდაც მთელი ჩვენი ღმრთისმსახურება ისეა შედგენილი, რომ გულისყურიან კაცს დოგმატებსაც შეახსენებს და ცხოვრების წესებსაც, და საერთოდ მთელი თავისი ქმედებით ღმერთთან კავშირს განამტკიცებს. და მხოლოდ ყოფნა ეკლესიაში განაახლებს მთელ რელიგიურ სულს, ეს ალბათ ყველას გამოუცდია. გეთანხმები, რომ მოძღვრები უფრო ხშირად უნდა ესაუბრებოდნენ სამწყსოს წევრებს ეკლესიაში და ეკლესიის გარეთ, მაგრამ იმაში კი ვერ დაგეთანხმები, რომ რაკიღა ასეთი საუბრები არ ტარდება, სამწყსო მთლიანად მოკლებულია ყოველგვარ სულიერ საზრდოს. სხვათა შორის, იმაშიც, რომ ასეთი საუბრები არ ტარდება, მზადა ვარ უფრო თქვენ, სამწყსო დაგადანაშაულოთ, ვიდრე თქვენი მწყემსები. სურვილი გა-

ძოთქვით, სთხოვეთ, და განა რომელი მოძღვარი გეტყ-
ვით უარს ასეთი კეთილი სურვილი ასრულებაზე? თქვენ
თვითონ ერიდებით მოძღვრებს, სადმე თუ შეხვდით, არც კი
ჩამოუგდებთ სიტყვას სარწმუნოების საკითხზე. თქვენი შემ-
ყურე აღარც ის ამბობს რაიმეს, და ეკლესიაშიც აღარ ქადა-
გებს, რადგან შიშობს, თავი არ მოგაბეზროთ და ეკლესიას არ
მოგწყვიტოთ. თუმცა მწყემსების დუმილს როდი ვამართლებ —
მათი ვალია კეთილი ინებონ და ილაპარაკონ, სამწყსომ კი უნ-
და უსმინოს. მხოლოდ იმის შეხსენება მინდა, რომ ამ ამბავ-
ში თქვენცა ხართ დამნაშავე. ამბობ: „ჩვენები სდუმან, ის კი
რაღაცეებს ცდილობსო". ცდილობს, იმიტომ რომ მოწაფეები
და მიმდევრები უნდა შეაგროვოს, და როცა შეაგროვებს, ისიც
გაჩუმდება, რადგან მის გარშემო თავმოყრილ მოწაფეებს უკ-
ვე ყველაფერი ეცოდინებათ, რასაც იგი ასწავლის. ისიც უნდა
ვიცოდეთ, რომ მცდელობა, ფუსფუსი, ყვირილი — ეს ყოვე-
ლივე სულაც არ არის სიჯანსაღის ნიშანი. სხეულს დააკვირ-
დი: როცა იგი ჯანმრთელია, მასში ყველა პროცესი მშვიდად
მიდის: პულსი აუჩქარებელია, სუნთქვა — წყნარი, გონება და-
დინჯებული, ნერვები და კუნთები ზომიერადაა დაძაბული.
მაგრამ როგორც კი სხეულში რაიმე ფუნქცია იშლება, მაშინ-
ვე ირღვევა ეს მშვიდი პროცესიც და სხეულის ჯანმრთელო-
ბაც ირყევა. ასევეა სარწმუნოებისა და ცხონების საქმეშიც.
თქვენ, მთელი თქვენი მრევლი, ხართ მცირე სხეული ეკლესი-
ისა. მშვიდად მიედინება თქვენში ყველა მაცხოვნებელი პრო-
ცესი: სარწმუნოებას იმარხავთ, ცდილობთ ქრისტეანულად
იცხოვროთ, საიდუმლოებებში მონაწილეობთ, საეკლესიო წე-
სებს იცავთ და ცდილობთ დაემორჩილოთ თქვენს მოძღვრებს.
საცხონებელი საქმეები თქვენთან სწორადაა წარმართული,
თუმცა თქვენ შორის გამორჩეული არავინ ჩანს. ჯანსაღი სხე-
ული შეუმჩნევლად ცხოვრობს და იზრდება, და ასევე თქვენც
ცხოვრობთ და იზრდებით სულიერად, თუმცა კი ეს შეუმჩნე-
ველია. ამრიგად, ის ამბავი, რომ ის აქეთ-იქით აწყდება და
ფუსფუსებს, თქვენთან კი ყველაფერი წყნარად მიდის, იმას
როდი ნიშნავს, რომ თქვენ მასთან შედარებით უარეს დღეში
ხართ, არამედ პირიქით, ეს მშვიდი დინება ცხონების საქმეში
სიჯანსაღის დასტურია. თქვენ კეთილად აღასრულებთ სული-

ერ ღვაწლს, მჩხავანას მდგომარეობა კი არაჯანსაღია, და აქეთ-იქით რომ აწყდება, იმას მაფიქრებინებს, რეტიანთაგანი უნდა იყოს-მეთქი. ცუდია, თუ ვინმე თქვენგანი რელიგიური ცხოვრების მშვიდი დინების დროს უდებებასა და უზრუნველობას ეძლევა. მაგრამ თუკი ყოველი კაცი ძალისაებრ გულმოდგინედ იქმს ყველაფერს, რასაც მისგან ქრისტეანული სინდისი მოითხოვს, და არავინ არაფრით გამოირჩევა სხვებისგან, მაშინ ჩვენი ცხონების საქმე სწორად მიდის, და მაშინ აღარაფერია სადარდებელი, ან რატომღა უნდა გაეკიდო ვიღაცას მხოლოდ იმიტომ, რომ ის რაღაც განსაკუთრებულს წარმოადგენს. გაიხსენე, რას გეუბნებოდი თავიდან მგალობელთა გუნდის შესახებ — ცუდად იქცევა ის, ვინც გამოირჩევა გუნდიდან. იგივე მაგალითი გამოდგება იმის დასტურადაც, რასაც ახლა გეუბნები.

ახლა კი, ვგონებ ყველაფერი გითხარი, რისი თქმაც მინდოდა შენი წერილის პასუხად. ალბათ შენც ხვდები, რომ ერთიღა შემიძლია დავუმატო ნათქვამს: მოეშვი მაგ ახალ მასწავლებელს, მოცთუნებულ მალაკანს, და, როგორც აქამდე, დღეიდანაც წმ. მართლმადიდებელი ეკლესიისა და მისი მწყემსების ერგულება დაიმარხე. სხვა შენიანებსაც იგივე ურჩიე. ვდიეთ ამ მჩხავანას, ვუყურეთ, მისი დაშაქრული საუბრებიც მოვისმინეთ და გვეყო. ეს სიკეთეს არ მოგვიტანს. ხოლო იმისათვის, რომ უფრო მტკიცედ იდგე სარწმუნოებაში და მისი ტკბილი სიტყვებით არ მოიხიბლო, იშოვე, როგორც უკვე გირჩიე, „ლოდი სარწმუნოებისა“ და იკითხე. ან უმჯობესია, ერთად შეიკრიბოთ ყველანი, ვინც ეკლესიისთვის უცხო, მწვალებლური საუბრებით შეიბღალეთ სმენა, და ერთად იკითხოთ, თან საკუთარ თავს აყვედროთ, მტრის ხლართებში რომ გაებით.

თარგმნა რ უ ს უ დ ა ნ ბ უ ა ჩ ი ძ ე მ.

მღვდელმონაზონი სერაფიმ როუზი

მღვდელმონაზონი სერაფიმე როუზი (ერისკაცობაში იუჯინ როუზი), იყო ჟურნალ „მართლმადიდებლური სიტყვის" ერთ-ერთი დამაარსებელი და რედაქტორი. მან საფუძველი ჩაუყარა წმიდა გერმანე ალიასკელის სახელობის მონასტრის შექმნას პლატინში (კალიფორნია. აშშ).

როუზი დაიბადა 1934 წელს კალიფორნიაში, იზრდებოდა ტიპიურ ამერიკულ პროტესტანტულ ოჯახში. კოლეჯის დამთავრების შემდეგ მან ბერკლის უნივერსიტეტში განაგრძო სწავლა, სადაც მიიღო ხელოვნებათა მაგისტრის ხარისხი. მართლმადიდებლობას იგი პირველად 1961 წელს გაეცნო, ჯორდანვილის სასულიერო სემინარიის კურსდამთავრებულის, ამჟამად იღუმენი გერმანეს ლექციაზე დასწრებისას. 1963 წელს ინგლისურენოვანი მოსახლეობის მოსაქცევად გადაწყდა შექმნილიყო ძმობა, რომელიც წმიდა გერმანე ალიასკელის სახელს ატარებდა. სერაფიმე როუზი ერთ-ერთი ავტორი იყო ამ მისიონერული ჩანაფიქრისა. თავდაპირველად ძმობა სან-ფრანცისკოში დაარსდა 1965 წელს. მათ დაიწყეს ჟურნალ „მართლმადიდებლური სიტყვის" გამოცემა, აგრეთვე გახსნეს ხატებისა და წიგნების მაღაზია, სადაც როუზი ხშირად იმყოფებოდა, რათა მომსვლელთა შეკითხვებზე ეპასუხა და სულიერად დაემოძღვრა ისინი. 1967 წელს ძმობამ სამონასტრო ცხოვრებისათვის შესაფერისი ადგილის ძებნა დაიწყო. მრავალი ძიების შემდეგ ჩრდილოეთ კალიფორნიაში ასეთი ადგილი მართლაც მოინახა და გადაწყდა მონასტრის მშენებლობა. 1970 წელს როუზი ბერად აღიკვეცა. მას მთის ფერდობზე პატარა კელია ჰქონდა აშენებული, სადაც განმარტოებით ცხოვრებასა და ლოცვით ღვაწლს ეწეოდა. აქ დაწერა მან წიგნები: „მართლმადიდებლობა და „მომავლის რელიგია", „სული სიკვდილის შემდეგ", ცნობილი წერილი „სამეუფო გზა" და სხვა. აქ ლოცულობდა და ემზადებოდა იგი იმქვეყნიური ცხოვრებისათვის. 1977 წელს იგი იეროდიაკონად იქნა ხელდასხმული, მცირე ხნის შემდეგ კი — მღვდელმონაზონად. მამა სერაფიმესთან ათასობით ადამიანი მოდიოდა სულიერი საზრდოს მისაღებად. ასე იხსენებს მას ერთი ახალგაზრდა კაცი, რომელმაც

ეს მონასტერი მოინახულა: „მონასტრის სულიერი მოძღვარი არის მამა სერაფიმე და მრავალი აქ სწორედ მის სანახავად მოდის. მისი წარსულის შესახებ ვიცით, რომ ის ამერიკელია, სან-ფრანცისკოდან, უაღრესად განათლებულია, დაამთავრა რამდენიმე უმაღლესი სასწავლებელი და მრავალი რელიგია საკმაოდ ღრმად შეისწავლა. მაგალითად, იუდაიზმს იგი ძველებრაულ ენაზე გაეცნო, კონფუცის მოძღვრებას კი — ძველ ჩინურზე. გარდა ამ ენებისა, იგი ინდურსაც ფლობს; ადრე იოგათი და ოკულტიზმითაც იყო გატაცებული, მაგრამ ერთხელ მართლმადიდებელ ეკლესიაში მოხვედრილა ლიტურღიის შესრულების დროს და მოხდა სასწაული, რომელმაც მთლიანად შეცვალა მისი ცხოვრება". სიცოცხლის ბოლო წლებში იგი თითქოს გრძნობდა აპოკალიფსური დროის მოახლოებას და ხშირად იმეორებდა ხოლმე: „ახლა გაცილებით უფრო გვიახია, ვიდრე თქვან გგონიათ". მამა სერაფიმე გარდაიცვალა 1982-წლის 2 სექტემბერს.

საუკუნოდ იყოს ხსენება მისი.

მღვდელმონაზონი სერაფიმ როუზი

სამეუფო გზა

> უკიდურესობანი ორკერძოითვე თნაბრად სახიფათონი არიანო, ნათქვამია. ჩვენ სამეუფო გზას უნდა მივსდიოთ და ორივე უკიდურესობისაგან ვეკრძალოთ.
>
> წმიდა იოანე კახიანე, „ხაუბრები"

მართლმადიდებელ ქრისტიანებს აწ ქრისტეს ეკლესიის ისტორიაში ერთ-ერთი გადამწყვეტი ჟამი დაგვიდგა. კაცთა გამოხსნის მტერი, ეშმაკი, ყოველი მხრიდან გვესხმის თავს და ყოველ ღონეს ხმარობს, რათა არა მარტო მორწმუნენი აცთუნოს ეკლესიის მიერ უწყებულ გზას ცხოვნებისა, არამედ, მაცხოვრის აღთქმისდა მიუხედავად (მათე 16. 18), თვით ეკლესიაც — გვამი ქრისტესი, და გადააქციოს იგი „ეკუმენისტურ"[1] გაერთიანებად, რომელიც გზას განუმზადებს ეშმაკისავე რჩეულს, ანტიქრისტეს, უკანასკნელ ჟამთა დიდ სოფლისმპყრობელს.

ჩვენ, რა თქმა უნდა, ვიცით, რომ სატანის ეს მეცადინეობა გაქარწყლდება, და ეკლესია ქრისტეს სასძლოდ დარჩება სოფლის აღსასრულამდე, რათა მეორედ მოსვლისას სიძეს თვისას — ქრისტეს წარუდგეს უმწიკვლო, აწინდელ დროთა ღმრთისგანდგომილებასთან კავშირის სიბილწით არშესვარული. გარნა დღეს ყოველი მართლმადიდებელი ქრისტიანის წინაშე საჭირბოროტო საკითხი აღიძვრის: ეკლესია გადარჩება, მაგრამ მრავალნიღა დავადგრებით მის თანა? მრავალნი შევძლებთ წინააღვუდგეთ მძლავრებას ეშმაკისა, რომელიც ეკლესიისგან მორწმუნეთა მოწყვეტას ცდილობს?

---

* ეკუმენისტური — ეკუმენიზმი არის მოძრაობა სხვადასხვა ქრისტიანულ მიმდინარეობათა გაერთიანებისათვის. წარმოიშვა პროტესტანტებში XIX ს. ბოლოს. თაოსნობს „ეკლესიათა მსოფლიო საბჭო". ეკუმენისტები მიზნად ისახავენ მთელი მსოფლიოს სხვადასხვა აღმსარებლობის ქრისტიანეთა გაერთიანებას, მაგრამ არა საერთო ჭეშმარიტი მრწამსისა და ეკლესიის წმიდა გადმოცემის საფუძველზე, არამედ სარწმუნოებრივი კომპრომისებითა და პოლიტიკური თანამშრომლობის გზით.

ჩვენი დრო ბევრი რამით ჰგავს წმიდა მარკოზ ეფესელის* ხანას, როდესაც ეკლესია ლამის შერთვოდა ლათინებს უკეთურ კავშირში. თუმცა არა, ჩვენი დრო უარესია და უსაშინლესი, რამეთუ მაშინ ეკლესიას გარედან აიძულებდნენ კავშირში შესვლას, ახლანდელი მართლმადიდებელნი კი დიდი ხნის მომზადებულნი არიან ყოველთა ეკლესიათა და რელიგიათა „ეკუმენური" შეერთებისათვის ათეული წლების უდებებით, განურჩეველობით, გამიწიერებითა და იმ დამღუპველ სიცრუესთან შეგუებით, რომ თითქოს ჩვენ არსებითად არაფერი განგვასხვავებდეს ყოველთა სხვათაგან, რომელნიც თავს ქრისტიანად მიიჩნევენ. მართლმადიდებელმა ეკლესიამ უარყო მცდარი ფლორენციული უნია**, მერმე შინაგანი აყვავებისა და გარეგანი კეთილდღეობის ჟამიც ჰქონდა, მაგრამ შემდგომად ახალი ცრუ კავშირისა, რომელსაც უმეტესი და უმეტესი ძალით ესწრაფვიან, გადარჩება კი სადმე მართლმადიდებლობა კატაკომბებსა და უდაბნოს გარე?

დღეს მეტი შესაძლებლობაა, ვიდრე ოდესმე ყოფილა უღმერთობის საუკუნეში მართლმადიდებელ გადმოცემათა დასაცავად ორმოცდაათწლიანი ბრძოლის მანძილზე, რომ ჭეშმარიტი და განუდრეკელი მართლმადიდებლობის ხმა ყოველსა ქვეყანასა განხდეს და მართლმადიდებელ ეკლესიათა მომავალ-

---

* მ ა რ კ ო ზ ე ფ ს ე ლ ი — XV ს. ეფესოს ეპისკოპოსი. მართლმადიდებლობის უდიდესი დამცველი, იერუსალიმის საპატრიარქოს წარმომადგენელი ფერარა-ფლორენციის კრებაზე (შენიშვნები ყველგან მთარგმნელისაა).

** ფ ლ ო რ ე ნ ც ი ი ს უ ნ ი ა — ეკლესიათა გაერთიანების ხელშეკრულება მართლმადიდებლებსა და კათოლიკეებს შორის. შედგა ფერარა-ფლორენციის კრებაზე 1437—1439 წ.წ. ამ ხელშეკრულების ძალით მართლმადიდებლებს უნდა ეცნოთ რომის პაპის პრიმატი, სარწმუნოების სიმბოლოში „და ძისაგან" ჩამატება და სხვა; თუმცა მშობლიურ ენაზე წირვა-ლოცვის უფლება კი რჩებოდათ. ამ დათმობაზე მიდიოდნენ ბიზანტიის კეისრის მოთხოვნით, რომელსაც ამის საფასურად რომის პაპი სამხედრო-პოლიტიკურ დახმარებას აღუთქვამდა. ხანგრძლივი კამათისა და ძალდატანების შემდეგ უნიას ხელი მოაწერა თითქმის ყველა მართლმადიდებელმა (ბიზანტიის, რუსეთის, სერბეთის და სხვა ქვეყნების მიტროპოლიტებმა და ეპისკოპოსებმა), გარდა მარკოზ ეფესელისა, საქართველოს ეკლესიის წარმომადგენლის გრიგოლ მანგლელისა, ისაია ქრისტინელისა და სოფრონი ანკირიელისა. უნია დამტკიცებულად სცნეს. მაგრამ რომის პაპმა, რა დარწმუნდა, რომ მარკოზ ეფესელი ხელს არ მოაწერდა, თქვა, ჩვენ ვერაფერს მივაღწიეთო. მართლაც. უნიამ მთელი მართლმადიდებელი მსოფლიო აღაშფოთა. 1443 წ. იერუსალიმის კრებამ განკვეთა უნიატები, საბოლოოდ კი უნია დაიგმო 1450 წ. კონსტანტინოპოლის კრებაზე.

ზე სასიკეთოდ იმოქმედოს. ამიტომ ფრიად მნიშვნელოვანია, რომ ეს სწორედ ჭეშმარიტი, ანუ წმიდა მამებისეული მართლმადიდებლობის ხმა იყოს. ზოგჯერ, სამწუხაროდ, თავისი არსებით კეთილგონიერ მართლმადიდებელ დამოკიდებულებას ერთი მხრივ გადააჭარბებენ, მეორე მხრივ — ვერ სწვდებიან ხოლმე. ამის გამო ზოგიერთს რჩება მცდარი შეხედულება, რომ თითქოს ჩვენს დროში ჭეშმარიტ მართლმადიდებელთა საქმე იყოს ერთგვარი „ექსტრემიზმი", „მემარჯვენე" რეაქცია ოფიციალური ეკლესიის წინააღმდეგ. ეს პოლიტიკური თვალსაზრისი ჭეშმარიტ მართლმადიდებელთა ბრძოლისთვის ამჟამად სავსებით მცდარია. პირიქით, ამ უკანასკნელ ხანს მართლმადიდებლობის რჩეული მოღვაწენი, საბერძნეთსა, რუსეთსა თუ განბნეულობაში, უბრუნდებიან წმიდა მამებისეულ გზას ზომიერებისა, ორ უკიდურესობას შორის საშუალისა, რომელსაც წმიდა მამები ს ა მ ე უ ფ ო გ ზ ა დ იტყვიან.

მოძღვრებას სამეუფო გზისთვის გვამცნებს, მაგალითად, წმინდა აბბა დოროთე „სწავლათა" X თავში, სადაც იგი ძირითადად „მეორე სჯულის" წიგნს ემყარება: „ნუ მისდრკები მარჯულ, ნუცა მარცხულ, არამედ გზასა სამეუფოსა ვიდოდეთ (2 სჯ. 5. 32, 17. 11), და წმიდაჲ ბასილი იტყვის, ვითარმედ, წრფელი გულითა იგი არს, რომლისა გული არა იყოს მოყვარე მეტისა, გინა ნაკლულისა, არამედ რათა დგეს იგი საშუალსა გზასა ზედა სათნოებათასა". მაგრამ ალბათ ეს მოძღვრება ყველაზე განცხადებულად ჰქადაგა V საუკუნის დიდმა მართლმადიდებელმა მამამ იოანე კასიანემ, რომლის წინაშე იგივე ამოცანა იდგა, რაც აწინდელ მართლმადიდებელთა წინაშეც დგას — აღმოსავლელ მამათა ჭეშმარიტი მოძღვრება უნდა განემარტა დასავლელ ქრისტიანეთათვის, რომელნიც, საიმდროოდ ჯერაც ჩვილნი სულით, უმეცარ იყვნენ აღმოსავლური სულიერი მოძღვრების სიღრმესა და სისრულეს, და მისი ხმევისას ერთი მხრივ განშვებად მიდრკებოდნენ, მეორე მხრივ — გადამეტებულ სიმკაცრედ. სამეუფო გზის მართლმადიდებლურ მოძღვრებას წმინდა იოანე კასიანე გადმოგვცემს „საუბრებში", რომელიც წმიდა იოანე კიბისაღმწერელმა აქო მშვენიერი და ამაღლებული ფილოსოფიისთვის:

ჯერ არს ჩ̣ვენდა, სრული მონდომებითა და ძალისხმევით

ვესწრაფოდეთ, რათა სიმდაბლითა ჩვენითა მოვიხვეჭოთ კურთხეული ნიჭი სიფრთხილისა, რაიც ნამეტნავისაგან ორკერძოითვე დაგვიფარავს, რამეთუ, მამათა თქმით, ორივე უკიდურესობისაგან კრძალვა გვმართებს: მარჯვნივ გარდამატებული მარხვით შევცვივით განსაცდელსა, მარცხნივ — უზრუნველობისობისაგან კრძალვა გვმართებს: მარჯვნივ გარდამეტებული მარცხენაზე" უარესია: „გარდამატებული დათმენა უფრორე გვავნებს, ვიდრე უძღებება, რამეთუ ამ უკანასკნელისაგან სინანულით კვალად მივიქცევით ჭეშმარიტსა გზასა, პირველისგან კი — ვეღარა" (რადგან საკუთარი „სათნოებით" აღძრული ამპარტავნება წინააღუდგება მდაბალ სინანულს, რომელიც უნდა ექმნეს კაცს საცხოვნებელად).

უკეთუ ამ მოძღვრებას ჩვენს დროს მივუსადაგებთ, ითქმის, რომ დღეს ჭეშმარიტი მართლმადიდებლობის სამეუფო გზა არის გზა საშუალო ორ უკიდურესობას შორის: ერთი მხრივ — ეკუმენიზმსა და რეფორმაციას, მეორე მხრივ — „შურსა საღმრთოსა არა მეცნიერებით" (რომ. 10. 2). ჭეშმარიტი მართლმადიდებლობა არც დრო-ჟამისაებრ იცვლება და არც იმას ცდილობს, რომ „სიფრთხილე", „სიმართლე" და „კანონიერება" (თავისთავად მშვენიერი თვისებები) გამოიყენოს ფარისევლური თვითკმაყოფილების, უნდობლობისა და განკერძოების შესანიღბად. გარნა ნუ გავრეცთ ჭეშმარიტ მართლმადიდებლურ ზომიერებას ნელთბილობასთან, განურჩევლობასთან ან პოლიტიკურ უკიდურესობათა მიმართ რაიმე სახის კომპრომისთან. „რეფორმისტული" სული ისე მოედო დღეს ქვეყანას, რომ ყოველი კაცი, „თანადროული სულისკვეთებით" ჩამოყალიბებული, ჭეშმარიტ მართლმადიდებლობას ფანატიზმისდაგვარ რადმე მიიჩნევს. მაგრამ ვინც უფრო ჩაუღრმავდება და წმიდა მამათა საზომით მიუდგება ამ საკითხს, დარწმუნდება, რომ სამეუფო გზა შორს არის ყოველგვარი ექსტრემიზმისგან.

ღმრთის განგებით საზღვარგარეთის რუსული მართლმადიდებელი ეკლესია ერთობ ხელსაყრელ ვითარებაში აღმოჩნდა საიმისოდ, რომ მეოცე საუკუნის მართლმადიდებლობაში დატრიალებული არეულობისდა მიუხედავად სამეუფო გზას არ ასცდენოდა. დევნილებასა და სიღარიბეში, იმ გარემოში, სა-

დაც მისი ერის სატკივარი ვერვინ გაიზიარა, რუსულმა ემიგრანტულმა ეკლესიამ მთელი ძალა რწმენის სიმრთელის დასაცავად მიმართა, რაც მის წევრთა ერთობას განამტკიცებდა. ამიტომ მისთვის თავისთავად მიუღებელი აღმოჩნდა საზოგადო ეკუმენისტური განწყობილება, დამყარებული რელიგიურ განურჩეველობასა და თვითკმაყოფილებაზე, ნივთიერ კეთილდღეობასა და უსულგულო ინტერნაციონალიზმზე. მეორე მხრივ იგი არც „მარჯვენა" უკიდურესობისკენ" მიდრეკილა, რისი ნიშანიც იქნებოდა, თუნდაც, მოსკოვის რუსული ეკლესიის საიდუმლოთა მადლსმოკლებულად გამოცხადება, რადგან გაითვალისწინა, რომ რუსეთის სერგიანული ეკლესია* თავისუფალი არ არის. ცხადია, უღმერთოთა ხელმწიფებაში მყოფ კრებულთან კავშირი არ ეგების, მაგრამ ჭეშმარიტი შეფასება მისი მდგომარეობისა სჯობს მივანდოთ რუსეთის ეკლესიის სამერმისო თავისუფალ კრებას.

ამ ბოლო დროს მთელს მსოფლიოში — რუსეთის კატაკომბურ ეკლესიასა, ამერიკის რუსულ ეკლესიასა თუ საბერძნეთის ძეძველსტილეთა** შორის — ჭეშმარიტ მართლმადიდებელთა ერთობის შეგნების ზრდამ ზოგიერთნი იმ დასკვნამდე მიიყვანა, რომ საჭიროა „აღმსარებელ ეკლესიათა საერთო ფრონტის შექმნა ოფიციალურ მართლმადიდებლობაში გაბატონებული ეკუმენისტური მოძრაობის წინააღმდეგ". გარნა დღევანდელ ვითარებაში ამის განხორციელება ნაკლებად შესაძლებელი ჩანს; ყოველ შემთხვევაში ასეთი „პოლიტიკური" თვალსაზრისი ჭეშმარიტი მართლმადიდებლობის ისტორიულ მისიას ერთობ გარეგნულად სახავს. „ეკუმენისტური" მართლმადიდებლობის, განურჩეველი, ნელთბილი, ღმრთის გარეგანი მართლმადიდებლობის წინააღმდეგ ჭეშმარიტ მართლმადიდებელთა პროტესტის საზომი ჯერაც დასადგენია, მეტადრე — რუსეთში; გარნა ყოვლად შეუძლებელია ამაოდ ჩაევლო

---

* სერგიანული ეკლესია — იგულისხმება 20-იან წლებში რეპრესირებული პატრიარქის ტიხონის შემცვლელი სერგი, რომელიც კომუნისტურ მთავრობასთან გარკვეულ კომპრომისებზე წავიდა.

** მეძველსტილენი — XX ს. დასაწყისში მართლმადიდებელ საპატრიარქოთა ნაწილი ახალ სტილზე გადავიდა. ელადის ეკლესიაში ზოგიერთმა დაჯგუფებამ არ სცნო შესწორებული კალენდარი და ძველ სტილსავე დაადგა.

მეოცე საუკუნის მრავალთა მოწამეთა, აღმსარებელთა და მართლმადიდებლობის სარწმუნო მოსაგრეთა მოწმობას. ღმერთმა დაიცვას თვისი მოშურნენი ჭეშმარიტი მართლმადიდებლობის სამეუფო გზაზე უფლისა და მისი წმიდა ეკლესიის ერთგულებით უკუნისამდე.

მართლმადიდებელი მსოფლმხედველობა

მოხსენების დასაწყისში მინდა რამდენიმე სიტყვით მოგითხრათ, რატომაა მნიშვნელოვანი მართლმადიდებელი მსოფლმხედველობის ქონა და რატომ გაძნელდა მისი მოღება დღეს უწინდელზე უმეტეს.

წარსულ საუკუნეებში მართლმადიდებელი მსოფლმხედველობა მართლმადიდებელთა ცხოვრების განუყოფელი ნაწილი იყო და მის არსებობას მთელი გარემომცველი სინამდვილე განაპირობებდა. რაიმე კერძო მოვლენად არც განიხილებოდა იგი — კაცნი მართლმადიდებლურად ცხოვრობდნენ, გარემომცველ მართლმადიდებელ საზოგადოებასთან თანხმობით. მრავალ ქვეყანაში მთავრობაც ამავე სარწმუნოებას აღიარებდა, მართლმადიდებლობა საზოგადოებრივი ცხოვრების საფუძველი იყო და, სხვათა უწინარეს, თავად მეფე თუ მთავარი აძლევდა ერს ქრისტიანული ცხოვრების მაგალითს. ყოველ ქალაქში იდგა მართლმადიდებელთა ტაძრები, სადაც ყოველ დილა-საღამოს ღმრთისმსახურება აღესრულებოდა; დიდსა და მცირე ქალაქებში, დაბნებსა და უდაბნოებში მონასტრები მოქმედებდა; მარტო რუსეთში ოფიციალურად აღნუსხულ მონასტერთა რიცხვი, სხვა ძმობათა ჩაუთვლელად, ათასს სჭარბობდა. მონაზვნობა საყოველთაოდ იყო მიღებული, თითქმის ყოველ ოჯახში იპოვებოდა მონაზონი სახლეულთაგანი — და, ძმა, ბიძა თუ პაპა... აღარას ვიტყვი მართლმადიდებელი ცხოვრების სხვა სახეებზე — მწირებსა და სალოსებზე. მთელი ყოფა განმსჭვალული იყო მართლმადიდებლობით, რომლის

ბურჯს, ცხადია, ბერ-მონაზვნები შეადგენდნენ. მართლმადიდებლური ჩვეულებანი მართლმადიდებელთა ცხოვრების ნაწილი იყო; ერში საკითხავ წიგნთა უმეტესობა — მართლმადიდებლური. ხალხის უმრავლესობა რთულ პირობებში ცხოვრობდა, თავის სარჩენად ბევრს შრომობდნენ, საწუთროს დიდად არ მინდობოდნენ, სიკვდილიანობაც ხშირი იყო... ყოველივე ეს ემოწმებოდა ქრისტეს მოძღვრებას ცათა სასუფევლის არსებობასა და სიახლოვეზე. ასეთ ვითარებაში მართლმადიდებლად ყოფნა მართლმადიდებელი მსოფლმხედველობის ქონასაც თავისთავად გულისხმობდა და ამას საგანგებო აღნიშვნა არ უნდოდა.

აწ საქმე სხვაგვარადაა. მართლმადიდებლობა მცირე კუნძულადღა შემორჩა სრულიად განსხვავებული პრინციპებით მცხოვრებ მსოფლიოში. და ეს პრინციპები დღითიდღე იცვლება, უფრო და უფრო გვაუცხოებს ამა სოფლისგან. დღესდღეობით მრავალ ადამიანს ემუქრება ცხოვრების ორად განწვალების საფრთხე: ერთი მხრივ — სამარადღეო ცხოვრებად, რაც-ცა არს სამსახური, საერისკაცო საქმენი, საამსოფლო მეგობრები... მეორე მხრივ — მართლმადიდებლობად კვირადღეობითა და მოცალეობის ჟამს. თუ დავაკვირდებით, ვნახავთ, რომ ამ ადამიანთა მსოფლმხედველობაში ხშირად უცნაურად თანააღრეულან ქრისტიანული და საამსოფლო ღირებულებანი, რომელნიც სინამდვილეში ურთიერთს არ ეთავსებიან. ჩვენი მოხსენების მიზანია მოვნიშნოთ, რა გზას უნდა დაადგეს ახლანდელი ადამიანი, რათა უფრო ღირებული, ყოვლადვე მართლმადიდებელი მსოფლმხედველობა დაიმკვიდროს.

მართლმადიდებლობა ცხოვრებაა. უკეთუ მართლმადიდებელივით არ ცხოვრობ, მართლმადიდებელი არა ხარ, ეკლესიის ფორმალური წევრობისდა მიუხედავად.

აწინდელ მსოფლიოში ცხოვრება ფრიად ხელოვნური, ფრიად უგულისხმო, ფრიად არეული გახდა. მართლმადიდებლებს თუმცა თავისი ადგილი აქვთ, მაგრამ დიდად არ განსხვავდებიან ქვეყნიერებისგან, ამიტომ თვით ჭეშმარიტი მართლმადიდებელი ქრისტიანების ცხოვრებაშიც ამა თუ იმ სახით მაინც აღიბეჭდება იგი. დღეს თვით მართლმადიდებლობაშიაც შემოვიდა ერთგვარი უგულისხმობა და არეულობა. ჩვენს მოხსე-

ნებაში შეეეცდებით ერთი მხრივ თანამედროვე საერო ცხოვრება მიმოვიხილოთ, მეორე მხრივ — მართლმადიდებლობა და ვნახოთ, რა გზას უნდა დავადგეთ, რათა უმჯობესად აღვასრულებდეთ ჩვენს ქრისტიანულ მოვალეობებს, ამ ბოროტ ჟამსაც ვრჩებოდეთ არასოფლისაგანნი* და ჩვენს აწინდელ ცხოვრებაზე გვეპოვებოდეს მართლმადიდებელი თვალსაზრისი, რომელიც ამგვარ გარემოში დაგვიცავს და რწმენის სიმრთელეს შეგვინარჩუნებს.

ცხოვრება აწ არანორმალური გახდა. უკეთუ თანამედროეობას განიხილავთ გარდასულ დროთა ამერიკის, რუსეთისა თუ ნებისმიერი დასავლეთევროპული ქვეყნის ნორმალური ყოფის ფონზე, უთუოდ განგაცვიფრებთ ახლანდელი ცხოვრების არანორმალურობა. ჩვენს დროში მკვეთრად შეიცვალა თვით ცნებები ავტორიტეტისა და მორჩილებისა, ღირსებისა და თავაზიანობისა, საზოგადოებრივსა თუ პირად ცხოვრებაში ქცევისა — ყველაფერი წინაუკმო დადგა, თუ არ ჩავთვლით ადამიანთა ცალკეულ ჯგუფებს, ძირითადად ამა თუ იმ მიმდინარეობის ქრისტიანთ, რომელნიც ეგრეთ წოდებული „ძველებური“ ცხოვრების წესის შენარჩუნებას ცდილობენ.

აწინდელი არანორმალური ცხოვრება შეიძლება დახასიათდეს, ვითარცა გარყვნილი და ნებიერი. ჩვენს დროში ბავშვს აკვნიდანვე ისე ანებივრებენ, თითქოს საოჯახო კერპი იყოს: ნებისმიერ სურვილს უსრულებენ, ყოველგვარ ჟინს უკმაყოფილებენ, სათამაშოებით, გასართობითა და კომფორტით აფუფუნებენ. მას არ განსწავლიან, არ ზრდიან ქრისტიანული ქცევის მკაცრ პრინციპთა შესატყვისად, არამედ იქით მიუშვებენ, საითკენაც წადილთა ნება მისდრეკს. საკმარისია „მინდა“ ან „არ მინდა“ თქვას, რომ დამყოლი მშობლები მსწრაფლ ქედს უხრიან და თავნებობის საშუალებას აძლევენ. ამგვარი დამოკიდებულება ისე გახშირდა, რომ შეგვიძლია აღზრდის თანამედროვე პრინციპადაც მივიჩნიოთ. თვით ყველაზე კეთილგო-

---

* ა რ ა ს ო ფ ლ ი ს ა გ ა ნ ნ ი — მაცხოვარი ასე მიმართავს მოციქულებს: „უკეთუმცა სოფლისაგანნი იყვნეთ, სოფელიმცა თვისთა ჰყვარობდა; რამეთუ არასოფლისაგანნი ხართ თქვენ, არამედ მე გამოგირჩიენ თქვენ სოფლისაგან, ამისთვის ჰსძულთ თქვენ სოფელსა“ (იოანე, 15. 19).

ნიერი მშობლებიც კი ვერ ახერხებენ მის თავიდან აცილებას. დაღათუმცა მშობლებს ეწადათ ყმაწვილის მკაცრი აღზრდა, ახლობელნი ეცდებიან სხვაგვარად ზემოქმედებას. ეს უნდა გავითვალისწინოთ ბავშვის აღზრდისას.

ბუნებრივია, ასე გაზრდილი კაცი მომავალშიაც არ მოიკლებს, რასაც ბავშვობიდან მიჩვეულა: კომფორტს, გართობას, მოზრდილთა თამაშებს... მისი ცხოვრება დაუსრულებელ გართობად იქცევა. წინათ ვერც ერთ ჭკუადამჯდარ საზოგადოებაში ვერ გაიგებდნენ ამ სიტყვის მნიშვნელობას. ახლანდელი ცხოვრება კი „გართობის“ გამუდმებულ ძიებადაა ქცეული. და ეს გართობა იმდენად უშინაარსოა, რომ მეცხრამეტე საუკუნის ადამიანი, ჩვენი პოპულარული ტელეპროგრამების, ატრაქციონების, რეკლამის, კინოფილმების, მუსიკის, ერთი სიტყვით, ჩვენი კულტურის თითქმის ყოველი დარგის მხილველი, იფიქრებდა, შეშლილთა ქვეყანაში მოვხვდი, სადაც ყოველდღიურ ცხოვრებასთან კავშირი სრულიად დაუკარგავთო. ჩვენ უმეტესწილად ვერც კი ვგრძნობთ ამას, რადგან თვითონაც ამავე საზოგადოების მკვიდრნი ვართ და ჩვენთვის ამგვარი ყოფა თავისთავად გაგებულსიხმეცია.

თანამედროვეობის ზოგიერთი მკვლევარი ახლანდელ ახალგაზრდობას „მე“-ს თაობას უწოდებს, ჩვენს დროს კი — ნარცისიზმის ხანას, აღბეჭდილს თავის თვისის თაყვანისცემისა და გაღმერთების ნიშნით, რაც კაცის ბუნებრივ განვითარებას აფერხებს. სხვანი უბნობენ „პლასტმასის სამყაროსა“ თუ ფანტასტიურ მსოფლიოზე, სადაც მრავლის უმრავლესი ადამიანი ცხოვრობს სინამდვილის პირისპირ ჭვრეტისა თუ მასთან შეგუების, ან საკუთარ შინაგან პრობლემებში ჩაღრმავების უნარდაკარგული.

როდესაც „მე“-ს თაობა რელიგიას მიმართავს, რაც უკანასკნელ ათწლეულებში ფრიად გახშირდა, მაშინაც, ჩვეულებრივ, რაღაც პლასტმასური თუ ფანტასტიური სახის რელიგიას მოძებნის ხოლმე. ასეთებია: „თვითგანვითარების რელიგია“ სადაც თაყვანისცემის ობიექტად საკუთარი „მე“ რჩება), გონების გამოწმენდა და აზრთა კონტროლი, „განღმრთობილი“

გურუსა თუ სვამის თაყვანისცემა, „ა. მ. ო.“*-სა და „კოსმოსელ სტუმართა“, არაბუნებრივ სულიერ მდგომარეობათა და შეგრძნებათა ძიება... აქ არ განვიხილავთ ამ მოვლენებს მრავალი ჩვენგანისთვის ალბათ ისედაც კარგად ცნობილთ, მხოლოდ აღვნიშნავთ, როგორ ზემოქმედებენ ისინი თანამედროვე მართლმადიდებელ ქრისტიანეთა სულიერ ცხოვრებაზე.

უკეთუ ჩვენს დროში ქრისტიანულ ცხოვრებას ვაპირებთ, ისიც უნდა გულისხმავყოთ, რომ ამ ფუფუნეული ეპოქის დამბადებელი მსოფლიო, რელიგიურსა თუ საერისკაცო ცხოვრებაში, ტოტალიტარულ მოთხოვნებს უყენებს სულს. ეს ნათლად ჩანს ამ ბოლო ჟამს საქვეყნოდ გავრცელებულ სულისდამასახიჩრებელ კულტებში, რომელნიც თვითმარქვია „წმიდათა“ მიმართ მორჩილებას ითხოვენ. მაგრამ ასევე თვალსაჩინოა ეს საერო ცხოვრებაში, სადაც კაცი აქა-იქ კი აღარ ხვდება ცალკეულ საცთურებს, არამედ გამუდმებული საცთურის ზემოქმედებაშია: ფონური მუსიკა იქნება ეს, მაღაზიებსა და დაწესებულებებში რომ ხმიანობს თუ — განცხადებები და რეკლამები ქალაქის ქუჩებში; როკ მუსიკა, ტყის ბილიკებსა და ბანაკებშიც რომ შეუღწევია, თუ — ტელევიზორი, იდუმალი სახლისგანმგებელი, რომელიც კაცს თანადროულ ღირებულებებს, თვალსაზრისებსა და გემოვნებას ახვევს თავს. ბავშვის პატრონები დამეთანხმებიან: ერთხელ თუ რამე იხილა ბავშვმა ტელევიზორში, მერე უკვე ძნელადღა შეუცვლით ახალშეძენილ თვალსაზრისს, ტელევიზიის ავტორიტეტით ჭეშმარიტებად დასახულს.

ეს ყოვლისმომცველი ცთუნება, თანამედროვე ადამიანებზე თავსდატეხილი, საერო ცხოვრებაში სრულიად აშკარად, რელიგიურში კი, ჩვეულებრივ, უფრო შეფარულად, ამგვარი მნიშვნელობის მქონეა: „იცხოვრე დღესინდელი დღით, განისვენე, იშვებდე, განსცხერ“!... ამ აზრს მიღმა ილანდება სხვა, უფრო შავბნელი ობერტონი, რომელიც დაუფარავად გაისმის ოდენ ოფიციალური ათეიზმის ქვეყნებში, ამ მხრივ ერთი ნაბიჯით რომ უსწრებენ თავისუფალ სამყაროს; დიახ, ჩვენ უნდა

* ა. მ. ო. — ამოუცნობი მფრინავი ობიექტები, ე. წ. მფრინავი თეფშები.

გულისხმავყოთ, რომ ის, რაც დღეს სოფელზე მოიწია, ერთია ყველგან — რკინის ფარდის მიღმა თუ თავისუფალ სამყაროში. ვარიანტები სხვადასხვაა, მაგრამ ჩვენი სულების მოსანადირებლად გამიზნული თავდასხმები მეტად მსგავსია. კომუნისტურ ქვეყნებში, სადაც კომუნიზმის დოქტრინა ოფიციალურად მოქმედებს, ყველა აშკარად მოუწოდებენ, დაივიწყონ ღმერთი და ყოველგვარი სხვა ცხოვრება აწინდელს გარდა, სულიდან განაძონ შიში ღმრთისა და წმიდათა პატივისცემა, მოსაწყვეტელ მტრებად შერაცხონ ძველებური გაგების მორწმუნენი... ამ ჩვენი უზრუნველი, გართობას აყოლილი, თავისმოტყუებას მინებებული დროის სიმბოლოდ ამერიკული დისნეილენდი გამოდგებოდა. მაგრამ მხედველობიდან ნუ გამოგვეპარება უფრო ავბედითი სიმბოლო, „მე"-ს თაობის ჭეშმარიტი გეზის განმცხადებელი: საბჭოთა გულაგი, საკონცენტრაციო ბანაკთა რკალი, რომელიც უკვე განაგებს თითქმის ნახევარ ქვეყნიერებას.

ორი მცდარი დამოკიდებულება

სულიერი ცხოვრებისადმი

იკითხავთ, რა კავშირი აქვს ყოველსაე ამას ჩვენთან, ვინც შეძლებისდაგვარად ფხიზელ მართლმადიდებელ ქრისტიანობას ვცდილობთო? — მჭიდრო კავშირი! ჩვენ უნდა გულისხმავყოთ, რომ გარემომცველი სოფელი, რაგინდ არანორმალური იყოს, ის ასპარეზია, სადაც ქრისტიანულ ცხოვრებას ვიწყებთ. რაოდენ სწორადაც უნდა ვცხოვრობდეთ, რაოდენ ჭეშმარიტი ქრისტიანული შინაარსითაც უნდა აღვივსებდეთ ცხოვრებას, მაინც შეგვრჩება „მე"-ს თაობის რაიმე ბეჭედი. საკმაო სიმდაბლე გვმართებს, რათა ეს ვსცნოთ. ამითვე დავიწყოთ.

არსებობს ორი მცდარი დამოკიდებულება სულიერი ცხოვ-

რებისადმი, რომელთაც მრავალნი მართლმადიდებელი ქრისტიანისთვის სანიმუშოდ მიიჩნევენ. პირველი, უფრო გავრცელებული, გულისხმობს, უბრალოდ, ჟამისაებრ სვლას — შეგუებას როკ მუსიკასთან, თანადროულ მოდებსა და გემოვნებებთან, და ჯაზის ეპოქის საერთო რიტმთან. ხშირად ამგვარი ცხოვრებისგან შორიელი, ძველმოდური მშობლებიც შემწყნარებელი ღიმილით უყურებენ, თუ ვითარ შეცვივიან შვილნი მათნი გულისთქმათა უცნაურთა და მავნებელთა.

ეს გზა ქრისტიანული ცხოვრების სრული გაცამტვერებაა, ეს არის სულის სიკვდილი. ზოგიერთნი ჯერაც ინარჩუნებენ გარეგნულ წესიერებას ამა სოფლის სულთან უბრძოლველად; მაგრამ შინაგან ესენიც მკვდარნი ან მომაკვდავნი არიან, და, რაც ყველაზე უფრო სავალალოა, სანაცვლოდ მათი შვილები ზღავენ სხვადასხვაგვარი სულიერი აშლილობითა და სნეულებით, რომლებიც უმეტეს და უმეტეს ვრცელდება. თავისმკვლელთა სექტამ რომ ეგზომ ეფექტურად დაასრულა არსებობა ამ ოთხი წლის წინ ჯოუნსთაუნში, მისი ერთ-ერთი ლიდერი ბერძენი მართლმადიდებელი მღვდლის ახალგაზრდა ქალიშვილი იყო; „ქისს“-ის მსგავსი სატანისტური როკ-ჯგუფები ყოფილი მართლმადიდებელი რუსი ჭაბუკებისგან შედგება... ეს ორიოდე თვალსაჩინო ნიმუშია. მართლმადიდებელთა უმრავლესობა ამ ზომამდე არ მიდის, ისინი ოდენ მისდევენ გარშემომყოფთ, გარემომცველ არაქრისტიანულ მსოფლიოს და ქრისტიანული ცხოვრების უმცირეს სახედაც აღარავის ექმნებიან. ეს არასწორია, ქრისტიანი უცხო უნდა იყოს სოფლისგან — ეს არის ერთ-ერთი უმთავრესი თვისება, რომლის შეძენაც აუცილებელია კაცის ქრისტიანად აღზრდისათვის. უმისოდ ნურავინ მიიჩნევს თავს ქრისტიანად, მით უფრო — მართლმადიდებელ ქრისტიანად.

მცდარია მეორე უკიდურესობაც, რომელსაც ცრუ სულიერება შეიძლება ეწოდოს. ჩვენს დროში, რაც უმეტესად ხელმისაწვდომი ხდება სულიერი ცხოვრების ამსახველი მართლმადიდებელი ლიტერატურა და უმეტესად ვრცელდება სულიერი ბრძოლის გამომხატველი ტერმინოლოგია, მით უმეტესთა და უმეტესთათვის იქცევა ბჭობისა და განმარტების საგნად

ისიქაზმი*, იესუს ლოცვა**, ასკეტური ცხოვრება, მაღალთა შინა ლოცვით გება და უაღმატებულესი წმიდა მამები — სიმეონ ახალი ღმრთისმეტყველი, გრიგოლ პალამა თუ გრიგოლ სინელი. ცხადია, თავისთავად ფრიად კარგია მართლმადიდებელი სულიერი ცხოვრების ამ ჭეშმარიტად საზეო საკითხთა ცოდნაცა და იმ დიდ წმიდათა პატივისცემაც, რომელნიც თავად შედგომილ იყვნენ მას. ოღონდ უდიდესი სიფხიზლითა და სიმდაბლით თუ არ ვსცანით, რაოდენ შორსაა ჩვენ ყოველთაგან ისიქასტთა ღვაწლი და რაოდენ მოუმზადებელნი ვართ მასთან მისაახლოებლადაც კი, მაშინ ჩვენი მისდამი ლტოლვა დარჩება მორიგ გამოხატვად ჩვენი ეგოცენტრული, პლასტმასის ეპოქისა.

ბოლო ხანებში ამ თემაზე ფრიად პოპულარული წიგნები იბეჭდება. კათოლიკენი, მართლმადიდებელთა გავლენით, თვითონაც აქტიურად გამოეძიებენ ამ საკითხებს და მართლმადიდებლებზეევე ახდენენ უკუგავლენას. მაგალითად, იეზუიტი მღვდელი ჯორჯ მელონი თარგმნის მაკარი დიდსა და სიმეონ ახალ ღმრთისმეტყველს, და ცდილობს ისიქასტებად აქციოს ყოველდღიურ ყოფაში ჩართული ადამიანები. მსგავსი მიზნების მისაღწევად იყენებენ ყოველგვარ „განმარტებას", ჩვეულებრივ — „ქარიზმატიულს"***. ადამიანებს ჰგონიათ, რომ მათზე სული წმიდა გარდამოდის, მიმართავენ ასკეზის ყველა სახეს, რომელიც კი წმიდა მამათაგან გვსმენია და რომლებიც ჩვენს ახლანდელ დონეს ბევრად აღემატება. ქალბატონი კატრინ დე ჰეტ დოჰერტი (რუსეთში დაბადებული და მერმე გაკათოლიკებული) ისე წერს წიგნებს უდაბნოზე, მდუმარებასა და სხვა მისთანებზე, რისი დანერგვაც ჰსურს ცხოვრებაში, თითქოს ახალ კამფეტებს უკეთებდეს რეკლამას. ამგვარი დამო-

---

* ი ს ი ქ ა ზ მ ი — მართლმადიდებელ ბერთა მოღვაწეობის ერთ-ერთი სახე — მოუკლებელი მდუმარება და სულიერი ლოცვა. მამები გვასწავლიან, რომ ღმერთი ღირსყოფს უველაზე უფრო განწმენდილთ, სულიერი თვალით იხილონ ხელთუქმნელი ნათელი ღმერთისა, [illegible] ფერისცვალებისას გამოუჩინა მოციქულთ. რიგითი ბერწმენისათვის ისიქასტური მოღვაწეობა, ცხადია, მიუწვდომელია.

** ი ე ს უ ს ლ ო ც ვ ა — წმიდა მამებისეული ღმადსულიერი, განსაკუთრებული ძალის ლოცვა. ისიქასტები ძირითადად ამ ლოცვას მიმართავდნენ.

*** ქ ა რ ი ზ მ ა — ნიჭი სულისა წმიდისა.

კიდებულება, ცხადია, მეტად ზერელეა და ჩვენი დროის ტრაგიკული ნიშნითაა აღბეჭდილი. საღმრთოდ გასაგონ საკითხებზე ხალხი ისე მსჯელობს, რომ წარმოდგენაც კი არა აქვთ, რას ეხებიან. ზოგიერთისთვის ეს ოდენ ჩვეულებაა, ან გასართველი; ხოლო მათთვის, რომელნიც სერიოზულად მოჰკიდებიან, საქმე შეიძლება დიდი ტრაგედიით დასრულდეს. ამ ადამიანებს ჰგონიათ, ღრმა სულიერი ცხოვრებით ვცხოვრობთო, ნამდვილად კი თავისი შინაგანი პრობლემებიც ვერ მოუგვარებიათ.

ნება მომეცით, კიდევ ერთხელ შეგახსენოთ, რომ ორსავე უკიდურესობას უნდა ვერიდოთ — გამიწიერებასაც და გადაჭარბებულ სულიერებასაც; გარნა ეს იმას კი არ ნიშნავს, რომ, ერთი მხრივ, ამა სოფლის კანონიერი მოთხოვნები უგულვებელვყოთ, ხოლო მეორე მხრივ, ისიქაზმის დიდ მამათა პატივისცემა დავუტევოთ და მათი გონიერი სწავლებით სარგებლობაზე უარი ვთქვათ, ან ჩვენი შესაძლებლობისა და გარემოებათა შესაფერი იესუს ლოცვა მოვიშალოთ. არა, ეს ყოველივე უნდა ვყოთ, ოღონდ ჩვენსავე დონეზე, მიწასთან ახლოს, საჭიროა (და დღესდღეობით ყოვლად აუცილებელია მართლმადიდებელ ქრისტიანად ყოფნისათვის), ნათლად შევიცნოთ, რა ეპოქაში გვიწევს ცხოვრება, რაოდენ ცუდად გულისხმავყოფთ და მცირედ ვგრძნობთ ჩვენს მართლმადიდებლობას, რაოდენ შორსა ვართ არამცთუ გარდასულ დროთა წმიდათაგან, არამედ ასიოდე წლის წინ, გინდა ერთი თაობის წინ მცხოვრებ უბრალო მართლმადიდებელ ქრისტიანთაგან, და რაოდენი ძალა უნდა ვიხმაროთ, რომ აწ თუნდაც თავი გავიტანოთ მართლმადიდებელ ქრისტიანებად.

სახელდობრ, როგორ მოვიპოვოთ ამგვარი დამოკიდებულება და როგორ ნაყოფიერ ვყოთ იგი ცხოვრებაში? შევეცდები, ამ კითხვას ორ ნაწილად ვიპასუხო. ცალკერძ განვიხილავ დამოკიდებულებას გარემომცველ სოფელთან, რომელიც აწ ცნობიერ მტრად გვექცა ესეზომ, რაზომ არასდროს ყოფილა ქრისტიანობის ისტორიაში; ცალკერძ — ჩვენს დამოკიდებულებას მართლმადიდებლობასთან, რომელსაც, ვშიშობ, ჩვენი უმრავლესობა ბევრად უარესად იცნობს, ვიდრე საჭიროა, ბევრად უარესად, ვიდრე უნდა იცნობდეს, თუკი მისი შენარჩუნება სურს.

უპირველეს ყოვლისა, ვინაიდან, გვინდა თუ არა, მკვიდრნი ვართ სოფლისა (და მისი გავლენა თვით ჩვენი მონასტრისაებრ მარტოქმნულ ადგილებშიაც ფრიად იგრძნობა), ხამს, რამეთუ ფხიზლად და წრფელად ვუმზერდეთ, გარნა არ დავყვეთ სოფელსა და საცთურთა მისთა. სახელდობრ, უნდა განვამზადოთ ჩვენი ახალგაზრდები მოსალოდნელ განსაცდელთათვის, უნდა ჩავუნერგოთ მათ ამქვეყნიურ საცთურთა წინააღდგომის უნარი. ჩვენ უნდა გულისხმავყოთ, რომ სოფელი იშვიათად თუ შეგვეწევა, ნიადაგ კი ხელს გვიშლის ყმაწვილის ჭეშმარიტი მართლმადიდებელი სულით აღზრდაში. მარადღე მზადყოფნა გვმართებს, რათა საწუთროს ზემოქმედებას ქრისტიანული აღზრდის კეთილგონიერი პრინციპები დავუპირისპიროთ — საამისოდ კი ყოველივე, რასაც ყმაწვილს სკოლაში ასწავლიან, შინ უნდა შევუმოწმოთ და გავუსწოროთ. ნუვინ იფიქრებს, რომ ყმაწვილის მიერ სკოლაში შეძენილი ცოდნა უბრალოდ სასარგებლო, ან საამსოფლო, მართლმადიდებლური აღზრდისაგან სრულიად განცალკევებული რამ იყოს. სკოლაში. შესაძლოა კიდეც შეასწავლონ გამოსადეგი ხელობა და საგნები (თუმცა ახლანდელ ამერიკულ სკოლებში ამასაც ვერ ართმევენ თავს. ბევრ მასწავლებელს უთქვამს ჩვენთვის, კლასში წესრიგის დამყარება თუ მოვახერხე, ისიც კარგია, სწავლებაზე ხომ ლაპარაკიც ზედმეტიაო), მაგრამ ამ შემთხვევაშიაც მრავალ მცდარ თვალსაზრისსა და დამოკიდებულებას უნერგავენ. მოზარდის ძირეული დამოკიდებულებანი და შე-

ფასებანი ლიტერატურის, ისტორიის, მუსიკის, ხელოვნების, ფილოსოფიის, თვით მეცნიერებისა და, ცხადია, ცხოვრებისა და რელიგიის მიმართ, სკოლიდან კი არ უნდა მოდიოდეს, სადაც თანამედროვე ფილოსოფიით შეზავებულს აწვდიან ყოველსავე, არამედ, უწინარესად, ოჯახიდან და ეკლესიიდან. უამისოდ არასწორ განათლებას მიიღებს იგი, რამეთუ დღეს საერთო განათლება უმჯობეს შემთხვევაში აგნოსტიკური ხასიათისაა, უარესში — ათეისტური ან ანტირელიგიური. საბჭოთა კავშირში, რაღა თქმა უნდა, მოზარდს ძალით ახვევენ თავს ამ ყველაფერს, ყოველგვარი რელიგიის გარეშე, ათეისტური აღზრდის აქტიური პროგრამის გამოყენებით.

მშობლებმა ზუსტად უნდა იცოდნენ, რას ასწავლიან მათს შვილებს სხვადასხვა ზოგადსაგანმანათლებლო კურსებზე, ამერიკის სკოლებში რომ თითქმის საყოველთაოდ გავრცელდა, და შინ შეუსწორონ ნასწავლი. ამასთან, გარდა გულახდილი დამოკიდებულებისა (განსაკუთრებით მამისა — ვაჟის მიმართ, რაც ესოდენ იშვიათია ამერიკაში), ჰმართებთ მკაფიოდ წარმოჩენა საკითხის ზნეობრივი ასპექტისაც, რასაც საზოგადოებრივი განათლება სავსებით უგულვებელყოფს.

მშობლებმა უნდა იცოდნენ, რა მუსიკას უსმენენ მათი შვილები, რა ფილმებს უყურებენ (თუ საჭიროება მოითხოვს, მათთან ერთად უსმინონ და უყურონ), რა ყაიდის მეტყველება ესმით, თავად როგორ მეტყველებენ, და ყოველსავე ამას ქრისტიანული შეფასება უპოვონ.

მათ, რომელთაც ტელევიზორის ფანჯრიდან გადაგდება ვერ გადაუწყვეტიათ, მკაცრი კონტროლი უნდა დააწესონ ამ მანქანის მომწამვლელი ზემოქმედების ასარიდებლად, რამეთუ ტელევიზორი ანტიქრისტიანულ შეხედულებათა და იდეათა მთავარი მასწავლებელი გახდა ოჯახში, მოზარდთათვის განსაკუთრებით.

ბავშვთა აღზრდაზე იმიტომ გესაუბრებით, რომ სოფელი, პირველ ყოვლისა, სწორედ ამ დროს მძლავრობს მართლმადიდებელ ქრისტიანებზე და თავის კვალობაზე აღზრდის მათ. ერთხელ თუ ჩამოუყალიბდა მოზარდს მცდარი დამოკიდებულება, მერმე მისი ქრისტიანული აღზრდა ერთიორად ძნელდება.

მაგრამ მარტო მოზარდნი კი არა, ჩვენ ყველანი ვდგავართ ამა სოფლის პირისპირ, რომელიც ცდილობს ანტიქრისტიანებად გვაქციოს სკოლის, ტელევიზიის, კინოს, პოპულარული მუსიკისა და მრავალი სხვის მეშვეობით, უპირატესად დიდ ქალაქებში რომ გვატყდება თავს. ჩვენ გვმართებს გულისხმავყოთ, რომ ყოველივე ეს ერთი სათავიდან მომდინარეობს. მას აქვს გარკვეული რიტმი, გარკვეული შინაარსი — ჩვენთვის განკუთვნილი; საკუთარი თავის სათნოყოფა, მოდუნება, ყველაფრის არადჩაგდება, განშვება, ზესთასოფელზე ყოველგვარი ფიქრის უარყოფა — ეს ყოველივე, სხვადასხვა სახით, ერთსადაიმავე შინაარსს შეიცავს — თავს გვახვევს უღმერთობას. ვინაიდან გვესმის, რას გვიპირებს ეს სოფელი, მაშასადამე თავის დასაცავად ბრძოლაც გვმართებს, თანაც ამ საკითხზე ჩვენი მართლმადიდებელ-ქრისტიანული თვალსაზრისის ჩამოყალიბებისა და საანჯმნოყოფის* გზით.

გულახდილად რომ ვთქვათ, თუ დააკვირდებით, როგორ ცხოვრობენ და რა სულიერ მემკვიდრეობას გადასცემენ თანამედროვე მართლმადიდებელი ოჯახები, იფიქრებთ, რომ ეს ბრძოლა, უმეტესწილად, წაგებული აქვთ. ნამდვილად, ძლიერ მცირეა იმ მართლმადიდებელ ქრისტიანეთა რიცხვი, რომელთაც საკუთარი სახე სრულებით შეუნარჩუნებიათ და თანადროული ქვეყნიერების კვალად არ იცვლებიან.

გარნა წუთისოფელს ყოვლადვე უვარგისად ნუ მივიჩნევთ. უკეთუ მართლმადიდებელ ქრისტიანებად გადარჩენა გვსურს, საკმაო გონიერებაც გვმართებს ქვეყნად არსებული ყოველი კეთილი შესაძინელის ჩვენი მიზნისათვის სახმევად. აქ განვიხილავ რამდენსამე საკითხს, რომლებსაც მართლმადიდებლობასთან თითქოს უშუალოდ არაფერი აკავშირებს, მაგრამ ჩვენი მართლმადიდებელი მსოფლმხედველობის სასიკეთოდ კი გამოგვადგება.

ყმაწვილი, თავიდანვე მიჩვეული კარგ კლასიკურ მუსიკას, ვისი სულიც ამ მუსიკის ზემოქმედებით აღშენებულა, ესეზომ აღარ დაჰყვება უხეში რიტმის, როკისა და თანამედროვე ფსევდომუსიკის სხვა სახეობათა საცთურს, რაზომ — სხვა, სამუ-

---

* ს ა ა ნ ჯ მ ნ ო ყ ო ფ ა — საჯაროდ გამოტანა, განცხადება.

სიკო აღზრდას მოკლებული. ამგვარი სამუსიკო აღზრდა, ზოგიერთ ოპტინელ ბერთა თქმით, განსწმედს და სულიერ ნაყოფთა მასაღებად განამზადებს სულს.

ყმაწვილი, მიჩვეული კარგ ლიტერატურას, დრამასა და პოეზიას, ვისაც სულით მათი ზემოქმედება უგრძვნია, ესე იგი, ჭეშმარიტი ტკბობა უგემია, ადვილად აღარ მოიხიბლება თანამედროვე კინოთი, ტელევიზიითა და მდარე რომანებით, რომელნიც სულს იავარჰყოფენ და ქრისტიანული გზიდან აცთუნებენ.

ყმაწვილს, რომელსაც კლასიკური ფერწერისა და ქანდაკების შვენიერების ჭვრეტა უსწავლია, იოლად ვეღარ გაიტაცებენ თანამედროვე ხელოვნების გულარძნილებანი* და აღარ მიიზიდავს თანადროული რეკლამისა და პორნოგრაფიის უგემოვნო ნაწარმი.

ყმაწვილი, რომელსაც მსოფლიოს ისტორიის, მეტადრე, ქრისტიანობის დროისა რაიმე გაეგება, იცის, როგორ ცხოვრობდა და რას ფიქრობდა ხალხი ძველად, რა საცთურებსა და საფრთხეებში შეცვიოდნენ ღმრთისა და მისთა მცნებათაგან განდგომილნი, რაოდენი დიდების ღირსნი გახდნენ სარწმუნონი უფლისა, შეიძლებს სჯას თანამედროვე ცხოვრებასა და ფილოსოფიაზე და აღარ მიმოიტაცება ყოველსა მას ქარსა მოძღვრებისასა. ახლანდელი სასკოლო განათლების ერთ-ერთი ხარვეზი ისიცაა. რომ მოზარდს წარსულთან კავშირის გრძნობას არ უვითარებენ. ეს საბედისწერო ნაკლი იმას მოასწავებს, რომ მოზარდს წარსულის მაგალითით სარგებლობის შესაძლებლობა ესპობა. ისტორია, არსებითად, ნიადაგ მეორდება. კაცმა უნდა იცოდეს, წარსულში როგორ წყვეტდა ხალხი საძნელო საკითხებს, რა ბედი ეწიათ ღმრთის წინააღმდგომთ, ან მათ, რომელთა ცხოვრებამ საჩინო მაგალითად მოატანა ჩვენს დრომდე. ისტორიის გრძნობა ფრიად მნიშვნელოვანია და ადრიდანვე უნდა ჩავუნერგოთ ყმაწვილებს.

საერთოდ, კაცი, რომელიც კარგად იცნობს საერო კულტურის რჩეულ ნიმუშებს, დასავლეთში თითქმის მოუკლებელად აშკარა რელიგიური, ქრისტიანული ელფერით შემოსილს,

---

* გულარძნილება — დამახინჯება, გამრუდება, გადახვევა.

ბევრად უკეთ შესძლებს ნორმალურ, ნაყოფიერ მართლმადიდებელ ქრისტიანად ყოფნას, ვიდრე იგი, რომელიც. ოდენ თანადროული პოპულარული კულტურის ამარა მოსულა მართლმადიდებლობაში. უშუალოდ როკ-კულტურიდან მართლმადიდებლობად მოქცეულთ, და მათაც, რომელთ ამგვარი კულტურისა და მართლმადიდებლობის შეთავსების იმედი აქვთ, კიდევ მრავალი ვნების დათმენა მოუწევთ, ვიდრემდე ჭეშმარიტი მართლმადიდებელნი გახდებოდნენ, რომელნი შემძლებელ იქნებიან სხვათაც სწავლად. მართლმადიდებელ მშობელთა შვილებს, უპირველად, უგულისხმოდ გაზრდილთ, თანამედროვე მსოფლიო შთანთქამს. საუკეთესო საერო კულტურა, მართებულად შეთვისებული, განწმენდს და აღაშენებს სულს, ხოლო აწინდელი პოპულარული კულტურა სწყლაპავს. ამახინჯებს და მართლმადიდებელ მოწოდებაზე ჯეროვან პასუხს უშლის სულებს.

ამიტომ, ამა სოფლის სულთან ბრძოლაში ჯერ არს ვიხმიოთ ის უმჯობესი, რისი შემოთავაზებაც სოფელს ძალუცს, რათა ამ უმჯობესსაც აღვემატოთ. ქვეყნად ყოველივე უმჯობესი ღმერთსა და მართლმადიდებლობაზე მიანიშნებს, და ჩვენ კი ამით სარგებლობა გვმართებს.

მართლმადიდებელი მსოფლმხედველობა

ამგვარი დამოკიდებულების მქონეთ (უკეთუ სოფლად კეთილსაც ვეძებრეტთ და ბოროტსაც), შეგვიძლია შევიძინოთ მართლმადიდებელი მსოფლმხედველობა, ესე იგი, მართლმადიდებელი თვალსაზრისი მთელს ცხოვრებაზე და არა ოდენ საეკლესიო საკითხებზე. დღეს, სამწუხაროდ, ფრიად გავრცელდა მცდარი აზრი, თითქოს მართლმადიდებლისთვის საკმარისი იყოს ეკლესიაში სიარული და ჩვეულებრივი „მართლმადიდებლური საქმიანობა“ — განსაზღვრულ ჟამს ლოცვა და პირჯვარის გადასახვა, დანარჩენ დროს კი — სხვებივით ცხოვრება და, რამეთუ ცოდვას არა იქმს, თანადროულ კულტურასა და ყოფას სავსებით თანაზიარება. უკეთუ კაცმა უწყის

მართლმადიდებლობის ძალი, ჭეშმარიტი მართლმადიდებელი ქრისტიანის მოვალეობათა ძალი, უწყის, აგრეთვე, თანამედროვე მსოფლიოს მიერ ჩვენზე დაკისრებულ მოვალეობათა და ტოტალიტარულ მოთხოვნათა რაობა, ადვილად შეამჩნევს ამ თვალსაზრისის სიმცდარეს: ვინც ყოველი დღის ყოველ ჟამს, ყოველ ცხოვრებისეულ სიტუაციაში მართლმადიდებელი არ არის, იგი საერთოდ არ არის მართლმადიდებელი. ჩვენი მართლმადიდებლობა ოდენ ჩვენი რელიგიური შეხედულებების სიზუსტეში კი არ ცხადდება, არამედ — ჩვენს თითოეულ სიტყვასა და მოქმედებაში. უმრავლესნი ჩვენგანნი თითქმის ვერცა გრძნობენ ქრისტიანულ პასუხისმგებლობას მათი საერისკაცო ცხოვრებისათვის; ხოლო რომელთაც ჭეშმარიტი მართლმადიდებელი მსოფლმხედველობა შეუმოსიათ, ცხოვრების ნებისმიერ საკითხში მართლმადიდებელნი არიან. აქ ისმის კითხვა: როგორ შევიძლოთ ყოველდღიურ ცხოვრებაში ჩვენი მართლმადიდებელი მსოფლმხედველობის გამოზრდა და განმტკიცება?

საამისოდ უპირველესი და უსაჩინოესი გზაა მოუკლებელი ზიარება ქრისტიანული საზრდოს წყაროსთან, რასაც ეკლესია გვაძლევს გასანათლებლად და საცხოვნებლად. ესენია: ღმრთისმსახურება და წმიდა საიდუმლონი, საღმრთო წერილი, წმიდათა ცხოვრება, წმიდა მამათა თხზულებანი. ცხადია, ჩვენი დონის შესაფერისი წიგნები უნდა ვიკითხოთ, საეკლესიო სწავლება კი ცხოვრებისეულ ვითარებათა შესატყვისად ვიხმიოთ — მაშინ მოიღებენ ისინი ნაყოფს, წარგვმართავენ და ქრისტიანებად გვაქცევენ.

გარნა ხშირად ეს უმთავრესი ქრისტიანული წყარონი ნაკლულად ზემოქმედებენ, ან სულაც არ ზემოქმედებენ ჩვენზე, რაც გამოწვეულია ჩვენი მცდარი დამოკიდებულებით მათ მიმართ, იმ ქრისტიანული ცხოვრების მიმართ, რომელსაც მათ უნდა შთაბერონ სული. ახლა ნება მომეცით მოგახსენოთ, როგორი უნდა იყოს ჩვენი დამოკიდებულება, უკეთუ გვსურს ჭეშმარიტი სარგებელი მოვიღოთ და ჭეშმარიტი მართლმადიდებელი მსოფლმხედველობის დასაბამად გვექმნან ისინი.

პირველ ყოვლისა, ქრისტიანული სულიერი საზრდო თავისი ბუნებით ცხოველი და ცხოველსმყოფელი რამ არის.

უკეთუ მისდამი წმინდად თეორიული და მწიგნობრული დამოკიდებულება გვექნა, ვერ მოვიღებთ მ-სგან ეაღლთ, რომელთა მონიჭებაც მას ძალუცს. ასე რომ, თუ ოდენ ინფორმაციის შესაძენად ან ჩვენი ცოდნით სხვათა წინაშე დასაქადებლად ვკითხულობთ მართლმადიდებლურ წიგნებს, თუ ოდენ საამისოდ გვინდა მართლმადიდებლობა, მაშასადამე არსებას ვერ ვწვდომივართ. უკეთუ ღმრთის მცნებებს, საღმრთო სჯულს, ქრისტეს ეკლესიის კანონებს მხოლოდ იმისთვის ვსწავლობთ, რომ „მართლად" ვიდოდეთ და სხვათა „უმართლობას" განვსჯიდეთ, მაშასადამე არსებას ვერ ვწვდომივართ. მათ მარტოოდენ ჩვენს აზრებზე კი არ უნდა იმოქმედონ, არამედ უშუალოდ ჩვენს ცხოვრებას უნდა შეეხონ და სცვალონ. კაცობრივ საქმეთა ყოველი დიდი კრიზისის,, კერძოდ — აწინდელი, თავისუფალ სამყაროზე მოწეული კრიზისის ჟამს დაცემა ელით სჯულის, კანონებისა და წესების ცოდნას მინდობილთ. გადარჩებიან ისინი, რომელთაც მართლმადიდებლური განათლებით ჭეშმარიტი ქრისტიანობა შეუმოსიათ, რომელთა მართლმადიდებლობა მათს გულებში დანერგულა და სხვათა გულების წვდომაც ძალუცს.

რაოდენ ტრაგიკულად გამოიყურება მართლმადიდებელ გარემოში აღზრდილი კაცი, რომელიც კატეხიზმოს იცნობს, წმიდათა ცხოვრებას კითხულობს, ღმრთისმსახურების ზოგიერთი სახე ესმის, მართლმადიდებლობის ზოგადი მიზნებიც გაეგება, მაგრამ ვერ მიმხვდარა, რა ხდება მის გარშემო. იგი საკუთარ შვილებს ორმაგი ცხოვრების სახედ ექმნება: ერთი მხრივ — უმრავლესობისაებრ, მეორე მხრივ — მართლმადიდებელთაებრ, კვირადღეებსა და მართლმადიდებლური წიგნების კითხვისას. ამ ორმაგი ცხოვრების შემყურე ყმაწვილი მართლმადიდებლობას ძნელადღა აირჩევს, იგი მისი ცხოვრების ერთობ უმნიშვნელო ნაწილადღა დარჩება, რამეთუ თანამედროვე ცხოვრება მეტისმეტად მომხიბლავია, მეტისმეტად ბევრნი მიელტვიან მას. იგი სინამდვილეს უცელის იმ ადამიანთ, რომელთათვის არავის უსწავლებია მისი მავნე ზემოქმედებისგან თავდაცვა და ყოველი კეთილი ქვეყნიერი შესაძინელის თავისდასასარგებლოდ ხმევა.

ამ მხრივ ჩვენი დამოკიდებულება უნდა იყოს მისაღები და

ბუნებრივი, რეალურ გარემოებათა შესატყვისი და არა წარმოსახვის, ცხოვრებისგან გაქცევის, საწუთროს უსიამო მოვლენათა უგულვებელყოფის შედეგი. ზედმეტად ამაღლებული, ღრუბლებში მოლივლივე, სათბურში გამოზრდილი მართლმადიდებლობა კაცს სამარადღეო ცხოვრებაში არას არგებს. საწუთრო ფრიად სასტიკია და ადამიანთა სულებს უხეშად სწყლავს. ჩვენ, უპირველესად, მღვიძარე ქრისტიანული სიყვარული და სულგრძელობა უნდა მივაგოთ, ხოლო ისიქაზმი და ლოცვის აღმატებული ხარისხები მათ დავუთმოთ, ვისაც წვდომა ხელეწიფება.

ჩვენი დამოკიდებულება უნდა იყოს არა ეგოცენტრული, არამედ—ღმრთისა და სულიერი ცხოვრების მეძიებელთა მიმართ მიქცეული. დღესდღეობით სადაც კი არსებობს ჩამოყალიბებული ქრისტიანული თემი, იმის საშიშროებაც დიდია, რომ იგი ვაქციოთ საკრებულოდ, რომელშიაც ურთიერთს მოვიკითხავთ და სიხარულს მოგვგვრის ჩვენივე სათნოებანი და მიღწევები, ჩვენი ტაძრებისა და სატაძრო აღჭურვილობის ქმნულკეთილება, ჩვენი ღმრთისმსახურების დიდებულება და თვით ჩვენი მოძღვრების შეურყვნელობაც კი. გარნა ჭეშმარიტი ქრისტიანული ცხოვრება, მოციქულთაგან მოყოლებული, წარმოუდგენელია სხვათა თანაზიარების გარეშე. მართლმადიდებლობა სწორედ იმითაა ცხოველი, რომ ჰნათობს ყოველთა და არ საჭიროებს „სამისიონერო განყოფილების“ დაწესებას. უკეთუ ჭეშმარიტი მართლმადიდებლობის ცეცხლი ჩვენთვისვე ოდენ შესაკრძალად და თავთა თვისთა სათნოყოფად გვინდა, მაშ, მკვდარნი ვყოფილვართ, დამფლველნი თვისთა მკვდართა; არადა სწორედ ამ მდგომარეობაშია დღესდღეობით მრავალი მართლმადიდებელი მრევლი, თვით ისინიც, რომლებშიაც ბევრი ახალგაზრდაა, რამეთუ სარწმუნოება ღრმად არ დანერგულა მათში. არ კმარა იმის თქმა, ახალგაზრდები ეკლესიაში დადიანო. ჩვენ ის ვიკითხოთ, რა მიაქვთ ეკლესიაში, რას იძენენ იქ, და თუ აღმოჩნდა, რომ მთელი მათი ყოფა არ განუმსჭვალავს მართლმადიდებლობას, მაშინ ამაოდ ითქმის, ახალგაზრდობა ეკლესიაში დადისო.

ამავე დროს კაცთა მიმართ ჩვენი დამოკიდებულება უნდა იყოს სიყვარული და სულგრძელება. დღეს მართლმადიდებ-

ლებში რაღაცნაირი გულქვაობა გაჩნდა: „მაგასთან ურთიერთობა ნუ გექნება, მწვალებელია“!.. „ეს იქნებ მართლმადიდებელიცაა, მაგრამ სარწმუნო არ უნდა იყოს“... „ეს კი ნამდვილად ჯაშუშია“... არავინ უარყოფს, — ეკლესია აწ მტრებითაა გარემოცული, და არიან ვიეთნიმე, რომელნიც უარს არ იტყოდნენ ჩვენი ნდობით სარგებლობაზე. გარნა ეს მოციქულთაგანვე ასე ყოფილა და, ამ პრაქტიკული მიმართებით, ქრისტიანად ყოფნა მუდამ გარკვეულ რისკს უკავშირდებოდა. ამიტომ, თუნდაც ზოგჯერ ჩვენით ისარგებლონ კიდეც და ამის გამო სიფრთხილე გვიხმს, მაინც ვერ გადავუხვევთ სიყვარულისა და ნდობის ჩვენი ძირეული პოზიციიდან, ურომლისოდაც ქრისტიანული ცხოვრების საფუძველთა საფუძველს მოვწყდებოდით. ქრისტეს გარეშე ქვეყანა ცივია და უნდობელი. ხოლო ქრისტიანებს პირიქით, სიყვარული და შემწყნარებლობა გვმართებს, თუ არა, ჩვენში ქრისტეს მარილი განქარდება და ამა სოფლისებრნი შევიქნებით, გამოსადეგნი ოდენ განგდებად გარე და დათრგუნვად კაცთა მიერ (მათე 5, 13).

ჩვენივე თავის შეფასებაში მცირედი სიმდაბლე სულგრძელებასა და მიმტევებლობას შეგვმატებს. ჩვენ სხვათა განკითხვა გვიყვარს უცხო საქციელისათვის, „ყვავებსა“ და „უცნაურ ახალმოქცეულებს“ ვუწოდებთ ერთმანეთს. კიდევაც უნდა ვეკრძალოთ ნამდვილ არეულ კაცთაგან, რომელნიც შემძლებელ არიან ფრიად აენონ ეკლესიას, მაგრამ ჩვენს დროში განა რომელი ჭკუადამჯდარი მართლმადიდებელი ქრისტიანი არ გამოიყურება ცოტა „უცნაურად“? ამა სოფლის ჩვეულებებს ჩვენ არ ვეთანადებით; ხოლო უკეთუ ვეთანადებით, მეტადრე — აწინდელ მსოფლიოში, მაშ ჭეშმარიტი ქრისტიანენიც არ ვყოფილვართ. ჭეშმარიტ ქრისტიანს არ ძალუცს საწუთროში თავს კარგად გრძნობდეს და საკუთარსა თუ სხვის თვალში ცოტა „უცნაური“ არ ჩანდეს. საბჭოთა კავშირსა და ბევრ სხვა ქვეყანაში საკმარისია კაცი არასოფლისაგანი ქრისტიანობის იდეალს მისდევდეს, ან ზრდასრული კაცი განცხადებულად პირჯვარს იწერდეს, რომ ფსიქიატრიულში ამოყოს თავი. ეს ქვეყნები კი მთელს მსოფლიოს უკვალავენ გზას.

ამიტომ, ნუ შეგვაშინებს, რომ ერში „უცნაურებად“ მიგვიჩნევენ და კვლავაც დავიმარხოთ ქრისტიანული სიყვარული

და სულგრძელება, რომელთაც სოფელი ვერასოდეს გაიგებს, თუმცა გულის სიღრმეში საჭიროებს და სწყურია კიდეც.

დასასრულ, ჩვენი ქრისტიანული დამოკიდებულება უნდა იყოს — უმჯობესი სიტყვის ნაკლებობის გამო ვუწოდებ — უბრალო. აწინდელ მსოფლიოში დიდი მნიშვნელობა ენიჭება სირთულეს, საამსოფლო გამოცდილებას, „პროფესიონალიზმს". მართლმადიდებლობა არარა ფასს არ სდებს ამ თვისებათ, ისინი კლავენ ქრისტიანულ სულს. და მაინც, ისინი განუწყვეტლად შემოდიან ეკლესიასა და ჩვენს ცხოვრებაში. რაოდენ ხშირად მოისმენთ, მეტადრე, აღფრთოვანებულ ახალნერგთაგან, მართლმადიდებლობის დიდი ცენტრების მოხილვის სურვილს, ეკლესია-მონასტრებისა, სადაც ათასობით მორწმუნე იკრიბება, საეკლესიო საკითხები განიხილება და მართლმადიდებლობის დიდმნიშვნელოვანება იგრძნობა. მართლმადიდებელთა რიცხვი მცირეა დანარჩენ მსოფლიოსთან შედარებით, მაგრამ ამ დიდ ეკლესია-მონასტრებში იმდენი ხალხი იყრის თავს, რომ გეგონებათ, თითქოს ქვეყნად მართლმადიდებლობა სჭარბობდეს... და რაოდენ ხშირად იხილავთ იმავე კაცს შესაბრალის მდგომარეობაში, როდესაც სურვილის აღსრულების შემდეგ „მართლმადიდებლობის დიდი ცენტრიდან" ბრუნდება პირქუში და გაწბილებული, საამსოფლო-საეკლესიო ჭორებით გავსილი, განკითხვით სნეული და მარტოოდენ თავისი „მართლმადიდებლობისა" და „საეკლესიო პოლიტიკაში გამოცდილებისთვის" მზრუნველი. ერთი სიტყვით, ამ კაცს დაუკარგავს „უბრალოება", „არასოფლისაგანობა", გზას ასცდენია ეკლესიის ცხოვრების საამსოფლო საკითხებით მონუსხული.

ამგვარი განსაცდელი სხვადასხვა სახით ყოველი ჩვენგანის წინაშე დგას და ჩვენ მასთან ბრძოლა გვმართებს. ნუ დავუშვებთ, რომ ეკლესიაში გარეგნულს მიენიჭოს ზედმეტი მნიშვნელობა, არამედ მარადჟამს „კეთილი ნაწილი" გამოვირჩიოთ, რომელი ერთი მხოლო არს სახმარ — ქრისტე, და განვეშოროთ ყოვლისაგან ნათესავისა ბოროტისა. ცხადია, კი არ უნდა გავუუმეცარდეთ საამსოფლო და საეკლესიო საქმეებს — მათი ცოდნა თვით ჩვენთვისვეა საჭირო, — ოღონდ ცოდნა ხამს წრფელი, ფხიზელი, სადაგი, და არა რთული და ამქვეყნიური.

ყოველი მართლმადიდებელი ქრისტიანისთვის, რომელიც გულისხმაყოფს, რა ხდება მის გარშემო, ნათელია, რომ სოფელი აღსასრულს უახლოვდება. ნიშნები ეამთანი ეგსომ თვალსაჩინონი არიან, რომ შეიძლება ითქვას: სოფელი მოსწრაფებით ირღვევა.

რა ნიშები გვაქვს მხედველობაში?

— სოფლის არანორმალურობა: ჩვენთა დღეთა მსგავსი უცხო, არაბუნებრივი მოვლენები და საქციელნი ადრე არასდროს შეუწყნარებიათ როგორც რამ თავისთავად ნაგულისხმევი. მოდით, გადავხედოთ ჩვენს გარემომცველ სოფელს — რას წერენ გაზეთებში, რა ფილმებს აჩვენებენ, რას გადმოსცემენ ტელევიზიით, რას მიიჩნევს ხალხი საგულისხმოდ და თავშესაქცევად, რაზე იცინიან — ეს ყოველივე შემზარავია. და არიან ვიეთნიმე, რომელნიც განზრახ ხელს უწყობენ ყოველსავე ამას, ცხადია, თავისივე სარგებლისათვის და იმის საფუძველზე, რომ ხალხში არსებობს მახინჯი მისწრაფება მსგავსი საგნებისადმი.

— ბრძოლანი და ამბავნი ბრძოლათანი, ერთიმეორეზე უფრო შემზარავნი და ულმობელნი. ყველაფერს კი ჩრდილავს საშიშროება იგავმიუწდენელი ბირთვულ კატასტროფისა, რომელიც ღილაკზე თითის ერთი დაჭერით შეიძლება დაგვატყდეს თავს.

— საყოველთაო სტიქიური უბედურებანი: მიწისძვრები და ახალ-ახალი ვულკანები (უახლესი ჩვენს სიახლოვეს იწყებს მოქმედებას, ცენტრალურ კალიფორნიაში, იოსემიტის ნაკრძალში), რომელნიც უკვე ცვლიან დედამიწის კლიმატს.

— ინფორმაციის ცენტრალიზაცია და პიროვნების კონტროლის ზრდა: ამის მაგალითია ლუქსემბურგში ამოქმედებული ახალი გიგანტური კომპიუტერი, რომელსაც შეუძლია დედამიწის თითოეულ მცხოვრებზე აწარმოოს დოსიე. მისი კოდური მერია „66“, ხოლო მასთან მომუშავე პერსონალმა მეტსახელად „მხეცი“ შეარქვა. ამ ტიპის კომპიუტერთა მუშაობის გაიოლების მიზნით ამერიკის ხელისუფლება აპირებს 1984 წლიდან შემოიღოს სოცუზრუნველყოფის ჩეკები რომელთა ნომრები

(კოდური რიცხვის 666-ის აშკარად შემცველნი) მოქალაქეებს ხელზე ან შუბლზე ექნებათ აღბეჭდილი. აპოკალიპსის მიხედვით კი (თავი 13) სწორედ ეს უნდა იქცეს ძირითად მოთხოვნად ანტიქრისტეს მეუფების ჟამს. ცხადია, არ ვგულისხმობ, რომ „666"-ით აღბეჭდილი პირველივე კაცი ანტიქრისტე ან მისი მსახური იქნება, მაგრამ საყოველთაო თუ გახდა ეს მოთხოვნა, ვინღა შეძლებს წინააღმდეგობას? ხალხს ჯერ ამას მიაჩვევენ, მერე კი ანტიქრისტეს თაყვანისცემასაც აიძულებენ.

— ქრისტემტყუართა და ცრუ წინასწარმეტყველთა მომრავლება: უკანასკნელმა კანდიდატთაგანმა სწორედ წლევანდელ ზაფხულს ალბათ მილიონობით დოლარი დახარჯა, რათა მსოფლიო ტელევიზიით რეკლამა გაეკეთებინა თავისი გარდაუვალი გამოცხადებისთვის, თანაც საიმდროოდ დედამიწის ყოველ მოსახლეს ტელეპატიური შეტყობინება აღუთქვა. ამგვარ საქმეებში მონაწილედ საგულვებელ სხვადასხვა ოკულტურ ძალთა გარდა ჩვენთვის უკვე ისიც კარგადაა ცნობილი, რომ რადიოთი და, მით უფრო, ტელევიზიით შესაძლებელია არაცნობიერ სიგნალთა გადაცემა, და რომ ჩვეულებრივ ტელე-რადიო სიგნალებში ჩართვა, ყოველგვარი კანონიერი აკრძალვისდა მიუხედავად, ძალუცს ყველას, ვისაც კი ტექნიკური საშუალება მოეპოვება საამისოდ.

— ჰეშმარიტად ავისმაუწყებელი რეაქცია ახალ ფილმზე, ამერიკაში ლამის ყველამ რომ ნახა და ყველას სალაპარაკოდ აქვს: მილიონობით ადამიანი, გარეგან ნორმალური, ნდობასა და სიყვარულს გამოთქვამს ფილმის გმირის, „კოსმოსიდან მოვლენილი მხსნელის" მიმართ, რომელიც აშკარად დემონია. ეს უკვე განცხადებული მზადებაა მომავალი ანტიქრისტეს თაყვანსაცემად (სიტყვას მოყვა და ამერიკის ბერძნული საარქიეპისკოპოსოს ოფიციალურ გაზეთში კინოს განყოფილების რედაქტორი, მართლმადიდებელი მღვდელი, მთელი გულით უქებს მართლმადიდებელთ ამ ფილმს: ეს მშვენიერი ფილმი სიყვარულს გვასწავლის და ყველამ უნდა ნახოსო. რაოდენ მკვეთრია განსხვავება მათ შორის, ვინც მოვლენებში გარკვევას ცდილობს და ვინც ოდენ საზოგადო განწყობილებას აჰყოლია).

სხვა მაგალითებისა და წვრილმანების მოტანაც შემეძლო, მაგრამ თქვენი დაშინება კი არ განმიზრახავს, მინდა დაგანა-

ხოთ, რა ხდება ჩვენს გარშემო. ჭეშმარიტად, აწ უკვე უფრო გვიანია, ვიდრეღა ჩვენ ვჰგონებთ. აპოკალიპსი აწვე აღესრულება, და რაოდენ სამწუხარო სახილველნი არიან ქრისტიანენი, მეტადრე — ახალგაზრდები, მართლმადიდებელი ახალგაზრდობა, რომელთაც კარს მოსდგომიათ ეს წარმოუდგენელი განსაცდელი და მათ კი ჰგონიათ, რომ ამ საშინელ დროსაც შეუძლიათ განაგრძონ ეგრეთ წოდებული „ნორმალური ცხოვრება“, ბოლომდე თანაეზიარონ გულისწადილებს უგუნური, თავისმაცთუნებელი თაობისა — რომელსაც ეჭვადაც არ მოსდის, რომ სულელთა სამოთხე, სადაც ჩვენ ვცხოვრობთ, საცაა დაიქცევა — და სრულიად განუმზადებელნი შეხვდებიან მოსალოდნელ ბოროტ ჟამს. დღესდღეობით საკითხი ის კი აღარ არის, „კარგი“ მართლმადიდებელი ქრისტიანენი ვიქნებით თუ „ცუდი“, დღეს საკითხი ასე დგას — შევინარჩუნებთ თუ ვერა, საერთოდ, რწმენას?! მრავალნი ვერ შეინარჩუნებენ... მომავალი ანტიქრისტე იმდენად მომხიბლავი იქნება, იმდენად თანაშეეწყობა დროის სულს, ამა სოფლის სულს, რომლისკენაც ჩვენ მივისწრაფით, რომ უმრავლესობა ვერც კი შეიტყობს თავისი ქრისტიანობის წარწყმედას, ისე თაყვანისსცემს მას.

მაგრამ ქრისტეს მოწოდება კვლავაც აღწევს ჩვენამდე. მოდით, ყური მივუპყრათ მას. აწ ყველაზე განცხადებულად ეს მოწოდება მოისმის დამონებული, უღმერთო სამყაროდან, სადაც ჯერ კიდევ ნამდვილად არსებობს დევნილება ქრისტესთვის, არსებობს ცხოვრების სერიოზულობა, რომელსაც ჩვენ სწრაფად ვკარგავთ, თუ არ დაგვიკარგავს უკვე. რუმინელი მართლმადიდებელი მღვდელი გეორგ კალჩუ ამჟამად კომუნისტურ საპატიმროში კვდება, რადგან სტუდენტებსა და სემინარისტებს თამამად მოუწოდა, განეშორებინათ ბრმა შემსჭვალულება ჟამთა სულისადმი და ქრისტეს სამსახურად გასულიყვნენ. ათეიზმის სიცარიელეზე რა ისაუბრა, მან ასე მიმართა თანამედროვე ახალგაზრდებს: „მე თქვენ ბევრად უმეტეს აღფრთოვანებად მოგიწოდებთ, თავის თვისის სრულ უარყოფად, კადნიერებად, რათა არად შერაცხოთ სიბრძნე ამის სოფლისა. მე მოგიწოდებთ თქვენ უფლისა მიმართ, რომელსაც უძლევიეს სოფელი. მოგიწოდებთ, რათა სცნათ სულის სიხარულის დაუსრულებელი სამოთხე, რასაც თქვენ ბრმად ეძიებთ თქვენსა-

ვე ჯოჯოხეთში, ეძიებთ უნებლიე წინააღდგომის ჟამსაც კი. იესუმ გამოგირჩიათ და შეგიყვარათ, და აწ თქვენ გეძლევათ არჩევანი მის მოწოდებაზე საპასუხოდ. პასუხი ნიშნავს განემზადოთ, რათა წახვიდეთ და ნაყოფი გამოიღოთ და ნაყოფი თქვენი ეგოს სავსებით, რათა იყოთ ქრისტეს მოციქულნი ამა სოფლად, რათა შეიყვაროთ მოყვასი თქვენი, ვითარცა თავი თვისი და ყოველი კაცი მეგობრად შერაცხოთ, რათა ყოველი თქვენი საქმით მიუთხრობდეთ ერთადერთსა და უსაზღვრო სიყვარულს, რომელიც მონას ღმრთის მეგობრად შეიქმს, რათა მოციქულნი იყოთ ამ განმათავისუფლებელი სიყვარულისა, რომელიც ყოველი კრულებისაგან გიხსნით და სიწმიდეს მოგმადლებთ, როგორც კი ღმერთს განუკუთვნებთ თავს".

ახალგაზრდებს, რომელთაც მამა გეორგი მიმართავს, გული არ მიუწევდათ ქრისტეს ეკლესიის სამსახურად, რადგან მიღებული ჰქონდათ ამქვეყნიური შეხედულება (ჩვენთვის, თავისუფალი სამყაროს მკვიდრთათვისაც ასევე ჩვეულებრივი), თითქოს ეკლესია ოდენ შენობათა ერთობლიობა ან საამსოფლო დაწესებულება იყოს. მამა გეორგი მათთან ერთად ჩვენც მოგვიწოდებს, უფრო ღრმად ჩავწვდეთ ქრისტეს ეკლესიის რაობას და ვსცნათ, რომ ცხოვნებისათვის ეკლესიის ფორმალური წევრობა არ კმარა.

ქრისტეს ეკლესია ცხოველია და თავისუფალი. ჩვენ მასში ვიქცევით და ვართ ქრისტეს მიერ, რომელიც არის თავი გვამისა მის ეკლესიისა. მასში ჩვენ დავიმკვიდრებთ თავისუფლების სავსებას, ეკლესიაში უნდა ვსცნათ ჭეშმარიტი და ჭეშმარიტება განგვათავისუფლებს ჩვენ (იოანე 8. 32). ქრისტეს ეკლესიაში ხართ ყოველთვის, რაჟამს დაცემულს აღადგენთ, გლახაკს მოწყალებას აძლევთ ან სნეულს მიჰხედავთ; ქრისტეს ეკლესიაში იმყოფებით, რაჟამს სულგრძელი ხართ და მომთმენი, რაჟამს ძმისადმი რისხვას განიშორებთ, თუნდაც მისგან გულმოწყლული იყოთ. ქრისტეს ეკლესიაში ხართ, რაჟამს ლოცულობთ: „მიუტევე, ღმერთო"!, რაჟამს პატიოსნად აღასრულებთ სამუშაოს, დამაშვრალი, მაგრამ პირნათელი შედიხართ შინ, რაჟამს ბოროტების წილ სიყვარულს მიაგებთ — ამ დროს ხართ თქვენ ქრისტეს ეკლესიაში. ნუთუ ვერ ხედავ,

ჭაბუკო, მეგობარო, რაოდენ ახლოა სუფევა ქრისტესი? შენ ხარ კლდე, და ამას კლდესა ზედა აღაშენოს ღმერთმან ეკლესია თვისი და ბჭენი ჯოჯოხეთისანი ვერ ერეოდენ მას. მაშ აღვაშენოთ ტაძრები ჩვენი რწმენით, ტაძრები, რომელთაც ვერავითარი ამქვეყნიური ძალა ვერ დაარღვევს, ეკლესია, რომლის საფუძველია ქრისტე! იგრძენ, რომ გვერდით ძმა გყავს. ნურასდროს იტყვი, ეს ვინ არისო. სჯობს თქვა: „იგი უცხო არ არის, ჩემი ძმაა, ჩემსავით იგიც ქრისტეს ტაძარია“.

რადგანაც გულში ეს მოწოდება გვაქვს, მაშ ჭეშმარიტად განვუკუთვნოთ თავი ქრისტეს ეკლესიას, მართლმადიდებელ ეკლესიას. ეკლესიის გარეგნული წევრობა არ კმარა, ჩვენს შინაგან უნდა მოხდეს ძერა, რაც გარემომცველი სოფლისგან უცხოდ შეგვიქმს, თუნდაც ეს სოფელი „ქრისტიანულად“ და „მართლმადიდებლურადაც“ კი რაცხდეს თავს. მაშ შევიკრძალოთ და ვზარდოთ ჭეშმარიტი მართლმადიდებელი მსოფლმხედველობის ზემოთდასახელებული თვისებები: ცხოველი, ბუნებრივი დამოკიდებულება, მოყვარული და მიმტევებელი, არა ეგოცენტრული, მაგრამ ჩვენი უბრალოებისა და არასოფლისაგანობის დამცველი მაშინაც კი, რაჟამს სავსებით და მდაბლად ვუწყით უსჯულოება ჩვენი და ძალა ზედამოსეულ საცთურთა ამა სოფლისათა. უკეთუ ჭეშმარიტი მართლმადიდებელი მსოფლმხედველობით ვიცხოვრებთ, ჩვენი რწმენა გაუძლებს მოსალოდნელ დარტყმებს, და შთაგონებისა და ცხოვნების წყაროდ ექმნება მათაც, რომელნიც აწღა შეუდგებიან ქრისტეს ძიებას, თუნდაც უკვე აღსრულებად მიწევნულ წუთისოფელში.

თარგმნა ზაზა მთვარაძემ
1982 წ.

სერაფიმ როუზი

„მართლმადიდებლობა და „მომავლის რელიგია“

თავი VI

ზეციური სასწაულები

(ამოუცნობი მფრინავი ობიექტების — „მფრინავი თეფშების“ (მართლმადიდებლურ-ქრისტიანული ახსნა)

მეორე მსოფლიო ომისშემდგომ ათეულ წლებში შეინიშნება აღმოსავლური რელიგიური კულტების მომრავლება და დასავლეთში მათი გავლენის გასაოცარი ზრდა. პარალელურად ჩაისახა და მომძლავრდა ამავე პერიოდში მოვლენა, რომელსაც, ერთი შეხედვით, თითქოს არავითარი კავშირი არ უნდა ჰქონდეს რელიგიასთან; თუმცა, ახლოს თუ განვიხილავთ, იგი აღმოჩნდება „შემდგომ ქრისტიანული ხანისა და „ახალი რელიგიური შეგნების“ ნიშანი — ისევე, როგორც აღმოსავლური რელიგიური კულტები. ეს მოვლენაა „ამოუცნობი მფრინავი ობიექტები“. იგი შეინიშნება მსოფლიოს თითქმის ყველა კუთხეში მას შემდეგ, რაც 1947 წ. აღნიშნულ იქნა პირველი „მფრინავი თეფში“.

ადამიანის ბუნებისათვის ჩვეულმა გულუბრყვილობამ და ცრუმორწმუნეობამ — რაც ჩვენი ეპოქისთვისაც ისევე დამახასიათებელია, როგორც კაცობრიობის ისტორიის ნებისმიერი პერიოდისათვის, გამოიწვია ის, რომ ეს მოვლენა დაუკავშირეს ფსიქიურად დაავადებულთა ამალას, რომლებითაც სავსეა კულტურული სამყარო. თუმცა, მისდამი ინტერესი გამოამჟღავნა საკმაოდ სერიოზულმა და პასუხისმგებელმა პირებმა; ასე რომ, შეიქმნა სახელმწიფო საკვლევი ცენტრები და ამ საკითხთან დაკავშირებით გამოქვეყნდა ცნობილ მეცნიერთა რამოდენიმე წიგნიც. ამ გამოკვლევებმა ამ ობიექტების, როგორც ფიზიკური რეალობის ამოცნობაში, დადებით შედეგს ვერ მიაღწიეს. თუმცა უახლესი თეორიები, ადრე წამოყენებულებთან შედარებით, უფრო დამაკმაყოფილებლად ხსნიან

ამ ფენომენის არსს. მაგრამ მათ მივყავართ „რეალურობის ზღვართან“ (ასე ჰქვია ერთ-ერთ ახალ სამეცნიერო წიგნს ამ თემაზე), ფსიქიკური და სულიერი რეალობის ზღვრამდე, რისი კვლევის არავითარი შესაძლებლობაც ამ მეცნიერებს არ გააჩნიათ. საღმთო წერილსა და მართლმადიდებლური ეკლესიის წმიდა მამების შრომებში თავმოყრილი მდიდარი ცოდნა, რაც სწორედ ამ მეორე რეალობას ეხება, აძლევს მართლმადიდებელ ქრისტიანს პოზიციას, უნიკალურს თავისი უპირატესობით, საიდანაც მას შეუძლია ამ ახალი ჰიპოთეზების და თვით ამოუცნობი მფრინავი ობიექტების მოვლენის შეფასება.

მართლმადიდებელ ქრისტიანს თვით ფენომენებზე უფრო მეტად მათთან დაკავშირებული მენტალობა (აზროვნების წესი) აინტერესებს: როგორ ხსნის ხალხი „ამოუცნობ მფრინავ ობიექტებს“ და რატომ? ერთერთი პირველი მეცნიერი, რომელიც ამ მოვლენებს სერიოზულ გამოკვლევაში ამგვარი პოზიციით მიუდგა, იყო ცნობილი შვეიცარელი ფსიქოლოგი კ. გ. იუნგი. თავის წიგნში „მფრინავი თეფშები: თანანედროვე მითი საგნებზე, რომლებიც ჩანს ცაზე“ (1959), იგი განიხილავს ამ ფენომენს, როგორც უპირველეს ყოვლისა, რაღაც ფსიქოლოგიური და რელიგიური მნიშვნელობის მქონეს. და თუმცა იგი არ ცდილობს ამოიცნოს ისინი როგორც „ობიექტური რეალობა“, მაინც სწორად მიუთითებს ადამიანური ცოდნის იმ სფეროზე, რომელსაც ისინი განეკუთვნებიან, თანამედროვე მეცნიერები, თუმცა ამ პრობლემას „ობიექტური“ და არა ფსიქოლოგიური მხრიდან უდგებოდნენ, აღიარებენ იმის აუცილებლობას, რომ ამ მოვლენის ასახსნელად საჭიროა „ფსიქიკური“ ჰიპოთეზები.

ამოუცნობი მფრინავი ობიექტების მოვლენას თუ რელიგიური და ფსიქოლოგიური თვალსაზრისით შევხედავთ, უპირველეს ყოვლისა საჭირო იქნება, ამ საკითხის ისტორიის გააზრება იმ ტერმინებით, როგორითაც ჩვეულებრივ განმარტავდნენ „მფრინავ თეფშებს“ (ისინი, ვისაც მათი არსებობა სწამთ) 40-იანი წლების პირველი დაკვირვებებიდან მოკიდებული, რის დანახვას ელის ხალხი ცაზე? ამ კითხვაზე პასუხს ადვილად ვიპოვით პოპულარული სამეცნიერო-ფანტასტიკური ლიტერატურის მოკლე მიმოხილვაში.

I. სამეცნიერო ფანტასტიკის სული

სამეცნიერო ფანტასტიკის მემატიანეები მის წარმოშობას მე-19 ს-ის დასაწყისს მიაკუთვნებენ. ზოგი მის სათავეებს ეძებს ედგარ ალან პოს მოთხრობებში, რომლებიც თავის მხრივ დამაჯერებელი რეალისტური სტილის „საიდუმლოს" და ოკულტურ შინაარსთან შერწყმას წარმოადგენს. სხვები, პირველ მეცნიერ ფანტასტად მიიჩნევენ პოს თანამედროვე ინგლისელ მწერალ ქალს მერი უოლსტონკრაფტ შელლის (ცნობილი პოეტის ცოლს); მისი „ფრანკენშტეინი" ანუ „თანამედროვე პრომეთე" არის შეთავსება ფანტასტიკური მეცნიერებისა ოკულტიზმთან, რაც შემდგომ დამახასიათებელი გახდა მრავალი სამეცნიერო-ფანტასტიკური წიგნისათვის.

მაგრამ, ტიპიური სამეცნიერო-ფანტასტიკური წიგნები გაჩნდა უფრო მოგვიანებით, მე-19 ს-ის ბოლოსა და მე-20 ს-ის დასაწყისში, დაწყებული ჟიულ ვერნითა და ჰერბერტ უელსით და დღევანდელი დღით დამთავრებული. 30-იან 40-იან წლების სამეცნიერო ფანტასტიკა მეორე ხარისხოვანი, ძირითადად ამერიკული პერიოდიკის „მაკულატურული" ლიტერატურული ჟანრიდან იქცა უკანასკნელი წლების საკმაოდ რესპექტაბელურ ინტერნაციონალურ ლიტერატურულ ჟანრად. გარდა ამისა, ბევრმა კინო-სურათმა, რომლებსაც გაუგონარი წარმატება ჰქონდათ, გვიჩვენა თუ რამდენად დაიპყრო ფართო მასების წარმოდგენა სამეცნიერო ფანტასტიკის სულმა. 1950 წლების უფრო მდარე და სენსაციურმა სამეცნიერო ფანტასტიკურმა ფილმებმა ადგილი დაუთმეს სხვა მოდურ „იდეურ" ფილმებს, მაგ.: „2001: კოსმოსური ოდისეა", „ვარსკვლავთ ომები"[1] და „მესამე რიგის ახლო კონტაქტები", რომ აღარაფერი ვთქვათ ყველაზე პოპულარულ და ხანგრძლივი სიცოცხლის მქონე სატელევიზიო სერიალზე „კოსმოსური ექსპედიცია"[2].

სამეცნიერო ფანტასტიკის სული გამომდინარეობს იმ ფილოსოფიისა და იდეოლოგიისაგან, რომელიც მას საფუძვლად უდევს და რომელსაც პრაქტიკულად იზიარებს ყველა სამეც-

---

[1] «Star Wars»
[2] «Star Trek»

ნიერო ფანტასტიკის სფეროში მოღვაწე, თუმცა იგი უფრო მეტად იგულისხმება, ვინემ გამოიხატება სიტყვიერად. ეს ფილოსოფია შეიძლება შემდეგ ძირითად პუნქტებად ჩამოვაყალიბოთ:

1. რელიგია, ტრადიციული გაგებით, არ არის წარმოდგენილი, ანდა წარმოდგენილია ძალზედ ზედაპირულად ან დამახინჯებულად. თავისთავად ეს ლიტერატურული ჟანრი უეჭველად გვეელინება „ქრისტიანობის შემდგომი“ ერის პროდუქტად. სამყარო, სამეცნიერო ფანტასტიკაში, მთლიანად ერულია, თუმცა, არცთუ იშვიათად, ოკულტური ან აღმოსავლური ხასიათის მისტიკური ობერტონების მატარებელი. „ღმერთი“, თუკი იგი საერთოდ იხსენიება, იხსენიება როგორც განუსაზღვრელი და არა პიროვნული ძალა და არა როგორც პიროვნული არსება (მაგ. „ძალა“ — „ვარსკვლავთ ომები“. კოსმოსური ენერგია, როგორც კეთილი ასევე ბოროტი მხარის შემცველი). თანამედროვე ადამიანის სამეცნიერო ფანტასტიკური თემებით სულ უფროდაუფრო მეტად გატაცება, ტრადიციული რელიგიური ღირებულებების დაკარგვის პირდაპირი ასახვაა.

2. სამეცნიერო-ფანტასტიკური სამყაროს ცენტრად (ნაცვლად ღმერთისა, რომელიც არ არის წარმოდგენილი) გვეელინება ადამიანი — არა ისეთი, როგორიც ამჟამადაა, არამედ როგორიც იგი „გახდება“ მომავალში, თანამედროვე ევოლუციის მითოლოგიის შესაბამისად. და თუმცა, სამეცნიერო-ფანტასტიკურ ისტორიებში ჯერ კიდევ შეიძლება ადამიანების ცნობა, ავტორის მთელი ინტერესები მიმართულია მათ ურთიერთობაზე სხვადასხვა სახის სუპერმენებთან („ზეადამიანებთან“) მომავალი დროის (ხანდახან წარსულისაც) მაღალგანვითარებული რასით დაწყებული და სხვა გალაქტიკის ბინადრებით დამთავრებული. სხვა პლანეტებზე „მაღალ განვითარებული“ გონიერი სიცოცხლის არსებობის იდეა იმდენად იქცა თანამედროვე შეგნების ნაწილად, რომ თვით ანგარიშ გასაწევ მეცნიერულ (და ნახევრად მეცნიერულ) მსჯელობებში ისინი წარმოდგენილია როგორც თავისთავად ცხადი. ასე მაგ., წიგნების ერთ-ერთი პოპულარული სერია (ერიხ ფონ დანიკენ „ღმერთების ეტლები“, „ღმერთები კოსმოსიდან“) გვაძლევს საკარაუდო მოწმობებს ძველ ისტორიაში „არამიწიერი“ არ-

სებების ანუ „ღმერთების“ არსებობის შესახებ, რომლებთაც მიაწერენ ადამიანში გონის გაღვიძებას, რაც ჩვეულებრივი ევოლუციის თეორიით ძნელი ასახსნელია. საბჭოთა კავშირში სერიოზული მეცნიერები მსჯელობენ იმის თაობაზე, რომ სოდომისა და გომორის განადგურება მოხდა ბირთვული აფეთქების შედეგად, რომ „არამიწიერი“ არსებანი უკვე მრავალი საუკუნის წინათ ეწვეოდნენ ხოლმე დედამიწას, რომ იესო ქრისტე, შესაძლოა იყო „კოსმონავტი“, და რომ დღეს ჩვენ იქნებ ვდგევართ კოსმიური სამყაროდან გონიერი არსებების „მეორედ მოსვლის წინაშე“[1].

ასევე სერიოზულ მკვლევარებს დასავლეთში იმდენად სწამთ „არამიწიერი გონიერი არსებების“ არსებობა, რომ სულ უკანასკნელი 18 წლის განმავლობაში ცდილობენ მათთან კონტაქტის დამყარებას რადიოტელესკოპების მეშვეობით, და ამჟამადაც მსოფლიოს ასტრონომები არა უმცირეს 6 ადგილისა, ეძებენ გონივრულ რადიოსიგნალებს კოსმოსიდან. თანამედროვე კათოლიკე და პროტესტანტი „ღვთისმეტყველები“, — რომლებიც მიჩვეული არიან მიჰყვნენ მეცნიერებას საიოაც არ უნდა მივყავდეთ მას, — თავის მხრივ მსჯელობენ სიახლეზე „ეკზოთეოლოგიის“ („კოსმოსური სამყაროს ღვთისმეტყველება“) დარგში „არამიწიერი“ რასების შესაძლებელ ბუნებაზე იხ. ჟურნ. „Time“, 24 აპრილი, 1978 წ.) თითქმის შეუძლებელია უარყოფა იმისა, რომ მითი, რომელიც ბადებს სამეცნიერო ფანტასტიკას, ფლობს დაუძლეველ მიმზიდველ ძალას თვით ბევრი სწავლულისათვის ჩვენს დროშიც.

სამეცნიერო-ფანტასტიკურ ლიტერატურაში მომავალი „ევოლუცია გავლილი“ არსებები უცვლელად გვეელინებიან როგორც თანამედროვე კაცობრიობის ყოველგვარ შეზღუდვებზე, და განსაკუთრებით „პიროვნების“ საზღვრებზე „ამაღლებული“ არსებები. როგორც სამეცნიერო ფანტასტიკის

---

1 Sheila Ostvander and Lynn Schvoeder. Psychic Discoveries Behind the Jron Curtain. Bantam Books. 1977, pp. 98-99. Вячеслав Зайцев, «Гости и космоса», Спутник, янв. 1967. «Храмы и корабли», Спутник, янв. 1968.

„ღმერთი". ადამიანიც გახდა უპიროვნო. არტურ კლარკის წიგნში „ბავშვობის დასასრული", ადამიანთა ახალი მოდგმა წააგავს ბავშვებს, ყოველგვარ ინდივიდუალობას მოკლებული სახეებით, ისინი უკვე მზად არიან შემდგომი „ევოლუციური" ტრანსფორმაციებისათვის — რათა საბოლო ჯამში შთანთქმულ იქნან უსახო „უმაღლესი გონის" მიერ. საერთო ჯამში, სამეცნიერო-ფანტასტიკური ლიტერატურა — ქრისტიანობისაგან განსხვავებით — და აღმოსავლური აზროვნების ზოგიერთ სკოლასთან სრული თახმობით — „ევოლუციურ განვითარებასა" და „სულიერებას" ხედავს ინდივიდუალობის სულ უფრო და უფრო მეტად დაკარგვაში.

3. მეცნიერ-ფანტასტებს მომავლის სამყარო და კაცობრიობა ესახებათ, როგორც თანამედროვე მეცნიერული აღმოჩენების გარკვეული პროექცია; სინამდვილეში კი, ეს „პროექციები" გასაოცრად ახლოს დგას მრავალი საუკუნის ოკულტური და აშკარად დემონური ცდების ყოველდღიურ რეალობასთან. მომავლის „მაღალგანვითარებულ" არსებებს ახასიათებთ შემდეგი თვისებები: ურთიერთობის დამყარება ტელეპატიის მეშვეობით, ლევიტირების უნარი, უნარი მატერიალიზირებისა თუ დემატერიალიზირების, საგნების ხილული ფორმის გარდაქმნა, ანდა „ილუზორული სცენებისა და არსებების შექმნა „წმინდა აზრის" მეშვეობით, გადაადგილების დიდი სისწრაფე, რომელიც თანამედროვე ტექნიკის შესაძლებლობებს ძალზედ აღემატება, დედამიწაზე მცხოვრები არსებების სხეულის დაუფლება; გარდა ამისა, „სულიერი" ფილოსოფიის განვითარება, რომელიც „ყველა რელიგიაზე მაღლა დგას" და გვიქადის მდგომარეობას, რომელშიც „განვითარებული გონიერი არსებები" აღარ იქნებიან დამოკიდებული მატერიაზე. ეს ყველაფერი ჯადოქრებისა და ეშმაკების სტანდარტული ფანდები და დაპირებებია. სამეცნიერო-ფანტასტიკის ისტორიის ახალ წიგნში აღნიშნულია, რომ „სამეცნიერო ფანტასტიკის თანამედროვე ასპექტს წარმოადგენს სწრაფვა გასცდეს ნორმალური ცდის ფარგლებს... იმით, რომ წარმოადგინოს მოქმედი პირები და მოვლენები, რომლებიც დროისა და

სივრცის ზღვარს სძლევენ იმ სახით, რა სახითაც ჩვენ მათ ვიცნობთ"[1].

„კოსმოსური ექსპედიცია" და სხვა სამეცნიერო-ფანტასტიკური ისტორიების სცენარები, თავისი ფუტურისტული „სამეცნიერო" გამოგონებებით, ხანდახან შეიძლება წაკითხულ იქნენ, როგორც ნაწყვეტები მართლმადიდებელი წმიდანების ცხოვრებიდან, რომლებშიც აღწერილია ჯადოქრების საქმიანობა, როცა ჯადოქრობა წარმართული ცხოვრების ერთ-ერთ მთავარ მოვლენას წარმოადგენდა. სამეცნიერო ფანტასტიკა მთლიანობაში აღებული არც თუ მაინცდამაინც მეცნიერულია და არც ფუტურისტული. უფრო სწორად, ეს არის თანამედროვე მეცნიერების უკან დახევა „მისტიურ" საწყისებისაკენ — მე-17-18 ს-ის „განმანათლებლობის" წინა მეცნიერებისაკენ, რომელიც უფრო მეტად ახლოს იდგა ოკულტიზმთან. იმავე ნაშრომში აღნიშნულია, რომ „სამეცნიერო ფანტასტიკის ფესვები" ისევე როგორც თვით მეცნიერების ფესვები, მაგიასა და მითოლოგიაშია საძებნი (შოლესი და რაბკინი, გვ. 183). დღევანდელი გამოკვლევები და ექსპერიმენტები „პარაფსიქოლოგიაში" ასევე მიუთითებენ მომავალში მეცნიერების ოკულტიზმთან შერწყმაზე — აი პერსპექტივა, რომელსაც თანამედროვე ფანტასტიკა სავსებით ეთანხმება.

„სამეცნიერო-ფანტასტიკა როგორც აღმოსავლეთში, ასევე დასავლეთში თანამედროვე კულტურის სხვა ასპექტების მსგავსად — ამბობს გ. ვ. გრებენსი, — სავსებით ადასტურებს იმ ფაქტს, რომ ჰუმანიზმის უმაღლესი საფეხური ესაა ოკულტიზმი"[2].

4. როგორც „ფუტურალური" ჟანრი, სამეცნიერო-ფანტასტიკა თავისი ხასიათით მიდრეკილია უტოპიურობისაკენ; მომავლის სრულყოფილი საზოგადოების აღწერას მთლიანად ეთმობა მხოლოდ მცირედი რომანი თუ ისტორია; უმეტესობაში ავტორები წერენ თანამედროვე საზოგადოების „ევოლუ-

---

[1] Robert Scholes and Evic S. Rabkin, Science Fiction: History. Science, Vision Oxford University Press. 1977, p. 179.

[2] G. V. Grebens, Ivan Efremov's Theory of Soviet Science Fiction. Vantage Press, New York, 1978, pp. 108, 110.

ციის“ შესახებ, რაც მას უფრო მაღალ საფეხურზე აიყვანს, ანდა სხვა პლანეტების მაღალგანვითარებულ ცივილიზაციასთან შესვედრების შესახებ, იმ იმედით, რომ შესაძლებელი გახდება დღევანდელი პრობლემების გადაჭრა და კაცობრიობის ყოველგვარი მანკიერი მხარეების დაძლევა. „სრულყოფილი არსებები“, მოსულნი კოსმოსური სივრცეებიდან, ხშირად დაჯილდოებულნი არიან „ყოვლისმცოდნეობის“ უნარით, და მიწაზე კოსმოსური ხომალდების დაჯდომა „აპოკალიპსის“ ამბებთან გვაბრუნებს — როგორც წესი, ესაა „კეთილმოსურნე“ არსებების ჩამოსვლა იმ მისიით, რომ წარმართონ ადამიანების „ევოლუციური სრულყოფა“. ერთი სიტყვით, მე-20 ს-ის სამეცნიერო-ფანტასტიკური ლიტერატურა უკვე მიგვანიშნებს სამყაროს ქრისტიანული აზრისა და ქრისტიანული ღირებულებების დაკარგვაზე; იგი იქცა არაქრისტიანული ფილოსოფიის დამკვიდრების მძლავრ საშუალებად, ცხოვრებასა და ისტორიაზე იმ თვალსაზრისების გაბატონების იარაღად, რომლებიც შეფარვით თუ ცხადად ოკულტიზმისა და აღმოსავლეთის რელიგიების გავლენის მატარებლები არიან; კაცობრიობის გარდამავალი მდგომარეობისა და კრიზისების დაძაბულ ეპოქაში იგი იქცა ძირითად ძალად, რომელიც გვაძლევს საშუალებას იმედი ვიქონიოთ ანდა ველოდოთ „სტუმრებს კოსმოსიდან“; და ისინი გადაჭრიან კაცობრიობის ყველა პრობლემას და წარუძღვებიან ადამიანებს ისტორიაში ახალი „კოსმიური“ საუკუნისაკენ. და თუმცა, ერთი შეხედვით, სამეცნიერო-ფანტასტიკური ლიტერატურა მეცნიერული ხასიათისაა და არა რელიგიურისა, სინამდვილეში იგი (ერული ფორმით) ძირითადი მქადაგებელია იმ „ახალი რელიგიური მრწამსისა“, რომელშიც სულ უფრო და უფრო ინთქმება კაცობრიობა ქრისტიანული პოზიციების დათმობასთან დაკავშირებით.

საჭიროა ყოველივე ეს გვახსოვდეს და ისე შევუდგეთ „მფრინავი თეფშების“ შესახებ არსებული მონაცემების განხილვას. ეს მონაცემები გასაოცრად ესადაგებიან იმ ფსევდორელიგიურ იმედებს, რომლებსაც უნერგავდნენ „ქრისტესშემდგომ“ ადამიანებს.

₾. შეხვედრები „მფრინავ თეფშებთან“ და მათი მეცნიერული კვლევა

თუმცა ფანტასტიკამ ხალხი გარკვეული წესით მოამზადა ამოუცნობი მფრინავი ობიექტების გამოჩენისათვის, ჩვენ მათი „ობიექტური“ რეალობის შეფასებაში, რა თქმა უნდა, ვერ დავეყრდნობით ლიტერატურასა ან ადამიანების იმედებსა და მოლოდინს. მანამ, სანამ გავიგებდეთ თუ რას წარმოადგენენ ისინი თავის თავად, ჩვენ უნდა გავერკვეთ იმ დაკვირვებების ბუნებასა და უტყუარობაში, რომლებიც ტარდებოდა. არის თუ არა „იქ“ ცაში, მართლაც რაიმე ამგვარი, თუ ესაა უბრალოდ შედეგი დამახინჯებული აღქმისა და ფსიქოლოგიური და ფსევდო რელიგიური სწრაფვისა — „რეალობად მივიჩნიოთ სასურველი“.

ნდობას იმსახურებს ამოუცნობი მფრინავი ობიექტების ფენომენის აღწერა დოქტორ ჟაკ ველეს მიერ, ფრანგ სწავლულთან, რომელიც ამჟამად კალიფორნიაში ცხოვრობს და რომელსაც აქვს მაღალი სამეცნიერო ხარისხები ასტროფიზიკისა და კიბერნეტიკის დარგში, და უკვე დიდი ხნის განმავლობაში მეცნიერულ ანალიზს უკეთებს მონაცემებს „მფრინავი თეფშების“ შესახებ. მისი მოწმობა ჩვენთვის განსაკუთრებით მნიშვნელოვანია იმიტომაც, რომ იგი შეისწავლიდა ამოუცნობ მფრინავ ობიექტებთან შეხვედრის შემთხვევებს აშშ-ს ფარგლებს გარეთ, განსაკუთრებით საფრანგეთში, და ამდენად შეუძლია მოგვცეს ამ მოვლენის გავრცელების ობიექტური საერთაშორისო სურათი.

დოქტორი ვალე თვლის[1], რომ თუმცა ამოუცნობი მფრინავი ობიექტები წარსულ საუკუნეებშიც დროდადრო ჩნდებოდა ხოლმე, მათი „თანამედროვე ისტორია“, როგორც მასობრივი მოვლენის ისტორია, იწყება მეორე მსოფლიო ომის შემდეგ. ამერიკა ამ მოვლენებით 1947 წლის დაკვირვებების შემდეგ დაინტერესდა; მაგრამ ევროპაში უკვე არსებობდა დაკვირვებების ციკლი უცნაურ მანათობელ ობიექტებზე, რომ-

---

[1] UFOs in Space: Anatomy of a Phenomenon, Ballantine Books. N. Y. 1977. (First published by Henry Regnery Company. 1965).

ლებსაც თითქოსდა გონიერი არსებები მართავდნენ (გვ. 47). 1946 წ. განსაკუთრებით კი ივლისის თვეში, შვეიცარია და ჩრდილოეთ ევროპის ქვეყნებში ადგილი ჰქონდა შეხვედრების მთელ სერიას (გვ. 47—53). ამ „სკანდინავიური ტალღის" დაკვირვებების შესაბამისად მათ მიიჩნევდნენ „მეტეორებად", შემდეგ „რაკეტებად" (ანდა „რაკეტების აჩრდილებად"), ან „ბომბებად" და ბოლოს, „ახალი ტიპის საჰაერო ხომალდებად, რომლებსაც შეეძლოთ უჩვეულო მანევრირება ცაში, თუმცა არ ტოვებდნენ კვალს მიწაზე, მაშინაც კი, როცა გვეჩვენებოდა, რომ დასხდნენ. ევროპის პრესა აჭრელებული იყო მონათხრობებით ამ დაკვირვებათა შესახებ, და შვეიცარიაშიც კი მათზე იყო ლაპარაკი; რეგისტრირებული იყო ათასამდე დაკვირვება, მაგრამ არასოდეს წამოჭრილა ჰიპოთეზა მათი წარმოშობის „არამიწიურ" ან „საპლანეტათშორისო" ხასიათზე. დოქტორი ვალე ასკვნის, რომ ამ „ტალღის" მიზეზი არის რეალურად არსებული. მაგრამ ამოუცნობი ობიექტები, და არა რომელიმე მითქმა-მოთქმა „მფრინავ თეფშებზე" ანდა მოლოდინი „სტუმრებისა კოსმოსიდან" (გვ. 53). ამ და მომდევნო „ტალღებში" იგი ვერ აღმოაჩენს სრულ დამთხვევას სამეცნიერო-ფანტასტიკისადმი ინტერესის ფართო გავრცელებასა და ამოუცნობი მფრინავი ობიექტების აქტიობის პიკს შორის. და ადრეც, „მფრინავი თეფშების ტალღა" არ შეინიშნებოდა, თუმცა პანიკა ამერიკაში დაიწყო ორსონ უელსის რადიო-დადგმის შემდეგ: „სამყაროთა ომები" 1938 წ. ჰერბერტ უელსის რომანის მიხედვით[1]. იგი ასკვნის, რომ „ამოუცნობი მფრინავი ობიექტების ფენომენის ჩასახვა, ზრდა და გავრცელება არის ობიექტური მოვლენა, რომელიც არ არის დამოკიდებული მნახველების შეგნებულ თუ შეუგნებელ გავლენასა და მათ რეაქციაზე ობიექტების მიმართ" (გვ. 31).

პირველი, პუბლიკისათვის ხელმისაწვდომი დაკვირვება ჩატარდა ამერიკაში 1947 წ. ივნისში, როცა კომივოიაჟორმა კუნეტ არნოლდმა, რომელიც მგზავრობდა საკუთარი თვით-

---

[1] ორსონ უელსის მიერ განხორციელებული რადიოდადგმა იწყებოდა როგორც ნამდვილი რეპორტაჟი მარსის მკვიდრების დედამიწაზე გადმოსვლის შესახებ, რამაც გამოიწვია მოსახლეობაში პანიკა.

მფრინავით, შენიშნა 9 დისკოსმაგვარი ობიექტი, რამდენადმე „თეფშების“ ფორმისა, რომლებიც დაფრინავდნენ რენეს მთის მახლობლად, ვაშინგტონის შტატში. მონათხრობი აიტაცეს გაზეთებმა და ასე დაიწყო ერა „მფრინავი თეფშებისა“. საინტერესოა ის, რომ ეს არ იყო პირველი დაკვირვებები ამერიკაში; მანამდე რამდენიმე თვით ადრე ჩატარებულ იქნა დაკვირვებები, რომლებიც არ გამოქვეყნებულა. „მფრინავი თეფშების“ ტალღამ მოიცვა უნგრეთიც ივნისის დასაწყისში (50 ცნობა). ცხადია ეს შემთხვევა არ უნდა მივაკუთვნოთ არნოლდის შემთხვევის შემდეგდროინდელ ისტერიას. დაკვირვებანი 1947 წ. საკმაოდ ხშირი იყო, განსაკუთრებით ივნისის თვეში, ივლისსა და აგვისტოში. და თუმცა ზოგიერთ გაზეთში ლაპარაკი იყო „საპლანეტათშორისო სტუმრებზე“ — მეცნიერები ამ დაკვირვებებს სერიოზულად მოეკიდნენ — ვარაუდობდნენ, რომ ეს იყო „მაღალგანვითარებული ადამიანური ტექნიკის“, უველაზე უფრო სავარაუდოა, ამერიკულის, ანდა შესაძლოა რუსული ტექნიკის პროდუქტი (გვ. 54—57).

მეორე ტალღამ — 1947 წ. ივლისში — გადაიარა ამერიკასა და საფრანგეთში. ამერიკის შეერთებულ შტატებში ადგილი ჰქონდა ეფექტურ ღამის შეხვედრას: ისტერნ ეირლაინს დ—3 ტიპის თვითმფრინავის მფრინავებმა შენიშნეს ტორპედოს მსგავსი საჰაერო ხომალდი. „ილუმინატორების“ ორი რიგით, რომელსაც გარშემო ცისფერი ნათება და ნარინჯისფერი ცეცხლოვანი კუდი ახლდა. შეჯახება რომ თავიდან აეცილებინა, მან მანევრირება გააკეთა და გაუჩინარდა. იმავე წლის აგვისტოში საიგონსა და სამხრეთ -აღმოსავლეთი აზიის სხვა რაიონებში იყო დაკვირვებები „გრძელ რაკეტისმაგვარ ობიექტებზე (გვ. 57—59). 1949 წელი აღინიშნა შვეიცარიაში უცნაური დისკებისა და სფეროების შესახებ ცნობებით, ხოლო ამერიკაში „მფრინავი თეფშების“ დიდი რაოდენობით. მათ შორის ორი დაკვირვება ეკუთვნის გამოცდილ დამკვირვებელ-ასტრონომებს (გვ. 60—61). ამოუცნობი მფრინავი ობიექტების მცირე ტალღები, ასევე ცალკეული დაკვირვებანი გრძელდებოდა 1950—51 წლებში, განსაკუთრებით ამერიკაში, თუმცა ადგილი ჰქონდა ევროპაშიც გვ. 62—65).

1952 წ. წარმოიქმნა პირველი ინტერნაციონალური ტალღა

ამოუცნობი მფრინავი ობიექტებისა და მათზე ჩატარებული დაკვირვებებისა შეერთებულ შტატებში, საფრანგეთსა და ჩრდილოეთ აფრიკაში. ამ ტალღის მწვერვალი იყო ორი სენსაციური დაკვირვება კაპიტოლიუმისა და თეთრი სახლის თავზე ვაშინგტონში (სივრცე'ში, რომელიც განუწყვეტლივ რადარების კონტროლის ქვეშ იმყოფებოდა). სექტემბერში ტალღამ მოიცვა დანია, შვეცია, ჩრდილოეთ გერმანია და პოლონეთი. ერთდოულად იქნა მიღებული პირველი ცნობები საფრანგეთიდან „მიწაზე დაშვებისა" და „პატარა კაცუნების" შესახებ (გვ. 65—69).

1953 წ. ამგვარი ტალღები აღარ ყოფილა, თუმცა იყო ცალკეული დაკვირვებები. ყველაზე მნიშვნელოვანი მათ შორის ჩატარდა ბისმარკში (ჩრდილოეთ დაკოტაში), სადაც ღამით 3 საათის განმავლობაში საჰაერო-მფილტრავი სადგურის თავზე ეკიდა ოთხი ობიექტი და მანევრირებდა. ამ შემთხვევის შესახებ ოფიციალურმა პატაკმა შეადგინა რამდენიმე ასეული გვერდი, რომელიც შეიცავდა მრავალი მოწმის, ძირითადად მფრინავებისა და სამხედრო პირების ჩვენებებს.

1954 წლის ინტერნაციონალური ტალღა ყველაზე მაღალი იყო. საფრანგეთი თითქმის ჩაიძირა ცნობების კორიანტელში — დღეში ათობით დაკვირვებები სექტემბრის, ოქტომბრისა და ნოემბრის თვეებში. საფრანგეთის ამ ტალღაში გამოიკვეთა „მფრინავი თეფშების" კვლევის სერიოზული პრობლემები: „ამ მოვლენამ ისეთ საწყისს მიაღწია, საზოგადოებრივ აზრზე ისეთი შემაძრწუნებელი შთაბეჭდილება მოახდინა და გაზეთების ისეთი ემოციური რეაქცია გამოიწვია, რომ ყველა მეცნიერს დაეკარგა ჭამის მადა, სანამ მოხდებოდა სერიოზული მეცნიერული კვლევის ორგანიზება. შედეგი იყო ის, რომ არცერთ მეცნიერს არ უნდოდა თავისი რეპუტაციის შელახვა და ამ ემოციური დამახინჯებული ფენომენის შესწავლისათვის ხელის აშკარად მოკიდება: ფრანგი სწავლულები სდუმდნენ, სანამ ტალღამ გადაიარა და მინელდა" (გვ. 71).

ფრანგული ტალღა შეიცავდა ამოუცნობ მფრინავ ობიექტებთან უფრო გვიანდელი შეხვედრების დახასიათებებს: „მიწაზე დაფრენა" (გარემოებათა თუნდაც ზოგიერთი აღწერებით), სინათლის სხივების ნაკადი „მფრინავი თეფშებიდან"

მხილველებისაკენ მიმართული: შეხვედრის ადგილის მახლობლად ძრავების გამორთვა, უცნაური პატარა არსებები „სკაფანდრებში“, მხილველები ფსიქიური და ფიზიკური ტრავმით.

1954 წლიდან სხვადასხვა ქვეყნებში აღინუსხა შეხვედრების ციკლის მსხვილი ინტერნაციონალური ტალღები: 1965, 1967 და 1962—73 წლებში; განსაკუთრებით მრავალრიცხოვანი და ღრმა იყო დაკვირვებები სამხრეთ ამერიკის ქვეყნებში.

სახელმწიფო ორგანიზაციების მიერ „მფრინავი თეფშების“ შესწავლის ყველაზე უფრო ფართოდ ცნობილი შემთხვევაა — აშშ-ის საჰაერო სამხედრო ძალების მიერ ჩატარებული კვლევა, რომელიც ჩატარდა 1947 წ. მალე ამერიკული შეხვედრების შემდეგ. ეს კვლევა, რომელიც 1951 წლიდან ცნობილია სახელწოდებით „პროექტი ლურჯი წიგნი“, გაგრძელდა 1969 წლამდე, როცა იგი შეწყდა „კონდონის პატაკი“ რეკომენდაციით, რომელიც შედგენილი იქნა 1968 წელს სწავლული კომიტეტის მიერ. მას სათავეში ედგა კოლორადოს უნივერსიტეტის ერთ-ერთი წამყვანი ფიზიკოსი. ყველა, ვისაც კი მოუხდა დაკვირვებოდა როგორც „ლურჯი წიგნის“, ასევე „კონდონის კომიტეტის“ მუშაობას, აღნიშნავს, რომ არცერთი ამ ჯგუფთაგანი ამოუცნობი მფრინავი ობიექტების ფენომენს სერიოზულად არ უყურებდა, და რომ ისინი ძირითადად იკვლევდნენ „საზოგადოებრივ აზრს“, რათა გაეხსნათ ეს საიდუმლოებით მოცული ზეციური მოვლენები და განეკურნათ ხალხი მათდამი შიშისაგან. ზოგიერთი დაჯგუფების წარმომადგენლები, რომლებიც შეისწავლიდნენ „მფრინავ თეფშებს“, ბრალს სდებდნენ ამერიკის შეერთებული შტატების მთავრობას, რომ იგი ამ გამოკვლევებს იყენებდა „საფარად“, რათა დაემალა ამოუცნობი მფრინავი ობიექტების „ჭეშმარიტი ბუნების“ შესახებ საკუთარი ცოდნა.

თუმცა ყველა საბუთი მოწმობს, რომ ეს გამოკვლევები ზერელე ხასიათისა იყვნენ და მათ სერიოზულად არც არავინ იყენებდა, მით უმეტეს, რომ ზოგიერთი ზედმეტად უცნაური ამბავი მეცნიერთა წრეში ამ თემისადმი ზიზღსაც კი იწვევდა. „ლურჯი წიგნის“ პირველი დირექტორი კაპიტანი ედვარდ რაპპელტი გამოტყდა, რომ „საჰაერო-სამხედრო ძალებს მიზ-

ნად რომც დაესახათ ამის ყველაფრის ბურუსით შენიღბვა და დახლართვა, ამაზე უკეთ საქმის გართულება ვერ მოხერხდებოდა... პრობლემას მიუდგნენ დახლართვის პოზიციით... ყველაფერი ფასდებოდა წინასწარ განსაზღვრული თვალსაზრისით — რომ ამოუცნობი მფრინავი ობიექტები არ არსებობენ"[1]. „კონდონის პატაკი" შეიცავს ამოუცნობი მფრინავი ობიექტების რამოდენიმე კლასიკურ „ახსნას"; ერთერთი მათგანი მაგ., ამტკიცებს, რომ ეს არაჩვეულებრივი დაკვირვება უნდა შევიდეს ბუნებრივი მოვლენების იმ უეჭველი კატეგორიების რიგში, რომელიც ძალზედ იშვიათია და როგორც ჩანს, არც მანამდე და არც ამ შემთხვევის შემდეგ არ შეინიშნებოდა. „ლურჯი წიგნის" მთავარი მეცნიერ-კონსულტანტი, ჩრდილო დასავლეთის უნივერსიტეტის ასტრონომი ჯ. ალლენ გინეკი, ამ პროექტის არსებობის თითქმის 22 წლის მანძილზე, აშკარად უწოდებს ამას ყველაფერს „ფსევდო-მეცნიერულ პროექტს"[2].

22 წლის მანძილზე წარმოებულ თავის გამოკვლევებში, როგორიც არ უნდა იყვნენ ისინი, „ლურჯი წიგნის პროექტმა" შეკრიბა ცნობები 12 900-ზე მეტი საიდუმლოებით მოცული ზეციური მოვლენების შესახებ, რომელთა 25 პროცენტი ამოუცნობი დარჩა, მიუხედავად საკმაოდ ნაძალადევი „ახსნებისა". მრავალი ათასი სხვა შემთხვევა შეაგროვა და გროვდება აშშ-სა და სხვა ქვეყნებში კერძო ორგანიზაციების მიერ, თუმცა თითქმის ყველა სახელმწიფო ორგანიზაცია გაურბის მათ ხსენებას. სსრკ-ში ამ თემას პირველად 1967 წ. შეეხნენ, როცა მოსკოვის საავიაციო ინსტიტუტის დოქტორმა ფელიქს ზიგელმა ჟურნალში «Смена» ახსენა, რომ „საბჭოთა რადარები აგერ უკვე 20 წელია, რაც მფრინავ ობიექტებს იჭერენ"[3]. ამავე დროს მიმდინარეობდა საბჭოთა სამეცნიერო

---

[1] Ruppelt, Report on Unidentified Flying Objects, Acc Books, N.Y. 1956. pp. 80, 83.

[2] Hynek, the UFO Experience: A Scientific Inqiury, Ballantine Books, N.Y. 1977, pp. 215, 219.

[3] «НЛО, что это такое? Смена, 7 апр. 1967, იხ. ასევე სტატია «Неопознанные летающие объекты» ჟურნალში «Советская жизнь», февр., 1968; «О возможном обмене информацией с внеземными цивилизациями», доклад во Всесоюзном инженерном институте в Москве 13 марта 1967: Психические открытия, გვ. 96.

კონფერენცია „კოსმოსური ცივილიზაციების“ შესახებ სომეხი ასტრონომის ვიქტორ ამბარცუმიანის ხელმძღვანელობით. ეს კონფერენცია იწონებდა ამგვარ „ცივილიზაციებთან“ კომუნიკაციის სამეცნიერო და ტექნიკური პრობლემების წინასწარ შესწავლას, რადგანაც მათი არსებობა ეჭვს არ იწვევდა. მაგრამ მომავალ წელს ამოუცნობი მფრინავი ობიექტების თემა სსრკ-ში კვლავ აიკრძალა და ამ დროიდან მოკიდებული საბჭოთა მეცნიერები თავის დასავლეთელ კოლეგებს საკუთარი გამოკვლევებისა და ჰიპოთეზების შესახებ მხოლოდ კერძო საუბრებში მოუთხრობდნენ.

შეერთებულ შტატებში ამოუცნობი მფრინავი ობიექტების თემა სამხედრო და მეცნიერ-მუშაკებისათვის რამდენადმე „მეცნიერების ფარგლებს მიღმა“ რჩება; თუმცა უკანასკნელ წლებში ამ პრობლემას სულ უფრო მეტი მეცნიერი, განსაკუთრებით კი ახალგაზრდა მეცნიერი, ეკიდება სერიოზულად და იკრიბებიან მისი შესწავლის მეთოდებისა და პრობლემების განხილვის მიზნით. დოქტორები გინეკი და ვალლე ახსენებენ მეცნიერთა „უხილავ კოლეჯს“, რომლებიც ახლა აქტიურ ინტერესს იჩენენ ამოუცნობი მფრინავი ობიექტების ფენომენის მიმართ, თუმცა უმეტეს მათგანს არ სურს, რომ მათი სახელები საჯაროდ იხსენიებოდეს.

რაღა თქმა უნდა, ისეთებიც არიან, რომლებიც ამ მოვლენების არსებობას კატეგორიულად უარყოფენ, და მათ მიიჩნევენ ბუნებრივი ობიექტების, აეროსტატების, თვითმფრინავების და ა. შ. მცდარ აღქმად, თვალთმაქცობასა და ფსიქოლოგიურ „პროექციაზე“ რომ აღარაფერი ვთქვათ. ერთერთი ამგვარ მოღვაწეთაგანი, ფილიპ კლასსი, კმაყოფილებას იმაში პოულობს, რომ ამოუცნობი მფრინავი ობიექტები „დაამხოს“. იგი განიხილავს ზოგიერთ დაკვირვებას და მათში აღმოაჩენს ან ბუნებრივ მოვლენებს ან ცრუ ჩვენებებს. წარმოებულმა გამოკვლევებმა იგი დაარწმუნა, რომ „შორეული პლანეტებიდან მოსული სასწაულებრივი კოსმოსური ხომალდების იდეა“ — სინამდვილეში არის მშვენიერი ზღაპარი, გადაკეთებული დი-

---

[1] Philip J. Klass, UFOs Explained, Random Hause, N.Y. 4-9, The UFO Experience, chs 5-10.

დებისათვის"[1]. ამგვარი შუბლმაგარი მკვლევარები, ხშირად იფარგლებიან შემთხვევებით, როცა ამოუცნობი მფრინავი ობიექტების დაშვების უტყუარი ნივთიერი მტკიცებანი არსებობენ (ე. წ. „მეორე რიგის ახლო კონტაქტები", როგორც ამას ქვემოთ დავინახავთ); ამოუცნობი მფრინავი ობიექტების არსებობის რეალურობის ჯიუტი დამცველებიც კი იძულებული არიან აღიარონ, რომ ამგვარი დამამტკიცებელი საბუთები ძალზედ ცოტაა თვით ყველაზე სარწმუნო ცნობებშიც კი მათ შესახებ. ერთადერთი, რამაც უკანასკნელ წლებში აიძულა მრავალი მეცნიერი სერიოზულად მოჰკიდებოდა ამ მოვლენებს, არის არა ნივთიერი მტკიცებანი მათი რეალურობის შესახებ, არამედ ის ფაქტი, რომ ბევრმა სერიოზულმა და სანდო პირმა იხილა ის, რაც არ ექვემდებარება ახსნას და რამაც მათზე წარუშლელი შთაბეჭდილება დატოვა. დოქტორ გინეკი წერს, რომ „ყოველთვის მქონდა ისეთი გრძნობა, თითქოს ველაპარაკები ადამიანს, რომელიც აღწერს რეალურ მოვლენას. მისთვის (ქალისა ან მამაკაცისათვის) ეს იყო განსაკუთრებული განცდა, ცოცხალი და არავითარ შემთხვევაში არ ჰგავდა სიზმარს; ეს იყო განცდა, რომლისთვისაც დამკვირვებელი, როგორც წესი, აბსოლუტურად მოუმზადებელი იყო — თუმცა სწრაფად ხვდებოდა, რომ ეს იყო მოვლენა, რომლის შედარებაც არაფერთან არ შეიძლებოდა" (The UFO Experience გვ. 14).

ამოუცნობ მფრინავ ობიექტებთან შეხვედრის (განსაკუთრებით „ახლო კონტაქტების") შემთხვევაში შთაბეჭდილებების უტყუარი რეალურობას და ამასთანავე ნივთიერი მტკიცებების თითქმის სრულ არარსებობას, იქამდე მივყავართ, რომ მათ შევისწავლით ძირითადად არა როგორც ფიზიკურ მოვლენებს, არამედ ესაა მოწმეთა ჩვენებების ანალიზი, მათი უტყუარობის შეფასება, თანმიმდევრობა და ა. შ. უკვე მარტო ესეც საკმარისია, რომ იგი ფსიქოლოგიის სფეროს კვლევის საგნად იქცეს და დაგვარწმუნოს, რომ „ნივთიერი მტკიცებების შეუპოვარი ძიება — პრობლემის განხილვის არასწორი გზაა, თუმცა, მისტერ კლასსის გამონათქვამი იმის თაობაზე რომ „მშვენიერი კოსმოსური ხომალდები" მხოლოდ და მხოლოდ „ჯადოსნური ზღაპრებია დიდებისათვის" იქნებ არც ისე შორ-

საა ჭეშმარიტებისაგან. დაკვირვება ამოუცნობ მფრინავ ობიექტებზე ეს ერთია, და ინტერპრეტაცია, რომელსაც ხალხი საკუთარ (ან სხვის) დაკვირვებებს აძლევს — ეს სხვაა — პირველი შეიძლება იყოს სავსებით რეალური, მეორე კი ხდება „ჯადოსნური ზღაპარი“ ანდა ჩვენი დროის მითი.

დოქტორმა გინეკმა ბევრი რამ გააკეთა იმისთვის, რომ თავიდან აეცილებინა ბევრი მცდარი აზრი ამოუცნობ მფრინავ ობიექტებთან შეხვედრის შესახებ. ასე მაგ., იგი ხაზგასმით აღნიშნავს, რომ „მფრინავ თეფშებზე“ დაკვირვებების უმეტესი ნაწილი ჩატარებულია ურწმუნო, მერყევი ან უცოდინარი ადამიანების მიერ. ამგვარი ადამიანების მიერ მოწოდებული ცნობები უცბადვე გამოიკვეთება როგორც არა სანდო და შესასწავლ მასალაში არ შედის. მაგრამ უმეტესად დაწვრილებით და შინაარსიან ცნობებს გვაწვდიან ნორმალური, თავის სიტყვებზე პასუხისმგებელი ადამიანები, ხშირად მეცნიერული განათლების მქონე, რომლებიც გულწრფელად შეცბუნებული ან შეძრწუნებული არიან განცდილით და უბრალოდ არ იციან, როგორ ახსნან ეს („The UFO Experience“, pp. 10—11); რაც უფრო ძლიერია განცდა და რაც უფრო ახლო იყო მნახველის კონტაქტი „მფრინავ თეფშთან“, მით უფრო ნაკლებადაა ეს პირი განწყობილი ცნობების მოწოდებისათვის. ამოუცნობი მფრინავი ობიექტების კართოთეკა — ეს არის კოლექცია „სანდო ადამიანების მიერ მოთხრობილი დაუჯერებელი ამბებისა“, როგორც იტყვის სამხედრო-საჰაერო ძალების ერთ-ერთი გენერალი. საღი აზრი არ გვაძლევს საშუალებას ეჭვი შევიტანოთ იმაში, რომ „მფრინავ თეფშების“ შესახებ მრავალი ათასი ცნობების უკან ჭეშმარიტად რაღაც დგას.

8. ამოუცნობ მფრინავ ობიექტებთან („მფრინავ თეფშებთან") კონტაქტის ექვსი კატეგორია

დოქტორმა გინეკმა, რომელიც ამ საკითხს უფრო დაწვრილებით შეისწავლიდა, ვინემ რომელიმე ფართოდ ცნობილი მკვლევარი, მოხერხებულობის თვალსაზრისით „მფრინავი თეფშების" ფენომენები 6 კატეგორიად დაჰყო[1].

პირველი, „ღამის მანათობელი ობიექტები", რომლებიც ყველაზე უფრო ხშირად გვხვდება და ნაკლებ გაოცებას იწვევს. ამგვარი ობიექტების უმრავლესობა ადვილად ამოიცნობა, როგორც ციური სხეულები, მეტეორიტები და ა. შ. და მათ არ მიაკუთვნებენ ამოუცნობ მფრინავ ობიექტებს. ნამდვილი, საიდუმლოებით მოსილი „ღამის მანათობელი ობიექტები" (ისინი, რომლებიც „ამოუცნობი" რჩებიან) დაკავშირებული არიან გონივრულ მოქმედებასთან, მაგრამ ვერ გვიცვნია როგორც ჩვეულებრივი თვითმფრინავი და ხშირად შეინიშნება მრავალი მნახველის მიერ და მათ შორის პოლიციელების, მფრინავებისა და აეროპორტების დისპეჩერების მიერ.

ამოუცნობი მფრინავი ობიექტების მეორე კატეგორია, ეს არის „დღის დისკოები", რომლებიც „ღამის მანათობელი ობიექტების" მსგავსად მოქმედებენ. ესენია „მფრინავი თეფშები" და ამ კატეგორიაში შემავალი თითქმის ყველა ობიექტი წარმოადგენს დისკოს, რომელიც ფორმის მიხედვით ვარირებას განიცდის: მრგვალი ფორმიდან სიგარის ფორმამდე. ხშირად ისინი მეტალისა გვეჩვენება (მეტალისაგან დამზადებულს ჰგავს) და გადმოცემით მაღალ სისწრაფეზე წარმოუდგენლად სწრაფი შეჩერებისა და სტარტის უნარი გააჩნიათ; ასევე ავლენენ გასაოცარი მანევრირების უნარს (მაგ.: უეცრად ცვლიან მიმართულებას ანდა უძრავად დაეკიდებიან), რაც ჩვენთვის ცნობილი თვითმფრინავებისათვის ტექნიკურად შეუძლებელია. ამგვარი დისკოების მრავალი ფოტოდოკუმენტი არსებობს, თუმცა ისინი ნაკლებ დამაჯერებელია, ობიექტების სიშორის გამო, არაა გამორიცხული სიყალბეც; „ღამის მანათობელი ობიექტების მსგავსად", ამ კატეგორიის „ამოუცნობი

---

[1] The Hynek UFO Report, Dell Publish Co., N.Y. 1977. chs. 1974 p. 360.

მფრინავი ობიექტები", თითქმის ყოველთვის უხმაუროდ მოძრაობენ და ხშირად მას ორს ან მეტს ერთდროულად ხედავენ.

მესამე კატეგორია — ესაა „რადიო-ვიზუალური" ცნობები, ე. ი. დაკვირვებები რადარზე, დადასტურებული უშუალოდ ვიზუალური დაკვირვებებით (რადგანაც რადარს თვით შეუძლია მოგვცეს სხვადასხვა არასწორი გამოსახულებები). ამათგან უმეტესობა ხდება ღამით და მათ შორის ყველაზე თვალსაჩინოა ის შემთხვევები, როცა დაკვირვებები ხდება საკმაოდ ახლო მანძილიდან „მფრინავი თეფშების" საძიებლად ზეცაში ერთდროულად აფრენილი რამდენიმე თვითმფრინავიდან.

ასეთ დროს „მფრინავი თეფში" თვითმფრინავზე სწრაფად მანევრირებს, ხან მისდევს მას და ბოლოს უჩინარდება, ავითარებს რა გაუგონარ სიჩქარეს (400 ან მეტ მილს საათში). ხან, როგორც ამას ადგილი აქვს პირველ და მეორე კატეგორიებთან, ობიექტი თითქოს იყოფა და 2 ან მეტ კარგად გასარჩევ ობიექტად გადაიქცევა. ხდება ასეც, რომ მფრინავების მიერ ჰაერში კარგად დანახულ ამ ობიექტებს, რადარის ეკრანი სულაც არ აღნიშნავს.

ამ კატეგორიაზე დაკვირვებები, ისევე როგორც I და II-შემთხვევაში, რამდენიმე წუთიდან რამდენიმე საათამდე გრძელდება. პირველი სამი კატეგორიის ბევრი შემთხვევა კარგადაა წარმოდგენილი დოკუმენტებით, სარწმუნო, გამოცდილი და დამოუკიდებელი მხილველების მიერ. მიუხედავად ამისა, როგორც აღნიშნავს დოქტ. გინეკი, ყოველი ამ დაკვირვებათაგანი შეიძლება მოხდეს, იშვიათი, უჩვეულო გარემოებების გამო, და არა როგორც ახალი მანამდე უცნობი ფენომენი. მაგრამ, როცა დაგროვილია მრავალი ერთმანეთის მსგავსი კარგად დოკუმენტირებული ჩვენება, ალბათობა იმისა, რომ ისინი ჩვეულებრივი ობიექტების დამახინჯებული აღქმანი არიან, მინიმალური ხდება („The UFO Experience", გვ. 92). აი, რატომაა, რომ ამოუცნობი მფრინავი ობიექტების შემსწავლელმა სერიოზულმა მკვლევარებმა ყურადღება გაამახვილეს კარგად დოკუმენტირებული ჩვენებების შეგროვებაზე და მრავალი სარწმუნო ჩვენებების შედარებით უკეთ

გამომჟღავნდა „მფრინავი თეფშების“ აქტიობის გამოკვეთილი მოდელები.

იმათი რეაქცია, ვინც ამოუცნობ მფრინავ ობიექტებთან პირველი სამი სახის კატეგორიების კონტაქტში მოხვდა — არის შეფიქრიანება და შეცბუნება. მათ იხილეს რაღაც სავსებით ამოუხსნელი და აქვთ მტანჯველი სურვილი „სულ ცოტათი უფრო ახლოს“ ნახონ იგი. მხოლოდ რამოდენიმე შემთხვევაში, უმეტესად მფრინავებს, რომლებიც ცდილობდნენ დაღევნებოდნენ მათ, ამ ობიექტებთან შეხვედრისას გაუჩნდათ შიში. მათ უდაოდ გონიერი არსებები მართავდნენ, რომლებიც თავისი მონაცემებით შორს უსწრებდნენ თანამედროვე ტექნიკას. „ახლო კონტაქტების“ შემთხვევაში კი ადამიანები გაცილებით უფრო ღრმა ემოციებს განიცდიან და წინა პლანზე იწევს ფენომენის „ფსიქიკური“ მხარე.

„პირველი რიგის ახლო კონტაქტები“ — ესაა დაკვირვებები მანათობელ ობიექტებზე ახლო მანძილიდან (500-მდე ფუტი ან ნაკლები), ამასთანავე ნათება ძალზედ კაშკაშაა და იწვევს მის ქვემოთ მდებარე მიწის ლუმინესცენციას. ობიექტების ფორმის აღწერისას მას ჩვეულებრივ განსაზღვრავენ როგორც ოვალურს, ხანდახან ზემოთ გუმბათით, სინათლე კი ბრუნავს, ჩვეულებრივ საათის ისრის საწინააღმდეგოდ. ეს ობიექტები ხშირად დედამიწის ზედაპირიდან არც თუ დიდ მანძილზე დაეკიდებიან ხოლმე, უხმაუროდ ან ჩუმი ზუზუნით, ხანდახან ზედ დედამიწის თავზე მოძრაობენ და გადაადგილდებიან დიდ მანძილებზე და როგორც წესი, უჩვეულო სისწრაფით უჩინარდებიან, სრულიად უხმაუროდ და ჩვეულებრივ ვერტიკალურად ზევით. ცნობები ამგვარი „ახლო კონტაქტების“ შესახებ, რომლის მოწმეც ერთდროულად რამდენიმე პირია, საკმაოდ ბევრია; ყველა ეს ცნობა ერთმანეთს ჰგავს, თითქოს ეს მართლაც ერთსა და იმავე ობიექტზე (ან მსგავს ობიექტებზე) დაკვირვების აღწერა იყო ყველა კარგად დოკუმენტირებულ ჩვენებაში. როგორც წესი, ყველა ამგვარი კონტაქტი ღამით ხდება ერთმანეთისაგან გაფანტულ წერტილებში და ყოველ მათგანს არც თუ ისე ბევრი მოწმე ჰყავს (დოქტორ გინეკის მიერ შესწავლილ შემთხვევებში, საშუალოდ 3 ან 4).

„პირველი რიგის ახლო კონტაქტები“ ყოველთვის გასაოცარია და თავზარდამცემი, თუმცა არავითარ ხილულ კვალს არ ტოვებს, მხილველები, ჩვეულებრივ იმდენად შეძრწუნებული არიან, რომ ავიწყდებათ ფოტოს გადაღება, თუნდაც კამერა ხელთ ჰქონდეთ. მხილველებზე ზემოქმედების ტიპიური სურათი მოცემულია 1955 წ. ამოუცნობი მფრინავი ობიექტის გამოჩენის მოწმის შენიშვნაში: „გარწმუნებთ, თუკი ვინმეს მოუწევს ამგვარი ობიექტის ისე ახლოს ნახვა, თუნდაც ერთი წუთით, ეს მის მეხსიერებაში სიკვდილამდე ჩაიბეჭდება“ („The Hynek UFO Report“, გვ. 145). ეს შეხვედრები იმდენად უჩვეულოა, რომ მხილველთა მონათხრობს ხშირად არ უჯერებენ, რის გამოც მრავალი ან სდუმს, ან მხოლოდ მრავალი წლის შემდეგ საიდუმლოდ გაგვანდობს მას. ამგვარი მოვლენები სავსებით რეალურია იმათთვის, ვისაც ის შეემთხვა — ყველა დანარჩენისთვის კი დაუჯერებელი.

ტიპიური „პირველი რიგის კონტაქტი“ ჰქონდა 1966 წ. პორტაჯ კაუნტი, ოგაიოს შერიფის ორ თანაშემწეს. 16 აპრილს, დაახლოებით დილის 5 სთ-ზე ისინი გაჩერდნენ მანქანასთან, რომელიც სოფლის გზის კიდეზე მიეტოვებინათ. მათ დაინახეს ობიექტი „სიდიდით სახლის ზომისა“, რომელიც ჩამოეშვა ხის კენწეროებამდე (დაახლოებით 100 ფუტის სიმაღლეზე). მან დაიწყო ხალხთან მიახლოება, სულ უფრო და უფრო მეტად ნათდებოდა და კაშკაშა სინათლეს ჰფენდა ყველაფერს. შემდეგ გაჩერდა მათ თავზე ჩუმი ზუზუნით. შემდეგ ობიექტმა იწყო დაშორება და ისინიც დაედევნენ მას დაახლოებით 70 მილის მანძილზე პენსილვანიის შტატის ტერიტორიაზე 105 მილ. საათში სიჩქარით. ორმა სხვა პოლიციელმაც აშკარად იხილა ეს ობიექტი, როცა ის მაღლა ავიდა, შემდეგ სწრაფად აიჭრა ვერტიკალურად ზემოთ და გაუჩინარდა. ეს იყო გამთენიისას. „ლურჯი წიგნის პროექტი“ კონგრესის მოთხოვნით იძულებული გახდა განეხილა ეს შემთხვევა. იგი „ახსნეს“, როგორც „პლანეტა ვენერას მიერ წარმოებული დაკვირვება“. ხოლო ოფიცრები, რომლებმაც ამის შესახებ მიაწოდეს ცნობები, მასხრად აიგდეს პრესის ფურცლებზე, რის გამოც ერთ-ერთ მათგანს დაენგრა ოჯახი, ჯანმრთელობაც შეერყა და კარიერაც (The UFO Experience, გვ. 114—124).

მსგავსი პირადი ტრაგედიები, რომლებიც შეემთხვა ამგვარი ტიპის კონტაქტის მქონე ადამიანებს, იმდენად ჩვეულებრივი მოვლენაა, რომ ისინი ამ ფენომენის „ტიპიურ მახასიათებლებად“ უნდა ჩაითვალოს.

„მეორე რიგის ახლო კონტაქტები“ ძირითადად ჰგავს „პირველი რიგის ახლო კონტაქტებს“, მაგრამ იმით განსხვავდება მისგან, რომ თავისი ყოფნით ტოვებენ გასაოცარ კვალს, ფიზიკურს ან ფსიქოლოგიურს. ეს კვალია: ნიშანი მიწაზე, დამწვარი ან შეტრუსული ხეები ან სხვა მცენარეულობა, ელექტრომოწყობილობებზე ზემოქმედება, რაც ხელს უშლის რადიოხელსაწყოების მუშაობას, ავტომობილის ძრავების გაჩერება; მოუსვენრობა ცხოველებში, რაც თავს იჩენს მათ უცნაურ ქცევაში და ზემოქმედება ადამიანებზე: დროებითი პარალიზი, ენის ჩავარდნა (დამუნჯება), მხურვალება, ღებინება, სხვა უსიამოვნო შეგრძნებები, დროებითი უწონობის მდგომარეობა (რაც ხანდახან ლევიტაციას იწვევს), უეცარი განკურნება ტრავმიდან ან ტკივილისაგან და სხვადასხვა სახის ფსიქოლოგიური და ფიზიკური შედეგები. მაგ.: უცნაური ნიშნები სხეულზე. ამოუცნობ მფრინავ ობიექტებთან ამგვარი ტიპის კონტაქტები შედარებით ფართო შესაძლებლობას გვაძლევს შევისწავლოთ ისინი მეცნიერული თვალსაზრისით; რამდენადაც გარდა მხილველების ჩვენებისა ხელთ გვაქვს ნივთიერი მტკიცებანიც, რომლებიც შეიძლება შესწავლილ იქნას; თუმცა რეალურად ამგვარი გამოკვლევები ძალზედ მცირერიცხოვანი იყო, ნაწილობრივ იმიტომ, რომ მეცნიერები საერთოდ ერიდებიან სერიოზულად მოჰკიდონ ხელი ყველაფერს იმას, რაც „ამოუცნობ მფრინავ ობიექტებს“ ეხება, და ნაწილობრივ იმიტომაც, რომ თვით მტკიცებანი, როგორც წესი, არასრულია ანდა ნაწილობრივ სუბიექტური. შედგენილია კატალოგი, რომელშიც თავმოყრილია ამ ტიპის 800 შემთხვევა, რომელთაც ადგილი ჰქონდათ 24 ქვეყანაში („The Hynek UFO Report“, გვ. 30). ჯერ არცერთხელ არ ყოფილა რეგისტრირებული „მფრინავი თეფშის“ ნაწილი, და დედამიწაზე დატოვებული ნიშნებიც ისევე საიდუმლოებითაა მოცული, როგორც თვით ობიექტები. უფრო ხშირად ეს ნიშნები რჩება ამოუცნობი მფრინავი ობიექტების მიწაზე დაშვებისას (როცა ისინი ადამიანების თვალ-

წინ იმყოფებოდნენ მიწაზე ან ამ ადგილის თავზე) და წარმოადგენს გადაბუგულ, გადამხმარ ნაკვეთს ანდა 29—30 ფუტის დიამეტრისა და 1—3 ფუტის სისქის რგოლის ფორმის ჩაღრმავებებს. ეს რგოლები კვირეებისა და თვეების განმავლობაში არ ქრებოდა და ცნობებიც არსებობს, რომ მიწა ამ რგოლების შიგნით უნაყოფო რჩება წელი ან ორიც. ამგვარი „რგოლების" ნიადაგის მცირერიცხოვანი ქიმიური სინჯები არ გვაძლევს საშუალებას გავაკეთოთ დასკვნა ამ მდგომარეობის მიზეზების შესახებ.

„მეორე რიგის ახლო კონტაქტები" აქვთ ადამიანებს, რომლებიც ღამით გზის მოცილებულ უბნებზე იმყოფებიან. მრავალ მსგავს შემთხვევაში მანათობელი ობიექტი ეშვება მინდორზე მსუბუქი ან სატვირთო მანქანის მახლობლად, ან გზაზე მათ წინ, მანქანის ძრავა და ფარები წყვეტს მუშაობას, ხოლო მასში მსხდომი ადამიანები შეძრწუნებული შესცქერიან ამოუცნობ მფრინავ ობიექტს, სანამ იგი არ მიეფარება თვალს, უმეტესად უეცრად და უხმაუროდ აიჭრება რა ვერტიკალურად ზევით; ამის შემდეგ ძრავა ისევ ამუშავდება, ხანდახან თავისით ჩაირთვება ხოლმე.

მაგრამ ამოუცნობ მფრინავ ობიექტებთან შეხვედრებს შორის ყველაზე უფრო უცნაურია ცნობები ე. წ. „მესამე რიგის ახლო კონტაქტების" შესახებ, სახელდობრ, შეხვედრა „მფრინავ თეფშებთან" დაკავშირებულ „სულიერ არსებებთან" („მგზავრებთან" ან „ჰუმანოიდებთან") .ამგვარი ცნობების შეტყობისას ადამიანთა უმრავლესობას უჩნდება პირველი რეაქცია — წარმოიდგინოს „პატარა მწვანე კაცუნები და უარი სთქვან მთლიან ფენომენზე, როგორც ჰეშმარიტებისათვის შეუსაბამოზე და ჩათვალონ იგი თვალთმაქცობად ან ჰალუცინაციად. თუმცა, ამ მოკლე ხნის წინ ამერიკაში გადაღებული სამეცნიერო-ფანტასტიკური ფილმის წარმატებამ, რომელსაც ასევე ჰქვია „მესამე რიგის ახლო კონტაქტები" (მისი მეცნიერ-კონსულტანტი იყო დოქტორ გინეკი), და ასევე 1974 წ. მონაცემები გოლოპას ცნობების მიხედვით, რომლის თანახმადაც მფრინავ თეფშებს" რეალურად არსებულად თვლის 5 პროცენტი იმ ადამიანებისა, ვისაც მათზე რაიმე სმენიათ, ხოლო 46 პროცენტს გამოკითხულთა საერთო რიცხვისა, სწამს გო-

ნიერი სიცოცხლის არსებობა სხვა პლანეტებზე[1] (დღეს ეს პროცენტული რიცხვი უეჭველად უფრო მაღალი იქნებოდა) — მიუთითებს იმაზე, რომ თანამედროვე ადამიანი სულ უფრო მეტ მზადყოფნას ამჟღავნებს, რათა მიიღოს „არაადამიანურ გონთან" რეალური კონტაქტების იდეა.

სამეცნიერო ფანტასტიკამ შვა სახეები, „ევოლუციამ" შექმნა ფილოსოფია, ხოლო „კოსმოსური ეპოქის" ტექნოლოგიამ უზრუნველყო ამგვარი კონტაქტების შესაძლებლობა.

რა გასაოცრადაც არ უნდა გვეჩვენებოდეს, ამგვარი კონტაქტები, როგორც ჩანს, იგი ჩვენს დღეებშიც ხორციელდება, რასაც მოწმობს სანდო პირების მიერ მოწოდებული ცნობები. ეს კი ნიშნავს, რომ ინტერპრეტაცია — ახსნა, რომელიც ამ მოვლენებს უნდა მიეცეს, იძენს პირველად მნიშვნელობას. რა არის ეს მოვლენები? დგას მათ უკან „კოსმოსიდან მოსულ" სტუმრებთან რეალური კონტაქტი, თუ ეს მხოლოდ ახსნაა, შთაგონებული „დროის სულით", სულ სხვა რიგის კონტაქტებისა?

როგორც ეს ქვემოთ გამოჩნდება, თანამედროვე მეცნიერებმა, რომლებიც ამოუცნობ-მფრინავ ობიექტებს შეისწავლიან, უკვე დასვეს ეს საკითხები.

დოქტორი გინეკი გულწრფელად აღიარებს, რომ არ სურს სცნოს „მესამე რიგის ახლო კონტაქტების" შესაძლებლობა: „გულახდილად რომ ვთქვათ, მოხარული ვიქნებოდი დუმილით ამეცლო გვერდი ამ საკითხისათვის და მიმეცა საკუთარი თავისათვის ამისი ნება ისე, რომ მეცნიერული კეთილსინდისიერების პრინციპი არ დამერღვია" („The UFO Experience", გვ. 158). მაგრამ ისწრაფვის რა შეინარჩუნოს მეცნიერული ობიექტურობა, მას შეუძლებლად მიაჩნია, გვერდი აუაროს ამ უცნაური ფენომენის კარგად დოკუმენტირებულ შემთხვევებს, ცნობებს საიმედო მხილველებისა. თითქმის 1250 „ახლო კონტაქტის" შემთხვევიდან, რომლებიც რეგისტრირებულია დოქტორ ჟაკ ვალლეს კატალოგში, 750-ში ლაპარაკია ხომალ-

---

[1] J. Allen Hynek and Jacques Vallee, The Edge of Reality. A Progress Report on Unidentified Flying Objects, Henry Regnery Co., Chicago, 1975, pp. 289-290.

დის მიწაზე დაშვებასა, და 300-ზე მეტში კი აღნიშნულია „ჰუმანოიდების“ ყოფნა ხომალდზე ან მის მახლობლად; ხოლო ერთი მესამედი ის შემთხვევებია, რომლებიც დასტურდება რამოდენიმე მოწმის მიერ (იქვე, გვ. 161).

აი „ჰუმანოიდებთან“ შეხვედრის ერთი შემთხვევა, რომელიც 1961 წ. ნოემბერში მოხდა აშშ ჩრდილოეთის ერთერთი შტატის ტერიტორიაზე: ოთხი მონადირე გვიან ღამით შინ ბრუნდებოდა. ერთმა მათგანმა შენიშნა გავარვარებული ობიექტი, რომელიც დაბლა ეცემოდა, თითქოს თვითმფრინავს ავარია შეემთხვა და გზაზე დავარდა მათგან თითქმის ნახევარი მილის დაშორებით. როცა მათ „ავარიის“ ადგილს მიაღწიეს, ოთხივემ დაინახა მინდორში მიწაში კუთხით ჩარჭობილი ვრძელი ცილინდრის ფორმის ობიექტი. მის გარშემო იდგა ოთხი ადამიანის მსგავსი ფიგურა (დაახ. 160 მ. დაშორებით). მათ ფარები მიანათეს ერთ-ერთ ფიგურას (სიმაღლით 4,5 ფუტი-135 სმ), რომელიც რაღაც თეთრი კომბინიზონის მსგავს სამოსს ატარებდა. მან თითქოს ანიშნა არ მომიახლოვდეთო. მონადირეებმა ცოტა შეიცადეს (ეგონათ თვითმფრინავს ავარია მოუვიდაო) და შემდეგ პოლიციელის მოსაყვანად წავიდნენ, ხოლო როცა დაბრუნდნენ, დაინახეს რამდენიმე სუსტი წითელი სინათლე, რომელიც მანქანის სინათლეს წააგავდა. მონადირეები პოლიციელებთან ერთად მანქანით გამოვიდნენ მინდორში და გაჰყვნენ შუქს; მაგრამ აქვე შეამჩნიეს, რომ ნათება უცებ აბსოლუტურად უკვალოდ გაქრა, მაგრამ მინდორი სველი იყო. მას შემდეგ რაც შეცბუნებული პოლიციელი წავიდა, მონადირეებმა კვლავ დაინახეს „ცილინდრი“, რომელიც ციდან ეშვებოდა მოწითალო ნათებით. როგორც კი დაეშვა მიწაზე ეს საგანი, მის მახლობლად გაჩნდა ორი ფიგურა; გაისმა გასროლის ხმა (თუმცა არცერთი მონადირე არ ტყდება, რომ მან ისროლა) და ერთერთი მხარში „დაჭრილი“ ფიგურა (გაისმა ყრუ დარტყმა) მოტრიალდა და მუხლებზე დაეცა. პანიკით შეპყრობილი მონადირეები თავიანთ მანქანასთან მივარდნენ და გაიპარნენ. მათ მოილაპარაკეს, რომ ამ შემთხვევის შესახებ არავისთვის არაფერი ეთქვათ. ისინი შინ საოცარი შეგრძნებით დაბრუნდნენ, რომ ღამის განმავლობაში იყო რაღაც „დაკარგული“ დროის პერიოდი. მეორე დღეს ერთ-ერთ ამათგანს

სამსახურში ეწვია რამდენიმე პეწიანად ჩაცმული ადამიანი, რომლებიც „ოფიციალურ წარმომადგენლებს“ ჰგავდნენ, და შეკითხვებს აძლევდნენ ამ შემთხვევასთან დაკავშირებით (თუმცა გასროლის შესახებ კრინტიც არ დაუძრავთ). იგი თავისი მანქანით სახლში მიიყვანეს, სადაც თავისი ტანსაცმელისა და ფეხსაცმლის შესახებ ჰკითხავდნენ. შემდეგ ისინი წავიდნენ და ითხოვეს ამის თაობაზე არავისთვის არაფერი ეამბნათ. მონადირეს ეგონა, რომ ესენი იყვნენ აშშ-ს საჰაერო-სამხედრო ძალების ოფიციალური წარმომადგენლები, რომლებიც ცდილობენ დაფარონ რაღაც ახალი „საიდუმლო აღმოჩენა“, თუმცა ეს ხალხი თავის თავზე არაფერს ამბობდა და არც მათ შეხვედრიან. ოთხივენი უკიდურესად შეძრწუნებულები იყვნენ ამ შემთხვევით და მხოლოდ ექვსი წლის შემდეგ ერთერთმა მათგანმა ჩათვალა თავის მოვალეობად მოეთხრო ამის შესახებ აშშ-ს ხაზინის აგენტისათვის („The Edge of Reality“, გვ. 129—141).

ამ ისტორიის ძირითადი მოვლენები ტიპიურია „მესამე რიგის ახლო კონტაქტებისათვის“. მისგან მცირედით განსხვავებულია ის გარემოებანი, რომელშიც მოხდა ცნობილი „გადმოსხმა“ კელლიში, ჰოპკინსვილლის მახლობლად, კენტუკში; იგი დეტალურად იქნა გამოკვლეული პოლიციისა, სამხედრო-საჰაერო ძალებისა და დამოუკიდებელი მკვლევარების მიერ. 1955 წლის 21 აგვისტოს, ღამით ერთ-ერთი ფერმერის მეურნეობის 7 მოზრდილსა და ოთხ ბავშვს ჰქონდა ხანგრძლივი შეხვედრა „ჰუმანოიდებთან“. შეხვედრა დაიწყო 7 საათზე, როცა ფერმერის ვაჟმა დაინახა თუ როგორ დაეშვა მფრინავი ობიექტი სახლის უკან. მას არავინ არ დაუჯერა, მაგრამ ერთი საათის შემდეგ დაინახეს, რომ სახლისკენ მოაბიჯებდა ზემოთ აწეული (აშვერილი) ხელებით „პატარა კაცუნა“, „რომელიც უცნაურად ანათებდა“, როცა იგი სახლს 20 ფუტის მანძილზე მიუახლოვდა, ორმა მამაკაცმა შიშისაგან მას სროლა აუტეხა. „კაცუნა“ გატრიალდა და სიბნელეში გაუჩინარდა. მალე ამის შემდეგ ფანჯარაში გამოჩნდა სხვა ასეთივე არსება. მასაც ესროლეს და ისიც თვალს მიეფარა. გარეთ გამოსულმა მამაკაცებმა კიდევ ერთ არსებას აუტეხეს სროლა. მას ხელი ბრჭყალს მიუგავდა. ეს არსება სახლის სახურავზე შენიშნეს.

როცა ტყვია მოხვდა, იგი მიწაზე დაეშვა. მამაკაცებმა დაინახეს და ესროლეს კიდევ რამდენიმე „პატარა კაცუნას“ (შესაძლოა ესენი ერთი და იგივე არსებები იყვნენ), მაგრამ ტყვია სხლტებოდა და ისინი უვნებელი რჩებოდნენ. ხმით ეს წააგავდა ვედროზე მოხვედრის ხმას. როცა მათ სროლაში დახარჯეს 4 კოლოფი ვაზნებისა, 11 ადამიანმა შეშინებულმა სიკვდილამდე, მანქანით ჰოპკინს ვილლის პოლიციის განყოფილებას მიაშურა, პოლიციელები ფერმაში დაბრუნდნენ ნაშუაღამევს, იქაურობა გულდასმით გაჩხრიკეს და რამდენიმე უჩვეულო ნაკვალევი აღმოაჩინეს. მათ შენიშნეს რამდენიმე უცნაური მეტეორი, რომელიც ფერმას ეცემოდა, მაგრამ „არსებები“ არ ჩანდნენ. მას შემდეგ, რაც პოლიცია წავიდა, ისინი კვლავ გამოჩნდნენ, რითაც კიდევ უფრო მეტად დააშინეს ფერმის მცხოვრებლები.

ამ შემთხვევისას „ჰუმანოიდები“, აღწერის თანახმად, 3,5-დან 4 ფუტამდე (1—2 მ.) სიმაღლისანი იყვნენ, უზარმაზარი ხელისგულებითა და თვალებით (გუგებისა და ქუთუთოების გარეშე), დიდი წაწვეტებული ყურებით, და გრძელი ხელები მიწამდე დასთრევდათ. ისინი თითქოს ჩაცმულები არ იყვნენ, მაგრამ „ნიკელის ჯავშანში“ მსხდართ ჰგავდნენ და სახლს ბნელი მხრიდან უახლოვდებოდნენ. გარეთ თუ სინათლე ენთო, მაშინ ახლოს არ მოდიოდნენ[1].

დოქტორი გინეკი მკვეთრად გამიჯნავს „მესამე რიგის ახლო კონტაქტებს“ „კონტაქტიორებისაგან“. ეს უკანასკნელნი გამუდმებით ხვდებიან „მფრინავი თეფშების“ ობიექტებს, ხშირად გადმოგვცემენ მათგან ფსევდო-რელიგიურ შეტყობინებებს სხვა პლანეტების „მაღალგანვითარებული“ არსებების შესახებ, რომლებიც აპირებენ მოსვლას, რათა „მშვიდობა“ მოუტანონ დედამიწას, და ხშირად კავშირში იმყოფებიან ამოუცნობი მფრინავი ობიექტების რელიგიურ კულტებთან. ჩვეულებრივი „მესამე რიგის ახლო კონტაქტები“, პირიქით, როგორც წესი, ძალიან ჰგავს „სხვა „ახლო კონტაქტებს“; იგი ემართებათ მსგავსი პროფესიის ადამიანებს, ერთნაირად სანდოებს, ერთნაირად მოულოდნელად და ერთნაირად სცემს

---

[1] Vallee, UFOs in Space, pp. 187-191, Hynek, The UFO Experience. pp. 172-177.

თავზარს რაღაცა ძალზედ წარმოუდგენელის დანახვისას. „მფრინავი თეფშების“ წარმომადგენლების შესახებ, რომლებსაც ხედავენ, ამბობენ, რომ ისინი აგროვებენ ნიადაგისა და ქვების სინჯებს, აინტერესებთ ადამიანთა სადგომები, შეტყობინების (ურთიერთობის) საშუალებები, ანდა აკეთებენ თავიანთ ხომალდს. აღწერების მიხედვით „ჰუმანოიდები“ დიდთავები არიან, და სახის ნაკვთებიც ადამიანისას არ მიუგავთ (არა აქვთ თვალი, ანდა აქვთ უზარმაზარი ერთმანეთისაგან ძალზედ დაშორებული თვალები, — ცხვირი პატარა ან სულაც არა აქვთ, პირის ნაცვლად — ღრიჭო), წვრილი ფეხები, არა აქვთ კისერი; ზოგიერთი მონათხრობის მიხედვით, ისინი ნორმალური ადამიანის სიმაღლისანი არიან. სხვანი, როგორც კალლიჰოპკინსვილლის შემთხვევაში, სიმაღლით 3,5 ფუტი. ცოტა ხნის წინ დასრულდა კატალოგი, რომელშიც შედის „მესამე რიგის ახლო კონტაქტების“ შეხვედრის 1000 შემთხვევა Hynek, The UFO Experience, p. 31). არის შემთხვევები, რომლებზეც მოგვითხრობენ სერიოზული, სანდო პირები, „მფრინავი თეფშების“ წარგზავნილების მიერ „ტესტირების“ მიზნით ხალხის „მოტაცებისა“. ასეთი ჩვენებები, თითქმის ყველა (თუ გამოვრიცხავთ „კონტაქტიორებს“), მიღებულია ღრმა ჰიპნოზის დროს; შთაბეჭდილება იმდენად დიდ ტრავმას აყენებს მხილველებს, რომ გონება არ ახდენს მის ფიქსირებას. ისინი მხოლოდ გარკვეული დროის შემდეგ თანხმდებიან ჰიპნოზის სეანსზე, რათა გაერკვნენ საიდუმლოებით აღსავსე „დროის ამოვარდნაში“, რაც მოჰყვება „ახლო კონტაქტებს“ და რომლისგანაც მხოლოდ დასაწყისი ახსოვთ.

ერთი-ერთი ყველაზე ფართოდ ცნობილი „მოტაცება“ მოხდა 1961 წ. 19 სექტემბერს ნიუ-ჰემპშირში უიტფელდის მახლობლად. ამ თემაზე დაწერილია წიგნი „შეწყვეტილი მოგზაურობა“ (ჯონ ფულერის მიერ), რომელიც შემოკლებული სახით დაიბეჭდა ჟურნალში „Look“. იმ ღამეს ბარნი და ბეტტი ჰილლები ბრუნდებოდნენ მოგზაურობიდან (ასე ატარებდნენ ისინი თავიანთ შვებულებას); უეცრად მათ შენიშნეს „მფრინავი თეფში“, რომელიც ეშვებოდა და დაჯდა შარაგზაზე, ზედ მათი მანქანის წინ. მათ მიუახლოვდა რამდენიმე „ჰუმანოიდი“, და ესაა რაც მათ ახსოვთ იმ მომენტამდე, როცა 2 საათის

შემდეგ აღმოჩნდნენ გზაზე 35 მილის დაშორებით. ეს ამნეზია მათ აწუხებდათ, რაც იწვევდა ფიზიკურ და ნერვიულ დარღვევებს, და ბოლოს მათ მიმართეს ფსიქიატრს. ჰიპნოზისას ისინი, ერთმანეთისაგან დამოუკიდებლად, ჰყვებოდნენ თუ რა მოხდა ამ დაკარგული დროის განმავლობაში. ორივე ირწმუნებოდა, რომ ისინი აიყვანეს „ხომალდზე" და ჩაუტარეს ფიზიკური შემოწმება, ანალიზისთვის აიღეს კანის ნაწილები და ფრჩხილებიც კი. ბოლოს ისინი გაათავისუფლეს და ჰიპნოზით შთააგონეს, რომ არ ემახსოვრებოდათ არაფერი რაც ნახეს. ჰიპნოზის დროს ისინი ძლიერი ემოციური რეაქციით ლაპარაკობდნენ თავიანთ განცდებზე („The UFO Experience, 178—184).

მსგავს შემთხვევაში, 1967 წლის 3 დეკემბრის ღამის 3 საათზე პოლიციელმა ეშლანდში, ნებრასკაში დაინახა გზაზე ობიექტი, მოციმციმე სინათლეების რიგით, რომელიც მიახლოებისას აფრინდა. პოლიციელმა უფროსებს მოახსენა „მფრინავი თეფშის" შესახებ და წავიდა სახლში ძლიერი თავის ტკივილით. ყურებში ზუზუნი ესმოდა, ხოლო მარჯვენა ყურის ქვეშ აღმოაჩნდა წითელი ნაჭდევი. მოგვიანებით გამოირკვა, რომ ღამით მას ჰქონდა 20 წუთიანი ამოვარდნა, პერიოდი, რომელიც მას არ ახსოვდა; ჰიპნოზის ძალით იგი მოჰყვა, რომ გაჰყვა „მფრინავ თეფშს", რომელიც ისევ დაფრინდა. „თეფშის" ბინადრებმა მას მიანათეს კაშკაშა სინათლე და თავის ხომალდში აიყვანეს, სადაც მან სამართავი პულტი ნახა და მანქანები, რომლებიც წააგავდა კომპიუტერებს (ფრანგმა ინჟინერმა, რომელიც 18 დღე იყო „მოტაცებული" მსგავსი რამ ნახა). კომბინიზონში გამოწყობილმა „ჰუმანოიდებმა" (მათ კომბინიზონზე გამოხატული იყო ფრთიანი გველი) მას უთხრეს, რომ ისინი მეზობელი გალაქტიკიდან მოფრინდნენ, რომ მათ აქვთ ბაზა აშშ-ის ტერიტორიაზე და თავის ხომალდებს „უკუმაგნეტიზმის" საშუალებით მართავენ. ისინი შემთხვევით შედიან კონტაქტში ადამიანებთან და „უნდათ ხალხის დაინტერესება". მათ გაუშვეს პოლიციელი და უბრძანეს „არ ეტლიკინა იმაზე, რაც მოხდა" („The Invisible Gollege", გვ. 57—59).

ერთი შეხედვით ეს შემთხვევები უბრალოდ არ ჰგავს სი-

ნამდვილეს, მსგავსად ზოგიერთი უცნაური ჰალუცინაციისა ან ავადმყოფური წარმოსახვის ნაყოფისა. მაგრამ ახლა ისინი ძალზედ ბევრია იმისათვის, რომ უბრალოდ ხელი ჩავიქნიოთ. ეს რომ იყოს შეხვედრა ჩვეულებრივ მიწიერ საჰაერო ხომალდებთან, ცნობები არ იქნებოდა დამაჯერებელი. შემდეგ, თვით ფსიქიატრები გვაფრთხილებენ, რომ ღრმა ჰიპნოზის შედეგები საიმედო არაა; თვით ჰიპნოზის ქვეშ მყოფს ხშირად არ შეუძლია განასხვაოს ჭეშმარიტი ფაქტი „შთაგონებისაგან", რომელიც მის გონებაშია შთაბეჭდილი ჰიპნოტიზიორის მიერ ან სავარაუდო „ახლო კონტაქტის" დროს ვინმეს მიერ. მაგრამ თუნდაც სრულიად არარეალურიც რომ იყოს ეს განცდები (როგორც ობიექტური მოვლენები სივრცესა და დროში), თვით ის ფაქტი, რომ უკანასკნელ წლებში ხალხში ამდენია „შთაგონებული", დიდ მნიშვნელობას იძენს. ეჭვი არ არის, რომ „მოტაცების" შემთხვევების უკან იმალება რაღაც, და ამოუცნობი მფრინავი ობიექტების მკვლევარები, არც თუ დიდი ხანია შეუდგნენ ამ მოვლენების სხვა მიმართულებით ახსნას.

მსგავსი შემთხვევები, განსაკუთრებით 1970-იანი წლების „ახლო კონტაქტები", საგრძნობლად უკავშირდება „პარანორმალურ" და ოკულტურ ფენომენებს. ამოუცნობ მფრინავ ობიექტებთან უშუალოდ შეხვედრის წინ ადამიანები ხედავენ უცნაურ სიზმრებს, ანდა ესმით კაკუნი კარზე, როცა იქ არავინაა, ანდა მათთან მოდიან უცნაური მნახველები. „მფრინავ თეფშებთან" შეხვედრის შემდეგ, ზოგი მოწმე ამოუცნობი მფრინავი ობიექტების თანამგზავრებისაგან იღებს ტელეპატიურ ცნობებს; ამოუცნობი მფრინავი ობიექტი მატერიალიზდება ან ხდება მისი დემატერიალიზება, ნაცვლად იმისა, რომ დიდი სიჩქარით მოფრინდეს და გაფრინდეს; ხანდახან ხდება „სასწაულებრივი განკურნება" მათ მახლობლად ან მათ მიერ დასხივების შემდეგ[1]. თუმცა „ახლო კონტაქტებს" ამოუცნობ მფრინავ ობიექტებთან მოჰყვება ხოლმე ლეიკემია და რადიაციული დაავადებანიც. ხშირად იწყება ტრაგიკული ფსიქო-

---

98 Laonic. Chaleocondyl. Histor. Lib. I. pag. 25 et seg. edit. New York, 1975. p. 17, 21.

ლოგიური მოვლენები: პიროვნების დეგრადაცია, თვითმკვლელობა, შეშლილობა (სიგიჟე)[1].

ამოუცნობ მფრინავ ობიექტებთან დაკავშირებით „ფსიქიური კომპონენტის“ დამატებამ მკვლევარები აიძულა ეძებნათ ანალოგია „მფრინავ თეფშებზე“ დაკვირვებებსა და ოკულტურ ფენომენებს შორის, და ეცადათ ეპოვათ მის ამოსახსნელად გასაღები იმ ფსიქიკურ ეფექტებში, რომლებსაც ისინი იწვევენ („The Invisible Gollege“, გვ. 29). ბევრი მეცნიერი აღნიშნავს ამოუცნობი მფრინავი ობიექტის ფენომენის მსგავსებას მე-19 ს-ის სპირიტიზმთან, რომელიც ასევე ათავსებდა ფსიქიკურ მოვლენებს უცნაურ ფიზიკურ ეფექტებთან, მაგრამ ეყრდნობოდა პრიმიტიულ „ტექნოლოგიას“. საერთო ჯამში, 1970-იანი წლები მოწმე გახდა იმ უფსკრულის თანდათანობითი გაქრობისა, რომელიც წარსულში არსებობდა ამოუცნობი მფრინავი ობიექტების „ნორმალურ“ ფენომენსა და მის კულტებს შორის, რაც შეიძლება აიხსნას ამ ათეულ წლებში ოკულტური პრაქტიკისადმი კაცობრიობის სულ უფრო მზარდი აღქმის უნარით.

4. ამოუცნობი მფრინავი ობიექტების ფენომენის ახსნა

დოქტორი დაკ ვალლე თავის ბოლო წიგნში „უხილავი კოლეჯი“ მოგვითხრობს იმის თაობაზე, რომ ცნობილი მეცნიერ-მკვლევარები უკვე ფიქრობენ ამოუცნობი მფრინავი ობიექტების შესახებ, და თვლის, რომ ჩვენ „მჭიდროდ მივუახლოვდით“ ამ მოვლენის არსის გაგებას. მასში აღნიშნულია, რომ „არამიწიერი“ გონიერი ცხოვრების იდეა უკანასკნელ წლებში ძალზედ მოდურად იქცა, ერთნაირად როგორც მეცნიერებისათვის, ასევე მკითხავებისთვის და ეს შედეგია „გონის (გონიერების) უმაღლეს ფორმებთან კონტაქტების დამყა-

---

[2] John A. Keel, UFOs: Operation Trojan Horse, G. P. Putnam,s Sons, N.Y. 1970, p. 303.

რების დაუოკებელი სწრაფვისა", რამეთუ მათ შეუძლიათ უჩვენონ გზა ჩვენს უბედურ, განაწამებ, მძიმედ დაავადებულ (მძიმე სენით შეპყრობილ) პლანეტას" (გვ. 95). აღსანიშნავია, რომ იგი ხედავს: თუ როგორ გადაიქცა აზრი კოსმოსიდან მოსული სტუმრების შესახებ „უდიდეს მითად", ანდა „ჩვენი დროის საოცარ სიცრუედ". ხალხთა დიდი მასებისათვის უჩვეულოდ მნიშვნელოვანი გახდა კოსმოსიდან წვეულთა მოლოდინი (გვ. 207).

მიუხედავად ამისა, ამ მითის დაჯერებას იგი გულუბრყვილობად თვლის: „ამგვარი ახსნა ძალზედ მიამიტურია და ვერ ახსნის ამოუცნობი მფრინავი ობიექტების ბინადართა სხვადასხვაგვარ ურთიერთობას ადამიანებთან" (გვ. 27). დოქტორი გინეკი აღნიშნავს, რომ ამ ობიექტების ყოველგვარი ზემოქმედების ასახსნელად ჩვენ უნდა დავუშვათ, რომ ისინი წარმოადგენენ „ფენომენს, რომელსაც უდაოდ აქვს ფიზიკური ზეგავლენის უნარი, თუმცა ასევე ახასიათებს ფსიქიკური სამყაროს თვისებებიც" („The edge of Reality", გვ. 259).
დოქტორი ვალლე მიიჩნევს (აღნიშნავს), რომ „ისინი კონსტრუირებული არიან ერთდროულად როგორც ფიზიკური ეკიპაჟი (ეს ფაქტი ჩემში დიდი ხანია ეჭვს არ იწვევდა), და როგორც ფსიქიკური მოწყობილობანი, რომელთა ზუსტი თვისებები ჯერ კიდევ განსასაზღვრია („The Invisible College", გვ. 191). თეორია, რომელიც ამტკიცებს, რომ ამოუცნობი მფრინავი ობიექტები არ წარმოადგენენ ფიზიკურ ეკიპაჟებს, არამედ „პარაფიზიკური" ანდა ფსიქიკური მოვლენების სახესხვაობაა, რიგი მეცნიერების მიერ ჯერ კიდევ 50-იანი წლების დასაწყისში იქნა წამოყენებული; მაგრამ მოგვიანებით იგი უარყვეს, ერთის მხრივ, კულტების მიმდევრებმა, რომლებიც ამტკიცებდნენ ამოუცნობი მფრინავი ობიექტების „არამიწიერ" წარმოშობას, და მეორეს მხრივ, სახელმწიფო ორგანოებმა ოფიციალური განმარტებებით, რომელთა თანახმადაც ყველა ეს მოვლენა მნახველთა (მომსწრეთა) წარმოსახვის ნაყოფია (Keel, UFOs: Operation Trojah Horse", გვ. 38—41). და მხოლოდ ამ მოკლე ხნის წინ, მკვლევარებმა სერიოზულად დაიწყეს დათანხმება იმაზე, რომ ამოუცნობ მფრინავ ობიექტებს თუმცა აქვთ ზოგი „ფიზიკური" მახასიათებლები, არ შეიძლება იყვნენ ვინ-

მეს „კოსმოსური ხომალდები“ და ნამდვილად მიეკუთვნებიან როგორც პარაფიზიკურ, ასევე ოკულტურ მოვლენებს.

და მართლაც, რატომ, ვთქვათ, ასე ბევრი „მფრინავი თეფ-'ში“ ეშვება“ პირდაპირ შუა გზებზე? რატომ. სჭირდება ეგზომ სრულყოფილ ხომალდებს ასე ხშირად „შეკეთება“?, ხოლო მის მობინადრეს ამდენი ქვისა და ჯოხის შეგროვება? (აგერ 25 წელზე მეტია კვლავ და კვლავ აგროვებენ) ანდა „ტესტირება“ ამდენი ადამიანისა — თუ ისინი მართლაც სხვა პლანეტებიდან გამოგზავნილი სადაზვერვო ხომალდებია, როგორც ამას ჩვეულებრივ „ჰუმანოიდები“ ამტკიცებენ? დოქტორი ვალლე, არც თუ უსაფუძვლოდ, სვამს კითხვას, „კოსმოსიდან სტუმრობის იდეა“ ხომ არ ემსახურება „დაფარვას და შენიღბვას რეალური, უსასრულოდ უფრო რთული ტექნოლოგიისა. რომელმაც დაკვირვების საბაბი მოგვცა?“ (The Invisihle Gollege, გვ. 28). იგი ამტკიცებს, რომ ჩვენ საქმე გვაქვს არა კოსმოსიდან ერთმანეთზე მიყოლებით შემოტევის ტალღებთან, არამედ კონტროლის სისტემასთან“ (გვ. 195). „იმას, რაც ამოუცნობ მფრინავ ობიექტებთან კონტაქტის დროს ხდება, შეიძლება ვუწოდოთ ადამიანთა რწმენის კონტროლი“ (გვ. 3). „მფრინავი თეფშების“ ყოველი ახალი ტალღა, მათი გავლენა საზოგადოებაზე სულ უფრო მეტ მნიშვნელობას იძენს. სულ უფრო მეტად იზრდება ახალგაზრდობის გატაცება კოსმოსით, ფსიქიკური ფენომენებით, ცნობიერების ახალი სფეროებით. ჩნდება სულ უფრო მეტი და მეტი წიგნი და სტატია, რაც ჩვენს ცივილიზაციას ცვლის“ (197,8). სხვა წიგნში იგი წერს, რომ „სავსებით შესაძლებელია ნებისმიერი საზოგადოების უმეტესი ნაწილი აიძულო ირწმუნოს ზებუნებრივი რასების არსებობა, მფრინავი მანქანების რეალურობა, ბინადარი სამყაროების სიმრავლე, თუ მათ წინაშე გაითამაშებ კარგად დამუშავებულ სცენას, რომლის ცალკეული დეტალებიც შეწყობილია მოცემული დროისა და ადგილის კულტურასა და ცრუ რწმენებთან“[1].

---

[1] Vallee, Passport to Magania Henry Regnery Co Chicago. N.Y. 1965, pp. 46-41.

მნიშვნელოვანი გარემოება, რომელიც ნათელს ჰფენს ამ „ზედმიწევნით დამუშავებულ სცენებს“, შენიშნული აქვთ და ხშირად ხაზს უსვამენ ხოლმე ამოუცნობი მფრინავი ობიექტების ფენომენის დაკვირვებული მკვლევარები, განსაკუთრებით „მესამე რიგის ახლო კონტაქტებისა“ და „კონტაქტიორების“ შემთხვევაში: ყველა ეს სცენა ღრმად „აბსურდულია“ ანდა მათში იმდენივეა აბსურდული, რამდენიც რაციონალური“, — („Valle, The Invisihle Gollege“, გვ. 195). „ახლო კონტაქტის“ ცალკეული შემთხვევები შეიცავენ უაზრო (შეუსაბამო) დეტალებს, ასე მაგ: ოთხი კვერი, რომლებიც ამოუცნობი მფრინავი ობიექტების ბინადარმა მისცა მეფრინველე ფერმერს შტატ ვისკონსიდან, 1961 წ. და კიდევ უფრო მეტად ნიშანდობლივია, რომ თვით ეს კონტაქტები გასაოცრად შეუსაბამოა, უმიზნო და უაზრო. პენსილვანიელმა ფსიქიატრმა წამოაყენა ვარაუდი, რომ აბსურდულობა, დამახასიათებელი ამოუცნობ მფრინავ ობიექტებთან ახლო კონტაქტის თითქმის ყველა შემთხვევისათვის, არის თავისი არსით, ჰიპნოზური ხერხი, „როცა ადამიანებს დაკარგული აქვთ სულიერი წონასწორობა შეუსაბამობისა და წინააღმდეგობრიობის გამო, და ძაბავენ გონებას, რათა აღმოაჩინონ აზრი, ისინი საოცრად გახსნილნი ხდებიან აზრთა გადაცემისთვის, ფსიქიკური განკურნვის აღსაქმელად და ა. შ. („The Invisihle Gollege“, გვ. 11). დოქტორი ვალლე ამ ხერხებს ადარებს ირრაციონალურ „კოანებს“ ძენბუდიზმის მასწავლებლებს (გვ. 27) და აღნიშნავს მსგავსებას „მფრინავ თეფშებთან“ კონტაქტებისა და ინიციაციისა ოკულტურ წესებთან, რომლებიც „ცნობიერებას ხსნიან“ „(სიმბოლოების ახალი სისტემებისათვის“ (გვ. 117). ეს ყველაფერი მიუთითებს იმაზე, რასაც იგი „რელიგიის შემდგომ ფორმას“ უწოდებს (გვ. 202).

მაშასადამე, ამოუცნობ მფრინავ ობიექტებთან კონტაქტები სხვა არაფერია თუ არა უკვე მრავალი საუკუნეების განმავლობაში არსებული ოკულტური ფენომენების თანამედროვე ფორმა. ადამიანებმა უარი თქვეს ქრისტიანობაზე და ელიან „მხსნელს კოსმოსიდან“; სწორედ ამიტომ, ფენომენი გვაძლევს საპლანეტათშორისო ხომალდებისა და სხვა პლანეტების ბინადართა სახეებს, მაგრამ რას წარმოადგენს თავის თავად ეს

ფენომენი? ვინ და რა მიზნით „ამუშავებს“ ამ სცენებს. თანამედროვე მკვლევარებმა უკვე იპოვეს პასუხები — ყოველ შემთხვევაში, პირველ-ორ შეკითხვაზე; მაგრამ თავისი არაკომპეტენტურობის გამო რელიგიური ფენომენების სფეროში, სრულად ვერ შეიცნობენ თავისი აღმოჩენების მთელ მნიშვნელობას. ერთ-ერთი მკვლევარი, ბრედ სტაიგერი, მასწავლებელი აიოვას შტატის კოლეჯისა, რომელმაც ამ თემაზე რამდენიმე წიგნი დაწერა, სამხედრო-საჰაერო ძალების „ლურჯი წიგნის“ კარტოტეკის შესწავლის შემდეგ, ცოტა ხნის წინ ამგვარ დასკვნამდე მივიდა: „ჩვენ საქმე გვაქვს მრავალგანზომილებიან პარაფიზიკურ მოვლენასთან, რომელიც მნიშვნელოვნად მიეკუთვნება პლანეტა დედამიწას“ (Canadiah UFO Report, Summer, 1977). დოქტორებმა გინეკმა და ვალლემ , იმ იმედით, რომ შესძლებდნენ ამოუცნობი მფრინავი ობიექტების ფენომენის ახსნას, წამოაყენეს ჰიპოთეზა „დედამიწასთან დაკავშირებულ სხვა პლანეტების მკვიდრთა“ შესახებ და ლაპარაკობენ „ურთიერთშეღწევად სამყაროებზე აქ, დედამიწაზე, საიდანაც მათ შეუძლიათ მოგვეევლინონ (გამოგვეცხადონ) დაახლოებით ისე, როგორც „პოლტერგაისტი“, რომელიც ფიზიკურ მოქმედებებს ატარებს და ამავე დროს უხილავი რჩება. ჯონ კილი, რომელიც ამოუცნობ მფრინავ ობიექტებს სკეპტიციზმის პოზიციებიდან უდგებოდა და არის ურწმუნო აგნოსტიკოსი, წერს: „ამოუცნობი მფრინავი ობიექტის ისტორია — ეს არის ისტორია სულებსა და მოჩვენებებზე, უცნაურ გონებრივ აშლილობაზე, უხილავ სამყაროზე, რომელიც გარს გვარტყია და დროდადრო შემოიჭრება ჩვენს სამყაროში... ესაა ილუზორული სამყარო..., რომელშიც იდუმალი ძალებით დამახინჯებულია თვით რეალობა. მათ, როგორც ჩანს, შეუძლიათ სივრცის, დროისა და ფიზიკური მატერიების მართვა — ძალები, რომელთა გაგებაც ჩვენთვის მიუწვდომელია... მოკლედ რომ ვთქვათ, თვისებები და მახასიათებლები წარმოადგენენ დემონოლოგიის ცნობილი მრავალსაუკუნოვანი ფენომენების წვრილ ვარიაციებს“ („UFOs: Opeation Trojan Horse“, გვ. 46, 299).

აშშ-ის სამხედრო-საჰაერო ძალების სამეცნიერო განყოფილებისათვის „მფრინავი თეფშების“ ფენომენთან დაკავშირე-

ბით კონგრესის ბიბლიოთეკაში შემუშავებული ბოლო ბიბ-ლიოგრაფიული ნუსხის წინასიტყვაობაში ნათქვამია, რომ „ამჟამად პოპულარულ პრესაში გამოქვეყნებულ ბევრ სარწმუნო მონათხრობში ამოუცნობი მფრინავი ობიექტების შესახებ ვიპოვით გასაოცარ მსგავსებას ეშმაკეულებთან და ფსიქიკურ მოვლენებთან, რაც უკვე დიდი ხანია ცნობილია ღვთისმეტყველებისა და პარაფსიქოლოგებისათვის"[1]. ამოუცნობი მფრინავი ობიექტების მკვლევარ სპეციალისტთა უმრავლესობა ახლა მიმართავს ოკულტურ სფეროს და დემონოლოგიას, რათა უკეთ გაეცნოს შესასწავლ მოვლენებს.

ამ საკითხებზე გამოცემული რამდენიმე უკანასკნელი მეცნიერული წიგნის ავტორები, პროტესტანტი — ევანგელისტები, აჯამებენ რა ამ დამამტკიცებელ საბუთებს, მიდიან დასკვნამდე, რომ ამოუცნობი მფრინავი ობიექტები თავისი ბუნებით დემონურია და სხვა აზრი ამაზე არ არსებობს[2]. მართლმადიდებელი ქრისტიანი საეჭვოა სხვა დასკვნამდე მივიდეს. ზოგი, ანდა ბევრი ამ ცნობიდან — სიყალბეა და ჰალუცინაციის შედეგი; მაგრამ შეუძლებელია ასე უბრალოდ უგულვებელყო მრავალი ათასი ცნობა ამოუცნობი მფრინავი ობიექტების შესახებ იმით, რომ ამ კატეგორიას მიაკუთვნო. თანამედროვე მედიუმების დიდი უმრავლესობა და მათი სპირიტული ფენომენებიც თაღლითობაა; თუმცა თვით მედიუმური სპირიტიზმი, უტყუარი სახით, გვაძლევს რეალურ „პარანორმალურ" მოვლენებს დემონების ზეგავლენით. ამოუცნობი მფრინავი ობიექტების ფენომენები, რომლებთან იგივე წარმომავლობა აქვთ, სულაც არ არის ნაკლებ რეალური.

იმ ადამიანების ისტორიები, რომლებიც ჩათრეული არიან „მფრინავ თეფშებთან" კონტაქტებში, გვიჩვენებენ სტანდარტულ დახასიათებებს, რომლებიც უპირატესობას ანიჭებენ დემონებთან ურთიერთობას ოკულტურ სფეროში. მაგალი-

---

[1] Lynn G. Catoe, UFOs and Related Subjects: An Annotated Bibliography, U. S. Covernment Printing Office, Washington, O.C. 1969.

[2] Clifford Wilson and John Weldon, Close Encounters: A. Better Explanation, Master Books, San Diego, 1978; Spiritual Counterfeits Project Journal, Berkeley, Calif., August, 1977: «UFOs: Is Science Fiction Coming True?».

თად, კალიფორნიელმა პოლიციელმა „მფრინავი თეფში“ დაინახა 1966 წ. ივნისში, და ამის შემდეგ ხშირად ხედავდა, როგორც წესი, ღამით. ერთი „დაფრენის“ შემდეგ მან ცოლთან ერთად ნახა ნაკვალევი მიწაზე. „გამაღიზიანებელი მოვლენების ამ კვირეებში მე ვიქეცი „მფრინავი თეფშების“ იდეით შეპყრობილ ადამიანად და დარწმუნებული ვიყავი, რომ რაღაც დიდი უნდა მომხდარიყო. თავი მივანებე ბიბლიის ყოველდღე კითხვას, ზურგი ვაქციე ღმერთს, რადგან შევუდექი ამოუცნობ მფრინავ ობიექტებზე დაწერილი ყველა წიგნის კითხვას, რის შოვნასაც მოვახერხებდი...

ბევრი ღამე გამითენებია ამაო ლოდინში და ვცდილობდი აზრით დამემყარებინა კონტაქტი მათთან, ვისაც არამიწიერ არსებებად ვთვლიდი. თითქმის ვეევედრებოდი მათ, რომ გამოჩენილიყვნენ და ჩემთან რაიმე კონტაქტი დაემყარებინათ“. და ბოლოს, ეღირსა კიდეც „ახლო კონტაქტი“. ეს იყო დაახლოებით 80 ფუტი დიამეტრის ხომალდი, თეთრი, მწვანე და წითელი მბრუნავი სინათლეებით, რომელმაც ჩაუქროლა და დამკვირვებელი დატოვა რაღაცა „დიდის“ მოლოდინში. მაგრამ სხვა აღარაფერი მომხდარა. „მფრინავი თეფში“ აღარ გამოჩნდა და იმედგაცრუებულმა ალკოჰოლს მისცა თავი, დეპრესიაში ჩავარდა და თავის მოკვლაზე დაიწყო ფიქრი, სანამ ქრისტესთან მობრუნებამ არ დაუსვა წერტილი მისი ცხოვრების ამ პერიოდს. ადამიანებმა, რომელთაც ახლო კონტაქტები ჰქონდათ ამოუცნობ მფრინავ ობიექტებთან და მის თანამგზავრებთან, ბევრად უფრო უარესი განიცადეს; „მფრინავი თეფშების“ არსებები ცდილობდნენ „დაუფლებოდნენ“ მათ და წინააღმდეგობის შემთხვევაში მათი მოკვლაც უცდიათ UFOs: A. Better Explanation, pp 298—375). ეს შემთხვევები თვალნათლივ გვანახვებენ, რომ ამოუცნობი მფრინავი ობიექტების ფენომენის მნიშვნელობისაგან აბსოლუტურად დამოუკიდებლად, მათთან „ახლო კონტაქტს“ აქვს სპეციალური მიზანი „დააბნიოს ადამიანი“ („შეცდომაში შეიყვანოს ადამიანი“), რომელთანაც ამყარებს კონტაქტს, და მიიყვანოს იგი შემდგომ „კონტაქტებამდე“ და „მფრინავი თეფშების“ კულტის გავრცელებამდე თუ არა, საკუთარი სულის დაბნელებამდე ან სრულ დეზორიენტაციამდე მაინც.

მეცნიერთა უმრავლესობისათვის ყველაზე მეტად საიდუმლოებით მოცული ამოუცნობი მფრინავი ობიექტების ფენომენების ასპექტები — სახელდობრ მათთვის დამახასიათებელი ფიზიკური და ფსიქიკური მახასიათებლების უცნაური ნარევი — სულაც არ არის გასაკვირი მათთვის, ვინც მართლმადიდებლურ სასულიერო წიგნებს, განსაკუთრებით წმიდანთა ცხოვრებას კითხულობს. ეშმაკებსაც აქვთ „ფიზიკური სხეულები", თუმცა „მატერია" მათი იმდენად თხელია, რომ ადამიანისათვის უხილავია, თუ მისი „აღქმის კარი" არაა გახსნილი ღვთის ნებით (როგორც ეს წმიდანებს აქვთ) ანდა მის საპირისპიროდ (როგორც ჯადოქრებსა და მედიუმებს)[1].

მართლმადიდებლური ლიტერატურა გვაძლევს მრავალ მაგალითს ეშმაკების გამოცხადებისა, რაც ზუსტად თავსდება ამოუცნობი მფრინავი ობიექტების სქემაში: „სხეულებრივი" არსებებისა და „შეხებით შეგრძნებადი" საგნების ჩვენება რომლებიც ან თავად ეშმაკებია ან მათი ილუზირებული ქმნილებები, რომლებიც წამში „მატერიალიზდება" (იღებს ან კარგავს მატერიალურ სახეს) ან „დემატერიალიზდება", ადამიანების დაღუპვისა ან მათი დაშინების მიზნით. მე-4 ს. წმიდანის ანტონი დიდის (The Ortodox Word, 1976, no. 5) და მე-3 ს. წმიდანის კიპრიანეს, ყოფილი მოგვის, ცხოვრებები სავსეა მსგავსი შემთხვევებით).

წმ. მარტინ ტურელის (გარდ. 397) ცხოვრებაში, რომელიც დაწერილია მისი მოწაფის სულპიცია სეევერის მიერ, მოცემულია საინტერესო მაგალითი ეშმაკების ხრიკებისა უცნაურ „ფიზიკურ" მოვლენებთან დაკავშირებით, რომლებიც იდენტურია „მფრინავი თეფშების" ახლო „კონტაქტებთან". ვინმე ახალგაზრდამ, სახელად ანატოლიმ, წმ. მარტინის მონასტრის მახლობლად, სამონაზნო ცხოვრება დაიწყო; მაგრამ ცრუ მორჩილების გამო მსხვერპლი გახდა ეშმაკთა საცდურისა. მას წარმოედგინა, რომ ესაუბრება „ანგელოსებს" და რომ სხვებიც დაერწმუნებინა თავის წმიდანობაში, ეს „ანგელოსები" შეჰპირდნენ მიეცათ მისთვის „ზეციური მბრწყინავი სამოსე-

---

[1] მართლმადიდებლური დოქტრინა დემონებისა და ანგელოსების შესახებ, მათ გამოვლინებებსა და ჩვენებებზე, რაც დაჯამებულია მე-19 ს-ის მართლმადიდებელი მამის ეპისკოპოსის ეგნატე ბრიანჩანინოვის მიერ, განხილულია წიგნში «Душа после смерти».

ლი", ნიშნად იმისა, რომ მასში დავანებულია „ღვთის ძალა". ერთხელ, შუაღამეს, მისი სავანეს მახლობლად გაისმა მოცეკვავეთა ფეხების ბაკუნი და თითქოსდა მრავალი ხმის დრტვინვა და ანატოლის სენაკი გაბრწყინდა თვალისმომჭრელი სინათლით. შემდეგ დაისადგურა სიჩუმემ და სენაკის ზღურბლზე გამოჩნდა შეცდომილი თავის „ზეციურ" სამოსელში. „მოიტანეს სინათლე და ყველამ ყურადღებით დაათვალიერა სამოსი — იგი იყო საოცრად რბილი, არაჩვეულებრივად მოელვარე და კაშკაშა ალისფერი; მაგრამ შეუძლებელი იყო განსაზღვრა, თუ რა ქსოვილისა იყო. ამავე დროს ჩაციებით დათვალიერებისას და ხელით გასინჯვისას ეს იყო ტანსაცმელი და სხვა არაფერი. მეორე დღეს ანატოლის მისმა სულიერმა მამამ მოჰკიდა ხელი და სცადა წაეყვანა იგი წმ. მარტინთან, რათა შეეტყო ეშმაკების ხრიკები ხომ არ ერია ამ საქმეში. შეცდომილი, შეშინებული, უარს ამბობდა წასვლაზე, ხოლო როცა იძულებით წაიყვანეს, სამოსელი ხელიდან გაუქრათ მათ, ვისაც იგი მიყავდათ". ამ ამბის მთხრობელი (რომელიც ან თვით იყო მომსწრე ამისა, ან მნახველისაგან მოესმინა) ასკვნის, რომ „ეშმაკი უძლური აღმოჩნდა გაეგრძელებინა თავისი ცდუნება ან დაეფარა მათი ბუნება, როცა ისინი წმინდა მარტინის წინაშე უნდა წარმდგარიყვნენ". „იგი იმდენად იყო ძალით შემოსილი დაენახა ეშმაკი, რომ მათ ნების მიერ სახეში ამოიცნობდა, თავისი სახით თუ სხვადასხვა გარეგნობით „სულიერი ბოროტებისა" — მათ შორის წარმართული ღმერთების (კერპების) სახით ანდა თვით მაცხოვრის სახით, სამეფო სამოსელსა და გვირგვინში გაბრწყინვებულს კაშკაშა წითელი ნათებით"[1].

აშკარაა, რომ დღევანდელი „მფრინავი თეფშების" მოვლენა სრულია და დემონური „ტექნიკის"- შესაძლებლობების ფარგლებშია. და მართლაც, ამ მოვლენებს უკეთეს ახსნას ვერც მოუძებნი. მრავალი ეშმაკების საცდური, ცნობილი მართლმადიდებლური წერილებიდან, მისადაგებული იყო კოსმოსურ მითოლოგიასთან; სულ ეს იყო და ეს. ანატოლი,

---

[1] F. R. Hoare tr., The Western Fathers, Harper Torchbacks, U.Y. 1965. pp. 36-41.

რომლის შესახებაც ზემოთ იყო თხრობა, დღეს ცნობილი იქ-ნებოდა როგორც „კონტაქტიორი“ და მიზანიც „ამოუცნობი“ ობიექტებისა ამგვარი კონტაქტების დროს ცხადზე უცხადე-სია:მოჰგვაროს შიშის ზარი (თავზარი დასცეს) მხილველებს და შთააგონოს „საიდუმლოების“ შეგრძნება და დაუდასტუროს „გონების უფრო მაღალი ფორმების“ არსებობა („ანგელოსე-ბისა“ თუ მსხვერპლს მათი სჯერა, ანდა „სტუმრებისა კოსმო-სიდან“ თანამედროვე ადამიანისათვის) და ამრიგად, უზრუნ-ველყოს რწმენა იმ წერილისა (message), რომელიც სურთ გადასცენ. მას ჩვენ ქვემოთ განვიხილავთ.

მოტაცება ეშმაკების მიერ, რომელიც საოცრად ჰგავს ამო-უცნობი მფრინავი ობიექტების მიერ „მოტაცებებს“, აღწერი-ლია წმ. ნილოს სორელის ცხოვრებაში. იგი იყო მე-15 ს-ში სავანის დამაარსებელი. გარდაცვალების შემდეგ, მის მონას-ტერში ცხოვრობდა ვიღაც მღვდელი ვაჟითურთ. ერთხელ, რო-ცა ყრმა რაღაც დავალებით გაგზავნეს, „უცებ მას თავს დაეცა უცხო ადამიანი, ხელი დასტაცა მას და წაიღო, თით-ქოს ქარის ფრთებით გაუვალ ტყეში; შეიყვანა თავისი სადგომის უზარმაზარ ოთახში, დააყენა შუაში ფანჯრის პირ-დაპირ“. როცა მღვდელი და მისი საძმო ლოცულობდა (ეევედრე-ბოდნენ წმ. ნილოსს, რათა დახმარებოდა მათ ყრმის პოვნაში), წმიდანი მოვიდა საშველად და დადგა ოთახის საწინააღმდეგო მხარეს, სადაც ყრმა იდგა, და როცა კვერთხი შემოჰკრა ფან-ჯარას, მთელი შენობა შეიძრა და ყველა არაწმინდა სული და-ეცა მიწაზე“. წმიდანმა უბრძანა ეშმაკს დაებრუნებინა ყრმა იმ ადგილზე, საიდანაც წაიყვანა და გაუჩინარდა. შემდეგ, რო-ცა ბოროტმა სულებმა ერთი პერიოდი იღრიალეს, იმავე უც-ნობმა დასტაცა ხელი ყრმას და თივის ზვინში, გაქრა“. როცა იგი ბერებმა იპოვეს, „ბიჭი ყველაფერს მოუყვა მათ, რაც კი შეემთხვა, რაც გაიგონა და ნახა. ამის შემდეგ ყრმა წყნარი და მორჩილი გახდა, თითქოს გამოშტერდა. შეძრწუნებულ-მა მღვდელმა ვაჟთან ერთად დატოვა სავანე“[1]. ამგვარი ეშ-მაკეული „მოტაცების“ შემთხვევაში ყრმა, მას შემდეგ. რაც

---

[1] The Northern Thebaid, st. Herman of Alaska Brotherhood, 1975, pp. 91-92.

დედამ იგი დასწყევლა, იქცა ეშმაკის მონად 12 წლით, და უჩინარად შეეძლო ხალხში მოსვლა, რათა ეშმაკს შესძლებოდა მისი მეშვეობით ადამიანების სულიერი სიმშვიდის დარღვევა[1].

ეშმაკის საქმიანობის ამსახველი ეს მართალი ამბები გასულ საუკუნეებში ჩვეულებრივ მოვლენას წარმოადგენდა. და ჩვენი დროის სულიერი კრიზისის ნიშანია, რომ თანამედროვე ადამიანი, მიუხედავად თავისი „განათლებისა". და „სიბრძნისა" ისევ აქცევს ყურადღებას ამგვარ შემთხვევებს — მაგრამ მას უკვე აღარ გააჩნია ის ქრისტიანული საფუძველი, რომელიც მოეშველებოდა მათ ახსნაში. ამოუცნობი მფრინავი ობიექტების თანამედროვე მკვლევარები, ამ მოვლენის ახსნის ძებნაში, რომელიც იმდენად შესამჩნევი გახდა, რომ მისი უგულებელყოფა უკვე აღარ შეიძლება, უკავშირდებიან დღევანდელ ფსიქიკურ მკვლევარებს, რათა შექმნან „ერთიანი თეორია ველისა", რომელიც მოიცავდა როგორც ფსიქიკურ, ასევე ფიზიკურ ფენომენებს. მაგრამ ეს სწავლულები მხოლოდ აგრძელებენ თანამედროვე „განათლებული" ადამიანების მიდგომის გზას და იმედოვნებენ, რომ მათი მეცნიერული დაკვირვებანი პასუხს გასცემენ სულიერ სფეროს, რომელსაც საერთოდ არ შეიძლება „ობიექტურად" მიუდგე, არამედ ნხოლოდ რწმენით. ფიზიკურ სამყაროს მორალური ნეიტრალობა გააჩნია და შეიძლება მეტ-ნაკლებად კარგად იქნას შეცნობილი ობიექტური დამკვირვებლის მიერ; უხილავი სულიერი სამყარო კი, დასახლებულია კეთილი და ბოროტი არსებებით, და „ობიექტური" დამკვირვებელი უძლურია გაარჩიოს ერთი მეორისაგან, თუ მას არ ექნება ზეშთაგონება, რომელსაც უხილავი ღმერთი აძლევს ადამიანს. „მფრინავი თეფშების" თანამედროვე მკვლევარები ერთ საფეხურზე აყენებენ ბიბლიის ღვთაებრივ შთაგონებასა და სპირიტიკოსების ავტომატურ წერილებს, რომლებიც სატანის მიერაა შთაგონებული, და ვერ გაურჩევიათ ანგელოსების საქმიანობა ეშმაკ-

---

[1] С. Нилус, «О силе Божией и слабости человеческой» (на русском языке) троице — Сергеевская Лавра, 1908. Братство св. Германа, 1976, გვ. 279—98.

თა ხრიკებისაგან. ახლა მათ უკვე ესმით (კარგა ხნის შემდეგ, როცა მეცნიერებს შორის გაბატონებული იყო მატერიალისტური ცრურწმენები), რომ არსებობს არაფიზიკური სამყარო, რომელიც სავსებით რეალურია, და ისინი მის გამოვლენას „მფრინავი თეფშების" სახით ხედავენ; თუმცა, სანამ ისინი განაგრძობენ ამ სამყაროს შესწავლას „მეცნიერული თვალსაზრისით", ისევე ადვილი იქნება მათი შეცდომაში შეყვანა, როგორც თვით გულუბრყვილო „კონტაქტიორისა". როცა ისინი ცდილობენ განსაზღვრონ ვინ ან რა დგას და რა მიზანი ამოძრავებს მათ, ისინი იძულებული არიან გამოთქვან საკმაოდ უცნაური ვარაუდები. ასე მაგ., დოქტორი ვალე აღიარებს, რომ იგი გაოგნებულია და ვერ გაუგია, აძოუცნობი მფრინავი ობიექტები წარმოქმნილია მორალურად ნეიტრალური „თვითმმართავი მექანიზმებიდან", თუ მომდინარეობს კეთილმოსურნე „ბრძენთა საზეიმო კრებისაგან" (სარწმუნოებისაკენ გადაგვხრის მითი „არამიწიერ არსებებზე), ანდა „შეშზარავი ზეადამიანური ურჩხულებისაგან", რომელთა სახელის გაფიქრებაც კი, ადამიანს ჭკუიდან შეშლის", ე. ი. ეშმაკთა საქმიანობისაგან (The Invisible Gollege, გვ. 206).

ამოუცნობი მფრინავი ობიექტების მოვლენის ჭეშმარიტი შეფასება შეიძლება გაკეთდეს მხოლოდ ქრისტიანული ზეშთაგონებისა და ცდის საფუძველზე, და ხელეწიფება მხოლოდ მორჩილ მორწმუნე ქრისტიანს, რომელსაც აქვს ნდობა ამ წყაროებისა. ცხადია, ადამიანს არ ძალუძს სრულად „ახსნას" ანგელოსთა და დემონთა უხილავი სამყარო; მაგრამ ჩვენ საკმარისი ქრისტიანული ცოდნა გაგვაჩნია, რომ გავიგოთ, თუ როგორ მოქმედებენ ეს არსებები დღეს და როგორ უნდა ვუპასუხოთ მათ მოქმედებაზე, როგორ დავაღწიოთ თავი ეშმაკის მახეს. ამოუცნობი მფრინავი ობიექტების მკვლევარები იმ დასკვნამდე მივიდნენ, რომ მოვლენები, რომლებსაც ისინი შეისწავლიან, თავისი ბუნებით იდენტურია „დემონური" მოვლენებისა; მაგრამ მხოლოდ ქრისტიანს — მართლმადიდებელ ქრისტიანს, რომელიც წმ. წერილის წმინდა მამებისეულ განმარტებებით და წმიდანების უხილავ არსებებთან 2000 წლიანი კონტაქტის გამოცდილებითაა განათლებული, შეუძლია სრულად ჩაწვდეს ამ დასკვნების აზრს.

6. ᲐᲛᲝᲣᲪᲜᲝᲑᲘ ᲛᲤᲠᲘᲜᲐᲕᲘ ᲝᲑᲘᲔᲥᲢᲔᲑᲘᲡ ᲒᲐᲛᲝᲩᲔᲜᲘᲡ ᲐᲖᲠᲘ

მაშ, ჩვენს დროში ამოუცნობი მფრინავი ობიექტების გამოჩენას რა აზრი უნდა ჰქონდეს? კაცობრიობის რატომ სწორედ ამ პერიოდში გამოჩნდნენ ისინი? რაში მდგომარეობს მათი მისია? რა მომავლისაკენ მივყავართ მათ?

უწინარეს ყოვლისა, „მფრინავი თეფშების“ გამოჩენა — მხოლოდ ნაწილია ზავივით მოვარდნილი „პარანორმალური“ მოვლენებისა, რომელთაც სულ რამდენიმე წლის წინათ ადამიანების უმრავლესობა „სასწაულებად“ მიიჩნევდა. დოქტორი ვალლე „უხილავ კოლეჯში“ ამ ფაქტს ერული თვალსაზრისით უდგება. „ჩვეულებრივ შემთხვევებზე დაკვირვებებმა უეცრად წაგვლეკა“ (გვ. 187), რითაც გამოიწვია „ადამიანებისათვის ჩვეული მრწამსის საფუძვლის საერთო გადაწევა“, გადაწევა მათი მიმართებისა უხილავის აღქმასთან დაკავშირებით“ (გვ. 114). „ადამიანის შეგნებაში რაღაც ხდება (გვ. 34). იგივე „მძლავრი ძალა, რომელიც კაცთა მოდგმაზე მოქმედებდა წარსულში, ისევ მოქმედებს მათზე ჩვენს დროსაც“ (გვ. 14). ქრისტიანული გაგებით ეს ნიშნავს—ადამიანთა მოდგმას კვლავ შემოესია ეშმაკები. ქრისტიანული აპოკალიპსური შეხედულებებისაგან გამომდინარე, ვხედავთ, რომ ძალა, რომელიც იჭერდა და აკავებდა დედამიწაზე დემონური ზემოქმედებების უკანასკნელ შემზარავ გამოვლინებას, მოცილებულია გარემოს (2 თესალ; 2—7), ქრისტიანული მსოფლმხედველობა როგორც მთლიანობა, აღარ არსებობს, და სატანა „განთავისუფლებულია ქვესკნელიდან“, სადაც მას აკავებდა ქრისტიანული ეკლესიის მადლი, რათა აცდუნოს ადამიანები“ (გამოცხ. 20, 7—8), და შეამზადოს ისინი ანტიქრისტეს თაყვანისცემისათვის ბოლო ჟამს. ქრისტიანული ხანიდან მოყოლებული, ეშმაკები არასდროს არ გვევლინებოდნენ ასე აშკარად და ყოველ ნაბიჯზე, როგორც დღეს. „სტუმრები კოსმოსიდან“ მხოლოდ-დამხოლოდ საბაბია, რომელთა დახმარებითაც ისინი ცდილობენ შთააგონონ ადამიანებს აზრი, რომ „უმაღლესი არსებე-

ბი“ ამიერიდან მზად არიან თავს იდონ კაცობრიობის მომავალ ბედ-ილბალზე ზრუნვა[1].

მეორეც, ამოუცნობი მფრინავი ობიექტები — მედიუმური ხერხებისაგან უახლესია, რომელთა საშუალებითაც ეშმაკი მომხრეებს ითრევს თავისი ოკულტური სამყაროსთვის. ეს არის საშინელი ნიშანი იმისა, რომ ადამიანი ხელმისაწვდომი შეიქნა დემონური გავლენებისათვის: როგორც არასდროს უწინ ქრისტიანულ ეპოქაში. მე-19 საუკუნეში როგორც წესი საჭირო იყო სეანსებისათვის ბნელი ოთახის მოძებნა, რომ ეშმაკებთან კონტაქტი დაემყარებინათ, ახლა კი საკმარისია ავხედოთ ზეცას (მართალია ღამით). კაცობრიობამ დაჰკარგა ყველაფერი, რაც ჯერ კიდევ შემორჩენილი იყო ქრისტიანული მოძღვრების საფუძვლებიდან, და ახლა პასიურად იმ ნებისმიერი „ძალების“ განკარგულებაშია, რომელიც შეიძლება დაეშვან ციდან. — ახალი კინოფილმი — „მესამე რიგის ახლო კონტაქტები“ — გასაოცარი მხილებაა იმისა, თუ რაოდენ ცრუმორწმუნე გახდა თანამედროვე ადამიანი — რომელიც მზადაა იმწამსვე უყოყმანოდ ირწმუნოს და გაჰყვეს თითქმის სახეუცვლელ ეშმაკებს, საითაც არ უნდა წაიყვანონ მათ[2].

მესამეც, აი რაშია „მფრინავი თეფშების“ მისია: მოუმზადოს გზა ანტიქრისტეს; შეცდომილთა სამყაროს მხსნელი მოდის, რათა იბატონოს მათზე. შესაძლოა იგი თვით მოვიდეს ზეცით, რათა დაემგვანოს ქრისტეს (მათე 24, 30; საქმენი 1, 11); ვინ იცის, მხოლოდ „სტუმრები კოსმოსიდან“ დაეშვებიან ყველას თვალწინ დედამიწაზე რათა „თავიანთ მბრძანებელს კოსმოსურად სცენ თაყვანი, ან „ცეცხლი გარდამოხდეს ზეცით“ (გამოცხ. 13, 13). ვინ იცის, იქნეს ბოლო ჟამის დიდი

---

[1] მრავალი ცნობები „დიდტერფიანებზე“ და სხვა „ურჩხულებზე“ იგივე ოკულტურ თავისებურებებს ამჟღავნებენ, რასაც „მფრინავ თეფშებთან“ შეხვედრები, და ხშირად ისინი ემთხვევიან ერთმანეთს.

[2] ორი სხვა „პარანორმალური“ მოვლენა, რომელიც ამ ცოტა ხნის წინ აღმოაჩინეს, გვიჩვენებს რამდენად თავხედურად იყენებენ დემონები ფიზიკურ საშუალებებს (ნაწილობრივ თანამედროვე მოწყობილობებს), რათა დაამყარონ კონტაქტები ადამიანებთან (1). ერთმა ლატვიელმა სწავლულმა (და მასთან ერთად სხვებმა) აღმოაჩინა იდუმალი ხმების მოვლენა; ეს ხმები მაგნიტოფონის ფირზე ისმის, თუნდაც ჩაწერა მოხდეს კლინიკურ პირობებში, სრული სიჩუმისას, და შედეგები გვაგონებს მედიუმური სეანსების შედეგებს, მედიუმის ანდა „ფსიქიკის“ არსებობა ოთახში თითქოსდა ხელს უწყობს ამ მოვლენას.

დემონური სანახაობის მხოლოდ ნაწილი. როგორც არ უნდა იყოს, თანამედროვე კაცობრიობისათვის წარგზავნა ასეთია: ელოდოს ხსნას, მაგრამ არა ქრისტიანული გამოცხადებისაგან და უხილავი ღრმთისადმი რწმენით, არამედ კოსმოსიდან მოსულთა მხრივ.

ეს ბოლო ჟამის ერთადერთი ნიშანთაგანია, როცა იქნება „საშინელებანი ზეცით და სასწაულნი დიდ-დიდნი" (ლუკა 21, 11). ჯერ კიდევ ასი წლის წინ ეპისკოპოსი ეგნატე ბრიანჩანინოვი წერდა თავის წიგნში: „О чудесах и знамениях» (Ярославль, 1870; переиздано монастырем св. Троицы, Джорданвиль, Н. — Иорк, 1960), „სწრაფვა, რაც გეხვდება თანამედროვექრისტიანულ საზოგადოებაში, იხილონ სასწაულები და ჰქმნან იგინი... ამგვარი მისწრაფება ხსნის თავის მოტყუებას, რაც ემყარება თავმოყვარეობასა და ამპარტავნებას, რაც გამეფებულია სულში და მოიცავს მას" (გვ. 32). ჭეშმარიტი სასწაულთმოქმედები იშვიათობა გახდა და ქრებიან კიდეც, მაგრამ ადამიანებს უფრო მეტად, ვინემ ოდესმე სწყურიათ სასწაული... ჩვენ თანდათან ვუახლოვდებით ჟამს, როცა გაიშლება ფართო სარბიელი მრავალრიცხოვანი და გასაოცარი ყალბი სასწაულებისა, რათა დაღუპონ ის უბედური შთამომავალნი ხორციელი სიბრძნითმოყვარეობისა, რომლებიც იქნებიან შეცთომილნი და ცთუნებულნი ამ სასწაულებით" (გვ. 48—49).

აი რა დაინტერესებთ განსაკუთრებით ამოუცნობი მფრინავი ობიექტების მკვლევარებს: „ანტიქრისტეს სასწაულები

(Konstantin Raudive, Bteakthraugh: An Amazing Experiment, in Electronic Communication with the Dead, Taplinger Publisring Co, N.Y. 1971).

„ადამიანები კოსმოსიდან" ლითონის მსგავსი ხმებით უკვე რამოდენიმე ხანია თთქოს და სარგებლობენ ტელეფონებით, რათა დაამყარონ ურთიერთობა „კონტაქტიორებთანაც" და „მფრინავი თეფშების" მკვლევარებთანაც. რა თქმა უნდა, ალბათობა გამასხრებისა ამ შემთხვევაში ძალზედ დიდია. მაგრამ უკანასკნელ წლებში გარდაცვალებულთა ხმები საკვლევით დამაჯერებელია (სარწმუნო) იმათთვის, ვინც მათ ელაპარაკა, ნებისმიერ ადამიანს აქვს მოსმენილი ტელეფონით საუბრისას. როგორც ავტორი ამ მოვლენების მოწოდებისას აღნიშნავს, თითქმის შეუძლებელია უარყოფა იმისა, რომ „ძველი დემონები კვლავ დააბიჯებენ ჩვენ შორის" და იმ რაოდენობით, რაც ადრე ვერც კი წარმოედგინათ

(Keel, UFO. Operation Trojan Horse, გვ. 306).

უმეტესად მოხდება ჰაერში (საჰაერო სივრცეში), სადაც სატანას მთავარი სამფლობელო იმყოფება, ნიშნები ძირითადად ხილვადი იქნება (მხედველობის ორგანოებით აღიქმება), მოაჯადოებს და მოატყუებს თვალს. წმ. იოანე ღვთისმეტყველი, ჭვრეტდა რა გამოცხადებაში (მოვლენებს) შემთხვევებს, მომასწავებელთ სამყაროს აღსასრულისა, ამბობს, რომ ანტიქრისტე აღასრულებს „სასწაულთა დიდთა, და რაჲთა ცეცხლი გარდამოხდეს ზეცით წინაშე კაცთა (გამოცხ. 13, 13). ესაა ნიშანი, აღნიშნულია წერილში, როგორც ყველაზე მნიშვნელოვანი ანტიქრისტეს ნიშნებს შორის, და მისი ადგილია ჰაერში (ცაში): ეს იქნება "ბრწყინვალე და შემზარავი სანახაობა" (გვ. 13). წმ. სვიმეონ ახალი ღვთისმეტყველი ამასთან დაკავშირებით აღნიშნავს, რომ „მლოცველი მხედარი ძალზედ იშვიათად უნდა იცქირებოდეს ცაში, და ეშინოდეს ზეციური ბოროტი სულებისა. რომლებიც ახდენენ სხვადასხვაგვარ საცდურებს ჰაერში" («Добротолюбие», три вида внимательности"). ადამიანები ვერ მიხვდებიან, რომ ანტიქრისტეს სასწაულებს არ ექნებათ არავითარი კეთილი, გონივრული მიზანი, არც გარკვეული აზრი, რომ ისინი უცხოა ჭეშმარიტებისათვის, სავსეა სიცრუით (სიყალბით), რომ ეს ურჩხულისებრი ბოროტი, უაზრო გამოხატულება, რაც იზრდება, რათა დაიამარცხოს, შეშფოთებაში ჩაგძიროს (აგამღვრიოს) და თავდავიწყებაში, მოგატყუოს, გაცდუნოს, ცარიელი, სულელური, მაღალფარდოვანი დაპირებებით (გვ. 11). „ეშმაკების ყველა გამოვლინებას აქვს საერთო თვისება — სულ მცირე ყურადღების გამოჩენითაც კი, თუნდაც ყოველგვარი სიმპათიის გამოვლენის გარეშეც, ადამიანი შეიძლება შეიპყრას საზიანო შთაბეჭდილებამ და სერიოზული ცდუნების წინაშე აღმოჩნდეს" (გვ. 50). ათასობით „კონტაქტიორმა" „მფრინავ თეფშებთან" და უბრალო მოწმეებმაც კი გამოსცადეს თავის თავზე ამ სიტყვების შემაძრწუნებელი ჭეშმარიტება; მხოლოდ მცირე რიცხვმა მოახერხა თავის დახსნა მას შემდეგ, რაც ისინი სერიოზულად იქნენ ჩათრეული ამ კონტაქტში.

„მფრინავი თეფშების" საერო მკვლევარებმაც კი ჩათვალეს საჭიროდ გაეფრთხილებინათ ადამიანები ამ კონტაქტების საფ-

რთხესთან დაკავშირებით. ასე მაგ., ჯონ კილი წერს: „ამოუცნობ მფრინავ ობიექტებთან ხუმრობა ისეთივე ცუდია, როგორც შავ მაგიასთან. ეს მოვლენა თავის მსხვერპლად ხდის ნევროტიკებს, გულუბრყვილოებს და უმწიფარ ადამიანებს. პარანოიდული შიზოფრენია, დემონომანია და თვითმკვლელობაც კი შეიძლება ჩაიდინონ მათ და არა ერთხელ ჩაუდენიათ კიდეც. „მფრინავი თეფშებისადმი“ მცირე ცნობისმოყვარეობა შეიძლება გადაიქცეს დამანგრეველ შეპყრობილობად. ამიტომ, მე დაბეჯითებით მოვითხოვ მშობლებისაგან აარიდონ ბავშვები ამ ინტერესებს. სკოლის მასწავლებლებმა და სხვა მოზრდილებმა არ უნდა წაახალისონ მოზარდი თაობის გატაცება ამითი“ (UFOs: Operation Trojan Horse, გვ. 220).

სხვა ადგილს ეპისკოპოსი ეგნატე ბრიანჩანინოვი ძრწოლითა და ცუდი წინათგრძნობით აღნიშნავს უბრალო რუსი მეჭედლის ჩვენების შესახებ პეტერბურგის მახლობელ სოფელში ურწმუნოებისა და რევოლუციის საუკუნის გარიჟრაჟზე (1817 წ.) შუადღისას მან უეცრად დაინახა უამრავი ეშმაკი ადამიანების სახით, ჩამომსხდრები ტყეში ხის ტოტებზე, უცნაურ ტანსაცმელსა და წვეტიან ქუდებში, რომლებიც მღეროდნენ უხილავი და ველური მუსიკალური ინსტრუმენტების თანხლებით: „ჩვენი დრო! ჩვენი ნება“![1]

ჩვენ უფრო ახლოს ვიმყოფებით მოზეიმე და გალაღებული ეშმაკების ამ საშინელი საუკუნის დასასრულთან, როცა შემზარავი „ჰუმანოიდები“ (ეშმაკთა კიდევ ერთი ნაირსახე) ხილული ხდებიან ათასობით ადამიანებისათვის და ეუფლებიან მათ სულებს, ვინც დასტოვა ღვთის მადლმა. ამოუცნობი მფრინავი ობიექტების ფენომენი — არის ნიშანი მართლმადიდებელი ქრისტიანისათვის, რომ მათ კიდევ უფრო ფრთხილად და მღვიძარედ იარონ ხსნის გზით, და იცოდნენ რომ ისინი შეიძლება ცთუნებულ იქნან და მოხიბლულნი არა მხოლოდ ყალბი რელიგიური მოძღვრებებით; არამედ გარეგნულად სავსებით მატერიალური საგნებითაც კი, რაც თვალში ხვდებათ. ადრეულ საუკუნეებში ქრისტიანები დიდი სიფრთხილით ეკიდებოდნენ უცნაურ და ახალ ჩვენებებს (მოვლენებს), ახსოვდათ

---

[1] С. Нилус, «Святыня под спудом», Сергиев посад, 1911, გვ. 122.

რა ეშმაკის ხრიკები; მაგრამ ახალი ერის დადგომის შემდეგ, განათლებული ადამიანები მათ მხოლოდ ცნობისმოყვარეობით ეკიდებიან, ხანდახან მისდევენ კიდეც მათ, გადასწევენ რა ეშმაკს ნახევრად-წარმოსახვით სამყაროში, ამიტომ, „მფრინავი თეფშების“ ჭეშმარიტი ბუნების ეაგებამ შეიძლება გვიშველოს მართლმადიდებელ ქრისტიანებს, რათა გამოვიღვიძოთ შეგნებული სულიერი ცხოვრებისა და შეგნებული მართლმადიდებლური მსოფლმხედველობისათვის, რომელიც არც ისე იოლად გამოსაყვანია ჩვენი დროის მოდური იდეებიდან.

შეგნებული მართლმადიდებელი ქრისტიანი ცხოვრობს სამყაროში, რომელიც უდაოდ დაცემულია, როგორც დაბლა დედამიწაზე, ასევე მაღლა ვარსკვლავებში — ყველაფერი ერთნაირადაა დაშორებული დაკარგულ სამოთხეს, რისკენაც იგი მიისწრაფვის. იგი არის ნაწილი ტანჯული კაცობრიობისა, რომელიც წარმოშობილია ერთი ადამისაგან, პირველი ადამიანისაგან, და ყველას ერთნაირად სჭირდება ცოდვების მოსანიება, რომელსაც უსასყიდლოდ გვიბოძებს ძე ღმრთისა თავისი მაცხოვნებელი ჯვარცმით. მან იცის, რომ ადამიანს არ უწერია „ევოლუცია“ რაღაც „უფრო მაღალში“, და არც არსებობს არავითარი მიზეზი გვჯეროდეს, რომ სხვა პლანეტებზე არის „მაღალგანვითარებული“ არსებები; მან კარგად იცის, რომ მის გარდა სამყაროში მართლაც არსებობს „უმაღლესი გონიერი არსებები“. და ისინი ორი სახისანი არიან, ასე რომ, იგი მიისწრაფვის იყოს მათთან, ვინც ღმერთს ემსახურება (ანგელოსებთან) და გაურბის კონტაქტს სხვებთან, რომლებმაც უარყვეს ღმერთი და ცდილობენ შურისა და სიბრაზის გამო ჩაითრიონ ადამიანი თავის გასაცოდავებულ მდგომარეობაში (ეშმაკები). მან იცის, რომ ადამიანი, თავისი თავის სიყვარულისა და სისუსტის გამო, ადვილად ეარდება ცდუნებაში და სჯერა „ჯადოსნური ზღაპრებისა“, რომლებსაც ჰპირდება „მაღალ მდგომარეობასთან“ კონტაქტები ან „მაღალ არსებებთან“ კავშირი, ქრისტიანული ცხოვრების ღვაწლის გარეშე — ფაქტიურად სწორედ გადარჩენით, გაქცევით ქრისტიანული ცხოვრების ღვაწლიდან მას არ სჯერა საკუთარი შესაძლებლობებისა გამოააშკარაოს ეშმაკების ხრიკები, და მით უფრო ახლოს მისდევს წმ. წერილის სწავლე-

ბებს და წმ. მამების მოძღვრებებს, რომელთაც ეკლესია და ქრისტე მისცემს მას მის სიცოცხლეში.

ასეთ ადამიანს შეუძლია წინ აღუდგეს მომავლის რელიგიას, ანტიქრისტეს რელიგიას, რა სახითაც არ უნდა გამოვლინდეს: დანარჩენი კაცობრიობა, თუ ის არ იქნება გადარჩენილი უფლის სასწაულით, განწირულია დასაღუპად.

თარგმნა ლალი ნაფეტვარიძემ.

სარჩევი

წინასიტყვაობა 5
შემდგენელთაგან 8
უცნობი ავტორი 9
ეპისტოლე დიოგნეტესადმი 9
ჰერმესი 23
მწყემსი, წიგნი I, ჩვენებები 25
წმ. თეოფილე ანტიოქიელი 44
ეპისტოლე ავტოლიკესადმი; წიგნი III (ფრაგმენტები) 53
წმ. მღვდელმოწამე კიპრიანე კართაგენის episkoposi 62
ეკლესიის ერთიანობის შესახებ 66
წმ. გრიგოლ ღვთისმეტყველი 80
კითხვები საკუთარ თავს 85
წმ. გრიგოლ ნოსელი 87
მოსეს ცხოვრება 96
წმ. იოანე ოქროპირი 119
ეკლესიაში სიარულის შესახებ 123
ბავშვთა აღზრდის შესახებ 128
მარხვის შესახებ 135
უცნობი ავტორი
ევსტათი მცხეთელის მოთმინება და მარტვილობა 137
უცნობი ავტორი
კოლაელთა წამება 155
წმ. სვიმეონ ახალი ღვთისმეტყველი 158
სინანულისა და ლოცვის შესახებ 160
წმ. გრიგოლ პალამა 165
ქადაგება თქმული სასიკვდილო ეპიდემიის მძვინვარების ჟამს 169
episkoposi ილია მინიატისი 177
ლოდი საცდურისა, წიგნი I 178
ამბროსი ნეკრესელი episkoposi 237
სიტყვა, თქმული სარწმუნოებისათვის მართლ-აღსარებისა 238
წმ. episkoposi ეგნატე 248
სიტყვა თქმული დიდი მარხვის პირველ კვირიაკეს მართლმადიდებლობის შესახებ 252
წერილები ერის კაცთა მიმართ 261
წმ. episkoposi თეოფანე დაყუდებული 272
მართლმადიდებლობის საფუძველი ერთაზრობაშია 275
ქრისტიანობაში დროის სულისკვეთების მიხედვით არაფერი არ უნდა შეიცვალოს 282
პირველი წერილი სანკტ-პეტერბურგში იქაური მწვალებლობის გამო 289
მღვდელმონაზონი სერაფიმე (როუზი) 325
სამეუფო გზა 327
ზეციური სასწაულები (ამოუცნობი მფრინავი ობიექტების „მფრინავი თეფშების“, მართლმადიდებლურ-ქრისტიანული ახსნა), წიგნიდან — „მართლმადიდებლობა და მომავალის რელიგია“ 356

მხატვარი დ. ხიდაშელი
მხატვრული რედაქტორი მ. დედანაშვილი
ტექნიკური რედაქტორი ო. კაპანაძე
კორექტორი ნ. ფხაკაძე

ამწყობი ლ. შენგელია

დამკაბადონებელი ც. გიგანი

ს. ბ. 5895

ჩაბარდა წარმოებას 9.02.90 წ. ხელმოწერილია საბეჭდად 25 04.90 წ.
ფორმატი 84X108 1/32. ქაღალდი საბეჭდი № 1. გარნიტურა
ჩვეულებრივი. ბეჭდვა მაღალი. პირობითი ნაბეჭდი ფურცელი 21,42.
სააღრიცხვო-საგამომცემლო ფურცელი 19,36.
პირობითი საღებავგატარება. 21,42. ტირაჟი 5.000. შეკვეთა № 330

ფასი 10 მან.

გამომცემლობა „მერანი", რუსთაველის პრ. 42, თბილისი
1990.

საქართველოს სსრ ბეჭდვითი სიტყვის სახელმწიფო კომიტეტის
თბილისის № 17 სტამბა, ქ. თბილისი, სურამის ქ. 13.

Государственный комитет Грузинской ССР по печати.
Тбилисская типография № 17. г. Тбилиси, ул. Сурамская, 13.